



შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
Shota Rustaveli National Science Foundation



იაკობ გოგებაშვილის სახელობის
 თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Iakob Gogebashvili Telavi State University

აბსენ ბეზთლან

სმეფანთა სსსიათისა ღა ტენეზისის
 ზოგადდუთნეცეკუბი სკიოთსები
 თუშუბი ენის შესსეფბების მაგადლითზე

(ღზის მანასზისთვის სმეფნებლან თანსმეფნებაძღუ)

თბილისი
 2 0 1 5

მონოგრაფია იბეჭდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (გრანტი FR/397/2 – 120/12). მასში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორს და, შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

The monograph is published by financial support from Shota Rustaveli National Science Foundation (GranT FR/397/2 – 120/12). All ideas expressed herewith are those of the author and may not represent the opinion of the Foundation itself.

www.rustaveli.org.ge

უფასო გამოცემა

ნაშრომში თუშური ენის მაგალითზე კეთდება მინიშნება იმ გზაზე, რომელიც ხმოვნებიდან თანხმოვნებამდე მიდის, რითაც უფრო ხელშესახები ხდება ხმოვანთა ბუნებისა თუ გენეზისის ფუნდამენტური თემები. თუკი შედმივ კონტროლს და-ვუქვემდებარებთ ტაბოლოგიის მაჯისცემას, თუშურ ენაში არსებული ფონეტიკური (და ფონოლოგიური) რეალიები, ჩვენი აზრით, იძლევა საშუალებას, კიდევ უფრო მი-ვუახლოვდეთ ამ შორეულ გზას, რომელიც რუდუნებით უნდა გაეგვოდეს-ესაა ალა-პარაკეულ ადამიანს – *Homo dictor*.

ნაშრომი გათვალისწინებულია როგორც იბერიულ-კავკასიური, ისე ზოგადი ენათმეცნიერების, კერძოდ, ზოგადი ფონეტიკის საკითხებით დაინტერესებული აუ-დიტორიისთვის.

რედაქტორები: ფილოლოგიის დოქტორი **ლატაფრა სანიკიძე**;

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი **ქეთევან გიგაშვილი**

რეცენზენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი **მაცვალა მიქელაძე**;

ფილოლოგიის დოქტორი,

ასოც პროფ. **მანანა ნაპირელი** (გერმანულ ნაწილში)

ოპერატორი: **მარიამ ბერთლანი**

© ა. ბერთლანი

გამომცემლობა „საარი“, 2015

ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57,

e-mail: saari.ltd@gmail.com

ISBN ?????????

ბოცა ქვეშით მიუყვებოდა
ჩემსვე მივ ნაგზაუფუ ბუნლევან ბილიკეს
ხმოვნებიდან თანხმოვნებისკენ,
ბერ კოლუჯას მივამბო.
ბუბიძევი მივამბო სოცკვა
ამ ძელ გზაზე.
მაგზამ: ხიბუფელი, კინაჯ
აზათუ ღამაძელ კბთაფლთი მიუკლე საუბნისას,
მიმიწოლ კილუჯც,
უმიშხალ ჭელთ წინ, ფთ
ბუსულან ტაფუბ,
მიუელი თვისი სოცთცხლე ზიმი შესწინა
ჩემს შიბბილუბ ენას.
მას ქაღენებს ეს მიწაფგზათა,
წმილ სეფაზულის მისას
ღა
წმილ სეფაზულის მისლამი.

ავტორი

შესავალი

ადამიანის სამეცნიერო ორგანოებს „შეუძლია უამრავი ბგერის წარმოქმნა, რომელთა ფიქსირება ჩამწერზეა დამოკიდებული. ამდენად, მეცნიერების უწყვეტ ნაკადში ამა თუ იმ ენის ბგერითი ერთეულების გამოყოფა, ანუ მეცნიერების სეგმენტაცია რეალურად არსებული ვითარების ერთგვარ გამარტივებას, სინამდვილესთან გარკვეულ მიახლოებას გულისხმობს.“

თამაზ გამყრელიძე

ჩვენ, ბატონი **თამაზ გამყრელიძის** მოსაზრებათა კვალდაკვალ, ვცადეთ ცალკეული ბგერებიდან მათი შემადგენელი კომპონენტების გამოყოფა, ანუ ბგერის სეგმენტაცია, რათა მივახლოვებოდით ხმოვნებიდან თანხმოვნებისკენ მიმავალი გზის კონტურებს.

ძირითადი განხილვის დაწყებამდე საჭიროდ ჩავთვალეთ ყურადღების გამახვილება თანამედროვე ლინგვისტიკის ზოგიერთ ძირითად საკითხზე, რისთვისაც გამოვიყენეთ „თეორიული ენათმეცნიერების კურსი“, თანაავტორებთან ერთად შემუშავებული **თ. გამყრელიძის** მიერ (<http://www.science.org.ge/books/Gamkrelidze>).

ლინგვისტიკის უბრველეს და უმთავრეს საქმეს, – გვასწავლის საენათმეცნიერო თეორია, – წარმოადგენს ცოცხალი მეცნიერების (ენის) უწყვეტი ბგერითი ნაკადის დანაწევრება, ამ ნაკადიდან ცალკეული ბგერების გამოყოფა და მათი ადეკვატური განდასება. სწორედ აქედან იწყება ლინგვისტიკა, როგორც ენის (მეცნიერების) შემსწავლელი მეცნიერება. მაგრამ „მეცნიერების ნაკადის სეგმენტაცია შეუძლებელია ადამიანის სამეცნიერო ბგერათა ზოგადი დახასიათებისა და იმ მექანიზმების ცოდნის გარეშე, რომელთა მეშვეობითაც წარმოიქმნება ეს ბგერები“ (<http://www.science.org.ge/books/Gamkrelidze>).

სამეცნიერო ბგერა, პირველ რიგში, წარმოადგენს ფიზიკურ მოვლენას, რის გამოც მისი შესწავლა უმთავრესად ხდება **სამი მიმართულებით**.

ამათგან პირველია **ფიზიოლოგიური**, რომელიც ითვალისწინებს იმ სამეცნიერო ორგანოების შესწავლას, რომელთა მეშვეობითაც ყალიბდება ესა თუ ის ბგერა.

მეორე მიმართულებაა **აკუსტიკური**, რომელიც გულისხმობს ბგერის ფიზიკური ხასიათის (თვისების) შესწავლას, რადგან სამეცნიერო ორგანოების ესა თუ ის მოქმედება (მოძრაობა, მუშაობა) წარმოშობს ჰაერის იმგვარ რხევებს პირისა თუ ცხვირის ღრუებში, რომლებიც შემდგომ ტალღების სახით გრძელდება და აღწევს მსმენელის სასმენი აპარატის (ყურის) სასმენ აპკამდე.

მესამე მიმართულებაა **პერცეფციული**, რაც გულისხმობს სმენით შთაბეჭდილებას, როცა ბგერის წარმოქმნით გამოწვეული ჰაერრხევები, თავის მხრივ, იწვევენ მსმენელის სასმენი აპარატის რხევას, რომელიც აღიზიანებს სასმენ ნერვს, საიდანაც გალიზიანება გადაეცემა თავის ტვინის გარკვეულ ცენტრს, რაც, ბოლოს, სრულდება ბგერის აღქმით (გაცნობიერებით).

ეს სამი მოცემულობა ბგერათა შესწავლის სფეროში – **ფიზიოლოგია, აკუსტიკა და პერცეფცია** – ედება საფუძვლად სამეცნიერო ბგერების აღ-

წერასაც და კლასიფიკაციასაც.

წინამდებარე მონოგრაფიაში მეტ-ნაკლები ოდენობით მოგვიწევს მსჯელობა ხმოვნებზე ამ სამივე მიმართულებით, სადაც განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ფარინქსის (ხანის), უბრატესად კი ლარინქსის (ხორხის) მიდამოებში მიმდინარე სამეტყველო – ბგერათმწარმოებლურ – პროცესებს.

ხმოვანთა წარმოება არც ყოფილა პირვანდელი ფუნქცია იმ ორგანოებისა, რომლებსაც დღეს სამეტყველოდ ვიყენებთ და **სამეტყველოს** ვუწოდებთ. თავდაპირველად ისინი ატარებდნენ მხოლოდ ფიზიოლოგიურ, სასიცოცხლო დატვირთვას: „ჩვენთვის საინტერესო სამეტყველო ფუნქცია ამ ორგანოებისათვის ისტორიულად უფრო გვიანდელია“ (<http://www.science.org.ge/books/Gamkrelidze>).

სამეტყველო ორგანოები იყოფა ორ ჯგუფად, რომელთაგან **არტიკულატორები** წარმოადგენენ აქტიურ, მოძრავ ორგანოებს, **არტიკულაციის წერტილები** კი – პასიურ, უძრავ ორგანოებს. ამათგან არტიკულატორები უახლოვდებიან ან ეხებიან არტიკულაციის წერტილებს, ეს უკანასკნელი კი „ელოდებიან“ პირველების მიახლოებასა თუ შეხებას.

ჩვენი კვლევისთვის ყურადსაღებია ისიც, რომ, მაგალითად, ხშული ფარინგალური (ვთქვათ, ქართულ-თუშური ყ ან ჳ) თანხმოვნების არტიკულაციისას (წარმოქმნისას) ენის ძირი კი ეხება ხანის (ფარინქსის) უკანა კედელს, მაგრამ ადგილი არა აქვს სრულ ხშვას, როგორც შეიძლება ხოლმე მოგვეჩვენოს.

რა ხდება ამ გაგებით ლარინგალური (ხორხისმიერი) თანხმოვნების წარმოებისას? თუ სახმო სიმები უახლოვდება ერთმანეთს და ქმნის ნაპრაღს, წარმოიქმნება ხორხისმიერი (ლარინგალური) ნაპრაღოვანი ბგერა (მაგ., ქართულ-თუშური ჳ ან თუშური ჳ, ჭ), ხოლო სახმო სიმების სრული ხშვა-განხშვით მიიღება ლარინგალური ხშულ-მსკდომი ბგერა (მაგ., თუშური ენის ც).


ყოველი ბგერის არტიკულაციას (გარდა ლარინგალური ხშულ-მსკდომისა) შეიძლება თან სდევდეს სახმო სიმების ვიბრაცია (ღაღანი).

დაბოლოს: **საარტიკულაციო ბაზისი**. ერთი ენა (მეტყველება) მეორისგან მეტ-ნაკლებად განსხვავდება სამეტყველო ორგანოთა იმ ინდიფერენტული მდგომარეობით რომელიც უშუალოდ უძღვის წინ ბგერათა წარმოქმნას – სამეტყველო ორგანოთა აქტივზაციას. ეს მდგომარეობა არის თითოეული ამ ენის საარტიკულაციო ბაზისი. ანუ: თუ ერთი ენა განსხვავდება მეორისგან,

განსხვავდება საარტიკულაციო ბაზისით, რომელიც სპეციფიკურია თითოეული ენისათვის და რომელიც თავს იჩენს, მაგალითად, უცხოურ ენაზე მოსაუბრის აქცენტში, რადგან უცხოური ენის ბგერათა წარმოთქმისას მოსაუბრე იყენებს მშობლიური ენის საარტიკულაციო ბაზისს. და ეს იმდენად მნიშვნელოვანი მომენტია ენებში საერთოდ, რომ უცხო ენის დაუფლებისას, შესაძლოა, დიდი ხნის დამღეული გვექონდეს ლექსიკური თუ სხვა სახის ბარიერები, მაგრამ კიდევ დიდ ხანს გვექმნიდეს პრობლემებს აქცენტი (არამშობლიური ენის ბგერების უნებური დამახინჯება მოსაუბრის მიერ). აქ აღწერილი ინდიფერენტული მოცემულობა სამეტყველო ორგანოებისა იმდენად ახლოსაა აქტივზირებულ მოცემულობასთან, რომ საარტიკულაციო ბაზისს **გ. ახვლედიანმა** უწოდა **აქტივზირებული ინდიფერენტული მდგომარეობა** (ახვლედიანი, 1949, 391). გამოდის, „კონკრეტული ენის საარტიკულაციო ბაზისი არის საწარმოთქმო ჩვევების ერთობლიობა, შემუშავებული ამ ენის განვითარების მანძილზე და მასში ტრადიციით დამკვიდრებული“ (<http://www.science.org.ge/books/Gamkrelidze>).

თუ უფრო გლობალურად შევხედავთ ამ სამეტყველო ფენომენს, გამოდის, რომ მოცემულ ენაზე მოლაპარაკე თითოეული ინდივიდის საარტიკულაციო აპარატი კონფიგურაციულად იმთავითვე ეწყობა იმგვარად, რათა დააკმაყოფილოს მოცემული მეტყველებისთვის დამახასიათებელი და, მაშასადამე, მოცემული კოლექტივისთვის საჭირო მოთხოვნები, რაც ერთგვარ სამეტყველო კოდირებას მოგვაგონებს. თუმცა ამით არ მთავრდება ეს ერთობ საინტერესო მოვლენა, აქ ის მხოლოდ იწყება: საარტიკულაციო ბაზისი (ბაზისები) განსხვავებულია ხოლმე დიალექტის (კილოს), კილო-კავისა და ა. შ. დონეებზე, თვით ცალკეული ინდივიდის დონეზეც კი (რასაც ახლობლები შეგუებული არიან). ესეც უნდა გვანსოვდეს მსჯელობისას ისეთ საინტერესო მეტყველებაზე, როგორიც თუშური ენაა.

თუ ბგერის წარმოთქმის (წარმოქმნის – ა. ბ.) პროცესს განყენებულად შევხედავთ, ის შეიძლება წარმოვიდგინოთ დაახლოებით ასეთი დიაგრამის სახით (<http://www.science.org.ge/books/Gamkrelidze>):



აქ **A** წერტილი შეესაბამება სამეტყველო ორგანოების ინდიფერენტულ (არტიკულაციამდელ, პასიურ, უმოქმედო) მდგომარეობას, **AB** მონაკვეთი – ბგერის შემართვას (ექსკურსიას, დაწყებას), **BC** – დაყოვნებას (მწვერვალს), **CD** – დაშორებას (რეკურსიას, გათავებას).

ასეთია წარმოთქმის პროცესი ბგერებისთვის ზოგადად, თუ არ ჩავთვლით მცირედენ თავისებურებას ხშული თანხმოვნებისთვის, სადაც გვაქვს (შესაბამისად): ხშვის მომენტი (იმპლუზია), ხშვითი დაყოვნება (ოკლუზია) და განხშვის მომენტი (ექსპლუზია). ამ – ხშულ – თანხმოვნებს ახასიათებთ მკაფიო, მკვეთრი (მაგარი, ხშული – ა. ბ.) შემართვა, რაც იწვევს მეზობელ (მიმდებარე) ხმოვანთა ფორმანტული სტრუქტურის ცვლას. შემართვას აქ მოსდევს სრული სიჩუმის (ოკლუზიის) პერიოდი. მყოფარ თანხმოვნებს (ფრიკატივებს, არახშულებს – ა. ბ.) შემართვა აქვთ თანდათანობითი (<http://www.science.org.ge/books/Gamkrelidze>).

ჩვენ მრავალგზის მოგვიწევს საუბარი ამ დეტალებზე.

კვლავაც ვიყენებთ რა ტერმინს **თუშური ენა**, ღიად ვტოვებთ თუშთა წოდების თემის ქართული ენისგან განსხვავებული ამ მეტყველების აღმნიშვნელი ტერმინოლოგიის თემას, რაც თავისთავად გულისხმობს თვით ამ ეთნოსის აღმნიშვნელი ტერმინოლოგიის მოწესრიგების აუცილებლობასაც, რომ აღარაფერი ვთქვათ ეთნიკურ ურთიერთობათა დაბალანსების აუცილებლობაზე. საუბარია იმ ქაოსზე, რომელიც დღემდე სუფევს წოვათუშობასთან დაკავშირებულ ლინგვისტურ თუ ეთნოგრაფიულ დეფინიციებში. ჩვენ ეს მტკივნეული საკითხი არაერთგზის გავქვს გაზიარებული როგორც მკითხველი საზოგადოებისთვის (მაგ., ბერთლანი, 2009; ბერთლანი, 2012), ისე მსმენელთათვის (მაგ., ბერთლანი, 2013), საერთაშორისო დონეზე კი ხმამაღლა გვაქვს გაცხადებული, რომ ეს თემა უსათუოდ უნდა გახდეს განხილვის საგანი, რათა აღმოიფხვრას არსებული ხარვეზი და ამით დამკვიდრდეს ტერმინოლოგიური სამართლიანობა (Bertlani, 2014, 11-16).

წინამდებარე ნაშრომში წამოწეული პრობლემების გადასაჭრელად მოგვიწევს გარკვევა ისეთ ლინგვისტურ მოცემულობებში, როგორიცაა: **გ** ლარინგალის საკითხი თუშურ ენასთან მიმართებაში; ჩვეულებრივი ხმოვნები ზოგადად; კონკრეტული ჩვეულებრივი ხმოვნები კონკრეტულ მეტყვე-

ლებებში; ანლაუტის თავისუფალი არტიკულაციის შესახებ უფრო დეტალურად.

გ ლარინგალის საკითხში თუშურ ენასთან მიმართებაში მოგვიწევს ისეთი თემების განხილვა, როგორიცაა: ზოგიერთი წინასწარი მინიშნება **გ** ლარინგალის გამო; ამ ბგერის მორფოლოგიური ანალიზი; მუშაობა ფორმულაზე **ღ = გ + მ**, ანუ **ღ = გ & მ**.

ჩვეულებრივი ხმოვნების მიმართულებით საჭიროა გარკვევა საკითხებისა: რით ვასხვავებთ ერთურთისაგან ხმოვნებსა და თანხმოვნებს? როგორია სახმო ქორდების მუშაობის პრინციპი? რა საერთო აქვს **გ**-ს ხმოვნებთან (რას გვაძლევს ფორმულა **V < გ**)? კონკრეტული ჩვეულებრივი ხმოვნების სფეროში გველოდება იმის გარკვევა, თუ: როგორ გამოიყურება ხმოვნების შიზოფონია თუშურ და ქართულ ენებში? როგორია ანლაუტის ხმოვანთა მაგარი შემართვა ენებში საერთოდ, მათ შორის, სალიტერატურო გერმანულ ენაში?

ანლაუტის თავისუფალი არტიკულაციის უფრო დეტალურ ანალიზში უბი-რატესად უნდა ვიგულისხმოთ თავისუფალი ხმოვნების ადგილის განსაზღვრა თუშურ ენაში.

ამ ყოველივემ უნდა მიგვაახლოოს ხმოვნებიდან თანხმოვნებისკენ მიმავალ გზასთან, ანუ გარკვეული დოზით უნდა ჩავგახედოს ხმოვანთა ხასიათსა თუ გენეზისის ფუნდამენტურ საკითხებში.

თუშური ენის მრავალფეროვანი ფონოლოგიური არსენალის სრულყოფილად რეალიზების მიზნით, ჯერ კიდევ სამეცნიერო პროექტის – „აულის ენები – კაცობრიობის არსებობის გონითი ფორმები – გლობალიზაციის პირობებში (წოვათუშურ-ქართული ორენოვნების მასალების მიხედვით)“ – ფარგლებში (2010-2013 წწ.) თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის **IT** ჯგუფის ქსელისა და სისტემის მაშინდელი ადმინისტრატორის, ლევან ჯაშიაშვილის მიერ ჩვენი ხელმძღვანელობით **GEO-Gorda** ფონტის ბაზაზე სპეციალურად იქნა შემუშავებული ახალი ფონტი სახელწოდებით **bertlan-gorda** (ბერთლან-გორდა), რომელიც გამოყენებულია წინამდებარე გამოკვლევაში და აქვეა წარმოდგენილი სატრანსკრიფციო ტაბულის სახით.

ტრანსკრიფცია

	ქართული ტრანსკრიფცია Georgian Transcription	ლათინური ტრანსკრიფცია	კვალიფიკაცია Квалификация QualificaTion	
		Латинская транскрипция LaTin TranscripTion	ჩვეულებრივი (პარტყევი) ბგერები Обычные (простые) звуки Common (simple) sounds	სპეციფიკური ბგერები Специфические звуки Specific sounds
№	სულ: Всего: ToTal: 82	სულ: Всего: ToTal: 82	სულ: Всего: ToTal: 33	სულ: Всего: ToTal: 49
1	2	3	4	5
1	ა	TNR A a	1. ა	
2	ა	Ă ă		1. მოკლე Краткий } ა Short
3	ა	â		2. არაციონალური Иррацион. } ა Irrational
4	ა	Ā ā		3. გრძელი Долгий } ა Long
5	ა	ā		4. ზეგრძელი Сверхдолгий } ა Hyper long
6	ა	Ă ă		5. სახალიზებული Назализов. } ა Nasal
7	ა	Ăă		6. გრძ. სახალ. Долг. назал. } ა Long nasal
8	ა	Ā a		7. თავისუფალი Свободный } ა Free
9	ა	Ă ā		8. თავისუფ. სახ. Своб. назал } ა Free Nasal

10	ბ	TNR B b	2. ბ	
11	ბ	TNR G g	3. გ	
12	დ	TNR D d	4. დ	
13	ე	TNR E e	5. ე	
14	ე	ě		9. მოკლე Краткий } ე Short
15	ე	ê		10. არატ. Иррац. } ე Irrational
16	ე	Ē ē		11. გრძელი Долгий } ე Long
17	ე	Ě ě		12. სახალ. Назал. } ე Nasal
18	ე	Ěě		13. გრძ. სახალ. Долг. назал. } ე Long nasal
19	ე	Ě		14. თავის. გრძელ. ე 14. თავისუფ. გრძ. Своб. долг. } ე Своб. назал. } ე Freelong
20	ვ	TNR Vv	6. ვ	
21	ზ	TNR Zz	7. ზ	
22	თ	TNR Tt	8. თ	
23	თ	t		15. ინტენსიური Интенсивный } თ Intensive
24	ი	TNR I i	9. ი	
25	ი	î		16. არატ. Иррац. } ი Irrational
26	ი	Ī ī		17. გრძელი Долгий } ი Long
27	ი	Ĭ ĭ		18. სახალ. Назал. } ი Nasal
28	ი			19. გრძ. სახალ. Долг. назал. } ი Long nasal

29	ი	T i		20. თავისუფ. Свободн. } ი Free
30	ძ	^{TNR} J j		21. ძვე. ქართული Древн. груз. } ძ Old Georgian
31	წ	ḵ		21. ნაზალ. Назал. } ძ Nasal
32	კ	K k	10. კ	
33	ლ	^{TNR} L l	11. ლ	
34	ლ	l		23. ინტენს. Интенс. } ლ Intensive
35	ლ	l'		24. ყრუ Глухой } ლ Voiceless
36	მ	^{TNR} M m	12. მ	
37	ნ	^{TNR} N n	13. ნ	
38	ო	^{TNR} O o	14. ო	
39	ო	ō		25. მოკლე Кратк. } ო Short
40	ო	ô		26. ირაქ. Иррац. } ო IrraTional
41	ო	Ōō		27. გრძელი Долгий } ო Long
42	ო	ō		28. ზეგრძელი Сверхдолг. } ო Hyper long
43	წ	Ōō		29. ნაზალ. Назал. } ო Nasal
44	წ	Ō̃ō̃		30. გრძ. ნაზალ. Долг. назал. } ო Long nasal
45	ო	O o		31. თავისუფ. Свободн. } ო Free
46	პ	P p	15. პ	
47	ჟ	Žž	16. ჟ	

48	რ	^{TNR} R r	17. რ	
49	რ	r'		32. ყრუ Глух. } რ Voiceless
50	ს	^{TNR} S s	18. ს	
51	ს	s		33. ინტენს. Интенс. } ს InTensive
52	ტ	T t	19. ტ	
53	ტ	t		34. ინტენს. Интенс. } ტ InTensive
54	უ	^{TNR} U u	20. უ	
55	უ	Ū ū		35. მოკლე Кратк. } უ ṢorT
56	უ	û		36. ირაქ. Иррац. } უ IrraTional
57	უ	Ū ū		37. გრძელი Долг. } უ Long
58	უ	Ū̃ ū̃		38. ნაზალ. Назал. } უ Nasal
59	უ	U u		39. თავისუფ. Свободн. } უ Free
60	უ	Ū ū		40. თავისუფ.ნაზ. Своб. назал. } უ Freenasal
61	ფ	^{TNR} Pp	21. ფ	
62	ქ	^{TNR} Kk	22. ქ	
63	ღ	ƳƳ	23. ღ	
64	ყ	Qq	24. ყ	
65	ყ	q		41. ინტენს. Интенс. } ყ Intensive
66	შ	Š š	25. შ	
67	შ	š		42. ინტენს. Интенс. } შ Intensive

68	ჩ	ჭ	26. ჩ	
69	ც	^{TNR} C c	27. ც	
70	ძ	ჯ	28. ძ	
71	წ	ჭ	29. წ	
72	ჭ	ჭ	30. ჭ	
73	ხ	^{TNR} X x	31. ხ	
74	ხ	ხ		43. ინტენს. Интенс. } ხ Intensive
75	ც	^{TNR} Q q		44. ძვ. ქართული Древн. груз. } ც Old Georgian
76	ღ	ღ		45. ინტენს. Интенс. } ღ InTensive
77	ჯ	ჯ	32. ჯ	
78	ჰ	^{TNR} H h	33. ჰ	
79	ჰ	Hh		46. ფარინგალური Фарингальный } ჰ Pharyngeal
80	ლ	^{TNR} ’		47. ლარინგალური Ларингальный } ლ Laryngeal
81	ფ	ფ		48. ფარინგ. Фаринг. } ფ Pharyng.
82	ღ	^{TNR} ‘		49. ლარ.-ფარ. Ларинг.-фаринг. } ღ Laryng.-pharyng.

თავი I.
ქ ლარინგალის საკითხი
თუშურ ენასთან მიმართებაში
(ყველა გზა ქ ლარინგალთან მიდის)

1. ზოგიერთი წინასწარი მინიშნება ქ ლარინგალის გამო

§1 (1). ქ ლარინგალის დახასიათების შესავსებად.

როგორია ქ ლარინგალის ხედვა კავკასიოლოგიურ წყაროებში?

როგორც აღრეც შევნიშნეთ (ბართიშვილი, 1998, 151), ასეთი – სპეციფიკური – ბგერების თვით გრაფიკული ნიშნებიც კი გაუგებარია ხოლმე როგორც თვით თუშურენოვანი, ისე არათუშურენოვანი მკითხველებისთვის, ხოლო ამ უკანასკნელთათვის (გარდა სპეციალისტების უკიდურესად ვიწრო წრისა) ამ გაუგებრობას ზედ ერთვის ისიც, რომ გარკვეულწილად ძნელია არა მხოლოდ არტიკულირება ასეთი ბგერებისა, არამედ ამ არტიკულაციის თვით რეარტიკულაციაც კი (რეპროდუქცია). თუნდაც ამიტომ ერთგვარ მნიშვნელობას იძენს ლარინგალური ქ თანხმოვნის ზოგადი მიმოხილვა კიდევ ერთხელ.

იმთავითვე შევნიშნავთ, რომ ყოველთვის, როცა სამეცნიერო თვალსაზრისით (სურათებზე, ნახატებზე და ა. შ.) გადმოსცემენ ამა თუ იმ ენის ხმოვან (ხმოვან-მსკდომი) თანხმოვნის არტიკულაციას, როგორც წესი, წარმოდგენილია შესაბამისი საარტიკულაციო ორგანოების ოკლუზიური, ხშირად, არასაფონაციო, სკდომამდელი მდგომარეობები (მაგ., ახვლედიანი, 1949, 31-36; ახვლედიანი, 1966, 40-41), ხოლო, მაგალითად, თუშური (როგორც ენის, ისე კილოს) ხმოვან ლარინგალური ქ თანხმოვნის არტიკულაციის გადმოცემისას, პირიქით, დაფიქსირებულია საარტიკულაციო ორგანოების არა-ოკლუზიური, არახმოვანი, საფონაციო, სკდომის შემდგომი მდგომარეობა (მაგ., უთურგაძე, 1966, 22). ეს სერიოზული სხვადასხვაობაც მიდგომებში თავისთავად აჩენს ამ საკითხზე მსჯელობის კიდევ ერთ საბაზს.

როგორ ხასიათდება ქ ლარინგალი სამეცნიერო წყაროებში?

დავიწყოთ ქრონოლოგიური სათავეებიდან – ი. ცისკაროვის (ცისკარიშვილის) „გრამატიკიდან“ (Цискаров, 1848). როგორც კ. ჭრელაშვილი შენიშნა

ნავს, თუშური ენის **ქ** ლარინგალს იგი წარმოგვიდგენს დამოუკიდებელი ფონეტიკური ერთეულის სტატუსით (ჭრელაშვილი, 1975, 36).

ა. შიფნერი (Schiefner, 1859) თუშური ენისთვის **ქ** ბგერას „ცალკე ფონეტიკურ ერთეულად არ გამოყოფს“, თუმცა მას ხელთ ჰქონდა **ი. ცისკარიშვილის** „გრამატიკა“ ხელნაწერის სახით და იყენებდა მას თავისი მონოგრაფიის წერისას (ჭრელაშვილი, 1975, 36). სამაგიეროდ გერმანელი მკვლევარი **ბ**-თი (აბსტრაქტით) აღნიშნავს სულ სხვა – **‘ – ბგერას**¹, რომელსაც აფიქსირებს სიტყვებში **‘amur (ამურ) ‘ლაძე**, **‘emur (ემურ) ‘საფლაფი**, **‘ophi (ოფი) ‘მიუშვარა / შეუშვარა**, **‘unal (უნალ) ‘ჯჰამავარი** (Schiefner, 1859, 7). თუმცა, მიიჩნევს რა ხმოვანთა მაგარ, ძლიერ, მკვეთრ, ხშულ შემართვად (*Spiritus lenis*), **ა. შიფნერი** არც **ბ**-ს გამოყოფს დამოუკიდებელ ბგერად. მართალია, სემიოტიკაზე ცალკე ეგების საუბარი, მაგრამ აქ უკვე უნდა დავაფიქსიროთ, რომ ხელთა გვაქვს **ბ** გრაფემით **‘** ფონემის აღნიშვნის (გადმოცემის) ფაქტი, რამაც უკვე შეიძლება გამოიწვიოს ერთგვარი დაბნეულობა – არა საკუთრივ **ა. შიფნერის** მონოგრაფიასთან, არამედ ამ ფონეტიკური თუ ფონოლოგიური მოცემულობის რაობასთან მიმართებაში საერთოდ.

ნ. მარის ანალიტიკურ ანბანში, იქ, სადაც საუბრობს **ჯ**-ს შედგენილობაზე, **ქ**, რომლითაც, ჩვეულებრივ, **ბ** ბგერას გადმოსცემენ ხოლმე, ასევე გაიგივებულია არაბულ **ك**-სთან, რაც უკვე **გ. ახვლედიანს** აქვს შენიშნული (ახვლედიანი, 1949, 179–180). როგორც ვთქვით, **ك**-თი ჩვეულებრივ გადმოსცემენ თუშური ენის **‘** ბგერას².

თუშური ენის **‘**-ს **ი. დეშერიევი** უსადაგებს არაბულ **ل**-სა და არაბულსავე **ع**-ს (Дешериев, 1953, 378).

ამასთანავე, როცა ნაპრალოვებზე საუბრობს, **გ. ახვლედიანი** ფრჩხილებში შენიშნავს, რომ აკად. **ნ. მარი** სპირანტს ეძახდა ლარინგალურ **ქ**-საც (ახვლედიანი, 1949, 39).

ს. ჟღენტის მიხედვით, **ქ**-ს შესახებ სხვადასხვა ავტორს განსხვავებული მოსაზრებები აქვს გამოთქმული; მისი წარმოების ადგილი აზრთა სხვადასხ-

1 ამ ბგერას არაბულში შეესატყვისება **ك** და **خ**, ასევე **ع** გრაფემები, რომლებსაც საერთაშორისო ტრანსკრიფციაში აღნიშნავენ **‘** ნიშნით (ITC, 1990, 40); მაგრამ, რაკი **‘** ნიშანი გეჭირდება თუშური ენის ყრუ **ლ** და **რ** ლატერალების გასაფორმებლად, აღრევის თავიდან აცილების მიზნით, საუბრის ამ მონაკვეთში პირობით გამოვიყენოთ მისი ამობრუნებული **‘** ვერსია, თუმცა საერთოდ ვიყენებთ და გამოვიყენებთ **ლ**-ს.

2 გავიძეოთ: ეს არის მისი საერთაშორისო სატრანსკრიფციაო ნიშანი.

ვაობას არ იწვევს: ყველა ავტორი (**ა. ცაგარელი, ნ. მარი, ი. ყიფშიძე, გ. ახვლედიანი, არნ. ჩიქობავა** და სხვ.) ფიქრობს, რომ **ქ** ყელისმიერი, ანუ ხორხისმიერი³; სამაგიეროდ სულ სხვადასხვაგვარად არის გაგებული **ქ**-ს რაგვარობა (ჟღენტი, 1956, 142): **ა. ცაგარელი** (Цагарели, 1880, 1) და **ნ. მარი** (Марр, 1910, 4) თვლიან, რომ ის ყრუ სპირანტია (ე. ი. ნაპრალოვანია და არა ხშული); **ი. ყიფშიძის** „თანხმევანთა კლასიფიკაციის ტაბულაში“ წარმოების ადგილის მიხედვით **ქ** მიჩნეულია ხორხისმიერად, რაგვარობის მიხედვით კი – მჟღერ ხშულად, თუმცა იქვე **ჰ, ღ, ჴ** ბგერებს შორისაა წარმოდგენილი (ყიფშიძე, 1994, 56).

ეს ყოველივე იმაზე უნდა მიაწვდეს, რომ იმთავითვე არაზუსტი იყო ლინგვისტიკა, როცა, მაგალითად, გერმანული, მეგრული, თუშური და ა. შ. ენების ანლაუტის ხმოვნებს მიაწერა მაგარი შემართვა, ანუ ოდენ **ქ** ლარინგალის არსებობა მათ შემართვაში, რაც, როგორც ქვემოთ გამოჩნდება, მთლად ასე არ არის.

ქ ლარინგალის რაგვარობის არაერთგვაროვანი გაგება ზოგად ფონეტიკაში დღემდე დასტურდება, რაზეც ნათლად მეტყველებს ე. ოსიძის გამოკვლევა: ლარინგალური რიგის თანხმოვნის კვალიფიკაციით წარმოგვიდგენს რა, მკვლევარი მეგრული ენის **ქ**-ს (აფხაზურ-ადიღურ ენათა მსგავსად) თვლის **ყ**-ს რეფლექსად და არ გამორიცხავს იმასაც, რომ **ქ** ამ შემთხვევაში, ისევე როგორც ხუნძურ-ანდიურ ენებში, ოდენ ხმოვნის მაგარ შემართვას ასახავდეს (ოსიძე, 1998, 78).

საყურადღებო უნდა იყოს ისიც, რომ, თუმცა, მისივე თქმით, ქართულ სალიტერატურო ენას (ქართულ ფონეტიკას – ა. ბ.) არ გააჩნია **ქ** ბგერა, მაგრამ ამ ენასთან მიმართებაში **ს. ჟღენტი** მას მაინც განიხილავს (ჟღენტი, 1956, 140). სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მასალისა და სხვადასხვა თაობის მკვლევართა მოსაზრებების გათვალისწინებით, იბერიულ-კავკასიურ ენათა კონსონანტიზმის ამოსავალ მოდელში ჩქამიერთა შორის **ო. კახაძე** სათანადო ადგილს უმკვიდრებს ლარინგალურ **ქ**-ს და დასძენს: „თანხმოვანთა ეს სისტემა (ან დაახლოებით ასეთი) დროთა განმავლობაში, სხვადასხვა მიზეზთა გამო, იცვლებოდა – მარტივდებოდა ან რთულდებოდა“ (კახაძე, 1998, 49).

ს. ჟღენტის მონოგრაფიის მიხედვით, **ქ** ბგერას ასევე თვლიან არაბული

3 ხორხი განთავსებულია ყელში, ანუ კისრის წინა ნაწილში.

ელიფ-ის თანაფარდ ბეგრად (ჟღენტი, 1956, 143), ე. ი. **ქ**-ს მიიხნევენ არაბული I-ს შესატყვისად. ელიფი (არაბ. I – ალიფ: ЛЭС, 1990, 40) არაბული ანბანის პირველი ასოა, რომელიც გამოიყენება როგორც გრძელი **ჰ** ხმოვნის, ისე (უფრო იშვიათად) ყელხშვის გადმოსაცემად.

თ. უთურგაიძე არ ცნობს, მაგალითად, იმას, რომ **ი. დეშერიევი** თუშური ენის ანლაუტში **ქ** ბეგრას ფონემად არ მიიხნევს (უთურგაიძე, 1966, 42-45). **კ. ჭრელაშვილი**, პირიქით: სათანადოდ აფასებს რა **თ. უთურგაიძის** დეაწლს თუშური ენის (და კილოს) **ქ** ბეგრის შესწავლაში, არ იზიარებს მის „კატეგორიულ დებულებას იმის შესასახებ, რომ“:

ა) თუშური ენის ანლაუტში „ხმოვანს ყოველთვის წინ უძღვის ლარინგალური **ქ**“ და

ბ) თუშურ ენაში იგი, როგორც ფონემა, „უნდა გამოიყოს ანლაუტში, ისევე როგორც ინლაუტსა და აუსლაუტში“ (ჭრელაშვილი, 1975, 37; ჭრელაშვილი, 2002, 64-65; ჭრელაშვილი, 2006, 22; Чрелашвили, 2007, 37).

ს. ჟღენტის „ფონეტიკაში“ ვკითხულობთ, რომ **ქ** გვხვდება ქართულ ენის კუთხურ მეტყველებაში, როგორც შორისდებულთა ხმოვნის შემართვის დამატებითი ელემენტი (ჟღენტი, 1956, 140). მივაქციოთ ყურადღება: შემართვაც არა – მისი დამატებითი ელემენტი.

ა. შანიძე წერს: „ვინც მეგრული იცის, ეს ბევრად თითქმის იგივეა, რაც **ქ** მეგრულ სიტყვებში **ქოროფა** ‘სიყვარული’, **ქუჯი** ‘ყური’, ცვალი ‘ყველი’“ (შანიძე, 1957, 11). ამასაც მივაქციოთ ყურადღება: „თითქმის იგივეა, რაც...“ და ა. შ. გამოდის, დღევანდლამდე გაგებით, თუშური ენის **ქ** არ არის მეგრული **ქ**-ს ზუსტი შესატყვისი, როგორც ბეჭდვით არის მიჩნეული.

ლარინგალური **ქ**-ს დასახასიათებლად და ასახსნელად **ს. ჟღენტი** საუბრობს არა თვით ლარინგალურ **ქ**-ზე, არამედ მაგარშემართვიანი **ქა**-ს კინოგრამაზე, შესრულებულზე **გ. პანკონჩელი-კალციას** მიერ (ჟღენტი, 1956, 141), რაც ერთობ საინტერესო და ყურადსაღები ფაქტია: თუმცა საკუთრივ **ქ**-ს, როგორც ბეგრას, არაფერი აქვს საერთო არათუ ხმოვნობასთან, არამედ თვით ნახევარხმოვნობასთანაც კი, მაგრამ აქ, განვიხილავთ რა თანხმოვანს, წარმოვადგენთ ხმოვანს, ანუ თანხმოვანზე საუბარს ვერ ვაწარმოებთ საუბრის გარეშე ხმოვანზე. რატომ?

პირველ რიგში, იმიტომ ხომ არა, რომ თანხმოვნებსა და ხმოვნებს ერთი საერთო ფონეტიკური „სტარტი“ აქვთ?

იმიტომაც ხომ არა, რომ, როგორც უკვე დავინახეთ, **ქ**-ს დღემდე ან საერთოდ არა აქვს ესა თუ ის განსაზღვრა, ანდა ეს განსაზღვრა არ არის ერთიანი, ცალსახად გარკვეული, რადგან ბოლომდე არა გვაქვს გაცნობიერებული მისი რაობა?

ყველა შემთხვევაში, ჩანს, მიზეზი უნდა ვეძებოთ თვით ამ ლარინგალის ბუნებაში და არა მისი კვლევის კვალიფიციურობაში..

ს. ჟღენტი ხან უსახელოდ წარმოდგენს **ქ**-ს (უბრალოდ, აღნიშნავს შესაბამისი გრაფიკული ნიშნით), ხან ხმოვანთა შემართვის დამატებით ელემენტს უწოდებს, ხანაც ხმოვნის შემართვის ძლიერ ვარიანტად მოიხსენიებს – ისევე როგორც ჰ არის მიღებული ხმოვნის შემართვის ფონეტიკურ ვარიანტად⁴.

გ. ახვლედიანი **ქ**-ს უწოდებს ბეგრის ძლიერ შემართვას, მაგრამ, იქვე დაურთავს რა, რომ ეს ის ბეგრია, რომელიც არაბულში ცნობილია ჰამზათ-ის სახელწოდებით, შეუსატყვისებს მას **ჰ** რაფიკულ ნიშანს (ახვლედიანი, 1949, 106).

სხვა წყაროებში სემიტური ენებისათვის (არაბული ენა სემიტურია) დადასტურებულია ფარინგალური ‘ (ანუ ე. წ. ‘**აჰ**) და ხორხისმიერი (ლარინგალური – ა. ბ.) ‘, ანუ ე. წ. **хамза**, სხვანაირად ‘**აღეფ** (ЛЭС, 1990, 443), ჩვენი დაწერილობით – **ქ**. იგივე წყარო არაბული ანბანის **ء** (თავკიდურში) და **ع** (განცალკევებით) ასოებს შეუსატყვისებს სატრანსკრიფციო ‘ ნიშანს, ასახელებს რა მას **айн**-ად ახლა უკვე თავკიდური ‘-ს გარეშე (ЛЭС, 1990, 40). როგორც ვხედავთ, მოსალოდნელზე მეტადაა ფაქტები აღრეული.

მოკლედ, **ქ** მიჩნეულია ხან ბეგრის ნიშან-თვისებად (შემართვად ან დამართვად), ხან კი ბეგრად.

ასევე: **თ. უთურგაიძე**, საუბრობს რა ხმოვნების ძლიერ შემართვა-დამართვაზე თუშურ კილოში, **ქ**-ს მიიხნევს ბეგრის ძლიერ შემართვა-დამართვად, ბეგრად, ხმოვანთა გამყოფად (უთურგაიძე, 1960, 13-14), თუმცა საეჭვოა ხმოვანთა გამყოფი, როგორც ასეთი, ამავე დროს ბეგრაც იყოს.

თუკი ერთმანეთს შევადარებთ **ს. ჟღენტის** მიერ წარმოდგენილ ექსპერიმენტულ მასალებს, დავინახავთ, რომ, ჯერ ერთი, **ქ**-ს კინოგრამა თითქმის არაფრით განსხვავდება ა-ზე დაწყებული ქართული სიტყვების თავკიდური

4 ე. ი. **ჰ**-ც ამ შემთხვევაში მიჩნეულია ბეგრის შემართვისეული ნიშნის ვარიანტად და არა ბეგრად ან, მით უმეტეს, ფონემად, თუმცა იგი ქართულ (ასევე თუშურ) ენაში წარმოდგენილია დამოუკიდებელ ასო-ბეგრად.

ა-ს კინოგრაფიისგან: აქაც და იქაც არტიკულაცია იწყება კოორდინატთა სათაფლიდან (ჯღენტი, 1956, 141-190-195), ანუ $(x_0; y_0)$ -დან; მეორე: სქემების მიხედვით, ზოგიერთი თანხმონის წარმოქმნისას არტიკულაცია ისევე იწყება კოორდინატთა სათაფლიდან, როგორც, მაგალითად, ანლაუტის ჩვეულებრივი ა-ს წარმოქმნისას (ჯღენტი, 1956, 141-190-195).

შეიძლება ითქვას, ამით ამოიწურება კვლევის რაობა **ქ** ლარინგალისა, რომლის დახასიათებაც შეიძლებოდა დაგვეწყო **გ. ახვლედიანის** სიტყვებით: „სახმო სიმების მჭიდროდ დახშული მდგომარეობა სწრაფად იცვლება მათი გააბით, რის შედეგადაც გვესმის ერთგვარი ძლიერი კენკისებრი ჩქამი“ (ახვლედიანი, 1949, 106; ახვლედიანი, 1966, 104). ამ დროს ბუნებრივად აქვს ადგილი ექსპლოზიას (სკდომას), რომელიც დამახასიათებელია ხშული (ხშულ-მსკდომი) თანხმონების არტიკულაციისათვის. მაშ, **ქ** თანხმოვანი ისეთივე ხშვა-სკდომადი ბგერაა, როგორც, მაგალითად, **ბ, გ, დ** და ა. შ., ოღონდ აქ პირველ რიგში, განსხვავებულია ხშვა-სკდომის ორგანოები და ადგილი (ტაბოის).

თუ სახმო სიმებს შორის, რომლებიც წარმოდგენენ ბაგეებს (ორ ჰორიზონტალურ ნაოჭს), ნაპრაღია დარჩენილი და ფილტვებიდან ამონადენი საფონაციო ჰაერნაკადი ეხახუნება სახმო სიმების კედლების ზედაპირს, ამ ხეხვით (ფრიქციით) წარმოიქმნება ფშვინვა – ჰ, მაგრამ თუ სახმო სიმები დახშულია და იგივე ჰაერნაკადი ახდენს მათ განხშვას, განხშვისთანავე მიიღება ხმა (ნებიერიძე, 1991, 70), რომელსაც საერთაშორისო ფონეტიკურ ტრანსკრიფციაში აღნიშნავენ ' ნიშნით (აბოსტროფით), ხოლო ქართულენოვან პრაქტიკაში – **ქ**-ს სახით (იქვე, 67). გამოდის, ლარინგალური ბგერაა ჰ-ც, ოღონდ, **ქ**-სგან განსხვავებით, არის ფშვინვიერი, ანუ სპირანტი (ჭრელაშვილი, 1975, 38-39; ჭრელაშვილი, 2002, 66; ჭრელაშვილი, 2006, 23; Чрелашвили, 2007, 37) და არა ხშული. ე. ი. თუ შური ენის კონსონანტთა ფონეტიკურ სისტემაში ორი ლარინგალია – **ქ** და **ჰ** (ჭრელაშვილი, 1975, 35; ჭრელაშვილი, 2002, 66; ჭრელაშვილი, 2006, 21; Чрелашвили, 2007, 36).

§2 (2). განმარტებები არათუშურენოვანი მკითხველისთვის

ეს თემა შემოთავაზებული გვაქვს ადრეც (ბერთლანი, 2012), მაგრამ მსჯელობისთვის ლოგიკური სისრულის შესანარჩუნებლად აქაც წარმოვადგენთ გარკვეული დაზუსტებებით.

როგორც **ქ** ბგერის, ისე აქ მოხმობილი სხვა ბგერების იმ ნიშან-თვისე-

ბებზე ვამახვილებთ ყურადღებას, რომლებსაც ასე თუ ისე საჭიროდ ვთვლით აქ დასმული პრობლემის გადაჭრისა თუ წარმოდგენილი მოსაზრებების დასასაბუთებლად: ყველა გზას ლარინგალურ **ქ** თანხმოვანთან მივყავართ.

არ შეიძლება საინტერესოდ არ ჩათვალოს **ქ** ბგერის არსებობასთან დაკავშირებული საკითხი მეტყველებებში (ის შეიძლება შეგვხვდეს სალიტერატურო ენებშიც, დიალექტებშიც). ამასთანავე, ამ საკითხის ამ კუთხით გაშუქება კიდევ უფრო გაუადვილდეს არათუშურენოვან მკითხველს დასახელებული ბგერის არსის წვდომას.

გარკვეულ ინტერესს იწვევს ის, რომ ლარინგალური **ქ**, რომელიც ხმოვნის მაგარი შემართვის (ან დამართვის) სტატუსითაც წარმოგვიდგება, არ არის მარტო თუ შური ენის „მონაბოვარი“: ერთი მხრივ, თუ შური ენისთვის ის რჩება სპეციფიკურ ბგერად (ფონემად), მეორე მხრივ, ის გვხვდება სხვა ენებშიც.

დავიწყოთ ქართული სალიტერატურო ენიდან, რომელიც ასევე მშობლიურია თუ შური ენის მატარებელთათვის. **გ. ახვლედიანი** გვიდასტურებს **ქ**-ს არსებობას ისეთ ქართულენოვან მოცემულობებში, როგორიცაა აკრძალვის გამომხატველი (ჩვენ ვიტყვით: უარყოფის გამომხატველი) **არაქ** და სამწუხარო გაკვრევების გამომხატველი **აქ** ნაწილაკები (ახვლედიანი, 1966, 105).

ქ ბგერა „მოკალათებულია“ ექსპრესიულად წარმოთქმული გაცემა-გაკვრევების გამომხატველი ქართულ-თუ შური **გა!** შორისდებული ანლაუტშიც: **ცვა!** მაგ., ქართულ მხატვრულ ფილმში „ღვინის ქურდები“ (რეჟისორი **გ. კვაჭაძე**, სცენარი **ე. ჯღენტის**) გვაქვს (<https://www.youtube.com/watch?v=dh>):

ელიბო (**კ. კავსაძე**): **ცვა!**..

ზაქრო (**კ. საკანდელიძე**): რა ცვა?.. დამისხი და დავლევ!

როცა კითხვაზე, **მეფანი სახლშიაო?**, ბავშვები პასუხობენ, აჟადააო, მხატვრულ ფილმში „არ დაიღარდო“ (რეჟისორი **გ. დანელია**, სცენარი **რ. გაბრიაძის**), მიუხედავად იმისა, რომ ფილმი გახმოვანებულია რუსულად, ბენჟამენი (**გ. კიკაბიძე**) სწორედ ქართულად და სწორედ ასე გამოხატავს თავის გაკვრევას – **ცვა** (<http://qartulifilmebi>), რასაც, ისევე როგორც „ღვინის ქურდების“ შემთხვევაში, ტრანსკრიბირება არც კი სჭირდება. აქ ამის საშუალებას, ჩანს, იძლევა მომდევნო სონორული **გ** თანხმოვანი, რომლის ნათესაობაც უხმოვანთან ცნობილია (შდრ.: **ცხოვარი > ცხუარი > ცხუარი / ცხუარი > ცხვარი**) და **ქ** ფაქტობრივად გვევლინება თავკიდური ხმოვნის მაგარი შემართ-

5 ამის შესახებ იხ.: სარჯველაძე, 1975, 69.

ვის სტატუსით: **ჟა [ცჟა]**.⁶

საინტერესო მასალას გვთავაზობს ქართული ფილმი „სამოთხის გვრიტები“ (სცენარის ავტორი და დამდგმელი რეჟისორი **გ. ჩოხელი**) (<https://www.youtube.com/watch?v=8g>). უდავოდ, ორიგინალური და შეუდარებელია იგი ქართული ანბანის გრაფიკული მხარის მხატვრულ გადაწყვეტაში, მაგრამ კიდევ უფრო ღირებულია ფილმი ქართულ ხმოვანთა შემართვის თვალსაჩინოებრიობის კუთხით. შეიძლება ითქვას, რომ ამ ფილმის მერე აღარც კია საჭირო სპეციალური აპარატურული ექსპერიმენტების ჩატარება ქართულ ვოკალთა მაგარი შემართვის გამოსავლენად – იმდენად ზედმიწევნითა და მოცულობითი მასში წარმოდგენილი საამისო მასალა. გვჩნება შთაბეჭდილება, თითქმის ფილმი სპეციალურად იყოს გადაღებული ხმოვანთა მაგარი შემართვის გამოსაშვარავლებლად და დასადასტურებლად; ცხადია, სულ სხვა იდეალებსა და მიზნებს ემსახურება ფილმი, მაგრამ უდავოა ისიც, რომ ლამის თავიდან ბოლომდე რეჟერენად გასდევს მის სიუჟეტს ხმოვანთა შემართვის თემა, რაც, დარწმუნებულნი ვართ, თქვენს აზრს ატყობს თავად ფილმის ავტორს. და ამაშიც სწორედ **გ. ჩოხელისთვის** დამახასიათებელი განსაკუთრებულობა გამოსჭვივს.

დავიწყოთ გაკვეთილით, რომლითაც ფაქტობრივად იწყება ფილმი და რომელზეც ცალკეულ ქართულ ასო-ბგერებს ეუფლებიან მსმენელები. პირველი, ვინც ამ კვლევა-ძიებისთვის სასარგებლო საქმე გააკეთა ფილმის პერსონაჟებიდან, არის ხეჩო.

მასწავლებელი (**გ. ბერიკაშვილი**) ხეჩოს ნამგალს აჩვენებს და ეკითხება: **აბა, ხეჩო, რა ასოა ესა?**⁷

ხეჩო (**მ. სერსეულიძე**) სრულიად გასაგებად წარმოთქვამს განმარტობულ ა ასო-ბგერას მაგარი შემართვით: **[ცა]**.

მასწავლებელი (**გ. ბერიკაშვილი**): **ყოჩაღ, ასო აა [ცაა]**.

მსმენელები (ერთად): **აა [ცაა]**.

იგივე მთორდება ნალოთან დაკავშირებით, რომელიც **ი** ასო-ბგერას გამოხატავს. ისე რომ, ყველანი – თვით მასწავლებელიც, ცალკეული მსმენელებიც,

⁶ **თ. უთურგაძის** დაკვირვებით და **კ. ჭრელაშვილის** დადასტურებით, **ც** უპირატესად გვხვდება ვოკალთა წინაპოზიციაში და ინტერვოკალურ პოზიციაში.

⁷ თუმცა ბგერები (ასო-ბგერები) აქ მოხსენიებულია ასოებად, მაგრამ ეს არესები-თად არაფერს ცვლის.

ყველანი ჯგუფურადაც – მაგარი შემართვით წარმოთქვამენ განცალკევებულ **ა** და **ი** ხმოვნებს: **[ცა], [ცი]**.

და მერე, სასოფლო-სამეურნეო იარაღებისგან სიტყვა **ასი**-ს „დალაგები-სას“, იგივე ხეჩო მაგარი შემართვით წარმოთქვამს თავკიდურ **ა** ხმოვანს. ამგვარივე შემართვით წარმოთქვამს **ი** ხმოვანსაც, რომელიც თავკიდურში არაა, მაგრამ საჭიროებამ მოითხოვა მისი ასეთი არტიკულაცია, რადგან ის, ჩვენი ტერმინოლოგიით, „ამოჭრილი“ აღმოჩნდა ბმული მეტყველებიდან (სიტყვიდან)⁸: **ა... ს... იი [ცა... ს... ციი]**. ამგვარადვე არტიკულაციებს ხეჩო ამ ხმოვნებს სიტყვის გადატანისას დაფაჩე, ვიდრე, ბოლოს, არ მიმართა სიტყვის რწყმულ, ბმულ არტიკულაციას (**legato**): **ასი [ცასი]**. ამ – ბოლო – არტიკულაციური ოპერაციით ხეჩომ ლინგვისტური თეორიების გარეშე მარტივად დაადასტურა ისიც, რომ ცალკეული ხმოვანი, რომელიც აღმოჩნდება ინლაუტის ანდა აუსლაუტის ბმულ, რწყმულ არტიკულაციაში⁹, კარგავს მისთვის მანამდე დამახასიათებელ მაგარ შემართვას, რაც თანხმობის ნიშნად გაიმეორა მთელმა კლასმა: **აასი [ცაასი]**.

სწორედ ხეჩოსნაირად ვსწავლობდით წერა-კითხვას შორეულ ბავშვობაში და სწორედ საკუთარი ბავშვობის იმიტრებას მიმართა როლის შემსრულებელმა.

სხვა მაგალითები ამავე ფილმიდან ხმოვანთა მაგარი შემართვისთვის:

მასწავლებელი დუქარდით ხელში: **აი ესა, არის ასო ი [ცი], იო [ციო]**.

მსმენელები (ერთად): **იო [ციო]**.

მასწავლებელი: **ასო იო [ცასოციო]**.

მსმენელები (ერთად): **ასო იო [ცასოციო]**.

მასწავლებელი ჩამოუვლის მსმენელებს, აწვდის მელანს, აწერინებს და უმეორებს: **ი [ცი], ი [ცი], ი [ცი]**.

განსაკუთრებულად გამოიკვეთება ხმოვნის მაგარი შემართვა, როცა სმენადაქვეითებულ მოსწავლეს – ეფრემას (**გ. ჭეიშვილი**) – უნდათ როგორმე გააგებინონ ი ასო-ბგერის რაობა.

ამ არჩევულებრივ გაკვეთილს, რომელიც ფაქტობრივად ხმოვანთა მაგარ შემართვას დაეთმო და ამდენი სარგებელი მოუტანა წინამდებარე

⁸ ამოჭრასთან დაკავშირებით იხ. ქვემოთ.

⁹ ამ შემთხვევაში საუბარია წელან იზოლორებულიად წარმოთქმულ ი ხმოვანზე სიტყვიდან ასი.

კვლევა-ძიებას, აგვირგვინებს სწავლა-განათლებისადმი მტრულად განწყობილი ბრიგადირი (**კ. კაფსაძე**): **თუ ამათ გარყვნას თავს არ გაანებებ, მე შენ გაჩვენებ ა-სა [ყასა], ო-სა [ყოსა], უ-სა [ყუსა]...**

მერეც, უკვე ცხვრის პარსვისას, ერთ-ერთი მსმენელი (მოსწავლე), ბრიგადირის მიერ მიწოდებული დუქარდის დანახვაზე ახსენდება რა გაკვეთილი, ამბობს: **ო [ყო]. ბრიგადირი ირონიულად იმეორებს: ო!... [ყო].**

სულ ბოლოს, ბრიგადირი იძლევა სიტყვის დანაწევრებული არტიკულაციის თვალსაჩინო ნიმუშს, სადაც ხორცი აქვს შესხმული ხმოვანთა მაგარ შემართვასაც, სიტყვის შემადგენლობიდან „ამოჭრილ“ ხმოვნებსაც და სადაც სხვაგვარი წარმოთქმა, თუ არა ამგვარისა, პრაქტიკულად შეუძლებელია (საუბარია სიტყვაზე **ცხორი**): **ც[ც]...ხ[ხ]...ო[ყო]...რ[რ]...ი[ცი]...ი[ცი]... ი[ცი]... ი[ცი]...**

ეს ბოლო თვალსაჩინოება კიდევ ერთი ნათელი მაგალითია იმისაც, რომ დანაწევრებული არტიკულაციისას არანაირი გართულება არა გვაქვს თანხმობებში და რომ გართულება – მაგარი თუ რბილი შემართვის გაჩენა (და დაკარგვაც) – ახასიათებს ხმოვნებს¹⁰.

ის ფაქტი, რომ სხვადასხვა შემსრულებელი სრულიად სპონტანურად მიმართავს ხმოვნის მაგარშემართვიან (ან თავისუფალშემართვიან) არტიკულაციას, ადასტურებს იმას, რომ ასეთი შემართვა (შემართვები) ქართული ხმოვნებისა უტყუარია.

თუ მკითხველი კიდევ ერთხელ მიუჯდება **გ. ჩოხელის** დასახელებულ ფილმს – ამჯერად ქართულ ხმოვანთა შემართვაზე დაკვირვების მიზნით, უთუოდ დაგვეთანხმება იმაში, რომ აქ მართლაც უხვი მასალაა კონცენტრირებული საამისოდ.

მკვლევართა აზრით, **ც** შეიძლება გამოჩნდეს დაჟინებულად თქმული არა ნაწილაკის ანლაუტიკა: **ცარა**¹¹ (ახვლედიანი, 1966, 105). თუკი შევაერთებთ **არაც** და **ცარა** სიდიდეების ექსპრესიულ და არტიკულაციურ შესაძლებლობებს, მივიღებთ **ცარაც**¹² ნაწილაკს, რომელიც იხმარება კიდევაც სასაუბრო პლასტებში.

ქართულ ყოფით მეტყველებაში ვხვდებით **პო** მტკიცებითი ნაწილაკის

10 მაგარი თუ რბილი შემართვის გაჩენასთან (და დაკარგვასთან) დაკავშირებით კიდევ გვექნება საუბარი.

11 ანლაუტისეულ **ც**-ზე ჩვენ განსაკუთრებული მოსაზრება გვაქვს ზოგადად, რაც მსჯელობის პროცესში გამოჩნდება.

12 ძალაში რჩება ანლაუტის **ც**-სთვის გაკეთებული ჩვენი შენიშვნა.

პოც ფორმასაც აუსლაუტის **ც**-თი, რომელიც **თ. უთურგაძეს** თუშურ კილოშიც აქვს დადასტურებული (უთურგაძე, 1966, 23). გვხვდება აგრეთვე ამ ნაწილაკის კეთილგანწყობილი თანხმობის გამომხატველი გამეორებადი **პოც, პოც, პოც** ფორმაც.

ქართულენოვან მეტყველებაში სხვაგანაც შეიძლება **ც** ბგერის მიგნება: ბავშვი, მაგალითად, რომელიც ჯერ კიდევ ვერ ფლობს რწყმულ (ბმულ) მეტყველებას, მაგრამ გენეტიკურად აქვს ამის შინაგანი მოთხოვნილება, იქ, სადაც ‘და’ კავშირის შემდეგ ყოვნდება იმისათვის, რათა ჯერ კიდევ ნორჩ გონებაში შეძლებისდაგვარად მოიფიქროს და დააღაგოს სათქმელი, „მოიმარჯვებს“ ხოლმე **ც-ს: მამა მანქანით წამიყვანს და...ც...** მეტიც, ეს **ც** შეიძლება რამდენჯერმე გაიმეოროს კიდევაც. წმინდა ფონეტიკური თვალსაზრისით, ეს სწორედ ის სურათია, რომელიც გვაქვს თუშურ კილოშიც.

თუშური კილო, რომელსაც „ასეული წლების მანძილზე მჭიდროდ ურთიერთობა“ ჰქონდა თუშურ ენასთან (უთურგაძე, 1960, 15) და რომლისთვისაც, როგორც ა. შანიძე შენიშნავს, თუშური ენა სუბსტრატს წარმოადგენს (იქვე, 06), საკმაოდ ფართოდ იყენებს **ც** ბგერას: **...წინ თლომა და გულოხი დახვედროდნენ; მემრეც, გარეც ის მამა ცუცქ გუწწრავის...** (იქვე, 95) **‘მერე ის მამა გვლავ აქ დაუტოვებია...’; მძინარ-მღვიძარაც ბოძს მოხვედრიყ დაც გაგორებულოყ** (იქვე, 104) **‘ძილძილძარე ბოძს დასჯახებოდა და წაქცეულოყ’.**

ქართული ენის კილოებიდან **ც** ბგერა მიგნებულია ხევსურულშიც: **მეია’ც?** **‘ვანა მარტო მე?’**, **ერთ ძროხაია’ც?** **‘ვანა მარტო ერთი ძროხა?’**, **ორხაია’ც?** **‘ვანა მარტო ორხა?’** (ჭინჭარაული, 1960, 191).

ც ბგერით შეიძლება მთაწმინდის კახურკილოვან მეტყველებაში ემფატიკურხმოვნაინი **‘მავრაძ’** კავშირი: **მავრამაც.**

ც ბგერა სცენაში – ცეცხლთან, ბუნებაში – მხატვრული ფილმიდან **„დათა თუთა შხია“** (მე-5 სერია):

დათა (ო. მელვინეთუხუცესი): წაფიდეთ და ვნახოთ შალიბაშვილი, რას იტყვი შენ?

13 ჩვენ განსხვავებულად ვუდგებით თანხმობის მიმყოლი აუსლაუტისეული უმარცვლო ხმოვნების გრაფიკულ აღნიშვნას როგორც თუშურ კილოში, ისე თუშურ ენაში (ამაზე იხ.: ბერთლანი, 2012).

ბექარ (ზ. ქათუიანიძე): წავიდეთ და წავიდეთ, რაჲ!¹⁴

საენათმეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, **ქ** ბგერა ქართველური ენებიდან გაჩნდა, მაგალითად, ზანურს (მეგრულსა და ჭანურს): **ცუჯი** ‘ყური’, **ცონა** ‘ყანა’ (ახვლედიანი, 1966, 105).

სხვა იბერიულ-კავკასიური ენებიდან **ქ** ბგერის მატარებელია, მაგალითად, ჩაჩურს¹⁵ – **გაჲ** ‘გაფა’, **დაჲ** ‘ჭმეფა’, **ცჰაჲ** ‘ერთი’, **ლაჲ** ‘სურვილი’, **მეჲ** ‘გარბა’, **ჰოჲ** ‘ტყეფა’, **გოჲ** ‘სამი’, **თოჲ** ‘საკმარისი’, აგრეთვე ინგუშური – **გაჲ** ‘სასიხარულო ცნობა’, **ოჲ** ‘ორი’, **ფიჲ** ‘ხუთი’, **ფიჲ** ‘კვერცხი / თესლი’ (ჭრელაშვილი, 1975).

ქ ბგერის სულ რამდენიმე მაგალითი თვით თუშური ენიდან: **ხაჲ** ‘გაგება’, **შეჲ** ‘შეკობა’, **ხაჲ** ‘დაჯდომა’, **ლაჲ** ‘სურვილი, სურვილის ქონა’, **დჰეჲ** ‘ღვიძლი’, **ტყჲ** ‘კიდევ’, **დაჲ** ‘მოტანა; მოსვლა’ და სხვ.

ევროპული ენებიდან **ქ** (‘) ბგერა ახასიათებს, მაგალითად, სალიტუარო გერმანულს. როგორც სამეცნიერო წყაროები გვამცნობენ, აქ თავკედლის ყოველი ხმოვანი, თუ ის ფშვინიერშემართვიანი არ არის, ძლიერშემართვიანია (ახვლედიანი, 1966, 105–176), ოღონდ იქ ეს ფონეტიკური ნიშანი გრაფიკულად არ აღინიშნება: **aber** [‘aber] ‘თუშკა’, **immer** [‘immer] ‘მუდამ’, **ober** [‘ober] ‘უმაღლესი’, **erste** [‘erste] ‘პირველი’ (HPC, 1962; ახვლედიანი, 1966) და ა. შ.¹⁷

რუსულ სასაუბრო მეტყველებაში **ქ** (‘) გვხვდება ქართული **არაჲ** სიტყვა-ფორმის ეკვივალენტში¹⁸: **не’а[н’е’ѧ]** (< **нет** ‘არა’), სადაც ბოლოკედლი **а[ѧ]** იმდენადაა რედუცირებული, რომ პრაქტიკულად აუსლაუტისეულად შეიძლება ჩავთვალოთ არა **а[ѧ]**, არამედ [‘] მოცემულობა: **[н’е’]**. ძლიერი შემართვით ფორმდება სტილიზებული არტიკულირებული რუსული **хорошо!** ‘**აჲ** კარგია!’ სიტყვა-ფორმის აუსლაუტისეული ხმოვანიც

14 აქ, როგორც ვხედავთ, მაგარდამართვიანი ხმოვანთაა აღჭურვილი ნაწილაკი, რომლის ზედმიწევნით და ნათელ განმარტებასაც ვერ შევადგენთ ქართულ ლექსიკოგრაფიაში და რომელსაც აქ ვაცნობიერებთ მიახლოებითი მნიშვნელობით ‘**რა პოზიტივია!**’.

15 ქართული ორთოგრაფია უშვებს **ჩეჩნურსაც**, **ჩაჩნურსაც**; ჩვენ ყველგან ჩაჩურსად ჩაჩნურსად.

16 ევროპული ენებისთვის გამოვიყენეთ „ევროპული“ სიმბოლო ‘.

17 ვმეორდებით და შეგნიშნავთ, რომ ანლაუტისეულ **ქ**-ზე (‘-ზე) განსაკუთრებული მოსაზრება გვაქვს – არა მარტო გერმანული ენის შემთხვევაში, რაც მსჯელობის პროცესში გამოჩნდება.

18 რუსულ ენაში **ქ**-ს სატრანსკრიფციო ნიშანი არ უნდა ავგერიოს რუსულივე თანხმოვნების სიღბოს აღმნიშვნელი ნიშანი.

(სტილიზაციას ეხმარება გარმაგებული, შეიძლება ასეც ითქვას, გრძელი **ш-ც**): **хорошо**’.

სწორედ **ქ** ბგერას წარმოთქვამს ჯერ კიდევ უმეტესელო ბავშვი ზოგადად, როცა ხელის გაწვდენით რაიმეს ითხოვს დაჟინებით, ოღონდ – ერთგვარი ფშვინის (ასპირაციის) დართვით: **ქჰ, ქჰ, ქჰ...** ამ ბგერას წარმოთქვამს ავადმყოფიც ზოგადად, როცა კენესის – აქაც იმავე ფშვინის დართვით (დაყოლებით), ოღონდ ამჯერად, ბუნებრივია, განსხვავებული, ვიდრე ბავშვის შემთხვევაშია, ინტონირებით: **ქჰ, ქჰ, ქჰ...**

სლოკინი, რომელიც დიაფრაგმის კრუნჩხვითი შეკუმშვის შედეგია და რომელსაც თან ახლავს უეცარი ღრმა შესუნთქვა (ინსპირაცია), იწვევს თავისებურ ხმიანობას (ქსე, 1985, 439). ჩვენი აზრითა თუ დაკვირვებით, სლოკინის თანხლები „ხმიანობა“ – ეს იგივე ლარინგალური **ქ** ბგერაა, ოღონდ წარმოებული არა ექსპირაციით, ანუ ჰაერნაკადის მოძრაობით ფილტვებიდან გარეთ (–), არამედ – ინსპირაციით, ანუ მისი უკუსვლით (უკუკვრით) გარედან ფილტვებისკენ (–), რასაც წინ უსწრებს ასევე უკუსვლითი (უკუკვრითი) ფშვინა. სხვანაირად: სლოკინის ღროს ჩნდება შეწოვნილი ‘**ჰ** და ‘**ქ** ბგერების ერთობლიობა, ოღონდ, რა თქმა უნდა, არასამეტყველო (არასაკომუნიკაციო) დანიშნულებისა: ‘**ჰჰ**. ამ თვალსაზრისით, „ბავშვის“ **ქ** და „კენესის“ **ქ** კიდევ როგორღაც შეიძლება მივიჩნიოთ სოციალურ (დისტინქტურ) სიდიდეებად, „სლოკინის“ **ქ** კი – არა და აქ მის აღწერას ვიშველიებთ ოდენ საკომუნიკაციო **ქ** ბგერის ფონეტიკური დახასიათების გასაღრმავებად.

ამ დახასიათების სრულყოფის მიზნით, არათუშურენოვან მკითხველს ვთავაზობთ აგრეთვე ქართული **აჰ, ეჰ, იჰ, ოჰ, უჰ** შორისდებულების წარმოთქმას II არხით – მოკუმული ბაგეებით, ანუ ცხვირით¹⁹. ამ შემთხვევაში ხმოვანი, რა თქმა უნდა, არ წარმოითქმის იმ უბრალო და ნათელი მიზეზით, რომ პირი (ბაგეები) დახშულია და ვერ ვაღწევთ სამეტყველო ორგანოთა სათანადო კონფიგურაციას და, რაც მთავარია, ვერ უზრუნველყოფთ სამეტყველო ჰაერნაკადის ამოღინებას. სამაგიეროდ სრულიად ცხადად წარმოითქმის და არცთუ ძნელად ამოიცნობა ფშვინიერი **ჰ**, ოღონდ ფშვინა წარმოიქმნება არა ლარინქსში (როგორც ნორმალურ შემთხვევაში იქნებოდა), არამედ – ნაზუსში (ცხვირის ღრუში). და რაც მთავარია, ამ **ჰ**-ს წარმოთქმამდე წარ-

19 უფრო დაწვრილებით II არხის, ასევე შეწოვნილი არტიკულაციის შესახებ – ქვემოთ.

მოითქმის და ასევე ნათლად ამოიცნობა ლარინგალური **ქ** („კვენესა“), რომელიც იწარმოება იქ, სადაც მისი საწარმოთქმო ადგილია – ლარინქსში (II არხის არტიკულაცია აღენიშნოთ ¹ ინდექსით წინ და მადლა): **ქჰ**.

გამოდის, რომ ამ შორისდებულების II არხით არტიკულაციისას ხუთივე ხმოვნის ადგილს ფაქტობრივად იკავებს (ავსებს) ლარინგალური **ქ** თანხმოვანი. რატომ?

ეს ერთობ საინტერესო და საყურადღებო ფაქტია, რომელიც სკრუპულოზურ ანალიზს ელის.

ამავე – **ქჰ** – სიდიდეს ვაწარმოებთ, როცა თანამოსაუბრეს დახშული ბაგეებით, ანდა საჭმლით სავსე პირით (ანუ II არხით) გვინდა გაგვებინოთ, რომ ერთობ გემრიელია ის, რასაც მივირთმევთ, ოღონდ ამ შემთხვევაში გვაქვს სულ სხვა ინტონაცია, ვიდრე II არხის **აჰ, ეჰ, იჰ, ოჰ, უჰ** შორისდებულების შემთხვევაში, დასახელებული სიდიდე კი მიჯრით გამოირეკება: **ქჰ-ქჰ-ქჰ-ქჰ...**

ეს შედარებებიც ცნობისათვის კეთდება, თორემ თავისთავად იგულისხმება, რომ **ქ** ლარინგალი ორალური ბგერაა და სამეტყველო ეთერში I არხით, ანუ პირით „გადის“.

ეს მსჯელობა ერთგვარად უკვე უნდა მიგვანიშნებდეს იმაზე, რომ ხმოვნისა და ლარინგალური **ქ** თანხმოვნის ფონეტიკაში (არტიკულაციასა და აკუსტიკაში) უნდა იყოს რაღაც საერთო, სხვადასხვა კლასის ამ ორ ბგერას – ხმოვანსა და თანხმოვანს – რაღაცა უნდა აკავშირებდეს ერთმანეთთან. ასეთ მოსაზრებამდე მისვლისა თუ მასთან მიახლოების საშუალებას იძლევა დაკვირვება თუშური ენის სწორედ ამ საინტერესო ბგერაზე – **ქ** ლარინგალზე: ზოგიერთ რამეში ვერ დავეთანხმებით **თ. უთურგაძეს**, როცა საუბრობს **ქ** ლარინგალზე, მაგრამ ჩვენთვის ერთობ ღრეხულია მისი ის მოსაზრება, რომლის თანახმადაც კონფიგურაციულად **ქ** ლარინგალი ჰგავს მომღეგნო ან წინამავალ ხმოვანს (უთურგაძე, 1966, 21). მეორე მხრივ, გარკვეული დოზით მაინც რომ ჩაითვალოს დასრულებულად **ქ**-ს დღევანდლამდელი თვით ყველაზე კლასიკური დახასიათებაც კი, კიდევ ბევრჯერ მოგვიწევს რაიმის დამატება როგორც საკუთრივ მასზე, ისე მის მიმართებაზე ხმოვნებთან.

ამასობაში კი იბადება არაერთი კითხვა:

გამართლებულია თუ არა ის, რომ **ქ**-ს დასახასიათებლად – სათანადო განმარტების დართვის გარეშე – საუბარი გადაგვაქვს ხოლმე ხმოვნებზე (ხმოვნების შემართვა-დამართვაზე)?

შემაერთა, ანუ ექსკურსია თანხმოვანსაც აქვს, მაგრამ ვიყენებთ თუ არა ხმოვნებს თანხმოვნების დასახასიათებლად?

გასაგებია, რომ ხმოვნის შემართვა-დამართვა მართლაც **ქ** თანხმოვნით არის გამოწვეული, მაგრამ, ჯერ ერთი, რატომ და როგორ? მეორე, ხომ უნდა მოხერხდეს, ბოლოს, **ქ**-ს განსაზღვრების უნიფიცირება, თუ ის მართლა ბგერაა (ბგერაცაა)? მესამე, თუ **ქ** არის ოდენ რაიმის (ბგერის, ხმოვნის) დამატებითი ელემენტი, ანდა ბგერის ვარიანტი, მაშინ როგორღა ხვდება იგი ხორხისმიერებს, სპირანტებს, ხშულებსა და, საერთოდ, ბგერებს შორის ერთსა და იმავე მეტყველებაში?²⁰

ხოლო თუ **ქ** არის ბგერა (ფონემა), რატომ გაჭირდა მისი მკაფიო, ჩამოყალიბებული განსაზღვრა?

უთუოდ დასაზუსტებელია კლასიკურ ფონეტიკაში ' და ' ბგერების ურთიერთმიმართებაც. ერთობ წინააღმდეგობრივია საკუთრივ **ქ** ლარინგალის მეცნიერული შეფასება. და კიდევ: რა თქმა უნდა, გრაფიკული აღნიშვნები თავისთავად პირობითია, მაგრამ **ქ**-სთან დაკავშირებული და აქ წარმოდგენილი სიჭრელე, როგორც ფაქტი, თავისთავად საყურადღებოა და, ისევე როგორც თუშური ენის **უხ?** და **ვუხ?** (ასევე ინგლისური ენის **Wilson, Wilton** და ა. შ.) სიდიდეებთან დაკავშირებული დაბნეულობა როგორც რუსულ, ისე ქართულ ენებში (**Bertlani**, 2010, 5-9)²¹, არ უნდა იყოს შემთხვევითი: ჩანს, ეს აღრევა, რომელიც შედეგის სახით დღემდე მოსდევს ბაცბოლოგიას (და არა მარტო), იმთავითვე განპირობებული უნდა იყოს, ერთი მხრივ, თვით ' და ' თანხმოვნების, ხოლო, მეორე მხრივ, ხმოვნების ხასიათით, მათი წარსულთა თუ აწმყოთი, რაც შემდგომ შესწავლას საჭიროებს.

როცა სამეცნიერო ლიტერატურაში ფიქსირდება ანლაუტის ხმოვნისწინა **ქ**, უთუოდ საჭირო და აუცილებელიც კია ლიგვისტური ექსპერიმენტის დონეზე საფუძვლიანი პასუხი გავცეს ზოგიერთ ისეთ კითხვას, როგორიცაა:

1) ფონეტიკურად რით განსხვავდება ეს **ქ** (მის მიმყოფ ხმოვანთან ერთად) ანლაუტისეული ჩვეულებრივი ხმოვნისაგან?

20 გერმანულ ენაში, მაგალითად, ძლიერი შემართვა – **Knacklaut** – ესოდენ დამახასიათებელი ნიშანია ხმოვნებისათვის, მაგრამ არ იძლევა სიტყვათა სემანტიკურ ლიფერენციაციას; ამიტომაც: არც გრაფიკულად აღინიშნება (გარდა მეთოდური საჭიროებისა) და არც თანხმოვანთა ტაბულაშია ხოლმე შეტანილი (**Никонина**, 1958, 34-35).

21 გვაქვს დაბნეულობის სხვა შემთხვევებიც, მაგ., ინგლ. **Wiles** – ქართ. **უაილსი**, რუს. **Уайлс**.

2) ფონეტიკურად რით განსხვავდება იგივე ანლაუტისეული **ქ** (მის მიმყოფ ხმოვანთან ერთად) ანლაუტისეული **“-სგან** (ასევე მის მიმყოფ ხმოვანთან ერთად) თუნდაც თუ შური ენის მაგალითზე?

3) ფონეტიკურად რით განსხვავდებიან, მაგალითად, თუ შური ენის ანლაუტისეული **“(მის მიმყოფ ხმოვანთან ერთად)** და თუ შურივე ენის (აგრეთვე გერმანული, მეგრული და ა. შ. ენების) ანლაუტისეული ხმოვნის მაგარი შემართვა?

ბოლოს, კმაყოფილებით უნდა შევნიშნოთ, რომ **გ. ახვლედიანი** დიდი რედაქციებით მოიძია, ფასეულობად მიიჩნია და დაათქმუნა, შემოგვინახა ჩვენ მიერ ზემოთ მოშველიებული ორად ორი ლექსიკური ერთეული და ისიც – ექსტრალინგვისტური პლასტებიდან (ახვლედიანი, 1949, 106)²², ხოლო **ა. შანიძე** **ქ**-თი გამოხატული ძლიერი შემართვის ყველაზე უფრო ზუსტი განსაზღვრის საფასურად გამოიყენა ლექსემა **ჭინთვა**. ჩვენ ეს ყველაფერი გვჭირდება და გვადგება მსჯელობის საწარმოებლად.

2. **ქ** ბგერის მორფონოლოგიური ანალიზისათვის

§1 (3). **ქ** ბგერის სემიოტიკის თაობაზე

რას წარმოადგენს **ქ** თუ შური ენაში, ანდა საერთოდ?

მართალია, სამეტყველო ბგერა ფიზიკური – არტიკულაციური-აკუსტიკური – მოვლენაა, მაგრამ, რაკი წარმოადგენს **სამეტყველო** სიდიდეს (**სამეტყველო** სიგნალს, ცნობას, შეტყობინებას), ადრე თუ გვიან ადამიანებს მოუწიათ მისი აღნიშვნა გრაფიკულად, რამაც მეტყველების ბგერითი და წერითი მხარეები ერთ მთლიანობად შეკრა. ამიტომ, **ქ** ბგერის ფონეტიკურ მხარესთან ერთად, გადავხედოთ მის გრაფიკულ მხარესაც, რომელიც, ჩვენი აზრით, გარკვეულ გაუგებრობას შეიცავს, რაზეც ნაწილობრივ უკვე ვისაუბრეთ.

ამ ბგერასთან მიმართებაში ერთგვარ დაბნეულობასა და არათანმიმდევრულობას იწვევს როგორც მისი ბგერადობის გარკვევის, ისე მისი აღნიშვნელი ნიშნის (ნიშნების), ანუ ასოს (ასოების) შერჩევის აქტი.

უკვე ითქვა, რომ მეკლავართა შორის აზრთა სხვაობას არ იწვევს **ქ** ბგერის წარმოების ადგილი: ლაპარაკია რა შესაბამისი ორგანოების აქტიურობაზე, ანუ საწარმოთქმო დაბრკოლების, წინალობის წარმოქმნაზე მისი არტი-

22 გ. ახვლედიანთან ისინი წარმოდგენილია არა, ა' გრაფიკული სახით.

კულისებისას, ყველა თვლის, რომ ეს ბგერა ყელისმიერი, ანუ ხორხისმიერია (ქლენტი, 1956, 142), ე. ი. **ქ** იწარმოება ხორხში – ლარინქსში.

აქედან გამომდინარე, საერთოა და შეთანხმებული აზრი იმასთან დაკავშირებითაც, რომ **ქ** არის თანხმოვანი ბგერა.

როგორც ასევე ითქვა, აზრთა განსხვავებას იწვევს **ქ** ბგერის წარმოების (წინალობის) რაგვარობა; ლაპარაკია წინალობის ხასიათზე, მისი წარმოქმნის წესზე. ბგერის რაგვარობა გულისხმობს იმას, თუ რანაირად, როგორ წარმოითქმის ბგერა იქ, სადაც ის წარმოითქმის და, აქედან გამომდინარე, რა მოძრაობებს ასრულებენ ამ პროცესში ჩართული შესაბამისი სამეტყველო ორგანოები. ყველაფერი ეს თავისთავად გულისხმობს იმას, თუ როგორი, რანაირი (რაგვარი) ბგერა წარმოიქმნება საწარმოთქმო ტრაქტის მოცემულ ტაპისში (ადგილას). შეიძლება დაგვემატებინა: აზრთა არაერთგვაროვნება **ქ** თანხმოვნის წარმოებაში სახმო ქორდების აქტიურობასთან დაკავშირებითაც. აზრთა ეს პლურალი სქემატურად დაახლოებით ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ:

ლარინგალურ ქ თანხმოვანს		
მიიჩნევენ	ერთნი	მეორენი
ასხვავებენ		
წინალობის ხასიათის მიხედვით	საბრანტად (ნაპრალოვნად, ფშვინ-ვიერად)	აბრუბტივად (წყელისშულად, მეყსეულად, მკვეთარდ)
სახმო სიმების აქტიურობის მიხედვით	ყრულ	მქლერად

ის კიდევ სხვა საკითხია, რომ **ქ** ხან ბგერად არის წარმოდგენილი, ხან ბგერის (ხმოვნის) მაგარ (მკვეთრ, ძლიერ, ხშულ) შემართვა-დამართვად, ხანაც ხმოვანთა გამყოფად.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ თუ შური ენის **ქ**-ს მიიჩნევენ „ნახური“-ს რეფლექსად“ (უთურგაიძე, 1966, 102), ანუ ანარეკლად. **ქ**-ს უწოდებენ ბგერა-სეგმენტსაც (ჭრელაშვილი, 1975, 37) და ა.შ.

მოკლედ პასუხია მოსაძებნი კითხვებზე:

1. როგორი ბგერაა თუ შური ენის **ქ** წინალობის ხასიათის მიხედვით?
2. როგორია თუ შური ენის **ქ** სახმო სიმების აქტიურობის მიხედვით?
3. რას წარმოადგენს თუ შური ენის **ქ** – ბგერას, ბგერის შემართვა-დამართვას (ანუ ბგერის ამა თუ იმ ნიშან-თვისებას), თუ სხვა ბგერების გამოყენება და სხვა. დავიწყით იქიდან – **ქ** ბგერაა თუ ბგერის (ხმოვნის) ოდენ შემართვა?

ა. შანიძის აზრით (გავიმეოროთ), ეს ბგერა თითქმის იგივეა, რაც **ქ** მეგრულ სიტყვებში: **ქოროფა, ცუჯი, ცვალი** (უთურგაძე, 1966, 20).

ი. დეშერიევის აზრით, თუშური ენის ხმოვნები (ხმოვნების არტიკულაცია – ა. ბ.) იმდენადაა გადაწყვეტილი უკან, რომ ზოგიერთი მათგანი (მაგალითად, **ა, ო**) „თითქმის ხორხში წარმოიქმნება“, რის გამოც ანლაუტის **ა** ჟღერს „თითქმის, როგორც ხორხისმიერი **ი**“ (Дешериев, 1953, 40–41), ანუ ანლაუტში **ი** ფონემა ხშირად გადადის „ღრმად უკანა ა–ში“ (Дешериев, 1953, 29); მაგალითისთვის მოჰყავს **Иални**²³ და **Ални** ‘*აღვანი*’ (უნდა იყოს: ‘*აღვანში*’ **ess**).

მართალია **ი. დეშერიევი**, თუმცა კარგი იქნება, თუკი დავაზუსტებთ: აქ ანლაუტის **ა** კი არ გადადის **ი**-ში, არამედ ამ **ა**-ს წინ ვითარდება **ი**, რაც შეიძლება მოხდეს თუშური ენის ნებისმიერ ხმოვანთან, ოღონდ არა ყოველთვის, არამედ ზოგჯერ, რაზეც ცალკე ეგების საუბარი²⁴.

მართალი ბრძანდება **თ. უთურგაძეც**, როცა, არ ეთანხმება რა **ი. დეშერიეს**, ამბობს, „თუ ისმის **ი**, უნდა აღნიშნულიყო კიდევ, რამდენადაც ეს ბგერა **ი. დეშერიევის** მიერ მიჩნეულია ფონემად“, და დაურთავს, რომ „ამ ხმოვნებთან **ი** (**ა**) კი არა, არამედ **ქ** გვაქვს, ე. ი. **ქ**-ს გამო ამ ხმოვნებს აქვს ძლიერი შემართვა“ (უთურგაძე, 1966, 44). აქაც შეიძლება დაგვემატებინა: მარტო ამ ხმოვნებთან კი არა, ანლაუტის ნებისმიერ ჩვეულებრივ ხმოვანთან გვაქვს **ქ**, ე. ი. **ქ**-ს გამო ანლაუტის ნებისმიერ ჩვეულებრივ ხმოვანს აქვს ძლიერი შემართვა – არა მარტო თუშურ ენაში(!).


მართალი ბრძანდება **კ. ჭრელაშვილიც**, როცა არ ეთანხმება **თ. უთურგაძის** იმ დებულებას, რომლის მიხედვითაც თუშური ენის **ქ** „უნდა გამოიყოს ანლაუტში, ისევე როგორც ინლაუტსა და აუსლაუტში“ (ჭრელაშვილი, 1975, 37; ჭრელაშვილი, 2002, 65; ჭრელაშვილი, 2006, 22; Чрелашвили, 2007, 37).

მართალი უნდა გიყოთ ჩვეიც, თუკი ბოლომდე ვერ დავეთანხმებით **კ. ჭრელაშვილის** იმ ნაწილში, სადაც იგი, **არნ. ჩიქობავაზე** და **ილ. ცერცვაძეზე** დაყრდნობით (ჩიქობავა, ..., 1962, 23), ანლაუტისეული ხმოვნის წინ იმიტომ არ უშვებს **ქ** (?) ბგერასეგმენტის ფონეტიკური ერთეულის ან (მით უფრო) ფონოლოგიური ერთეულის სახით გამოყოფას, რომ თუშურენოვან „თავკიდურ პოზიციაში“ ვოკალური ერთეულები საერთოდ მაგარი შემართვისაა, ისევე როგორც, მაგალითად, ხუნძურ ენაში ყოფილა (ჭრელაშვილი, 1975, 37–38; ჭრელაშვილი, 2002, 65; ჭრელაშვილი,


2006, 22; Чрелашвили, 2007, 37): როგორც მრავალჯერ დაფრწუნდებით ამაში, გარკვეულწილად სხვა რამ არის ის, რასაც **ხმოვნის მაგარ შემართვას** ვუწოდებთ მეგრულ, ხუნძურ, გერმანულ ენებში და გარკვეულწილად სხვა – ის, რასაც სინამდვილეში უნდა ერქვას **ხმოვნის მაგარი შემართვა**.

მაშ: რას წარმოადგენს თუშური ენის **ქ** ბგერა? თუმცა ჯერ გასარჩევი გვაქვს **ქ**-ს სემიოტიკასთან (რაიმის ამა თუ იმ გრაფიკული ნიშნით აღნიშვნასთან) დაკავშირებული ერთობ საინტერესო საკითხი: აქედან იწყება ნებისმიერი რამ.


ფუნდამენტური შრომის ავტორი ბაცბოლოგიაში, **ი. დეშერიევი** თუშური ენის **ქ** ბგერას აღნიშნავს ‘ გრაფემით (აპოსტროფით)²⁵. ამავე გრაფემას ხმარობს **კ. ჭრელაშვილიც** თავის რუსულენოვან მონოგრაფიაში (Чрелашвили, 2007). მსჯელობის გასაგრძელებლად გრაფემები შევიტანოთ ბარათებზე; ‘ გრაფემისთვის ეს იყოს ბარათი №1:



ქ ბგერისთვის ქართველ მკვლევართა ნაწილი სადღესოდ იყენებს **ქ** გრაფემას (მაგ.: უთურგაძე, 1960; უთურგაძე, 1966; ჭრელაშვილი, 1975; ჭრელაშვილი, 2002; ჭრელაშვილი, 2006). შევიტანოთ №2 ბარათზე:



გ. ახვლედიანი საკვლევ **ქ** ბგერაზე ერთდროულად ორი ნიშნით მიგვითითებს, ესენია: უკვე ნაცნობი ‘ და არაბული **خ** (ახვლედიანი, 1966, 105), ხოლო **ა. შიფნერი** **خ**-ს, ანუ **خ**-ს სემანტიკით ხმარობს ‘ გრაფემას (**Schiefner**, 1859, 7). ბარათზე ჯერჯერობით განვათავსოთ **خ**:



მაგრამ არაბულ ანბანში **خ** არის იგივე **خ** (ჩვენი გრაფიკით – **خ**)²⁶; აქაც გავათავსოთ ბარათი:

25 აპოსტროფი ლინგვისტიკაში მარტო ამ ბგერის გრაფიკული სიგნალი როდია.

26 **خ** იხმარება ანლაუტში (სიტყვის თავში), **خ** კი – განცალკევებით (ЛЭС, 1990, 40).

თ. გონიაშვილი ჩაჩხურისთვის **ე**-ს მნიშვნელობით ხმარობს ‘ გრაფემას (გონიაშვილი, 1962), თუმცაღა ტრანსკრიფციაში ამ ‘-ს ხმარობენ არაბული **ع**-ს, ანუ **ე**-ს (**ე**-ს) აღმნიშვნელად (JDC, 1990, 40). მაშ, თუშური ენისთვისაც შეიძლებადა ეხმარა ვინმეს (შეიძლებადა გვეხმარა ჩვენც) ‘ გრაფემა, ამიტომ ესეც გადავიტანოთ მომდევნო ბარათზე:

ი. დეშერიევი (Дешериев, 1953) **ე** გრაფემით აღნიშნავს სულ სხვა თუშურ-რენოვან ბგერას. ამავე დროს ამის ნაცვლად ზოგჯერ ხმარობს სულ სხვა – **ი** გრაფემასაც; ბარათი **ი**-სთვის:

ბ. უსლარი **ე**-ს ნაცვლად ხმარობს **ი** გრაფემას (Услар, წიგნში: უთურ-გაიძე, 1966, 102): **lin** ‘*ხრამი*’ (მდრ.: **ჭრელაშვილისეული** **ე** ‘*პატარა ხევი*’). ეს უკანასკნელიც გადავიტანოთ ბარათზე:

თ. უთურგაიძეს (უთურგაიძე, 1966, 46) ი. დეშერიევიდან (Дешериев, 1953, 350) ამღებულ მაგალითში **ი** გრაფემა აქვს გამოყენებული **ე** ბგერის აღმნიშვნელადაც: **viɛv** – **пхи** ‘*მხოლოდ ოთხი-ხუთი*’, თუმცა თვით ი. დეშერიევს გამოყენებული აქვს **ე**-ს შესატყვისი **ი**²⁷.

27 თუ **ი**-ზე საუბარს გამოვრცხავთ, უნდა ითქვას, რომ, ჯერ ერთი, რუ-სულ-გრაფიკოვანი ფორმის პირველ ნაწილში უნდა იყოს არა **ე**, არამედ **ი** – **viɛv** – **пхи** (გზიფც-ფხი), მეორეც, ცალკე აღებული **viɛv** – **пхи** (გზიფც-ფხი) სიდიდის ეკვივალენტი არა ‘მხოლოდ ოთხი-ხუთი’, არამედ – ‘ოთხი-ხუთი’.

გამოდის, რომ დაბნეულობაა **ი** (**ი**) და **ე** (**ი**) გრაფემებთან მიმართებაშიც²⁸. ამიტომ ანალიზში უნდა ჩავრთოთ **ე**-ც, რომლისთვისაც შემოგვაქვს მომდევნო ბარათი:

ქვემოთ დავინახავთ, რომ ამით არ მთავრდება სემიოტიკური სიტყრელე. ჩანს, აკუსტიკური და არტიკულაციური (ფონეტიკური) მსგავსებისა გამო საენათმეცნიერო ლიტერატურაში ხდება **ე**-სა და **ე**-ს (აგრეთვე **ე**-ს) ფონეტიკური თუ გრაფიკული ნიშან-თვისებების, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, „ურთიერთდაშრეება“. ისე რომ, თუშური ენის საკვლევი ბგერისთვის გამოყენებულია (იდენტურად არის მიჩნეული) სულ ცოტა 8 სხვადასხვა გრაფემა. ასე არია ბგერები ასოებში, ასოები კი – ერთმანეთში, რითაც მოხდა როგორც ტერმინის, ისე ცნების გაბუნდოვნება ზოგჯერ სიჩქარით, ზოგჯერ გაურკვევლობით, ზოგჯერ მექანიკური გამეორებით, ზოგჯერ კი – ბგერის არსში ბოლომდე ჩაუხედაობით²⁹.

თუ გავითვალისწინებთ იმ ზოგადფილოსოფიურ დებულებას, რომ ჩვენი სოციალური ყოფა სიმბოლოების გაშიფვრა და გაგებაა, არ უნდა იყოს ზედმეტი ამ სიმბოლოების გაშიფვრა და გაგება: მიზანშეუწონელია ერთი და იმავე ენის ერთი და იმავე ბგერისთვის ამდენი ნიშნების სინქრონულად ხმარება. თუკი სათანადო ტრანსფორმირებას გაუუკეთებდით ჩვენს მიერ აღრევე თქმულს მოკლე და რაციონალური ხმოვნების განსხვავების აუცილებლობასთან დაკავშირებით თუშურ ენაში (ბართიშვილი, 1995₂), შეიძლებადა გვეთქვა, რომ პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რომელ ფონემას რომელი გრაფემით აღვნიშნავთ: მთავარია ასეთი გრაფიკული აღმნიშვნელები ცნებათა აღრევას არ იწვევდეს, ხოლო იქ, სადაც ასეთი აღრევა უკვე სახეზე გვაქვს, მივმართოთ წესრიგს.

რაკი ზოგად ფონეტიკაში **ე**, ‘ და **ე** გრაფემები მიჩნეულია იდენტურ ნიშნებად (ახვლედიანი, 1966, 104-105), რაც ჩვენთვის ერთგვარად გაუგებარია,

28 თუ თითოეული მკვლევარი ამა თუ იმ გრაფემაში საკუთარ ცნებას დებს, ესეც გასაგებად უნდა ჩანდეს.

29 სემიოტიკური სიტყრელის გარდა, აქ სხვა ხარვეზებთანაც გვაქვს საქმე, რაც ანალიზის დროს გამოძლევადა.

ხოლო **ჲ** და **ჲ** (ჲ) არაბულში აღნიშნავენ ერთსა და იმავე [*] ბგერას (JIAC, 1990, 40), მაშინ გამოდის, რომ, მაგალითად, თუშურკილოვან **რასვეერ** ‘როგორ’ (უთურგაძე, 1960, 208) და თუშურენოვან **დოსდარ** ‘მოყვანა’ სიტყვებში **ჲ**, ანუ ‘ შეიძლება შეეცვალოთ **ჲ**, ანუ **ჲ** (ჲ) გრაფემით, რის შედეგადაც მივიღებთ ყოვლად წარმოუდგენელ და დაუშვებელ სახეებს ***რანვეერ**, ***დონდარ**, სადაც, თუკი გავითვალისწინებთ მოსაზრებას **ჲ**-ს კომპოზიციასთან დაკავშირებით³⁰, თავს იყრის ორი ყელისმიერი (**ჲ** და **ჲ**) და კიდევ ერთი (და მეტი) თანხმოვანი, რაც, დისტრიბუციის თვალსაზრისით, არ უნდა იყოს მთლად მისაღები. კიდევ უფრო აუტანელი გახდებოდა დისტრიბუციისთვის, თუკი თუშურკილოვან სიტყვას **დოსტოცა** (იქვე, 77) ‘დაიხოცა’ დავწერდით (და, მაშასადამე, წავიკითხავდით) ასე – ***დინტოცა**, სადაც თავს იყრის სამი ყელისმიერი თანხმოვანი: **ჲ**, **ჲ** და **ჲ**. უკვე ეს სინამდვილე გვაიძულებს დავაშოროთ **ჲ** და **ჲ** (ჲ) გრაფემები.

ამიტომ, შექმნილი სიტყვების მინიმუმამდე დაყვანისა და **ჲ**-ს ტერმინირების მიზნით, ვცადოთ ამ ბგერის აღმნიშვნელ ნიშანთა უნიფიცირება, რათა ნაკლები ადგილი დარჩეს დაბნეულობისთვის.

გამოვიყენოთ გამოორიცხვის მეთოდი.

აქ აღწერილი მდგომარეობით ეს 8 გრაფიკული სიდიდე ერთმანეთის ფარდია, ანუ:

$$\begin{array}{|c|} \hline 1 \\ \hline \end{array} = \begin{array}{|c|} \hline 2 \\ \hline \end{array} = \begin{array}{|c|} \hline 3 \\ \hline \end{array} = \begin{array}{|c|} \hline 4 \\ \hline \end{array} = \begin{array}{|c|} \hline 5 \\ \hline \end{array} = \begin{array}{|c|} \hline 6 \\ \hline \end{array} = \begin{array}{|c|} \hline 7 \\ \hline \end{array} = \begin{array}{|c|} \hline 8 \\ \hline \end{array} \quad (1)$$

აქსიომად უნდა მივიღოთ ის, რომ თუშურ ენაში **ჲ** სრულებით არ შეესა-ტყვისება **ჲ**-ს:

$$\begin{array}{|c|} \hline 1 \\ \hline \end{array} = \begin{array}{|c|} \hline 2 \\ \hline \end{array} = \begin{array}{|c|} \hline 3 \\ \hline \end{array} = \begin{array}{|c|} \hline 4 \\ \hline \end{array} = \begin{array}{|c|} \hline 5 \\ \hline \end{array} = \begin{array}{|c|} \hline 6 \\ \hline \end{array} = \begin{array}{|c|} \hline 7 \\ \hline \end{array} = \begin{array}{|c|} \hline 8 \\ \hline \end{array} \quad (2)$$

ამიტომ **ჲ** უნდა გამოფრცხვით მოცემული რიგიდან; შედეგად გვრჩება ტოლობა:

$$\begin{array}{|c|} \hline 1 \\ \hline \end{array} = \begin{array}{|c|} \hline 2 \\ \hline \end{array} = \begin{array}{|c|} \hline 3 \\ \hline \end{array} = \begin{array}{|c|} \hline 4 \\ \hline \end{array} = \begin{array}{|c|} \hline 5 \\ \hline \end{array} = \begin{array}{|c|} \hline 6 \\ \hline \end{array} = \begin{array}{|c|} \hline 7 \\ \hline \end{array} \quad (3)$$

30 ფორმულაზე **ჲ** = **ჲ** + **ჲ** ვისაუბრებთ ქვემოთ.

უკვე ითქვამს, რომ არაბული ანბანით ერთი და იგივე სიდიდეებია **ჲ**, **ჲ**, **ჲ** და ‘ (JIAC, 1990, 40). ამიტომ სისტემიდან პირობით შეიძლება ამოვიღოთ **ჲ**³¹; ამოვიღოთ ‘-ც, რომელიც წარმოადგენს არა წერით მეტყველებაში სახმარ გრ-ფემას, არამედ ოდენ სატრანსკრიფციო ნიშანს; ამოვიღოთ **ჲ**-ც, რომელსაც **ჲ**. დეშერიევი იყენებს **ჲ**-ს მნიშვნელობითაც; შედეგად გვრჩება ტოლობა:

$$\begin{array}{|c|} \hline 1 \\ \hline \end{array} = \begin{array}{|c|} \hline 2 \\ \hline \end{array} = \begin{array}{|c|} \hline 4 \\ \hline \end{array} = \begin{array}{|c|} \hline 7 \\ \hline \end{array} \quad (4)$$

არაბულ ენაში **ჲ** (ჲ) რიგით XVIII ასოა, I კი – I (პირველი) და, ბუნებრივია, მათი ბგერითი ღირებულებებიც სხვადასხვა იქნება:

$$\begin{array}{|c|} \hline 1 \\ \hline \end{array} = \begin{array}{|c|} \hline 2 \\ \hline \end{array} = \begin{array}{|c|} \hline 4 \\ \hline \end{array} \neq \begin{array}{|c|} \hline 7 \\ \hline \end{array} \quad (5)$$

ამიტომ ვერც **ჲ**-ს დავტოვეთ ტოლობაში; გვრჩება:

$$\begin{array}{|c|} \hline 1 \\ \hline \end{array} = \begin{array}{|c|} \hline 2 \\ \hline \end{array} = \begin{array}{|c|} \hline 4 \\ \hline \end{array} \quad (6)$$

თუკი თუშური ენის ერთსა და იმავე ბგერაზეა ლაპარაკი (და ასეცაა), მაშ რისთვის გვინდა მის აღმნიშვნელად რამდენიმე გრაფემა? ჯერჯერობით უარვეყოფით რა ერთ-ერთ მათგანს, დავუშვათ, ‘-ს, გვრჩება ტოლობა:

$$\begin{array}{|c|} \hline 2 \\ \hline \end{array} = \begin{array}{|c|} \hline 4 \\ \hline \end{array} \quad (7)$$

მაგრამ, როგორც აღრევე შეენიშნეთ (ბერთლანი, 2012), თუშური ენის **ჲ** ფონემა, წარმოადგენს არა **ჲ**-ს ეკვივალენტს, არამედ დამოუკიდებელ კომპოზიტს და შედგება **ჲ** და **ჲ** ბგერებისაგან. ამიტომ მსჯელობის წარმართვისთვის გვიწევს **ჲ**-ს ბარათის დროებითი აღდგენა ტოლობაში, რის შედეგადაც ვიღებთ (ბარათების რიგი დაირღვევა):

31 პირობით – იმ შემთხვევაში, როდესაც არა ექნებოდა პრინციპული მნიშვნელობა, რომელ მათგანს ამოვიღებდით ხმარებიდან; ჩვენ **ჲ** დავტოვეთ მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ, **ჲ**-სგან განსხვავებით, ვიზუალურად უფრო შესაძენეა, რაც, ჩვენი აზრით, მომგებიანია სპეციალური ბგერებისთვის.

$$\begin{array}{|c|} \hline \text{ე} \\ \hline 4 \\ \hline \end{array} = \begin{array}{|c|} \hline \text{ხ} \\ \hline 2 \\ \hline \end{array} = \begin{array}{|c|} \hline \text{ჭ} \\ \hline 8 \\ \hline \end{array} \quad (8)$$

ერთ-ერთი შესაკრები, ამ შემთხვევაში, არ შეიძლება ტოლი იყოს ჯამისა (აღვადგინოთ ბარათების რიგი):

$$\begin{array}{|c|} \hline \text{ხ} \\ \hline 2 \\ \hline \end{array} = \begin{array}{|c|} \hline \text{ე} \\ \hline 4 \\ \hline \end{array} \quad (9)$$

ბოლოს, გვჩვენებს ერთადერთი სიდიდე – **ხ** სემა:

$$\begin{array}{|c|} \hline \text{ხ} \\ \hline 2 \\ \hline \end{array} \quad (10)$$

ანუ ხელთ გვჩვენებს **ხ** ლარინგალი, რომელიც უდრის თავის თავს და რომელსაც ტრანსკრიფციაში შეესაბამება 'ნიშანი'.

ისევე როგორც ნებისმიერი ბგერა, თუშური ენის **ხ**-ც ასრულებს გარკვეულ მორფოლოგიურ მისიას (გარდა ფონოლოგიურისა). ის გამოდის, მაგ., ლექსიკური მნიშვნელობებით '*კვალე*', '*-ც კო*', '*-ვე*'; შდრ.: სო '*შე*' (*no-min.*) – სოხ '*კვლაჲ შე; მეც კო*', ჩო '*შე-, ჩა-, შემო-*' – ჩოხ, '*ისეჲ შე-, ისეჲ ჩა-, ისეჲ შემო-*', თხა '*დღეს*' – თხაჲ '*დღესეჲ*', ფსარქეჴ '*გუშინ*' – ფსარეჴაჲ '*ფსარეჴაჲ*' / ფსარეჴაჲჲ '*გუშინეჲ*'.

როგორც აღრევე ითქვა (ბერთლანი, 2012), **ხ** თანხმოვანს ზმნებში შეუძლია გადმოგვცეს საგნის მოძრაობის მიმართულება ჩვენკენ (აქეთ): **ღახარ** '*წასვლა*' – **ღახარ** '*მოსვლა*', **ღაჴითარ** '*გატანება*' – **ღაჴითარ** '*გამოტანება*', **ღაჴითარ** '*გაშვება*' / **ღაჴითარ** '*გაშვება*' / **ღაჴითარ** '*გაშვება*' / **ღაჴითარ** '*გაშვება*'.

თუმცა: ვცადოთ კიდევ ერთხელ ჩავეძიოთ **ხ** ბგერის რაგვარობას. უბრალოდ და უბრალოდ გვაინტერესებს: სპირანტია იგი თუ აბრუპტივი? ყრუა თუ მქდერი?

მისი წარმოქმნის ადგილი, როგორც ითქვა, ცნობილია – ეს არის ყელი, უფრო ზედმიწევნით, სახმო იოგები, რომლებიც ხორხშია განთავსებული.

საენათმეცნიერო ლიტერატურის თანახმად, „ზოგჯერ სახმო სიმები იმდენად უახლოვდებიან ერთმანეთს, რომ ამოღებული ჰაერნაკადი წარმოქმნის თავისებურ ჩქამს სახმო სიმების კიდებზე ხეხვით“ (ახვლედიანი, 1966, 75), ანუ წარმოქმნის ასპირაციას (ქართ. '*ფშინვა*', ლათ. '*ქროლა, ნიაგი*'). „ზოგ

ენაში ეს ასპირაცია წარმოადგენს დამოუკიდებელ სამეტყველო ბგერას, ფონემას“ (ახვლედიანი, 1966, 75); „ასეთია, მაგ., ქართული ჰ, რომელსაც ზოგნი **ფარინგალურს** ეძახიან“ (ახვლედიანი, 1966, 75). ეს არის „**ლარინგალური** ყრუფშვინიერი სპირანტი“ (ჭრელაშვილი, 1975, 39), რომელიც გვაქვს თუშურ ენაშიც, სადაც იგი **ხ** ფონემასთან ერთად ქმნის ლარინგალთა ერთლოკალურ რიგს: **ხ** – **ჴ** (ჭრელაშვილი, 1975, 39), რომელთაგან ჰ სპირანტია.

ყველა სხვა სამეტყველო ბგერა წარმოიშობა სახმო ქორდების გარეთ – ტუჩებთან, კბილებთან, ცხვირში და ა.შ. თუშური ენის **ხ** ჯერჯერობით ერთადერთი ხშული თანხმოვანი ბგერა გამოდგა, რომელიც წარმოიშობა თვით სახმო ქორდებში – ხმასთან ერთად – უშუალოდ სახმო ქორდების ხშვა-განხშვით. შესაძლოა, ამანაც განაპირობა მისი რაობის დაუხუსტებლობა დღემდე.

„**უსუნთქველ** თანხმოვნებს ეძახიან **ყელხშულ** თანხმოვნებს“ (ახვლედიანი, ზფშ, 1966, 74), მაგრამ ქართული ფონეტიკური ლიტერატურიდან ეს ტერმინი (**ყელხშული**) ამოღებული იქნა, „რადგან **ყელდაუხშველადაც** შესაძლებელია უსუნთქველ თანხმოვანთა წარმოთქმა“ (ახვლედიანი, 1966, 1966, 74) და დამკვიდრებულ იქნა ტერმინი **აბრუპტივი** ('*მოწყვეტა, მოგლეჯა*'). უცხოურ ფონეტიკურ ლიტერატურაში ხმარობენ აგრეთვე ტერმინს „გლოტალიზებული“ (ფრანგ. *glottalisé*), რაც გახაზავს მათ ხორხისეულობას (ახვლედიანი, 1966, 1966, 74).

ახლა ვცადოთ ერთმანეთთან მივიტანოთ ეს ორი მოვლენა (ასპირაცია, ანუ ფშვინვა და ყელხშულობა, ანუ აბრუპტიულობა) და ვცადოთ მივუსადაგოთ თუშური ენის **ხ** თანხმოვანს.

ხ-ს წარმოთქმისას სახმო სიმები არათუ უკიდურესად უახლოვდებიან ერთმანეთს, არამედ იხურებიან, იხშობიან მთლიანად და, ისევე როგორც ზოგიერთ (ქართულ, გერმანულ, თუშურ) ენაში, ასპირაცია წარმოადგენს დამოუკიდებელ სამეტყველო ბგერას (ფონემას), თუშურ ენაში ასეთსავე დამოუკიდებელ სამეტყველო ბგერას (ფონემას) გვაძლევს ყელხშვა, ანუ ქორდების ხშვა (რა თქმა უნდა, შემდგომი აუცილებელი განხშვითურთ). მაშასადამე, ყელხშვის გარეშე (სახმო ქორდების ხშვის გარეშე) შეუძლებელია წარმოუდგენელია **ხ** თანხმოვნის არტიკულაცია.

ისე რომ, **ხ** ბგერისთვის შეიძლებოდა აღდგენა ტერმინისა **ყელხშული**, ანუ **ფარინგალური**: მართალია, ყელი და ლარინქსი (ხორხი) ორი სხვადასხვა


ორგანოა, მაგრამ სადაც ყელია, იქვეა ლარინქსიც (ხოზნი, ანუ **ქ**-ს ტოპოსი) და განსხვავება ოდენ ისაა, რომ პირველი მოიცავს მეორეს. მაგრამ რაკი ყელი მანც სხვაა და ლარინქსი – სხვა, **ქ** ბგერას შეიძლება ვუწოდოთ **ქორღხმუ-ლიტ**. ყველა შემთხვევაში აქ მთავარია ერთი რამ: ხმულებს იმიტომაც ვეძახით **ხმულებს**, რომ მათი წარმოთქმისას ხდება ამა თუ იმ მანამდე დახმული საარტიკულაციო ორგანოების განხშვა, ანუ მოწყვეტა ერთმანეთისგან (ახვლედიანი, 1966, 74).

აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ის სქემები, თუ სურათები, რომლებიც ამა თუ იმ სამეტყველო ბგერის ფონეტიკური (არტიკულაციური) დახასიათებისას არის ხოლმე წარმოდგენილი სამეცნიერო ლიტერატურაში.

აღბათ არც ერთი ენის არც ერთი ბგერა არ იწარმოება ამა თუ იმ სამეტყველო ორგანოს, ანდა ამ ორგანოს რომელიმე ნაწილის სულ ცოტა ორი სამოქმედო (სამუშაო) მდგომარეობის გარეშე, სამეტყველო ორგანოს გადაადგილების გარეშე ერთი წერტილიდან მეორეში. რუსული **п** არ წარმოითქმის მხოლოდ დახურული ბაგეებით, როგორც ეს აღბეჭდილია რ. ავანესოვთან (Аванесов, 1984, 65). თუმცა არც მხოლოდ ღია ბაგეებით წარმოითქმის იგი. ასევეა **б, м** და ა. შ. ბგერების შემთხვევაში: მათ წარმოსათქმელად თავიდან ბოლომდე (რის გარეშეც არტიკულაციას არ შეიძლება ერქვას **არტიკულაცია**), საჭიროა ბაგეების სულ ცოტა ორი მდგომარეობა – დახურული (I) და ღია (II) – სწორედ ისევე, როგორც, მაგალითად, ეს გაკეთებულია **п** ბგერისათვის იქვე, რ. ავანესოვთან (Аванесов, 1984, 69), სადაც ნაჩვენებია ხშვისა და განხშვის მომენტები, ოღონდ ამჯერად, რა თქმა უნდა, არა ბაგეებისა, არამედ წინაენისა მდლეთა კბილებთან ანდა ალვეოლებთან (ხუნებთან). ანალოგიურად უნდა იყოს ნებისმიერ ბგერასთან (ამ შემთხვევაში – თანხმოვანთან) მიმართებაში, სადაც შეიძლება საქმე არც გვექონდეს ორგანოების ხშვა-განხშვასთან, მაგრამ უსათუოდ ექნება ადგილი ორგანოების ურთიერთმიახლოება-დაშორიშორებას, როგორც, მაგალითად, **ჰ**-ს შემთხვევაში: „სახმო სიმები იმდენად უახლოვდებიან ერთმანეთს, რომ...“ (ახვლედიანი, 1966, 75). უნდა ვიგულისხმოთ აგრეთვე, რომ **ჰ**-ს შემთხვევაში არც ურთიერთმიახლოებული სახმო სიმების ერთმანეთისაგან დაშორიშორების გარეშე ჩაითვლება მისი არტიკულაცია დასრულებულად: ასეთ შემთხვევაში მივიღებთ არა სამეტყველო ბგერას, არამედ **ა**-ს მაგვარ იმ გაურკვეველ ხმოვანს, რომელსაც ჩვილი ღაღანებს („მღერის“) ხოლმე

ტიტინისას. აქაც სულ ცოტა ორი მდგომარეობის გადმოცემა გვჭირდება: სახმო სიმების მიახლოებისა ერთმანეთთან და მათი დაშორიშორებისა – თვით ინდიფერენტულ მდგომარეობამდე. ადამიანები საურთიერთობოდ იყენებენ ისეთ ფონეტიკურ სიდიდეებს, რომლებიც წარმოადგენენ სამეტყველო ორგანოების არა ერთხელ ჩამოყალიბებული და ასე გაყინული კონფიგურაციული მდგომარეობების, არამედ მათი ცოცხალი, ყველაზე აქტიური ურთიერთობების ან, თუკი შეიძლება, ასე ვიცყოდით, მათი ურთიერთთან „მიმო-სვლების“ ფენომენალურ ჯამს.

რაკი ნებისმიერი ბგერა კვანტიტატიურია, ნებისმიერი ბგერის არტიკულაცია მიმდინარეობს დროში (ხანში). ხოლო სადაც დროა, იქვეა მოძრაობაც. მოძრაობის გარეშე არ არის ბგერა. მაშასადამე, ნებისმიერი ბგერის არტიკულაცია მოიცავს დროს, რომლის განმავლობაშიც უნდა მოხდეს ამა თუ იმ ორგანოს (ან ორგანოების, აგრეთვე ჰაერნაკადის) მოძრაობა, ანუ გადაადგილება წერტილიდან წერტილამდე. მაგრამ სადაც მოძრაობა და დროა, იქ უსათუოდ არის მანძილიც – მანძილი წერტილიდან წერტილამდე, რომელსაც გადიან სამეტყველო ორგანოები და სამეტყველო ჰაერნაკადი დროში. რაც არ უნდა ახლო-ახლო განვათავსოთ ან წარმოვადგინოთ ეს წერტილები, ისინი უსათუოდ შეადგენენ რაღაც მანძილს, რაც არა ჩანს თუ-შური **ქ**-ს რენტგენოგრაფაზე (უთურგაიძე, 1966, 22):



აქ აღწერილი სიტუაცია არა ჩანს სახმო ქორღების უბანში, სადაც ყველაზე მეტად გვაინტერესებს ეს. უკეთეს შემთხვევაში რენტგენოგრაფაზე ჩანს სახმო ქორღების გადაადგილების ის საბოლოო **A_ქ** წერტილი, რომელიც შეესაბამება **T_ქ** დროს, ანუ უკვე განხშული სახმო ქორღების მდგომარეობას. მაგრამ არსადაა არც **A₁** წერტილი, არც, შესაბამისად, **T₁** დრო, ჯამში კი – მოძრაობა.

მაგრამ, რაკი ცნობილია, რომ **ქ**-ს წარმოებაში უსათუოდ მონაწილეობს სწორედ „სახმო სიმების დაკეტილობა“ (ახვლედიანი, 1966, 73), დასახელებულ

რენტგენოგრაფიაზე, ჰრველ რიგში, უსათუოდ უნდა გამოჩენილიყო ეს მომენტ(ც), ანუ ის საწყისი A_1 წერტილი(ც), რომელიც შეესაბამება არტიკულაციის საწყის T_1 დროს: თუ ბგერის აღმნიშვნელი გრაფიკა გვხვდება ერთ – სიფრცობრივ – განზომილებაში, თვით ბგერის რეალიზაცია ხდება სულ სხვა – დროით – განზომილებაში, რომელშიაც სამეტყველო ორგანოები, კერძოდ, სახმო ქორდები (და საფონაციო ჰაერნაკადიც) უსათუოდ ასრულებენ ამა თუ იმ მოძრაობას, ანუ გადაადგილებას A_1 წერტილიდან A_x წერტილამდე $T_1 T_x$ დროის განმავლობაში.

გვეჩქრობთ, სახმო ქორდების მდგომარეობა ამ რენტგენოგრაფიაზე, რომელზედაც არის საუბარი (უთურგაიძე, 1966, 22), უფრო მიესადაგება ე. წ. თავისუფალი ხმოვნების, ანდა ნებისმიერი სხვა ბგერის არტიკულაციის იმ T_x მომენტს, რომელშიაც, ქორდების სათანადო დაჭიმულობის წყალობით, ხდება მათი (ბგერების) გაფორმება – დასრულება ბოლომდე³². აქ მთავარია და საჭიროც შევთანხმდეთ ერთ რამეზე: $\mathfrak{p}$ ბგერა არ (ვერ) წარმოითქმის სახმო ქორდების დაუხურავად (და შემდგომში, რა თქმა უნდა, მათ გაუხსნელად), ისევე როგორც $\mathfrak{m}, \mathfrak{b}, \mathfrak{z}, \mathfrak{g}$ ბგერები არ (ვერ) წარმოითქმის ბაგეების დახურვისა (და, რა თქმა უნდა, მათი შემდგომი განხშვის) გარეშე.

მსჯელობიდან გამომდინარე, გადასამოწმებელია $\mathfrak{p}$ -სთან დაკავშირებული ის მოსაზრება, რომლის თანახმადაც „რენტგენოგრაფიით იგივე დასტურდება“ თუშური ენაში (უთურგაიძე, 1966, 22).

ასევე არასრულქმნილი უნდა იყოს ნებისმიერი ბგერის ის სხვადასხვა „...გრამები“ თუ „...გრაფიები“, სადაც არტიკულაცია ასახულია მის მხოლოდ ერთ მომენტში და, მაშასადამე, ერთ წერტილში და არა არტიკულაციის სულ ცოტა ორ მომენტში: მოსაუბრეს სამეტყველო აპარატი და სამეტყველო (საფონაციო) ჰაერნაკადი „ერთი“ აქვს, მაგრამ, ამ აპარატის შემადგენელი ნაწილების სხვადასხვა მდგომარეობისა თუ სხვადასხვა კონფიგურაციის წყალობით, სხვადასხვაგვარად ივსება, იტვირთება რა იგი (ჰაერნაკადი), შედეგის სახით ვიღებთ არათუ ერთი და იმავე ბგერის სხვადასხვა მეყებს (მომენტებს), არამედ სხვადასხვა ბგერებსაც.

მოკლედ, თუშური $\mathfrak{p}$ თანხმოვნის არტიკულაციის სრული სურათის წარმოსადგენად საჭიროა რენტგენოგრაფიაზე გამოჩნდეს სამეტყველო ორგანოების კონფიგურაციის სულ ცოტა კიდევ ერთი მომენტი – ჰრველი

32 გავიმეოროთ: ლაპარაკია კონკრეტულად სახმო ქორდებზე, რადგან ენის, სასის, კბილების, ბაგეების და ა. შ. კონფიგურაცია სხვა საუბრის თემაა.

(თავდაპირველი), რომლითაც იწყება ეს საარტიკულაციო აქტი.

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ **თ. უთურგაიძეს** იმაში, რომ ამ ბგერის წარმოქმნის დროს „ხახისა და პირის ღრუებში რაიმე სპეციფიკური მოძრაობა არ სრულდება“ და „არ იქმნება მხოლოდ $\mathfrak{p}$ -სთვის დამახასიათებელი კონფიგურაცია“, რაც „იმას ნიშნავს, რომ ამ ბგერის სპეციფიკა იქმნება ლარინქსში“ (უთურგაიძე, 1966, 21). მაგრამ სწორედ ამიტომ უნდა ვეძებოთ ამ ბგერის რაობა (რაგვარობა) მბგერი ქორდების სულ ცოტა ორ ვითარებაში: ხშვაში და განხშვაში (სკდომაში). ამიტომაც არის $\mathfrak{p}$ აბრუბტივი.

„ $\mathfrak{p}$ -ს არტიკულაცია კონფიგურაციულად იმ ხმოვანს მოგვგავსებს, რომელთანაც იგი წარმოითქმის“ (უთურგაიძე, 1966, 21). **თ. უთურგაიძის** ეს მოსაზრება ადასტურებს იმ სავარუდო გზის სისწორეს, რომელსაც მივყევით ამ გამოკვლევაში.

რაც შეეხება თუშური ენის $\mathfrak{p}$ თანხმოვნის მკვლელობა-სიყრუეს. ერთი მხრივ, რაკი $\mathfrak{p}$ ბგერა წარმოითქმის II არხითაც კი (ბერთლანი, 2012), ის მკვლერ თანხმოვნებს უნდა მიეკუთვნებოდეს. მეორე მხრივ, საყურადღებოა ისიც, რომ მკვლერი (ყველაზე მკვლერი) $\mathfrak{m}$ და $\mathfrak{n}$ თანხმოვნებსაც აქვთ უნარი „გვიდნენ“ II არხში – მოკუშული ბაგეების სიტუაციაში.

ამასთანავე, სწორედ $\mathfrak{p}, \mathfrak{b}, \mathfrak{z}$ ყრუ აბრუბტივებია, რომელთა წარმოთქმაც შეიძლება დახშული სახმო სიმებითაც იმ ჰაერნაკადის წყალობით, რომელიც პირის ღრუს სივრცეშია განთავსებული (დარჩენილი). თუმცა ასე ვერ წარმოვთქვამთ $\mathfrak{p}$ აბრუბტივს: ამისათვის აუცილებელია სახმო სიმების განხშვა და საფონაციო ჰაერნაკადის „ამოსროლა“, რაც ასევე უნდა განაპირობებდეს მის სიმკვლერეს.

აქ არც იმან უნდა დავგაბნიოს, რომ $\mathfrak{p}$ თანხმოვნის წარმოთქმისას ადგილი აქვს ძლიერ ჩქამს ($\mathfrak{shym}$): საკმაოდ დიდი ჩქამი – ჩქამთა რიგიც კი (თრთოლოლა, ფრიალი) – წარმოიქმნება, მაგალითად, რ თანხმოვნის არტიკულირებისას, მაგრამ ეს ბგერა (ისევე, როგორც $\mathfrak{l}, \mathfrak{m}$ ან $\mathfrak{n}$) ითვლება მკვლერად მკვლერთა შორისაც კი (ისევე როგორც $\mathfrak{m}$ ან $\mathfrak{n}$).

როგორც ჩანს, აქ განსაკუთრებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე: მკვლეობა-სიყრუის თვალსაზრისით, თუშური ენის $\mathfrak{p}$ თანხმოვანი, საკუთარ თავში ქმნის რა კორელაციას, მკვლერა შეიძლება იყოს, ყრუც, ოღონდ ეს მკვლელობა-სიყრუე არ ატარებს ფონოლოგიურ დატვირთვას, ის წმინდა ფონეტიკური სამოსია.

§2 (4). **ქ** ლარინგალის დისტრიბუცია თუშურ ენაში; მისი პოზიცია:
ა) ინლაუტის **ქ** და მარცვალის; ბ) **ქ** აუსლაუტში; გ) ანლაუტის **ქ**-ს საკითხი, ანუ **ქ** ავ თუ ავ ‘ბეძა’?

მისი ფონოლოგიური იდენტიფიკაციის მიზნით, **თ. უთურგაძე** იძლევა **ქ**-ს დისტრიბუციულ სურათს სიტყვის ფარგლებში (უთურგაძე, 1966, 42–46). პარადიგმატულ ანალიზთან ერთად, ამავე **ქ**-ს დისტრიბუციულ ანალიზს გვაძლევს **კ. ჭრელაშვილი** – ამჟღერად მარტივი (ძირეული) მორფემის ფარგლებში (ჭრელაშვილი, 1975; ჭრელაშვილი, 2002; ჭრელაშვილი, 2006). თუშური ენის **ქ** უსათუოდ ხმოვანი ბგერის თანამგზავრია; ბაცბოლოგიური ლიტერატურის მიხედვით, ხმოვნის გარეშე ის არ (ვერ) ფუნქციონირებს: გვხვდება მხოლოდ ხმოვნის წინ ან მის მიმყოფ, სხვაგან – არსად.

მის არსებობას ხმოვნის წინ, უწოდებენ ხმოვნის **მაგარ შემართვას**, ხოლო ხმოვნის შემდეგ – **მაგარ დამართვას** (ახვლედიანი, 1966, 104).

ქ თანხმოვნის ის ნიშანი, რომ უსათუოდ (როგორც წესი) გვხვდება ხმოვნის თანამგზავრის სახით, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს: მისი ანალიზი უთუოდ ჩაგვახედებს ხმოვნებისა და თანხმოვნების ურთიერთმიმართებაშიც არა მხოლოდ ფონოლოგიური, არამედ ფონეტიკური თვალსაზრისით.

ამასთანავე, უნდა ითქვას, რომ ცოცხალ მეტყველებაში გვხვდება ნაწილობრივი გადახრები აღნიშნული (მკვლევართა მიერ აღიარებული) ამ დისტრიბუციიდან. კერძოდ.

მეცნიერებათა განვითარების კანონზომიერებებიდან გამომდინარე, თუ დაახლოებით სამი ათეული წლის წინ ვფიქრობდით, რომ თუშურ ენაში, ერთადერთი – **ვშიფც ‘ოთხი’** – შემთხვევის გარდა, **ქ** არასოდეს არ მოხდევს თანხმოვანს, ან უმარცვლო ხმოვანს (Дешериев, 1953, 350; უთურგაძე, 1966, 46), დღევანდელ ბაცბოლოგიას აქვს შანსი ამტკიცოს **ქ** თანხმოვნის დისტრიბუცია როგორც **გ**-ს, ისე **დ**-ს მიმყოფ – არა მარტო აუსლაუტში, არამედ ინლაუტშიც, ასევე თანხმოვნებს შორის: **ნშადჰ ‘გარეთ’ (adit.)**, **ნშადჰრქ ‘გარეთა’**, **ნშადჰს ‘საგდულო’**, **ნშადჰფენივჰი ‘გარეთა მხარეს’**, **ღაჟუც ‘პოყინი’ (subst; ქადაგიძე, ..., 1984, 930)**, **ღშიფც-ფხი ‘ოთხი-ხუთი’** (შესაბამისად, კლასებში: **ვშიფც-ფხი**, **ღშიფც-ფხი**, **ბშიფც-ფხი**), **ღშიფცლქ ‘მეოთხე’** (შესაბამისად, კლასებში: **ვშიფცლქ** და ა. შ.), **ღშიფცს ‘ოთხივით’** (შესაბამისად: **ვშიფცს** და ა. შ.)...

მართალია **თ. უთურგაძე**, როცა **ქ**-ს არსებობას აქ **გ**-ს სონორული ბუნების „დამსახურებად“ თვლის (უთურგაძე, 1966, 46). იგივე შეიძლება ითქვას **ფ** დისტრიბუციაზეც, სადაც **დ** დიფთონგისეულია და, მაშასადამე, ბგერასავსე. თუმცა, ასე თუ ისე, **გ** მაინც თანხმოვანია და ღღეს აღარც **დ** არის მიხნეული ხმოვნად.

რაც შეეხება **ქ**-ს დისტრიბუციას ხმოვნებთან მიმართებაში. თუკი თვალს გადავავლებთ ბაცბოლოგიას, დავინახავთ, რომ ერთ შემთხვევაში (თუშური ენის სიტყვის ფარგლებში) **უ**-ს მიმყოფი **ქ** საერთოდ არ არის ლადასტურებული (უთურგაძე, 1966, 46), ხოლო მეორე შემთხვევაში (ძირეული მორფემის ფარგლებში) ასეთი დისტრიბუციის ერთადერთი მაგალითია წარმოდგენილი: **გუქ|ღარ ‘ღა|ზოგვა, ჯამო|ზოგვა’** (ჭრელაშვილი, 1975; ჭრელაშვილი, 2002; ჭრელაშვილი, 2006). ჩვენი მხრიდან შეიძლებოდა დავგვემატებინა: **ფუქ|ღარ / ფუქ|ღარ ‘შე|ხერვა’**, **ფუქ ‘ცეცხლი; ცხელია!’** (ბავშვის ენაზე), **ღუქ|ღარ ‘შენსება-შეგროვება, გაფრთხილება, ნერყა’**, **შუქ ‘კვლავ თქვენ; თქვენც კი’ (nomin.)**, **რუქ ‘კვლავ რუ; რუც კი’**, **კუქ ‘კვლავ კუ; კუც კი’**, **ჩუქ ‘კვლავ შე-, კვლავ ჩა-, კვლავ შემო-’** და სხვ.

დისტრიბუციის საკითხი თავისთავად გადავხედოთ ხოლმე პოზიციის საკითხს, რადგან მოცემული სიტყვის ფარგლებში რეალიზებული დისტრიბუციული ნიშანი უსათუოდ განთავსდება ამა თუ იმ პოზიციაში, ანუ სიტყვის ამა თუ იმ ნაწილში: ანლაუტში, ინლაუტში, აუსლაუტში. ამიტომ მოგვიწევს საუბარი **ქ**-ს პოზიციის შესახებაც თუშურ ენაში.

როგორც დავინახეთ, სადავოა თუშური ენის **ქ** თანხმოვნის როგორც პოზიციური, ისე ფონემური საკითხები ანლაუტში.

მიუხედავად იმისა, რომ ინლაუტსა და აუსლაუტში ამ ბგერის არსებობა ფონემის ამპლუაში კამათს არ იწვევს, შეიძლება ზოგიერთი დეტალის დაზუსტება ამ თვალსაზრისითაც.

თუშური ენის ინლაუტის **ქ** გვხვდება როგორც ინტერვოკალურ პოზიციაში (ორ ხმოვანს შორის), ისე არაინტერვოკალურ მდგომარეობაში (ხმოვანსა და თანხმოვანს, ანდა ორ თანხმოვანს შორის).

როგორც აღრევე შევნიშნეთ (ბერთლანი, 2012), ზოგიერთ თუშურენოვან მაგალითში **ი. ღეშერიც** გამოჩენია ინტერვოკალური **ქ**-ს აღნიშვნა. ასეთია, მაგალითად, სიტყვები **იეჰი ‘ხალისით, ზღოძით’**, **ბეჰ ‘მოვიდა’** და სხვა. გარდა იმისა, რომ მეორე სიტყვის აუსლაუტი ნაზალიზებულია, ორივე შემ-

თხვევაში აუცილებელია „ხმოვანთა გამყოფი“ **ქ: ჰე'ჟი (ლეჟე), ზე'ჟი (ვეჟე)**. აქვე უნდა ითქვას, რომ მკვლევარს შემთხვევით არ მიუძღრთავს გრაფიკული 3 ნიშნისთვის, რაც ერთგვარად კომპენსაციას უკეთებს იმ არტიკულაციას, რომელიც გვექნებოდა (და გვაქვს) „ხმოვანთგამყარი“ **ქ-ს** შემთხვევაში³³.

თანამედროვე ეტაპზე, როგორც გააქტიურებული ინტერფერენციის შედეგი, შეიმჩნევა ორ ხმოვანს შორის არსებული **ქ-ს** დაკარგვისა და ხმოვნების შეერთება-გარმაგების შემთხვევები, რაც, ბოლოს, სრულდება გრძელი ხმოვნის ჩამოყალიბებით: **ლეჟე ღობ, ლეჟე მა 'გინდ წადი, გინდ არა'**. აქ **ლეჟე 'გინდ'** სიტყვა თავისუფლად შეიძლება ვიხმაროთ ინტერვო-კალური **ქ-ს** გარეშე, რაც გვაძლევს: **ლეჟე ღობ, ლეჟე მა > ლჟე ღობ, ლჟე მა**. თუმცა: **ი. დეშერიევისეულ** **ჰე'ჟი** მაგალითში **ქ** აუცილებელია: **ლეჟეშ 'ხალისით, ნდომით'**.

როგორც აღრევე ითქვა (ბერტლანი, 2012), ქართული ენის 33-ვე ბგერა ზუსტად მეორდება თუშურ ენაში. მეტიც: აბსოლუტური თანაჟდერადობაა ძველ ქართულ **ჟ, ჳ** ბგერებსა და თუშური ენის **ჟ, ჳ** ბგერებს შორის; ძველ ქართულ **ჟ-სა** და თუშური ენის **ჟ-ს** შორის. ეს რომ ასეა, გვიდასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ქართული ენიდან თუშურ ენაში შემოსული სიტყვებიდან არც ერთში არ ხდება თუნდაც ერთი რომელიმე ბგერის აჟდერება არაქართულად – მაშინ, როცა მაგალითად, სიტყვების გადაადგილების შემთხვევაში როგორც რუსულიდან ქართულში, ისე აქედან იქით, თითქმის ყოველ ნაბიჯზე აქვს ადგილი ფონეტიკურ დეფორმაციებს, რომლებიც არცთუ იშვიათად იძლევიან ფონოლოგიურ შედეგებს თვით სალიტერატურო დონეზე, ხოლო სასაუბრო პლასტებში ამ ტიპის გადაგვარებებს საზღვარი არა აქვს.

ისე რომ, წინააღმდეგ **თ. უთურგაიძის** მოსაზრებისა, თუშურენოვან სიტყვებში **ცაბალუ 'აბალო', ცელანე 'ელენე', ცილიკუ 'ილიკო', ცობი 'ისინი', ცურუმ 'ურეში'** და ა. შ. (უთურგაიძე, 1966, 42) ხუთივე თავკიდური ხმოვანი ისევე წარმოითქმის და ისმის, როგორც ქართულენოვან სიტყვებში **აბალო, ელენე, ილიკო, ობი, ურეში** და ა. შ. – ყოველგვარი განსხვავების გარეშე,

33 აქ **ი. დეშერიევისეულ** რუსულ **е** გრაფემას ადგილზე ვტოვებთ არა რუსული **е[ɣ]**, (**ѣ**) არტიკულაციის, არამედ ლათინური **е**-ს არტიკულაციის მნიშვნელობით (ამასთან დაკავშირებით იხ.: ბართიშვილი, 1995), რაშიც უნდა ვიგულისხმოთ ქართული **ე**-ს ეკვივალენტური მოცემულობა.

თუ, რა თქმა უნდა, სამეტყველო ექსპრესიას არა აქვს ადგილი ამ ორი ენიდან რომელიმეში. ექსპრესიის შემთხვევაში კი უსათუოდ სხვა სურათს მივიღებთ როგორც თუშურ თუ ქართულ ენებში.

რაც შეეხება არაინტერვოკალურ **ქ-ს** თუშურ ენაში, ის გვხვდება როგორც წინამავალ ხმოვანსა და მომდევნო თანხმოვანს შორის (**ხაყ|ღარ 'ღას-მა', ხოყ|ღარ 'ჩატევა', დოყ|ღარ 'მოყვანა', დშაყსა 'წყლოლივით', დახ-აყსა 'შურთხივით'**), ისე ორ თანხმოვანს შორის (**დშიფცლღქ, ვშიფცლღქ... 'მეოთხე'**). ხმოვანი ბგერის თანამგზავრი **ქ-ს** არსებობა თანხმოვნებს შორის განპირობებული ჩანს როგორც მისი წინამავალი, ისე მიმყოლი მჟღერი თანხმოვნების ბგერასავესებით.

ერთობ საინტერესოდ გამოიყურება მარცვალთან მიმართებაში ინლაუტის **ქ**. კერძოდ, აქ საინტერესოა არა მარცვლის წარმომქმნელი ფონეტიკური (ზოგადფონეტიკური) ფაქტორი, რომელიც „ერთია ყოველ ენაში“ (ახვლედიანი, 1966, 114), არამედ მარცვლის შემადგენლობა და მარცვალთგასაყარი (მარცვლის საზღვარი), რაც „განსხვავებული შეიძლება ჰქონდეს თითოეულ ენას“ (იქვე), თუმცა მარცვლის წარმომქმნელი ფაქტორიც, თავისთავად, განმსაზღვრელია ორივე ამ ფაქტორისათვის – მარცვლის შედგენილობისა თუ საზღვრის დადგენისათვის. ამ უკანასკნელთაგან კიდევ უფრო საინტერესოა მარცვალთგასაყარის საკითხი, რათა საფარაუდოდ მაინც განვსაზღვროთ ინლაუტის **ქ-ს** ადგილი აქ.

ინლაუტის **ქ-ს**თვის თუშურ ენაში გვაქვს სამი შესაძლებელი დისტრიბუცია:

- 1) ორ ხმოვანს შორის – **V₁V₂**;
- 2) ხმოვანსა და თანხმოვანს შორის – **V₁C**;
- 3) ორ თანხმოვანს შორის – **C₁C₂**.

უთუოდ უნდა გავითვალისწინოთ ერთი პირობაც: თუკი სახელმძღვანელოდ მივიღებთ იმას, რომ მარცვალი არის წარმოთქმის უმცირესი „ბუნებრივი“ ელემენტი“ (ახვლედიანი, 1966, 113), მაშინ ახლოსაც არ უნდა გავეკაროთ „მორფოლოგიური დამარცვლის“ წესსა თუ თეორიას, რადგან მორფოლოგია ყოველთვის როდი ითვალისწინებს წარმოთქმის უმცირესი ელემენტის ბუნებრიობას (შდრ., მაგ.: **ღოქ-მა**, მაგრამ: **ღო-ქი, ღო-ქის, ღო-ქად, ღო-ქო; წყალ-მა**, მაგრამ: **წყა-ლი, წყა-ლო** და ა. შ.). დამარცვლა, როგორც ასეთი, თავისი შინაარსით უნდა იყოს მხოლოდ ფონეტიკური. სულ სხვა სფეროა სიტყვის მორფოლოგიური სეგმენტაცია (**ღოქ-მა, ღოქ-ი...**).

კიდევ უფრო მძიმდება სიტუაცია ისეთი ქართულენოვანი სიტყვებთან, როგორცაა **გვეყვარებენ, მგრგვინავი, გვეტყენიან, გებრღვენიან**, აქ უსუსურია ნებისმიერი კანონი, გარდა ფონეტიკურისა.

თუშური ენის **ც**-ს ადგილის ძიებისას (მარცვლის საზღვარზე) მარცვლის წარმოქმნის ის თეორია უფრო პოულობს უთუოდ რეალიზაციას, რომელსაც „ჯახების თეორიას“ (ახვლედიანი, 1966, 114) უწოდებენ.

ასე, მარცვლის საზღვარს ვეძებთ სამი შემთხვევისათვის, ანუ **ც** ლარინგალის სამი დისტრიბუციისათვის – **VცV, VცC და CცC**.

პირველ შემთხვევაში (**VცV**), ისევე როგორც, მაგალითად (მიუხედავად მისი – თანხმოვნის – მორფოლოგიური არსისა), ფრანგულენოვან მარცვალს ქმნის სიტყვის აუსლაუტისეული თანხმოვანი – მომდევნო სიტყვის ანლაუტისეულ ხმოვანთან ალიანსში, მაგალითად, **il habite [i-la-bit] 'ის ცხნფრობს'** (გეორგი, 1964, 16), დამარცვლისას თუშური ენის ინლაუტის ინტერვოკალი **ც** გადადის („ბინავდება“) მეორე, მომდევნო ხმოვანთან: **დაც 'მომე!' – დაცარ (და-ცარ) 'მოსვლა; მოტანა', ხაც 'დაჯექი!' – ხაცარ (ხა-ცარ) 'დაჯდომა', ხაც 'იცოდე!' – ხაცარ (ხა-ცარ) 'გაგება', ლაც 'მოინდომე!' – ლაცარ (ლა-ცარ) 'ნდომა'...** ესე იგი **VცV** შემთხვევაში მარცვალთგასაყარი იღებს სახეს **V-ცV**.

ორ დანარჩენ შემთხვევაში (**VცC და CცC**) **ც** გადაადგილდება წინა ბგერასთან და მარცვალთგაყრა გამოიყურება **Vც-C და Cც-C** სახით: **დაცწ (დაც-წ) 'შემოუსვლელო (მოუმწიფებელი), მოუსვლელო', ხაცწ (ხაც-წ) 'დაუჯდომელი, დაუჯდომლად', ხაცწ (ხაც-წ) 'არგავიანილო, არგავებული', დაცდარ (დაც-დარ) 'მოყვანა', ლაცდარ (ლაც-დარ) 'მონდომება', კუდრაცცხუდლობ (კუდ-რაც-ცხუდ-ლობ) 'კვირაცხუდლობა'; დშიფსა (დშიფ-სა) 'ოთხივით'...** **მ**-ს არსებობის შემთხვევაში **ც** რჩება მასთან: **ნშადრქ (ნშად-რქ) 'გარეთა', ნშადსა (ნშად-სა) 'სავდელი', ნშადფენიწა (ნშად-ფენ-წა) 'გარეთა მხარეს'.**

რაც შეეხება აუსლაუტის **ც**-ს, **ი. დეშერიევის** მიხედვით, ის გვხვდება არსებით სახელთა მხ. რ. ნომინატივში (Дешериев, 1953, 31-32), თუმცა ვერ გავიზიარებთ მის მიერ საამისოდ მოხმობილ ისეთ მაგალითებს, როგორიცაა **ოც 'მარცვალი', ჩოცა 'ჩონა', ჩარქაც 'ჩარქა', დახაც 'შურთხი'** და ა. შ., რადგან ასეთ შემთხვევაში (ჩოცა ნაცვლად ფორმისა ჩოცა **ჩონა', ჩარქაც ნაცვლად ფორმისა ჩარქაცა 'ჩარქა'**), გარდა იმისა, რომ იგრძნობა სიტყვის ერთგვარი „სიშიშვლე“ და „კნინდება ის ესთეტიკური ფუნქციები,

რომლებიც, საკომუნიკაციო ფუნქციებთან (და ემოციურ დატვირთვასთან) ერთად, უსათუოდ ახლავს (უნდა ახლდეს) მეტყველებას, ყოველ სიტყვას, თითოეულ ბგერას“ (ბართიშვილი, 1995₂), ხშირ შემთხვევაში ორღვევა ფონოლოგიური კანონზომიერება – ეკარება ოპოზიციური ზღვარი (საუბარია ორაციონალური ხმოვნის საჭიროებაზე აქ): **ოც 'ისეც ის კვლავ ის' < ო 'ის', მაგრამ: ოც 'მარცვალი'; დახაც 'ამიტომ, იმიტომ', მაგრამ: დახაც 'შურთხი'...**

აუსლაუტის **ც**-სთვის შეიძლება მოგვეხმო სხვა მაგალითები, სადაც ორაციონალი არ იქნებოდა: **მშეც 'თითისტარი'** (დასახელებულია **ი. შედერიევის** მიერაც), **დშეც 'ღვიძლი', ლაუც 'ბოყინი', დშაც 'წყლოლი', ხაც 'იცოდე'** და სხვ.

აუსლაუტის **ც** გვხვდება აგრეთვე ზედსართავის ზოგიერთ ფორმაში, სადაც ეს **ც** ატარებს **'ისეც, ჯერ, კვლავ, -ც კი'** მნიშვნელობებს: **ლაზნეც 'ისეც კარგი, ჯერ კიდევ კარგი', კაწკნეც 'ისეც პატარა', ლაფზნეც 'ისეც ცხელი; ისეც თბილი';** რიცხვითი სახელების ანალოგიურ ფორმებში: **ცჰაც 'ისეც ერთი', ფზიც 'ისეც ხუთი', დუმჰრელუნაც 'ისეც პირველი', ფზილუნაც 'ისეც მეხუთე';** ნაცვალსახელის ანალოგიურ ფორმებში: **სოც 'ისეც მე', ჰოც 'ისეც შენ' (nomin.), ოჰაც 'ისეც ის';** ზმნის სხვადასხვა ფორმაში: **დაც 'მოიტანე!', დშიც 'დარჩი!', ხაც 'დაჯექი!', ხაც 'იცოდე!', ლეც 'სურს', ხეც 'იცის';** ზმნისართებში: **ტყოც 'კიდევ', ნშეც 'გარეთ' (adit.), წყეც 'ნამეტნავად', თხაც 'დღესვე', ოშტაც 'ისეც, კვლავ', ჰალოც 'კვლავ ა-'** (მიმართულება ზევით); ნაწილაკში: **ჰაც 'კი, ღიახ, პო'...**

თავისთავად იგულისხმება, რომ აუსლაუტის **ც** ბოლო მარცვლის საკუთრებაა, თუმცა მერე – შევსებული ფორმის დამარცვლისას – მომდევნო ხმოვანთან გადადის: **დაც 'მოიტანე!', მაგრამ: დაცარ (და-ცარ) 'მოტანა'; ხაც 'დაჯექი!', მაგრამ: ხაცარ (ხა-ცარ) 'გაგება'; ლაც 'ისურვე!', მაგრამ: ლაცარ (ლა-ცარ) 'ნდომა';** თხაც 'დღესვე', მაგრამ: თხაცა? (თხა-ცა) 'დღესვე'; ლეც 'სურს', მაგრამ: ლეცა? (ლე-ცა) 'სურს?'...

ი. დეშერიევის არც ის მოსაზრებაა ბოლომდე გასაზიარებელი, რომლის მიხედვითაც, მრ. რიცხვში **ც** ფონემა გადადის **ი**-ში (Дешериев, 1953, 32). მკვლევარი მაგალითების სახით იშველიებს: **ოი 'თესლები; მარცვლები', ჩოცი 'ჩონები'** და სხვა. უნდა ითქვას, რომ **ოი** სიტყვა (ან ფორმა) თუშურ ენაში საერთოდ არ არსებობს. **'თესლები'** (ან **'მარცვლები'**) თუშურ ენაში არის არა **ოი**, არამედ – **ოცნი**. რაც შეეხება **ჩოცი 'ჩონები'** ფორმას, იგი ნაწარმოებია

ჩოვ (< ქართ. ჩოხ-ა < ჩოვ-ა) ფორმიდან, რომელიც გამოიყენება ჩოვასკო ფორმის პარალელურად; ჩოვასკო ფორმიდან მრავლობითში მიიღება ჩოვასკი / ჩოვასკუდ 'ჩოხები'. გვაქვს აგრეთვე ჩოვ 'ჩოხები' ფორმაც, მაგრამ აქ კვალიც არა ჩანს სუფიქსისეული -სი. უკიდურეს შემთხვევაშიც კი არ შეიძლება გვესაუბრა -ს ადგილას -ი-ს გაჩენაზე, ანუ ფონეტიკურ პროცესზე $\chi > \sigma$.

ი. დეშერიევი მაგალითის სახით იქვე წარმოგვიდგენს მზაც 'ჩქ' – მზარჩ 'ჩქები' ფორმებსაც (Дешериев, 1953, 32), რაც აგრეთვე არასწორია: მხ. რიცხვის მზასკო 'ჩქ' ფორმას მრავლობითში შეესატყვისება მზაცი / მზასკუდ, აგრეთვე პარალელური ფორმები მზაცადრჩი / მზაცედრჩი 'ჩქები', მაგრამ არა *მზარჩ.

ინტერესს არ უნდა იყოს მოკლებული ისიც, რომ თუშურ ენაში უკიდურესად სპორადულად, მაგრამ ექსპრესიის შემთხვევაში მაინც გვხვდება χ თანხმოვნის ინტენსიური კორელატი χ . ამ ინტენსიურობაზე თავისთავად მიგვანიშნებს გემინირებული ოკლუზიის აქტი მისი არტიკულარებისას. ინტენსიურია ეს ბგერა ისეთ სიტყვებში, როგორიცაა, მაგალითად³⁴: ცჰაჟ.ცო 'არც ერთი / ვერც ერთი' (შდრ.: ცჰაჟ ცო 'ერთიც არა'); ცჰაჟ.ცომი 'არც არაფერი' (შდრ.: მოჟ ცომ 'სულაც არაფერი'); დშაჟჟ. (შესაშინებლად სახმარი სახუმარო შეძახილი), შჰჟ. ³⁵ 'ზღართან', შჰჟ.ამნო (შჰჟ.ენნო) 'ზღართანით' და სხვ. მაგალითები ცოცხალი მეტყველებიდან ინტენსიური χ -სთვის:

ცჰაჟ. კორ ცო ხიტობმაჟ სო ხენხ 'ვერც ერთი ვაშლი ვერ მოგწყვებთ ხიდან';

დშაჟჟ. აღალ იცხარგო 'ჰაუს ეტყოლი მაგათ';

შჰჟ.ამნო ნეთჰს ნიფს გოხმაჟ 'ზღართანით დავეცი პრდჰარლოდზე'.

ამ თანხმოვნის ინტენსიობა დღევანდლამდე ბაცბოლოგიაში აღნიშნული არ არის – გასაგებია, მისი უკიდურესი იშვიათობის გამო. ამავე მოსაზრებით არ გამოვყავით იგი დამოუკიდებელ ფონემად.

წინამდებარე ნაშრომში დასახულ მიზანს ვერ მივადწევთ, თუ კიდევ ერთხელ არ მივუბრუნდებით χ ლარინგალის საკითხს, განსაკუთრებით ან-

34 პრობოტი გაუფორმოთ * სიმბოლოთი.

35 აქ უთუოდ ღირს ყურადღებად ანლაუტისეული χ ფარინგალის პოზიცია და ღის-ტრიბუცია.

ლაუტში. ანუ ცალკე საუბარს საჭიროებს ის, თუ რა გვაქვს, მაგალითად, თუშურ ენაში: χ თუ χ 'ბეძა'?

საკმაოდ რთული და მძიმეა ანლაუტის χ -ს თემა (არა მხოლოდ თუშურ ენაში). როგორც ჩანს, დისტრიბუციის თვალსაზრისით, ანლაუტში არ გვიწევს თანხმოვნისწინა χ -ზე ლაპარაკი. სათვალავში ნუ მივიღებთ ექსპრესიულ თუშურ-ქართულ χ ა! 'ვა!' სიდიდეს. საუბარი გვექნება ანლაუტის ხმოვნისწინა χ -ზე, როგორც ხმოვნის მუდმივ თანამგზავრზე³⁶.

აკუსტიკურად ძნელი არ არის გარჩევა იმისა, რომ ქართულში აშკარად განსხვავდება ერთმანეთისგან სასაუბრო – ძლიერდამართვიანი – არაჟ (ახვლედიანი, 1949, 106; ახვლედიანი, 1966, 105) და სალიტერატურო არა ფორმები.

მაგრამ: ფონეტიკის (როგორც არტიკულაციის, ისე აკუსტიკის) თვალსაზრისით, რით განსხვავდება ქართულსავე ენაში სასაუბრო – ძლიერშემართვიანი – არაჟ (ახვლედიანი, 1949, 106; ახვლედიანი, 1966, 105) და სალიტერატურო არა ფორმები?

თ. უთურგაძეს ანლაუტის χ (') ერთობ ფართოდ აქვს წარმოდგენილი ქართული ენის თუშურ კილოში. აქ დაბეჯითებით გვინდა ვთქვათ: თუკი ლაპარაკია ანლაუტის ხმოვნის ე. წ. მაგარ შემართვაზე და სხვა არაფერზე და თუკი თუშური კილოს ხმოვნისწინა ანლაუტისეულ χ -ს ამოვადგებთ გრაფიკიდან (ანუ სიტყვებს დავწერთ ანლაუტის ჩვეულებრივი თავკიდური ხმოვნით და, მაშასადამე, ანლაუტის ხმოვანს წარმოვთქვამთ ჩვეულებრივი – ქართული სალიტერატურო – ორთოქიით), მაშინ არაფერს კარგავს თუშური კილო, ეგაა მხოლოდ, თუშური კილოს ხმოვანი აქ გრძელია და გრძელი დარჩება მეორე შემთხვევაშიც: χ გვრ 'ავრე', χ გვგენ 'ვეგენი', χ გვხლ 'ახლა', χ გვმ 'იმ', χ გვმთენ 'იმდენი', χ გვს 'ის', χ გვსრ 'ისე'... (უთურგაძე, 1960, 223).

აქ ლაპარაკია თუშური კილოს ანლაუტის სწორედ χ ბგერაზე, და არა იმ ბგერაზე, რომელიც თ. უთურგაძისავე მიერ ექსპრესიულ χ -დ არის სახელდებული (უთურგაძე, 1966, 19–34). საინტერესოა, რომ თავად თ. უთურგაძე თუშური კილოს ამ ტიპის სიტყვებს ხან თავკიდური χ -თი წარმოგვიდგენს, ხანაც მის გარეშე (უთურგაძე, 1960; უთურგაძე, 1966), რაც ჩვენ მიერ შემოთავაზებულ ინტერპრეტაციას ამაგრებს.

36 თ. უთურგაძე χ ლარინგალს ექსპრესიული მეტყველების პროდუქტად მიიჩნევს თუშურ კილოვანი ხმოვნების დამართვაშიც (უთურგაძე, 2009, 9), რაშიც არ შეიძლება არ დავეთანხმოდ; მეტიც, იგივე მიიღება იქნას მეტყველებებისთვის საერთოდ.

მსჯელობიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე ასე ვიტყვოდით: მთლად სწორად არ მიგვაჩნია თუშურენოვანი სიტყვების ანლაუტის წარმოდგენა ასეთი სახით: **ცაბალუ, ცელანე, ცილიკუ** (საკ. რქმევის სახელდება), **ცახრობ 'ჭედილა'** (უნდა იყოს **'თახლო'** – ა. ბ.), **ცარკუ** (ბოლოკიდურში უნდა იყოს არა –**ჟ**, არამედ –**უმ** – ა. ბ.), **'მხალი'**, **ცი 'ეს'** (ხმარობენ ქალები – ა. ბ.), **ციბი 'ესენი'** (ხმარობენ ქალები – ა. ბ.), **ცოკრინ 'მათი'** (აუსლაუტში უნდა იყოს ნახალიზებული – **ჩ** – ა. ბ.), **ცო 'ის'**, **ცობი 'ისინი'**, **ცოშთიც 'ისევე'** (სჯობდა **'ისევე, კვლავ'** – ა. ბ.), **ცუმსთ 'საკლავი'** (უნდა იყოს **'ნერბი'** – ა. ბ.), **ცურუმ 'ურეში'** (უთურგაიძე, 1966, 42), **ცაგ 'ბეზა'**, **ცოკ 'ნეტავ ის'**, **ცეც 'მინდობი'**, **ცეც 'აილე'**, **ცეხ 'თხარე'** (უთურგაიძე, 1966, 45) და სხვ.

გასაგებია **გ. კოტეტიშვილის** წუხილი მეცნიერული დიალექტოლოგიისთვის შემუშავებული ტრანსკრიფციით მხატვრული ტექსტის ზედმეტად გადატვირთვასთან დაკავშირებული შიშის გამო, რაც მართლაც „დააბნევედა გაუთვითცნობიერებელ მკითხველს“ (თათარაიძე, 1979, 4), მაგრამ სრულიად გასაგებია ისიც, რომ **ე. თათარაიძის** თუშურ კილოვანი ლექსების | კრებულში, რომელიც, **გ. კოტეტიშვილის** კვალდაკვალ (იქვე, 1979, 3), მართლაც უნდა ვაღიაროთ ჭეშმარიტი პოეზიის ნიმუშად, სხვა მრავალ ფონეტიკურ თავისებურებათაგან სწორედ **'-ზე (ც-ზე)** გაუმახვილებიათ რა ყურადღება ავტორსაც და წიგნზე მომუშავე კოლექტივსაც, წმინდად არის დაცული მისი ორ-თოგრაფია³⁷: არც ერთი სიტყვა არ არის დაფიქსირებული თავკიდური **'-თი**, ის შენარჩუნებულია რა ინლაუტ-აუსლაუტში.

ეს რეალობა, რომელიც მოლოდინს სძენს ღირსებას ლექსების კრებულს, კიდევ ერთხელ გვიბიძგებს იმ მოსაზრებისკენ, რომ თუშური კილოს (ისევე როგორც თუშური ენის) ანლაუტში სრულიად ზედმეტია **'-ს (ც-ს)** გრაფიკული აღნიშვნა.

წყაროების თანახმად, მართალია, თუშურ კილოში ის ოდენ ბგერაა რა, ფონეტიკური ღირებულება არ გააჩნია (ჯღენტა, 1956, 140; უთურგაიძე, 1966, 20) და, მართალია, ლექსის არც პროსოდიას (მარცვალთა შეფარდებას), არც გარიტმვას თანხმომენები დიდად არ განსაზღვრავენ, მაგრამ იმით, რომ **ე. თათარაიძესთან** ინლაუტის **'** ყველგან არ არის აღნიშნული, ძალზე ბევრს კარგავენ პოეტის მიერ რუდუნებით ნაძერწი ხატოვანი სახეები | კრებულისა.

37 იდენტიფიკაციის გათვალისწინებით, მკითხველს შევახსენებთ, რომ **ც** ბგერა **'** ნიშნითაც გადმოიცემა.

მეორე მხრივ, თუშურ კრებულის წინათქმის ავტორი, **ზ. კიკნაძე** შენიშნავს, რომ **„მთვარის ნაღის“** ენა ჩაღმათუშთა ყოველდღიური საშინაო სალაპარაკო კილოა (თათარაიძე, 1988, 3), მაგრამ უნდა ითქვას, რომ, ლექსთა | კრებულისგან განსხვავებით, აქ მართლაც არის გადადგმული ნახევარი ნაბიჯი მაინც იმ „მთიური კოინესკენ“ („საერთოსკენ“ – ა. ბ.) რომელზედაც იქვე აქვს საუბარი **ზ. კიკნაძეს** (იქვე, 3).

ამგვარად, **ე. თათარაიძის** პოეტური ნიმუშები საშუალებას იძლევიან რამდენადმე ახლებურად, უფრო რეალისტურად შევხედოთ ლარინგალურ **ც-ს** – თუშურ კილოშიც, თუშურ ენაშიც. ამასთანავე, ქართული **'არა (ცარა)** ფორმის თავკიდურში უნდა იყოს არა **' (ც)**, არამედ სხვა რამ. უთუოდ უნდა გაირკვეს ანლაუტის **ც-ს ('-ს)** საკითხი თუშურ, ზანურ, გერმანულ და ა. შ. ენებშიც, სადაც საქმე უნდა გვექონდეს არა **ც-სთან ('-სთან)**, როგორც ასეთთან, არამედ რამდენადმე სხვა მოცემულობასთან, რომელიც არც მთლად **ც-ს ('-ს)** გარეშეა. რა უნდა იყოს ეს, ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ.

ბოლოს, **ცაგ** თუ **აგ 'ბეზა'**?

რამ განაპირობა საკითხის ასე დასმა და როგორ შევარჩიოთ ოპოზიციური წყვილები?

უკეთ რომ ჩავხედოთ ხმოვანი ბგერების არსში, კიდევ ერთხელ უნდა მივუბრუნდეთ საკითხს იმის შესახებ, ანლაუტის **ც** წარმოდგენს თუ არა ფონემას თუშურ ენაში. ამასთანავე, კიდევ ერთხელ არის გასაანალიზებელი ანლაუტის ჩვეულებრივი ხმოვნები ენებში საერთოდ.

დავუბრუნდეთ თუშური ენის ანლაუტის ხმოვნის შემართვისეულ **ც** ლარინგალს.

საკითხის ამგვარად დაყენების გარეშე უპასუხოდ დარჩებოდა კითხვა, რომელზე პასუხსაც თავადვე ვეძებთ: თუ, ჩვენი აზრით, ანლაუტის ჩვეულებრივი ხმოვანი ისედაც მაგარშემართვიანია ნებისმიერ ენაში (ბართიშვილი, 1998, 11; ბერთლანი, 2002, 18–20; ბერთლანი, 2004, 8–11; **Бартишвили**, 1998, 14–16), მათ შორის, თუშურ ენაშიც, მაშინ: ა) რატომ არ უნდა ვცნოთ მაგარშემართვიანი **ცაგ** ფორმა თუშურ ენაში? ბ) რა უნდა იყოს ის, რაც დღემდე ანლაუტის ხმოვნის მაგარ შემართვად არის მიჩნეული სალიტერატურო გერმანულში, აგრეთვე ზოგიერთ სხვა ენაში, მათ შორის, თუშურშიც?

საქმეში გასარკვევად მოგვიწევს სწორედ **ცაგ** თუ **აგ „ბეზა“** საკითხის განხილვა.

ცაგ გრაფიკული მონაცემის გადამოწმება გეჭირდება არა მხოლოდ თვით მისი გადამოწმებისთვის, არამედ ჩვეულებრივი ხმოვნების ახლებურად დანახვისთვის.

ანლაუტისეული **ც**-ს ფონემობის დასამტკიცებლად ერთმანეთთან არის შედარებული, მაგალითად, **ღაგ – ცაგ** ტიპის წყვილები (უთურგაძე, 1966, 45).

ღაგ – ცაგ მონაცემების შეპირისპირებისას მინიმალური ფონოლოგიური წყვილის სახით, ჩვენი აზრით, აღვნიშნავთ აქვს არა ფონემის გამოყოფას ლინგვისტიკაში მიღებული წესების შესაბამისად (ანუ სახეზეა არა ორი სხვადასხვა მნიშვნელობის მატარებელი სიტყვის დაპირისპირება ორი სხვადასხვა ფონემის არსებობის გამო მათში), არამედ – საჭირო ფონოლოგიური დასკვნის გაკეთების მცდელობა ორი ნებისმიერი ლექსემის შეპირისპირების გზით.

ქართულში არ გამოდგება, მაგალითად, **ბაჟი – *რაჟი** წყვილი **რ**-ს (არც **ბ**-ს) ფონემობის დასამტკიცებლად, რადგან, მართალია, ვიზუალურად **რ** თითქოს მართლა წარმოადგენს აქ რაღაცას, მაგრამ სალიტერატურო (არც სასაუბრო) ქართულში არ იცის ***რაჟი** ლექსემა. და რაკი არ იცის, **რ**-ს ვერც დავაეცნოთ ვერანაირ სოციალურ ვალდებულებას. სწორედ ასევე: იმას, ვინც თუშურ ენაში არაა ჩახედული თუნდაც ნაწილობრივ, **ღაგ – ცაგ** წყვილისეული ვიზუალური **ც**, რომელიც ამ შემთხვევაში ისეთივე ზედმეტი რამაა, როგორც ქართული **რ** ზემოთ მოყვანილ მაგალითში, შეიძლება მართლაც მოეჩვენოს ფონემად³⁸.

რაკი **ღაგ – ცაგ**, ასევე **ღოკ – ცოკ**, **ხეც – ლეც**, **ხეც – კეც**, **ხეც – ბეც – გეც** წყვილების (უთურგაძე, 1966, 45) შემთხვევაში ეჭვი შეგვაქვს ფონემის გამოყოფის პროცედურის სისწორეში, მაშ, ეჭვი უნდა შევიტანოთ **ც**-ს ფონემობაში, ზოგადად.

ღაგ – ცაგ ტიპის მაგალითში ვერ ავხსნით **ც** ბგერის ფონემურ ხასიათს: ვერც დავადასტურებთ რამეს, ვერც უარყოფთ. აღარათუქვს ვაპოვოთ იმაზე, რომ ამ წყვილში, ჩვენი დაკვირვებით, განსხვავებულია მეწყვილე წევრებში შემაჯალი ხმოვნების კვანტიტეტიც (**ღაგ – ცაგ**), რაც უსათუოდ

38 იმგვარი ცნობიერების შემთხვევაში შეიძლება დავარწმუნოთ საზოგადოება **ცაგ** ტიპის თუშურენოვანი სიტყვების არსებობაში, როგორისაც აღმოჩნდნენ შორეულ რუსეთში, როცა სკოლაში ერთი თაღლითი ფრანგულის ნაცვლად წლობით ასწავლიდა მეგრულს.

გვიშლის ხელს ანლაუტის ფონემის სტატუსის გამოვლენაში **ცაგ** დაწერილობისათვის. იგივე ითქმის **ღოკ – ცოკ**, **ხეც – კეც** წყვილებზე, რომლებიც ხმოვანთა ფონოლოგიური სიგრძე-სიმოკლის გამოვლენაში უფრო დაგვეხმარებოდნენ.

თუმცა: თუშური ენის არფლობის შემთხვევაში, იოლი დასაშვებია მოგვეჩვენოს ამ წყვილების ოპოზიციურობაც და, მაშასადამე, **ც**-ს ფონემობაც. ამის საფუძველს იძლევა ამ სიტყვების ანლაუტის გრაფიკული სახე: **ღ** სხვაა, **ც** – სულ სხვა; ამასთანავე: შესადარებლად აღებული სიტყვებს თარგმანიც სხვადასხვა აქვს (და კიდევაც უნდა ჰქონოდა).

მათი ფონემობის დადგენისას სასინჯო ბგერების მოცილებით (ანდა შეცვლით) სიტყვას ან უნდა შეეცვალოს, ანდა საერთოდ დაეკარგოს სემანტიკა. ამ შემთხვევაში წარმოგვიდგება მთელ თავის ამჟღავნებაში ჩვენ მიერ ძეგნილი ფონემა, რომელიც მეტყველებაში ასრულებს სემანტიკურ ფუნქციას და რომელსაც **ფონემა** არც შეიძლება ერქვას, თუკი ამ ფუნქციას არ (გერ) ასრულებს.

საჭიროა შევთანხმდეთ ერთ რამეზეც: ცალკეული ბგერა ზმირად არაფერია სამეტყველო კომუნიკაციისთვის, რადგან ჯერ კიდევ არ ატარებს რისთვისმე რამე მნიშვნელობის მიმცემ ფუნქციას: არაფერს არ გვეუბნება ცალკე აღებული ქართული **რ** ბგერა. ბგერა ასეთ ფუნქციას იძენს იქ, სადაც მას ეძლევა ამის საშუალება – სიტყვაში. ასეთ სტატუსს ეს ბგერა ამჟღავნებს მინიმალურ ოპოზიციურ წყვილში: **რაზა – ბაზა**.

იქ, სადაც ფონემას აქვს მნიშვნელობის მწარმოებლური ფუნქცია, უსათუოდ მუშაობს მნიშვნელობის შენარჩუნების მექანიზმიც, ანუ, რაც იგივეა, ფონემა არა მხოლოდ უცვლის, არამედ სძენს, ან უნარჩუნებს სიტყვას მნიშვნელობას. სხვაგვარად სიტყვები ეფემერულნი გახდებოდნენ.

თუკი, ერთ შემთხვევაში, წინასწარ ვამტკიცებთ **ც**-ს უსათუოდ ფონემობას და თუშურენოვან **ოც** ‘*მარცვალი*’ სიტყვას შევადარებთ სიტყვას **ოს** ‘*ოსი*’, ისე გამოჩნდება, თითქოს საქმე გვექონდეს **ც**-ს ფონემურ ოპოზიციასთან; მაგრამ, თუკი, მეორე შემთხვევაში, ასევე წინასწარ დავამტკიცებთ, რომ **ც** არის არა ფონემა, არამედ ოდენ ხმოვნის ძლიერი დამართვა, და ერთმანეთს შევადარებთ წყვილს **ოც** ‘*მარცვალი*’ – **ოს** ‘*ოსი*’, მაშინ გამოჩნდება, თითქოს საქმე გვექონდეს ისეთ ოპოზიციასთან, სადაც ერთმანეთს უპირისპირდებიან მაგარდამართვიანი და რბილდამართვიანი ხმოვნები. ამათგან რომელი სუ-

რათი უნდა მივიჩნიოთ რეალურად და – რატომ?³⁹

როცა თუშური ენის **ც**-ს დისტრიბუციაზე საუბრობს, **თ. უთურგაიძე** შენიშნავს, რომ ანლაუტში „ხმოვნის წინ **ც** ბგერა უთუოდ არის“ და მოჰყავს მაგალითები⁴⁰: **ცაბალო, ცელანე, ცილიკო, ცახრობ, ცარკუმ, ცი, ციბი, ცოვრჩ, ცო, ცობი, ცოშტყ, ცუმსთხი, ცურემ** (უთურგაიძე, 1966, 42). სრული რეალობაა. მეტიც: ამ მაგალითებში (და, საერთოდ, ანლაუტში) **ც** ბგერა არათუ **უთუოდ**, არამედ **უსათუოდ** არის, ოღონდ უნდა გავითვალისწინოთ, რომ:

- 1) აქ გვაქვს არა **ც** ფონემა, არამედ **ც** ბგერა;
- 2) აქ **ც** ბგერა გვაქვს არა იმიტომ, რომ ეს სწორედ თუშურენოვანი მაგალითებია.

იუცხოებს და „გადაახტება“ რა „შეტრიალეზულ ყ–ს“, იმ თუშურენოვან სიტყვათაგან, რომლებიც კი **თ. უთურგაიძეს** აქვს წარმოდგენილი თავკიდური **ც**-თი, ნებისმიერი თუშურენოვანი მკითხველი ყველას წაიკითხავს მის (**ც**-ს) გარეშე – ისევე როგორც ქართული, თუნდაც რუსული, ან ლათინური ტრანსლიტერაციის შემთხვევაში ასეთი **ც**-ს გარეშე; და პირიქით: თუკი ამ სიტყვებს წარუდგენთ ქართული, რუსული, ან ლათინური ტრანსლიტერაციით, ოღონდ თავკიდური **ც**-ს გარეშე, ნებისმიერი თუშურენოვანი ცდისპირი მათ წაიკითხავს და გაიზიარებს უმტკივნეულოდ, ჩვეულებრივ. მეტიც: თუშურენოვანი მკითხველისთვის სრულიად გაუგებარია და ზედმეტი თუნდაც რამენაირი გრაფიკული მოცემულობის არსებობა თუ შეტანა ამ სიტყვების ანლაუტისეული ხმოვნების წინ.

და რაკი ქართული, რუსული თუ ლათინური ანლაუტის ტრანსლიტერაცია **ც**-ს გარეშე უხარვეზოდ უთავსდება თუშურენოვან არტიკულაციასა

39 თუ, მაგალითად, **ც**-ს ფონემობის დადგენა გვსურს აუსლაუტში, საეჭვოა, გამართლებული იყოს ისეთი სიტყვების დაპირისპირება, როგორიცაა **გაგაჲ კეერცხი** – **გაგაჲ შეცელი**, **ღმთი** **‘ოთხი’** – **ღმთი** **‘ღარხი’** (უთურგაიძე, 1966, 44) და ა. შ., რადგან: 1) **შეცელი** –ს თუშურენოვან შესატყვისს აუსლაუტში გააჩნია არაციონალური **რ**-ც – **გაგაჲ**; 2) **გაგაჲ** – **გაგაჲ** წყვილში ხაზალიზებული **ჲ** და მაგარდამართვანი ორალური **ჲ** ხმოვნების ფონოლოგიურ ოპოზიციაზე უფრო უნდა ვილაპარაკოთ, ვიდრე სხვა რამეზე; 3) ქართული ენის **‘ოთხი’** ლექსემის თუშურენოვანი ეკვივალენტია **ღმთი** (ქადაგაძე, ...; 1984; ჭრელაშვილი, 2002), რის გამოც არარსებული ***ღმთი** სიდიდეც ითმება დაპირისპირებული წყვილიდან. რუსული ენის არმცოდნე ვერ აცნობიერებს განსხვავებას ბოლოკიდურ მაგარსა და რბილ თანხმოვან ფონემებს შორის **МАТ** **‘შაშ-თი; ჭილიბი; სიმქალო; დედას გინება’** – **МАТЬ** **‘დედა’** ოპოზიციურ წყვილში. აქ ისიც არკვევა, რომ ფონემის არსში წვდომას საანალიზო მეტყველების ცოდნა სჭარდება.

40 ორთოგრაფიაში შევიტანთ საჭირო შესწორებებს ისე, რომ არ შევცხებით თვით **ც**-ს.

და აკუსტიკას (ფონეტიკას), თავისთავად იგულისხმება, რომ იგივე შედეგი გვექნება ამ სიტყვების გადმოცემის შემთხვევაში ფრანგული, ინგლისური და ა. შ. ტრანსლიტერაციითაც⁴¹. ჩანს, მოგვიწევს თუშური ენის **ც** ბგერაში კიდევ უფრო ღრმად შეჭრა. მანამდე კი მივყვით **ი. უთურგაიძისეულ** ანალიზს.

როცა ეჭვი შეაქვს **ი. დეშერიევისეულ** ინტერპრეტაციაში თუშური ენის **ც**-სთან დაკავშირებით, **თ. უთურგაიძე** სვამს კითხვას: „ყველგან ფონემაა, თუ სიტყვის თავში არ ჩათვლება ფონემად, ხოლო სხვა შემთხვევაში კი – აუცილებლად?“ (უთურგაიძე, 1966, 44).

ბაცბოლოგიის მონაცემების მიხედვით, არ შეიძლება არ დავეთანხმოთ **თ. უთურგაიძეს** იქ, სადაც ამტკიცებს, რომ თუშურენოვანი „სიტყვის შუაში და ბოლოში **ც**-ს ფონემობა ეჭვს არ იწვევს, რისთვისაც „ადვილად შეიძლება დაიძებნოს მინიმალური ოპოზიციური წყვილები“ (იქვე). თუმცა არც **ი. დეშერიევს** წამოუყენებია საპირისპირო აზრი: მან მხოლოდ შენიშნა, რომ თუშურ ენაში **ც** ჩვეულებრივ (**обычно**) ჩნდება სიტყვის ბოლოში. **ი. დეშერიევმა** ასეთი ფონემა არც კი ივარაუდა ანლაუტსა და ინლაუტში. სამაგიეროდ თუშური ენის **ც**-ს ფონემობა სიტყვის შუაში (ჩვენ ვიტყვით: სიტყვის შიგნით) სრულიად თვალსაჩინოდ გვაჩვენა **თ. უთურგაიძემ** (უთურგაიძე, 1966). ეს აღიარებულ იქნა კიდევაც ბაცბოლოგიაში, რის გამოც მაგალითებით აღარ გადავტვირთავთ მსჯელობას.

დაგვჩნა **ც**-ს ფონემობის საკითხი სიტყვის დასაწყისში (ანლაუტში). **ი. დეშერიევმა** ა ხმოვნის მაგალითზე შენიშნა, რომ „თავკიდური **ა** ისმის თითქმის ისე, როგორც ხორხისმიერი **ღ**“ (Дешериев, 1953, 41), და რომ, პირიქით, **ღ** ფონემა თუშური ენის ანლაუტში „ხშირად გადადის ღრმადუკანა **ა**-ში“ (იქვე, 29).

გასაგები უნდა იყოს, რომ აქ **ა** კი არ გადადის **ღ**-ში, ანდა **ღ** კი არ გადაიქცევა **ა**-დ, არამედ ერთ შემთხვევაში მანამდე არსებულ ფონეტიკურ **ც**-სა და თვით **ა**-ს შორის ვითარდება „ღრმადუკანა“ **ჰ** ობერტონი, რაც, კოარტიკულაციის წყალობით, იძლევა „ღრმადუკანა“ **ა**-ს აკუსტიკურ ეფექტს: **ახრობ** [ცახრობ] / [ჰახრობ] **‘თახლი’**. გამოყოფს რა ე. წ. ფარინგალურ ხმოვნებს დიდოურში, **ე. ბოკარევი** ნიშნეულად დაურთავს, რომ **დ. იმნაიშვილი** ხმოვანთა ფარინგალიზაციას **მეზობელ თანხმოვანთა** ნიშნად თვლის (Бокарев, 1967, 404). ასეც უნდა იყოს: ხმოვნისწინა ფონოლოგიური **ღ** [ჰჰ] თუ ექსპრე-

41 თუმცა: ექსპრესიული **ღ**-ს (**ჰ**-ს) შემთხვევაში მოგვიწევს მისი გრაფიკულად გადმოცემა თვით თუშურ ენაშიც და ქართულ, რუსულ, ლათინურ და ა. შ. ტრანსლიტერაციაშიც.

სიული (ფონეტიკური) **ც**⁴² მოცულობების შემთხვევაშიც და ხმოვნისწინა ფონეტიკური (არაფონოლოგიური) **ც**-ს შემთხვევაშიც ფარინგალიზაციასთან გვექნება საქმე.

არც **ი. ღეშერევისეული** მოსაზრება თუშური ენის ანლაუტში ხმოვნის გა-დასვლის შესახებ **ღ**-ში, როგორც ასეთში, არც **თ. უთურგაიძისეული** მოსაზრება **ც**-ს ფონემობის შესახებ ანლაუტში არ არის გაზიარებული **კ. ჭრელაშვილის** მიერ (ჭრელაშვილი, 1975), რასაც აბსოლუტურად ვეთანხმებით.

მოკლედ: თუ ანლაუტში თუშური ენის **ც** წარმოადგენს ფონემას, მაშინ **თ. უთურგაიძისეული ც**-ს მოცილებით ერთმა მაინც ამ სიტყვებიდან ან აზრი უნდა დაკარგოს, ანდა შეიცვალოს იგი, რასაც ადგილი არა აქვს. შდრ.: **ცა-ბალო - აბალო, ცელანე - ელანე, ცილიკო - ილიკო, ცახრობ - ახრობ, ცარკუმი - არკუმი**...

გამოდის, აქ საქმე გვაქვს არა **ც**-ს ფონემობასთან ანლაუტში, არამედ არტიკულაციის ექსტრემულ დატვირთვასთან, რაზედაც უკვე ითქვა და კიდევაც გიტყვით. ეს კი გადმოიცემა სხვა გრაფიკული საშუალებით და სხვა საჭიროებისთვის, რასაც არაფერი აქვს საერთო ფონოლოგიასთან.

ც-ს ფონემობის დასადასტურებლად თუშური ენის ანლაუტში **თ. უთურგაიძის** აღებული აქვს წყვილები⁴²: **ღაგ 'ძაფი ბაცბური (თუშური) შაღისთვის' - ცაგ 'ბეძია', ღოკ 'ნახევარმთვარის ფორმის საწესჩვეულებო ქადა' - ცოკ 'ნეტავ ის...' და სხვ**⁴³.

ფონემის დატვირთვა რომ ჰქონოდა თუშური ენის ანლაუტისეულ ლარინგალურ **ც**-ს, როგორც ამას თვლის **თ. უთურგაიძე**, მაშინ **ღ. და ნ. ქადაგიძეების** ლექსიკონში მის გარეშე შეტანილი (ანუ ანლაუტისეული ჩვეულებრივი ხმოვნებით წარმოდგენილი) ყველა სიტყვა დაკარგავდა ყოველგვარ აღქმადობას სწორედ ისევე, როგორც დაკარგავდა მას ქართულ ლექსიკონებში შეტანილი ***ურთი - ნაცვლად ბურთი-სა, *ული - ნაცვლად გული-სა, *ათვი - ნაცვლად დათვი-სა** და სხვ., რასაც ადგილი არა აქვს არც დასახელებული ლექსიკონისა და არც ნებისმიერ სხვა თუშურენოვან შემთხვევაში, თვით **თ. უთურგაიძის** მონოგრაფიებშიც კი.

42 თუმცა ზუსტი არაა, მაგრამ ხელუხლებლად ვტოვებთ ხმოვანთა კვანტიტეტს.

43 წყვილების ამგვარი დაკომპლექტება ისევე არ გამოდგება, როგორც **ბ**-ს ფონემობის დასამტკიცებლად რუსულში არ შეიძლება დავაკომპლექტოთ წყვილები: **шутка 'ხუმრობა' - бутка 'იხვი'** (არასალიტერატურო ფორმა), **шумный 'ხმაურიანი' - вумный 'ჭკვიანი'** (არასალიტერატურო ფორმა).

ფონემა არის არა მარტო სიტყვის მნიშვნელობის შემცველი, არამედ, პირველ რიგში, სიტყვის მნიშვნელობის შემცველი სოციალური სიდიდე. როცა **ბ** ბგერის ფონემობას ეხება, **გ. ახვლედიანი** აღნიშნავს, რომ, მაგალითად, თუ „ქართულში სიტყვა ***ოლი** არაფერს არ ნიშნავს“, „საკამარისია მას მიეუმატოთ თავში **ბ**, რომ მან გარკვეული მნიშვნელობა შეიძინოს: **ბოლი**“ (ახვლედიანი, 1949, 4). თუ ამავე ***ოლი**-ს თავში **კ**-ს მიეუმატებო, ვეღარ მივიღებთ რაიმე ღირებულების მქონე ქართულ სიტყვას: ***კოლი**. ამიტომ ***კოლი** სიდიდე არ იძლევა **კ**-ს ფონემობის დადგენის საშუალებას, ისევე როგორც **ცაგ** სიდიდეა მოკლებული **ც**-ს ფონემობის დადგენის საფუძველს.

გ. ახვლედიანის ეს განმარტება იმასაც ნიშნავს, რომ, თუკი ***ოლი** სიდიდეს **უკვე** ექნებოდა ქართული ცნობიერებისთვის ღირებული ესა თუ ის სემანტიკა, მაშინ საჭიროც აღარ იქნებოდა მისთვის ამა თუ იმ ბგერის მიმატება ანდა მისი ძიება ანლაუტში, რადგან მას **უკვე** ექნებოდა „გარკვეული მნიშვნელობა“, სწორედ ისევე, როგორც თუშურენოვანი **აგ 'ბეძია'** სიდიდე, წინააღმდეგ **თ. უთურგაიძისეული** ინიციატივისა (უთურგაიძე, 1966, 45), არ საჭიროებს თავში **ც**-ს მიმატებას, რადგან ასეთი **ც**-ს გარეშე მას უკვე გააჩნია მნიშვნელობა. ეს კია, აქ თავკიდური ხმოვანი გრძელია - **აგ 'ბეძია, ბეძო'**: ასეცაა შეტანილი ეს სიტყვა **ღ. და ნ. ქადაგიძეების** ლექსიკონში (ქადაგიძე, ..., 1984, 25). მეტიც: წოვათუში ლექსიკოგრაფების მიერ აღნუსხულ 7 088 სიტყვას შორის არც ერთი (!) არ არის წარმოდგენილი თავკიდური **ც**-თი (იქვე, 8-935) და ეს მოცემულობა არაა შემთხვევითი.

ყოველივე თქმული **ღაგ - ცაგ** წყვილთან და ამ ტიპის სხვა მაგალითებთან დაკავშირებით საშუალებას იძლევა ჩამოვაცალიბოთ სულ ცოტა სამი უმარტივესი სამუშაო ფორმულა:

1) თუ სასინჯ წყვილში ფონემად მიჩნეული (ნავარაუდევია) სიდიდის მოცილებით სიტყვა იცვლის, ან კარგავს მნიშვნელობას, საქმე გვაქვს ფონემასთან;

2) თუ ასეთი სიდიდის მოცილება არ იწვევს სიტყვის მნიშვნელობის შეცვლას, ან დაკარგვას, საქმე გვაქვს არასწორად შერჩეულ წყვილთან;

3) **ღაგ - ცაგ** ტიპის მაგალითებზე დაყრდნობით თუშური ენის ანლაუტში არ (ვერ) დასტურდება ხმოვნისწინა **ც** ფონემის არსებობა.

თუ ფონემა გვემსახურება არა მარტო სიტყვათა მნიშვნელობების განსასხვავებლად, არამედ აგრეთვე ამ მნიშვნელობების ამოსაცნობადაც (ЛЭС, 1990,552), მაშინ თუშურენოვანი **‘ბეძის’** ამოსაცნობად სრულიად საკმარისია თავიადური ჩვეულებრივი ხმოვანი სიტყვაში **აგ**. თავიადური ხმოვნის წინ არასატრანსკრიფციო **ჟ**-ს შემოტანით, რომელიც ფონეტიკურად (ტრანსკრიფციაში) აქ მართლაც არსებობს, მხოლოდ ხელს ვუწყობთ დაბნეულობასა და გაურკვევლობას.

ბოლოს, **‘ბეძისთვის’** და ანალოგიური ლექსემებისთვის უნდა შევთანხმდეთ **აგ [ცაგ]** ტიპის ფორმებზე, რომელთაგან მეორე უნდა გავიაზროთ, როგორც სატრანსკრიფციო (არასამწერლობო) ფორმა, ხოლო პირველი, როგორც ჩვეულებრივი სამწერლობო (არასატრანსკრიფციო) ფორმა. თუ მეტყველების ექსპრესიას აქვს ადგილი, მაშინ **აგ ‘ბეძის’** სიტყვისთვის შეიძლება წარმოვადგინოთ სატრანსკრიფციო ფორმა **[ცაგ]**.

მეტყველების ექსპრესიულობის შემთხვევაში, არცთუ იშვიათად ორღვევა ბგერის ფონეზური სახეც და, აქედან გამომდინარე, სიტყვის სემანტიკაც, რომ აღარათუ ვთქვათ გრაფიკაზე: ექსპრესია არ არის მეტყველების ნორმა. თუმცა: ექსპრესია სამეტყველო შესაძლებლობა და რეალობაა.

რატომ უნდა ევარაუდა **ჟ** ფონემა აქ **თ. უთურგაიძეს**, ვინც თუშური ენის **ჟ**-ს პირველი სერიოზული მკვლევარია?

რატომ ჩათვალა **ი. დეშერევემა**, კაპიტალური მონოგრაფიის ავტორმა, რომ თუშურ ენაში **ღ** გადადის ხან „ღრმადუკანა“ **ა** ხმოვანში, ხან ფარინგალურ **ჟ** თანხმოვანში, ხანაც ასევე ფარინგალურ **ჟ** თანხმოვანში (რომელთაგან ორივე ასევე „ღრმადუკანა“ ბგერებია), ხან კი სულაც ანლაუტის **ა** მოეჩვენა **ღ**-დ? ღიღია თუ არა ცდომილება ამ მოსაზრებებში?

როგორც ჩანს, ან თავად **ჟ**-მ გამოიწვია აშკარა დაბნეულობა ლინგვისტებში, ანდა, უბრალოდ, ბოლომდე შესასწავლი დარჩა იგი. მისი ბოლომდე გახსნის პრეტენზია არც წინამდებარე შრომის ავტორს გააჩნია: ის მხოლოდ ეცდება წარმოაჩინოს **ჟ**-სთვის დამახასიათებელი და მის მიერ შემჩნეული ზოგიერთი დეტალი.

მოკლედ: თუ აქ იგულისხმება ქართული **‘ბეძის’** ლექსემის თუშურენოვანი შესატყვისის ექსპრესიული ვარიანტი, მაშინ კიდევ შეიძლება გავიზიაროთ ფალსიფიცირებული ***ცაგ** დაწერილობა, მაგრამ თუ საქმე გვაქვს ამ ლექსემის არაექსპრესიულ ეკვივალენტთან, მაშინ უნდა დაიწეროს, უბრალოდ,

აგ, სადაც თავისთავად იგულისხმება მაგარი შემართვაც, როგორც თავიადური ჩვეულებრივი ხმოვნის ფონეტიკური ატრიბუტი, რომელიც (ისევე როგორც გერმანულ ენაში) გრაფიკულ აღნიშვნას არ საჭიროებს და რომელზედაც ქვემოთ კიდევ უფრო დეტალურად ვისაუბრებთ.

§3 (5). ინტერგოკალური ჟ და ამ ბგერით გამოწვეული ზოგიერთი ფონეტიკური პროცესი ინტერფერენციის ფონზე.

რაკი ენამ (მეტყველებამ) სამეტყველო არსენალის სახით იმთავითვე შეიმუშავა როგორც ხმოვანი, ისე თანხმოვანი ბგერები, გამოდის, სადაც ხმოვნები იყო, იქ საჭირო გახდა თანხმოვნებიც. ვამბობთ ხოლმე, რომ ესა თუ ის ენა, მაგალითად, თუშური ვერ იტანს თანხმოვნების კონცენტრაციას, მაგრამ, ამავე დროს, ესა თუ ის ენა, ამ შემთხვევაში – კვლავ თუშური, ვერც ხმოვნების თავმოყრას იტანს იქნებ იმაზე მეტადაც, ვინემ თანხმოვნების ზედხედ მისვლაა. ასე ჩანს ეს მაშინაც, როცა თუშური ენის **ჟ**-ს ვუწოდებთ ხმოვანთა გამყოფს. ხმოვანთა დაშორიშორებისადმი მიდრეკილება მარტო თუშურ ენას, ანდა მარტო ნახურ (ან მთის იბერიულ-კავკასიურ) ენებს არ უნდა გააჩნდეთ: მართალია, თუშური ენის გავლენით, მაგრამ მაინც განვითარდა ასეთი **ჟ** ქართული ენის თუშურ კილოშიც (უთურგაიძე, 1960).

მეტცი: ზოგიერთ სამეტყველო სიტუაციაში ასეთი ხმოვანთგამყარის განვითარების აუცილებლობა თუ საჭიროება შეიმჩნევა იმ ენებშიც, სადაც ასეთ ბგერაზე საერთოდ არც კია ლაპარაკი. მხედველობაში გვაქვს ჩვენთვის მეტ-ნაკლებად ნაცნობი ქართული და რუსული ენები. ანალოგიურ სიტუაციებში ასეთი რამ თავისუფლად შეიძლება ვივარაუდოთ სხვა (დანარჩენ) ენებშიც – კერძოს განზოგადების დონეზე მაინც, რა თქმა უნდა, წმინდა ფონეტიკური თვალსაზრისით.

უნდა გავითვალისწინოთ ერთი რამ. მართალია, ვამბობთ, რომ ესა თუ ის ენა ვერ იტანს თანხმოვნების, ანდა ხმოვნების თავმოყრას, მაგრამ ენის არსებობის მანძილზე ამგვარი კონცენტრაცია თანხმოვნებისა და ხმოვნებისა თავისთავად ხდება ამ ენისთვის მანამდე გაუთვალისწინებელ სიტუაციებში – სიტყვათ- თუ ფორმათწარმოების წყალობით. და ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს სხვადასხვა ფონეტიკურ პროცესსაც, მათ შორის, მაგალითად, ხმოვნების დიფთონგიზაციას, გრძელი ხმოვნებისა თუ გრძელი (ანდა ინტენ-

სიური) თანხმომცემების განვითარებას და ა. შ., მათ შორის კი – ხმოვანთგამყარო თანხმომცემებისა თუ თანხმომცემთგამყარო ხმოვანების განვითარებას.

ინტერგოკალური **ჟ** შეიძლება დროდადრო გამოჩნდეს ხოლმე ქართულ სალიტერატურო მეტყველებაში, თუკი ადგილი ექნება ხმოვანთა ჭარბ კონცენტრაციას. ასეთი **ჟ**-ს გამოჩენა შეიძლება ვარიანტული იყოს სამი ხმოვნის თავმოყრის შემთხვევაში:

გაუუბედურებია – [გაუუბედურებია / გაუუბედურებია],

გაუუშატიურებია – [გაუუშატიურებია / გაუუშატიურებია],

გაიოლები – [გაიოლები / გაიოლები]...⁴⁴

სამზე მეტი ხმოვნის თავმოყრისას ხმოვანთგამყარო **ჟ**-ს გაჩენა თითქმის გარდაუვალია, მით უფრო, თუ ადგილი აქვს ერთი და იმავე ხმოვნის მრავალჯერადობას:

გაუუუფლოება [გაუუუფლოება],

გაუუუფლაშობება [გაუუუფლაშობება]...

(თუმცა გვაქვს **მეჩაიება** [მეჩაიება], **მეჩაიები** [მეჩაიები] და სხვა).

ანალოგიური ფაქტი, ანუ ზედიზედ მისული ხმოვნებიდან ბოლო ხმოვნის არტიკულაცია ხან ბმულად (ლეგატოთი), ხანაც წყვეტილად (სტაკატოთი) გამოირიცხული არ არის, მაგალითად, რუსულშიც:

зооотделение: зоо[ʔт]деление / зоо[ʔт]деление

‘ზოოგანყოფილება’,

зоообъединение: зоо[ʔн]ъединение / зоо[ʔн]ъединение

‘ზოოგაერთიანება’...

სწორედ ასეთი **ჟ**-თი (ʔ-თი) დაწყებული არტიკულაცია აქვს ნებისმიერ ხმოვანს, რომელიც აღმოჩნდება არათუ ნებისმიერი სიტყვის, არამედ იმ მარცვლის ანლაუტში, რომელიც წერისას გადაგვაქვს სტრიქონიდან სტრიქონზე. ასეთივე არტიკულაცია აქვს ნებისმიერი სიტყვის ხმოვნით დაწყებულ ნებისმიერ ნაწილს (არა უსათუოდ მარცვალს, ან მორფემას), რომელიც გადატანილია სტრიქონიდან სტრიქონზე, თუკი მას წავიკითხავთ ისე, თითქოს საერთოდ არ გააჩნდეს პირველ სტრიქონზე დარჩენილი (დატოვებული) ნაწილი. ამ შემთხვევაში **ჟ**-თი დაწყებული არტიკულაცია ექნება სიტყვის იმ ნაწილსაც კი, რომელსაც სხვა დროს (მაგალითად, ხმოვანთა კონცენტრაციის შემთხვევაში)

44 აქაც და ქვემოთაც **ჟ**-ს მომდევნო ხმოვანი წარმოვთქვით ისე, როგორც წარმოვთქვამდით, თუკი მას დავიხმავდით სიტყვის თავში; შდრ.: **გაუუბედურებს** – **უბედურებს**.

არ ექნებოდა არავითარ შემთხვევაში (გავიხსენოთ მაგალითად, **მეჩაიება**, **მეჩაიები**). ეფექტი მით უფრო ცხადი იქნება, თუკი მეორე სტრიქონზე გადასული ნაწილი სიტყვისა თავის საზღვრებში შეიცავს ამა თუ იმ ლექსიკურ სემანტიკას. დავათვალიეროთ სიტყვის გადატანის ნიმუშები:

უბედურება	გა-
ურება	გაუშატი-
აიოლებს	გა-
ეობა	მეჩაი-
ები	მეჩაიე-

ახლა პირველ სტრიქონებზე დარჩენილი ნაწილები სიტყვებისა დავფაროთ და წავიკითხოთ მხოლოდ მეორე სტრიქონებზე გადატანილი ნაწილები:

უბედურება	
ურება	
აიოლებს	
და ა. შ.	

ვიღებთ არტიკულაციას:

უბედურება [ცუბედურება]	
ურება [ცურება]	
აიოლებს [საიოლებს]	
და ა. შ	

გამოდის, აქ იკარგება ე. წ. გარდამავალი ბგერა და სიტყვის მოცულობიდან „ამოჭრილ“ ნებისმიერ ხმოვანს (ჩვეულებრივ ხმოვანს) წარმოვთქვამთ ისე, როგორც წარმოვთქვამდით ანლაუტისეულ, ანდა იზოლირებულ მდგომარეობაში.

მეტი თვალსაზრისით ამ სიტყვების იგივე (გადატანილი) ნაწილები წავიკითხოთ ხან წინა ნაწილების გარეშე, ხან კი წინა ნაწილებთან ერთად. კიდევ ერთხელ დაფრწუნდებით იმაში, რომ წინა ნაწილების გარეშე წაკითხვის შემთხვევაში ხმოვნის წინ (შემართვაში) ჩნდება ის **ც** ბგერა, რომლის კვალიც კი არა ჩანს წინა ნაწილებთან ერთად წაკითხვისას.

ასეა (ასე უნდა იყოს) ნებისმიერ ენაში.

ასეთსავე შედეგს ვიღებთ, თუკი სიტყვის დამარცვლისას ესა თუ ის მარცვალი ჩვეულებრივი ხმოვნით იწყება. მაგ., ქართულ ენაში: **გა-იე-ლის** [გა-ყიე-ლის], **გა-ო-რე-ბა** [გა-ყო-რე-ბა], **გა-უ-გო** [გა-ყუ-გო] და სხვ. რუსულენაში: **не-у-да-ча** – не-[’у]-да-ча ‘წარუმატებლობა’, **за-оч-но** – за-[’оу]-но ‘დაუსწრებლად’, **не-ис-крен-ний** – не-[’ис]-крен-ний ‘არა-გულწრფელი’ და ა. შ.

მართალია, თუ შერეოვანი **ლაყარ** ‘სურვილი’ სიტყვა მორფოლოგიურად შედგება **ლაყ-** და **-არ** სიდიდეებისგან, სადაც **ლაყ-** არის ლექსიკური ელემენტი, **-არ** კი გრამატიკული ელემენტი და ასეა ეს სხვა შემთხვევაშიც

(ჭრელაშვილი, 1975), მაგრამ ამ სიტყვის მარცვლებად დაშლისას წინა პლანზე იწევს არა მორფოლოგიური, არამედ ფონეტიკური ფაქტორი: „სონორობის თეორიის“ თანახმად, რომელიც ამ შემთხვევაში არ ეწინააღმდეგება „ჯახების თეორიას“, სიტყვა დამარცვლება ასე: **ლა-ყარ**⁴⁵.

საკითხის შესწავლის გასაადვილებლად, როგორც **გ. ახვლედიანი** იტყოდა, ხელოვნურად, განზრახ დამარცვლოთ ეს სიტყვა სხვაგვარად ანდა, უბრალოდ, დაფუძვით, რომ აქ ჩატარებული დამარცვლა არ არის სწორი და მიემართოთ სხვაგვარს.

მანამდე შევნიშნოთ, რომ ტექნიკური თვალსაზრისით, სიტყვების დაყოფა მარცვლებად თითქმის იგივეა, რაც მისი დაყოფა ფონემებად: დანაწევრებულია სიტყვის არტიკულირება ფონემის დონეზეც, მარცვლის (მორფემის) დონეზეც. მაგ., სიტყვა **საზომი** შეიძლება დავანაწევროთ ასე: **საზომ-ი, საზომ-ი, სა-ზომ-ი, ს-ა-ზ-ომ-ი-ი**. აქ ყოველ ნაწილს თავისი საკუთარი არტიკულაცია აქვს თავისი საკუთარი შემართვით, დაყოვნებითა და დამართვით. ამიტომ ყოველი ნაწილის შემდეგ (და, მაშასადამე, წინაც) ნებისმიერი მოცულობის პაუზა რომ გაკეთდეს, დანაწევრებულ სიტყვას მთლიანობაში აზრი არ ეკარგება, ე. ი. არაფერი არ შავდება, თუ, რა თქმა უნდა, დანაწევრება სწორად იქნება გაკეთებული (ნაკლებ დამაჯერებელი და უფრო მძიმე მოსასმენი იქნება, მაგალითად, ასეთი დაყოფა: **საზ-ომ-ი** ან **ს-აზომი**). მოკლედ, ამ თვალსაზრისით, მართლაც მისაღებია დაყოფა **ლა-ყარ: *ლა...ყარ** (მრავალწერტილით გადმოცემულია პაუზა მარცვალსა და მარცვალს შორის).

ახლა იგივე სიტყვა, პირობისამებრ, ხელოვნურად დაფუძვით სხვაგვარად, არასწორად, დაფუძვით, ასე: **ლაყ-არ**.

რას ვიღებთ?

აქ, წარმოდგენილი მსჯელობის თანახმად, უკვე არსებული **ც-** შემდეგ ჩნდება კიდევ ერთი – ფონეტიკური – **ც:**

არ [ყარ]	ლაყ-
--------------------	-------------

სხვაგვარად მომდევნო გრამატიკულ **-არ** ელემენტს სხვაგვარად ვერ

45 **ც-**ს მიმყოფი თანხმოვნის გაჩენის შემთხვევაში მარცვალთვასაყარი წინ გადაადგილდება: **ლოყდარ** ‘მოსურვება’ – **ლოყ-დარ**.

წარმოვთქვამთ, რადგან დამარცვლისას ისეთსავე შედეგს ვიღებთ, როგორც მივიღეთ ხმოვანზე დაწყებული ნაწილის მეორე სტრიქონზე გადატანისას; შდრ:

გა-
უბედურება
[უბედურება]

მეორე **ქ**-ს გაჩენა ***ლაქ-არ** შემთხვევაში შედეგია მისი არასწორად დამარცვლისა (ანდა გადატანისა), რაც უკვე გარეგნულადაც ეწინააღმდეგება როგორც ლექსიკურ, ისე მორფოლოგიურ არსს. მაგრამ ამავე არასწორმა დამარცვლამ მიგვიყვანა იმ უბრალო ჭეშმარიტებად, რომ ნებისმიერი ჩვეულებრივი ხმოვანი, თუ მას მოვაცოლებთ მარცვლის, ანდა გადატანილი ნაწილის თავში, მართლაც ძლიერი (მაგარი) შემართვისა ყოფილა, ანუ ანლაუტის ჩვეულებრივი ხმოვანი შეიცავს საწყის **ქ** ბგერას (ხშილ ლარინგალურ თანხმოვანს).

იმ ენებში, სადაც ფონემის სახით **ქ** საერთოდ არ ფიგურირებს, ანალოგიურ სიტუაციებში არავითარი ზიანი არ მოაქვს ასეთი **ქ**-ს გაჩენას ხან აქ, ხან იქ: დამარცვლისას, სიტყვის გადატანისას და ა. შ. მაგრამ თუშურ ენაში, სადაც **ქ** ფონოლოგიური სიდიდეცაა, მისი ასეთი ზედმეტობა აშკარად ზედმეტ ტვირთად აწევს სიტყვასაც და ყურსაც, რადგან, თუკი პაუზას მინიმუმამდე შევამცირებთ, მიიღება თუშური ენისთვის სრულიად უცხო და მიუღებელი სიდიდე ***ლაქსარ**. მეტიც: სხვა დროს ამან შეიძლება ფონოლოგიური დაპირისპირებაც გამოიწვიოს. თუკი, მაგალითად, დავმარცვლავთ **ხქ** 'ხე' ლექსემის **ხეჲ** 'ხეც' ფორმას (**ხე-ჲ**) და მეორე (-**ჲ**) მარცვალს წარმოვთქვამთ აქ აღწერილი სიტუაციის შესაბამისად – მარცვლის თავში მოყოლილი ხმოვნის ბუნების გათვალისწინებით, მივიღებთ **ხე-ქჲ**, ანუ **ხე...ქჲ** 'იცის და...' სიტყვა-ფორმას.

მაშ: ანლაუტის ანდა იზოლორებული ჩვეულებრივი ხმოვანი, უთუოდ ძლიერშემართვიანია (არა მხოლოდ თუშურ ენაში).

ხელს არ შეგვიშლის, პირიქით, თვალის გადავლება იმ ზოგიერთი ფონეტიკური პროცესისთვის, რასაც ადგილი აქვს **ქ**-სთან დაკავშირებით ინტერფერენციის ფონზე.

ინტერფერენციის გზით თუშურ ენაში კარგად არის უკვე დამკვიდრებული ისეთი სიტყვები, როგორცაა **ამაყ** 'ამაყი', **ერთნადრქ** 'ერთნადრი, ერთიანი',

იაფ 'იაფი', **ოცბალა** 'ოცდება', **უბედურ** 'უბედური', **ურემ** / **ურუმ** 'ურემი' და ა. შ. აქ, იმის წყალობით, რომ თუშურ ენაში დღემდე თითქმის ურყევად მოქმედებს ხმოვანთა გაყრის წესი, ფორმათ- თუ სიტყვათწარმოების პროცესში ორ ხმოვანს შორის უთუოდ ჩნდება (თავისუფლად შეიძლება გაჩნდეს) არაფონოლოგიური ხმოვანთგამყოფი **ქ** – იმ შემთხვევაშიც კი, როცა თვით მაწარმოებელიც ქართულენოვანია: **გამყებადალარ** / **გაცამყებადალარ** 'გაამაყება', **გაერთიანებადალარ** / **გაცერთიანებადალარ** 'გაერთიანება', **გაიფებადალარ** / **გაცაიფებადალარ** 'გააფება', **გაოცებადალარ** / **გაცოცებადალარ** 'გაოცება', **გაუბიდრებადალარ** / **გაცუბიდრებადალარ** 'გაუბედურება', **დაუთადარ** / **დაცუთადარ** 'დაუთოება', **მეურმ** / **მეცურმ** 'მეურმე', **მეეზოვ** / **მეცეზოვ** 'მეეზოვე', **საოცარ** / **საცოცარ** 'საოცარი' და ა.შ.

ვერ ვიტყვით, რომ ყოველთვის ასეა, მაგრამ ხმოვანთა ამგვარი დაჯახების შემთხვევაში თუშურენოვანი მეტყველებს ამჯობინებს მათ „დაზავებას“, რისთვისაც „შუამავლად უხმობს“ **ქ**-ს.

უფრო მეტი: ამ და ამგვარ ფორმებში არც ქართული სალიტერატურო ენისთვისაა მიუღებელი წმინდა ფონეტიკური მისიის მატარებელი ინტერვოკალური **ქ**-ს გამოჩენა; შეიძლება წარმოვთქვათ ორგვარად: **გამამყება** / **გაცამყება**, **გაერთიანება** / **გაცერთიანება** და ა. შ., სადაც **ქ**-ს მიმყოლი ხმოვანი წარმოითქმის და ისმის ისევე, როგორც წარმოვთქვამთ და გვესმის სიტყვის თავში, ანდა დამარცვლა-გადატანისას.

ერთობ საინტერესოა ის ფაქტი, რომ ინტერფერენციის პროცესში ქართულიდან შემოსული სიტყვების აუსლაუტში ფუძისეული ხმოვნის მიმყოლ შეიძლება გაჩნდეს ფუძისეული ბოლოკიდური (ამჯერად უკვე ფონოლოგიური) თუშურენოვანი **ქ**, ოღონდ ფლექსიისეული არაციონალური ხმოვნის დართვით⁴⁶ – იქნებ იმიტომ, რომ თუშური ენის არაციონალური ხმოვანი ფუნქციონირებს მხოლოდ თანხმოვნის მიმყოლ (ბართიშვილი, 1995, 88-105; ბერთლანი, 2012); ამასთანავე, ქართული ფუძისეული ხმოვანი შეიძლება შეცვალოს თუშურენოვანმა ხმოვანმა: ქართ. **ბამბა** > თუშ. ენ. **ბამბასარ**, **გოშია** > **გუმშასარ**, **ენძელა** > **ქძლასარ**, **თათარა** > **თათრასარ**, **კერა** > **კერასარ**, **კოდლა** > **კოდლასარ**, **კოკურა** > **კუმჭრასარ**, **პიტნა**

46 აქ არაციონალური ხმოვნის წინ მოყოლილ ფუძისეულ **ქ**-ს ბოლოკიდურს ვუწოდებთ იმ გაგებით, რომ, როგორც ადრეც შევნიშეთ (ბართიშვილი, 1995; ბერთლანი, 2012), დღევანდელ რწმულ მეტყველებაში ბოლოკიდური არაციონალი, როგორც წესი, იკარგება.

> პიტნაყრ, ტაფა > ტაფაყრ, ტოროლა > ტოროლაყრ, ჩარქა > ჩარქაყრ, ჩონა > ჩონაყრ, ჩურჩხელა > ჩურჩხელაყრ, ხელადა > გელდაყრ და სხვ.

ასეთი ფუძისეული **ყ** დამახასიათებელია თვით თუშური ენისათვის – მომდევნო ფლექსიისეული არაციონალური ხმოვნით, ანდა მის გარეშე (არა მარტო სახელებში): გაგაყრ ‘შეცელი’, გუგაყრ ‘თოჯინა’, ვაშლაყრ ‘ძაძიკო’, მაშლაყრ ‘დაიკო’, ქაძვებრაყრ ‘ობობა’, ღჷკლაყრ ‘განუვითარებელი, მკარე რამ ნაყოფი’, შილაყრ ‘ღვიდა შვილი’, ხორმაყრ ‘ცეცხა’, გირჩლაყრ ‘ხირჩლა’ (ანთროპ.), დახეყრ / დახაყრ ‘ამიტომ, იმიტომ’, მოყრ ‘ისე, უბრალოდ’ და სხვა.

ინტერფერენციის პროცესში ასეთი **ყ** რქმევის საკუთარ სახელებში ზოგჯერ კნინობით სემანტიკას ატარებს: ქართ. სვიმონი / სიმონი > თუშ. ენ. სუიმჷ / სუიმანჷ, მაგრამ კნინ. სუიმნაყრ; ლევანი > ლევჷ, მაგრამ ლევნაყრ; გოგი > გუგჷ, მაგრამ გუგაყრ და სხვ.

ფაქტობრივად ხმოვანთგაყრას წარმოადგენს, სხვას არაფერს, ისეთი ფონეტიკური მოვლენა ფრანგულ ენაში, როგორცაა **ლიეზონი**, რაც გულისხმობს თანხმოვნის ჩართვას **პიატუსის** (ორი ხმოვნის უშუალო მეზობლობის) თავიდან ასარიდებლად: nous[nu] ‘ჩვენ’ + allons[alɔ] ‘მოდევართ’ > nous allons[nuzalɔ] ‘ჩვენ მოდევართ’, სადაც სახეზე გვაქვს სიტუაციის კვალობაზე დამეზობლებული **u** და **a** ხმოვნების გამყარი **z** (გამჟღავნებული **s**).

ამრიგად, ნაწილობრივ გაგარკვეით **ყ** ბგერის ზოგაერთი ნიშანი. გაუგებარი დარჩა ჯერ კიდევ ბევრი. ერთი რამ კი არ შეიძლება სწორი და გასაგები არ იყოს: **კ. ჭრელაშვილის** მიერ ჩატარებული პარადიგმატულ-დისტრიბუციული ანალიზის თანახმად, მარტივი (ძრეული) მორფემის ფარგლებში თუშური ენის **ყ**, როგორც ფონემა, „ფუნქციონირებს მხოლოდ აუსლაუტში“ (ჭრელაშვილი, 1975). ასე უნდა იყოს ჩანსურშიც, ინგუშურშიც.

3. $\text{E} = \text{ყ} + \text{მ}$, ანუ $\text{E} = \text{ყ} \ \& \ \text{მ}$

§1 (6). **E-ს არტიკულაციის აღწერის ცდა (გზაკვლევა ფორმულისკენ $\text{E} = \text{ყ} + \text{მ}$, ანუ $\text{E} = \text{ყ} \ \& \ \text{მ}$).**

თუშური ენის **E** ბგერაზე საკმაოდ ბევრია თქმული (Schiefner, 1859; Guel-denstaedtius, 1962; უთურგაძე, 1966; ჭრელაშვილი, 1975 და სხვ.), თუმცა ყველაფერი არა.

როგორც **კ. ჭრელაშვილიც** შენიშნავს, გარკვეულ ინტერესს იწვევენ თუშური ენის „ფონეტიკური სისტემის ერთეულები – ფარინგალები და ლარინგალები, როგორც კერძო, ისე ზოგადი თვალსაზრისით“ (ჭრელაშვილი, 1975, 30). მათ შორისაა სწორედ თუშური ენის **E-ც**. „ეს ინტერესი შეპირობებულია, პირველ რიგში, იბერიულ-კავკასიურ ენათა დიაქრონიული პრობლემატიკის თვალსაზრისით, ხოლო, მეორე მხრივ, ენათა სტრუქტურულ-ტიპოლოგიურ მსგავსებათა თვალსაზრისით; მხედველობაში გვაქვს სემიტური ენები, სადაც აღნიშნული ტიპის ფონეტიკური ერთეულები ფონოლოგიის დონეზე ინტერპრეტირდება, როგორც ფონემური ერთეულები; ხოლო ინდოევროპულ ენათა განვითარების უძველეს საფეხურზე ზოგი მეცნიერი ვარაუდობს ლარინგალურ ფონემურ ერთეულებს“ (იქვე).

თუკი **E-ს** მივუდგებით როგორც ფიზიკურსა თუ ფსიქოფიზიოლოგიურ, ანუ ფონეტიკურ სიდიდეს (ერთეულს), თუშურენოვან მეტყველებაზე ცოცხალი დაკვირება გვიჩვენებს, რომ, თუმცა მისი ფონოლოგიური სახე საკმაოდ დამკამყოფილებლად არის წარმოდგენილი ბაცბოლოგიაში, მაგრამ ბოლომდე მაინც არ უნდა იყოს გახსნილი როგორც ფონეტიკური (ფიზიოლოგიური), ისე ფონოლოგიური (სოციალური) თვალსაზრისით. ამიტომ **E** აქ გვაინტერესებს როგორც ფონოლოგიური, ისე წმინდა ფონეტიკური თვალსაზრისით.

კ. ჭრელაშვილი სრულიად სამართლიანად შენიშნავს, რომ ამ ბგერის „ფონეტიკური დახასიათება გარკვეულ სიმნელეებთანაა დაკავშირებული“, რაც „გამოწვეულია იმით, რომ მისი წარმოების ადგილი ფარინქსის უკანა არეშია მოთავსებული“, „რაც აძლევს მისი არტიკულაციის ზუსტ დადგენას“ (ჭრელაშვილი, 1975, 31-32). მიზეზი მარტო ეს არ უნდა იყოს.

მიუხედავად თქმულისა, ბაცბოლოგია ასე თუ ისე მაინც იძლევა აღნიშნული ბგერის გარკვეულ ფონეტიკურ დახასიათებას: იგი „წარმოება ენის ძირის მიბჯენით ფარინქსის უკანა კედელთან; **E-ს** არტიკულაცია იმდენად ახლოსაა ლარინქსის უკანა კედელთან, რომ მისი წარმოებისას მოძრაობს ბექტისებრი ხრტილი, რაც აშკარად იგრძნობა ხელის შეხებისას; ამიტომ შეიძლება დაგვეშვა, რომ მისი არტიკულაცია ხდება ფარინქსისა და ლარინქსის საზღვართან“ (ჭრელაშვილი, 1975, 32).

თუშური ენის **E** სწორედ ის ბგერაა, რომელიც, **გ. ახვლედიანის** სიტყვებით რომ ვთქვათ, არაბულში ცნობილია **ჰამზათ**-ის სახელწოდებით (ახვლედიანი,

1966, 105). ვფიქრობთ, ეს სწორედ იმ ანლაუტისეული მოცემულობის შემაღ-
გენელოცაა, ზოგჯერ რომ გვესმის ხოლმე დაჟინებულად თქმულ **არა**-ში
(**ცარა**-ში). სულ სხვა საქმეა აუსლაუტის **ც** ქართულში: **აც**, **არაც**.

როგორც ითქვა კიდევაც, **ი. დეშერიევის** აზრით, თუშურ ენაში **ღ** გადადის:

ა) ერთ შემთხვევაში „ღრმადუკანა რიგის“ **ა**-ში (მისი აზრით, ამბობენ
ღალნი და **ალნი** *‘აღვანში’* **ess**.);

ბ) მეორე შემთხვევაში **ჭ**-ში (რადგან, მისივე თქმით, თუშური ენის
გოჭ *‘გაჭი(შვილი)’* ფორმას დანარჩენ ნახურ ენებში შეესატყვისება **გონ**);

გ) მესამე შემთხვევაში **შ**-ში, რისთვისაც მკვლევარი თვალსაჩინოებას არ
წარმოგვიდგენს (Дешериев, 1953, 29).

მოკლედ, **ი. დეშერიევის** მიხედვით, თუშურ ენაში ადგილი აქვს მოვლე-
ნებს:

ა) $\text{ღ} >$ „ღრმადუკანა“ **ა**,

ბ) $\text{ღ} >$ **ჭ**,

გ) $\text{ღ} >$ **შ**, ანუ :

$$\text{ღ} > \begin{cases} \text{„ღრმადუკანა“ } \text{ა} \\ \text{ჭ} \\ \text{შ} \end{cases}$$

თუმცა **თ. უთურგაიძე** ვრცლად იმსჯელა **ი. დეშერიევის** მიერ **ღ** და **ც**
(**ა** და **ც**) ფონემების აღრევაზე თუშურ ენაში (უთურგაიძე, 1966), მაგრამ,
ჩანს, კიდევ არა ერთხელ მოგვიწევს ამ საკითხებთან მობრუნება.

სამეტყველო მოვლენათა განვითარებაზე ცოცხალი დაკვირვება საკმაო
საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ **ღ**-ს არტიკულაციასთან თუ რაობასთან
დაკავშირებით გარკვეული აზრი ჩამოგვიყალიბდეს.

ემოციური (ექსპრესიული) მეტყველების დროს ადგილი აქვს ხოლმე ამა
თუ იმ ბგერის (ხმოვნის, ან თანხმოვნის) გაგრძელებას, გაწეღვას, „გაჭი-
ანურებას“ სიტყვაში, რაც ხაზს უსვამს ამ სიტყვის მნიშვნელობას. მაგ.: **სს-**
სულაც არ წავალ! რრრამდენჯერ მითქვამს შენთვის ეს! და სხვ. ამგვარადვე
შეიძლება წარმოითქვას ისეთი თუშურენოვანი სიტყვები, როგორიცაა,
გზალაც ‘სულაც’, ბზა ‘სულ, მოდამ’ და სხვ., თუკი საჭიროდ ჩავთვლით
შ-ს გაგრძელებას: **გზშშალაც ‘სსსულაც’, ბზშშა ‘სსსულ, მშშმოდამ’**. მაგ.:
გზშშალაც ცრმ ხაწვებ ი სტაკონ, დოჭ! ‘სსსულაც აღარაფერი ესმის ამ კაცს,
ქა!’, ბზშშა ლიას, დოჭ, მა დუნოჲ, თურიგი ხაწ ი ვაჭონ! ‘სსსუ ვეუბნები, ქა,

ნუ შერები-მეთქი, და განა ესმის ამ ბიჭს!’, ცო ვასტა სოხა, დეჲ, გზშშიგწ
ოაქ სოქ ესევ ‘არ გამანება თავი, კაცო, ოთხხჯერ მომადგა აქ’ და ა. შ.

ასეთივე გაწეღვა შეიძლება თავკიდური **შ** თანხმოვნისა სიტყვაში **შოოო!**
‘გააა!’, შშშოოო! ‘ვევეაა!’ და სხვ.

სწორედ ასეთი – გაგრძელებული – **შ** ბგერა ისმის ექსპრესიულად წარ-
მოთქმულ ისეთ თუშურენოვან სიტყვებში, სადაც ამ ბგერის აღმნიშვნელი
გრაფემა ვიზუალურად (გრაფიკულად) საერთოდ არ ფიგურირებს: **ღაჲ! ‘აჲ!’**
უჲ! გიშ!’, ლაცჭაჲ ‘მთელი ზამთარი’ და სხვ. მაგრამ როგორ უნდა გადმოვცეთ
ასეთი ექსპრესია გრაფიკულად ასეთ შემთხვევაში? ანდა როგორ და რატომ
იწელება ის, რაც საერთოდ არ ჩანს დაწერილში? საიდან და რატომ უნდა
გაჩნდეს გრაფიკული **შ** სიტყვა-ფორმებში **ღაჲ** და **ლაცჭაჲ**?

აღრევე ითქვა (ბერთლანი, 2012), რომ **ღ** შედგება **ც** და **შ** ბგერებისაგან, ანუ
 $\text{ღ} = \text{ც} + \text{შ}$ ანუ $\text{ღ} = \text{ც} \& \text{შ}$.

ამ ორი შესაგრებიდან (**ც** + **შ**) მსკდომი **ც**-ს არტიკულაცია ასე თუ ისე უკვე
დავახასიათეთ. რაც შეეხება **შ**-ს, ის არის მჟღერი ფარინგალური სპირანტი და
მისი გაფორმება ხდება „ექსპირატორული არხის იმ წერტილში“, სადაც „ენის
ძირსა და ფარინქსის უკანა კედელს შორის რჩება ნაპრალო“ და მისი წარ-
მოთქმისას „სახმო სიმები პერიოდულად ირხევა“ (ჭრელაშვილი, 1975, 33).

ისე რომ, თუკი $\text{ღ} = \text{ც} + \text{შ}$, მაშინ გამოდის, რომ **ღ**-ს წარმოთქმამდე სახმო
სიმები დახშულია **ც**-სთვის, მაგრამ, როგორც კი სახმო სიმებს განგახშობთ
და წარმოვთქვამთ **ც**-ს, მას მყისვე მოსდევს **შ** – ენის ძირსა და ფარინქსის
უკანა კედელს შორის არსებული ნაპრალის წყალობით. აბრუბტივი **ც**-სგან
განსხვავებით, **შ** სპირანტია, რაც იმას ნიშნავს, რომ **შ**-ს არტიკულაციის
დროს ექსპირატორული არხის იმ მონაკვეთში, სადაც **შ** ფორმდება (ყალი-
ბდება), უნდა მოხდეს სახმო სიმების პერიოდული რხევა. სპირანტი **შ** ამავე
დროს მჟღერიცაა. ის იმდენად არის სპირანტი და იმდენად არის მჟღერი, რომ,
თუკი მისი არტიკულაციის არეში დასახელებულ სამეტყველო ორგანოებს
კონფიგურაციას არ შეგუცვლით, მისი გაგრძელება (გაწეღვა) იმდენსავე
ხანს შეიძლება, რამდენ ხანსაც შეგვიძლია გავაგრძელოთ, მაგალითად **რ**
(**რრრ**), **ლ** (**ლლლ**), **ჟ** (**ჟჟჟ**) და ა. შ. მეტიც: **შ**-ს გაგრძელება იმდენსავე ხანს
შეიძლება, რამდენ ხანსაც შეიძლება ნებისმიერი ხმოვნის გაგრძელება.

აქ ყურადღასღება ერთი რამეც.

არაფარინგალური თანხმოვნებისგან განსხვავებით, **შ**-ს, როგორც ფარინგა-

ლის, არტიკულაცია იძლევა იმის საშუალებას, რომ სამეტყველო აპარატს (პირ-სა და ენას) წინასწარ მივადებინოთ ნებისმიერი ხმოვნისთვის საჭირო კონფიგურაცია. თუკი ამგვარად წარმოვთქვამთ გამრავალმაგებულ მზმ-ს, მივიღებთ ამ მზმ-სა და შესაბამისი ხმოვნის ერთდროულ, პარალელურ არტიკულაციას⁴⁷:

მზმააა, მზმეეე, მზმიიი, მზმოოო, მზმუუუ.

ამათგან (ხაზებით ნულარ დაფაშიმებით ტექსტს) **მზმააა, მზმოოო, მზმუუუ** სიდიდეები წარმოადგენენ გაკვირვება-გაოცების გამომხატველი **მააა! მოოო! მუუუ!** შორისდებულების ექსპრესიულ ფორმებსაც⁴⁸.

და საერთოდ, **კ. ჭრელაშვილის** დისტრიბუციული ანალიზის თანახმად, „ზ ბგერა ძირითადად ფუნქციონირებს მჟღერი ხშულებისა და ნაზალების მომღევნო პოზიციაში“ (ჭრელაშვილი, 1975, 33).

სწორედ თავიდანური **ც**-თი უნდა გადმოვცეთ ტრანსკრიფციაში **ნაჟ!** ‘**აჟ!** **უი!** **ვი!**’, **ნაცჰაჟ** ‘**მთელი ზამთარი**’ და ა. შ. ლექსემების ექსპრესიული ფორმებიც გაგრძელებული (ექსპრესიული) **მზმ**-ს დართვით: **ცმზმაააჟ!** ‘**აააჟ! უუუჟ! ვიიი მშშშ!**’, **ცმზმაააჰაჟ** ‘**მთელი ზამთარი**’...

ნეიტრალურ (არაექსპრესიულ) ვითარებაში გვექნება სურათი: **ნაჟ!** [ცმაჟ], **ნაცჰაჟ** [ცმაცჰაჟ].

ბგერათა ასეთი – **ცზ** – დამეზობლება არ ეწინააღმდეგება თუ შორენოვან დისტრიბუციას: **ზ** ბგერა „გვხვდება გლოტალთა მეზობლობაშიც (ჭრელაშვილი, 1975, 33).

ხაზის გასასმელად იმისთვის, რომ ძალზე ბასრი უნდა იყოს დანა, რომ ძალიან გარბოდა ვიღაცა, თუ შური ენის მატარებელი **ნირი** ‘**ბასრი**’, **ნითი** ‘**სირბილით**’ ლექსემებს არტიკულაციურად :უთუოდ ასე გაათვლინებს: **ლით თეტანანნ ნეკ ცმზმიირი** **დევ** **ხიუ** ‘**ხორცის დასაჭრელად დანა ძაალიან ბასრი უნდა იყოს**’, **ცმზმიირითი** **ვეყნას** **ვევბერნა** ‘**სსსირბილით ამოველი ხეობიდან**’.

როგორც ვხედავთ, ამგვარ ფორმებს გრაფიკულად (ტრანსკრიფციაში) სხვაგვარად ვერც გადმოვცემთ, თუკი **ნ** გრაფემას (ბგერას) არ წარმოვად-

47 ერთდროულობა აღენიშნოთ მთლიანი პარალელური ხაზებით გრაფემების თავზე.
48 თუკი ამ წარმონაქმნიდან **მზმააა**-სა და **მზმეეე**-ს წინ დავერთავთ **ბ** ან **მ** თანხმოვნებს, ვიღებთ ცხვრის ბლავილის იმიტაციას, ანუ ხმაბაძვით სიტყვებს **ბმზმააა / მმზმააა, ბმზმეეე / მმზმეეე**. აქედან უნდა იყოს ჩამოყალიბებული თუ შურ ენაში ლექსემა **ბმეეე** ‘**ცხვარი**’ (ბავშვის ენაზე); არ არის გამორიცხული ქართულენოვანი **ბლავილი** სიტყვაც მომდინარეობდეს სწორედ **ბმზმააა** სიდიდიდან, ოღონდ **მ** > **ლ** პროცესის გათვალისწინებით: თუ შურ ენაში ცოცხლობს გამოთქმა **ბლავანტიარ** ‘**ცხვრის გაწყვეტა, გამოღეფა იჯახში**’, ანუ ‘**გაწყვეტა იმისა, რაც ბლავის (შღრ.: ბმზმააა)**’.

გენტ **ც**-სა და მისი მომდევნო გამრავალმაგებული **მზმ**-ს სახით, რომელთაგან მანამდე არც ერთი არ ჩანდა **ნ** ასოში. ეს კი თავისთავად გულისხმობს **ნ**-ს დაშლის შესაძლებლობას **ც** და **მ** სიდიდეებად.

ახლა ვისაუბროთ **ნ**-ს შემადგენელი **ც** და **მ** კომპონენტების გამოვლენის იმ გზებზე, რომელთა მიკვლევაც ამ ეტაპზე უკვე შესაძლებელიცაა და საჭიროც: ისინი გამოვადგება ჩვეულებრივი ხმოვნების დასახასიათებლადაც.

სიტყვის ბგერაბმული (ჩვეულებრივი) წარმოთქმისას არავითარ ეჭვს არ იწვევს **ნ** თანხმოვნის მონოფონიზმი (ბერძნ. **monos** ‘ერთი’ და **phone** ‘ბგერა’). მაგრამ თუ გულისხმობთ ჩაფიქრებულ მის არსში, უსათუოდ მივალოთ იმ უბრალო დასკვნამდე, რომ ეს ბგერა ნამდვილად ბიფონია (ლათ. **bis** ‘ორჯერ’ და ბერძ. **phone**), ანუ კომპოზიტია და უპრობლემოდ შეიძლება მისი დაშლა, „გახლეჩა“ **ც** და **მ** (ანუ **ც & მ**) კომპონენტებად, რომლებისგანაც იგი შედგება⁴⁹.

აქ ცოცხალი სამეტყველო ფაქტების მოშველიებითა და თეორიული მსჯელობის გზით ვეცდებით დავადასტუროთ ეს საინტერესო დებულება (**ნ** = **ც** + **მ**, ანუ **ნ** = **ც & მ**). ამ საქმეში არცთუ ცუდი შედეგი უნდა მოგვცეს თეორიული მსჯელობის ისეთმა ხერხებმა, რომელსაც პირობითი **შიზოფონია** ეუწოდეთ. **შიზოფონიაში** გულისხმობთ ამა თუ იმ ბგერის დაშლას მის შემადგენელ კომპონენტებად (ბერძ. **schiso** ‘გხლეჩი, გწყეჩი’ და **phone**). ჩვენი მიზანია – ბგერა დავშალოთ მის შემადგენელ ნაწილებად, რათა გაგვიგოთ, რა ხდება მის შიგნით.

ნ-ს დაშლაში, ანუ **შიზოფონიაში**, თავის მხრივ, დაგვეჩვენება ისეთი მომენტები, როგორიცაა: 1. მორფოლოგიური სინამდვილის ანალიზი და 2. უბრალო აკუსტიკური დაკვირვება, სადაც მოგვიწევს ყურადღების გამახვილება: ა) სამეტყველო ექსპრესიაზე, ბ) შემთხვევაზე, როცა **ც**-ს ადგილს სხვაგან (სხვა ლექსემაში) იჭერს სხვა თანხმოვანი და გ) შემთხვევა, როცა სახეხეა ოკლოზია. დავიწყეთ მორფოლოგიური ანალიზი.

49 დამოუკიდებლად მივედით რა იმ მოსაზრებამდე, რომ თუ შური ენის **ნ** შედგება ამ ორი კომპონენტისგან და, მასადაძვე, **ნ** ბგერის დაშლადობას ვთვლიდით რა საკუთარ მიგნებად, ორმაგი კმაყოფილება განვიცადეთ, როცა აღმოჩნდა, რომ მრავალი წლით ადრე იგივე მოსაზრება ჰქონია ჩამოყალიბებული **მ. მიქელაძეს**, თუმცა მას ამ საკითხზე არ მოუშვადებია სპეციალური პუბლიკაცია. ამ აღმოჩენამ მხოლოდ გაგვიმაგრა პოზიცია და გაგვიკაფა საკვლევაძიებო გზა.

თუკი ერთმანეთს შევადარებთ თუშური, ინგუშური და ჩაჩნური ენების ჩვენთვის საინტერესო მასალას, **ღ**-ს თავისთავად დავინახავთ „გახლეჩილს“ **ც** და **ძ** შემადგენელ კომპონენტებად, სადაც, ამავე დროს, თავს იჩენს მეტათეზისც⁵⁰:

ჩაჩნ.	ინგ.	თუშ.	მნიშვნელობა
დონახ	-	დშეც < დშეცა	‘ღვიძლი’
დან	დანა	დშაც < დშაცა	‘წყლოული’
მანა	მუნა	მშაცრ / მშაცრუ < მშაცა	‘რქა’

თუკი წინასწარ დავუშვებთ $\text{ღ} = \text{ც} + \text{ძ}$ ფორმულებს, რომლის დამტკიცებაც ამ მსჯელობის მიზანია, ინგუშური და ჩაჩნური ლექსემები შეიძლება წარმოვადგინოთ ასე:

ჩაჩნ. [დოცშახ] ‘ღვიძლი’; [დაცშ] ‘წყლოული’; [მაცშა] ‘რქა’
 ინგ. - - ; [დაცშა] ,, [მუცშა] ,,

მიღებული ფორმები შევადაროთ თუშური ენის ფორმებს:

‘ღვიძლი’ $\left\{ \begin{array}{l} \text{ჩაჩნ. [დოცშახ] შდრ.: თუშ. დშოჟც[ჟ] ‘ბოყინი,} \\ \text{(რაც პირდაპირ კავშირში შეიძლება} \\ \text{იყოს ღვიძლის ძვლომარეობასთანაც)} \\ \text{ინგ. -} \\ \text{თუშ. დშეცა} \end{array} \right.$

‘წყლოული’ $\left\{ \begin{array}{l} \text{ჩაჩნ. [დაცშ]} \\ \text{ინგ. [დაცშა]} \\ \text{თუშ. დშაცა} \end{array} \right.$

‘რქა’ $\left\{ \begin{array}{l} \text{ჩაჩნ. [მაცშა]} \\ \text{ინგ. [მუცშა]} \\ \text{თუშ. მშაცრუ / მშაცა} \end{array} \right.$

ინგუშური და ჩაჩნური ენების **ღ**-ს (**ცშ**-ს) თუშურ ენაში გხვდავთ თა-

50 ჩაჩნური და ინგუშური მაგალითები აღებულია წყაროდან – ჭრელაშვილი, 1975.

ვისთავად დაშლილს ცალკეულ **ც** და **ძ** ბგერებად იმ გაგებით, რომ ჩაჩნურ-ინგუშურ [ცშ] დისტრიბუციას თუშურ ენაში შეესაბამება **ძVც** მეტათეზისური დისტრიბუცია⁵¹.

მორფოლოგიური სინამდვილის თვალსაზრისით, **ც** და **ძ** სიდიდეების გამოსავლენად **ღ**-ს შემადგენლობიდან საუკეთესო მასალას უნდა წარმოადგენდეს აგრეთვე ‘მოკვლა / კვლა’ მასდარის ეკვივალენტები თუშურ ენაში. აქ უსრული ასპექტის ფორმის სახით გვაქვს **წავარ** ‘კვლა’, სრული ასპექტის ფორმის სახით კი – **დშეწარ** ‘მოკვლა’ (დანარჩენ კლასებში: **ვშეწარ**, **მშეწარ**, **ბშეწარ**). ბოლო **-არ** ყველგან წარმოადგენს სახელზმნის საწყისი ფორმის მარეგულირებელს, სრული ასპექტის ფორმებში კი თავკიდური **დ-**, **ვ-**, **მ-**, **ბ-** წარმოადგენენ გრამატიკული კლასის ფორმანტებს:

$\left. \begin{array}{l} \text{წავ-არ} \\ \text{დ-შეწ-არ} \end{array} \right\} \text{ ‘კვლა’}$

ანალოგიურ სურათს იძლევა მორფოლოგიური ანალიზი სიტყვისა **წადარ** / **დშეწადარ** ‘მწეველეა; მოყოლება / დამწეველეა; მოყოლება’:

$\left. \begin{array}{l} \text{ვ-შეწ-არ} \\ \text{მ-შეწ-არ} \\ \text{ბ-შეწ-არ} \end{array} \right\} \text{ ‘მოკვლა’}$

$\left. \begin{array}{l} \text{წად-დ-არ} \\ \text{დ-შეწ-დ-არ} \\ \text{ვ-შეწ-ვ-არ} \\ \text{მ-შეწ-მ-არ} \\ \text{ბ-შეწ-ბ-არ} \end{array} \right\} \begin{array}{l} \text{‘მწეველეა; მოყოლება’} \\ \text{‘დამწეველეა; მოყოლება’} \end{array}$

განსხვავება აქ ისაა მხოლოდ, რომ კლასის მაწარმოებელი მეორდება სიტყვის შიგნითაც.

რამე განსაკუთრებული დაკვირვების გარეშეც ცხადია, რომ სრული ასპექტის პირობებში გვაქვს **-შეწ-** და **-შეწ-** ფუძეები, სადაც მოსალოდნელია ესა თუ ის ალტერნაცია, მაგალითად, **ე / ი** (ზოგჯერ გრამატიკული გვარის (კლასის) მოთხოვნილებათა გათვალისწინებითაც): **დშეწ** ‘მოკ-

51 V სიმბოლო ამ შემთხვევაში აღნიშნავს ხმოვანს, რომელიც მონაწილეობს მეტათეზისში.

ლა' – დიზიგნორ 'მოეკლა თურმე', დიჭილიქ 'დაამწყვდია; მოაყოლა' – დიშაქლიქ 'მოემწყვდია; მოყვა (ვინმე ან რამე რამეში)'...

მაგრამ: როგორია ფუძის (ძირის) არქიტექტურა უსრული ასპექტის **ნაგარ** და **ნაქდარ** ფორმებში?

ახლა საუბარი გადავიტანოთ იმაზე, თუ რა პერსპექტივა გვაქვს შიზო-ფონიისთვის უშუალო აკუსტიკური დაკვირვების შემთხვევაში.

§2 (7). ზ-ს აკუსტიკური ანალიზი; კიდევ ერთხელ ოკლუზიის შესახებ.

აკუსტიკური დაკვირვება შეიძლება იყოს ყველაზე უბრალო – როცა ზ-ს ანდა მის შემცველ სიტყვას წარმოვთქვამთ რამდენადმე მშვიდად, გამოკვეთილად, ანუ, როგორც **გ. ახვლედიანი** იტყოდა, „წარმოთქმულის შესწავლის გასაადვილებლად“ „განზრახ წარმოვთქვამთ განცალკევებულ ბგერას“, რითაც მთლიანს (ამ შემთხვევაში – სიტყვას) ხელოვნურად ვანაწილებთ ცალკეულ ფონემებად (ახვლედიანი, 1949, 94; ახვლედიანი, 1966, 95). თუმცა ეს, **გ. ახვლედიანისავე** თქმით, არცთუ იოლი საქმეა (ახვლედიანი, 1949, 144; ახვლედიანი, 1966, 113), მაგრამ, ვფიქრობთ, მისთვის, ვინც ცალ-ცალკე კარგად იცნობს და არჩევს **ც** და **ძ** ბგერებს, ძნელი არ უნდა იყოს რაიმე აპარატურის გარეშეც ამოიცნოს ეს ორი სიდიდე ზ-ს შემადგენლობაში: **ნა** [ცზა] 'ზამთარი', **ნეფ** [ცზეფ] 'სირცხვილი', **ნორჩ** [ცზორჩ] 'ბასრი', **ნოკ** [ცზოკ] 'ნახევარმთვარის ფორმის სარიტუალო ქადა', **ნუ** / **ნუფ** [ცზუ / ცზუფ] 'მწყემსი' და ა. შ.

კარგ შედეგს იძლევა ზ-ს ანდა მისი შემცველი სიტყვის (სიტყვების) წარმოთქმა ჩურჩულით – რამდენჯერმე⁵²: **ზ, ზ, ზ; ზა, ზა, ზა; ზუ, ზუ, ზუ...**

ახლა გადავიდეთ აკუსტიკური დაკვირვების ისეთ საანალიზო შემთხვევაზე, როცა მოცემული სიტყვის **ც**-ს ადგილს სხვა სიტყვაში სხვა თანხმოვანი ჭეგრს. შევარჩიოთ ერთმანეთთან შეწყვილებული ისეთი სიტყვები, სადაც **შ**-ს დისტრიბუცია იდენტური იქნება, და განვათავსოთ „ლინგვისტურ ბაღეში“, ანუ „გავატაროთ ლინგვისტურ ფილტრში“ („ლინგვისტურ საცერში“).

1.	ნაგ	[ც	ძ	ა	ბ]			'ძაფი' (მატყლისა)
	ბზაგალ	[ბ	ძ	ა	ბ	ა	ლ]	'მეჭეჭი'
2.	ნარცო	[ც	ძ	ა	ჩ	ც	ო]	'თარეში'
	ბზარკ	[ბ	ძ	ა	ჩ	კ]		'თვალი'
3.	ნაუც	[ც	ძ	ა	უ	ც]		(შესაშინებელი შეძახილი)
	ლზაუც	[ლ	ძ	ა	უ	ც]		'ბოყინი'
4.	ნეფ	[ც	ძ	ე	ფ]			'სირცხვილი'
	ლზეფარ	[ლ	ძ	ე	ფ	ა	ჩ]	'ჩამოღება, გადმოღება'
5.	ნორდო	[ც	ძ	ი	ჩ	ლ	ო]	'ღესავ'
	ტშირ	[ტ	ძ	ი	ჩ]			'ვარსკვლავი'
6.	ნოკ	[ც	ძ	ო	კ]			'ნახევარმთვარ. ფორმის ქადა'
	ბნოკ	[ბ	ძ	ო	კ]			'ვატი'

ძნელი არ უნდა იყოს ზ-ს შემადგენლობაში აქაც ამოვიცნოთ **ც** + **ძ**.

აკუსტიკური დაკვირვების ჩატარებაში გვეხმარება ექსპრესიული სამეცნიერო სიტუაციებიც, რომლებიც არცთუ იშვიათად ახასიათებს თუშურ ენას (ამაზე ვისაუბრეთ).

ზემოთ უბასუხოდ დავტოვეთ კითხვა იმაზე, თუ სად არის ფუძეები უსრული ასპექტის ფორმებში **ნაგარ** 'ველა' და **ნაქდარ** 'მწყვდევა; მოყოლება'.

ფუძეების გამოსავლენად ეს ფორმებიც „ჩავუშვათ ლინგვისტურ ფილტრში“, სრული ასპექტის ფორმებთან ერთად:

52 ჩურჩული ალენიშნით * სიმბოლოთი, რომელიც პირველი ასოა ლათინური სიტყვისა **სუსურუს** 'ჩურჩული'.

დ შეგარ:	[დ	შ	ე	ვ	ა	რ]	‘მოკელა’ (დ-კლ.)
ვ შეგარ:	[ვ	შ	ე	ვ	ა	რ]	‘მოკელა’ (ვ-კლ.)
მ შეგარ:	[მ	შ	ე	ვ	ა	რ]	‘მოკელა’ (მ-კლ.)
ბ შეგარ:	[ბ	შ	ე	ვ	ა	რ]	‘მოკელა’ (ბ-კლ.)
ნაგარ:	[ც	შ	ა	ვ	ა	რ]	‘კელა’ (უკლასო)

დ შე დ არ:	[დ	შ	ე	პ	დ	ა	რ]	‘დამწვედევა’ (დ-)
ვ შე ვ არ:	[ვ	შ	ე	პ	ვ	ა	რ]	‘დამწვედევა’ (ვ-)
მ შე მ არ:	[მ	შ	ე	პ	მ	ა	რ]	‘დამწვედევა’ (მ-)
ბ შე ბ არ:	[ბ	შ	ე	პ	ბ	ა	რ]	‘დამწვედევა’ (ბ-)
ნა დ არ:	[ც	შ	ე	პ	დ	ა	რ]	‘მწვედევა’ (დ-)

უთუოდ გაცეა პასუხი აქ დასმულ კითხვას: უსრული ასპექტის **ნაგარ** [ცშეგარ] ‘კელა’ და **ნა|დ|არ** [ცშა|დ|არ] ‘მწვედევა’ ფორმებში ფუძეებია (ძირებია) -შაგ- და -შაპ-. თუკი შევაჯამებთ ხმოვანთა თამაშის (აბლაუტის) შედეგებსაც, ამ სახელზმნების აქ მოხმობილი ფორმებისთვის ვიღებთ ფუძეებს -შაგ- / -შეგ- / -შიგ- და -შაპ- / -შეპ- / -შიპ-, სადაც ადგილი აქვს ა / ე / ი ალტერნაციას (აბოთონიას, აბლაუტს), შ კი მუდმივია.

თუშური ენის **ღ**-ს შიზოფონიის თვალსაზრისით, რა პერსპექტივას იძლევა ის სიტუაცია, რასაც გვინდა ვუწოდოთ **დისტანციური გემინირებული ოკლუზია**?

ვფიქრობთ, ეს ყველაზე თვალსაჩინო და ხელსაყრელი სიტუაციაა (ხე-რხია) ყველა განხილულ სიტუაციას (ხერხს) შორის. სწორედ ეს მიგვიყვანს ყველაზე ახლოს ფორმულისთან $\text{ღ} = \text{ც} + \text{შ}$.

ავიღოთ **ც**-ზე დაბოლოებული სიტყვა და დავუმეზობლოთ თუშურენოვანსავე ისეთ მომღევნო სიტყვას, რომელიც იწყება **ღ**-თი: **ჰამახეც დამდიქო დაშენ ვადლო – მაყვლენ – ვაშეგორნა ‘ყველაზე (შეტად) ნასწავლ დას ჩვენში – მაყვალას – ძმისგან’** (სამახსოვრო წარწერიდან).

სიმარტივის მიზნით, მსჯელობისთვის საჭირო შესიტყვება **ჰამახეც**

დამდიქო ‘ყველაზე ნასწავლ(ს)’, რომელიც აქ დატივშია, გადავიყვანოთ ნომინატივში: **ჰამახეც დამდიქო** ‘ყველაზე (უფრო) ნასწავლი’.

ამ შესიტყვების რწყმულად, ბმულად წარმოთქმისას მასში შემავალი ლექსემების საზღვარზე („ნაკერზე“), ანუ შესიტყვების წევრების შეპირაპირების (შესიტყვების პირველი წევრის დამართვისა და მომღევნო წევრის შემართვის შეხვედრის) ადგილას უთუოდ ჩნდება **ოკლუზია (დისტანციური და გემინირებული)**. ამაში რომ დაფრწმუნდეთ, არ არის აუცილებელი რაიმე სპეციალური ლინგვააბარატურა, არც დამკვირვებლის რაიმე განსაკუთრებული უნარი: საკმარისია ვიცოდეთ, რა არის ოკლუზია, რომელიც, დიდი ხანია, განმარტებულია (ახვლედიანი, 1949, 123; ახვლედიანი, 1966, 123) და რომლის ირგვლივაც ჩვენც გვქონდა საუბარი, ოღონდ არა **ღ** თანხმოვანთან, არამედ ჩვეულებრივ ხმოვნებთან მიმართებაში (Бартишвили, 1998, 14-16; ბერთლანი, 2012). თუმიცა: ერთხელ კიდევ განვმარტოთ, რა არის ოკლუზია, რათა მივიღეთ დისტანციურ გემინირებულ ოკლუზიამდე.

აუცილებელი აკუსტიკური პაუზა ბგერათწარმოთქმაში (ახვლედიანი, 1949, 54), ანუ ოკლუზია ჯერ კიდევ არ არის ის ოკლუზია, რომელიც **ჰამახეც დამდიქო** შესიტყვებასთან დაკავშირებით უნდა დახასიათდეს. აქ აღწერილი ოკლუზია თავისთავად გააჩნია ნებისმიერ ხშულის, მათ შორის, **ც**-საც. ისე რომ, ოკლუზიის განმარტების ამ ეტაპზე **ჰამახეც** სიტყვა ტრანსკრიფციაში შეიძლება ასე გავაფორმოთ: [ჰამახე^ჲც].

ვიდრე გავარჩევდეთ აქ მოხმობილ თუშურენოვან მაგალითს **ჰამახეც დამდიქო**, მეტი თვალსაჩინოების მიზნით, დისტანციური გემინირებული ოკლუზიის (**დისტანციური ოკლუზიის**) მაგალითები ჯერ ქართული ენიდან მოვიშველიოთ⁵³:

ლამაზად დაჯექი! [ლამაზაDXდაჯექი]

რარიგ გიხდება! [რარიDXგიხდება]

ერთ თვეში [ერთDXთვეში]

სწორედ ეს არის დისტანციური ოკლუზია (დისტანციური გემინირებული ოკლუზია), რომელიც შედეგია [დ] და [დ], [გ] და [გ], [თ] და [თ] ხშულ-მსკდომი თანხმოვნების თავმოყრისა (ზედიზედ მისვლისა).

ახლა დავუბრუნდეთ თუშურენოვან შესიტყვებას **ჰამახეც დამდიქო**

53 როგორც ოკლუზიაზე საერთოდ, ისე გემინირებულ თუ დისტანციურ ოკლუზიაზე უფრო დეტალურად ვისუბრებთ ქვემოთ.

‘ყველაზე (მეტად) ნასწავლი’, სადაც ორი ლექსემის საზღვარზე უსათუ-
ოდ აქვს ადგილი დისგემოკლოუზიას: [ჰამახეDXწამდიენრ]. გემინირებული
ოკლოუზია კი (შემოკლ. გემოკლოუზია) – ამაში უკვე უნდა დავერწმუნებინეთ
აქ წარმოებულ მსჯელობას – უსათუოდ გამოწვეული უნდა იყოს ორი ერთ-
ნაირი ხშულ-მსკდომი თანხმოვნის დამეზობლებით: ამ ხარისხის ოკლოუზიის
გამომწვევი სხვა რამ მიზეზი ლინგვისტიკაში დღემდე არ არის მიკვლეული.
არაგემინირებული ოკლოუზიის დროს – არავითარ შემთხვევაში, მაგრამ გემი-
ნირებული ოკლოუზიის დროს უსათუოდ გვაქვს ის, რასაც გ. ახვლედიანი „უბ-
გერო მომენტს“ უწოდებს და რასაც ადგილი აქვს ჰამახეწ წამდიენრ შესი-
ტყევაში შემაგალი წევრების საზღვარზე. ეს პირობები უნდა გვახსოვდეს
ჩვეულებრივ ხმოვნებზე მსჯელობის დროსაც.

აქ ორი სავარაუდო ხშულ-მსკდომი თანხმოვნიდან, როგორც დავინახეთ,
ერთი განთავსებულია შესიტყვების პირველი წევრის აუსლაუტში (ჰამახეწ).
ამიტომ მეორე თავისთავად და ბუნებრივად უნდა ვიგულისხმოდ (ვეძებოდ)
მეორე წევრის ანლაუტში: *ცშამდიენრ. მაგრამ ასეთი სიტყვა (ანდა სიტყვის
ასეთი ფორმა) თუ შერ ენას არ გააჩნია, ყოველ შემთხვევაში, დღემდე არავის
დაუფიქსირებია. მაშ რიგორ აღენიშნოთ გრაფიკულად, „საიდან მოვიტანოთ“
მოცემული შესიტყვების მეორე ც, რომელსაც დისგემოკლოუზია გულისხ-
მობს და დაჟინებით გვკარნახობს? ასეთი ასო-ბგერა უნდა „გამოეჭრათ“
წამდიენრ ‘ნასწავლი’ სიტყვის ანლაუტში განთავსებული წ ასო-ბგერიდან.
ასეთ შემთხვევაში (თუკი გავიზიარებთ $\text{წ} = \text{ც} + \text{შ}$ ფორმულას) „ადგილი გა-
მოჩნდება“ შ ასო-ბგერისთვისაც: წამდიენრ, ანუ [ცშამდიენრ] ‘ნასწავლი’.
შესიტყვებისათვის ვიღებთ სურათს: ჰამახეწ წამდიენრ [ჰამახეDXწამდიენრ],
ანუ [ჰამახეDXცშამდიენრ], ანუ, ბოლოს, [ჰამახეცცშამდიენრ]. ისე რომ,
წამდიენრ სიტყვა შეიძლება თავიდანვე ასეც დაგვეწერა – ცშამდიენრ,
საიდანაც ვიღებთ შესიტყვებას ჰამახეც ცშამდიენრ ‘ყველაზე (მეტად) ნას-
წავლი’.

ცოცხალ თუ შერენოვან მეტყველებაში ანალოგიური მაგალითები თითქ-
მის ყოველ ნაბიჯზე გვხვდება: ბაც წაბიკ [ბაDXწაბიკ], ანუ [ბაDXცშაბიკ]
‘მოძე კოფი’, ბაც წოკ [ბაDXწოკ], ანუ [ბაDXცშოკ] ‘მოძე ნახევარმთვარის
ფორმის სარიტუალო ქადა’, ბაც წუნალ [ბაDXწუნალ], ანუ [ბაDXცშუნალ]
‘მოძე ჯამბაგარი’, ლეც წოფლ [ლეDXწოფლ], ანუ [ლეDXცშოფლ] ‘უნდა
(სურს) გადაფარება (შეფარება)’ და ა. შ.

თუკი ამ მოდელის შესიტყვებათა პირველი წევრების აუსლაუტიდან ც-ს
მოვხსნით, გემინირებული ოკლოუზიაც მოიხსნება – დარჩება დისტანციური
არაგემინირებული (მარტივი, ცალფა) ოკლოუზია, რომელიც შედეგია ერთი
ხშული თანხმოვნის, კერძოდ, ც-ს არსებობისა მეორე წევრის ანლაუტში,
რაც შესიტყვებას უკვე სემანტიკას უცვლის: ბა წაბიკ [ბაDXწაბიკ], ანუ
[ბაDXცშაბიკ] ‘არის კოფი’, ბა წოკ [ბაDXწოკ], ანუ [ბაDXცშოკ] ‘არის ნახ-
ევარმთვარის ფორმის სარიტუალო ქადა’, ბა წუნალ [ბაDXწუნალ], ანუ
[ბაDXცშუნალ] ‘არის ჯამბაგარი’...

$\text{წ} = \text{ც} + \text{შ}$ ფორმულის დასამტკიცებლად ასეთი (არაგემინირებული) ოკლო-
უზიაც გამოდგებოდა, მაგრამ ლინგვაპარატურის გარეშე – მარტო თეორი-
ული მსჯელობის დონეზე – ეს ნაკლებთვალსაჩინო იქნებოდა: არაგემინირე-
ბული, ცალფა ხშულ-მსკდომი თანხმოვნით გამოწვეული ოკლოუზია ერთობ
სუსტია, მყისიერია, მით უმეტეს რწყმული ცოცხალი მეტყველებისას და ის
თითქმის შეუმჩნეველი რჩება შეუიარაღებელი ყურისთვის.

მაშ, აქაც სიტყვები წაბიკ, წოკ, წუნალ, წოფლარ და ა. შ. შეიძლება თა-
ვიდანვე ჩაწერილიყოს ასე: ცშაბიკ, ცშოკ, ცშუნალ, ცშოფლარ..

ამასთანავე, ბაც (ბ-კლ.), ბაც ‘მოძე’ (ბ-კლ.), ბაც ‘მოძე’ (ბ-კლ.) სიტყ-
ვა-ფორმებიდან აუსლაუტისეული ც-ს მოცილებისას თავისთავად დამტკიც-
და ამ ც-ს ფონემობაც.

თავის მხრივ, თუკი წაბიკ [ცშაბიკ], წოკ [ცშოკ], წუნალ [ცშუნალ] და ა. შ.
ლექსემებს წარმოვთქვამთ მათი საკუთარი თავკიდური ოკლოუზიის გარეშე,
ანუ დისგემოკლოუზიის გამომწვევი მიზეზის გარეშე ამ შესიტყვებებში,
ამით, ჯერ ერთი, კიდევ ერთხელ დაფრწმუნდებით ლარინგალური ც-ს არ-
სებობის აუცილებლობაში ამ სიდიდეების (შესიტყვებათა მეორე წევრების)
ანლაუტში, მეორე მხრივ, გამოვავლენთ ამ – ანლაუტისეული – ც ლარინგა-
ლის დისტინქტურ (სოციალურ) ფუნქციას, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანი
საკითხია: არაფერს გვეუბნება შესიტყვებები ბაც *შაბიკ, ბაც *შუნალ და ა. შ.

თუკი აქ გამოყენებული შესიტყვებების პირველი წევრებიდან საერ-
თოდ მოვხსნით ბოლოკიდურ ც-ს, ხოლო მეორე წევრებზე ავიღებთ ისეთ
სიტყვებს, რომლებსაც ანლაუტში არც წ ექნებათ, არც რომელიმე სხვა
ხშულ-მსკდომი თანხმოვანი, არც რომელიმე ჩვეულებრივი ხმოვანი არანა-
ირი ოკლოუზია აღარ გვექნება – არც არაგემინირებული, არც გემინირებული,
დარჩება მხოლოდ დისტანცია: ბა ყაბრ [ბაDყაბრ] ‘არაან ძროხები’, ბა შურ

[**და**D^შურ] '*არის რძე*', და **ხი** [**და**D^{ხი}] '*არის წყალი*'...

თუ შური ენის ფუძეებისთვის არაბუნებრივია მრავალმარცვლიანობა, განსაკუთრებით კი – თანხმოვანთა თავმოყრისას მარცვალში. და დებულება $\text{წ} = \text{ქ} + \text{შ}$ კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს იმაზე, თუ რატომ „არიდებს თავს“ თანხმოვანთან მეზობლობას წ : უკვე შედგება რა ორი – ქ და შ – თანხმოვნისგან, კიდევ ერთი (ან მეტი) თანხმოვნის დამეზობლების შემთხვევაში დაირღვეოდა თუ შური ენისთვის დამახასიათებელი ხმოვანება. რაც შეეხება შ -ს დისტრიბუციას, ის გვხვდება თანხმოვნების მიმყოლ (ჭრელაშვილი, 1975). აქედან გამომდინარე, თუ შური ენის შ -სთვის სრულიად ბუნებრივია არსებობა წ -ში შემავალი ქ -ს მიმყოლაც.

ქ -სთვის არც სხვა თანხმოვნებთან დამეზობლება არის უცხო: **ლაყარ** '*ნდომა*', **სურვილი** – **ლაყარი** '*სურვილები*', **ლაყნორ** '*მოენდომებინა*', **მოესურვილებინა თურმე**; **ვაყარ** '*მოსვლა*' – **ვაყარი** '*მოსვლები*', **ვეყნორ** '*მოესულიყო თურმე*'; **ვაყადარ** '*გარტყმა*', **ლაყადარ** '*მონდომება*', **მოსურვება**, **ვაყადარ** '*გაფრთხილებით მოვლა*' და ა.შ.

ამკარაა თუ შური ენის შ -ს დისტრიბუცია თანხმოვნების მიმყოლაც და, საერთოდ, მისი ადგილი აქ, თუმცა შ ამავე ღროს იდეენება „გათანამედროვეებული“ თუ შურენოვანი მეტყველებიდან, რაც, ჩვენი აზრით, გარდა აღმავალი ინტერფერენციისა და დამავალი ბილინგვიზმისა, მისი უდამწერლობითაც უნდა იყოს განპირობებული.

თუ შურენოვანი დამწერლობის უქონლობისა გამო დავა თუ გაუგებრობა არცთუ იშვიათად შეიძლება გამოიწვიოს ხოლმე არა მხოლოდ იმან, თუ სად რომელი ასო-ბგერაა (უნდა იყოს). ხშირად იმაშიც კი ძნელდება გარკვევა, ესა თუ ის აკუსტიკური ინფორმაცია ერთი ლექსემის სახით უნდა დაიწეროს თუ ორისა. ამას ხელს უწყობს თვით ენაში არსებული სტრუქტურული თუ წმინდა ფონეტიკური მრავალფეროვნებაც.

და მანც: თუ შურ ენას იმთავითვე რომ ჰქონოდა დამწერლობა და შემუშავებულიყო შესაბამისი ნორმები (მაგ., ამ სახით: **ყშა** '*ზაშარი*', **ყშეფ** '*სარცხელი*'...), დღეს, ალბათ, არც მოგვიხდებოდა საუბარი წ -ს სტრუქტურაზე.

ღიახ: წ -ს საწარმოთქმო ადგილი – ეს ის საზღვარია (ჭრელაშვილი, 1975, 32), რომლის ერთ მხარესაც არის ხშული ლარინგალური ქ -ს საწარმოთქმო ადგილი, ხოლო მეორე მხარეს – ნაპრალოვანი შ -სი.

ქ -ს არტიკულაცია წ -ს შემადგენლობაში, მაგალითად, სიტყვიდან **წა** '*ზა*'

შთარი ზუსტად ისევე ხდება, როგორც, მაგალითად, ბ -ს ან პ -ს არტიკულაცია **ბჰ** და **პჰ** ბგერათა კომპლექსებში სიტყვიდან **ბჰა** '*მუღამ*', **პჰა** '*ფრთა*', **წვერი** – იმ არსებითი განსხვავებით, რომ ქ წარმოითქმის სახმო ბაგეების ხშვა-განხშვით, ბ და პ კი ჰარის ბაგეებისა. ყველაზე არსებითი განსხვავება კი აქ ის არის, რომ **ბჰ**-ს და **პჰ**-ს შემთხვევაში, კარგად ვაცნობიერებთ რა ცალკეული გრაფემებით აღნიშნული ბ -ს, პ -სა და შ -ს ფონემობას (ასო-ბგერობას), ადვილად ვცნობილობთ კიდევაც მათ, ხოლო წ -ს შემთხვევაში, ვერ ვაცნობიერებთ რა მასში შემავალ ქ -სა და შ -ს, როგორც ბგერებს (რომ აღარაფერი ვთქვათ მათ შესაძლო დისტინქტურ ფუნქციებზე), ვერც ვცნობილობთ მათ. ამას ემატება ის მიზეზიც, რომ წ ($\text{ქ} + \text{შ}$) გაღმოიცემა ერთი გრაფემით. გაეხსენოთ, რომ მაგალითად, რუსული **III**-ს, ლათინური **X**-ს, ბერძნული ξ -სა თუ **ψ**-ს არტიკულირება ხდება ორ-ორი ბგერის მეშვეობით: **III** [**შ**], **X** [**ქ**], **ψ** [**ფ**]. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ, როცა უცხოენოვანი **TAXI** და **XEROX** წარწერები ის-ის იყო შემოდიოდა ხმარებაში, გაუთვითცნობიერებელი მოქალაქეები, იმ უბრალო მიზეზით, რომ არ შეეძლოთ ორი ბგერის დაშვება ერთ გრაფემაში, არცთუ იშვიათად ახდენდნენ მის იდენტიფიცირებას რუსულ **X**-სთან (რასაც სინამდვილეში აქვს კიდევაც ადგილი ტრანსკრიბირებისას) და მიმართავდნენ არტიკულაციას [**ტახი**], [**ხერონ**], რაც ძალიან გვაგონებს თუ შური ენის წ -სთან დაკავშირებულ პრობლემას.

მოკლედ, მაგალითები ცოცხალი თუ შურენოვანი მეტყველებიდან მხოლოდ ადასტურებენ კონცეფციას $\text{წ} = \text{ქ} + \text{შ}$, ანუ $\text{წ} = \text{ქ} \& \text{შ}$, რაც ნიშნავს, რომ $\text{წ} = \text{ქშ}$.

აი, რატომ იძლევიან მკვლევარნი ასეთ დახასიათებას წ -სთან დაკავშირებით: „ წ -ს არტიკულაცია იმდენად ახლოსაა ლარინქსის ზედა კიდესთან, რომ მისი წარმოებისას მოძრაობს ბეჭდისებრი ხრტილი, რაც აშკარად ივრძნობა ხელის შეხებითაც. ამიტომ შეიძლებოდა დაგვეშვა, რომ მისი არტიკულაცია ხდება ფარინქსისა და ლარინქსის საზღვართან“ (ჭრელაშვილი, 1975, 32): არც არტიკულაციური, არც აკუსტიკური, არც ფონემატური, არც მორფოლოგიური თვალსაზრისით, არ ექნებოდა არავითარი მნიშვნელობა (განსხვავება), რომელი გრაფემით / გრაფემებით აღვნიშნავდით ამ ჩვენთვის საინტერესო თავკიდურ სიტუაციას – წ -თი, ქშ -თი თუ კიდევ სხვაგვარად, რომ არა წ -ში შემავალი ქ -ს (ან შ -ს) შესაძლო დისტინქტური ღირებულება.

წ -ს არტიკულაციის ზუსტ დადგენას (ჭრელაშვილი, 1975, 31-32) სწორედ

ის აძნელებს, ალბათ, რომ ვეძიებთ ერთი ასო-ბგერის არტიკულაციას, საქმე კი გვექონია ბგერათა კომპლექსთან, რომელიც შეიცავს ლარინგალურ ხმოვლ **ქ**-სა და ფარინგალურ არახმოვლ **ჭ**-ს.

თუშური ენის **ღ**-ს აქ წარმოდგენილი ინტერპრეტაცია უთუოდ უნდა დაგვეხმაროს როგორც **ქ**, **ჭ** და **ღ** ბგერების შესახებ „ერთიანი, გარკვეული აზრის“ ჩამოყალიბებაში, რომლის უქონლობასაც უზივის ქართველი ნახ-ოლოგი **კ. ჭრელაშვილი** (ჭრელაშვილი, 1975, 30), ისე ხმოვანთა დახასიათებაში, რაც ჩვენი კვლევის მთავარ და საბოლოო მიზანს წარმოადგენს.

§3 (8). **ღ > ქ (და პირქით) ტენდენცია და ანლაუტის ექსპრესია თუშურ ენაში.**

როგორც ვნახეთ, სხვა ენებშიც დასტურდება ერთი გრაფემით ორი ბგერის გადმოცემის შემთხვევები, სადაც ტიპოლოგიურ დონეზე შეიძლება ბიფონში შემავალი კომპონენტების გამოვლენა. საამისო მასალას იძლევიან, მაგალითად, ბერძნული **Ξ (ξ)** და ლათინური **X (x)** ასო-ბგერები, რომლებიც შედგება **გ (> ქ > კ)** და **ს** ბგერებისაგან. იგივე სურათი გვაქვს ბერძნული **Ψ (ψ)**-ს შემთხვევაში, რომელიც შედგება **ფ (> პ)** და **ს** ბგერებისაგან. ამიტომაც გადმოიცემა ისინი ქართულ დამწერლობაში **გს, ქს / კს, ფს / პს** სახით⁵⁴; ლათ.: *lex – legis ‘კანონი’, grex – gregis ‘ფარა’, remags (remus ‘ნიჩაბი’ და ago ‘გამომძრავებ’)* – *remex ‘მენიჩბე’, calx – calcis ‘კირქვა, კირი’, redux – reduces ‘უკან დამბრუნებელი’ – reduce ‘უკან გაბრუნებ’...* ბერძნ.: *larynx – laryngos ‘ხორხი, ყელი’, pharynx – pharyngos ‘ხახა’, helix – helikos ‘დახვეული, მოღუნული’...*

თუშკა ჩვენ აქ გვანტერესებს ის, რომ თუშური ენის **ქჭ** ანუ **ღ** აქცესიური (აქეთური) კომპლექსია: **ქ** იწარმოება ზესადგამი მილის უფრო უკანა (უკიდურესად უკანა) არეში, ვიდრე მისი მომდევნო **ჭ**, რაც ხელს არ უწყობს არტიკულაციურ ერთჯამიერობას და, მამასადამე, ჰარმონიულობას და რასაც ხელი უნდა შეეწყოს თუშური ენის **ღ** სიდიდიდან **ქ** და **ჭ** ელემენტების გამოვლენას ღღემდეც.

⁵⁴ გავითვალისწინოთ, რომ ლათ. **c**, რომელიც შეესაბამება ქართულ **კ**-ს, ზოგჯერ იკითხება როგორც ქართულივე **ც**; ბერძნული მაგალითები წარმოდგენილია ლათინური გრაფიკით.

ქ ნაწილობრივ დავახასიათეთ, ნაწილობრივ ქვემოთ იქნება დახასიათებული. **ჭ**-სთან დაკავშირებით კი შეიძლება ითქვას შემდეგი:

ზემოთ შევნიშნეთ, რომ **ი. დეშერიევი** თუშური ენის **ჭ**-ს თვლის არა დამოუკიდებელ ფონემად, არამედ **ღ** ფონემის ვარიანტად; მეცნიერი ამას ამაგრებს იმ არგუმენტაციით, რომ **ჭ** არ უბრუნდება **ღ**-ს (Дешериев, 1953, 30).

ი. დეშერიევი კი შენიშნავს, რომ ანლაუტში „**ღ** ფონემა ხშირად გადადის **ჭ** ბგერაში“ (იქვე, 29) და რომ „**ჭ** ბგერა ფონემატურად კი არ უბრუნდება **ღ** ფონემას, არამედ წარმოადგენს მის ვარიანტს“ (იქვე, 30), მაგრამ, ერთი მხრივ, **ღ > ჭ** პროცესი მის მიერ არ დასტურდება მაგალითით, ხოლო მეორე მხრივ, მკვლევარი არ იძლევა **ჭ** ბგერის ფიზიკურსა თუ ფიზიოლოგიურ (არტიკულაციურ-აკუსტიკურ) დახასიათებას – ალბათ, იმიტომ, რომ მას ფონემად არ მიიჩნევს. ფაქტობრივად გაუგებარია: რა ბგერაა, რომელშიც, მკვლევარის აზრით, **ღ** ფონემა გადადის და რომელიც წარმოადგენს თუნდაც **ღ**-სავე ვარიანტს. ამის გარეშე კი აზრი ეკარგება ამა თუ იმ ბგერის (**ჭ**-ს) ფუნქციონალური (სოციალური) მხარის გაშუქებას.

ჭ რომ **ღ**-ს ვარიანტი (ალოფონი) ყოფილიყო, მაშინ მათი შეცვლით (მონაცვლეობით) სიტყვას არ უნდა შესცვლოდა (არც უნდა დაჰკარგოდა) მნიშვნელობა.

ჩვენი აზრით, თუშურ ენაში (თუშური ენის შიგნით), უბრალოდ, **ღ > ჭ** ფონეტიკურ პროცესს კი არ უნდა ჰქონდეს ადგილი, როგორც ამას **ი. დეშერიევი** ვარაუდობს, არამედ საქმე უნდა გვექონდეს სულ სხვა, უფრო სერიოზულ და უფრო მნიშვნელოვან ფაქტთან, რომელიც შესწავლას საჭიროებს.

ღ-ს ბედი, უდავოდ, არის დაკავშირებული **ჭ**-სთან, მაგრამ არა იმ სახით, როგორც **ი. დეშერიევთან** არის წარმოდგენილი.

შესაძლოა, ყველაფერი ახლა ვერ (და ვერც ახლო მომავალში) აიხსნას ბოლომდე, მაგრამ უთუოდ უნდა გავიზიაროთ დებულება **ღ = ქ + ჭ**. ამ აზრს გვიმაგრებენ თუშურენოვანი სამეტყველო რეალიები.

ნაფარ – დშევარ ‘კელა – მოკლეა’ შემთხვევაშიც (ჭრელაშვილი, 1975, 34) ადგილი უნდა ჰქონდეს არა **ღ > ჭ** ფონეტიკურ პროცესს, არამედ, როგორც უკვე ვნახეთ, **ღ (ქ & ჭ)** კომპლექსიდან **ჭ**-ს ლეგალიზაციის (გამოაშკარავების) და მისი წინამდგომი **ქ**-ს დაკარგვის ფაქტს, ისევე როგორც ადგილი აქვს, მაგალითად, ლათინური ენის **x (გს / ქს / კს)** კომპლექსიდან წინამდგომი **კ**-ს ლეგალიზაციასა

და მისი მომდევნო ს-ს დაკარგვას: **dixi < dicsi > dictator** ‘დიქტატორ’.

მოკლედ, თუშური ენის **შ** არის არა **წ** ფონემის ვარიანტი, როგორც ეს **ი. დეშერიევმა** ჩათვალა, არამედ: როგორც უკვე ითქვა, წარმოდგენს **წ** კომპოზიტის მეორე კომპონენტს. აქ **შ** ისევე არ არის **წ**-ს ვარიანტი, როგორც, **თ. უთურგაიძის** მიხედვით, თუშურ კილოში **ყ** „არ შეიძლება მივიჩნიოთ **ყ**-ს თავისუფალ ვარიანტად“ (უთურგაიძე, 1966, 36). თუშურ ენაში **წ** და **შ** ქმნიან ერთიმეორის საპირისპირო ფონოლოგიურ პოზიციებს იმ გაგებით, რომ **წ**-ს **შ**-თი შეცვლის შემთხვევაში სიტყვა კარგავს სემანტიკას: **წეფ** ‘სრცხვილი’ – ***შეფ**, **წუნალ** ‘ჯჷამბერი’ – ***შუნალ**, **წირი** ‘ბასრი’ – ***შირი**...

წ, **ჭ**, **შ** თანხმოვნების „წარმოების ადგილის ზუსტი დადგენისათვის საჭიროა რენტგენოგრაფიული გამოკვლევა, ისევე როგორც ეს გაკეთდა დარგუული ენის მიმართ“, – შენიშნავს **კ. ჭრელაშვილი** (ჭრელაშვილი, 1975, 35) და მიგვითითებს **შ. გაფრინდაშვილის** ნაშრომზე (Гаприндашвили, 1966, 132). თუმცა ამ მხრივ ზოგი რამ არის გაკეთებული და ძალიან კარგადაც (უთურგაიძე, 1966, 18–50), მაგრამ **კ. ჭრელაშვილის** მოსაზრებას გაგვრცელებდით თუშური ენის **ყ** ლარინგალზეც: საჭიროა მისი კიდევ ერთხელ გადამოწმება ექსპერიმენტულად.

სულ სხვა საქმეა ის, რომ რწმული და სწრაფი მეტყველების დროს, თუკი კონტექსტუალური გარემო სრულყოფილია და კომპენსაციას უკეთებს ამა თუ იმ სიტყვაში გაპარულ მცირედენ ფონეტიკურ (ზოგჯერ – თუნდაც ფონოლოგიურ) უზუსტობებს, თუშურენოვანი მოსაუბრე არცთუ იშვიათად თავს არიდებს **შ** ბგერის არტიკულაციას **წ**-ს შემადგენლობაში და სიტყვაში (სიტყვის ანლაუტში) ტოვებს მარტო **ყ**-ს. გავისენოთ, რომ **შ** ფარინგალური (ყელისმიერი) ბგერაა, **ყ** – ლარინგალური, ანუ ხორხისმიერი. ხორხი კი ფარინგალის გაგრძელებაა. ჩანს, იმიტომაც, რომ **წ** (**ყშ**) არაპარამონიული წყობაა და იმიტომაც, რომ „გაცივილიზებული“ მოსაუბრენი, ცდილობენ რა, რომ თანამოსაუბრეს მათი მეტყველება მართლა „ნახველის ამოღებად“ (ღირი, წიგნში: ფონეტიკური, 1940) არ მოეჩვენოს, ლიკვიდაციას უკეთებენ ერთად თავმოყრილ ლარინგ-ფარინგალურთაგან ერთ-ერთს, აძვერად – ფარინგალურს, ყველაზე უკანა და ღრმა თანხმოვანს. როგორც **ა. რეფორმატსკი** იტყოდა, ალბათ, ასეთ შემთხვევაში (Реформатский, 1967, 100), პრანჭია მეშინურ გარემოში ადგილი აქვს ერთგვარ არტიკულაციურ ეფექტს (კეთილსიტყვაობას), რაც გამოიხატება იმაში, რომ თავიდან **წ**, როგორც

ასეთი, აღარ წარმოითქმის: ეს პოზიცია მთლიანად ეთმობა **ყ** ლარინგალს. ამგვარად ხდება **წ**-ში შემავალი **შ**-ს დეფონემიზაცია.

მოკლედ, მეტყველებიდან ნელ-ნელა იდევნება ფარინგალური სპირანტი **შ** და რჩება ლარინგალური მყისი (ანაზდი) **ყ**, ანუ: **წ (ყ + შ) > ყ**. შევნიშნოთ ისიც, რომ დინჯად, დანაწევრებულად (თუშ. ენ. ყბტროშ), სრული სტილით მეტყველების დროს ჯერ კიდევ დაცულია სამეტყველო ეთიკის ნორმები **წ**-ში შემავალ **შ** ბგერასთან მიმართებაში: აქ მას წესისა და რიგის მიხედვით წარმოთქვამენ. მეტიც: ზოგჯერ თავიდან **წ** ჩნდება (ანუ **ყ**-ს მიმყოფი **შ** ჩნდება) იქაც, სადაც ის სინამდვილეში არ უნდა ყოფილიყო. შღრ.: **ღე-შერიევისეული** **Иали** ‘აღვანში’ (ess.) და **უთურგაიძისეული** (ოდნავ განსხვავებული გრაფიკით) **ყელანე** ‘ელენე’, **ყილიკე** ‘ილიკო’.

ისე რომ, შეიძლება ითქვას: **შ** მიღვევადი ბგერაა თუშურ ენაში. **წ > ყ**, ანუ **ყშ > ყ**, ამავე დროს, არის თუშური ენის ტენდენცია, თავი დააღწიოს აქცესიურ, არაპარამონიულ კომპლექსს, რომელიც ხელს უშლის არტიკულაციის ერთკომპონენტობას და, მაშასადამე, სამეტყველო დროისა თუ ენერგიის ეკონომიას. თუმცა **წ**-ს ბუნება პირდაპირ კავშირშია მეტყველების ექსპრესიასთანაც, რასაც ქვემოთ შევხებით.

ორიოდე შენიშვნაც როგორც **ყ**-სთან, ისე **წ**-სთან (**ყ + შ**-სთან) დაკავშირებით.

თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში აქსიომის დონეზეა მიღებული დეზულება იმის თაობაზე, რომ თუშურ ენას არ გააჩნია ინლაუტის **წ**, მაგრამ დაკვერვებს გარკვეულად განსხვავებულ შედეგებამდე მივყავართ.

კ. ჭრელაშვილი **შ**-ს დისტრიბუციას იძლევა **ბ, დ, გ, მ, კ, მ, ნ, პ, ტ, წ, ჭ** თანხმოვნების მიმყოფელ და **ა, ე, ი, ო** ხმოვნების წინ (ჭრელაშვილი, 1975, 231–255).

ჩვენი დაკვერვებით, **კშ, პშ, ტშ, წშ, ჭშ** დისტრიბუციის შემთხვევაში დასაშვებია **შ**-ს შეესება მისი უშუალო წინამდებელი **ყ**-თი, ანუ დასაშვებია **წ**-ს (**ყშ**-ს) განვითარება ინლაუტში, რაც კვლავ ექსპრესიული დატვირთვითაც უნდა იყოს განპირობებული: **კშაკ / კწაკ** ‘ქუსლი’, **კშოკ / კწოკ** ‘ორმო’, **პშჳ / პწჳ** ‘ფრთა’, **პშქტო / პწქტო** ‘ნეკნი’, **ტშაკ / ტწაკ** ‘ტაღახი’, **ტშირ / ტწირ** ‘ვარსკვლავი’, **წშობ / წწობ** ‘წვერი (წვეტი)’, **ჭშაღ / ჭწაღ** ‘მაგარი’...

თუშურ ენაში ადგილი აქვს აგრეთვე **შ**-სა და **წ**-ს ერთმანეთისგან და-

მოუკიდებლად განვითარებას ინლაუტში: წებქ / წებქ / წებქ 'წითელი' (თუმცა: წებქ 'სისხლიანი', წებ 'სისხლი', წებუა 'სისხლები').

მსგავსი დისტრიბუცია არაფრით არ დაიშვება ბ, დ, გ, მ, ნ თანხმონებთან. ამ თვალსაზრისით შეიძლება გველაპარაკა ყოუ აბრუბტივების (კ, პ, ტ, წ, ჭ) ერთგვარ „დაჯგუფებაზე“ და, მაშასადამე, თავისებურებაზე დისტრიბუციული პერსპექტივის თვალსაზრისით.

უფრო მეტი: სწორედ ახლა, როცა თუ შერენოვანი $\text{X} (\text{ყ} + \text{მ})$ თითქოს უნდა გამქრალიყო ანლაუტშიც კი, სიტყვათწარმოების წყალობით, მას ვხვდებით ინლაუტშიც – ამჟღავნად უკვე არა ექსპრესიული, არამედ სრულიად ფონოლოგიური (და მორფოლოგიური) დატვირთვით.

სიტყვიდან ღამურ 'ღამე' მიღებულია ახანამურა 'შუაღამე', ახანამურ 'შუაღამეს' ინლაუტის ფონოლოგიური X -თი: თხაბუს ახანამურ ღაქბაღო მონ 'წუხელ შუაღამეს ამოვარდა ქარი'.

თუ შური ენაში გვაქვს სიტყვა ღურ ლათ. 'amus'. ქართულენოვანი 'გა-' პრეფიქსის მოშვებით აქედან მიღებულია სიტყვა-ფორმა განურბადღარ, რაც, თუკი სემანტიკას შევარბილებთ, შეესატყვისება ქართულენოვან ჟარგონს 'განძახება', სადაც გვანტერესებს არა თვით ჟარგონიზმი, ანდა სკაბრეზი, არამედ ფონეტიკური ფაქტი მასში.

თუ შურმა ენამ სრულად მიიღო ქართული მაწარმოებლები 'სა...ე'. ეს ფორმანტი მით უფრო აქტიურია, თუკი მეტყველება მოქცეულია ქართულ-თუ შურ (ორენოვან) ინტერფერენტულ გარდაუვალობაში, რასაც არცთუ იშვიათად აქვს ადგილი. და თუ 'სა-' თავსართს მივუთავსებთ X -ზე დაწყებული სიტყვას, ეს X თავისთავად მოყვება ინლაუტში. თავისუფლად შეიძლება შედგეს დაახლოებით ასეთი მინიდილოგები:

– აგო, ღოკები ('ნახევარმთვარის ფორმის ქაღები') გამოგვიცხე რა...

– საღოკე ცომი სადა მაქვს, აო ('ქა')!..

ან:

– ღაბიკებს ('კოვზებს') არ გამომითლი, პაპა?

– მომიტანე სადაბიკე მასალა და რატომაც არა!⁵⁵

55 თუკი მეტყველებას მაქსიმალურად გავათუშოვნოვანებთ, მაგრამ ფორმანტს კვლავ ქართულენოვანს დავტოვებთ, თუ შური ენის სამეტყველო კანონზომიერებებიდან გამომდინარე, ქართული 'სა...ე'-დან უსათუოდ დაიკარგება '-ე': მაჟნ სკ სადაბიკე მასალა, უღაჟ ცო! 'მომიტანე საკოვზე მასალა და რატომაც არა!'

ბოლოს, არ არის გამორიცხული, ფონოლოგიური $\text{ყ} + \text{მ}$ ჯვამი თავის ღრმზე მიღებული იყოს ექსპრესიული $\text{ყ} + \text{მ}$ ჯვამისაგან.

თუ, ერთი მხრივ, ექსპრესიის შემთხვევაში ადგილი აქვს ანლაუტისეულ $\text{ყ} > \text{X}$ პროცესს, რაზეც აქ იყო საუბარი, მეორე მხრივ, ენის მატარებელთა მხრიდან ხდება ხორხისმიერი არტიკულაციის იგნორირება, რაც შედეგი უნდა იყოს ინტერფერენტის მაღალი აქტიურობისა, და აღნიშნული პროცესი იღებს $\text{X} > \text{ყ}$ უკუხანეს, ანუ ადგილი აქვს ჩვეულებრივი ანლაუტისეული ხმოვნის არტიკულირებას იქ, სადაც უნდა წარმოქმნილიყო X . მაგალითად, ღღეს იტყვიან ურღქ 'დიღას, დიღით', ირჩ 'ბასრი, მჭრელი', არჭჩ 'შავი' და სხვა, ნაცვლად მართებული ფორმებისა ღურღქ, ირჩჩ, ღარჭჩ...

§4 (9). ანტონ შიფენერი და თუ შური ენის X .

საინტერესოა და წინამდებრე ინტერპრეტაციისთვის სასარგებლო თუ-შური ენის X ბგერის ა. შიფენერისეული კვალიფიკაცია. მიუხედავად იმისა, რომ კავკასიაში ა. შიფენერი არ ყოფილა და „გეგმაშეწონილი მუშაობა იბერიულ-კავკასიურ ენებზე არ უწარმოებია“ (ჩიქობავა, 1965, 168), მისი მონოგრაფია („Versuch über die Thush-Sprache...“) „გამოიჩვენა არა მარტო მაღალი აკადემიური დონით, არამედ ფაქტობრივი მასალის ზუსტი ანალიზითაც (ჭრელაშვილი, 1975, 5). არ შეიძლება მხედველობიდან გამოიჩენოდა ეს ქართველ მეცნიერს, არნ. ჩიქობავას: „ცდა (Versuch – ა. ბ.) თუ შთა ენის შესახებ“, – წერს იგი, – პირველ მეცნიერულ აღწერით გრამატიკას წარმოადგენს იბერიულ-კავკასიურ ენათათვის... ასეთ დონეზე შესრულებული შრომა იმ ხანად არ მოგვეპოვება (ჩიქობავა, 1965, 176).

შემთხვევით არ უნდა მოეკიდა ხელი ა. შიფენერს ამ საქმისათვის ჯერ კიდევ მაშინ, XIX ს. შუალედში და ისიც იმ ვითარებაში, როცა იცოდა პოლკოვნიკ ბართოლომეს მიერ გახეთ „კავკაზის“ ფურცლებზე გამოქმნილი სინანულის შესახებ იმის გამო, რომ გერმანელი ორიენტალისტი (ა. შიფენერი – ა. ბ.) ღროს კარგავდა „ასეთი უმნიშვნელო დიალექტის (თუ შური ენის – ა. ბ.)“ შესწავლაზე («Кавказ», 1855).

უდიდესია ა. შიფენერის ადგილი თუ შური ენის კვლევის საქმეში. ამიტომაც: წარმოუდგენელია ამ სფეროში რაიმე სერიოზული სამეცნიერო შრომა დაიწეროს გერმანელი კავკასიოლოგი-ბაცბოლოგის ავტორიტეტის

მოშველიების გარეშე. **ა. შიფნერის** მონოგრაფია „სპეციალისტებისათვის პირველ წყაროდ ითვლება“ (შავხელიშვილი, 1987, 139). მეტიც: უზომოა **ა. შიფნერის** ღვაწლიც და დამსახურებაც საერთოდ მთის იბერიულ-კავკასიური ენების შესწავლის ესოდენ სასარგებლო საქმეში, რომელიც, როგორც ქართველი ნახოლოგი, **კ. ჭრელაშვილი** შენიშნავს მთელი 100 წლის შემდეგ, ფაქტობრივად სწორედ თუშური ენიდან (*Thush-Sprache*) დაიწყო და სწორედ გერმანელი მეცნიერის სახელთან არის დაკავშირებული (ჭრელაშვილი, 1975; ჭრელაშვილი, 1956). პირველი, ვინც ფონემათა დისტრიბუცია გაარკვია (ქართულში), იყო ნორვეგიელი ქართველოლოგი პროფ. **ჰანს ფოგტი**, – წერს **არნ. ჩიქობავა**. – ასე წლით აღრე **ა. შიფნერმა** იგივე გააკეთა თუშურ ენაში და, ამრიგად, „ცნებამ დაასწრო ტერმინს“ (ჩიქობავა, 1965, 176).

აქ წარმოდგენილი **წ** თუშური ენისა, კერძოდ კი მასში შემავალი **ქ** წარმოდგენს არქაულსა და სპეციფიკურ ფონეტიკურ ფაქტს, რომლის არსიც ასე თუ ისე უსათუოდ არის დაკავშირებული როგორც გერმანელი კავკასიოლოგის – დიდი მკვლევარის – საპატიო სახელთან, ისე თვით გერმანულ ენასთან.

ქართველი მეცნიერის, **შ. ხანთაძის**, ცნობით, 1847 წ. სექტემბერში **მ. ბროსემ**, რომელიც საქართველოში მოგზაურობდა, „ინახულა თუშების სოფელი ალვანი“⁵⁶, სადაც „გაიცნო განათლებული და მწიგნობარი თუში **იობ ცისკარიშვილი**“ (ცისკარიშვილი – ა. ბ.), რომელსაც **შ. ხანთაძე** მოიხსენიებს, როგორც ერთ-ერთ უადრეს თუშ მწიგნობარსა და უადრესად საინტერესო პიროვნებას (ხანთაძე, 1966, 74–75). **ი. ცისკარიშვილის** „მოღვაწეობა მარტო სასულიერო საქმიანობით როდი ამოიწურებოდა“ (შავხელიშვილი, 1987, 137).

მ. ბროსეს თხოვნით მან შეადგინა თუშური ენის „გრამატიკა“ (Цискаров, 1848) და ამ ენაზე თარგმნა ნაწყვეტები „*ახალი აღთქმიდან*“ (Brosset, წიგნი: ხანთაძე, 1966, 182–183). **ი. ცისკარიშვილის** ეს „გრამატიკა“ იყო „პირველი ცდა მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორიაში – წარმოდგინა თუშური ენის „გრამატიკული წყობის სურათი“ (ჭრელაშვილი, 1956). სწორედ ამ „გრამატიკით“ (ამ მასალებით) ხელმძღვანელობდა პეტერბურის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, **ა. შიფნერი** თავის მონოგრაფიაზე მუშაობისას: მისივე ცნობით, ეს მასალები „**მ. ბროსეს** ჰქონდა ჩამოტანილი კავკასიაში მოგზაურობიდან“ (Schiefner, 1859, 5; ჩიქობავა, 1965, 169).

ი. ცისკარიშვილის თავის „*გრამატიკაში*“ **ქ** თანხმოდანი ცალკე (და-
56 მაშინ იქ ცხოვრობდა თუშთა მხოლოდ წოვის თემი.

მოუკიდებელ) ფონეტიკურ ერთეულად აქვს გამოყოფილი (ჭრელაშვილი, 1975, 36), მაგრამ, როგორც თვით **ა. შიფნერის** მონოგრაფიიდან არკვევა, მან (**ა. შიფნერმა**) თავის მონოგრაფიაში ლარინგალური **ქ** (') არ გამოყო (არ აღნიშნა) დამოუკიდებელ ფონეტიკურ ერთეულად. მეტიც: იგი ' გრაფემით (აბოსტროფით) გადმოსცემს თუშური ენის **წ** ბგერას (ფონემას)⁵⁷.

იბერიულ-კავკასიურმა ენათმეცნიერებამ კარგა ხანია განასხვავა და გამოივჯნა თუშური ენის **წ** თუშურივე **ქ**-სგან ('-სგან) და ღღეს, როგორც მრავალგზის ითქვა, ' გრაფემით (აბოსტროფით) აღინიშნება თუშური ენის **ქ** და არა **წ**.

საქმე ის არის, რომ, **ა. შიფნერმა** თუშური ენის **წ** გააცნობიერა, როგორც ანლაუტის ხმოვნის მაგარი (მკვეთრი, ხშული, ძლიერი) შემართვა – **Spiritus lenis** (Schiefner, 1859, 7; ჭრელაშვილი, 1975, 31), რაც სატრანსკრიფციო პრაქტიკაში (გრაფიკულად) ასევე ' ნიშნით (აბოსტროფით) გამოიხატება და ასეც გადმოსცა გერმანელმა მკვლევარმა.

ბუნებრივად შეიძლება გაჩნდეს კითხვა: დიდი იყო თუ არა **ა. შიფნერის** ცდომილება მაშინ, როცა ის-ის იყო იდგამდა ფეხს როგორც ბაცბოლოგია, ისე კავკასიოლოგია, ანდა შეიძლება თუ არა ვუწოდოთ ამას ცდომილება?

ჩანს, **ი. ცისკარიშვილის** მასალებმა გერმანელ მკვლევარს დიდი სამსახური გაუწია: არაფერს გამოჩნდა ისეთი, – შენიშნავს **ა. შიფნერი ბართოლომეს** შენიშვნის კვალდაკვალ, – რომ ჩაჩხურისთვის გაეკეთებინა იგივე, რაც მღვდელმა **ცისკაროვმა** თავისი დედაენისთვის გააკეთა (Schiefner, 1859, 5; ჩიქობავა, 1965, 170). მიუხედავად ამისა, სერიოზული სირთულეების წინაშე **ა. შიფნერი** მაინც იდგა.

თავად მაცნიერი მისსავე შრომასთან დაკავშირებით, რომელმაც შემდგომში ესოდენი მაღალი შეფასება მიიღო, შენიშნავდა, რომ იძულებულია მონურად მისდიოს დედანს (Schiefner, 1859, 86; ჩიქობავა, 1965, 175). ხოლო **ბ. უსლარის** ერთ-ერთ ნაშრომთან დაკავშირებით იგი ბრძანებს: „ვინც იცის, რაოდენ ძნელია წერილობით ჯერ კიდევ დაუფიქსირებელი ბგერებისა თუ სიტყვების ჩაწერა, ის იოლად გაიგებს, რომ თვით დაძაბული ყურადღების შემთხვევაშიც კი უთუოდ იპარება შეცდომები“ (Услар, 1888, VII).

დამწერლობიანობის შემთხვევაშიც კი „ძნელია ორი ისეთი ფონეტიკოსის მოძებნა, რომლებიც უცნობი ენის მეტ-ნაკლებად გრძელ გამონათქვამებს

57 მაგალითები დასახელდა ზემოთ, როცა კეთდებოდა ზოგიერთი წინასწარი მინიშნება **ქ** ლარინგალის გამო.

(თუნდაც ცალკეულ სიტყვებს – ა. ბ.) ზუსტად ერთნაირად ჩაიწერენ, – ბრძანებს **თ. გამკრელიძე**. – ამიტომ ფონეტიკური ჩანაწერი ყოველთვის იმპრესიონისტულია (შთაბეჭდილებას ემყარება); იგი ასახავს მხოლოდ იმას, თუ როგორ გაიგონა ჩამწერმა მოცემული გამონათქვამი, რა ბგერები მოესმა მასში“ (<http://www.science.org.ge/books/Gamkrelidze>).

და: თუშური (კავკასიური) ენის ხმოვნებისთვის ანდა თანხმოვნებისთვის დამახასიათებელი ესა თუ ის ელფერი ევროპული სმენის მქონე დამკვირვებლისთვის, დიახ, ერთ შემთხვევაში შეიძლება შეუმჩნეველი დარჩენილიყო, ხოლო მეორეში, პირიქით, მოჩვენებითი ყოფილიყო.

ის, რასაც **ა. შიფნერი** უწოდებს **ორიგინალს**, ლინგვისტური თვალსაზრისით, მთლად ორიგინალი არც ყოფილა: **ი. ცისკარიშვილმა** საქართველოდან პეტერბურგში გადაგზავნა არა საკუთრივ თუშურენოვანი ტექსტები, არამედ ქართულიდან თუშურ ენაზე ნათარგმნი მასალა. ისე რომ, გერმანელმა მეცნიერმა თავისი მონოგრაფია შექმნა ორიგინალური, თუშურენოვანი ტექსტების გარეშე.

როგორც თავად გერმანელი აკადემიკოსი წერს (**Schiefner**, 1859, 4–5; ჩიქობავა, 1965, 169), მის წამოწყებას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ შეიძლებოდა ამ ენის მცოდნე დახმარებოდა; ეს იყო **გიორგი ცისკაროვი** (**ცისკარიშვილი** – ა. ბ.), იქაური სასულიერო აკადემიის სტუდენტი, უმცროსი ძმა **იოზ ცისკაროვისა** (**ცისკარიშვილისა** – ა. ბ.), რომლის შედგენილიც იყო ტექსტები; ამ ახალგაზრდის დახმარებით **ა. შიფნერმა** მალე შეძლო ბგერითი შემადგენლობის **ზოგი თავისებურების** გარკვევა. მაშ, **ა. შიფნერს** ჰყავდა ცოცხალი ლინგვისტური ინფორმანტი (რესპონდენტი), რომლისგანაც კონსულტაციებს იღებდა მთელი 9 თვის განმავლობაში.

მაგრამ სულ სხვაა, როცა ლინგვისტს უშუალო სამეცნიერო კონტაქტი აქვს არა ერთ რომელიმე ინდივიდთან, თუნდაც ენის ყველაზე კარგ მცოდნესთან, არამედ ენის მატარებელ კოლექტივთან, ანდა გარკვეულ ჯგუფთან მაინც.

საქმეს ართულებდა ისიც, რომ, როგორც თავად **ა. შიფნერიც** წუხს ამის გამო, **გ. ცისკარიშვილს**, რომელიც რვა წელი არ ყოფილიყო შინ, ქართული და რუსული უფრო ემარჯვებოდა; მეტიც: **ა. შიფნერისავე** ცნობით, ასეთი გავლენისათვის თავი ვერ დაეღწია უფროს ძმასაც (**Schiefner**, 1859, 5; ჩიქობავა, 1965, 169).

როგორც ვხედავთ, **ა. შიფნერის** მდგომარეობა არცთუ სახარბიელო იყო თუნდაც მცირეოდენი წარმატებისათვის.

ზოგიერთი დეტალის გარკვევის მიზნით, **ა. შიფნერი** წერილობით მიმართავს **ი. ცისკარიშვილს** თიანეთში, სადაც ის მაზრის ბლაღოჩინად მსახურობდა, და ასე იღებს საჭირო ცნობებს (**Schiefner**, 1859, 4; ჩიქობავა, 1965, 169–170). სამაგიეროდ და სამწუხაროდ, ვერ იღებს დანაპირებს მასალას **ა. ბერეჟესგან**, რომელსაც ურთიერთობა ჰქონდა ადგილობრივ თუშურენოვან მოსახლეობასთან (**Schiefner**, 1859, 4; ჩიქობავა, 1965, 170).

მოკლედ, გასაგები უნდა იყოს, რა პირობებში უხდებოდა **ა. შიფნერს** მონოგრაფიაზე მუშაობა. ამას ემატება ენობრივი ბარიერიც. იგი შენიშნავს: „ჩვენი ყური მიჩვეულია გარკვეულ ბგერებს, – წერს იგი **პ. უსლარის** მონოგრაფიის („*აფხაზურის შესახებ*“) მისეული გამოცემის წინასიტყვაობაში, – და საჭიროა დიდი ვარჯიშობა, რომ სწორად აღვიქვათ უჩვეულო ბგერები, და მაინც შეუძლებელი ხდება განსხვავება შევნიშნოთ იქ, სადაც ადგილობრივი მკვიდრი ასეთ განსხვავებას ხედავს“ (ჩიქობავა, 1965, 184–185).

უდავოდ: კეთილსინდისიერი, ტიტანური შრომაა ჩადებული **ა. შიფნერის** მონოგრაფიაში. არც გამორჩენია ეს მხედველობიდან **არნ. ჩიქობავას**: იბერიულ-კავკასიურ ენათა მეცნიერული შესწავლის პიონერად მიიჩნევს რა გერმანელ მკვლევარს, სინანულით შენიშნავს: „ადვილი წარმოსადგენია, რა სახესაც მიიღებდა **ა. შიფნერის** შრომა, მის ავტორს რომ შემთხვევა მისცემოდა კავკასიაში ემუშავა, სათანადო ენაზე უშუალო დაკვირვება ეწარმოებინა“ (ჩიქობავა, 1965, 177).

დღესაც თამამად ვიმეორებთ სიტყვებს, რომლებიც 100 წლის მეტი ხნის წინ შეუცდომლად და გულწრფელად ბრძანა **პ. უსლარმა**: „ფილოლოგიური სამყაროსათვის თუშური ენა ცნობილი გახდა ბ–ნ აკადემიკოს **შიფნერის** ნაშრომის წყალობით (Услар, 1888, 2). ეს უკვე არის ის, რაზეც ძველი ლათინები იტყოდნენ: **Opus Herculeum** ‘*ღიაღი ნამოქმედარი*’.

და მაინც: მართალი იყო თუ არა **ა. შიფნერი**, როცა თუშური ენის **ღ–ს** აიგივებდა ხმოვნის ძლიერ შემართვასთან, ანუ, სხვაგვარად, აიგივებდა თუშური ენის ლარინგალურ **ყ–ს**თან (‘–სთან)? ერთ–ერთი სწორედ ეს კითხვაა, რომელიც გველობება ხმოვნებიდან თანხმოვნებისკენ მიმავალ გზაზე.

ის, რასაც **ა. შიფნერი** ხმოვნის ძლიერ შემართვად (*Spiritus lenis*) მიიჩნევს, სინამდვილეში არის არა **’** (**ყ**), ანუ არა ხმოვნის მაგარი შემართვა, არამედ – ხმოვნისწინა ანლაუტისეული **ღ** (**’ + შ**), რომელიც მან აღნიშნა **’** სიმბოლოთი. ეს ერთობ მნიშვნელოვანი ფაქტორია საკვლევაძიები გზაზე და ღრს მასზე

ყურადღების განსაკუთრებულად გამახვილება.

გავიხსენოთ და ყურადღება მივაქციოთ იმასაც, რომ გერმანული ენის ან-ლაუტისეულ ძლიერ შემართვასაც ზოგად ფონეტიკაში გადმოსცემენ იმავე ' სიმბოლოთი, რომლითაც **ა. შიფნერის** მიერ გადმოიცა თუშური ენაში: **'aber 'ხოლო, მაგრამ, თუშკა', 'immer 'მუდამ', 'ober 'ზედა, უმაღლესი'** (ახვლე-დიანი, 1966, 105). მაგრამ თუ გერმანული ენის ხმოვანთა ძლიერი შემართვა თუშური ენის ხმოვანთა ძლიერი შემართვის ფარდია, ' უნდა იყოს თუ არა **ღ**-ს ფარდი? აქ ისევ მივადექით სემიოტიკურ აღრევას.

თუკი გავიხსენებთ და გავიხიარებთ **ა. შანიძის** იმ ნათქვამს თუშური კი-ლოს **ქ**-სთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც **ქ** თითქმის (არა ზუსტად, არამედ თითქმის! – ა. ბ.) იგივეა, რაც ' (ანუ **ქ** – ა. ბ.) მეგრულ სიტყვებში **ქოროფა, ქუჯი** (შანიძე, 1957, 11), მაშინ გამოდის, რომ მეგრულ **ქ**-სა და თუ-შურ (როგორც ენოვან, ისე კილოვან) **ქ**-ს შორის უსათუოდ უნდა გავითვალ-ისწინოთ რაღაც, თუნდაც მცირედი განსხვავება.

მსჯელობას მივყავართ იმ მოსაზრებამდე, რომ, ერთი მხრივ, სხვადასხვა სიდიდეებს უნდა წარმოადგენდნენ თუშური ' (**ქ**) და მეგრული **ქ** ('), ხოლო მეორე მხრივ, ერთი და იგივე უნდა იყოს თუშურენოვანი ანლაუტისეული **ქ**⁹ და ის, რასაც გერმანულისთვის, ანდა მეგრულისთვის გადმოსცემენ ' (**ქ**) გრაფიკული სიდიდის სახით.

ანლაუტის ხმოვნის ის არტიკულაცია, რომელსაც **ა. შიფნერი** თუშური ენისთვის ძლიერ შემართვად (*Spiritus lenis*) მიიჩნევს და '–თი აღნიშნავს, სინამდ-ვილეში არის **ქ + შ** ფორმულის პირველი შესაკრების იდენტური სიდიდე, რომელიც აღინიშნება '–თი. სხვანაირად: **ა. შიფნერის** მიხედვით, ძლიერი შემართვა ნამდვილად გვაქვს მის მიერ წარმოდგენილ **ღ**-ზე დაწყებულ თუშურენოვან სიტყვებში, სადაც მართლაც გვაქვს თავჯდომური **ქ** ('), ანუ ძლიერი შემართვა.

ხაზს ვუსვამთ: მნიშვნელობას ნუ მივცემთ იმას, თუ როგორ აღვნიშნავთ ამა თუ იმ ფონეტიკურ თუ ფონოლოგიურ სიდიდეს, აქ მთავარია ის, თუ როდის რაზე ვსაუბრობთ: როდის გვაქვს საუბარი, დაეუშვათ, თუშური ენის ფარინგალზე და როდის – ამავე ენის ლარინგალზე? როდის გვაქვს საუბარი გერმანულსა თუ მეგრულ ანლაუტზე და როდის თუშური ენის ანლაუტზე?

შეცდა თუ არა **ი. დეშერიევი**, როცა, როგორც **თ. უთურგაიძე** ბრძანებს, თუშური ენის ხმოვნებზე მსჯელობისას „ანლაუტში **ქ** არ გამოყოფა ცალკე“ (უთურგაიძე, 1966, 43)?

სწორია თუ არა **თ. უთურგაიძე**, როცა თვლის, რომ **ქ** თუშურ ენაში „ფონემა და იგი უნდა გამოიყოს ანლაუტშიც, ისევე როგორც ინლაუტსა და აუსლაუტში“ (იქვე, 45)?

სწორია თუ არა **თ. უთურგაიძის** ის მოსაზრება, თითქოს თუშური ენის ან-ლაუტში „ყველა ხმოვანი, თუ მას ფონეტიკური შემართვა არა აქვს, იწყება ძლიერი შემართვით: ამ ხმოვნის წინ **ქ** ბგერა უთუოდ არის“ (იქვე, 42) და თითქოს თუშური ენის „ანლაუტში ხმოვანს ყოველთვის წინ უძღვება ლარ-ინგალი **ქ**“ (იქვე, 44)?

თუკი თუშური ენის ანლაუტისთვის **ქ** გარდაუვალია, მაშინ რატომ ყველ-გან არ აღნიშნავს მას თავად **თ. უთურგაიძე**?

ასეთი კითხვების ფონზე არის თუ არა სწორი ის მოსაზრებები, რომელთა თანახმადაც:

- 1) „ძლიერშემართვიანი ხმოვნები იშვიათია“ ენებში (ახვლედიანი, 1966, 105);
- 2) ძლიერშემართვიანი ხმოვანი „ქართულ სალიტერატურო მეტყველე-ბაში არ იხმარება“ (იქვე);
- 3) „ეფროზულ ენებში მაგარშემართვიანი ხმოვნები ყველაზე მეტად ახასი-ათებს სალიტერატურო გერმანულს“ (იქვე);
- 4) ასეთი ხმოვნები საერთოდ არ გააჩნიათ სხვა ეფროზულ ენებს;
- 5) რას უნდა ვუწოდოთ ანლაუტის ძლიერშემართვიანი ხმოვანი თუშურ ენაში და რას – სალიტერატურო გერმანულ, აგრეთვე ზანურ (მეგრულსა და ჭანურ) ენებში?

და ა. შ.

ყოველივე ეს ერთობ ყურადსადებაა როგორც ჩვეულებრივი ხმოვნების, ისე თუშური ენის თავისუფალი ხმოვნების ინტერპრეტაციისთვისაც.

მთელი ამ მსჯელობის შემდეგ უთუოდ უნდა გაგვიჩნდეს ერთი კითხვაც: არის თუ არა თუშური ენის **ღ**-ს შემადგენლობაში შემავალი **ქ** ფონემა?

გავიხსენოთ ქრესტომათიული დებულება: „ფონემა ეს არის უმცირესი ბგერითი ერთეული“, რომელიც „მონაწილეობს სიტყვების აზრობრივ (სე-მანტიკურ – ა. ბ.) დიფერენციალაში, ანდა მორფოლოგიური ფორმების გან-სხვავებაში (Розенталь, ..., 1976, 507). აქედან გამომდინარე, თუკი ჩვენ მიერ **ღ**-ს შემადგენლობაში შემავალი **ქ** ატარებს ფონოლოგიურ (სოციალურ) დატვირთვას, მაშინ **ქ** აქ უნდა მივიჩნიოთ ფონემად.

§5 (10). ამ თავიდან მიღებული შედეგები.

ბრველ რიგში, უთუოდ უნდა დაფრწუნებულიყავით იმაში, რომ თუშური ენის **ღ** კომპოზიტი და შედეგება ხშირი **ც** ლარინგალისა და ნაპრალოვანი **ძ** ფარ-ინგალისგან. ნაუბარი კი იძლევა გარკვეული დასკვნის შემუშავების საშუალებას.

მსჯელობის ეს მონაკვეთი ერთობ დიდ მნიშვნელობას იძენს და უსათუოდ მოგვიწევს მასთან მობრუნება არაერთხელ, რადგან, როგორც უნდა დადასტურებულიყო კიდევაც (განსაკუთრებით შეყოვნების, ანუ პაუზის მიმყოფი), ანლაუტის, ანდა განცალკევებული ხმოვნის შემთხვევაში საქმე გვაქვს ძლიერ შემართვასთან, რომელიც მისი (ჩვეულებრივი ხმოვნის) კუთვნილება უნდა იყოს. ასე იქნება ნებისმიერ ენაში (ამაში დაგვარწმუნებენ ანალოგიური არტიკულაციურ-აკუსტიკური დაკვრევები), რადგან ტკაცანისებრ ჩქამთან დაკავშირებით აქ წარმოდგენილი ინტერპრეტაცია ეყრდნობა არა ამა თუ იმ ენის არტიკულაციურ თავისებურებას, როგორც ასეთს, არამედ ფონაციის (სამეტყველო სუნთქვის) ძირითად პრინციპებს. ეს პრინციპები კი, საარტიკულაციო თავისებურებების საპირისპიროდ (რომლებიც განსხვავებული აქვთ სხვადასხვა ენის მატარებლებს), საერთო უნდა იყოს ნებისმიერი ენის მატარებელთათვის. აქ მოგვიწევს განვასხვაოთ სამეტყველო აპარატი, როგორც საარტიკულაციო საშუალება, და სამეტყველო აპარატი, როგორც საფონაციო საშუალება. ბრველი განსხვავებულია სხვადასხვა ენებში (მეტყველებებში), მეორე კი – ერთნაირი. ბრველი საკუთრივ სამეტყველო მოწყობილობაა, მეორე კი – ფიზიოლოგიური.

და რაც ყველაზე მთავარი უნდა იყოს აქ: ტკაცანისებრ ჩქამთან დაკავშირებული ეს ინტერპრეტაცია უკვე შეიძლება ბრველ ნაბიჯად ჩავთვალოთ იმ გზაზე, რომელსაც გვიძღვრებს.


ც თანხმოვანი არის ყველაზე ღრმა ყველა დანარჩენ თანხმოვანთან შედარებით (**ჰ**-ს გარდა). **ც** ყველაზე ღრმა არტიკულაციის მქონე თანხმოვანი გახლავთ აბრუბტივებს შორის, ისევე როგორც **ჰ** თანხმოვანი – სპირანტებს შორის. **ც**-ს არტიკულაცია ხდება იმ ტოპოსში, სადაც იბადება ხმოვანი ბგერა, ანუ თვით ხმა – ეს გახლავთ სახმო ქორღები. ამ თვალსაზრისით, ჭეშმარიტებასთან ყველაზე ახლოს მივიდა **თ. უთურგაიძე**, როცა, **შ. გაფრინდაშვილისა** და **ჯ. გიუნაშვილის** მიერ სპარსული ენის ფონეტიკასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ინფორმაციის გამო, თქვა: „**ც**-ს არტიკულაცია კონფიგურაციულად იმ ხმოვანს მოგვაგონებს, რომელთანაც იგი წარმოითქმის“; ან:

ც „კონფიგურაციულად... მომდევნო ან წინამდგომ ხმოვანს ჰგავს“; ანდა: **ც** „კონფიგურაციულად ჰგავს თანხმოვანს“ (უთურგაიძე, 1966, 21).

ხორხს, ანუ ლარინქსს ჩვენ ვუწოდებდით იმ „სრუტეს“, სადაც უსათუოდ გადის სამეტყველო ჰაერნაკადი. ისე რომ, ეს უმნიშვნელოვანესი უბანია იმ გზაზე, რომელსაც **სამეტყველო ტრაქტი** ჰქვია. აქ არის განთავსებული სახმო სიმები, რომლებიც ხმით აღჭურავენ თითოეულ ბგერას. სხვა თანხმოვნებისგან განსხვავებით, სწორედ აქ – სახმო ქორღებში – იბადება **ც** ლარინგალიც. ამიტომ: ალბათ, სწორედ აქ უნდა ვეძებოთ ის გასაღები, რომელიც, ერთი მხრივ, უნდა დაგვჩვენოს **უნ?** / **ვენ?** **რა?** ტიპის ლექსებთან დაკავშირებით არსებული პრობლემების ახსნაში, მეორე მხრივ, უნდა მიგვიყვანოს ბგერათა, კერძოდ, ხმოვანთა განსხვავებულ ხატადე.

ხშილ-მსკდომი (მკვეთრი) **ც**-ს წარმოთქმისას ადგილი აქვს ფილტვებიდან წამოსული სამეტყველო (საფონაციო) ჰაერნაკადის ოკლუზიას, ანუ მის ჩაკეტვასა და იმპლოზიას, ჩაუბუბრებს სასუნთქ მილში (სასულეში – ლათ. **trachea** **ტრაქეა**), რასაც საჭირო მომენტში მოსდევს მყისიერი (მკვეთრი) ექსპლოზია, ანუ სკდომა, სახმო სიმების განხშევით გამოხატული, რაც იწვევს კენესისებრ ჩქამს.

რომ დაფრწუნდეთ ამ თეორიულ ახსნა-განმარტებაში (რაიმე სპეციალური აპარატურის გარეშე), კიდევ ერთხელ მოვანდინოთ უბრალო, უშუალო დაკვრევა **ც**-ს არტიკულაციაზე: განმარტებული **ც** წარმოთქმვათ სრულიად აუჩქარებლად. უთუოდ უნდა შევიგრძნოთ, თუ როგორ იკეტება და განიხშევა სახმო ქორღები. ეს მოცემულობა დაახლოებით ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:



0 **ც** 1 2 3


ახლა სრულიად ცალ-ცალკე, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად და ასევე აუჩქარებლად წარმოთქვათ რამდენიმე **ც**: **ც, ც, ც, ც...** დაფრწუნდებით, თუ როგორ იკეტება და განიხშევა რამდენჯერმე სახმო სიმები – ყოველი **ც**-ს წარმოთქმისას:




0 **ც** 1 2 **ც** 3 4 **ც** 5 6 **ც** 7 8 9

ახლა კვლავ სრულიად ცალ-ცალკე, ერთერთისგან დამოუკიდებლად,

მაგრამ უფრო სწრაფად და ერთმანეთის მიყოლებით (მიჯრით) წარმოვთქვათ რამდენიმე **ც-ც-ც-ც...** დაფრწუნდებით, თუ როგორ იკეტება და განიხმევა – ასევე რამდენჯერმე (და მიჯრით) – სახმო სიმები ყოველი **ც**-ს წარმოთქმისას:



ჩამოყალიბებული ჩვეულებრივი ხმოვნების შემთხვევაში რკალები უფრო მაღალი იქნება, რაც ეკვივალენტურია ბგერის ვოკალური სისავსისა:



ცხოველთა სამყაროსთან მიმართებაში თავისთავად უადგილოა მსჯელობა არტიკულაციაზე, მაგრამ მეტყველებაში, გვინდა თუ არ გვინდა, არცთუ იშვიათად გვჭირდება და ვხმარობთ ე.წ. ხმაბაძვით სიტყვებს, რომლებიც წარმოადგენენ ცხოველების მიერ წარმოებული („არტიკულარებული“) ცალკეული „ფონეტიკური“ (აკუსტიკური) სიდიდეების აღწარმოებას, ამჯერად ჩვენი სამეტყველო, საარტიკულაციო საშუალებებით. ობიექტური სინამდვილის ამგვარ ასახვას ფართოდ მიმართავენ, მაგალითად, საბავშვო ლიტერატურა:

ყიყლიყოოო, ყი-ყი-ყი-ყი, მმმუუუ, წი-წი-წი-წი, ყვა-ყვა-ყვა...

გასაგებია: ჩვენ მიერ რეპროდუცირებულ ამ სიდიდეთაგან ზოგი უფრო მეტად არის ახლოს პირველად, ანუ პირუტყვულ (ექსტრანორმალურ) პროდუქციასთან, ზოგიც – ნაკლებად. იმას, რომ ჩვენ მიერ კვლავწარმოებული სიდიდეები ეკვივალენტური იყოს ცხოველური ბგერითი სიდიდეებისა, ხელს უშლის ასეთი ეკვივალენტების უქონლობა ენებში, ასეთების არსებობის შემთხვევაში კი ხელს გვიშლის ადეკვატური გრაფიკული აღმნიშვნელების უქონლობა.

ორონიული გაცივნების, ჩაცივნების გამოსახატავად ქართულ ენაში გამოიყენება **ჰ** და **მ** გრაფემების ჯამი: **ჰმ!** მაგრამ ეს გრაფიკული აღნიშვნა სულაც არ არის ის, რასაც სინამდვილეში წარმოვთქვამთ: თუკი **ჰმ!**-ს წავიკითხავთ ისე, როგორც ვწერთ, აკუსტიკურად სულაც არ მიიღება ის, რასაც ჰქვია „ორონიული გაცივნება, ჩაცივნება“. ჩვენი აზრით, კიდევ უფრო დაშორებულია ერთმანეთისგან ფონეტიკური რეალობა და გრაფიკული სურათი რუსულ ენაში: **Гм! 'ჰმ!'**

განსაკუთრებული მდგომარეობა გვაქვს აგრეთვე, მაგალითად, ცხვირის-

იერი თანხმოვნებისა (**მ, ნ**) და ნაზალიზებული ხმოვნების (**ჰ, ჟ, ძ, ჯ, ჟ**) არტიკულაციებისას, როცა საფონაცია (სამეტყველო, ანუ საარტიკულაციო) ჰაერნაკადი ერთდროულად გადის პირშიც და ცხვირშიც (პირის ღრუშიც და ცხვირის ღრუშიც). ცნობილია, რომ ასეთ რამეს ადგილი არა აქვს დანარჩენი სამეტყველო ბგერების არტიკულაციებისას. მაგრამ რწმული მეტყველების დროს, როცა წარმოვთქვამთ სხვა სამეტყველო ბგერებს, ნაწილი საფონაციო ჰაერნაკადისა, გადაიქცევა რა რესპირატორულ (სუნთქვით) ჰაერნაკადად, უსათუოდ გაედინება ცხვირშიც (ცხვირის ღრუში). თუ, ამ თვალსაზრისით, პირის ღრუს პარობით ვუწოდებდით I არხს, ხოლო ცხვირის ღრუს (ასევე პარობით) – II არხს და თუკი შევთანხმდებით სათანადო გრაფიკულ (I და II) აღნიშვნებზე, მაშინ ქართულენოვანი **ჰმ!** შეიძლება გაგვეფორმებინა ასე: **ჰ. ეს ნიშნავს, რომ, მოკუმული ბაგეებით წარმოვთქვამთ რა ჰ-ს, საფონაციო ჰაერნაკადს მთლიანად ვატარებთ ცხვირში, ანუ II არხში, რომელშიც ისედაც უნდა გაგვეტარებინა ჰმ!** -ში შემავალი **მ**. ვფიქრობთ: ქართული **ჰ-ს** და რუსული **Г-ს** მიმყოლი **მ/М-ც**, ჩანს, სწორედ ამ დანიშნულებით ფუნქციონირებს აქ გრაფიკულად.

თუმცა: დაფიქრდეთ ცხოველთა „სამეტყველო“ სამყაროს, კერძოდ, ცხოველების მიერ წარმოებული ბგერითი სიდიდეების ეკვივალენტების უქონლობას ენებში.

ამ თვალსაზრისით, უთუოდ მეტი პერსპექტივა გააჩნია თუშურ ენას – მდიდარი ბგერითი სისტემის არსებობის წყალობით მასში. რომც უარვეყთ **ჩ. დარგინის** ანთროპოგენეზური თეორია და ვაღიაროთ ადამიანის შობა თიხაში სულის ჩაბერვის გზით, თავდაპირველად ადამიანებს ისევე (ან დაახლოებით ისევე) უნდა ემეტყველათ უთუოდ, როგორც ცხოველები „მეტყველებენ“ დღეს. და თუკი რომელიმე ენამ დღემდე როგორღაც შემოინახა „ველური“ ბგერები, ეს მხოლოდ მის გარკვეულ უპირატესობაზე უნდა მიუთითებდეს.

ცხოველთა მიერ წარმოებული აკუსტიკური სიდიდეების რეპროდუცირებისას თუშურენოვან მეტყველებაში ვხვდებით II არხის ბგერებსაც, ქლიქსებსაც⁵⁸, მოკლე ხმოვნებსაც, **ჰ-საც**, **მ-საც**, **ღ-საც**, **ც-საც**. მეტიც: როგორც ზემოთ ითქვა, სწორედ ამგვარი რეპროდუცირებისას ამოიცნობა ყველაზე კარგად თუშური ენის ზოგიერთი სპეციფიკური ბგერა. კერძოდ, ცხოველური „ლექსიკის“ რეპროდუცირება შეიძლება მოვახდინოთ შემდეგნაირად⁵⁹: კრუხის

58 რომლებსაც პარობითად წიწნით აღვნიშნავთ.

59 აქვე გვაქვს ნაზალიზებული, ანუ გაცხვირისმიერებული თანხმოვნები, რომლებიც

ლაპარაკობდა საერთო ბგერით შთაბეჭდილებებზე, წერდა: „ქართველი ლაპარაკობს ყელით... ჩაჩან-დაღესტნელი თითქოს ნახველს იღებს“ (ფონეტიკური, 1940, 25)

აქ, ბუნებრივია, იგულისხმება ის თანხმობენები, რომლებიც არ გააჩნიათ ეგროპულ ენებს, მაგრამ დასტურდება კავკასიურ ენებში. **ა. ღირის** ეს შეფასება მიუჩიეველი, რათინირებული ყურის პირველი შთაბეჭდილების შედეგი უფრო უნდა იყოს, ვიდრე კავკასიური ფონეტიკის საფუძვლიანი, გლობალური შესწავლისა. როცა უსმენ, მაგალითად, თუშურენოვან სიმღერებს, რომელთა სამუსიკო კილოც (წყობა) ნახურია (ბერთლანი (ბართიშვილი), 1999, 106-107), ჭირს **ა. ღირის** შთაბეჭდილების ბოლომდე გაზიარება: ხველებით საეჭვოა შეიქმნას ის ჰარმონია, რომელსაც თუშურენოვანი (და, საერთოდ, ნახურენოვანი) სიმღერები ქმნიან. არც საყოველთაოდ განთქმული ქართული სიმღერა იმღერება „ყელით“ მსგავსი თანხმობების არსებობისა გამო იქ; არც ქართველურენოვანი და არც ნახურენოვანი სპეციფიკური თანხმობები არ უნდა ტოვებდნენ ესოდენ ნეგატიურ აკუსტიკურ შთაბეჭდილებას.

გ ლარინგალი, რომელიც აქ გამოვავლინეთ თუშური ენის **ღ-ს** შემადგენლობიდან, არქაული და თავისებური, განსაკუთრებული ბგერაა როგორც ხასიათით, ისე წარსულით. ხეთური ენის არქაულობაზე საუბრისას, სხვა ნიშნებთან ერთად, განსაკუთრებულად უსვამენ ხოლმე ხაზს სპეციფიკური თანხმობანი არტიკულაციის შენარჩუნებას იქ, „რამაც შესაძლებელი გახდა დადასტურება... ინდოევროპული შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერების მთელი რიგი თეორიული დებულებებისა, რომლებიც ცნობილია „ლარინგალური თეორიის“ სახელწოდებით; კერძოდ, უნიკალურ არქაიზმად არის მიჩნეული ხეთური ენის მიერ ლარინგალური არტიკულაციის შენარჩუნება (ქსე, 1987, 455; БСЭ, 1978, 246). ხეთური ენა ფუნქციონირებდა ჩვენს ერაზმე II ათასწლეულში – ძვ. წ. XVIII-XII სს. მაშ: კიდევ უფრო უნიკალურ და არქაულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ასეთი (ლარინგალური) არტიკულაციის არსებობა იმ ენაში, რომელსაც ხეთური ენისაგან მათასწლეულზე მეტი დრო აშორებს და რომელიც ჯერაც ცოცხალ რეალობას წარმოადგენს უდამწერლობის პირობებში. ლინგვისტებს, ვფიქრობთ, კვლავაც მოუწევთ მსჯელობა ამ ლარინგალზე. ბუნებრივია კი იქნება იმ ოპონენტთა ეჭვი, რომლებმაც ე. წ. თავისუფალი ხმოვნების არსებობა თუშურ ენაში შეიძლება მიიჩნიონ ჭარბი ფანტაზიის ნაყოფად, თუმცა ასეთ შემთხვევაში გაგებით უნდა მივუდგეთ იმ მოსაზრებასაც, რომლითაც ეჭვქვეშ დგება ანლაუტის **გ** თანხმობანი

აქ თუშურენოვან ვარიანტულ ფორმებში (იგულისხმება **უხ?** / **ვუხ?**). როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში მოკლებულნი ვართ მთავარს – თუშურენოვან წერილმეტყველებას, რომლის შესახებაც იგივე შეიძლება გავიმეოროთ, რაც თავის დროზე **ფ. დე სოსიურმა** ბრძანა ზეპირმეტყველების შესახებ (მეტყველებაზე საერთოდ). ენა, თქვა მან, ანუ მეტყველება კოლექტივის წევრების მიერ დადებული ერთგვარი ხელშეკრულების ძალით არსებობს (Соссюр, წიგნში: Шадури, 1992, 83) და ეფუძნება კოლექტიურ ჩვეულებას, ანუ შეთანხმებას (იქვე, 87). თუშურენოვანი წერილმეტყველება, ისევე როგორც მეტყველება საერთოდ, ხელს შეუწყობდა რა „ყველასათვის სავალდებულო ნორმების დამკვიდრებასა და გაფრცხვლებას“ (Balli, წიგნში: Шадури, 1992, 94), ნაწილობრივ მაინც აგვაცილებდა თვით ამ მსჯელობას. ჩვენ გაგვაჩნია თუშურენოვანი წერილმეტყველების ოდენ მჭრთალი, რუდიმენტური კონტურები, რომლებიც არცთუ იოლად ექვემდებარებიან დაკვირვებას, მაგრამ, თუკი ეს შესაძლებელია, უნდა როგორმე ჩაეჭიდოთ არსებულს: საუბრობდა რა ლინგვისტის ამოცანაზე, **გ. ჰუმბოლდტი** მიგვითითებდა სკურულოზური შესწავლის აუცილებლობაზე ენის თვით უწვრილმანესი მოვლენებისაც კი (Гумбольдт, იქვე, 29), ხოლო **გ. ჰუმბოლდტის** ერთ-ერთ დამსახურებად **ბ. დელბრიუკი** თვლიდა მის მისწრაფებას, ხელიდან არ გაეშვა წვრილმანის გამო მთლიანი და მთლიანის გამო – ცალკეული ფაქტები (Дельбрюк, წიგნში: Булич, 1904, 28).

ზ. სარჯველაძე შენიშნავს, რომ „უძველესი დროის ცოცხალი მეტყველების (ზეპირმეტყველების – ა. ბ.) შესასწავლად ერთადერთი წყაროა წერილობით ძეგლებში დადასტურებული მწერალთა (გადამწერთა) შეცდომები, რომლებიც... ცოცხალი მეტყველების (ენის) რეალურ ასახვას წარმოადგენენ“ (სარჯველაძე, 1984, 1984, 4), რამეთუ: დამწერლობა მაღავეს (ინახავს – ა. ბ.) ენას (Соссюр, წიგნში: სარჯველაძე, 1984, 4). თუმცა, მეორე მხრივ, ცხადია ისიც, რომ ტექსტის არასწორი ჩაწერა, მით უმეტეს, უდამწერლობის პირობებში თავისთავად იწვევს მკდარ ვიზუალურ შთაბეჭდილებას.

ეჭვის საფუძველს უნდა იძლეოდეს უდამწერლობო ენის ნებისმიერი სიტყვისა თუ ასო-ბგერის დაწერილობა, მით უმეტეს, თუ ეს დაწერილობა არაერთგვაროვანია როგორც დიაქრონიაში, ისე სინქრონიაში. განა თუნდაც რამენაირმა ექსპერიმენტულმა (იარაღობრივმა) ანალიზმა დაადგინა უკვე, რომ ამ სახალხო სიტყვების ანლაუტში უნდა დაწეროს მაინცდამაინც **გ-** და განა ინსტრუმენტული ექსპერიმენტის გარეშეც ცხადი არ არის, რომ

საკითხი გასარკვევია, თუნდაც უბრალო დაკვირვების დონეზე? ამ ეტაპზე თავკიდური ხმოვნების თავისუფალი არტიკულაციის არსებობის იდეა ისევე უპრეტენზიოდ და უმტკივნეულოდ უნდა მივიღოთ, როგორც **უხ?** / **ვუხ?** ტიპის ორგვარ დაწერილობას ვიდებდით აქამდე. წინ კი, უდავოდ, ერთობ მძიმე, მაგრამ საკმაოდ საინტერესო გზა ძეგს ძიებისა.

როგორც **გ. ახვლედიანი** ბრძანებს, „გარკვეული სათანადო წვრთნის შემდეგ ჩვენ საკმაო სიზუსტით აღვიქვამთ სმენით ამა თუ იმ ბგერას, წარმოთქმულს სხვის ან ჩვენ მიერ“ (ახვლედიანი, 1966, 20), მით უმეტეს, თუ ენა მშობლიურია. ამასთანავე „საკმაო სიზუსტით შეგვიძლია აღვწეროთ“ სამეტყველო ორგანოთა მოქმედება, ანუ საწარმოთქმო მოძრაობანი იმ შემთხვევაშიც კი, როცა ეს მოძრაობა „არა ჩანს უშუალოდ“, მაგალითად, სახმო სიმების მოძრაობის შემთხვევაში, როცა „მივმართავთ კუნთებრივ შეგრძნებას“, რითაც „დაკვრევება აგრეთვე მნიშვნელოვან შედეგს იძლევა“ (იქვე, 20). საინტერესო და სასარგებლო დებულებებია საკვლევაძიებო საქმიანობისათვის.

არსებითი მნიშვნელობა არც კი აქვს იმას, დასტურდება (დადასტურდება) თუ არა თავისუფალი ხმოვნები თუშურ ენაში: უდამწერლობო მეტყველებაში ძნელად თუ დგინდება რამის მართებულობა თუ უმართებულობა, მაშინ როცა თვით დამწერლობიან ენებშიც კი არცთუ იშვიათად გაჭირვებით ვარჩევთ ე. წ. სალიტერატუროს (მართებულს) და ე. წ. არასალიტერატუროს (უმართებულოს).

აქ საკმარისი იქნებოდა მარტო იმის დაფიქსირებაც, რომ თუშურენოვანი საარტიკულაციო ბაზისი იძლევა საშუალებას წარმოვთქვათ სამეტყველო ლიტერატურაში დღემდე დაუფიქსირებელი ისეთი ხმოვნები, რომლებიც რალაციით განსხვავდებიან დღემდე ცნობილი ყველა ხმოვნისგან.

მთავარია ამ ხმოვანთა განმასხვავებელი ნიშნის (ნიშნების) დაჭერა, დაზუსტება და შესწავლა, რაც უთუოდ მოგვცემს შესაძლებლობას რამდენადმე ახლებურად შევხედოთ ხმოვანთა სისტემას (და იქნებ თანხმოვნებსაც) და ისიც – არა მხოლოდ თუშურ ენაში. უნიფიცირების საჭიროებას თუ აუცილებლობას ადასტურებს ის ფაქტი, რომ სხვადასხვა წყაროებში ეს თავკიდური არტიკულაცია არაერთგვაროვნადაა წარმოდგენილი: **უხ?** / **ვუხ?**

თავკიდური თავისუფალი ხმოვნებით წარმოდგენილი ლექსიკა დღეს ერთობ მწირია თუშურ ენაში, რის გამოც იქნებ არც ღირდა მათი მიჩენვა საკვლეობიექტად. მაგრამ, გარდა იმისა, რომ ასეთი მოვლენის თვით გაელვებაც კი თავისთავად საინტერესოა და, გარდა იმისა, რომ ამ მაგალითებში წარმოდ-

გენილია თუშური ენის 5 ჩვეულებრივი ხმოვნის 4 თავისუფალი კორელატი – **ზ, ზ, ი, უ** და 4 თავისუფალი ხმოვნის 2 ნაზალიზებული კორელატი – **ჴ, ჴჴ**. ეს ფაქტი, თავისი ხასიათის წყალობით, შეიძლება გამოგვადგეს ხმოვანთა არსის უფრო ღრმად შესწავლის საქმეში: დაგვეხმაროს ბგერების (ხმოვნების) შესაძლებელი „გახლეჩის“ ტექნოლოგიის შემუშავებაში, ანუ ბგერების (ხმოვნების) შემადგენელი კომპონენტების „დაჭერაში“ და მათ „ამოკრეფაში“, რისთვისაც, საეჭვოა, შეგვიძლებოდა მიგვეგნო ასეთი ბგერების, ამგვარი არტიკულაციის უქონლობის შემთხვევაში. და ამაში არ შეიძლება არ დავინახოთ მაღალი დღემდე ცოცხლად შემონახული თუშური ენისა.

ს. ოჯეგოვის რუსული ენის 53 ათასიან განმარტებით ლექსიკონში (Ожегов, 1970) შეტანილია ხუთად-ხუთი სიტყვა თავკიდური **и**-ით (**и**-თი), რომელთაგან ხუთივე არარუსულენოვანია. **ი**-ზე (**и**-ზე) დაწყებული სიტყვების რაოდენობა **საბას** ლექსიკონში სამად-სამია (ამდენიც არა), მაგრამ მისმა ავტორმა მაინც მიუჩინა მათ შესაბამისი ადგილი.

და რატომ არ უნდა ღირდეს თუშური ენის სიტყვის კონაში შეტანა თუ შესწავლა თავისუფალხმოვანი ლექსემებისა, რომელთა რაოდენობაც 60-ის სიახლოვესაა?

როცა თუშურენოვანი ინფორმანტების ყურადღებას ვამახვილებთ მათ მიერვე არტიკულირებულ, მაგრამ, როგორც სხვა მეტყველებების სინამდვილეშიც ხდება ხოლმე, მათივე ყურადღების მიღმა დარჩენილ სიდიდეებზე, კერძოდ, ხმოვნების თავისუფალ არტიკულაციაზე, რომელიც, ჯერ არ არის რა შემჩნეული ბაცბოლოგიაში, კვლევის ობიექტად დაგვისახავს, ისინი – თუშურენოვანი ინფორმანტები – არათუ უცხოობენ მას (თავისუფალ არტიკულაციას), ხშირად გვიდასტურებენ. ეს კია: უჭირთ ამ არტიკულაციის გადმოცემა გრაფიკულად. თუმცა: მათ საერთოდ უჭირთ თუშურენოვანი მასალის გადატანა ქაღალდზე – კვლავ დამწერლობის უქონლობისა გამო⁶³.

ისიც უნდა გავიმეოროთ და ვაღიაროთ, რომ არც თავკიდური **გ** თანხმოვნიან ფორმებს თვლიან რესპონდენტები დიდ დამახინჯებად. თუმცა გამოკ-

63 არც სხვა რომელიმე დამწერლობიანი ენის რიგითი მატარებლები არიან ხოლმე გაცნობიერებულები იმაში, რომ, მაგალითად, ყოველდღიურ მეტყველებაში ისინი ხმარობენ წინა, შუა და უკანა რიგის, მაღალი, საშუალო და დაბალი აწეულობის, მეტნაკლები დაჭიმულობის, ნაზალიზებულ და ორალურ, ლაბიალიზებულ და არალაბიალიზებულ, ფარინგალურ, ლარინგალურ და ა. შ. ბგერებს; ბეჭდვურ ისიც კი არ იციან, რომ თურქე ყოველდღე ხმარობენ ხმოვანსა და თანხმოვან ბგერებს...

ითხულთა უმრავლესობა თვლის, რომ, მაგალითად, *‘კო, ღიახ, პო’* ფორმის თუ-შურენოვან შესატყვისში არაფრით შეიძლება დაეუშვათ სხვა რამ თავკიდური არტიკულაცია, გარდა იმისა, რომელიც ახასიათებს თავისუფალ ხმოვანს: **აჲც**.

ბუნებრივად კია, რომ **უხ?** / **ვუხ?** შემთხვევაში თვით თუ-შურენოვანი კორესპონდენტებიც კი ისევე ექცევიან ცდომილებაში, როგორც არაინგლისურენოვანი კორესპონდენტები – თავკიდური **ჟ**-ს მქონე სიდიდეების გადმოცემისას გრაფიკულად. დღემდე რომ არ გვეცნობოდა, მაგალითად, არაბული **خ**, ასევე გაჭირდებოდა მისი შესაბამისი ბგერის გრაფიკულად აღნიშვნა: უდამწერლობო (ზეპირი) ენის მატარებელთათვის მშობლიური ზეპირმეტყველების წერილმეტყველებად ქმნის პერსპექტივა წერა-კითხვის უცოდინრობის ეკვივალენტურია.

ეს ყოველივე მოგვაგონებს იმ ვითარებას, რომელიც **რ. გაგუამ** შენიშნა და სრულიად ნათლად განმარტა თუ-შური ენის უმარცვლო (არაციონალურ – ა. ბ.) ხმოვნებთან დაკავშირებით: ეს ხმოვანი, წერს იგი, იმდენად „გაჭირვებით აღიქმება“ (Гаря, 1983, 176), რომ, „ძალიან ძნელი გასარჩევია“ რა „აკუსტიკურად, უცხო ყურმა შეიძლება ვერც კი შეამჩნიოს“ და „ერთი შეხედვით კაცს შეიძლება“ ამ „ხმოვნით დასრულებული სიტყვა თანხმოვანფუძიანად მოეჩვენოს“ (გაგუა, 1956, 470). ამას **რ. გაგუა** შენიშნავს და განმარტავს XX ს. 50-80-იან წლებში, როცა თითქოს აღარაფერი უნდა ყოფილიყო ძნელი გასარჩევია.

ანალოგიურადვე: საანალიზოდ მოხმობილ **უხ?** / **ვუხ?** მაგალითებში ერთი შეხედვით კაცს შეიძლება მოეჩვენოს ხან თავკიდური **უ**, ხანაც თავკიდური **გ**: თითქოს **უ** ისმის, თითქოს **გ**.

ჩნდება კითხვა: რას შეიძლება მივაწეროთ ამ ხმოვნების არსებობა ანდა მათი შენარჩუნება თუ-შურ ენაში?

ხმოვნებთან დაკავშირებულ ერთ კერძო საუბარში თუ-შური ენის მკვლევარმა, **მ. მიქელაძემ** შენიშნა, რომ ლექსიკურ სიდიდეთა კომპაქტურობისკენ სწრაფვის ნაყოფი უნდა იყოს თუ-შური ენის ხმოვანთა (აგრეთვე თანხმოვანთა – ა. ბ.) მრავალფეროვნება, რაც კომპენსაციას უკეთებს სოციალური ღირებულების მატარებელ იმ დანიშნულებებს, რომლებსაც სხვა ენებში ასრულებს, დაეუშვათ, მორთემათა თუ მარცვალთა სიმრავლე მოცემული სიტყვის საზღვრებში. ძნელია არ დავეთანხმეთ ამ ფრიად საინტერესო და სასარგებლო მოსაზრებას. იგივე უნდა ითქვას თავისუფალი ხმოვნების არსებობასთან დაკავშირებითაც თუ-შურ ენაში. **მ. მიქელაძის** აზრით, ისეთი ენისათვის, სადაც

სიტყვა (ფუძე) წარმოდგენილია სულ ორიოდ მარცვლით, ხმოვანთა პოლიმორფიზმი (მრავალსახეობა, მრავალფეროვნება, მრავალშრეობა) ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი საშუალება უნდა იყოს, რათა თავი აარიდოს საეჭვო ლექსიკურ ომონიმას (ერთსახელიანობას), ანუ მნიშვნელობით განსხვავებული სიტყვების ბგერობრივ დამთხვევას. ეს ყოველივე კი უნდა გამოძინარეობდეს თვით ამ ენის მატარებელთა ეთნიკური ხასიათიდან, რომელიც ითვალისწინებს აზროვნებისა თუ მეტყველების სიზნადეს, გამჭვირვალობას და, ბუნებრივია, მოითხოვს იმას, რომ ყოველი მოცემული სიტყვა, რომელიც ამავე ღრის მოცემული ბგერების კომპლექსიცაა, ისევე როგორც ადამიანი, უნდა ატარებდეს ერთ და არა ორ, ან რამდენიმე სახესა თუ სახელს.

თუ-შური ენის მატარებელთა ხასიათიდან უნდა მომდინარეობდეს ლექსიკურ ერთეულთა კომპაქტურობაც, რომელიც, თავის მხრივ, მომდინარეობს იმავე ეთნო-ფსიქოლოგიური კრედიდან, კერძოდ, სამეტყველო სიმუშაიდან: „საჭირო არ არის ბევრი ლაპარაკი!“ ზედმეტი ყბედობა, რომელიც ადამიანის ერთ-ერთ მექანიკურ ნიშან-თვისებას წარმოადგენს, ადრე თუ გვიან მანკად გადაიქცევა (Аѳм, 1990, 310).

თუ-შური ენის თავისუფალ ხმოვნებზე მსჯელობა საინტერესოა არა იმდენად თვით ამ ხმოვნების არსებობის, ან არარსებობის ფაქტის კონსტატაციისთვის (თუ-შუა, თავისთავად, ესეც საინტერესოა), რამდენადაც ამგვარი ბგერების არტიკულაციის დასახასიათებლად, რაც, თავის მხრივ, დაგვეხმარება უფრო სერიოზული დაკვრების წარმოებაში ხმოვნებზე (და არა მარტო ხმოვნებზე).

ფონოლოგიურ ოპოზიციაში **აჲც** *‘კო, ღიახ, პო’* – **აჲც** ბერძნ. *‘Kopros’* (ბავშვის ენაზე) იკვრება კვანძი და იხსნება პერსპექტივა – რამდენადმე ახლებურად ჩავიხედოთ ჩვეულებრივი ხმოვანი ბგერების ხასიათშიც, რომელიც უშუალო შეხებაშია, ერთი მხრივ, თავისუფალ ხმოვნებთან, მეორე მხრივ, თანხმოვნებთან.

ყოველივესთან დაკავშირებით თუ-შური ენის (და არა მარტო თუ-შურის) ჩვეულებრივი ხმოვნებიც, ინგლისური თუ ფრანგული **ჟ**-ც და, საერთოდ, სამეტყველო ბგერათა არტიკულაცია თუ აკუსტიკა (ფონეტიკა) გვაინტერესებს სწორედ სიტყვის აბსოლუტურ დასაწყისში (ანლაუტში), რადგან ინლაუტსა თუ აუსლაუტში უთუოდ შეგვიშლის ხელს როგორც წინამდევალი, ისე გარდამავალი ბგერების ფაქტორი. ანლაუტში კი ხელთა გვაქვს მოცემული (ნებისმიერი) ბგერის სრულიად თავისთავადი სახე, განსაკუთრებით მისი არტიკულაციის

საწყის მეცში, რომლისთვისაც შეიძლება გვეწოდებინა **ანლაუტის ანლაუტი**.

ასეთ სიტუაციაში – როცა ვერც თვით თუშური ენის მატარებელი, ვერც ამ ენის შემსწავლელი ვერ გაურკვევიათ, რა უნდა დაიწეროს **უხ?** / **გუხ?** ტიპის სიტყვების ანლაუტში, ცოცხალ მეტყველებაზე დაკვირვებებს მივყავართ იმ აზრამდე, რომ თუშურენოვანი რესპოდენტები სანამდელიეში წარმოთქვამენ **უ** ხმოვანს, ოღონდ არა ჩვეულებრივს, არამედ სხვაგვარს – სხვაგვარი არტიკულაციით, სხვაგვარი შემართვით, რომელსაც **თავისუფალი** ვუწოდეთ. როცა გრადუალად აფიქსირებდა **უხ?** ფორმას, კორესპონდენტმა – **ი. გიულდენშტეტმა** – აგრეთვე გაიგონა თავისუფალი ხმოვანი, ხმოვანი თავისუფალი შემართვით. ლაბიალური თავისუფალი **უ** ხმოვნის არტიკულაციას კი უსათუოდ გააჩნია რაღაც საერთო ლაბიოდენტალურ **გ** თანხმოვანთან, რომელიც გაჩნდა კიდევაც მომდევნო ორთოგრაფიაში: **უხ? > გუხ?**

სხვაენოვანი დამკვირვებლისთვის აკუსტიკურ ეფექტს იძლევა არა ბგერის ესა თუ ის საკვალიფიკაციო ნიშანი (არა, მაგალითად, ნაზალობა, დახურულობა და ა. შ.), არამედ, პირველ რიგში, თვით ბგერა როგორც ასეთი, ბგერის ზოგადი სახე, უფრო კი, ალბათ, ბგერის დაყოვნებითი მონაკვეთი, ბგერის მწვერვალი, რომელიც ბგერის ბირთვს უნდა წარმოადგენდეს. და შემთხვევითობა არ იყო ისიც, რომ უდამწერლობო თუშური ენის ხმოვანთა სამეცნიერო კვალიფიკაციის გზა გრძელი იყო და მძიმე: ამ ურთულესი სისტემის კორექტური რიგები მრავალი და მრავალი წლის მერეა იქნა შემჩნეული და განდასებული და ისიც არასრულად. თვით ისეთი დიდი მეცნიერიც კი, როგორც **ნ. მარი** იყო, არცთუ დიდი ხნის წინ არათუ არ ადასტურებდა – უარყოფდა ნაზალიზებული ხმოვნების არსებობას თუშურ ენაში (Mapp, 1922, 7).

რესპონდენტები იშვიათად თუ სწვდებიან იმას, რაც ზოგჯერ ესოდენ მნიშვნელოვანია კორესპონდენტისთვის, და, აქედან გამომდინარე, იშვიათად თუ უსვამენ ხოლმე ხაზს ენაში არსებულსა და განსაკუთრებულ, სამეტყველო ჩვევად ქცეულ ამა თუ იმ თავისებურებას, მით უმეტეს, ფონეტიკურს: ეს მათთვის (რესპონდენტებისთვის) თითქმის არავითარ ფასეულობას არ ატარებს. თავის მხრივ, კორესპონდენტი, რომელიც არ ფლობს ენას, როგორც ცოცხალ მეტყველებას, ყოველთვის როდი აგნებს ამ ენაში არსებულ ამა თუ იმ თავისებურებებს, თუ გაცნობიერებული და მიხვედრილი რესპონდენტები არ გაამახვილებენ ამაზე მის ყურადღებას. ანლაუტის თავისუფალი არტიკულაცია კი, მისი სპეციფიკის გამო, განსაკუთრებული დაკვირვების გარეშე

მართლაც ძნელად აღსაქმელია – არა მარტო უცხოელისთვის.

იოლი წარმოსადგენია შეცდომები **ი. გიულდენშტეტის**, როგორც მოგზაურის, ჩანაწერებში, რომელთა ავტორიც ინფორმაციას ხშირად ისე იწერს, როგორც „допускает до уха“, შენიშნავს **ი. გულდენშტეტის „მოგ ზაურობის“** მთარგმნელი და გამომცემელი, **გ. გელაშვილი** (გელაშვილი; წიგნში: **Guel-denstaedtius**, 1962). გარკვეულწილად ანალოგიურ სიტუაციაში შეიძლება აღმოჩნდეს თვით საკვლევი ენის მატარებელი მკვლევარიც, ვერ მიაკვლიოს რა აბსოლუტურად ყველაფერს, რაც ახასიათებს ამ ენას. და არც არის აუცილებელი ყველაფერი ერთმა მკვლევარმა გამოავლინოს, რამეთუ მეტყველება, მისი კვლევა, როგორც პროცესი, თაობათა სამოღვაწეო ვალდებულებას წარმოადგენს და ყოველი გაუხსნელი მომენტი ენისა ელის მკვლევარს მომდევნო თაობიდან.

ს. მაკალათიასგან განსხვავებით, ორგზის უფრო იოლი წარმოსადგენია შეცდომები **ი. გიულდენშტეტის „მოგ ზაურობაში“**: „სხვადასხვა ადგილას“, – წერს **გ. გელაშვილი**, – ერთი და იმავე ფონეტიკური სიდიდის გადმოსაცემად **ი. გიულდენშტეტი** „სხვადასხვა გერმანულ ასოებს იყენებს“ (იქვე). ასოები კი მკითხველისთვის იგივე ბგერებია, კონკრეტული ბგერების ეკვივალენტები. მართალია, მოგზაურობის ჟანრის კვალობაზე ამ ტიპის შეცდომებს **გ. გელაშვილი** არ მიიჩნევს მძიმე შეცდომებად (იქვე), მაგრამ ლინგვისტიკის სფეროში, სადაც მნიშვნელოვანია თითოეული ასო-ბგერა, არ შეიძლება ყურადღების მიღმა დაეტოვოთ ისინი.

საჭირო შემთხვევაში შესაბამისი არტიკულაციისა თუ შესაბამისი გრადუალური ნიშნის არარსებობის მიუხედავად, **‘რა?’** ნაცვალსახელის თუშურენოვანი შესატყვისის ანლაუტში დააფიქსირა რა არა თანხმოვანი, არამედ სწორედ ხმოვანი, **ი. გიულდენშტეტი** ინტუიციით ჩასწვდა თუშური ენის ხმოვანთა საიდუმლოს, ჩვენ კი საშუალება მოგვცა არტიკულაციის სწორად აღწარმოებისა და იმისა, რომ, თანამედროვე შესაძლებლობების ფონზე, მის მიერ ჩაწერილისთვის მიგვესადაგებინა შესატყვისი დიაკრიტიკული ნიშანი, თუნდაც ლიგა: **უხ? ‘რა?’**

თუშური ენის უარქაულებსა **ქ** ლარინგალმა უნდა გაგვიყვანოს ჩვეულებრივ ხმოვნებამდე, რომელთა ფესვებიც ისტორიული შორეთის იქითა შორეთს უნდა აღწევდნენ: ცნობილია, რომ **ბიოლოგიურად – ხმოვანი, ხოლო სოციალურად თანხმოვანია პირველი და რომ თანხმოვანია, ზღვარს რომ ღებს ცხოველსა და ადამიანს შორის** (ახვლედიანი, 1949, 391).

მაგრამ, მათივე ბუნებიდან გამომდინარე, კიდევ უფრო შორეულ ისტორიას უნდა მიეკუთვნებოდნენ თავისუფალი ხმოვნები და მათი კვლევა-ძიება თა-

ვისთავად საინტერესო და სასარგებლო უნდა იყოს: თავისუფალი ხმოვნების არსებობამ და მათმა გამოვლენამ თუშური ენაში კიდევ უფრო ღრმად უნდა ჩაგვახედოს ბგერათა არსში საერთოდ და, მაშასადამე, ისტორიაშიც.

მით უფრო ხელსაყრელად ვთვლით დეტალურ მსჯელობას იმაზე, თუ რა ცნება შეიძლება ჩაიდოს ტერმინში **თავისუფალი ხმოვნები** – რაკი ასეთი ხმოვნების სახით გამოვეყოფთ დამოუკიდებელ რელევანტურ ჯგუფს თუშური ენის ხმოვანთა სისტემიდან. თავისთავად უნდა ვიგულისხმოთ ისიც, რომ მათი გრაფიკული აღნიშვნაც (ისევე როგორც თვით ნებისმიერი ტერმინი) პირობითია – თუნდაც ასეთი ხმოვნების სრულ აღიარებამდე ბაცბოლოგიაში. თავისთავად ჩნდება საჭიროება, ახსნა მიეცეს ამ ტიპის ხმოვნებს, რათა სწორად მოხდეს მათი კვალიფიცირება.

არსებითი მნიშვნელობა არცა აქვს იმას, თუ რას ვუწოდებთ საკვლევ ხმოვნებს, ანდა როგორ აღვნიშნავთ მათ გრაფიკულად. აქ საკმარისია ფაქტის კონსტატაცია, აგრეთვე ის, რომ ტერმინში (და გრაფიკაშიც) შეძლებისდაგვარად აისახოს რეალობა. სხვა დამკვირვებელს (სხვა ენის მატარებელსაც და თვით თუშური ენის მატარებელსაც), შესაძლოა, სხვა რამ მოესმას იქ, სადაც ჩვენ თავისუფალ ხმოვანს ვცნობდით. ამიტომ: მსჯელობა უსათუოდ მოითხოვს ექსპერიმენტულ გადამოწმებას. მანამდე კი უთუოდ მოგვიტანს გარკვეულ სარგებლობას თეორიული ხასიათის ინტერპრეტაცია: „უკეთესის უქონლობის შემთხვევაში დასაშვებია ჩაითვალოს (აღიარებულ იქნეს – ა. ბ.) სრულიად გაუგებარიც... ბოლოს და ბოლოს, განა იმავე ინტუიციურ ხასიათს არ ატარებენ საერთოდ ისეთი საბაზო კატეგორიები, როგორიცაა **სიფრცე, მატერია** და განსაკუთრებით **ღრო**“ (Наклеушев, 1990, 246–250), რომლებზედაც ასე გაბედულად და თავდაჯერებით ვაგებთ არა ერთ და ორ პირობას, დებულებას, თეორიას.

ერთი კონკრეტული მაგალითი. იმაზე გაცილებით ადრე, ვიდრე ხეთურენოვან ძეგლებს აღმოაჩენდნენ, ლინგვისტებმა იწინასწარმეტყველეს ერთგვარი, ე.წ. ლარინგალური ბგერის არსებობა ძველად, – წერს ავტორი წიგნისა **„ეტრუსკები – გამოცანა ნომერი ერთი“**. – ინდოევროპული ოჯახის არც ერთ მანამდე ცნობილ ენაში ასეთი ბგერა არ იყო. მაგრამ, ლინგვისტები ამტკიცებდნენ, ის ლოგიკურად გამოჰყავდათ იმგვარადვე, როგორც, მაგალითად, ასტრონომებმა „გამოთვალეს“ ნებტუნის, ანდა პლუტონის არსებობა. და მართლაც: ასეთი „ლარინგალი“ აღმოჩნდა ხეთების ენაში (Кондратов, 1977)!

ბოლოს, ნაუბართან დაკავშირებით უკვე შეიძლება რამდენიმე სამუშაო დებულების ჩამოყალიბება:

1. თუშური ენის ბგერათა სისტემაში ჯერ კიდევ ბევრია საკვლევი თუ დასამუშავებელი.

2. რაც უფრო ყოფითი ხასიათისაა და ნაკლებად შესწავლილი მეტყველება (თუშური ენა სწორედ ასეთია), მით უფრო მეტია შესაძლებლობა რაიმე ახლის პოვნისა იქ მისი პირველქმნილი სახით.

3. თუშური ენა უდამწერლობაა, რაც განაპირობებს როგორც მისი კვდომის ტემპს (განსაკუთრებით ბოლო ეტაპზე), ისე მისი სტრუქტურის – ჩვენს შემთხვევაში ფონეტიკისა თუ ფონოლოგიის – კვლევის გააქტიურების აუცილებლობას, რაც არცთუ მცირე სიკეთეს მოუტანს არა მარტო იბერიულ-კავკასიურ, არამედ თვით ზოგად ენათმეცნიერებას, კერძოდ, ზოგად ფონეტიკას.

4. **უხ?** / **ვუხ?** **‘რა?’** ვარიანტებზე დაკვირვებამ აშკარად ცხადყო ერთი რამ: აქ, თავკიდურში, არ უნდა იყოს არც **უ**, არც **გ**. აქ უნდა იყოს მესამე სიდიდე – ხმოვანი, რომელიც რაღაცით უსათუოდ განსხვავდება ჩვეულებრივი ხმოვნისგან; და ეს განსხვავება შემართვაშია, რომელიც არის თავისუფალი (თავისუფალი – რისგან? ამაზე საუბარი უფრო იოლი გახდება ჩვეულებრივ ხმოვნებზე საუბრის შემდეგ).

5. თუშური ენის ხმოვნების ანალიზი იძლევა ანლაუტის თავისუფალ არტიკულაციაზე (თავისუფალ ხმოვნებზე) მსჯელობის პერსპექტივას მსოფლიოს ნებისმიერ ენაში, რაც ამავე დროს იძლევა პერსპექტივას ვისაუბროთ **ჟ** ლარინგალის, ანუ ანლაუტის ძლიერი შემართვის არსებობაზე ასევე ნებისმიერ ენაში, რაზეც ადრევე მივანიშნეთ (Бартишвили, 1998, 14–16; ბერთლანი, 2012).

6. აქ წამოჭრილი კითხვები თუ საკითხები იძლევიან ფუნდამენტურ პირობას იმისათვის, რომ ვაწარმოოთ ანალიზი არა მარტო თავისუფალი ხმოვნებისა, არამედ ჩვეულებრივი ხმოვნებისაც, რომელთა ბედიც, ისევე როგორც თავისუფალი ხმოვნებისა, უმჭიდროესად აღმოჩნდა დაკავშირებული თანხმოვნებთან, კერძოდ, ლარინგალურ არტიკულაციასთან.

7. **ქავ** თუ **ავ** **‘ხედა’**? ამ კითხვას უსათუოდ დავუბრუნდებით, აქ კი გავიძიოთ მხოლოდ, რომ თვით **თ. უთურგაძეს** თავკიდური ხმოვნის წინ (შემართვაში) **ჟ** აღნიშნული (გადმოცემული) აქვს გამოკვლევის მხოლოდ იმ ნაწილში და, მაშასადამე, მხოლოდ იმ მაგალითებში, სადაც მის არსებობ-

ბაზე აქვს საუბარი და, მაშასადამე, სადაც მას ეს სჭირდება (უთურგაიძე, 1966, 42-45 და სხვ.); ყველა დანარჩენ შემთხვევაში თავიკიდური ხმოვანი მას წარმოდგენილი აქვს **ჟ**-ს გარეშე (იქვე, 90-100), რაც სრულიად ბუნებრივია: როგორც მრავალჯერ მოგვიწევს გაშეგრეხვა, თუ შური ენის ანლაუტის ნები-სმიერი ჩვეულებრივი ხმოვანი (და ნებისმიერი კორელატი) ზუსტად ისეთივეა შემართვის თვალსაზრისით, როგორც სალიტერატურო ქართული, რუსული და ა. შ. ენების შესაბამისი ხმოვნებია, გარდა იმ ენებისა (მაგალითად, გერმანულისა), რომლებსაც ანლაუტის ხმოვანთა მაგარ შემართვას მიაწერენ.

თვალსაზრისით ბაცბოლოგმა, **რ. გაგუამ** ერთ კერძო საუბარში უყვამანოდ გაიზიარა ჩვენი ის მოსაზრება, რომ დღემდე **უხ?** / **ეუხ?** სახით დაფიქსირებული სიდიდეების ანლაუტში არც **უ** ისმის, არც **გ**, არც **უ** უნდა წარმოითქვას, არც **გ** და რომ აქ საქმე უნდა გვქონდეს მესამე ფონეტიკურ (ან იქნებ ფონოლოგიურ) მოცემულობასთან; და ეს ის სიდიდე უნდა იყოს, რომელთანაც უნდა მიგვიყვანოს ერთადერთი სწორი ორთოგრაფიისა თუ არტიკულაციის ძიების ერთადერთმა სწორმა გზამ. **რ. გაგუასთან** ამ საუბარმა განაპირობა ჩვენი გადაწყვეტილებაც – უფრო აქტიურად შევდგომოდით ამ საინტერესო საკითხის კვლევას, რისთვისაც არ შეიძლება მადლიერება არ გამოვხატოთ ამ ჭეშმარიტად დიდი მეცნიერისა და კიდევ უფრო დიდი ადამიანის მიმართ.

თავი II. ჩვეულებრივი ხმოვნები ზოგადად

1. თითქოს მარტივად ვასხვავებთ ერთურობისაგან ხმოვნებსა და თანხმოვნებს, მაგრამ – რით?

§1 (11). საენათმეცნიერო ინფორმაცია ხმოვნებზე საერთოდ და მაგარი შემართვა სალიტერატურო გერმანულ ენაში.

რას ეუწოდოთ „ჩვეულებრივი ხმოვანი“? – ასეთ კითხვასაც კი ბადებს ხოლმე სხვა, კიდევ უფრო სერიოზული, კითხვა: საარტიკულაციო წინალობა (კერძოდ, სამეტყველო ორგანოთა ხშვა განხშვითურთ) შეიძლება თუ არა წარმოვიდგინოთ სამეტყველო ბგერების ხმოვნებად და თანხმოვნებად მაღიფერენცარებელ ნიშან-თვისებათა რიგში, მით უმეტეს, თუ ხმოვნებსაც და თანხმოვნებსაც, როგორც ბგერებს, წარმოვთქვამთ თითოეულს ცალ-ცალკე, რასაც მივმართავთ ხოლმე მათი დახასიათებისას?

ლინგვისტურ ენციკლოპედიურ ლექსიკონში გვითხულობთ: „ხმოვნების არტიკულაციური თვისებები გამოიხატება იმაში, რომ ისინი წარმოდგენენ ბგერებს, რომლებიც იწარმოებიან ხმის აუცილებელი მონაწილეობით და რაიმე წინალობის გარეშე ხახა-ცხვირ-პირის ღრუებში“ (ЛЭС, 1990, 105). და მერე: „ხმოვანთა წარმოებისთვის დამახასიათებელია კუნთური დაძაბვის არქონა რომელიმე უბანში“ (იქვე). თუმცა ეს ნიშანი, სხვა ნიშნებთან ერთად, არ ითვლება აბსოლუტურ ნიშნად (იქვე), მაგრამ რაკი სხვა, აბსოლუტური ნიშნები ჯერაც ხელთ არა გვაქვს, ეს ნიშნები უნდა მივიღოთ სახელმძღვანელოდ. დავაკონკრეტოთ: ლაპარაკია რაიმე წინალობისა თუ კუნთური დაჭიმვის არქონაზე ხმოვანი ბგერების წარმოებისას, ანუ არტიკულაციისას.

თანხმოვნების არტიკულაციურ თვისებად, ხმოვნების საპირისპიროდ, ითვლება „სამეტყველო ტრაქტში წინალობის აუცილებელი არსებობა“ (ЛЭС, 1990, 477), რაც თანხმოვნებს მიაკუთვნებს იმ სამეტყველო ბგერების კლასს, რომლებიც თავიანთი თვისებებით უპირისპირდებიან ხმოვნებს (იქვე).

მოუხედავად ამკარა განსხვავებისა ხმოვნებსა და თანხმოვნებს შორის, არ არსებობს შეჯერებული და საბოლოო აზრი იმის შესახებ, თუ რა ქმნის ამ განსხვავებას მათ შორის და, მაშასადამე, რას უნდა ემყარებოდეს ბგერების ამგვარი კლასიფიკაცია – მათი დაყოფა ხმოვნებად და თანხმოვნებად (ახვლედიანი, 1949, 388).

ამასთან დაკავშირებულ ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებს შორის **გ. ახვლედიანი** ყველაზე სწორად თვლის **მეფეს**⁶⁴ აზრს, რომელიც დაახლოებით ასეა ჩამოყალიბებული: ხმოვანსა და თანხმოვანს შორის ის განსხვავებაა, რომ ხმოვანი იწარმოება ხმის გამოღებით (გამოცემით) საწარმოთქმო ორგანოების გარკვეულ მდგომარეობაში შეჩერებისას, ხოლო თანხმოვანი – ხმის ან ჩქამის გამოღებით საწარმოთქმო ორგანოების მოძრაობისას. „მართლაც, – განმარტავს **გ. ახვლედიანი**, – საწარმოთქმო ორგანოების გარკვეულ მდგომარეობაში შეჩერებისას ბგერის წარმოთქმა გულისხმობს რეზონანსის გარკვეულ მედეგ ფორმასაც და დაუბრკოლებლობასაც – ესაა ხმოვნის წარმოთქმის პირობები, მეორე მხრივ, პირის დაბალ ღრუში ორგანოების საწარმოთქმო მოძრაობა გულისხმობს როგორც დაბრკოლების შექმნას, ისე მის დაძლევას. ნაყოფიერად მიგვაჩნია მკაცრი საზღვრის დადგენა ხმოვანსა და თანხმოვანს შორის, სახელდობრ, რეზონანსის როლის გახაზვით ხმოვანთა წარმოთქმაში“ (**ახვლედიანი**, 1949, 388–389).

ხმოვანი და თანხმოვანი ბგერების ერთმანეთისგან გენეზისური განსხვავების საკითხის დასმას **გ. ახვლედიანი** თვლის ერთ-ერთ კარდინალურ საკითხად „მეტყველების წარმოშობის საკითხთა რიგში“ საერთოდ (**ახვლედიანი**, 1949, 389). მეტიც, – დაურთავს მეცნიერი, – შეიძლება ითქვას: სამეტყველო ბგერათა წარმოების საკითხის გადაჭრას შეუძლია გადამწყვეტი სიტყვა ითქვას საერთოდ მეტყველების წარმოშობის საკითხში, რადგანაც არაფერი ენობრივი არაა ისეთი საერთო რამ ყოველი ენისათვის, როგორც ფიზიკური ბიოლოგიური ბგერის გამოყენება სამეტყველო მასალად (**ახვლედიანი**, 1949, 389): „არათუ გრამატიკული ფორმა, რომლითაც ენები ერთმანეთისაგან ძლიერაა განსხვავებული (ზოგ ენას არც აქვს იგი!), არამედ თვით სიტყვის მნიშვნელობაც არ შეიძლება ჩაითვალოს იმდენად სპეციფიკურ მოვლენად ბგერითი მეტყველებისათვის, როგორც სამეტყველო ბგერა“ (**ახვლედიანი**, 1949, 389).

აქ ქართველი ენათმეცნიერი იშველიებს დანიელი ენათმეცნიერის, **ჟესპერსენის**, გამოხატულებას იმასთან დაკავშირებით, რომ პირველყოფილი ადამიანები „ლაყბობდნენ მხიარულად და დაუდევრად (*in den Tag hinein*) და ბევრს არ ფიქრობდნენ თითოეული სიტყვის ზუსტ მნიშვნელობაზე“ და სრულიად მართებულია ასკვნის, რომ „წარმოთქმა-მეტყველების უძველესი

64 **მეფეს** და **ჟესპერსენის** ანთროპომიული დაწერილობა გამოკრებული გვაქვს გამოყენებული წყაროდან.

საფეხურისათვის არაა აუცილებელი არათუ გრამატიკული ფორმა, არამედ მნიშვნელობაც კი“ (**ახვლედიანი**, 1949, 389–390).

იშველიებს რა ლოგოპედის მიღწევებს ხმოვნისა და თანხმოვნის ერთმანეთისგან განსხვავების დასადასტურებლად, **გ. ახვლედიანი** ამავე დროს ადასტურებს ხმოვნების პირველადობას თანხმოვნებთან მიმართებაში. კერძოდ, ის შენიშნავს, რომ „მრავალგვარი ენამოშლილობის დროს ზიანდება ჩვეულებრივ თანხმოვნები, ხოლო ხმოვნები – არა, ან ძლიერ იშვიათად. ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საბუთთაგანია ხმოვნების პირველადობის სასარგებლოდ“ (**ახვლედიანი**, 1949, 390).

წინამდებარე გამოკვლევამ ერთგვარად უნდა მიგვაახლოოს იმ მოსაზრებასთან, რომ ხმოვნებისა და თანხმოვნების დაპირისპირება იმ ნიშნებით, რომლებზედაც აქ არის საუბარი, არ უნდა იყოს სრულყოფილი. ასეთი ეჭვის საფუძველს იძლევა დაკვირვებაც თუშურ ენაში დღემდე სასწაულად შემორჩენილ ბგერებზე.

მაშ სხვა რა ნიშნით (რა თვისებით) განვასხვავოთ ერთმანეთისგან ხმოვნები და თანხმოვნები? შესაძლოა, ამ კითხვაზე პასუხის ძებნა ჯერ ნაადრევად იყოს, მაგრამ იმაში მანკი უნდა დაფრწმუნდეთ, რომ ეს ნიშანი არ შეიძლება იყოს სახელდობრ სამეტყველო წინააღმდეგობის არსებობა ან არარსებობა.

აღრე გვაქვს ნაუბარი დეტალურად ხმოვნებისა და თანხმოვნების ურთიერთმიმართებაზე (ბერთლანი, 2010; ბერთლანი, 2012). აქ ზოგადად შევეხებით კიდევ ერთხელ გერმანულ ენასთან მიმართების საჭიროებისამებრ.

სამეტყველო ბგერების დაყოფა ორ ჯგუფად – ხმოვნებად და თანხმოვნებად – ყველაზე ძველი კლასიფიკაციაა, გვასწავლის **გ. ახვლედიანი** (**ახვლედიანი**, 1966, 59) და იქვე შეგვახსენებს, რომ, თუმცა ტერმინები **ხმოვანი** და **თანხმოვანი**, აგრეთვე **ნახევარხმოვანი** დღემდე დატოვებულია მეცნიერულ ფონეტიკაში, მაგრამ ისინი არაა ზუსტი (**ახვლედიანი**, 1966, 66). ასეა თუ ისე, ჩვენ მანკი გვიწევს მსჯელობა სწორედ ხმოვნებზე, როგორც ასეთებზე, და თანხმოვნებზე, როგორც ასეთებზე, მსჯელობა მათ მსგავსებასა თუ განსხვავებაზე.

სამეტყველო ბგერები ასეთებად იწოდებიან იმდენად, რამდენადაც იწარმოებიან ადამიანის ხმის წყალობით და, მაშასადამე, წარმოადგენენ არტიულაციურსა და აკუსტიკურ მოცემულობებს, რომლებიც, ბუნებაში არსებული სხვა ბგერებისაგან (ხმებისაგან) განსხვავებით, ატარებენ სოციალურ, სასიგნალო, საურთიერთობო დატვირთვას. აქ ყველაფერი ნათელია.

სამეტყველო ბეგრათა განსაზღვრის (განმარტების) შემდეგ ჩნდება სამეცნიერო აუცილებლობა მათი კვალიფიკაციებისა, ანუ დაჯგუფებისა ამა თუ იმ ნიშნით (ნიშნებით).

ამ თვალსაზრისით, როგორც მრავალგზის ითქვა, ერთ-ერთ ქრესტომათიულ კრიტერიუმად დღემდე ითვლება სამეტყველო აპარატში მოძრავი სამეტყველო ჰაერნაკადის თვისებრივი და ოდენობრივი შემადგენლობა, კერძოდ: ზოგადად მიღებულია, ხმოვნებად ჩავთვალოთ ბგერები, რომელთა წარმოთქმის (წარმოების) დროსაც ფილტვებიდან ამონადენი სამეტყველო ჰაერნაკადი, რომელსაც თან მოაქვს სამეტყველო (საფონაცო) ხმა, თავისუფლად (რამდე წინალობის გარეშე) მოძრაობს და გადის სამეტყველო აპარატში. თანხმოვნებად კი ითვლება ბგერები, რომელთა წარმოთქმის დროსაც, პირიქით, სამეტყველო ჰაერნაკადი თავისუფლად კი არ მოძრაობს და გადის სამეტყველო აპარატში, არამედ ხვდება ესა თუ ის წინალობა (ბარიერი).

მოკლედ, თანხმოვნებისგან განსხვავებით, ხმოვნებზე საუბრისას ზედმეტია ლაპარაკი რაიმე წინალობაზე სამეტყველო ტრაქტში. დახასიათების ეს ნიშანი (თვისება) თითქმის ყველა სამეცნიერო ლინგვისტურ წყაროში ფიგურირებს ოდნავ განსხვავებული ლექსიკური ინდივიდუალობით. კერძოდ:

1. **ხმოვანი** არის „ღია პირის ღრუში (უდაბრკოლებოდ) წარმოთქმული ბგერა“ (ქეკელ, 1990, 1258). **თანხმოვანია** ბგერა, „რომელიც წარმოთქმის სამეტყველო ორგანოებში **ხშვა-სკდომის**, ან **ნაპრალოვნების** საშუალებით“ (იქვე, 516).

2. „**ხმოვანი** იწარმოება უმთავრესად ხმის გამოღებით შესაფერი საწარმოთქმო ორგანოების გარკვეულ მდგომარეობაში **შეჩერებისას**, ხოლო **თანხმოვანი** – ან ჩქამნარევი ხმის (სონორულ თანხმოვნებში), ან ხმანარევი ჩქამის (მჟღერ თანხმოვნებში), ან მხოლოდ ჩქამის გამოღებით შესაფერი საწარმოთქმო ორგანოების **მოძრაობისას**. **თანხმოვნები** **დინამიკური** წარმოების ბგერებია, **ხმოვნები** – **სტატიკური** (ახვლედიანი, 1966, 65).

3. **ხმოვანი** ბგერები იწარმოებიან ჰაერნაკადის პირში **თავისუფლად** გავლით, უმთავრესად ხმისგან (სახმო ტონისგან) შედგებიან და **თითქმის** არ გააჩნიათ **ჩქამი** (Розенталь, ..., 1976, 77), ხოლო **თანხმოვანი** ბგერები შედგებიან ან მხოლოდ ჩქამისაგან, ან ხმისა და ჩქამისაგან, რომელიც წარმოიქმნება პირის ღრუში, სადაც ფილტვებიდან ამონასუნთქი ჰაერნაკადი ხვდება სხვადასხვა **წინალობებს** (იქვე, 436).

4. ერთ-ერთ წყაროში ხმოვნები და თანხმოვნები განხილულია პარაგრაფ-

ში სათაურით „**სამეტყველო აპარატის ავებულება**“, სადაც ვკითხულობთ: მთელი ბგერები იყოფა **ტონებად** და **ჩქამებად**. ტონი მუსიკალური ბგერაა, ჩქამი – არამუსიკალური. თრთიან რა, სახმო სიმები წარმოქმნიან მუსიკალურ ბგერას – ტონს... პირის ღრუში ჰაერნაკადი ან **თავისუფლად** გადის (ამ დროს წარმოთქმის **ხმოვნები**: ისინი შედგებიან სუფთა ტონისაგან), ან ხვდება **წინალობები** და ჩქამით (ხმაურით) გადალახავს მათ (ამ დროს წარმოთქმის **თანხმოვნები**: ისინი შედგებიან ტონისგან და ჩქამისგან, ანდა სუფთა ჩქამისგან)... თუ ჰაერნაკადი პირში გადის **თავისუფლად**, წარმოთქმის **ხმოვნები**, ხოლო თუ ჰაერნაკადი პირში ხვდება **წინალობებს**, წარმოთქმის **თანხმოვნები** (Белошапкова, 1981, 35–36).

5. სხვაგან **ხმოვანი** და **თანხმოვანი** ბგერების გამოჯვრისას ყურადღებას მამხვილებენ აკუსტიკურსა და არტიკულაციურ ნიშნებზე, რომელთაგან გამოვყოფთ რამდენიმეს, კერძოდ (Попов, ..., 1986, 17–18):

ა). **ხმოვნების** წარმოებისას ჰაერნაკადი **არ აწყდება წინალობას, თანხმოვნები** კი იწარმოებიან **წინალობის მეშვეობით**;

ბ). **ხმოვნების** წარმოებისას სამეტყველო ორგანოები **დაჭიმულია** (დატვირთულია – ა. ბ.) **თანაბრად**, ხოლო **თანხმოვნების** წარმოებისას სამეტყველო ორგანოები ყველაზე მეტად იმ ადგილას არიან **დაჭიმულნი**, სადაც **წინალობაა**;

გ). **ხმოვნების** წარმოებისას ჰაერნაკადი **სუსტია, თანხმოვნების** წარმოებისას კი **ძლიერი**, რადგან მან (ჰაერნაკადმა – ა. ბ.) უნდა გადალახოს გზაზე არსებული წინალობა.

6. **ხმოვნები** (ვოკალები) იწარმოებიან „ჰაერის **თავისუფალი** გავლით“ (Ахманова, 1966, 107); **თანხმოვნები** (კონტალები) „ხმოვნებისგან განსხვავდებიან **ჩაკეტვის** (ხშვის – ა. ბ.) **მეტე ხარისხით**“ (იქვე).


7. ვარჩევთ სამეტყველო ბგერების ორ წყაროს. პირველია სახმო სიმების რხევები ხორხში ჰაერნაკადის გავლისას. ეს რხევები **პარამონიულია** და ქმნის **ტონს**, მუსიკალურ ბგერას. მეორე არის ჩქამი, ანუ **არაპარამონიული** ბგერა, რომელიც წარმოიშობა ჰაერის ნაკადის მიერ სხვადასხვა **წინალობათა** გადალახვის შედეგად. **ხმოვნები** სუფთა ტონური ბგერებია, **თანხმოვნები** კი ხასიათდებიან ჩქამის ქონით და მათი წარმოქმნის დროს ჰაერნაკადი პირის ღრუში გადალახავს **წინალობას** (Современный, 1982, 84).

8. **ხმოვანი** ბგერების აკუსტიკური თვისებები განაპირობებულია პირის ღრუს ფორმით, რომელიც ასრულებს რეზონატორის (თანამბგერის – ა. ბ.)



როლს (Гвоздев, 1973, 13). **თანხმოვანი** ბგერების აკუსტიკური თვისებები განპირობებულია **არტიკულაციებით** (სამეტყველო ორგანოების მოქმედებებით ან **მდგომარეობებით** – ა. ბ.) პირის ღრუში, პირველ რიგში, **წინაღობათა** ხასიათითა და ადგილით. მათში ჰაერის გავლისას ეს **წინაღობები** იწვევენ სხვადასხვა ჩქარვებს. მხოლოდ დამატებითი ხასიათისაა სახმო სიმებისა და ცხვირის ღრუს როლი (იქვე, 17).

9. გერმანული ენის ფონეტიკასთან დაკავშირებით ვკითხულობთ: **ხმოვანთა** განმასხვავებელ ნიშან-თვისებას წარმოადგენს ის, რომ მათი წარმოქმნისას სამეტყველო აპარატის ზესადგამ მიღში, იმ გზაზე, რომელზედაც მოემართებიან სახმო სიმებიდან მომდინარე ბგერითი ტალღები, **არ იქმნება (არ წარმოიშობა) წინაღობა**, ხოლო **თანხმოვნების** განმასხვავებელი ნიშანია ის, რომ მათ წარმოებაში მონაწილეობს ესა თუ ის **წინაღობა** პირის ღრუში (Климов, 1978, 18).

ვიდრე ამ ინფორმაციის ანალიზზე გადავიდოდეთ, შევნიშნოთ: არასერიოზულობა იქნებოდა იმის გათვქრებაც კი, რომ, თუკი პირის ღრუ ღიაა, არტიკულაცია უსათუოდ უდაბრკოლებოა; არ არის აუცილებელი დაბრკოლება სწორედ და მაინცდამაინც პირის ღრუში აღმოცენდეს. კოარტიკულაციის წესების შესაბამისად, **ყა-, ხა-, ჰა-** მარცვლების წარმოსათქმელად პირის ღრუ წინასწარ უნდა გექნოდეს ღია, რაც უსათუოდ გულისხმობს ამ თანხმოვნებისთვის კუთვნილი (დამახასიათებელი) წინაღობების არსებობასაც (თუმცა, ვიმეორებთ, პირის ღრუ იქნება ღია, რაიმე წინაღობის გარეშე). მეტიც: თუკი მითითების გარეშე ყურადღებით დაგაკვირდებით ქართული **ი-**სა (ახვლედიანი, 1949) თუ ქართულივე **ი-**ს შესატყვისი რუსული **й**, ანუ **и** თანხმოვნის (იქვე) არტიკულაციის ამსახველ სქემატურ სურათებს წინაღობის არსებობა-არარსებობის თვალსაზრისით, საკმაოდ გაგვიჭირდება რაიმე არსებითი განსხვავების დანახვა თუ დადგენა:



და, პირიქით, მითითების გარეშეც სრულიად იოლია ასეთი განსხვავების დანახვა იმ სურათებზე, რომლებიც ქართულ **ი** და **ა** ხმოვნებს ასახავენ (ახვლედიანი, 1949):



ი ხმოვნის წარმოებისას ენის გვერდითი კიდეები საკმაოდ მჭიდროდ ებჯინებიან მალლითა გვერდითა კბილებს (ნუნებს), იმდენად მჭიდროდ, რომ წარმოიქმნება თითქმის ისეთივე ნაბრალი, როგორც, დაფუშვით, **ა**, ანუ **й** თანხმოვნის წარმოებისას. ეს კი უსათუოდ დაბრკოლებათა რაგვარობას წარმოადგენს. ეს მსჯელობა უთუოდ უნდა დაგვიდასტუროს ხელოვნური სასით მიღებული პალატოგრაფიამ: **ი-**ს წარმოსათქმელად ენის ზურგი მოძრაობას ზემოდან ქვემოთ იწყებს ღამის **ი-**სთვის საჭირო საარტიკულაციო კონფიგურაციით; და **ა** თანხმოვნის არტიკულაციის ბოლო მომენტისთვის ენა იმაზე უფრო მეტ თავისუფლებას აძლევს ჰაერნაკადს, ვიდრე **ი** ხმოვნის სრული არტიკულაციისთვის არის საჭირო.

როგორც ვხედავთ, ხმოვნებისა და თანხმოვნების განსხვავებისას ყურადღება ძირითადად გამახვილებულია წინაღობაზე (წინაღობებზე) პირის ღრუში და არ არის დასახელებული (თუმცა ალბათ იგულისხმება) წინაღობები, მაგალითად, ფარინქსში და ლარინქსში (კერძოდ, თვით სახმო სიმებში), რაც სწორედ რომ ესაჭიროება ჩვენს მსჯელობას; რაკი, მაგალითად, ხმოვნებს ვაჯგუფებთ მაგარშემართვიანებად და რბილშემართვიანებად (ასევე ფშვინიერშემართვიანებად), მაგარი შემართვა კი სხვა არა არის რა, თუ არა უმაღლესი კლასის წინაღობა სახმო სიმებში (ყიაში), მაშინ, ჯერ ერთი, როცა სამეტყველო ბგერებს ვაჯგუფებთ ხმოვნებად და თანხმოვნებად, უნდა ვილაპარაკოთ წინაღობაზე (წინაღობებზე) არა მხოლოდ პირის ღრუში, არამედ თვით ყიაშიც (სახმო იოგებში); მეორეც, რაკი მაგარი შემართვა იგივე წინაღობაა, მაშინ მაგარშემართვიან **ხმოვნებს** წინაღობის ნიშნით აღარ უნდა ვასხვავებდეთ **თანხმოვნებისგან**.

რას წარმოადგენენ ხმოვნები (ჩვეულებრივი ხმოვნები) მათი არტიკულაციის დროს სახმო ჰაერნაკადის მოძრაობასთან მიმართებით სამეტყველო აპარატში – როგორც პირის ღრუში, ისე სამეტყველო გზის სხვა უბნებზე, კერძოდ, ფარინგსში ან ლარინგსში?

თუკი ხმოვნებისა და თანხმოვნების განსხვავებასთან დაკავშირებულ ჩვენს ხელთ არსებულ ინფორმაციას შევაჯამებდით, შეიძლებოდა გვეთქვა შემდეგი: სტერეოტიპად, შაბლონად არის რა ქცეული, ლამის აქსიომის კვალითაცაა აქვს მიიჭებული ერთხელ და სამუდამოდ გაფრცელებულ და დამკვიდრებულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ, თანხმოვნებისგან განსხვავებით, ხმოვანთა არტიკულაციის დროს რაიმე წინაღობას ადგილი არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს სწორედ პირის ღრუში. ალბათ ამიტომაც: თითქმის აღარ ვფიქრობთ, ვეძებთ რაიმე წინაღობა თუნდაც, დაეშვათ, ლარინგსში, რომელიც პირის ღრუს არ მიეკუთვნება, მაგრამ მიეკუთვნება სამეტყველო აპარატს, სამეტყველო ტრაქტს (გზას).

თუშური და, მაგალითად, გერმანული ენების შესწავლის დონეთა შედარების მარტო დაფიქსირებაც კი უკვე სასაცილოდ გამოჩნდებოდა: თუშურ ენასთან მიმართებაში შესწავლა ატარებს ჩანასახოვან, გერმანულ ენასთან მიმართებაში კი სრულყოფილ სახეს. მაგრამ რაკი ანლაუტისეული ხმოვნის ძლიერ შემართვას ერთნაირად მიაწერენ თუშურ ენასაც (უთურგაძე, 1966, 42–51) და სალიტერატურო გერმანულსაც (ანგლელიანი, 1966, 105), შესწავლის დონეთა სხვაობა ხელს არ გვიშლის კიდევ ერთხელ ჩავიხედოთ გერმანულ ენაშიც.

ის, რაც ახასიათებს და გააჩნია ანლაუტისეულ (ანდა განცალკევებულ, იზოლირებულ) ჩვეულებრივ ხმოვანს ნებისმიერ ენაში, რა თქმა უნდა, არ არის ის, რაც ახასიათებს და გააჩნია ანლაუტისეულ ხმოვანს, დაეშვათ, სალიტერატურო გერმანულ ენაში და რასაც ზოგადი ფონეტიკა ძლიერ (მაგარ, მკვეთრ) შემართვას უწოდებს. მაგრამ თუ მაგარი შემართვა – ეს არის სახმო ქორდების ხშვა–განხშვა ხმოვნის წარმოთქმის საწყის მომენტში, სხვა სახელს ვერ ვუწოდებთ იმას, რასაც სინამდვილეში აქვს ადგილი ანლაუტის ჩვეულებრივი ხმოვნის არტიკულირებისას ნებისმიერ ენაში. თუმცა მართლაც გასარკვევია, თუ რა არის ის, რაც ახასიათებს და გააჩნია ანლაუტისეულ ხმოვანს სალიტერატურო გერმანულ ენაში და რასაც ზოგადი ფონეტიკა ძლიერ შემართვად მოიხსენიებს.

წარმოადგენთ რამდენიმე რუსულენოვან ინფორმაციას მაგარი შემართვის შესახებ სალიტერატურო გერმანულ ენაში, ანუ იმას, თუ რას იგებს არაგერმანელი გერმანული ხმოვნის ნიშნის შესახებ.

1. სიტყვის თავში გერმანული ენის ხმოვნების წარმოთქმას გააჩნია ამ ენისთვის დამახასიათებელი თავისებურება, რომელიც არ ახასიათებს, მაგალითად, რუსულს: ხმოვნით დაწყებული სიტყვის (ან მარცვლის) თავში იმის მსუბუქი ხორხისმიერი ჩქამი, ე. წ. **მაგარი შემართვა**; ის ჩნდება ფილტვებიდან ამონასუნთქი (სამეტყველოდ ამონადენი – ა. ბ.) ჰაერის გაგლისას ხორხში სახმო ნაპრალის (ყიის – ა. ბ.) განხშვის გზით (Берхина, 1958, 9).

2. გერმანულ ენაში სიტყვის თავიკიდური ხმოვანი, – ვკითხულობთ სხვაგან, – წარმოითქმის ე. წ. „ძლიერი შემართვით“ (*fester Einsatz*), რომელიც შენარჩუნდება წარმოებულ სიტყვებშიც და რთულ სიტყვებშიც; ხმოვნის ძლიერი შემართვა წარმოიქმნება შემდეგნაირად: ვიბრაციის დაწყებამდე სახმო სიმები მჭიდროდ იხმობიან და ჰაერნაკადის, ვიდრე სახმო ტონის მაწარმოებელი პაწია ბიძგების სახით დაიწყებდეს ამოღინებას, ჯერ უხდება ამ დახშულობის განხშვა (გადალახვა – ა. ბ.); ის მსუბუქი ტაცანი, რომელსაც სმენით შევიგრძნობთ გერმანული ენის თავიკიდური ხმოვნის წარმოებისას, არის სწორედ შედეგი სახმო სიმების მეყსეულად განხშვისა ამონადენი საფონაციო ჰაერნაკადით; რუსულ ენაში ხმოვანთა ამგვარი შემართვა არა გვაქვს (Сунцова, 1958, 57).

3. სიტყვის თავში გერმანული ხმოვნების წარმოთქმის თავისებურებას წარმოადგენს ე. წ. „მაგარი შემართვა“, რომელიც არ ახასიათებს რუსულ ენას. მაგარი შემართვა წარმოიქმნება იმის გამო, რომ ხმოვანი ბგერის წარმოთქმის წინ სახმო სიმებშორისი ნაპრალი (ყია – ა. ბ.) იკეტება, ამონასუნთქი ჰაერი კი განახშობს მათ, ძალით ისფრის რა ბგერას; დაჭიმულობას, რომლითაც წარმოითქმის ბგერა, ეწოდება „მაგარი შემართვა“; ტრანსკრიფციაში „მაგარი შემართვა“ გამოისახება აბსტროფით ხმოვანი ასოს წინ; როცა რუსულად ვამბობთ **Анна ‘ანა’**, პირველი **а**-ს წარმოთქმისას სახმო სიმები რხევას იწყებენ თანდათანობით, ხოლო როცა გერმანულად ვამბობთ ამავე სახელს, იგივე **а** წარმოითქმის დაჭიმულობით; რუსულად **ВОТ ОНИ ‘აი ისინი’** შესიტყვებას ვამბობთ პირველი სიტყვის ბოლო ბგერის შერწყმით მეორე სიტყვის პირველ ბგერასთან (*legato* – ა. ბ.): **[ВОТ ОНИ]**; გერმანელი კი თითოეულ სიტყვას იტყვდა (წარმოთქვამდა – ა. ბ.) ცალ-ცალკე (*staccato*

– ა. ბ.) – [вот’они], სიტყვას **они** დაიწყებდა რა „მაგარი შემართვით“; მსგავსი დაჭიმულობა ისმის რუსულ ენაში, როცა წყენით წამოიძახებენ **ax!** [’ax], **ax!** [’ax]; „მაგარი შემართვა“ ისმის გერმანული სიტყვის შუაშიც (შიგნითაც – ა. ბ.), კერძოდ, თავსართის შემდეგ, ანდა რთული სიტყვის მეორე შემადგენელი ნაწილის თავში; მაგალითად, სიტყვაში **Unart** ‘ცელქობა’ – [’un’a:rt], ანუ **un**-თავსართის მიმყოფ **a** ბგერა წარმოითქმის „მაგარი შემართვით“; სიტყვაში **Kurort** ‘კურორტი’ ასევე **o** ბგერის წინ ისმის „მაგარი შემართვა“ – [ku:r’ort]; რუსულად კი ვაშობთ [кур’орт], ე. ი. **რ** ბგერა ერწყმის **ო** ბგერას (Белостоцкая, ..., 1951, 14).

მოვიშველიოთ დამატებითი მსჯელობაც:

1. შეცდომაში თუ არა, დაბნეულობაში უსათუოდ შევეყვართ იმას, რომ **მაგარ შემართვას** უწოდებენ დაჭიმულობას (სახმო სიმებისას), რადგან ეს არის არა სახმო სიმების დაჭიმულობა, როგორც ასეთი, არამედ – მათი ხშვა-განხშვა: სახმო სიმები დაჭიმულია (ანუ მუშა მდგომარეობაშია) ნებისმიერი ბგერის წარმოებისას;

2. როცა სურთ თვალსაჩინოდ დაგვანახონ განსხვავება ხმოვნის მაგარ („გერმანულ“) და ნელ („რუსულ“) შემართვას შორის (შდრ.: რუს. **Анна** და გერმ. **Анна** ‘ანა’), კარგად არ არის შერჩეული შეპირისპირება, როცა რუსული არტიკულაციისთვის ამბობენ, სახმო სიმები რჩევას **თანდათანობით** იწყებენო, ხოლო გერმანული არტიკულაციისთვის ამბობენ, „პირველი **a** დაჭიმულობით წარმოითქმისო“: „თანდათანობითობა“ და „დაჭიმულობა“ ანტონიმებად (ანუ მაპირისპირებელ სიდიდეებად) არ გამოდგება; თვალსაჩინოება ხილულია მაშინ, როცა შესადარებელი საგნები წარმოდგენილია ერთმანეთის ნათლად გამომრიცხავი ნიშნებით. თუ ერთ შემთხვევაში ვამბობთ, „სახმო სიმები რჩევას იწყებენ თანდათანობით“, მეორე შემთხვევაში უნდა ვთქვათ, „...რჩევას იწყებენ მეყსეულადო“; ანალოგიურად: თუ ერთ შემთხვევაში ვთქვით, „ხმოვანი წარმოითქმის სახმო სიმების დაჭიმულობით“, მეორე შემთხვევაში უნდა გვეთქვას, „...სახმო სიმების დაუჭიმავადო“.

3. სიტყვის ან მარცვლის თავკიდურში მდგომი ხმოვნები გერმანული ენისა, როგორც წესი, წარმოითქმის მაგარი შემართვით, ანუ სახმო ქორდების მკვეთრი განხშვით ვიბრაციის დასაწყისში, რაც მოგვაგონებს ხველას (Климов, 1978, 20), დავაკონკრეტებდით – მშრალ ხველას.

ძნელად მოაზრება წყარო, რომელშიც არ მიუთითებდნენ გერმანული

ენის ხმოვანთა ამ თავისებურებაზე: გერმანული ენის ანლაუტურ პოზიციაში (*der Anlaut*) ხმოვანს უჩნდება მაგარი შემართვა (*der feste Einsatz*), ანუ ხმოვანთა არტიკულაციის საწყის ფაზაში ხდება სახმო სიმების (*die Stimmlippe / die Stimmblätter*) ხშვა შემდგომი განხშვით, რასაც თან ახლავს ერთგვარი მსუბუქი წკაპუნისმაგვარი მინაბგერი; იგივე ახასიათებს მარცვლის დასაწყისს (<http://www.mnspoT>). სიტყვის ან მარცვლის დასაწყისში გერმანული ენის ხმოვნები წარმოითქმის თავისებური „მაგარი შემართვით“ (<http://rulinguisTic>). გერმანულ ენაში სიტყვის საწყისი ხმოვანი წარმოითქმის მაგარი შემართვით; ეს არის ხორხისმიერი მსუბუქი ხმაური (ჩქამი); ეს რომ მივიღოთ, საჭიროა ფილტვებში ჩაიყენოთ ჰაერი, ხორხით შეაკავოთ და ჩახველებისმაგვარი ძალის დატანებით ამოვისუნთქოთ იგი; ასეთი ბგერა მოგვაგონებს მაგარ შემართვას (<http://deseite.ru/ne>). გერმანული სიტყვის თავკიდური ხმოვნის წინ ისმის მსუბუქი ხორხისმიერი ხმაური (ჩქამი), ე. წ. მაგარი შემართვა; ფილტვებში ჩაიყენეთ ჰაერი, ხორხით შეაკავეთ იგი, ამოისუნთქეთ ხველისმაგვარი ძალით და თქვენ წარმოთქვამთ მაგარ შემართვას (<http://nemkinlern>).

თუკი აქ საქმე გექნებოდა მხოლოდ მაგარ შემართვასთან და მეტი არა, სრულიად საკმარისი იქნებოდა გერმანული ენის შემსწავლელთათვის გვეთქვა: განცალკევებით (ანდა ანლაუტში) წარმოთქვით მშობლიური ენის ნებისმიერი ჩვეულებრივი ხმოვანი და თქვენ მიიღებთ მაგარ შემართვას. აქ წარმოდგენილი ჭარბი მეთოდოლოგიური ახსნა-განმარტებითი მცდელობანი კი, რომლებიც ჯვამში დიდს არაფერს იძლევიან, თავისთავად მეტყველებენ იმაზე, რომ გერმანული ენის ანლაუტისეული ხმოვნის შემთხვევაში საქმე არა გვაქვს ოდენ მაგარ შემართვასთან, როგორც ასეთთან.

თუშური ენის ინტერვოკალური **ჟ**-ს შემთხვევაშიც უსათუოდ არსებობს ის გარდამავალი ბგერა, რომელიც საერთოდ არის გათვალისწინებული ზოგადი ფონეტიკით. მაგრამ გარდამავალი ბგერა არსებობს არა **ჟ**-თი გაყოფილ ხმოვნებს შორის (ასეთ შემთხვევაში გარდამავალ ბგერად თვით **ჟ** ჩათვლილობა), არამედ წინა ხმოვანსა და ხმოვანთა გამყოფ **ჟ**-ს შორის, უფრო სწორედ, პირველი ხმოვნის დამართვასა და **ჟ**-ს შორის. ამიტომ არის, რომ პირველი ხმოვნის გაგრძელება შეიძლება ჩვენი ნებისა და სუნთქვითი შესაძლებლობების შესაფერისად, მომდევნო **ჟ**-თი კი ერთბაშად უნდა „შეუტეოთ აღმართს“, ანუ მეორე ხმოვანს და ასევე ერთბაშად უნდა მოვამთავროთ თვით **ჟ**-ს არტი-

კულაცია, რათა მერე ბოლომდე ჩამოეყალიბოთ მეორე (მომდევნო) ხმოვანი. ამ თვალსაზრისით, თუ შერენოვანი სიტყვა **დასარ 'მოტანა'** შეიძლება ასეთ-ნაირად წარმოვთქვათ (დავმარცვლოთ)⁶⁵: **და...სარ**, ანუ, თუკი გარდამავალ ბგერას აღენიშნავთ **ი** ნიშნით, **დაისარ**. მაგრამ ამ სიტყვას ვერანაირად ვერ წარმოვთქვამთ (ვერ დავმარცვლავთ) ასე: **დასისარ**.

დასარ არტიკულაციის იდენტურია ხმოვნით დაწყებული – **ort** მარცვლის არტიკულაცია გერმანულენოვან სიტყვაში **Kurort 'კურორტი'** – [ku:r't'ort].

მართალია, ზოგადი ფონეტიკა ფონემას ფონემად მიიჩნევს არა განცალკევებით წარმოთქმულს, არამედ ბგერით კომპლექსში (სიტყვაში), მაგრამ ასეთ შემთხვევაში, „როცა ფონემას წინაც უძღვის და შემდეგაც მოსდევს რომელიმე სხვა ბგერა“, „არ გვაქვს სქემისებრი არც შემართვა და არც დამართვა“ (ახვლედიანი, 1966, 38).

მაგრამ, ჯერ ერთი, მეტყველებაში გვხვდება განცალკევებით წარმოთქმული ბგერებიც (ფონემები). მაგალითად, ფონეტიკურ ან თუნდაც მორფოლოგიის სასწავლო კურსებში თითქმის ყოველ ნაბიჯზე გვხვდება ამა თუ იმ ცალკეული ბგერების ჩამოთვლა, წარმოთქმა, დახასიათება – ან ფონემების, ანდა მორფოლოგიური მაწარმოებლების როლში. და თითოეულ მათგანს წარმოვთქვამთ გამოკვეთილად, საკუთარი შემართვა-დაყოვნება-დამართვით – ისე, როგორც ამას მოითხოვს წარმოთქმის სრული სტილი (სასაუბრო სტილისგან განსხვავებით). ასეთსავე განკერძოებულ, დანაწერებულ არტიკულაციასთან გვაქვს საქმე მათემატიკურ დისკალბონებში, ანდა სხვა ამგვარ მეცნიერებებში, სადაც მიმართავენ ცალკეულ ასოთ აღნიშვნებს (**AB, AE, AO** და ა. შ).

მეორე, თუნდაც სიტყვაში (ბგერათკომპლექსში) შემავალი ფონემა იყოს: ანლაუტში მას დამართვა კი მომდევნო ბგერასთან ექნება გადაზავებული და გაზიარებული, მაგრამ შემართვა უსათუოდ საკუთარი ექნება – ხალასი და სუფთა. და შეიძლება თუ არა ფონემის (ბგერის) სწორედ ეს მონაკვეთი – შემართვა (სწორედ და მხოლოდ შემართვა) – ვაქციოთ ანალიზის ობიექტად?

სწორედ ეს მომენტი (ეს მონაკვეთი) გვანტეხებს ჩვეულებრივ ხმოვნებში. ანუ: გვანტეხებს ანლაუტის ანდა იზოლორებული ხმოვნის არტიკულაციის სქემის **AB** მონაკვეთი. ამით დაზუსტდება როგორც იზოლორებული, ისე ანლაუტისეული ჩვეულებრივი ხმოვნის ხასიათი – თუნდაც ფონეტიკური

65 დამარცვლა გადმოვცეთ მრავალწერტილით.

(და არა ფონოლოგიური), რადგან: ხმოვნების ძირითადი ელფერი გამოიკვეთება მათი იზოლორებულად წარმოთქმისას (Климов, 1978, 18). და ის, რასაც ჩვენ ვეძებთ, უნდა ძველდეს ხმოვნის (ხმოვნების) არტიკულაციის საწყის მომენტში – შემართვაში, რომელიც ხალასია არა მარტო მის იზოლორებულ მდგომარეობაში, არამედ აბსოლუტურ თავკიდურში, ანუ ანლაუტში.

§2 (12). მუსიკათმცოდნეობა და ლინგვისტიკა.

დამდგარი XXI საუკუნე უთუოდ შემოგვთავაზებს მრავალ საინტერესო სიახლეს – საგნების, მოვლენების ახლებურად ჭკრეტის შესაძლებლობებსა და აუცილებლობას; ალბათ ისეთ რამესაც, რაც XX საუკუნის მეცნიერებისათვის ზოგჯერ მიუღებელიც კი იყო. მესამე ათასწლეულის კარიბჭესთან ძველი ნაჭუჭი უნდა მოვიძროთ და ძველი საზრისის სამანებს ახალი შინაარსითა და ფორმით გადავაბიჯოთ. საჭიროა დავამსხვრიოთ მოძველებული, ზოგჯერ ბორკილებად ქცეული ჩარჩოები და გავიდეთ თავისუფალი აზროვნების ველში. უფალ და საჭოჭმანო ბილიკებზე ნუ შეგვეშინდება ლინგვისტიკური მსჯელობებისთვის ბუნების შემოქმედების ისეთი რესურსების გამოყენება, რომელთა მოშველიება არცთუ იშვიათად არამეცნიერული მანერისა თუ ტონის მანიშნებლად ითვლება. კერძოდ, ვცადოთ მუსიკათმცოდნეობის დაკავშირება ლინგვისტიკასთან. ამ თვალსაზრისით, სწორედ ღროულია, თუ არ დაგვიანებულიც, საუკუნისეული შეხსენება: „ღრია, კარგა ხანია ღრია, რომ „მეცნიერებებს შორის არსებული ჩინური კედლები“ (**კიტა მეგრელიძის** სიტყვებია) დავანგრით“ (ყორანაშვილი, 1998, 7).

უფრო თამამად მოვიშველიოთ ერთი სახის საგნები სულ სხვა საგანთა დასახასიათებლად. მაგალითად, სამეტყველო ბგერების დასახასიათებლად გამოვიყენოთ ისეთი სრულიად არასამეტყველო, ბიოლოგიური სიგნალებიც, როგორცაა, დავუშვათ, ჩურჩული, სიცილი, კენესა, გმინვა, ოხვრა, სლოკინი, ხეელა (რომელსაც მრავალგზის მიმართავენ გერმანული არტიკულაციის დასაზუსტებლად), სტვენა, კოცნა, გაოცება-შეშინების გამომხატველი ბგერები, მწვავე ტკივილის ან შეკითხვის გამომხატველი ბგერები, წრუპუნი, ცხენის ხეივნინი, ძაღლის ყეფა ან ყძუილი, ბლავილი, კიკინი და ა. შ. უსათუოდ არ უთქვამს **გ. შუმბოლდტს**, რომ „ყოველი ცალკეული ბგერა ჩამდგარა ადამიანსა და ბუნებას შორის... ადამიანი თავს გარსშემოორტყამს ბგერათა სამყაროთი, რათა

შეთვისოს და გადაამუშაოს ნივთი სამყარო“ (ანდლულაძე, 1997, 8).

ამგვარი კანონგარეშე ბგერითი წარმონაქმნების შესწავლა უსათუოდ დაგვეხმარება ოფიციალური ფონეტიკის სიღრმისეული შრეების გაშუქებაში. გარდა იმისა, რომ ჩვენ და ცხოველთა სამყარო ერთი წიაღიდან მოვდივართ, არცთუ იშვიათად ჩვენ, ადამიანებს, გვიხდება ურთიერთობა ამ ყველაფერთან, მათი აღწერა და, ბოლოს, მათი გრაფიკულად გადმოცემა. სიცილი რუსულად გადმოიცემა როგორც **Ха-ха-ха**, ქართულად **ჰა-ჰა-ჰა**. ქართულ **ჰ** შორისდებულს რუსულში აქვს სახე **Гм**. შეიძლება ქართველები მართლაც სხვაგვარად ახდენდნენ ამ სიდიდეების როგორც არტიკულაციას, ისე გრაფიკულად გადმოცემას, რუსები კი სხვაგვარად და ზედმეტობად ჩაითვალოს იმის ძიება, **ჰ** უფრო მართებულია აქ თუ **Г** ან **Х**, მაგრამ, ჯერ ერთი, **ბ. შოუს „ბეშტოინის“** ერთი პერსონაჟის სიტყვებით რომ ვთქვათ (**Shaw**, 1959, 34), ეს ბგერები ისევე განსხვავდებიან ერთმანეთისგან, როგორც **ა** და **ბ**; და მეორე, ძაღლები არ ყფევენ „რუსულად“ ანდა „ქართულად“ და მაინც: ძაღლის ყფა რუსულში გადმოიცემა როგორც **Гав-гав!**, ხოლო ქართულში – როგორც **ჰაგ-ჰაგ!** ამათგან, ფონეტიკური სიზუსტის თვალსაზრისით, არასწორია ან ერთ-ერთი, ან ორივე. ისიც საკითხავია, აბსოლუტურად მართებულია თუ არა ზემოთ მოხმობილი შორისდებულის გადმოცემა **ჰ** და **მ** ან **Г** და **М** ასო-ბგერებით. ანდა: როგორ უნდა გადმოიცეს გრაფიკულად წლაჟუნა (შეწოვნილი) ხასიათის მქონე ისეთი სიდიდეები, როგორიცაა „ხალხური ქართული უარყოფის ნაწილაკი“ **ნწ** (ახვლედიანი, 1949, 26)⁶⁶, კოცნის აღმნიშვნელი ბგერა და ა. შ.? მართალია, იმ ბგერით წარმონაქმნებს, რომლებიც ექსტრანორმალური ფონეტიკის სფეროს მიეკუთვნებიან, ენაში არ გააჩნიათ შესაბამისი ფონემები (**БСЭ**, 1978, 18) თუ გრაფემები, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში გრაფიკულად (ანდა არტიკულაციურად) როგორ გადმოვცეთ ყოველივე ეს რაც შეიძლება ზედმიწევნით? ასეთ ღროს, გვინდა თუ არა, იძულებული ვართ გავიდეთ კლასიკური მეცნიერებისა თუ წმინდა სალიტერატურო ენის საზღვრებიდან. არც კვენესა და არც ტკაცანი სამეტყველო ბგერებს არ მიეკუთვნება, მაგრამ როცა, მაგარი შემართვისა თუ მაგარი დამართვის დახასიათების მიზნით, **გ. ახე-**

66 აქ, ჩვენი აზრით, **ნ** თანხმოვანი იმ გაგებითაა წარმოდგენილი, რომ აღვლი აქვს შეწოვნილი **წ** თანხმოვნის ერთგვარ ნახალიზაციას, რაც ხდება გარკვეული ოდენობის ჰაერნაკადის გამოღიწების (გამოსროლის) ხარჯზე ცხვირის ღრუში, ოღონდ, ცხადია, შეწოვნის საპირისპირო მიმართულებით.

ლედიანმა „კვენესასა“ და „ტკაცანს“ მიმართა (ახვლედიანი, 1949, 106), ამით იგი მაქსიმალურად მიუახლოვდა მაგარი შემართვა-დამართვის არსს და ამ არსის ახსნის მეთოდოლოგიას. ამასთანავე, ხმოვანთა ძლიერი (მაგარი) დამართვისათვის **გ. ახვლედიანმა** მაგალითები მოიშველია არა სალიტერატურო, არამედ სრულიად სამეტყველო ქართულიდან – **აჟ, არაჟ** (იქვე). მოკლედ, ბგერა შეიძლება სამეტყველო სფეროდან არც იყოს, მაგრამ არ არის გამოირიცხული, გამოგვადგეს სამეტყველო სფეროს დასახასიათებლად. ამ თვალსაზრისით, არც ის არის გამოირიცხული, რამე გვიკარნახონ თვით თევზებმაც კი, რომლებიც, თუმცა „პირი წყლითა აქვთ სავსე“, საოცარ და მრავალფეროვან ბგერებს, ხმებს (**звучи**) გამოსცემენ, რასაც გულდასმით სწავლობს ბიონიკა (**Кругозор**, 1966, III, 8; **Кругозор**, 1988, VIII, 4).

საყოველთაოდ ცნობილია და გასაგები მუსიკის დანიშნულება ადამიანის სულიერი განწმენდისა და ზესვლის, ხევეწისა და აღმაღლების კეთილშობილურ და ზოგადსაკაცობრიო სამსახურში. ამ მიმართულებით რაიმე ახლის შემოთავაზება ისევეა ძნელი, როგორც „ათას მეერთისათვის არის ძნელი ლექსის დაწრა მას მერე, როცა უკვე აქვთ დაწერილი ბრწყინვალე ლექსები ათასთა“ (**Гамзатов**, 1969, 177).

ამჯერად საუბარი წარიმართება მუსიკის შესაძლო პერსპექტივაზე ზოგიერთი ლინგვისტური საკითხის კვლევა-ძიების საქმეში. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა უნდა იყოს მუსიკის, მუსიკათმცოდნეობის დაკავშირება ამა თუ იმ ეთნოსის სამეტყველო სფეროსთან ანდა სულაც თვით ეთნოსთან, მის წარსულსა თუ აწმყოსთან. ავიღოთ ორენოვან წოვათუშთა ქართულისგან განსხვავებული მეტყველება, რომელიც – ეს ყველასათვის ცნობილია – მიეკუთვნება მთის კავკასიურ ენათა **ნახურ** ჯგუფს. ჩვენი დაკვირვებიდან გამომდინარე, ნახურია იმ სასიმღერო თუ საცეკვაო მელოდიების წყობაც (მუსიკალური კილო), რომლებსაც **თუშურს** უწოდებენ, რომლებსაც ორივე ჯგუფის თუშები (როგორც წოვათუშები, ისე ჩაღმათუშები) მღერიან და რომლებიც დღემდე შეუსწავლელია ამ კუთხით. კილო, რომელიც აიგება მუსიკალური ბგერების თანაწყობაზე, სწორედ ის რამეა, რაც ამა თუ იმ ხალხის მუსიკალური აზროვნების განზოგადებულ და განყენებულ სისტემას წარმოადგენს და ამ აზროვნებისთვის აუცილებელი ლოგიკური საფუძველიცაა (**БСЭ**, 1973, 99). ამიტომაც არის, რომ სხვადასხვა ხალხების მუსიკალურ კილოთა სისტემები (კილოები – ა. ბ.), ასახავენ რა მუსიკალური ხელოვნების

ნაციონალურსა და ისტორიულ თავისებურებებს, უსათუოდ ატარებენ ნაციონალურ (ეროვნულ, ეთნიკურ – ა. ბ.) ხასიათს (იქვე). თუშურსა და ნახურ, ასევე ღალესტურ მქოლადებს შორის მსგავსება ისეთივე გასაოცარია თვით კავკასიის შიგნით, როგორც, მაგალითად, მსგავსება (ეს **თ. ოჩიაურმა** შენიშნა) ჩაღმათუშთა და ხევსურთა კილოვან მეტყველებებს შორის (ოჩიაური, 1967, 60). და რაც არ უნდა ორიგინალური, ახალი და თანამედროვე იყოს ამა თუ იმ ხელოვანის მიერ შესრულებული ან დამუშავებული თუშური მქოლადი, თუ ის **თუშურია**, წყობაც (კილო) იგივე – ღალესტურ-ნახური – ექნება, რამეთუ ნებისმიერ შემთხვევაში ყოველივე მოპოვებული იქნება „პატარა კუთხის – თუშეთის – ფოლკლორული საგანძურისა“ (ბობოხიძე, 1987). ეს რეალობა ხელს გვიწყობს თუშობის საკითხის ერთი სხვა ასპექტის დახვეწის საქმეშიც: თუ **გიულდენშტედტის** დროინდელი ჩაღმათუშების თუშურენოვანი (ნახური – ა. ბ.) მეტყველების დასადასტურებლად ისტორიული მტკიცებულებების ძიება და მოშველიებაა საჭირო, მუსიკალური სფერო თავისთავად მეტყველებს ბევრ რამეზე. თუმცა: ოდესმე აქსიომადაც რომ იქცეს ეს რამდენადმე თამამი ნაუბარი, არამც და არამც არ უნდა იქნეს გამოყენებული წავათუშების თუშობისა და, მაშასადამე, ქართველობის უარსაყოფად, რისკენაც მათმა არაქართველურმა (ნახურმა) მეტყველებამ უკვე უბიძგა მკვლევართა ერთ ნაწილს (ელანიძე, 1988).

ამ თვალსაზრისით, ერთობ მნიშვნელოვანია **არნ. ჩიქობავას** ის დებულება, რომლის მიხედვითაც „ერის (ეთნოსის – ა. ბ.) მეობას ჯერ ენა არკვევს და მერე ხალხური სიმღერა – ხალხის გულის მესაიდუმლე“ (გარაყანიძე, 1990). და რაც არ უნდა ჩახლართულად მოგვეჩვენოს თუშობის საკითხი, მით უფრო საინტერესოა იგი, რაც უფრო ჩახლართულია (ჩანს, ესეც თუშური ფენომენია). შესაძლოა, თუშური მქოლადების შესწავლამ შემატოს ნათელი თუშეთის უკვე ბურუსით მოცულ ისტორიას.

„ერის ისტორიის, მისი ეთნოგენეზის საკითხების კვლევაშიც ხალხურ მუსიკას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, – წერს **ე. გარაყანიძე**. – ხშირად მუსიკა მეტ მღვრადობას ამჟღავნებს, ვიდრე ენა. ცნობილია შემთხვევები, როცა ამა თუ იმ ასიმილირებულ ხალხს დაუკარგავს მშობლიური ენა, მშობლიური ჰანგები კი კიდევ დიდხანს არ დაევიწყება. ამდენად, ისტორიოგრაფიის, ანთროპოლოგიის, ენათმეცნიერების, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის მონაცემებთან ერთად, ეთნომუსიკოლოგიის მონაცემებს ისტორიული საბუთის

მნიშვნელობა ენიჭება“ და, მაშასადამე, „მუსიკალური მონაცემების გათვალისწინება მომავალში ბევრ საინტერესოს გვაპირდება“ (გარაყანიძე, 1990).

ახლა – მუსიკის შესაძლო სარგებლობის შესახებ საკუთრივ საენათმეცნიერო კვლევა-ძიებაში.

დავიწყეთ იმით, რომ მბგერ იოგებში, ანუ სახმო სიმებში ზოგადი ფონეტიკა ხელავს „ხორხის ფრიად მნიშვნელოვან ნაწილს“ – არა მხოლოდ წარმოთქმისათვის (ანუ ჩვეულებრივი მეტყველებისათვის), არამედ **სიმღერისთვისაც** (ახვლედიანი, 1966, 27). ეს კონსტატაცია უკვე აახლოებს, ამეზობლებს ენათმეცნიერებასა და მუსიკათმცოდნეობას, როგორც ერთი სფეროს ორ მიმართულებას.

მუსიკალურ სამყაროში გამოიყენება ტერმინები **staccato** '**სტაკატო**' და **legato** '**ლეგატო**'. ესენი სამუსიკო – როგორც ინსტრუმენტული, ისე ვოკალური – არტიკულაციის (ბგერის გამოღებინების, მისი გამოცემინების) ძირითადი, მთავარი სახეებია. **სტაკატოც** და **ლეგატოც**, განსაზღვრავენ რა არტიკულაციას მუსიკაში (Mჭ, 1973, 229), მოიცავენ განფენილობას **ლეგატისმოდან (legatissimo) სტაკატისმომდე (staccatissimo)**.

აქნუ ჩავეკიდებით ამ ტერმინთა ლიფერენცირებულ სიღრმეებს და შემოვიფარგლოთ **ლეგატოთი** და **სტაკატოთი**, რომლებიც უნდა ვიგულისხმოთ ლეგატისიმოსა და სტაკატისიმოს შორის. ამათგან **staccato** შეიძლება დავუკავშიროთ მნიშვნელობებს '**მოწყვეტა, მოგლეჯა**', ხოლო **legato** – მნიშვნელობებს '**ბმულად, ნარნარად, მწყობრად; კავშირი, შეკავშირება**'.

სამუსიკო ლიტერატურის მიხედვით (ჩხიკვაძე, 1939; Mჭ, 1973; Mჭ, 1976; Mჭ, 1981), **staccato** ითვალისწინებს ბგერების (მარცვლების) ისეთ – მოკლე-მოკლე, დანაწევრებულ (დისკრეტულ), ნაწყვეტ-ნაწყვეტად, მოკვეთით – შესრულებას პაუზებით თითოეული ნოტის (მარცვლის ან ბგერის) შემდეგ, რომელიც მკაფიოდ, მკვეთრად გამოყოფს მათ ერთმანეთისაგან. გრაფიკულად აღინიშნება ხან თვით სიტყვით **staccato**, ხანაც წერტილით თითოეული ნოტის თავზე (ანდა ქვეშ). და რაც ყველაზე მთავარია ამჯერად: **სიმღერის დროს staccato მიიღწევა სახმო ნაპრალის, ანუ ყიის, ე. ი. სახმო ქორღების ხშვით (იგულისხმება, მისი მიმყოლი განხშვაც) ყოველი სტაკატირებული სილდის შემდეგ, ანუ ხშვით ყოველი მათგანის წინაც**.

ხოლო **legato** – ეს არის ბმული, რწყმული შესრულება ბგერებისა, როცა ერთი ნოტი (ბგერა ან მარცვალი) თითქოს შეუმჩნევლად, ნარნარად, უპაუზოდ გადადის მეორეში. ლეგატოს მეშვეობით ბგერები ერთიანდებიან ერთ ფრაზაში (ერთ ფრაზად), რაც ხელს უწყობს მელოდიურობას, რადგან ამ დროს, არ იხშვის რა ყია, ჰაერნაკადი არ წყდება. გრაფიკულად აღინიშნება ხან თვით სიტყვით **legato**, ხანაც ლიგით, ანუ მოხრილი – აღუნული (˘) ან ჩაღუნული (˘) – რკალისებრი ხაზით ნოტების თავზე ან ქვეშ⁶⁷.

მოკლედ, **staccato** და **legato** – ის ურთიერთგამომრიცხავი აქტებია (სამუსიკო შტრიხებია), რომლებიც განსაზღვრავენ ბგერათა თანამიმდევრობითი შესრულების ხერხებს (МЭ, 1973, 229). და აქ მთავარია არტიკულირება სახმო ქორღების (სახმო ბაგეების, სიმების) ხშვით სტაკატოს დროს, რაც პირდაპირ კავშირშია ამა თუ იმ ხმოვნის (ბგერის) არტიკულაციის პირველ ფაზასთან, რომლის სახელიცაა **attacca** ‘ატაკა’ (< ფრანგ. **attaque** / **attaquer** ‘თავდასხმა, იერიში, შეტევა’ < იტალ. **attacca** < **attaccare** ‘ბრძოლის დაწყება’), რაც უნდა გაეგოთ, როგორც სახმო აპარატის გადასვლა სასუნთქი მდგომარეობიდან სასიმღერო მდგომარეობაში (БСЭ, 1970, 367; МЭ, 1981, 31), ანუ, როგორც სიმღერის დაწყება. დავაზუსტოთ:

1) თუ ციცხვისებრი ხრტილები, სახმო ქორღებთან ერთად, ამოსუნთქვითი მდგომარეობიდან გადადიან ფშვინვიერ, ხოლო ამის შემდეგ – უკვე სახმო მდგომარეობაში, **attaca** ფშვინვიერია;

2) თუ, პირიქით, ბგერების წარმოქმნამდე სახმო ნაპრალი (ყია, ანუ სახმო ქორღები) უკვე მჭიდროდ არიან დახშულნი, მაშინ ნაპრალის განხშვისთანავე ჰაერის ნაკადი გამოხეთქს დაწნევით, „შეტევით“ და, გარღვევის საგრძნობ ჩქამთან ერთად, ჩნდება ე. წ. **მაგარი attacca**;

3) როცა სახმო სიმები კი არ იკეტებიან ყრუდ (ხშულად, მჭიდროდ), არამედ ერთერთს უახლოვდებიან მხოლოდ იმდენად, რომ, მათზე ჰაერის განახუნების წყალობით, ეს საკმარისია ბგერის წარმოშობისათვის, **attaca** რბილია (БСЭ, 1970, 367; Музехольд, 1925, 78).

რბილი attacca უპირატესად გამოიყენება იმ ბგერების სამღერლად, რომლებიც იწყება სუსტად: ამ დროს სახმო სიმები ერთმანეთს ნაკლებად უახლოვდება (ანდა ნაკლებად შორდება – ა. ბ.) და ბგერა გამოდის ნაკლებ ძლიერი. ფშვინვიერი **attaca** უპირატესად გამოიყენება გერმანული **h**-ს (აგრეთვე

67 ჩვენ პირობით ავიღოთ პირველი: ˘.

ქართული და თუშური ჰ-ს – ა. ბ.) წარმოთქმისას. ხოლო **მაგარი attacca** გამოიყენება ხმოვნებისა და მათი კომბინაციების დასახასიათებლად (БСЭ, 1970, 367; Музехольд, 1925, 78).

და კიდევ: უშუალოდ **attaca**-ს შემდეგ იწყება სახმო იოგების რხევები, რაც წარმოქმნის ხმას, ანუ ხმოვან ბგერას (Музехольд, 1925, 78).

რა მიმართებაში შეიძლება იყოს ყოველივე ეს სამეტყველო ბგერებთან, მეტყველებასთან საერთოდ?

როცა საუბარია **attaca**-ზე, ანუ სახმო აპარატის გადასვლაზე სუნთქვითი მდგომარეობიდან სასიმღერო მდგომარეობაში, ფრჩხილებში მიუთითებენ ხოლმე, რომ მეტყველებაში (და, მასალაზე, ლინგვისტიკაში) **attaca** შეესატყვისება გადასვლას სუნთქვითი მდგომარეობიდან სამეტყველო მდგომარეობაში (БСЭ, 1970, 367; ЭМС, 1966, 31). გამოდის, რომ, რასაც მუსიკაში ჰქვია **attaca**, ლინგვისტიკაში – ფონეტიკაში – წარმოადგენს **შემართვას**, ანუ **ექსკურსიას**. მოვიშველიოთ ლინგვისტური წყარო.

სამეტყველო ორგანოები გამოდიან ინდიფერენტული მდგომარეობიდან, რომელიც უშუალოდ წინ უძღვის არტიკულაციას: მოეწყობიან წარმოსათქმელი ბგერის საწარმოებლად და შეუდგებიან მისთვის მოქმედებას ჰაერნაკადის სათანადო მოძრაობის დართვით; ყველაფერი ეს ხდება ერთბაშად, წამის რაღაც მონაკვეთში; ესაა სამეტყველო ბგერის წამოთქმის პირველი მომენტი – ექსკურსია, ანუ შემართვა ბგერისა (ახვლედიანი, 1949, 28). და მერე: **ფშვინვიერია** ბგერის შემართვა, თუ ამ ბგერის შემართვისას სახმო სიმები საფშვინვო მდგომარეობაშია და ჰაერნაკადის მეტ-ნაკლები რაოდენობა გაივლის სიმებში გასაგონრად; **ძლიერია**, ანუ **მაგარი** ბგერის (უმეტესად ხმოვნის) შემართვა, თუ ამ ბგერის შემართვისას სახმო სიმების მჭიდროდ დახურული მდგომარეობა სწრაფად იცვლება მათი გაბობით, რის შედეგადაც გვესმის ერთგვარი ძლიერი კენესისებრი ჩქამი; **ნელია**, ანუ **რბილი** ბგერის შემართვა, თუ ამ ბგერის შემართვისას სახმო სიმები ჩქამის წარმოუქმნელად შეუდგებიან ბგერის წარმოებას (ახვლედიანი, 1949, 105-106).

როგორც სიმღერის, ისე ჩვეულებრივი მეტყველების (ლაპარაკის) დროს სახმო სიმებს დახშულ მდგომარეობაში დიდი ხნით არ (ვერ) ვაჩერებთ, თუ არაა ამის განსაკუთრებული საჭიროება. ამიტომ ძლიერი შემართვის შემთხვევაში, ჩვეულებრივ, ადგილი აქვს სახმო სიმების სწრაფ ურთიერთშეხლას, ანუ დარტყმას, რასაც უმაღლეს მოსდევს მათი ასეთივე სწრაფი გაბობა, ანუ

განხშევა (განშორება). აქ არ იგულისხმება რაიმე განსაკუთრებული ძალ-
ისხმევა: ლაპარაკია სრულიად ჩვეულებრივ სიმღერაზე და სრულიად ჩვეუ-
ლებრივ მეტყველებაზე (საუბარზე).

ვოკალურ მუსიკაში გამოიყენება იგივე სამეტყველო სიდიდეები, როგორც
ჩვეულებრივ მეტყველებაში – ფრაზა, სინტაგმა, შესიტყვება, სიტყვა, მარცვალი,
ბგერა. თუკი გამოფრცხავთ მცარეოდენ სახეობებს (მაგ., ვოკალიზს), ვოკალური
მუსიკის ყველა ნაწარმოები მჭიდრო კავშირშია სიტყვასთან, პოეტურ ტექსტთან
და ამიტომ თითოეულ მათგანს „უნდა ეჭვრეტდეთ, როგორც სინტაქსურ, მუსი-
კალურ-პოეტურ ნაწარმოებს“ (МЭ, 1981, 829). ამ გაგებით, ვოკალური მუსიკაც
(ვოკალური მეტყველება) და ჩვეულებრივი მეტყველებაც შეგვიძლია გავაც-
ნობიეროთ, როგორც ზოგადად მეტყველების გამოვლინებები. ოღონდ: ეს ნათქ-
ვამი არ უნდა გავიგოთ სიტყვასიტყვით – ამ ორი მოვლენის პირდაპირ შეჯერება,
რა თქმა უნდა, არ შეიძლება. სამუსიკო და ჩვეულებრივი მეტყველებები ისეთსავე
ურთიერთმიმართებაში შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორმაც, მაგალითად,
მხატვრული და არამხატვრული, ხელოვნებისათვის დამახასიათებელი და მისთვის
არადამახასიათებელი: ბევრი რამ განსხვავებული აქვთ, მაგრამ არცთუ ნაკლები
– საერთოც. ერთ შემთხვევაში საქმე გვაქვს, როგორც **ნ. ანდლულაძე** იტყვოდა
ჟ. რეინაშვილზე დაყრდნობით (ანდლულაძე, 1997), სასიმღერო ბერასთან, რო-
მელიც ესთეტიკურ ფასეულობას, ესთეტიკური ინფორმაციის წყაროს წარმოად-
გენს, ხოლო მეორე შემთხვევაში – სამეტყველო ბერასთან, რომელიც შეიძლება
იყოს ესთეტიკური, შეიძლება არა. მაგრამ ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს ად-
მიანის სამეტყველო აპარატის ფონეტიკურ (და ფონოლოგიურ) პროდუქციასთან.
ამ საერთოზე გვაქვს აღებული გეზი, როცა ერთმანეთთან მიგვაქვს სამუსიკო
(ვოკალური) და სამეტყველო. საერთოს, საზიაროს არსიდან გვიჩნდა მიუღწევ-
ელი მუსიკალურსა და ლინგვისტურს. ამ გაგებით, ვთქვით, ჩვეულებრივ (ზეპარ)
და წერილობით მეტყველებებს შორის უფრო მეტი უნდა იყოს განსხვავება, ვი-
დრე ჩვეულებრივ და ვოკალურ მეტყველებებს შორის, რადგან წერილობითი
მეტყველება (ტექსტი) თავისთავად უტყვია (უბგერო), ჩვეულებრივი და ვოკა-
ლური მეტყველებები კი – მეტყველო (მბგერი) და ცოცხალი. ყველა შემთხვევაში,
ცალკეული ბგერების, კერძოდ, ხმოვნების შემართვის თვალსაზრისით, დიდი არ
უნდა იყოს განსხვავება ჩვეულებრივსა და ვოკალურ მეტყველებებს შორის: ვო-
კალური და ჩვეულებრივი მეტყველებები ერთმანეთისგან ძირითადად იმით უნდა
განსხვავდებოდნენ, რომ მეორე შემთხვევაში ვლაპარაკობთ, პირველში ვმღერით,

ორივეგან კი ვახდენთ ორივეს: იგივეა ორივეგან – ფრაზები, სინტაგმები, შესი-
ტყვებები, სიტყვები, მარცვლები, ბგერები.

ამიტომ: საჭიროების შემთხვევაში ვოკალური არტიკულაციის ტერმინო-
ლოგია (მაგალითად, **staccato**, **legato**) ისევე შეიძლება გამოვიყენოთ სამ-
ეტყველო არტიკულაციასთან მიმართებაში, როგორც სამეტყველო არტი-
კულაციის ტერმინებს (მაგალითად, **მარცვალი**, **ბგერა**) ვიყენებთ ვოკალურ
არტიკულაციასთან მიმართებაში.

თუძკა, როგორც **გ. ახვლედიანი** შენიშნავს, ერთ რომელიმე ენას შეი-
ძლება სხვა ჩვეულება ჰქონდეს ბგერის (კერძოდ, ხმოვნის – ა. ბ.) როგორც
დაწყებისა, ანუ შემართვისა, ისე მისი გათავებისა, ანუ დამართვისა, ვი-
დრე რომელიმე სხვა ენას (ახვლედიანი, 1949, 28), მაგრამ ყოველივე ზემოთ
თქმული ეხება არა მხოლოდ ერთ რომელიმე ენას, არამედ ენებს საერთოდ
და, რაც ყველაზე მთავარია ჩვენთვის ამჟამად, აქ წარმოდგენილი მუს-
თეორიული დახასიათება თითქმის არაფრით განსხვავდება იმ ლინგვისტური
(ფონეტიკური) დახასიათებისგან, რომელიც წარმოდგენილია, დავუშვათ, **გ.
ახვლედიანის** მონოგრაფიის (**ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები**, თბ., 1949) 12-
54-ე, აგრეთვე 104-107-ე გვერდებზე.

და საერთოდ: როცა ერთმანეთს ვუბრისპირებთ ჩვეულებრივ მეტყველე-
ბასა და მღერას, განსხვავებას უნდა ვხედავდეთ არა, დავუშვათ, თვით სამ-
ეტყველო და სამუსიკო (სავოკალო) ბგერებს შორის, არა ამ ბგერების სახ-
ელებს შორის – აქ განსხვავება არ არის (წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ
გავიგებდით ნამღერს), არამედ, პირველ რიგში, სამეტყველო და სასიმღერო
ბგერების (ხმების) სიმაღლეებს შორის. ეს განსხვავება კი მდგომარეობს იმა-
ში, რომ მუსიკალური ბგერის (ხმის) სიმაღლე შეიძლება განისაზღვროს თა-
ვისთავად, რომელიმე სხვა ბგერასთან მიმართების გარეშე (**Кашкин**, 1929, 3),
ჩვეულებრივი მეტყველების დროს კი ხმა ხმოვნებზე სრიალებს ზევით ან ქვე-
ვით და მარცვლები (ბგერები) ერთმანეთს ცვლიან საშუალოდ 0,2 წამის სის-
წრაფით (МЭ, 1973, 1036). აქვე უნდა გავითვალისწინოთ ბგერეთა გრძლიობაც,
რომელიც ასევე განსხვავდება ჩვეულებრივ და ვოკალურ მეტყველებებში:
სიმღერის დროს ყოველი მარცვლის (ბგერის) სიმაღლეც და სიგრძეც (განფე-
ნილობა) ფიქსირებულია (МЭ, 1973, 1036), ჩვეულებრივი მეტყველების დროს
კი – არა. ანგარიშგასაწევია სავოკალო ბგერის (ხმოვნის) ტონიც და ა. შ.

ბოლოს, **გ. ახვლედიანის** მიხედვით, საყოველთაო ცხოვრებაში რომ

„ხმის ამოდებას“ ვეძახით, ესაა, ჩვეულებრივ, ბგერის გამოღება **სამე-ტყველოდ** ან **სასიმღეროდ** (ახელედიანი, 1949, 12). ცალკეული სამეტყველო ბგერების, ცალკეული ხმოვნების არტიკულირება უკვე არის „ხმის ამოდება“, ანუ ბგერის გამოღება – მეტყველებაშიც და სიმღერის დროსაც (ვოკალურ მუსიკაში ამას **ემისიასაც** უწოდებენ, **ჟესტს**). მეტიც, რუსულ ენაში, მაგალითად, ცალკეული ხმოვნები საკმაოდ ფართოდ გამოიყენება დამოუკიდებელი ლექსების სახით (а, и, о, у, э). მსგავსი პრაქტიკა აქვს თუშურ ენასაც: **ჭ** **ჭვადო**, **ე** **ეს** (ხმარობენ კაცები), **ი** **ეს** (ხმარობენ ქალები), **ქ** **ჩრდილო**, **ო** **ის**, **ჟ** **რატომ?** და სხვ. თუ ცალკე აღებული ბგერა (ამ შემთხვევაში – ხმოვანი) ამავე დროს სიტყვაცაა, მაშ, ის ფონემაც ყოფილა, რადგან სიტყვა არ არსებობს სემანტიკის გარეშე, სემანტიკის სამშენებლო მასალა კი არის სწორედ ფონემა, როგორც ბგერა. ამ ცალკეულ სიტყვა-ბგერებს აქვთ თავიანთი მორფოლოგიაც, ფონოლოგიაც, ფონეტიკაც – მეტყველებაშიც და სიმღერაშიც, სადაც, პირველ რიგში, გვაინტერესებს შემართვა. და თუკი შეიძლება ლაპარაკი ცალკეულ ხმოვნებზე, როგორც მორფოლოგიურ (ლექსიკურ) სიდიდეებზე, მაშ, მით უფრო თავისუფლად შეიძლება ვილაპარაკოთ ცალკეული ხმოვნების ფონეტიკურ ხასიათზე, კერძოდ, მათი შემართვის რაობაზე როგორც მეტყველებაში, ისე სავოკალო მუსიკაში.

მოკლედ, მუსიკაშიც და მეტყველებაშიც საქმე გვაქვს თითქმის ერთსა და იმავე მოვლენასთან (აქტთან), რომელსაც მუსიკათმცოდნეობაში ჰქვია **ატაკა**, ხოლო ლინგვისტიკაში – **შემართვა**. ამ შემართვის სამი სახეობიდან (რომელთაგან ფშვინვიერი არ გავინტერესებს) **ძლიერი შემართვა** შეიძლება გავაცნობიეროთ, როგორც **სტაკატოსათვის** დამახასიათებელი, ხოლო **რბილი შემართვა**, როგორც **ლეგატოსათვის** დამახასიათებელი. ყოველივე ეს სქემით შეიძლება „ითქვას“ შემდეგნაირად:

მუსიკ.		ლინგვ.	მუსიკ.
ატაკა	რბილი	⇐ შემართვა	ლეგატო
	მაგარი		სტაკატო

დიახ, ლეგატო ბგერების, ტონების გადაბმის წესია და არა საკუთრივ შემართვისა. მაგრამ აქ ჩვენთვის მთავარია ის, რომ ურთიერთგამომრიცხავ აქტებად რჩება რა ლეგატო და სტაკატო, მაგარი შემართვა, რომელიც ზედმეტია ლეგატოს შემთხვევაში, აუცილებელია სტაკატოს შემთხვევაში, რადგან მაგარი შემართვის (სახმო ქორდების ხშვა-განხშვის) გარეშე, უბრალოდ, ვერ მივალწევთ ცალკეული ხმოვნების დისკრეტულ (წყვეტილ) არტიკულირებას, ვერ შევქმნით აუცილებელ პირობას (გარემოს), მაგალითად, **ი. ა. ი.** ინციფლების განსახვევებლად **იაო** ხმოვანთა ამგვარივე დისკრებუციისაგან, რომელიც, ამავე დროს, **ია** ლექსების **ო**-ნაწილაკიანი ფორმაცაა (შდრ.: **რად ვერ გამჩნევდი, იაო?**).

წარმოებული მსჯელობის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ:

1) იმის გათვალისწინებით, რომ ენის მეცნიერულ შესწავლას არ მოეზოვება უფრო მნიშვნელოვანი მიზანი, ვიდრე კულტურის ისტორიასთან და აზროვნების ისტორიასთან კავშირია (ჩიქობავა, 1979, 9), თუშური მელოდიების საფუძვლიანი შესწავლა გვთავაზობს, ერთი მხრივ, თუშური ენის, ხოლო, მეორე მხრივ, როგორც ამ ენის მატარებელი თუშების, ისე დანარჩენი თუშების ვინაობისა თუ წარმომავლობის ზოგიერთი საკითხის დაზუსტების პერსპექტივას;

2) მათი ფენოლოგიური (ბიო-ფონეტიკური) თავისებურებების თვალსაზრისით, სამეტყველო და სამუსიკო-ვოკალურ ბგერებს (ხმოვნებს) შორის, კერძოდ, მათს შემართვებს შორის არ უნდა იყოს დიდი, არსებითი განსხვავება. ამის თვალსაზრისით დადასტურებაა სტაკატოსა და ლეგატოს ხასიათის თანაფარდობა დანაწევრებული და ბმული არტიკულაციის ხასიათთან ჩვეულებრივ მეტყველებაში, რაც იძლევა ხმოვნების ვოკალური დახასიათების გამოყენების საშუალებას სამეტყველო ხმოვნების დახასიათებლად.

§3 (13). და მინც: რით განსხვავდებიან ერთურთისგან ხმოვანი და თანხმოვანი ბგერები?

გ. ბელოშაპკოვა და მისი თანაავტორები, ვიდრე რუსულ ხმოვნებსა და თანხმოვნებს გამოიჯნავდნენ, წერენ (მოგვიწევს ზოგი რამის გაუმოწება): პაერი ფილტვებიდან მოემართება სასუნთქ ყელში (ხორხში, ლარინქსში – ა. ბ.), სადაც იგი ხვდება სახმო სიმებს; თუ ისინი (სახმო სიმები – ა. ბ.) ერთმანეთთანაა მიწეული და დაჭიმული, პაერის ჭავლის მოძრაობისას იწყებენ თრთოლას (რხევას), რაც, თავის მხრივ, წარმოქმნის **ტონს**; სახმო იოგების ერთმანეთთან მიწეულობა (და

დაჭიმულობა – ა. ბ.) – ეს **პირველი წინალობაა**, რომელსაც ჰაერნაკადი ხედება თავის გზაზე (Белошапкова, ..., 1981, 35). თუ მბგერი იოგები გაწეულ-გამოწეულია (დაშორიშორებულია და არაა დაჭიმული – ა. ბ.), ისინი არ თრთიან და ტონიც (მუსიკალური ბგერა, ანუ ხმოვანი – ა. ბ.) არ წარმოიქმნება (იქვე, 35-36). „პირის ღრუში, – ვკითხულობთ შემდეგ, – ჰაერნაკადი ან გადის თავისუფლად (ამ ღროს წარმოითქმის ხმოვნები: ისინი შედგება სუფთა ტონისაგან), ან ხედება წინალობები და ხმაურით (ჩქამით – ა. ბ.) გადალახავს მათ (ამ ღროს წარმოითქმის თანხმოვნები: ისინი შედგებიან ტონისაგან და ჩქამისაგან ანდა სუფთა ჩქამისაგან). მაშასადამე, პირის ღრუში ჰაერნაკადს შეიძლება შეხვდეს **მეორე წინალობა** (იქვე, 36). ბოლოს, იმავე გვერდზე ხმოვნებისა და თანხმოვნების ეს განსხვავებანი ნაჩვენებია ტაბულის სახით (პლიუსით აღნიშნულია წინალობის არსებობა, მინუსით – მისი არარსებობა); ვიზუალური ეთექტის ამაღლების მიზნით, ტაბულაში შევიტანთ მცირეოდენ დამატებებს, რომლებიც არ შეცვლიან მის შინაარსს:

ბგერები სასუნთქ ყელში		წინალობები	
		პირის ღრუში	
ხმოვნები		+	-
თანხმოვნები	ხარხარა	+	+
	ჩქამოვანი მჟღერი	+	+
	ჩქამოვანი ყრუ	-	+

შევნიშნოთ:

1) აქ გათვალისწინებული არ არის, მაგალითად, წინალობა ცხვირის ღრუს სახით, თუმცა თვით რუსულ ენასაც გააჩნია ცხვირისეული მ და ნ თანხმოვნები. რუსული ენის რაობიდან გამომდინარე, ასეთი წინალობის ფაქტორი არც ნაზალიზებული ხმოვნებისთვის არის გათვალისწინებული აქ, ანუ საერთოდ არ არის გათვალისწინებული წინალობა ცხვირის ღრუს სახით.

2) აგტორები საუბრობენ წინალობის ორ უბანზე: წინალობაზე სასუნთქ მილში, ანუ სასუნთქ ყელში (იგულისხმება სახმო სიმების ერთმანეთთან მიწეულობა და დაჭიმულობა, ანუ სიმების სახმო მდგომარეობა – ა. ბ.) და წინალობაზე პირის ღრუში. დავაკონკრეტოთ, რომ, ხმოვნებისა და თანხმოვნების განსხვავებათა საჩვენებლად წარმოდგენილი ტაბულისავე მიხედვით (Белошапкова, ..., 1981, 36), წინალობა სასუნთქ ყელში საერთო ნიშანია

როგორც ხმოვნებისთვის, ისე ნარნარა და ჩქამოვანი მჟღერი თანხმოვნებისთვის. ამიტომ, ვფიქრობთ, წინალობა სასუნთქ ყელში (ანუ ხორხში, ლარინქსში) არ გამოდგება ხმოვნებისა და თანხმოვნების განმასხვავებელ თუ განსასხვავებელ ნიშნად.

3) წინალობა სასუნთქ ყელში, ამავე ავტორების განმარტებით, ეს არის ერთმანეთთან მიწეული (იგულისხმება, დაჭიმული – ა. ბ.) სახმო სიმები. ეს წინალობა გადაილახება ასე: ჰაერნაკადი გადის („ძვრება“ – ა. ბ.) ერთმანეთთან მიწეულ (და დაჭიმულ – ა. ბ.) სახმო სიმებში და ათრთოლებს მათ (იქვე). როგორც უკვე ითქვა, ეს მდგომარეობა გახლავთ სიმების სახმო მდგომარეობა (ახელედიანი, 1966, 29), ასეც ვიტყვით, ეს არის სახმო სიმების სამუშაო, სამეცყველო მდგომარეობა და სწორედ ამის გამო იგი საერთოა როგორც ხმოვნებისთვის, ისე თანხმოვნებისთვის (პირველ რიგში, ნარნარა და ჩქამოვანი მჟღერი თანხმოვნებისთვის). ამ თვალსაზრისითაც, წინალობა სასუნთქ ყელში, ანუ სახმო იოგების სამუშაო მდგომარეობა არ გამოდგება ხმოვნებისა და თანხმოვნების განსასხვავებელ ნიშნად. ეს წინალობა საერთოდ არ ითვლება წინალობად. თუკი ხმოვნებისა და თანხმოვნების განსხვავებას ვაპირებთ წინალობის ნიშნით, მაშინ ეს წინალობა ხმოვნებისთვის უნდა იყოს სხვაგვარი, თანხმოვნებისთვის სხვაგვარი.


4) ამავე ტაბულის მიხედვით, ხმოვნებისთვის პირის ღრუ არ ითვლება წინალობად. მაგრამ, თუ საქმეს ჩავუღრმავდებით, შესატყვისი წინალობის გარეშე ანდა, უკეთ, წინალობათა სხვადასხვაგვარობის გარეშე პირის ღრუში ერთი ხმოვანი რატომ და როგორ უნდა განგვესხვავებინა მეორე ხმოვნისგან? თუკი გვაქვს, მაგალითად, ლაბიალიზებული (ლათ. **labium** ‘**ტუჩი**’) ხმოვნები (Белошапкова, ..., 1981, 37-38) და გვაქვს ბაგისმიერი, ანუ წყვილბაგისმიერი (ლათ. **labium** ‘**ტუჩი**’) თანხმოვნები (იქვე, 38-41), რატომ ვთვლით, რომ ბაგისმიერ მ, მ, პ თანხმოვნებს ექნებათ წინალობა პირის ღრუში, ლაბიალიზებულ o, y ხმოვნებს კი – არა? ანდა: შესაბამისი და თუნდაც ოდნავ განსხვავებული წინალობების გარეშე პირის ღრუში განვასხვავებდით განა a ხმოვანს ი ხმოვნისგან?

5) მართალია, ამჯერად საკუთრივ ხმოვნებზე ვამახვილებთ ყურადღებას, მაგრამ რაკი არტიკულაციაზე საუბარი და რაკი არც ისე იოლი ყოფილა ხმოვნებისა და თანხმოვნების გამოჯენა (მათ შორის განსხვავების დანახვა და ამ განსხვავებისთვის ზუსტი, უტყუარი კვალითუკაციის მიცემა), რასაც ჯერ კიდევ

მარცვლოვანი დამწერლობის უძველეს ეპოქაში ცდილობდნენ, ერთ დეტალ-საც შეეყვანათ. აქ დასახელებული წყარო ჩქამოვანი ყრუ თანხმომცემისთვის წინალობის ადგილად მიიჩნევს პირის ღრუს, მაშინ როცა დანარჩენი თანხმომცემისთვის ასეთ ადგილად მიიჩნეოდა როგორც პირის ღრუ, ისე სასუნთქი ყელი, ანუ სახმო იოგები (Белашапкина, ..., 1981, 36). ცალკე აღებული ჩქამოვანი ყრუ თანხმომცემი (**к, п, т** და სხვ.) მართლაც შეიძლება გაწარმოთ ხმის გარეშეც, ანუ სახმო იოგების მონაწილეობის გარეშეც. მაგრამ ფონოლოგია გვასწავლის, რომ ცალკე აღებული ნებისმიერი ბგერა, რჩება რა ოდენ ბგერად, ვერ არ არის ფონემა (იშვიათი გამონაკლისის გარდა). ბგერას რომ ფონემის სტატუსი მივაანიჭოთ, ის უნდა განვიხილოთ სიტყვაში ანდა სიტყვის ცალკეულ ფორმებში ან თუნდაც მარცვალში, მორფემაში, რომელთა არტიკულაციის დროსაც ვერ მოვანერგებთ იმას, რომ ხმოვანი ანდა მჟღერი თანხმომცემი წარმოვთქვათ ხმით, მათი მიმყოლი ანდა წინამავალი ყრუ თანხმომცემი კი – ხმის გარეშე. და საერთოდ: უნდა გაიმიჯნოს, როდის ვლაპარაკობთ ცალკე აღებულ ბგერებზე (როგორც ბგერებზე) და როდის – სიტყვაში ჩართულ ბგერებზე (როგორც ფონემებზე). ამ თვალსაზრისითაც გადასახედია განხილული ტაბულა.



6) თუ, ტაბულის თანახმად, ხმოვნების წარმოებას ასე თუ ისე მაინც ახლავს წინალობა (თუნდაც სასუნთქი ყელში), რატომღა ვამბობთ, რომ ხმოვნები და თანხმომცემები ერთურობისგან განსხვავდებიან წინალობათა ქონა-არქონის მიხედვით?

როცა ლაპარაკია საწარმოთქმო დაბრკოლებებისა თუ თავისუფლების შესახებ საარტიკულაციო გზაზე და ხმოვნებისა და თანხმომცემის არტიკულაციის ამსახველ საქმეებსა თუ სურათებზე, სპეციალისტისთვის, როგორც მკითხველისთვის, შეიძლება ასეთი ექსპერიმენტის შეთავაზება: შევხედოთ რუსულენოვანი **а** ხმოვნის საარტიკულაციო სურათს, ამოღებულს შესაბამისი ლინგვისტური წყაროდან:



ამ თვალსაზრისების მიხედვით, აშკარაა, რომ, მაგალითად, ენა, ერთ-ერთი ყველაზე აქტიური სამეტყველო ორგანო, რომლის სახელიც ჰქვია თვით-მეტყველებას, მაქსიმალურად არის დაწეული ქვემოთ და ალბათ ამიტომაც ვამბობთ, რომ სამეტყველო ჰაერნაკადი **თავისუფლად** გადის, ანუ პირის ღრუში არა გვაქვს საარტიკულაციო წინალობა, როგორც ასეთი. ეს ვიქონიოთ მხედველობაში მომდევნო სურათებზე დაკვირვებისას.

ახლა იმავე წყაროდან წარმოვადგინოთ კიდევ ორი სურათი – ერთი ხმოვნის, მეორე კი თანხმომცემის არტიკულაციის ამსახველი – და წინალობათა ქონა-არქონის მიხედვით პირის ღრუში ვუბასუხოთ კითხვაზე: რომელი უნდა იყოს ამათვან ხმოვანი და რომელი – თანხმომცემი⁶⁸?



და თუ პასუხის ძიებაში მკიხველთა თუნდაც ერთი ნაწილი დაიბნევა, რაშიც ეჭვი არ გვეპარება, ანდა, მით უმეტეს, მიმართავს არასწორ განსაზღვრას, რაშიც ასევე არ გვეპარება ეჭვი, ეს კიდევ ერთხელ დაადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ ხმოვანთა და თანხმომცემთა განმასხვავებელ ნიშნად არ გამოგვადგება საფონაციო წინალობის არსებობა-არარსებობა ზესადგამ მიღში.

ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს ქართული ენის (ასევე სხვა ენების) შემთხვევაში.

სქემებისა თუ სურათების მიხედვით (ახვლედიანი, 1966, 42–51), ქართული **ვ** და რუსული **ф** თანხმომცემების წარმოთქმისას სამეტყველო გზა გაცილებით უფრო თავისუფალი ჩანს, ვიდრე ქართული **ი** ხმოვნის წარმოთქმისას. და ეს მაშინ, როცა საწარმოთქმო დაბრკოლების ორგანოების მუშაობა სახელდება თანხმომცემთა პირველ განმასხვავებელ (საცნობ) ნიშან-თვისებად.

68 სურათი ამ შემთხვევაში არის თვალსაზრისობა, ანუ სწავლების ის პრინციპი, რომელმაც ცხადი, აშკარა, ნათელი უნდა გახადოს ის, რასაც, შესაძლოა, მარტო თეორიული მსჯელობით ვერ ვადწევთ (ქეგელ, 1990, 521).

მეტიც: თუკი **ა** ხმოვანზე დაბოლოებული სახელის, მაგალითად, **შოთა, ზენეა** ანთროპონიმების ბოლოკიდური **ა**-ს არტიკულირებისას პირის რეზონატორს მივადებინებთ **ა** და **ე** ხმოვნებისათვის საჭირო კონფიგურაციების **შუალედურ** მდგომარეობას – დაახლოებით ისეთს, როგორც სჭირდება, დავუშვათ, აზერბაიჯანულ **ა**-ს (Гаджиева, 1966) და ამგვარად დავუძახებთ ამ სახელების მატარებლებს, მივიღებთ საკმაოდ აგდებულ ფორმას და – ამ შემთხვევაში – შინაარსსაც, იმდენად აგდებულს, რომ შესაძლოა საყვედურიც მივიღოთ. და ეს იქნება შედეგი იმ **განსხვავებული** წინალობისა, რომელიც, ამსგავსებს რა მათ, ამავე დროს **ა**-ს ასხვავებს კიდევაც, ერთი მხრივ **ა**-სგან, მეორე მხრივ, **ე**-სგან.

სხვათაშორის: **ი (ი)** ხმოვანი სწორედ იმიტომ გადაიქცევა ხოლმე ჯერ „ნახევარხმოვნად“, ხოლო მერე თანხმოვნად, რომ ხმოვნებს შორის ყველაზე მაღალი აქვს ენის აწეულობა; **უ > უ > ვ** პროცესს იმიტომ აქვს ადგილი ქართულში, რომ ბაგისმიერ **უ** ხმოვანსა და კბილ-ბაგისმიერ **ვ** თანხმოვანს თითქმის ერთნაირი წინალობა ხვდება ბაგეების არეში.

ასეა თუ ისე, მსჯელობის უკვე ამ ეტაპზე შეიძლება ითქვას, რომ ხმოვნების წარმოთქმისას საფონაციო ჰაერნაკადის სახმო სიმების (და არა მარტო) სახით უსათუოდ ხვდება ესა თუ ის წინალობა და უხდება მისი გადალახვა. ამიტომ წინალობის ქონა-არქონის ნიშნით ხმოვნებისა და თანხმოვნების განსხვავება ჩვენთვის არ არის ბოლომდე დამაკმაყოფილებელი.

ნებისმიერი სამეტყველო ბგერა, პირველ რიგში, წარმოიშობა და ყალიბდება სახმო სიმებში. ყველა დანარჩენი სამეტყველო ორგანო მონაწილეობს ბგერების გაფორმებაში, „გამოაწყობს“ რა მათ – ბგერებს – სხვადასხვა „კოსტიუმებში“ და „ავალეს“ რა მათ სხვადასხვა როლის შესრულებას. აფონიის, ანდა სახმო სიმების სრული ამოკვეთის შემთხვევაში ადამიანი პრაქტიკულად კარგავს მეტყველების უნარს, თუმცა ჰაერნაკადიც, ენაც, ბაგეებიც და ა. შ. წინანდებურად ასრულებენ მათზე დაკისრებულ ყველა დანარჩენ მისიას.

მოკლედ, შეიძლება ითქვას, რომ საქმე გვაქვს ორ მთავარ ფაქტორთან: სახმო იოგებთან, რომლებიც, ქმნიან რა წინალობას, ამავე დროს ქმნიან სამეტყველო ხმას, და დანარჩენ სამეტყველო ორგანოებთან, რომლებიც, ქმნიან რა სხვადასხვა სახის წინალობას, ბოლომდე აფორმებენ ამ წინალობათა აღეგებატურ ბგერებს – ხმოვნებისაც და თანხმოვნებსაც, რაშიც ქვემოთ კიდევ უფრო ღრმად უნდა დავრწმუნდეთ.

§4 (14). შეიძლება თუ არა ჩავთვალოთ, რომ ხმოვანი ბგერების წარმოთქმისას საფონაციო ჰაერნაკადი თავისუფლად ამოედინება (მოძრაობს) პირის ღრუში ანდა, საერთოდ, სამეტყველო აპარატში?

ბოლოს და ბოლოს, სამეტყველო აპარატში ამომავალ ხმას (ჰაერნაკადს) ესა თუ ის წინალობა ხვდება ნებისმიერი ხმოვანი ბგერის წარმოთქმის დროსაც. სხვაგვარად, ჯერ ერთი, **ა** ბგერას ვერ განვასხვავებთ **ი** ბგერისგან, **ი**-ს **ო**-სგან და ა. შ. მეორე, თუკი ხმოვანს ვაიგივებთ მუსიკალურ ბგერასთან, არც ერთი მუსიკალური ბგერა (ტონი) არ წარმოიშობა რაიმე წინალობის გარეშე, ანუ არაფერი არ წარმოიშობა აბსოლუტურად თავისუფალ და სუფთა სივრცეში. პირიქით: ნებისმიერი მუსიკალური ბგერაც კი იბადება იქ, სადაც ადგილი აქვს ამა თუ იმ საგნის, ანდა ჰაერნაკადის ჯახებას (შეჩებას, ხახუნს, დარტყმას) ამა თუ იმ შესატყვის წინალობასთან (სიმებთან, ცილინდრულ კედლებთან, დაჭიმულ აკთან და ა. შ.). თუკი, მაგალითად, სალამურს დავამოკლებთ მაქსიმალურად, ამით, მოვსპობთ რა წინალობას საერთოდ, მოვსპობთ მუსიკალური ბგერის გამოცემის თვით შესაძლებლობასაც კი; თუკი არაფრით არ შევჩებით გიტარის, ფორტეპიანოს, ქნარის სიმებს და ამით არ შევქმნით იმ სიტუაციას, რომელიც სხვა არა არის რა, თუ არა წინალობა გადალახვითურთ, ვერ მივიღებთ ვერანაირ მუსიკალურ ბგერას. ეს კია: ხმოვნების საარტიკულაციო წინალობებს შეიძლება ვუწოდოთ **ტონური, ხოლო** თანხმოვნებისას – **ჩქამოვანი (ტონურ-ჩქამოვანი** და საკუთრივ **ჩქამოვანი**). წინალობა, როგორც ასეთი, არის ის მოცემულობა, რომლის წყალობითაც ერთ ბგერას ვარჩევთ მეორისგან, სულ ერთია, ხმოვანზეა ლაპარაკი თუ თანხმოვანზე.

თუ ჰაერნაკადის რაიმე თავისუფლებაზე შეიძლება ვილაპარაკოთ საერთოდ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ჩვეულებრივ წყნარ სუნთქვას აქვს ადგილი და არ ხდება არაფითარი ძალდატანება არც ჰაერნაკადზე (თვისებრივი თუ ოდენობრივი თვალსაზრისით), არც სახმო სიმებზე (დაჭიმულობის ან სულაც დახშულობის თვალსაზრისით). ასეთი – თავისუფალი (და ისიც მხოლოდ გარკვეული ოდენობით) – ჰაერნაკადი არის არა საფონაციო, არამედ, უბრალოდ, ჰაერნაკადი, მეტი არა. მეტიც: აბსოლუტურად თავისუფალი რომ ყოფილიყო თვით სარესპირაციო ჰაერნაკადიც კი, არც ექნებოდა მას ნაკადის სახე და საერთოდ არ ექნებოდა ადგილი სუნთქვას, როგორც ასეთს.

თავისუფალი ჰაერით, შეიძლება ითქვას, „სუნთქავენ“, მაგალითად, მცენარეები ანდა ჩვენი კანის უჯრედები, მაგრამ არა ადამიანები ანდა ცხოველები. სარესპირაციო ჰაერნაკადის მოძრაობა რაღაცით გვაგონებს სისხლის მოძრაობას სისხლძარღვებში, სადაც მას (სისხლს) თითქოს არანაირი წინაღობა არ უნდა ჰქონდეს, გარდა, მაგალითად, თრომბის შექმნევისა. მაგრამ თუკი სისხლი აბსოლუტურად თავისუფალი იქნებოდა სისხლძარღვებში, მაშინ სისხლძარღვის გაჭრის შემთხვევაში შადრევნად არ გამოასხამდა, ანდა სულაც არ გადმოდიდებოდა. ისე რომ, უნდა ვილაპარაკოთ არა თავისუფლებაზე საერთოდ, არამედ თავისუფლების სხვადასხვა ხარისხსა თუ ოდენობაზე.

რა უნდა ვიგულისხმოთ თავისუფლებაში, როცა მხოლოდ და მარტო ხმოვნებზე ვსაუბრობთ?

თავისუფლება ერთობ ფართო და ფარდობითი ცნებაა და, ჩანს, აბსოლუტურად თავისუფალი არაფერია. რამე თავისუფალი შეიძლება იყოს მეტად ან ნაკლებად – სხვა რამეებთან დამოკიდებულებაში (მიმართებაში). ესა თუ ის რამ (ამ შემთხვევაში – სამეცნიერო ჰაერნაკადი) თავისუფალი შეიძლება იყოს იმდენად, რამდენადაც მას ასე თუ ისე შეუძლია, საშუალება აქვს იმოძრაოს, თუქცა თვით მოძრაობაც კი შედეგია თავისუფლების არქონისა, თავისუფლებისკენ სწრაფვისა. ხოლო რაკი ის (სამეცნიერო ჰაერნაკადი) უსათუოდ არის ამა თუ იმ მიმართებაში, ამა თუ იმ დამოკიდებულებაში იმ გზასთან, რომლითაც იგი მოემართება ფილტვებიდან, მაშ, დამოკიდებულებიდან, ე. ი. არ არის აბსოლუტურად თავისუფალი. არაფრით არ შეიძლება ერქვას **თავისუფალი** ჰაერს, რომელიც, დიაფრაგმის მიწოდის წყალობით, იქცევა რა ნაკადად, იძულებულია გაძვრეს ჯერ ვიწრო სასუნთქ მილში (ტრაქეაში, ანუ სასულეში), მერე კი სხვა „ოლროხოლოებში“ (ყიაში, ენის ძირსა და ფარინგის უკანა კედელს შორის, ცხვირის ღრუში, ენის ამოხეჩილ ან ჩახეჩილ ზურგსა და ლოყების კედლებს შორის და ა. შ.). და იმდენად დიდია დიაფრაგმის ზეწოლა, რომ „თავისუფლების მაძიებელი“ ჰაერნაკადი სწორედ რომ იძულებულია გამოსცეს სხვადასხვა ბგერები თუ ხმები (ტონი, ნარნარი, სისინი, შიშინი, სკდომა და ა. შ.).

თუ რაიმე მილაკს (რომელსაც თავიც და ბოლოც ღია აქვს), უბრალოდ, გავაჩერებთ ჰაერში, შეიძლება ითქვას, რომ მილაკში მოქცეული ჰაერი თავისუფალია მილაკის კედლებთან მიმართებაში, ვიდრე ერთნაირი წნეგაა მილაკში და მილაკს გარეთ (მილაკის ირგვლივ). მაგრამ თუ ამ მილაკს

ჩაეუბერავთ, მასში მანამდე თავისუფლად განთავსებული ჰაერი იქცევა ჰაერის ნაკადად, რომელიც აღარ იქნება თავისუფალი მილაკის კედლებთან მიმართებაში – უკვე იმიტომ, რომ ის ნაკადია. ჰაერის (ნაკადის) თავისუფლებას ზღუდავენ მილაკის კედლები და რაც უფრო დავაწვრილებთ მილაკს, ანდა მეტ ჰაერს ჩავბერავთ მასში, მით უფრო მეტი იქნება დაწოლა და მით უფრო ნაკლები იქნება ჰაერნაკადის თავისუფლება და, პირიქით. ამასთანავე, რაც უფრო ნაკლები იქნება თავისუფლება და რაც უფრო მეტი იქნება დაწოლა, მით უფრო ძლიერ ხმას გამოსცემს მილაკი. თუკი უბრალო მილაკის ნაცვლად სალამურს წარმოვიდგენთ (უბრატესად უენოს), ხატოვნად ასე შეიძლება ითქვას: რაც უფრო ნაკლები იქნება სალამურში მოძრავე ჰაერნაკადის თავისუფლება, მით უფრო მაღალ ხმაზე „იმღერებს“ სალამური „თავისუფლებაზე“.

ვიდრე ჰაერი, გარკვეული ძალით შებოჭილი და ამიტომაც გარკვეული ძალის მქონე ნაკადად ქცეული, არ შეეხება, არ მიეხეთქება, არ გაეხანუნება რამეს, ვერ გაჩნდება ვერც ხმა, ვერც ხმაური, ვერც ბგერა. ეს ჰგავს მზის სხივის მუშაობას, რომელიც თავისთავად ვერ იძლევა სითბოს, ვიდრე არ შეეხება, არ მოხვდება რამეს. ეს იმ პარადოქსსაც ჰგავს, სანთელი მით მეტ შუქს რომ გამოსცემს, რაც უფრო მეტად ბნელა ირგვლივ.

ყოველი მოცემული ჩვეულებრივი ხმოვანი, სხვა ხმოვნებისგან განსხვავებით, გამოითქმის სამეცნიერო ორგანოების განსაკუთრებულ, განსაზღვრულ მდგომარეობაში (განლაგებაში, კონფიგურაციაში – ა. ბ.), რის წყალობითაც პირის ღრუ იღებს განსაკუთრებულ, მხოლოდ ამ ხმოვნისთვის დამახასიათებელ ფორმას. აქ, პირის ღრუში, იგულისხმება ენაც. და ნებისმიერი ენის (მეტყველების) ნებისმიერი ხმოვნის წარმოთქმისას, ამა თუ იმ სამეცნიერო ორგანოს (ძირითადად – პირის ღრუს) ამა თუ იმ მდგომარეობის წყალობით, ერთგვარად ვქმნით ისეთ არტიკულაციურ წინაღობას, გარემოს, რომელმაც ხმოვანს უნდა მისცეს ამავე ენის სხვა, დანარჩენი ხმოვნებისგან განსხვავებული აკუსტიკური დახასიათება, სახე, პასპორტი. ეს არის სწორედ მიზეზი (და საშუალებაც) იმისა, რომ როგორც წარმოთქმის (არტიკულაციის), ისე მოსმენის (აკუსტიკის) პლანში **ა**-ს განვასხვავებთ **უ**-სგან, **უ**-ს – **ა**-სგან, ორივეს კი – დანარჩენი ხმოვნებისგან.

ამიტომაც მიგვითითებენ, რომ ენისა და ბაგეების (აგრეთვე ქვედა ყბისა და ნაქის, ანუ ენის კლიტის – ა. ბ.) მოძრაობის (თუ მდგომარეობის – ა. ბ.)

შესაბამისად იცვლება პირის ღრუს რეზონატორი, რის წყალობითაც ჩნდება **სხედასხვა** ხმოვანი ბგერა. და განა აქ ჩამოთვლილი ორგანოები ბარიერებს არ წარმოადგენენ და არ ეღობებიან ხმოვნისთვის გათვალისწინებულ ჰაერ-ნაკადს?

ამაზე დაწვრილებით ნულარ შეფერვლებით აქ, მაგრამ ამ კონტექსტში გავიხსენოთ, რომ ერთმანეთთან მიწეული და დაჭიმული (დატვირთული, „დასაქმებული“), სახმო (მუშა) მდგომარეობაში მყოფი მბგერი სიმები, რასაც ნებისმიერი ხმოვანი ბგერა საჭიროებს, უკვე არის პირველი წინააღობა, რომელიც გზად ხვდება სახმო ჰაერნაკადს. ღიაობაც კი, რომელიც ხმოვანი ბგერის თანმყოფი ნიშანია, დაბრკოლებათა რაგვარობას უნდა მივაკუთვნოთ, რაც გულისხმობს „საარტიკულაციო ორგანოებს შორის **მეტ-ნაკლები** მანძილის არსებობას – იმის გამო, რომ ისინი ერთმანეთს დაშორებულნი არიან **მეტ-ნაკლებად**“ (ახვლედიანი, 1966, 51).

როგორც კი საფონაციო ჰაერნაკადს მივანიჭებთ სრულ თავისუფლებას, უმაღლესობა თვით ფონაციის დენატურალიზაცია. ისე რომ, ხმოვანი (ჩვეულებრივი ხმოვანი) ბგერების წარმოებისას სამეტყველო ჰაერნაკადი სარგებლობს თავისუფლების იმ ოდენობით (იმ დონით, იმ ხარისხით), რომელიც მათთვის არის გათვალისწინებული და „დასაშვები“.

იმის მიხედვით, თუ რა **ადგილას** და **რაგვარად** ხდება ჰაერნაკადის **დაბრკოლება** (ახვლედიანი, 1966, 39), **განვასხვავებთ** სამეტყველო **ბგერების** (არა მარტო თანხმოვნების – ა. ბ.) **წარმოების ადგილსა** და **რაგვარობას** (იქვე). ჩვენთვის აქ ყველაფერი გასაგებია, იმდენად გასაგები, რომ თავს უფლებას ვაძლევთ ჩამოვაცალიბოთ სულ ცოტა ორი სამუშაო დებულება:

1) წარმოების ადგილისა და რაგვარობის მიხედვით ერთერთისგან ვასხვავებთ სამეტყველო ბგერებს, კერძოდ, ერთი მხრივ, ხმოვნებს ვასხვავებთ თანხმოვნებისგან, მეორე მხრივ, ერთ ხმოვანს ვასხვავებთ მეორისგან, ხოლო ერთ თანხმოვანს – მეორისგან.

2) სამეტყველო ბგერების წარმოება სხვა არა არის რა, თუ არა სამეტყველო ჰაერნაკადის მიერ ამა თუ იმ დაბრკოლების გადალახვა.

ამ დებულებების ჩამოყალიბებისკენ გვიბიძგებს ისიც, რომ **დაბრკოლებათა** (ანუ ბგერათწარმოების) **რაგვარობის**, კერძოდ, **ღიაობის** დახასიათები-

სას (ხშულობისა და ნაპრალოვნობის გვერდით) ლაპარაკია ხოლმე ხუთივე **ა, ე, ი, ო, უ** ხმოვნებზეც (ახვლედიანი, 1966, 46–52).

მაგრამ ამავე ღროს ჩვენთვის გაუგებარია სულ ცოტა ორი რამ:

1) დაბრკოლებათა (ანუ ბგერათწარმოების) ადგილებზე საუბრისას, თუნდაც ბაგისმიერი **ბ, ფ, ზ** თანხმოვნების მაგალითზე, რატომ არ არის დახასიათებული თუნდაც ერთი რომელიმე ბაგისმიერი ხმოვანი – ან **ო**, ან **უ**?

2) თუკი ხმოვნები ასე თუ ისე შინაგან მოყვანას საწარმოთქმო დაბრკოლებათა სექტორში (რაგვარობის ნიშნით), რატომ ასე დაბეჯითებით ვამტკიცებთ, თითქმის ხმოვანთა წარმოებისას სამეტყველო ჰაერნაკადს, თანხმოვნებისგან განსხვავებით, არ ხვდებაოდეს რაიმე წინააღობა (დაბრკოლება), თუნდაც, ღიახ, სადმე?

ამ კითხვების ჩამოყალიბებისას გვათამამებს ისიც, რომ დაბრკოლებათა ადგილებზე საუბრისას სამეტყველო ლიტერატურაში ნიმუშები მოყვანილია **უშთაფრესად** თანხმოვნებზე (ახვლედიანი, 1966, 42), რაც, ერთობ საინტერესოა რა, ნიშნავს იმას, რომ საწარმოთქმო დაბრკოლებათა ნიმუშები შეიძლება მოვიყვანოთ **ხმოვნებზეც**.

რით ვასხვავებთ ერთმანეთისგან თანხმოვნებს? – წინააღობათა ადგილისა და რაგვარობის მიხედვით.

მაგრამ ხმოვნებსაც ხომ ვასხვავებთ, ჯერ ერთი, თანხმოვნებისგან, მეორეც, ერთმანეთისგან და რით? – ისევ წინააღობათა ადგილისა და რაგვარობის მიხედვით. თუ არა სულ ცოტა ამ ორი ნიშნისა (ვიმეორებთ კითხვას), მაშ რით?

მომჩიოებაში მოსული ჰაერი არც თავისუფალია და, მით უმეტეს, არც (ვერც) წარმოქმნის რამეს, აკუსტიკური ღირებულების მქონეს. ქარიც კი, რომელიც თითქმის თავისუფლად ნაფარდობს ორგელივ, ვერ წარმოქმნიდა ვერანაირ ხმას (ხმაურს), ფიჭვნარის წიწვები რომ არ ხვდებოდეს გზად წინააღობის სახით. მეტიც: თუკი იმავე ქარს, ერთი შეხედვით თავისუფლად მონაფარდეს, წინ დახვდება ეოლეს ქნარი, წარმოქმნის არა უბრალო ჩქამს (როგორც წიწვების შეშებევნაში), არამედ უვოკალურეს, უპარმონიულეს ბგერებს – სწორედ იმ მიზეზით, რომ წინ ეღობება ქნარის საგულდაგულოდ და საგანგებოდ დაჭიმული (მომართული) სიმები. მაგრამ საკმარისია ჩადგეს ქარი, რომ შეწყდება ეოლეს ქნარის მელოდიური ხმებიც, რადგან მოისპობა სიმების წინააღობა უკვე არარსებული ქარის მიმართ.

ფილტვებიდან წამოსული საწარმოთქმო ჰაერნაკადს („ქარს“) პირველი წინააღობა ხვდება ღიახ, ყიაში („ეოლეს ქნარში“). მაგრამ ჰაერნაკადს („ქარს“)

ნაკადის („ქარის“) სახე უნარჩუნდება ყიის გავლის შემდეგაც. და ისიც, „ეძებს“ რა, „პოულობს“ სხვადასხვაგვარ წინალობებს სამეტყველო ტრაქტის დანარჩენ მონაკვეთებზეც – არა მხოლოდ თანხმობების, არამედ, როგორც ზემოთ დავინახეთ, თვით ხმების არტიკულირების დროსაც. ის წინალობა, რომელიც ყიაშია (ანუ სახმო სიმებშია), საერთოა სამეტყველო ბგერებისთვის საერთოდ – ხმოვნებისთვისაც, თანხმობებისთვისაც. ყიის (სახმო ქორდების) წინალობა, რომელიც ყელის „ღალანში“ გამოიხატება (ახვლედიანი, 1966, 61) და რომელიც მეტყველების დროს არის უწყვეტი (და არა წყვეტილი), გათვალისწინებულია და „ტრანსპორტირებულია“ ყიიდან არა მარტო ხმოვნებისთვის, არამედ თანხმობებისთვისაც; სულ სხვა რამეა, როცა, ამა თუ იმ ბგერის შესწავლის (ანდა სწავლების) მიზნით, ვწყვეტთ ამ „ღალანს“. ამ ღალანის გარეშეც შეიძლება თურმე წარმოვთქვათ თვით ქართული ხმოვანი, მგალითად, **ა** (იქვე); და ამ დროს ეს ხმოვანი თურმე არის (*sic!*) ყრუ (იქვე). ესეც არ იყოს, ხომ არის „ღალანის“ გარეშე ლაპარაკი (ანუ ჩურჩული), რომელიც ისევე ასრულებს საკომუნიკაციო მისიას, როგორც ყელის „ღალანის“ თანხლების შემთხვევაში.

XIX ს. ყველაზე დახვეწილ რუს პოეტს, **ა. ფეტს** ეკუთვნის ერთი ცნობილი და ფრიად პოპულარული ლექსი, რომლის ფინალთან დაკავშირებითაც დიდმა რუსმა შემოქმედმა, **ლ. ტოლსტოიმ** აღფრთოვანებით ბრძანა, „ეს ხელოვნების გურმანთა ვიწრო წრისთვისაა!“ (<http://otvet.mail.ru/question>) და რომელიც, თავიდან ბოლომდე წარმოდგენს რა ნომინატიურ კონსტრუქციას (კონსტრუქციებს), მხატვრული დამაჯერებლობით მიგვანიშნებს არა მხოლოდ ჩურჩულის, არამედ თვით მორცხვი სუნთქვის მნიშვნელობაზე გარკვეულ დროსა თუ ადგილას: Шёпот, робкое дыхание, трели соловья... (<http://www.stihi-rus.ru/1/Fet>) *‘ჩურჩული, მორცხვი სუნთქვა და ხმა ბუდბუდისა’*⁶⁹.

ბოლოს, როცა ვლაპარაკობთ წინალობაზე, უნდა გვახსოვდეს, რომ მისი არსებობა თავისთავად გულისხმობს მასზე მოქმედი ამა თუ იმ ძალის არსებობასაც. და ამ ძალის ზემოქმედება ერთნაირად ნაწილდება, ერთნაირად მოქმედებს ამ წინალობაში მონაწილე მხარეებზე, რადგან ძალაშია კლასიკური მექანიკის **ი. ნიუტონისეული** მესამე კანონი: ყოველი ქმედება იწვევს ტოლ და საწინააღმდეგო მიმართულების უკუქმედებას (БСЭ, 1974, 167). ამიტომ არის, რომ ეოლეს ქნარი იმავე ხმებს გამოსცემს, თუკი აბსოლუტურად უქარო სივრცეში **A** წერტილიდან **B** წერტილისკენ აგამოძრავებთ იმავე

69 შეძლებისდაგვარი თარგმანი ჩვენია.

სისწრაფით, რა სისწრაფისაც იქნებოდა (უნდა ყოფილიყო) ქარი. თუკი ფიჭვის ტოტს ჰაერში გაეიქნევთ, მივიღებთ იმავე ხმას (ჩქამს), რომელიც ქარის ქროლისას ისმის ფიჭვნარში. ასევეა სამეტყველო ჰაერნაკადთან მიმართებაშიც და, ჩანს, ბუნების სწორედ ამ კანონზომიერებამ უკარნახა ადამიანს დაემხადებინა პირველი მუსიკალური ინსტრუმენტი.

ამ დამღლევი მსჯელობებით ვლამობთ მიახლოებას ხმოვნებიდან თანხმობებისკენ მიმავალ გზასთან.

მერამდენედ ტივტივდება კითხვა: **ხმოვანთა** შემართვა-დამართვაზე მსჯელობისას რატომღაც ვერაფრით ვუვლით გვერდს თანხმოვან **ჟ**-ს, ანუ ხმოვნის ხასიათს რატომღაც ვხსნით **იმ თანხმოვნით**, რომელიც თავად არის წინალობის სიმბოლო – რატომ?

იქნებ შეიძლებოდეს თანხმოვანთა წარმოებისთვის დამახასიათებელი წინალობის იდენტური წინალობა ვივარაუდოთ ხმოვანთა (ჩვეულებრივ ხმოვანთა) წარმოებაშიც, ოდენ იმ არსებითი თუ უმნიშვნელო განსხვავებით, რომ, მაგალითად, **ბ**-ს წარმოებისას წინალობა იქმნება პირის ბაგეებთან, **ა**-ს წარმოებისას კი – სადმე სხვაგან? თუკი ასეთს დავუშვებთ, რა სახისა უნდა იყოს **ა**-ს წინალობა და სად?

ჯერჯერობით ამ დონეზე შევჩერდეთ.

მომავალში, ვისაუბრებთ რა იმაზეც, თუ რამდენად არის საფონაციო ჰაერნაკადი თავისუფალი ჩვეულებრივი ხმების არტიკულირებისას, და იმაზეც, თუ რამდენად მართებულია ამ თავისუფლების ნიშნით ხმოვანი და თანხმოვანი ბგერების გამიჯვნა, მოგვიწევს ჩვეულებრივი ხმოვნების „გაწურვა“ ფონეტიკურ „საცერში“ („საცერთან“ დაკავშირებით იხ.: Панов, 1971, 264).


2. სამეტყველო გზის კონსტრუქციისათვის, ანუ:

სახმო ქორდების მუშაობის პრინციპის შესახებ

§1(15). სამეტყველო გზა სქემებზე ცალკეული ბგერების არტიკულირებისას და კიდევ ერთხელ ძლიერ შემართვაზე – მიზანთან უფრო ახლოს მისასვლელად.

თუკი ამაღენი ვიმსჯელოთ უკვე ამაზე, სწორედ ახლა მიგვაჩნია დროულად სამეტყველო გზის (ტრაქტის) აგებულების კიდევ უფრო დეტალურად აღწერა. ერთია ამა თუ იმ – ნებისმიერი – ბგერის არტიკულაცია ზოგადად, რაზეც


მახვილდება კიდევაც ყურადღება ამ მონოგრაფიაში, მაგრამ მეორეა, მაგალითად, ბგერის გამჟღერება, მისი შემოსვა ხმით (გამჟღერების პროცესი), რომელიც, საერთოა რა ნებისმიერი ბგერისთვის და საწყისთა საწყისია ბგერითი მეტყველების ყველა შემთხვევისათვის, თანამედროვე არტიკულაციურ (არტიკულატორულ) ფონეტიკაში წარმოდგენილია ასეთი სქემის სახით (<http://www.science.org.ge/books/Gamkrelidze>):




ამ თვალსაზრისით, ჩვენ მეტ-ნაკლები ინტენსივობით უსათუოდ შევჩებოთ აქ წარმოდგენილ ოთხივე – ორალურ-ნაზალურ, არტიკულაციის, გამჟღერებისა და ამოსუნთქვის – პროცესს, რათა არ გამოგვეპაროს ესა თუ ის მნიშვნელოვანი მომენტი. ამჯერად კი მივუბრუნდეთ სამეტყველო აპარატს.

ყველასათვის ცნობილია სამეტყველო გზის ზოგადი აგებულება, მუშაობის ზოგადი პრინციპი, თუმცა, მსჯელობის შემდგომი წარმართვის მიზნით, საჭიროდ ვთვლით გავიხსენოთ და შევხებით ბევრ შემთხვევაში კარგად ნაცნობ ზოგიერთ დეტალს, რაც ასევე დაგვჭირდება ჩვეულებრივი ხმოვნების ახლებური კვალიფიკაციისთვის.

დავიწყით ყიით, რომელიც სამეტყველო ტრაქტის უხმო და სახმო მხარეების საზღვარზე მდებარეობს, რომელიც ყლაპვის დროს საიმედოდ იხურება ხორხსარქველით და რომელშიც სახმო იოგებია განთავსებული. იგი მდებარეობს ენის უკანა არეში – თითქმის ისევე, როგორც აქვს ქათამს, ძროხას, ცხვარს. წარმოვადგენთ თვალსაჩინოებას **ზ. კაციტაძის** სამედიცინო წიგნიდან (კაციტაძე, 1986, 447, სურ. 288; ყია აღნიშნულია რიცხვით 1):




გამოვეყნოთ საკუთრივ ყია, ანუ სახმო სიმებშია ნაპრალი (არე) ხორხის შესავლის ელემენტებთან ერთად **ზ. კაციტაძისავე** მიხედვით (კაციტაძე, 1986, 557, სურ. 372; ყია აღნიშნულია რიცხვით 8):



ეს არის ხორხის კარიბჭე, ადამიანის სხეულის ის განუმეორებელი ორგანო, რომელიც შობს სამეტყველო ხმას, ბგერას, მეტყველებას.

ზ. კაციტაძეს წარმოდგენილია ხორხის შესავლის ლარინგოსკოპული სურათი მბგერი იოგების სხვადასხვა ფუნქციური დატვირთვის დროს, სადაც გამოსახულია სიმების ზუსტად ისეთივე მდგომარეობა, რომელშიც ზემოთ ეჭვი შევიტანეთ, და სადაც მას ჰქვია „სახმო სიმები ხმის გამოცემისას“ (ახვლედიანი, 1966, 29); საქმე ის გახლავთ, რომ **ზ. კაციტაძესთან**


(**პერნკოპთან**) ამ მდგომარეობას ჰქვია არა „სახმო სიმები ხმის გამოცემისას“, არამედ: „**დახურული ყია** (ანუ **დახურული სახმო სიმები** – ა. ბ.) **დახველების ან ზოგიერთი ბგერის წარმოთქმის წინ**“ (კაციტაძე, 1986, 557, სურ. 373გ):



ეს უკვე სულ სხვა საქმეა (გავიძეოვრით): დახურული ყია, ანუ სახმო ქორდები **დახველების ან ზოგიერთი ბგერის წარმოთქმის წინ**. სხვანაირად: აქ ჩვენ ვხედავთ სახმო ქორდებს (ყიას) **მანამდე და არა ხმის გამოცემისას, მის წარმოთქმამდე და არა ბგერის წარმოთქმისას**, რასაც სწორედ რომ არსებითი მნიშვნელობა აქვს ვითარების ზუსტად ასახვის თვალსაზრისით.

თუკი მკითხველი უხმოდ ჩაახველებს ანდა ჩურჩულით რამდენჯერმე გაიმეორებს ჩვეულებრივ **ა, ე, ი, ო, უ** ხმოვნებს, უფრო ნათლად წარმოიდგენს, რაზეა აქ საუბარი.

უფრო კარგად რომ ჩავწვდეთ სამეტყველო აპარატის, კერძოდ, სახმო სიმების მუშაობის პრინციპს, ურიგო არ იქნება კიდევ ერთხელ, ამჯერად რამდენადმე განსხვავებულად, წარმოვადგინოთ ამ აპარატის აგებულება თუ მუშაობა ისეთი სქემის სახით, სადაც, მკითხველის (დამკვირვებლის) ყურადღების მობილიზაციის მიზნით, აღნიშნული იქნება უპირატესად სამეტყველო გზის ის ორგანოები, რომლებიც ყველაზე მეტად გვჭირდება მოცემულ შემთხვევაში; ამასთანავე, თვალსაჩინოების ხარისხის ამაღლების მიზნით, სამეტყველო აპარატი წარმოდგენილი იქნება უფრო სქემატურად და, რაც ალბათ ყველაზე მთავარია, განსაკუთრებულად იქნება წარმოდგენილი ყია, ანუ სახმო სიმები; უფრო თვალსაჩინოდ იქნება წარმოდგენილი როგორც ჰაერის ესა თუ ის მდგომარეობა, ისე ჰაერნაკადის ესა თუ ის მოძრაობა, ასევე სამეტყველო ორგანოთა მდგომარეობები თუ მოძრაობები. ყოველივე ამის გათვალისწინებით ჯერ წარმოვიდგინოთ სამეტყველო აპარატი ზოგადად, მისი უამრავი შესაძლო მდგომარეობებიდან ერთ-ერთ მდგომარეობაში (**სქემა №1**):



სქემა №1. სამეტყველო აპარატი ზოგადად (უამრავი შესაძლო მდგომარეობებიდან ერთ-ერთში)⁷⁰.

ტრაქეა (სასუნთქი მილი); **2.** სახმო სიმები; **3.** ყია (სახმო ნაპრალო); **4.** ხორხსარქველი; **5.** ნაქი (ენის კლიტე); **6.** ენა; **7.** ცხვირის ღრუ; **8.** პირის ღრუ; **9.** ბაგეები (ტუჩები).

მომდევნო სქემებზე აღნიშნული გვაქვს:

→ ნიშნით – რესპირაციაში, ანუ ჩვეულებრივ, წყნარ

სუნთქვაში მონაწილე ჰაერნაკადი;


* ნიშნით – წნევის ქვეშ მყოფი ჩაკეტილი ჰაერი;

⇒ ნიშნით – სამეტყველო ბგერის სახით რეალიზებული ჰაერნაკადი.

შევნიშნოთ აგრეთვე, რომ წნევის ქვეშ მოხვედრილი ჩაკეტილი ჰაერი ჯერ არ არის ჰაერნაკადი: ჰაერნაკადად ის იქცევა ჩაკეტილობის მოხსნის მერე; რაც შეეხება დანარჩენ ორ შემთხვევას, რესპირაციაში მონაწილე ჰაერნაკადს ვუწოდებთ **სარესპირაციო (სასუნთქ) ჰაერნაკადს**, ხოლო სამეტყველო ბგერის სახით რეალიზებულ ჰაერნაკადს – **საფონაციო, სამეტყველო ჰაერნაკადს**.

გადავხედოთ სამეტყველო აპარატის ჩვენთვის საინტერესო ცალკეულ მდგომარეობებს.

⁷⁰ ნუ ვეძებთ სამეტყველო ორგანოების კონფიგურაციას, რადგან აქ არ არის გათვალისწინებული არც ერთი კონკრეტული ბგერის წარმოთქმა: ამ შემთხვევაში გვაინტერესებს სამეტყველო აპარატის აგებულება ზოგადად, ძეკი არა.



სქემა №2. სამეტყველო აპარატი ინსპირაციისას, ანუ
ჩვეულებრივი წყნარი სუნთქვისას
(ჩასუნთქვისას) ცხვირით – დახურული პირის პირობებში
(ეს იგივე №1 სქემა იქნებოდა, რომ არ დაგვემატებინა სუნთქვა).



სქემა №3. სამეტყველო აპარატი ინსპირაციისას, ანუ
ჩვეულებრივი წყნარი სუნთქვისას
(ჩასუნთქვისას) პირით – დახურული ცხვირის ღრუს პირობებში.

„ზოგს, – წერს **გ. ახვლედიანი**, – ჩვეულება აქვს პირი ღია ჰქონდეს წყნარი სუნთქვის დროსაც და, მაშასადამე, სუნთქავდეს ცხვირითაც და პირითაც ერთჟამიერად“ (ახვლედიანი, 1966, 33); შეიძლება მკითხველისთვის ამის შესაბამისი სქემის შეთავაზებაც, მაგრამ ამჯერად ეს აუცილებელი არ არის.

სამეტყველო აპარატის ორგანოთა იგივე მდგომარეობები გვექნება ჩვეულებრივი წყნარი **ამოსუნთქვის** შემთხვევაში ცხვირით, ან პირით, ანდა ორივეთი ერთჟამიერად – იმ უმცირესი განსხვავებით, რომ ყოველ კერძო შემთხვევაში ჰაერნაკადის მიმართულება შეიცვლება 180° -ით.

ახლა ვნახოთ, როგორი სურათი გვაქვს ამა თუ იმ ბგერის, მაგალითად, თანხმოვნის არტიკულაციისას (**სქემები №4 და №5**):



სქემა №4. წნევის ქვეშ მყოფი ჩაკეტილი ჰაერიდახშული პირის
(და ცხვირის) ღრუს შემთხვევაში, მაგალითად, ბ თანხმოვნის წარმოთქმის
წინ – მისწარმოსათქმელად მზადყოფნის მომენტში;
აქ ჯერ არ ისმის ბ (არც სხვა რომელიმე ბგერა).



სქემა №5. ფილტვებიდან ამომავალი საფონაციო ჰაერნაკადი განსული პირის (და ცხვირის) ღრუს პირობებში, მაგალითად, ბ თანხმოვნის არტიკულირების მომენტში ბაგეების განსუვის მიმყოლ; აქ უკვე ისმის ბ.

დ-ს წარმოსატქმელად საჭიროა რამდენადმე გასსნილი ბაგეებით პირის ღრუ მოვამზადოთ ისე, რომ წინაენა მჭიდროდ მიეზუინოს ზედა კბილებს და ზედა ალვეოლების (ნუნების) ქვედა კიდეებს; წინაენის წინაკიდე დაშვებუ-ლია ქვედა კბილებთან; ცხვირის ღრუ დასულია ნაქით; აქ ჯერ არ ისმის დ, არც სხვა რომელიმე ბგერა (სქემა №6):



სქემა №6. მზადყოფნა დ-ს წარმოსატქმელად.


მხოლოდ ამის შემდეგ წინაენა მეცსეულად უნდა მოვწყვიტოთ ზედა კბილებს, რათა სრულად წარმოვთქვათ დ (სქემა №7):



სქემა №7. დ წარმოთქმულია. ქვემოთ წარმოდგენილია თანხმოვანი მ (სქემები №8 და №9):



სქემა №8. ბ თანხმოვნის წარმოსატქმელად მზადყოფნის მომენტი ბაგეების განსუვამდე; აქ ჯერ არ ისმის ბ, როგორც ასეთი, მაგრამ შეიძლება ისმოდეს (შეიძლება არც ისმოდეს) მისთვის დამახასიათებელი ე. წ. „ზმუილი“.



სქემა №9. მ თანხმონის წარმოქმნის პროცესი ბაგეების განხშვის მიმყოლ; აქ უკვე ისმის სრული მ

უნდა ითქვას აგრეთვე, რომ მ თანხმონის არტიკულაციისთვის სიტყვის (ან შესიტყვების) აბსოლუტურ დასასრულში (აუსლაუტში) აუცილებელი აღარც არის ბაგეების განხშვა, რის გამოც ბოლო კიდური მ „ცხვირში რჩება“, მაგალითად, სიტყვებში **დედამ, მამამ, ძმამ, დამ** (თუ, რა თქმა უნდა, ადგილი არა აქვს სრული სტილით წარმოთქმას, რასაც შეიძლება ითვალისწინებდეს ესა თუ ის მიზანი ან მიზეზი); ასეთ შემთხვევაში გაქორღდება **სქემა №8**.

მ ლარინგალთანგვაქვს ვითარება (**სქემები №10 და №11**):



სქემა №10. სასუნთქ მილში (ტრაქეაში) წნევის ქვეშ მყოფი ჩაკეტილი ჰაერი დახშული სახმო სიმების შემთხვევაში
მ ლარინგალის წარმოქმნის წინ, ანუ მ-ს წარმოსათქმელად მზადყოფნის მომენტში; აქ ჯერ არ ისმის მ (არც სხვა რომელიმე ბგერა)⁷¹

71 ეს სახმო სიმების ის მდგომარეობაა, რომელსაც **ზ. კაციტაძესთან** ჰქვია „დახურული ყდა დახველების ანდა ზოგიერთი ბგერის წარმოქმნის წინ“ (კაციტაძე, 1986, 557, სურ. 373გ).



სქემა №11. ფილტვებიდან ამომაღალი საფონაციო ჰაერნაკადი განხშული სახმო სიმების შემთხვევაში მ ლარინგალის არტიკულირების მომენტში სახმო სიმების განხშვის მიმყოლ;
აქ უკვე ისმის მ

ამჯერად იქნებ არაფრისმთქმელი ეს სქემებიც და საუბარიც მეტ შინაარსს შეიძენენ შემდგომში, როცა მოვინდომებთ უფრო ახლოს მისვლას სამეტყველო აპარატის მუშაობის პრინციპებთან როგორც ჩვეულებრივი, ისე თავისუფალი ხმოვნების წარმოებისას.

ახლა იმის შესახებ, თუ როგორ გვესმის და რას ნიშნავს **მაგარი** (ანუ **მკვეთრი, ძლიერი, ხშული**) **შემართვა**? როგორ უნდა გავიგოთ აქ სატერმინო მსაზღვრელები **მაგარი** ანდა **ძლიერი**?

იქმნება ხოლმე შთაბეჭდილება, თითქმის მაგარი შემართვა, მაგალითად, სალიტერატურო გერმანულ ენაში (რაკი მას **მაგარი** ჰქვია) გულისხმობდეს ანლაუტის ხმოვნის წარმოთქმას განსაკუთრებული ძალისხმევით: **მაგრად!**

ძლიერი (მაგარი, მკვეთრი, ხშული) შემართვისას, რაც უსათუოდ გულისხმობს მ ლარინგალის არსებობას ხმოვნის შემართვაში, სულაც არ არის საჭირო რაიმე განსხვავებული ძალისა თუ ენერგიის გამოყენება, მიუხედავად იმისა, რომ სემანტიკურად **მაგარი, ძლიერი** პირდაპირ მიმართებაშია „დიდ ძალასთან“ (ქეგლ, 1990, 613–1182): ამ ტიპის არტიკულირება შეიძლება სრულიად მშვიდად, რაიმე განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე, ჩურჩულითაც კი. ამ გაგებით

აქაც გარკვეულწილად პირობითია სატერმინო კომპონენტი **ძლიერი (მაგარი)** შესიტყვებაში **ძლიერი (მაგარი) შემართვა**. არადა როცა გერმანული ენის ქართულენოვან მასწავლებლებს სთხოვენ ხოლმე უფრო თვალსაჩინოდ ახსნან, თუ რას ნიშნავს გერმანულში ანლაუტის ხმოვნის **ძლიერი შემართვა**, ისინიც, არ იშურებენ რა სიბეჯითეს, მთელი ძალითა და ენერგიით წარმოთქვამენ თავკიდურ ხმოვანს მაგალითისათვის მოხმობილ სიტყვაში, თუმცა ეს ძალიან ხშირად ვერ იძლევა რაიმე ისეთს, რასაც შეეძლო გერმანული ანლაუტისეული ხმოვანი განესხვავებინა ქართული (ანდა რუსული) ანლაუტისეული ჩვეულებრივი ხმოვნისგან, გარდა, ვიმეორებთ, იმ ძალადობისა, რასაც ქართული ანლაუტისეული ხმოვანიც შეიძლება „ემსხვერპლოს“.

მაგარი (ძლიერი) შემართვა ნიშნავს ოდენ იმას, რომ ამ დროს, ანუ **ქ-**ს (**’-**ს) არტიკულირებისას, მანამდე დახშული მბგერი იოგები, ანუ მბგერი ფორფიტები (ყია) უნდა განვახშოთ სწორედ ისევე, როგორც განვახშობთ პირს (ტუჩებს) **ბ-**ს არტიკულირებისას, რაც ასევე სრულიად მშვიდად შესრულებადია; ეს არის და ეს. ამიტომ: სჯობდა აქაც **მაგარი (ძლიერი)** შეგვეცვალა სხვა, უფრო კონკრეტული და ზუსტი სემანტიკის შემცველი სიტყვით. რომლით? – ვიფიქროთ. ჩვენი აზრით, დღემდე ხმარებული სატერმინო კომპონენტებიდან ყველაზე უფრო ადეკვატურია **ხშული: ხშული შემართვა**.

აქ ისიც უნდა შეინიშნოს, რომ, მართალია, **ქ-**ს (**’-**ს) არტიკულირებას, მყისიერად განიხშვებიან რა მანამდე მჭიდროდ დახშული მბგერი ფორფიტები, ახლავს ჰაერნაკადის ერთგვარი ამოფრქვევა, მაგრამ, არანაკლებ მყისიერად განიხშობიან რა მანამდე ასევე არანაკლებ „კუმტად“ შეკრული ბაგეები (ტუჩები) **ბ-**ს არტიკულირებისას, ამასაც ახლავს ჰაერნაკადის არანაკლებ ეფექტური ამოფრქვევა, მაგრამ ამის გამო არც **ბ-**ს მიმყოფ ხმოვანზე ვამბობთ, რომ ის ძლიერშემართვიანია, და არც თვით **ბ-**ზე ვამბობთ, რომ ის მისი მიმყოფი ხმოვნის ძლიერ შემართვას წარმოადგენს.

ბოლოს, შეიძლება დავასკვნათ, რომ ამა თუ იმ ბგერის – გნებავთ ხმოვნის, გნებავთ თანხმოვნის – წარმოთქმა უნდა გავაცნობიეროთ არა როგორც ფაქტი, არამედ როგორც აქტი, არა როგორც მარტივი შედეგი, არამედ როგორც გარკვეული პროცესი, რომელიც მიმდინარეობს დროის ამა თუ იმ მონაკვეთში და წარმოადგენს საწყისის, განვითარებისა და დასასრულის ერთობლიობას, დიალექტიკას. მოკლედ, ამა თუ იმ ბგერის (ხმოვნის ანდა თანხმოვნის) არტიკულაცია პირდაპირ კავშირშია დროსთან, ანუ სამეტყვე-

ლო აპარატის ამა თუ იმ ნაწილის მოძრაობასთან (გარდა იმისა, რომ თვით ჰაერნაკადი, რომელიც მერე ხმად და ბგერად გარდაიქმნება, თავისთავად პირდაპირ კავშირშია დროსთან, მოძრაობასთან). ნებისმიერი ბგერის წარმოქმნა (მისი ჩამოყალიბება თავიდან ბოლომდე), ისევე როგორც, მაგალითად, გულის ძგერა, წარმოადგენს ცოცხალ პროცესს, პროცესი კი მოძრაობასთან (დროსთან) არის უსათუო და მუდმივი კავშირში.

იმის გათვალისწინებით, რომ ბგერა (მარცვალი) წარმოადგენს რთულ მოძრაობით (მოტორულ) კომპლექსს, დასახელებული პრობლემა ბუნებრივ კავშირშია სუნთქვასთანაც, არტიკულაციასთანაც, ბგერათწარმოქმნასთანაც, რომელთა კიდევ ერთხელ განხილვის მცდელობასაც ჰქონდა აქ ადგილი.

ამ საკითხების გარკვევა დაგვეხმარება ანლაუტისეულ ხმოვანთა როგორც მაგარი, ისე თავისუფალი შემართვების ახსნაში, რაც, თავის მხრივ, ერთგვარ კავშირში ერთიანდება ხმოვანთა ხასიათსა თუ გენეზისთან.

3. V **ც**, ანუ: რა საერთო აქვს **ქ-**ს ხმოვნებთან?

§1 (16). სქემები ჩვეულებრივი ხმოვნებისთვის, ანუ მინიშნებები მათ შემართვაზე; რა საერთო აქვს **ქ-ს ხმოვნებთან?**

აქ არ შეგვიძლია არ გავიხსენოთ და ამ მსჯელობასთან მიმართებაში არ გავიძეოთ მისთვის ჩვეული მოხდენითა და საოცარი თავმდაბლობით ნათქვამი სიტყვები **მ. მამარდაშვილისა**, მისსავე ერთ ლექციასთან დაკავშირებით: „ჩემი ლაპარაკი სულ მიხვეულ-მოხვეულად მიდის“ (მამარდაშვილი, 1992, 155). დიდი ფილოსოფოსის ეს ნათქვამი მით უფრო ზედგამოჭრილი ხდება ჩვენი მსჯელობისთვის, რაც უფრო ვუახლოვდებით ყველაზე კრიტიკულ მომენტს. და თვითდამშვიდების მიზნით, მოვიშველიებთ იმავე სიტყვების გაგრძელებას, რამდენადმე პერიფრაზირებულს: იქნებ ასეც სჯობდეს – კვლევა და ძიება ხომ ცხოვრებაა, სიცოცხლეა, „სიცოცხლე კი ყოველთვის დაულაგებელია და მით უფრო ცოცხალია, რაც უფრო დაულაგებელი და სპონტანურია“ (მამარდაშვილი, 1992, 155). ამავე ფორმულას გვინდა ამოვაფაროთ ჩვენი ტავტოლოგიებიც, ლირიკული ხვეულებიც.

მთელი ჩვენი ყურადღება გადავიტანოთ სახმო სიმებზე – ყიაზე.

ვცადოთ, ავხსნათ ჩვენ მიერ წარმოებული უშუალო დაკვირვებები ჩვეულებრივი **ა, ე, ი, ო, უ (a, e, i, o, u)** ხმოვნების არტიკულაციაზე. საამისოდ ვთამამდებით მას პერე, რაც ზემოთ წარმოდგენილ სქემებზე მკითხველი უკვე გაეცნო სამეტყველო აპარატის მუშაობის პრინციპს ზოგიერთი თანხმომცნის წარმოებისასაც.

ჩავისუნთქოთ ერთი (ან რამდენიმე) ბგერის არტიკულაციისთვის საკმარისი ჰაერი და მჭიდროდ დავხუროთ ყია (სახმო ქორღები) სწორედ ისე, როგორც გავაკეთებდით **ჟ** ლარინგალის წარმოსათქმელად ანდა ჩაცვინთვის, დახველების, ჭინთვის წინ. ამის შემდეგ ზესადგამი მილი (ხახა-ცხვირ-პირის ღრუები) მოვამზადოთ, მაგალითად, ქართული (გნე-ბავთ, ლათინური და ა. შ.) ჩვეულებრივი **ა (a)** ხმოვნის წარმოსათქმელად (სქემა №12):



სქემა №12. სასუნთქ მილში (ტრაქეაში) წნევის ქვეშ მყოფი ჩაკეტილი ჰაერი დახშული სახმო სიმების შემთხვევაში
ა ხმოვნის წარმოთქმის წინ, ანუ **ა**-ს წარმოსათქმელად მზადყოფნის მომენტში; აქ ჯერ არ ისმის **ა** (არც სხვა რომელიმე ბგერა)

გავიმეოროთ და მივაქციოთ ყურადღება: ზემოთ წარმოდგენილი ანალოგიური სქემებიდან ეს სქემა სახმო სიმების (და ნაქის) სექტორში იდენტურია იმ სქემისა, რომელიც გადმოსცემს **ჟ** ლარინგალის წინასწარმოთქმო მომენტს; დაემატა მხოლოდ ის, რომ ტუჩები და ენა მოვამზადეთ **ა**-ს სათქმელად.

ამის შემდეგ საკმარისია განვახშოთ სახმო ქორღები, ანუ ყია, რომ მივიღებთ ჩვეულებრივ **ა** ხმოვანს:



სქემა №13. ფილტვებიდან ამომავალი საფონაციო ჰაერნაკადი განხშული სახმო სიმების შემთხვევაში **ა** ხმოვნის არტიკულორების მომენტში სახმო სიმების განხშვის მიმყოლ; აქ უკვე ისმის **ა**

სახმო სიმების ეს მდგომარეობა არაფრით არ განსხვავდება იმ მდგომარეობისგან, როცა უკვე გაისმის **ჟ**. განსხვავება მხოლოდ იმაში უნდა დავინახოთ, რომ ზესადგამი მილის კონფიგურაცია გვაქვს სხვაგვარი – სწორედ და მხოლოდ ჩვეულებრივი **ა**-სთვის.

გამოდის, წარმოსათქმელი მომენტები **ჟ**-სა და **ა**-ს ერთნაირი აქვთ ყიაში. წარმოთქმადელი მომენტი კი წარმოადგენს თვით წარმოთქმის მომენტთან მიმდებარე (უშუალოდ მოსაზღვრე) მომენტს და ფაქტობრივად იძლევა („შობს“) წარმოთქმის მომენტს. ჩვეულებრივი **ა**-ს წარმოთქმისას (ანუ ღია პირის მდგომარეობაში) დახშული სიმების განხშვა სხვა არა არის რა, თუ არა ჩვენთვის ცნობილი და მრავალგზის დახასიათებული **ჟ** ლარინგალის

არტიკულაცია: თუკი **ა**-სთვის საჭირო კონფიგურაციიდან ხახა-ცხვირ-პირის ღრუებს გადავიყვანთ **ჟ**-სთვის საჭირო კონფიგურაციაში და ისე განვახმოთ სახმო სიმებს, თავისთავად მივიღებთ უკვე არა **ა**-ს, არამედ **ჟ**-ს და, პირიქით. ისე რომ, **ჟ**-სა და ჩვეულებრივი **ა**-ს არტიკულაცია აბსოლუტურად ერთნაირია სახმო სიმების სექტორში და განსხვავებულია ზესადგამ მიღში. მოკლედ, ჩვეულებრივი **ა** ხმოვნის არტიკულაცია, პირველ რიგში და უსათუოდ, იწყება **ჟ** ლარინგალის არტიკულაციით, ანუ ძლიერი შემართვით: **ა [ჟა]**.

გავიმეოროთ: სახმო ქორდების წინასწარ დახშვისა და მათი შემდგომი განხშვის გარეშე შეუძლებელია როგორც ლარინგალური **ჟ** თანხმოვნის, ისე ჩვეულებრივი **ა** ხმოვნის წარმოთქმა. ბუნებრივია, მხედველობაში გვაქვს განცალკევებული (იზოლირებული) ანდა ანლაუტისეული **ა**.

ე, ი, ო, უ ხმოვნებიც ჩვეულებრივი ხმოვნებია და, მამასადაძე, სახმო ქორდების უბანში მათი არტიკულაცია არაფრით არ უნდა განსხვავდებოდეს **ა** ხმოვნის არტიკულაციისგან. განსხვავება გვექნება მხოლოდ ხახა-ცხვირ-პირის ღრუების კონფიგურაციის თვალსაზრისით. ისე რომ, ამ მსჯელობის თანახმად, ხუთივე ჩვეულებრივი ხმოვნის არტიკულაცია იწყება **ჟ** ლარინგალით, ანუ ძლიერი შემართვით. და – არა მხოლოდ თუშურ ანდა სალიტერატურო გერმანულ ენაში.

ვიმეორობთ კიდევ ერთხელ: სრულიად მართალია **თ. უთურგაიძე**, როცა ბრძანებს, რომ, მაგალითად, თუშური ენის ანლაუტში ხმოვანი მუდამ ძლიერშემართვიანია (უთურგაიძე, 1966, 42), ხოლო აქ გაკეთებული დაკვირვების ბაზაზე, ბოლომდე მართებული არ უნდა იყოს ის ზოგადენათმეცნიერული (ზოგადფონეტიკური) დებულება, რომლის თანახმადაც ქართულ, რომანულ და ა. შ. სალიტერატურო ენებში ანლაუტის ხმოვანი ძლიერშემართვიანი არ არის (ახვლედიანი, 1966, 105); აგრეთვე: ოდენ ძლიერი შემართვა არ არის ის, რასაც ასეთად მიიჩნევენ თვით თუშურ ენაში (უთურგაიძე, 1966, 42), გერმანულ, ზანურ ენებში (ახვლედიანი, 1966, 105), სხვა რომელიმე ენაში.

ამ პარადოქსულ დებულებებს ქვემოთ უფრო უკეთ ჩავწვდებით: გერმანულ, თუშურ, ზანურ ენებში ხმოვანი არ არის ძლიერშემართვიანი იმ შინაარსით, რომელსაც ამ ცნებაში დებს ლინგვისტური ტერმინოლოგია. ამ ენების მეტყველებებში ანლაუტის ხმოვანი ატარებს რამდენადმე სხვა ნიშანთვისებას, თუმცა, დიახ, შეიცავს თავკიდურ **ჟ**-საც, ანუ ძლიერ შემართვასაც.

უბრალო დაკვირვებაც გვარწმუნებს იმაში, რომ ერთი და იგივე ჩვეუ-

ლებრივი ხმოვანი თავისი არტიკულაციის საწყის მომენტში რაღაცით უსათუოდ განსხვავდება იმისდა მიხედვით, იზოლაციაში ანდა ანლაუტშია იგი თუ ინლაუტ-ასულაუტში;

დავაკვრდეთ ჩარჩოებში მოქცეული მონაკვეთების ხმოვნებს:

$$\left(\begin{array}{c} ა \\ ბ \end{array} \right) \begin{array}{c} ლ \\ ლ \end{array} \begin{array}{c} ი \\ ი \end{array} \mid \begin{array}{c} გ \\ გ \end{array} \begin{array}{c} ი \\ ი \end{array} \begin{array}{c} ტ \\ ტ \end{array} \begin{array}{c} ა \\ ა \end{array} \begin{array}{c} მ \\ მ \end{array} \begin{array}{c} ი \\ ი \end{array} \begin{array}{c} ნ \\ ნ \end{array} \begin{array}{c} რ \\ რ \end{array} \begin{array}{c} ა \\ ა \end{array} \mid \left(\begin{array}{c} ა \\ ა \end{array} \right) \begin{array}{c} ი \\ ი \end{array} \begin{array}{c} ა \\ ა \end{array} \begin{array}{c} შ \\ შ \end{array} \begin{array}{c} ე \\ ე \end{array} \begin{array}{c} ლ \\ ლ \end{array} \begin{array}{c} ი \\ ი \end{array}$$

უნდა შევნიშნოთ, რომ ისეთი განსხვავება, როგორც აქ იკვეთება და რომელიც უფრო ნათლად გამოიკვეთება მსჯელობის პროცესში, არა გვაქვს თანხმოვნებთან; შდრ.:

$$\left(\begin{array}{c} რ \\ ბ \end{array} \right) \begin{array}{c} ა \\ ა \end{array} \mid \left(\begin{array}{c} გ \\ თ \end{array} \right) \begin{array}{c} ი \\ გ \end{array} \begin{array}{c} ს \\ ს \end{array} \begin{array}{c} ი \\ ი \end{array} \mid \left(\begin{array}{c} ნ \\ ძ \end{array} \right) \begin{array}{c} ე \\ ე \end{array} \begin{array}{c} ლ \\ ლ \end{array} \begin{array}{c} ი \\ ი \end{array}$$

თუ ეს აკუსტიკური დახასიათება რეალობად შეიძლება ჩაითვალოს, უნდა ვიგულისხმოთ, რომ იგივე დახასიათება გვექნება არტიკულაციურადაც, რადგან აკუსტიკა, ექნა რა არტიკულაციისა, წარმოადგენს იმ ბგერით ტალღას, რომელსაც გარკვეულ პირობებში ყური აიგვივებს მეტყველების (არტიკულირების – ა. ბ.) აქტთან.

და თუ ეს ყველაფერი ასეა ქართულში, ასე უნდა იყოს სხვა ენებშიც⁷². ამასთანავე: ამ თვალსაზრისით, **ა**-სგან არაფრით არ უნდა განსხვავდებოდეს დანარჩენი **ე, ი, ო, უ** ხმოვნების ფონეტიკაც ზოგადად.

თუკი ქართულენოვან (ან თუნდაც სხვაენოვან, აგრეთვე თუშურკილოვან) ცდისპირებს ვუკარნახებთ **-ჟარ, -ცერ, -ჟარ, -ჟორ, -ჟურ** მარცვლებს თუშურენოვანი სიტყვებიდან **ლაჟარ 'ხლომა', ლეჟერ 'სურდა', ხაჟარ 'გაიგო', ხოჟარ 'გაიგებდა', ხოჟურ 'ჩაქეთოდა'**, ყოველგვარი ორჭოფობის გარეშე (თუ გონებრივ ანომალიას ან უყურადღებობას არ ექნება ადგილი) დაწერენ **არ-, ერ-, ორ-, ჟრ- (ar-, er-, ir-, or-, ur-)** მარცვლებს, რაც აბსოლუტურად მართებულიც იქნება და კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს იმაზეც, რომ ანლაუტის ხმოვანი ნებისმიერ ენაში (მეტყველებაში) მაგარშემართვიანია.

ავიღოთ ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული სიდიდეები როგორც მორფოლოგიკურად, ისე სემანტიკურად:

72 შდრ., მაგ., რუს. Витамин (მხ. რ. ნათ. ბრ. ფორმა) – Витамин „А“.

არაარსებითი და არა არსებითი

მეწოფა და მე წოფა⁷³

ვისელი (ანთროპ.) და ვის ელი?

ვარკეთილი (ტოპ.) და ვარ კეთილი და ა.შ.

იმისათვის, რომ მსმენელმა ამ ოპოზიციურ წყვილებში შემაჯალი სიდიდეები აკუსტიკურად განასხვავოს ერთერთისგან, ანუ იმისათვის, რომ ეს განსხვავება მსმენელის ყურამდე მივიტანოთ კონტექსტის გარეშე, ორლექსემიან (მარჯვენა) სიდიდეებში შემაჯალ წევრებს შორის უნდა გაეკეთოთ პაუზა, რაც ხმოვნით დაწყებული მეორე ლექსემის ანლაუტში უსათუოდ მოგვცემს (გამოიწვევს) მაგარ შემართვას; სხვაგვარად აკუსტიკური განსხვავება არ (ვერ) შედგება: **არა არსებითი** (პაუზა აღენიშნოთ მრავალწერტილით) – **არა... წარსებითი, მე წოფა – მე...წოფა, ვის ელი? – ვის...ელი? ვარ კეთილი – ვარ... კეთილი.** ე. ი. შესიტყვებები უნდა წარმოეთქვათ დანაწევრებულად, რასაც ვაღწევთ პაუზით, რომელიც ავლენს ხმოვნის მაგარ შემართვასაც; მდრ.:

არაარსებითი – არა არსებითი

არა[[~]ა]რსებითი – არა[[~]ა]რსებითი

ვისელი – ვის ელი?

ვის[[~]ე]ლი – ვის[[~]ე]ლი?

შესიტყვების მეორე ლექსემის თანხმონით დაწყების შემთხვევაში ერთადერთ განმასხვავებელ (ამოსაცნობ) საშუალებად პაუზა რჩება: **მე წოფა – მე...წოფა, ვარკეთილი – ვარ...კეთილი.**

ზოგადი წარმოდგენიდან გამომდინარე, ასე უნდა იყოს სხვა ენებშიც და ეს ბუნებრივია.

ამგვარადვე გამოიყურება ნებისმიერი ჩვეულებრივი ხმოვანი ინლაუტშიც და აუსლაუტშიც, თუკი იგი სიტყვის დამარცვლისას მარცვლის თავში მოყვება ანდა ცალხმოვნიან მარცვალს გვაძლევს. აქაც იმდენად რეალურია ძლიერი შემართვა, რომ მისი აღმნიშვნელი **ჲ** გრაფემა შეიძლება გამოვიყენოთ დამარცვლის გრაფიკულ საშუალებადაც კი (დუფისის ნაცვ-

73 ფრაგმენტი **არჩილის** ცნობილი მაჯამიდან „შენის რძით გაზრდას...“

ლად): **გვიან (გვიცან), საერთო (საცერ–თო), საიშე (საცერ–მე), ჩაოსდა (ჩაცოს–და), გაუშვი (გაცუშ–ვი), ცუდია (ცუ–დიცა), სდიე (სდიცე)** და ა. შ.⁷⁴ აქ ფაქტობრივად ხმოვნით დაწყებულ თითოეულ მარცვალს წარმოეთქვამთ ისე, თითქმის მას წინ არც ახლდეს სხვა მარცვალი, ანუ არ ახლდეს სიტყვის წინა ნაწილი და მით უფრო მკვეთრად გამოჩნდება **ჲ**, რაც უფრო დიდ პაუზას გაეკეთებთ ხმოვნით დაწყებული მარცვლის წინ.

საბოლოოდ გამოდის, რომ სიტყვის ანლაუტში, აგრეთვე მარცვლის თავში ანდა ცალკე მარცვლის შემთხვევაში ჩვეულებრივ ხმოვანს ვუბრუნებთ იმ ფონეტიკურ (საარტიკულაციო და აკუსტიკურ) სტარტსა თუ სტატუსს, რომელიც უსათუოდ ჰქონდა (აქვს) პირველქმნილ – განცალკევებულ, იზოლირებულ – მდგომარეობაში.

თუმცა: არ უნდა დავგმაცოფილდეთ მსჯელობის ამ დონით.

იმთავითვე მივისწრაფვით იმ აზრისკენ, რომელიც იმთავითვე აქვს ნათქვამი **თ. უთურგაიძეს**: თუშური ენის „ანლაუტში ხმოვანს ყოველთვის წინ უძღვის ლარინგალი **ჲ**“ (უთურგაიძე, 1966, 44)⁷⁵.

მაგრამ: თუკი ასეთი აზრი უკვე ცნობილიც არის და დამკვიდრებულიც, რაღაა საძიებელი?

საქმე ის არის, რომ აქ ჩნდება რიგი პრობლემური საკითხებისა, მით უმეტეს, თუ ეს დებულება ეხება არა მხოლოდ თუშურ ენას.

როგორც უკვე ვთქვით, თუშურ ენას გააჩნია თავისუფალი ხმოვნები, რომლებიც ლინგვისტური კვლევის არეალში ეს-ესაა შემოდიან, რომლებიც სწორედ ანლაუტში ფიგურირებენ (ამოიცნობიან) და რომლებსაც შემართვაში არ უძღვით და არც შეიძლება უძღოდეთ **ჲ** ლარინგალი.

გამოდის, რომ თუშური ენის ანლაუტის ხმოვანი ყოველთვის როდი იწვეება ლარინგალური **ჲ**-თი, ანუ თუშური ენის ანლაუტის ხმოვანი ყოველთვის როდია ძლიერშემართვიანი.

გარდა ამისა, ჩვეულებრივი ბმული მეტყველების დროს, სწორედ ბმულობის წყალობით, რაც მუსიკაში ლეგატოს შეესატყვისება, როცა, როგორც **ჯ. კახიძემ** ბრძანა ერთ-ერთ საეთერო გაკვეთილზე, ვერ უნდა ვიგებდეთ სიმიდან სიმიზე, ბგერიდან ბგერაზე გადასვლას, ვერ ვიგებთ, ვერ ვამჩნევთ

74 ხმოვნით დაწყებული ანდა ცალფა ხმოვნისგან შემდგარი მარცვლის (მარცვლების) არტიკულირება შეიძლება სხვაგვარადაც – მაგარი შემართვის გარეშეც.

75 არ ვაძლევთ მნიშვნელობას არც იმას, ეს **ჲ** ფონემაა აქ, თუ ბგერა და არც იმას, სად ფონემაა და სად ოდენ ბგერა.

სიტყვაში შემავალი ერთი ბგერადან მეორეზე გადასვლას. აქ ლეგატოს (კავ- შირის, ბუფერის, „წებოს“) ფუნქციას ე. წ. გარდამავალი ბგერა ასრულებს. ეს ის ბგერაა, რომელიც ჯერ არ არის მომდევნო ბგერა, მაგრამ აღარც წინამა- ვალი ბგერაა (ახვლედიანი, 1949, 97), ამიტომაც არ აღინიშნება იგი გრაფიკით (ნიშნით, ასოთი). სამაგიეროდ აღინიშნება (შეიძლება აღინიშნოს) ლეგატოთი: **აი ია** – [ა^აი^ა] [ა^აი^ა], **ათი** – [ა^ათ^აი], **კარადა** – [კ^არ^აა^ად^ა] და ა. შ.

გადასვლას ერთი ბგერადან მეორეზე სმენით ცხადად ვიგებთ სტაკა- ტოს შემთხვევაში, რომელიც ამ მხრივ სწორედ ლეგატოს უბრძანებდა. ამ დროს, როგორც კი მოვჩივებთ წინამავალი ბგერის არტიკულაციას, სახმო სიმები უნდა დავახშოთ და მათი ხელახალი განხშვით დავიწყეთ მიმყოლი ბგერის – უსათუოდ ხმოვნის – წარმოთქმა. ეს კი ფონეტიკურად იგივე სიტუაციაა, როცა წარმოვთქვამთ ინტერვოკალური **ც**-ს შემცველ ქართული ენის თუ შორელოვან სიტყვებს (**ბარგანაყობა** *‘ბარბაკი’*, **გამოტოტბარი- კაცება** *‘გამოწბილება’*, **გატიტელაყება** *‘გატიტვლება’*, **დაჯარაყება** *‘დაშწირება’*, **ლოცაყობა** *‘ლოცვა’*, **მუშტაყობა** *‘კრივი’*, **ოყვალაყები** *‘კანჭები’* და ა. შ.). არტიკულაცია აქ, ფონეტიკური თვალსაზრისით, სხვა არაფერია, თუ არა სიტყვის წყვეტა **ც**-სთან, ანუ მისი წარმოთქმა სტაკატო- თი, რაც ნიშნავს მბგერი იოგების ხშვა-განხშვას. მაგრამ ფონეტიკურად ეს ის შემთხვევაა, როცა – ქართულ ენაში – ვმარცვლავთ ხმოვანზე დაწ- ყებული მარცვლების შემცველ სიტყვას ანდა წარმოვთქვამთ ხმოვნებით წარმოდგენილ ინიციალებსა თუ ხმოვნით დაწყებული გვარის თავკიდურს: **ერთიათად** [ცერ-თიყათყად], **ერთადგილიანი** [ცერთყად-გი-ლიყა-ნი], **ა. ი. იაშვილი** [აყაყაყაშვილი] და ა. შ.

მაშ: ხმოვნის იმ ნიშან-თვისებას, რომელსაც **ძლიერი შემართვა** ჰქვია, საე- ნათქმუნო ლიტერატურა შემთხვევით არ უკავშირებს **ც**-სთან ხმოვანს. ეს ფაქტი ერთსა და იმავე დროს ნიშანდობლივად არის და საინტერესოც.

§2 (17). დაკვრევა ფორტუბიანოზე, ანუ: ძლიერი (მაგარი, ხშული, მკვეთრი) შემართვის ცნების განმტკიცებისათვის ჩვეულებრივ ხმოვნებთან მიმართებაში.

რატომ არ გამოიჩინა ხმოვნიდან, რატომ არ ისმის სპეციალური და- კვრევის გარეშე და რატომ არ არის გაცნობიერებული დღემდე იზოლი- რებული ანდა ანლაუტისეული ჩვეულებრივი ხმოვნის ძლიერი შემართვა

– **ც** ლარინგალი, რომელსაც, ფაქტობრივად წარმოადგენს რა ოდენ ჩქამს, თითქმის არაფერი უნდა ჰქონდეს საერთო სუფთა ტონის მქონე ბგერებთან – ხმოვნებთან?

ის უსათუოდ ისმის სპეციალური დაკვრევის გარეშე, მაგრამ: არ გვესმის.

ისმის იმიტომ, რომ უსათუოდ წარმოითქმის.

არ გვესმის იმიტომ, რომ მარტივი საქმე არ არის ცალკეული ბგერის (ბგერების) გამოყოფა რწმული მეტყველებიდან ან თუნდაც ცალკეული სი- ტყევიდან, მით უმეტეს, თუ ასეთი ბგერა (ბგერები) სამეცნიერო ლიტერ- ატურაშიც კი სათანადოდ არ არის კვალიფიციურული: გავისენოთ **ნ. მარის** მიერ თუ შერი ენის ნაზალიზებული ხმოვნების უარყოფის ფაქტი (Mapp, 1922, 7).

აქ საჭიროა შემოვლა საკმაოდ შორიდან: კიდევ ერთხელ – ამჯერად ალბათ საბოლოოდ – მოგვიწევს ძლიერი შემართვის რაობის გახსენება და განმარტება.

ბგერათა უსაშველო მრავალრიცხოვნობის მიუხედავად მსოფლიოს ენ- ებში, გვაქვს ოდენ ლარინგული **ც**, ლარინგალურივე **ჭ** და ნებისმიერი ხმოვანი, რომლებიც იწარმოებიან იქ, სადაც იწარმოება საფონაციო ხმა, ანუ თვით ბგერა – ლარინქში (სახმო ნაპრალში). ყველა დანარჩენი ბგერა, იყენებს რა ლარინქსში წარმოებულ ხმას, მიიღება ლარინქის გარეთ (ზემოთ). ამიტომ არის, რომ ასე მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს **ც** ლარინგალი და ნები- სმიერი ხმოვანი (მათ კორელატებთან ერთად) – მაშინაც კი, როცა საქმე არ ეხება ხმოვანთა შემართვა-დამართვას.

ცნობილია, რომ ხმოვანი შეიძლება იყოს: ან **ძლიერშემართვიანი**, ან **ფშ- ვინეიერშემართვიანი**, ანდა, თუ ამ ორიდან არც ერთი არა გვაქვს, **რბილშე- მართვიანი** ჩვენი ტერმინოლოგიით: **თავისუფალშემართვიანი**. ჩვენ გვაინ- ტერესებს ლარინგალური **ც**, რომელიც იწვევს ხმოვანთა **ძლიერ** შემართვას (წინადასს), ანუ იმას, რაც ხმოვნებს ანიჭებს ჩვეულებრივი ხმოვნების კვალიფიკაციას.

„უშუალო მეზობლობაში მყოფ ფონებთან ერთმანეთზე **მეტ-ნაკლები აუცილებელი გავლენის** არტიკულაციური საფუძველია ბგერათა **შემართვა- დამართვის** ურთიერთობა, სახელდობრ: **წინა ბგერის დამართვისა და მომ- დევნოს შემართვის შეხვედრა** და ამის გამო **მათი შერევა**“ (ახვლედიანი, 1966, 95).

აქ უნდა გავიხსენოთ, რომ შემართვა იგივე ექსკურსიაა, აღმართი, დამართვა კი – რეკურსია, დადმართი. მათ შორის არის მწვერვალი, ანუ დაყოვნება. ეს სამი რამ, სამი მომენტი ცალკეული (განცალკევებული) ბგერის წარმოთქმის მომენტებია. მაშ, როცა ვამბობთ „ძლიერ შემართვას“, ვგულისხმობთ წარმოთქმის „სიძლიერეს“, „ძლიერ“ წარმოთქმას, ოღონდ მის დასაწყისში, ხოლო როცა ვამბობთ „ძლიერ დამართვას“, ვგულისხმობთ აგრეთვე წარმოთქმის „სიძლიერეს“, „ძლიერ“ წარმოთქმას, ოღონდ მის დასასრულში. გამოდის, რომ ახმოვანს ძლიერი დამართვა რომ ჰქონდეს, მისი არტიკულაციის დასასრულში უნდა წარმოითქვას **ჲ: აჲ**. მაგრამ ამ ხმოვნის არტიკულირება რატომ და როგორ უნდა დაგვეწყოს იმაზე უფრო „სუსტად“ („ნელა“, „რბილად“), ვიდრე მისი არტიკულაციის დასასრულია აქ – ძლიერი დამართვის დროს?

წარმოთქმა არის „სამეტყველო ბგერის წარმოება“ (ქეგლ, 1990, 236), ხოლო არტიკულაცია არის „სამეტყველო ორგანოების მიქმედება ან მდგომარეობა ამა თუ იმ ბგერის წარმოთქმისას“ (უსლ, 1989, 55). გამოდის, რომ არტიკულაცია არის სამეტყველო ორგანოების მუშაობა ამა თუ იმ ბგერის წარმოთქმისას და, როცა ძლიერ შემართვასა და ძლიერ დამართვაზეა ლაპარაკი, საქმე გვაქვს სამეტყველო ორგანოების მუშაობის (არტიკულაციის) ინტენსივობასთან, არტიკულაციის ოდენობრივ თუ თვისებრივ დახასიათებასთან. ძლიერი შემართვისას ძლიერია ბგერის თვით არტიკულაცია (ოღონდ მის საწყის მომენტში), ხოლო ძლიერი დამართვისას ძლიერია ბგერის არტიკულაცია (მის სასრულ მომენტში). და ამ „ძლიერი“ არტიკულაციის მაჩვენებელი მის საწყისშიც და სასრულშიც არის **ჲ: ჲ** (თუშურ კილოში)... ხმოვნის მაგარ შემართვას ან დამართვას გამოხატავს“ (ჯღენტი, წიგნში: უთურგაიძე, 1966, 20). ფიზიკის ენით თუ ვილაპარაკებთ, **ჲ** შეიძლება მივიჩნიოთ არტიკულაციის (ბგერის წარმოქმნის) „სიძლიერის“ საზომ სიდიდედ.

როცა არ ვიზიარებთ სატერმინო კომპონენტს „ძლიერი“ (და „მაგარი“), ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ მას უარყვით საერთოდ: აქ მართლაც გვაქვს საქმე ერთგვარ სიძლიერესთან, თუმცა მარტო სიძლიერესთან არა. ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ აქ სატერმინო კომპონენტი „ძლიერი“, ვერ იტევს რა ცნების არსს, საჭიროებს კიდევ უფრო მეტ დაკონკრეტებას თუ დაზუსტებას.

საიდან მოდის წარმოთქმის (საწარმოთქმო) „სიძლიერე“?

წარმოთქმის ძირითადი ელემენტების (ანუ: ცალკეული ფონემების, მათი შეერთებისა და მახვილის) საწარმოებლად „საჭიროა სხეულის იმ ორგანოების სათანადოდ ამოქმედება ან მხოლოდ მონაწილეობა, რომელიც ადამიანს გამოყენებული აქვს თავის მეტყველებაში“ (ახვლედიანი, 1966, 23); „ესენია: **ფილტვები და ღიაფრაგმა** (და მათთან დაკავშირებული კუნთები), **ხორხი, სახმო სიმები**“ და ა. შ. (ახვლედიანი, 1966, 23). მაგრამ **აქტიური ორგანოების** ჩამონათვალში გამოტოვებულია ფილტვები და ღიაფრაგმა, რომელთა გარეშეც ვერ შედგება ვერც ერთი სამეტყველო ბგერის წარმოება, მით უმეტეს, ძლიერშემართვიანისა და, კიდევ უფრო მეტად, ძლიერდამართვიანისა (როცა სამეტყველო აპარატი, ინდიფერენტულ მდგომარეობაში გადასასვლელად ემზადება რა, უკვე მოეშვება).

დაუფიქრებლად ბგერათა **შერევის** (ბგერის გარდამავლობას).

„ყოველ ორ შეერთებულ ბგერას შორის არის **მეტ-ნაკლები ხანგრძლივობის გარდამავლობა იმ შემთხვევაში, თუ მათ აღვიქვამთ როგორც ორ ცალკეულ ბგერას**. მაშასადამე, გარდამავლობა არ ექნება ისეთ ბგერათშერთებას, როგორცაა, მაგ., **ა + ა > აჲ, გ + გ > გჲ, თ + თ > თჲ, თ + ს > ც**“ (ახვლედიანი, 1966, 97).

და სიტყვის წარმოთქმისას, ვკითხულობთ შემდეგ **გ. ახვლედიანთან**, **დ-ს** იმიტომ ვცნობილობთ როგორც ცალკე ბგერას, რომ „მასა და **ა-ს** შუა ოდნავ შესამჩნევ საზღვარსა ვგრძნობთ“; „ეს საზღვარია მათ შორის გარდამავლობა. **დ-ს** არტიკულაცია თანმიყოლებით იცვლება და თანდათანობით გადადის **ა-ს**თვის საჭირო არტიკულაციაში: **დ-ს** განხშვის, გაბობის შემდგომ ხდება ენის ძირის დაშვება, რისთვისაც საჭიროა დრო (მართალია, ძლიერ მცირე); ამასობაში **ბგერადობა** (აქ ხმა) არ შეწყვეტილა; ე. ი. არტიკულაცია არ შეწყვეტილა, ბგერითი ეფექტი არის, მაგრამ **უკვე** აღარ არის **დ**, და **ჯერ** არ არის **ა**. ამ გარდამავლობის მომენტში წარმოებულ ბგერას ეძახიან **გარდამავალ ბგერას**“ (ახვლედიანი, 1966, 97).

და კიდევ: „გარდამავლობის ხანგრძლივობა (ანუ გარდამავალი ბგერის ხანგრძლივობა – ა. ბ.) **შესაძლებელია მეტ-ნაკლები** იყოს **სხვადასხვა ბგერათშერთებისას** და **სხვადასხვა თანმიმდევრობისას**; მაგ., **გდ** კომპლექსში (**გ-ს** და **დ-ს** შუა) მეტია, ვიდრე **დგ-ში**; **აი** კომპლექსში მეტია, ვიდრე **აე-ში** და ა. შ.“ (ახვლედიანი, 1966, 97).

„მეტყველებაში გარდამავალი ბგერა ყურადღებას არ იქცევს, რადგანაც

მოცემულ ენაში მას არა აქვს სოციალური ღირებულება, იგი არ წარმოადგენს ფონემას; ამიტომ, რომ მწერლობიან ენაში მას გრაფიკული ნიშანი (ასო) არ მოეპოვება“ (ახვლედიანი, 1966, 97). თუმცა შეიძლება თურმე, რომ გარდამავალი ბგერა ერთ ენაში არ წარმოადგენს ფონემას, მეორეში კი წარმოადგენდეს. მაგალითად, „ის ბგერა, რომელიც ქართული მეტყველებისთვის გარდამავალია და ამიტომ ფონემას არ წარმოადგენს, ფრანგულში ფონემად ევლინება ფრანგულად მეტყველს“ (ახვლედიანი, 1966, 98).

რა შეიძლება მოგვცეს ყოველივე ზემოთ თქმულმა?

ჯერ ერთი, უსათუოდ გვიხდება მთლიანის (არა მხოლოდ სიტყვის, არამედ თვით ბგერის) ხელოვნურად დანაწილება – „წარმოთქმულის შესწავლის გასაადვილებლად“ (ახვლედიანი, 1966, 94).

გარდა ამისა, ანლაუტისეული (ანდა ცალკე წარმოთქმული) სადა, ანუ ჩვეულებრივი ხმოვნის შემთხვევაში (არა მხოლოდ თუშურ ენაში) საქმე გვაქვს ბგერების შერევისთან: წინამდებელი **ბ** ბგერა **ორგანულად** არის შერეული მიმდებარე ხმოვანში, იმდენად ორგანულად, რომ მათ შორის გარდამავლობა მინიმალურია (არც კია), რის გამოც **ბ**-სა და თვით ხმოვანს აღვიქვამთ როგორც ერთ მთლიანს (შდრ: **თ + ს > ც**): **ბ + ა > ა [ბა]**. ანუ **ბ**-სა და მის მიმყოფ ხმოვანს შორის „ოდნაე შესამჩნევ“ საზღვარსაც კი ვერა ვგრძნობთ: იმდენად მყისია **ბ** ბგერა და იმდენად ძლიერად ეხეთქება სახმო სიმებს ფილტვებიდან ამონადენი ჰაერნაკადის პირველივე ტალღა, რომ წარმოთქმა ხდება მყისიერად. **ბ**-ს არტიკულაცია თანმიყოლებით კი არ იცვლება და თანდათანობით კი არ გადადის მიმდებარე ხმოვნის არტიკულაციაში, არამედ ხდება მყისიერად: ხმის ქორდების გაბობისთანავე, რასაც სჭირდება უსაშველოდ მცირე დრო, ხდება მიმდებარე ხმოვნის „ამოფრქვევაც“. **ბ**-ს მიმყოფი ხმოვნის წარმოთქმისას დიდი ხანია აღარ არის **ბ**, არც გარდამავლობისთვის რჩება დრო და ადგილი: ქორდების განხშვის თანმდევი ჩქარისთანავე „ეთერში გადის“ თვით ხმოვანი. გავიმეოროთ: გარდამავლობის ხანგრძლივობა მეტ-ნაკლებია სხვადასხვა ბგერათა შეერთებისას: ასეთი ხანგრძლივობა გაცილებით მეტია კომპლექსში **დ + ა** და უსაშველოდ მცირეა კომპლექსში **ბ + ა**. და რაც, ჩვენი აზრით, ფრიად ყურადსაღები ფაქტორია: **დ + ა** ფორმულაში **დ**-ს იოლად ვცნობილობთ, რადგან ყველას მეტ-ნაკლებად კარგად გვესმის არა მხოლოდ მისი ფონეტიკური, არამედ თვით ფონოლოგიური (სოციალური) ღირებულება, **ბ** კი ამ შემთხვევაში, ოდენ ხმოვნის თან-

მყოფი ფონეტიკური, არაფონოლოგიური ელემენტია რა, უმრავლესობისთვის უცნობი და ამიტომ „არარსებული“ სიდიდეა.

იმას, რასაც **ნ. კლიმოვი** გვთავაზობს გერმანულ ფონეტიკაში საფარჯიშოდ (КЛИМОВ, 1978, 57), მკითხველს შევთავაზებთ ჩვეულებრივი ხმოვნების შემართვის წარმოთქმაში წვდომისათვის: რამდენჯერმე ძლიერად დავახველოთ; სახმო ქორდების დაჭიმულობას იმ მომენტში მივაქციოთ ყურადღება, როცა ჰაერი ჯერ კიდევ არ ამოისროლება პირიდან, მაგრამ უკვე იკუმშება გულმკერდში (სასუნქ მილში, ანუ ტრაქეაში – ა. ბ.): ამ დროს მბგერი იოგები მჭიდროდაა დახშული და დაჭიმული იმისათვის, რათა მომდევნო მომენტში მკვეთრად განიხშვნენ. როგორც კი სახმო სიმები განიხშობიან, თუკი პირ-ბაგე წინასწარ გვექნება მომზადებული ნებისმიერი ხმოვნისთვის საჭირო კონფიგურაციაში, უსათუოდ მივიღებთ შესატყვის ჩვეულებრივ ხმოვანს.

საყურადღებოა აგრეთვე მეთოდური მითითებები, რომლებსაც იძლევიან გერმანულენოვანი სამეტყველო ტექნიკის დაუფლებისათვის და რომლებიც ასევე გამოგვადგებოდა ჩვეულებრივი ხმოვნების არტიკულაციის არსში წვდომისათვის. კერძოდ, შენიშნავენ, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საფარჯიშოებს (ვარჯიშებს) სუნთქვითი ბიძგების საწარმოებლად, რომლებიც სტაკატოს დინამიკის საფუძველს წარმოადგენენ.

მეტ-ნაკლებია, ითქვას, გარდამავლობის ხანგრძლივობა ბგერათა სხვადასხვა თანმიმდევრობისას: გაცილებით მეტია (ხანგრძლივია) ასეთი გარდამავლობა, როცა **ბ** დგას ხმოვნის შემდეგ, მაგალითად აუსლუტში; ამასთანავე, ხმოვანი ხმოვანია და მას გაცილებით ხანგრძლივი (სტატიკური) ვიბრაცია სჭირდება სახმო სიმებისა. აქ, თვით ხმოვანსა და **ბ**-ს შორის, გაცილებით მეტია სტატიკა, ვიდრე დინამიკა, რის შედეგადაც ხდება **ბ**-ს „გამორიყვა“ ობოლი მარგალიტით. ამიტომ არის **ბ** უფრო აშკარად აღქმადი აუსლაუტში, ვიდრე ანლაუტში. თუკი ავიღებთ **აჲ აი, შეხედე!** სიდიდეს (სადაც, ზოგადი ფონეტიკის მიხედვით ძლიერია დამართვა, ჩვენი მსჯელობის თანახმად კი ძლიერია შემართვაც – [ბაჲ]), უნდა ითქვას, რომ დრო და მანძილი შემართვასა და ხმოვნის მწვერვალს (ანუ დაყოვნებას) შორის უმცირესია, მწვერვალთან ძლიერ დამართვამდე კი – გაცილებით მეტი: ყველაფერს რომ თავი ვანებოთ, მწვერვალი, ხშულ-მსკდომი **ბ**-სგან განსხვავებით, შეგვიძლია რამდენადმე გაგრძელებულადაც წარმოვთქვათ.

ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ვერც ქართულ, ვერც ფრანგულ, ვერც რუსულ და ა. შ. მეტყველებების (და ვერც თვით თუშური ენის) ანლაუტში ეს შემართვისეული **ჟ** ყურადღებას ვერ იქცევს იმიტომ, რომ მას სოციალური (ფონემური) ღირებულება არ გააჩნია (ასეთი ღირებულება მას მიეცემა შერე, როცა ანლაუტისეულ ჩვეულებრივ ხმოვნებს შევადარებთ თუშური ენის ანლაუტისეულ თავისუფალ ხმოვნებს). მაგრამ იქ, სადაც ეს ბგერა ფონემურ (სოციალურ) დატვირთვას იძენს, მაგალითად, თუშური ენის ინლაუტსა და აუსლაუტში, ის იმდენად ცნობადია, რომ მიჩენილი აქვს მისი აღმნიშვნელი გრაფიკული ნიშანი.

ვიძიებთ: რაკი ქართულ, რუსულ, ფრანგულ და ა.შ. ენებში **ჟ** არსად არ ფიგურირებს, არათუ არ მახვილდება – არც კი იღვიძებს რამენაირი ყურადღება მისდამი და რჩება შეუმჩნეველი, მით უმეტეს, რომ ანლაუტის შემთხვევაში ასევე შეუმჩნეველია (ყოველ შემთხვევაში სადავოა) იგი თვით თუშური ენისთვისაც კი.

მაშ: ანლაუტის ანდა იზოლირებულად წარმოთქმული ჩვეულებრივი ხმოვნის საწყისში **ჟ** ლარინგალი არ გვესმის იმიტომ, რომ თითქმის ერთჟამიერად ხდება ამ **ჟ**-ს და მისი შეძცველი ხმოვნის წარმოქმნა თუ წარმოთქმა. აქ ხმოვანი და მისი საწყისი **ჟ**, როგორც ამას **გ. ახვლედიანი** ამბობს სხვა შემთხვევასთან დაკავშირებით, განუყოფლადაა შერწყმული და შეუიარაღებულ ყურს (სმენას) არ ძალუძს მათი ცალ-ცალკე აღქმა სწორედ ისევე, როგორც გარკვეული ცოდნისა და საკმაო გამოცდილების, დაკვირვების უნარისა და ჩვევების გარეშე გვიჭირს სრულიად უბრალო რამ: ორგანიზმისგან დამოუკიდებლად წარმოვიდგინოთ და წარმოვადგინოთ ჩვენი საკუთარი ცალკეული კიდურები, ძელები, კუნთები, სისხლძარღვები და ა. შ., რადგან ჩვენს ორგანიზმს (სხეულს), ჩვეულებრივ ვხედავთ და აღვიქვამთ ერთ მთლიანობად. მაგრამ საკმარისია კარგად დავათვალიეროთ ანატომიის რომელიმე სახელმძღვანელო ანდა ალბომი მხატვრებისთვის (მაგ., Барчай, 1959), რომ გარკვეულწილად შევძლებთ უკვე ადამიანის სხეულის დანაწევრებულად დახატვას თუ არა, წარმოდგენას მაინც.

მოკლედ, თუ ადამიანი „არაა დახელოვნებული წარმოთქმული ნაკადის... ბგერებად დაშლაში“, ის სიტყვას „ვერ დაშლის ფონემებად“ (ახვლედიანი, 1966, 113) და, მით უმეტეს, ვერ დაშლის ბგერას მის შემადგენელ კომპონენტებად (ელემენტებად). მართლაც: ერთობ განვითარებული რუსისტიკის პი-

რობებშიც კი, თვით რუსულენოვანი მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას სერიოზულად უჭირს იმის გაცნობიერება, რომ, მაგალითად, რუსული ენის **я, е, ё, ю** ხმოვანი სიდიდეები შედგება **й (j)** თანხმოვანი და, შესაბამისად, **а, э, о, у** ხმოვანი კომპონენტებისგან⁷⁶.

სუნთქვითი პროცესების თავისებურებებიდან გამომდინარე, ჩანს, თავად შემართვა ბგერისა, მით უმეტეს, ანლაუტში, უფრო ენერგიული და მყისიერია, ვიდრე დავუშვათ, დამართვა. ამ ენერგიულ მყისიერებაში ხდება არტიკულაციის „შემჭიდროებული“ ფორმირება. დამართვისკენ სამეტყველო ჰაერნაკადი სუსტდება და არტიკულაცია „გაიშვიათებულია“. ამიტომაც არის, რომ ხმოვნის მომყოლი **ჟ** ბგერა, ანუ ჩქამი, რომელიც ამ შემთხვევაში **ძლიერ დამართვად** იწოდება, ხმოვნის „დაღლილი“ არტიკულაციის ფონზე უფრო გამოკვეთილად, აშკარად ისმის და არცთუ ძნელია მისი გამოცალკევება შეუიარაღებელი სმენით.

ჟ-ს გამოყოფა ამა თუ იმ ენის ანლაუტისეული ხმოვნებიდან მით უფრო ძნელია იმისთვის, ვისი მშობლიური ენისთვისაც ეს ბგერა დამახასიათებელი (ცნობილი) არ არის საერთოდ და ამიტომ ფიქრდაც არ მოიუფა მისი არსებობა აქ, მით უმეტეს, ფონოლოგიური დატვირთვის არქონის პირობებში.

როცა ვლადიკავობთ ანლაუტის ხმოვანთა შემართვაში (და, მასთანადავე, შემადგენლობაში) **ჟ**-ს არსებობაზე, უმეტესად ვგულისხმობთ არა ამ ხმოვანთა ფონოლოგიურ, არამედ მათ ფონეტიკურ მხარეს: ამ შემთხვევაში და ძირითადად გვაინტერესებს ბგერა როგორც ფიზიკური და არა როგორც სოციალური ღირებულება თუ მოვლენა.

თუმცა სამეტყველო ბგერები განსაკუთრებული და განუმეორებელი ბგერებია, მაგრამ ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ბგერა, სამეტყველო ბგერაც „ბუნების შვილია“ და ნუ მოვერიდებით მის შედარებას ბუნების სხვა რომელიმე ბგერასთან (ხმასთან), სხვა რომელიმე მოცემულობასთან.

მუსიკალური ბგერების წარმოქმნა შესაბამის ინსტრუმენტებზე ძალიან გვაგონებს სამეტყველო ბგერების წარმოქმნას. მაგალითად, მუსიკალური ბგერის მისაღებად ფორტეპიანოზე საჭიროა და საკმარისიც რომელიმე სიმს მოხვდეს ჩაქუჩი, რათა აათრთოლოს (რხევით მდგომარეობაში მოიყვანოს) იგი. რით არა ჰგავს ეს სამეტყველო ბგერის წარმოქმნას: საფონაციო ჰაერნაკადი (ჩაქუჩი) ეჯახება სახმო სიმებს და არხევს მათ.

76 აქ **й (j)** ეკვივალენტურია ქართულ-თუშური **ჟ**-სი.

მაგრამ ჩაქუჩის დარტყმამ, **პირველ რიგში და უსათუოდ**, უნდა გამოიწვიოს (შეას) არა მუსიკალური (სუფთა) ბგერა, როგორც ასეთი, არამედ თვით დარტყმის ხმა, ანუ **ხმაური, ჩქამი**. სხვაგვარად წარმოდგენილი კია: ამ ორი საგნის – ჩაქუჩისა და სიმის – ერთმანეთზე ჯახებით ჯერ წარმოიშობა ჯახების, შეხლის ხმა (ხმაური, ჩქამი), მერეღა სხვა რამ, ამ შემთხვევაში – მუსიკალური ბგერა. სხვაგვარად სად უნდა წასულიყო ჯახების ფაქტორი? ამაში იოლად დაფრწმუნდებით, თუკი ძველ, მწყობრიდან გამოსულ ფორტეპიანოზე დავეუკრათ ანდა წინასწარ მოვაწყობთ ისე, რომ სიმი არ აჟღერდეს (მაგ., მივადოთ რაიმე საგანი): ამ დროს გავიგონებთ არა მუსიკალურ ბგერას, არამედ ჩაქუჩის ტკაპანს (ტკაპატკუპს) სიმებზე. მეტყველებაში ამ ტკაპანის ეკვივალენტურია ჩურჩული. ტკაპანი წამის რაღაც მეასედებში უსათუოდ უსწრებს ფორტეპიანოს მიერ გამოცემულ (გამოსაცემ) მუსიკალურ ბგერას. მაგრამ იმდენად სწრაფად ხდება ჩაქუჩის დარტყმაც და მოცილება და იმდენად მკლეჩი და ინტენსიურია ფორტეპიანოს სიმის (სიმების) მუსიკალური ბგერა ჩვეულებრივი დაკვრის დროს, რომ ყური ვერ ასწრებს ჩაქუჩის დარტყმის / დარტყმების (ხმის, ხმაურის, ჩქამის, ტკაპანის) აღქმას და მოსმენის ნაწილში დომინირებს სუფთა, მუსიკალური ხმა.

ეს ყველაფერი, თავის მხრივ, გვაგონებს კინოფილმში აღბეჭდილი ცალკეული უძრავი (სტატიკური) კადრების აღქმას ეკრანზე უწყვეტად (*legato*), ბმულად მოძრავ (დინამიკურ) ფორმაში: ჩვენ ვერ ვასწრებთ ცალკეული უძრავი კადრების დანახვას ცალ-ცალკე. ამის კიდევ უფრო თვალსაჩინო მაგალითია მულტფილმი.

თუშკა ამ შემთხვევაში სუფთა ტონალობასთან საქმე არა გვაქვს, მაგრამ მაინც ანალოგიური რამ ხდება, მაგალითად, თოფის გასროლისას, როცა არ შეიძლება ჯერ ჩქამი არ გამოიღოს (არ გააჩინოს) ჩახმახის⁷⁷ ნემსის მოხვედრამ ვაზნაში ჩამაგრებულ კატუსულაზე. მაგრამ ეს ჩქამი, მყისვე იკარგება („იძირება“) აფეთქებული ვაზნის გაჭექების ფონზე და არ ისმის. თუშკა ასეთ ჩქამს – ჩხლაკუნს – გავიგონებთ, თუ ამავე მოქმედებას შევასრულებთ უკვე გასროლილი ვაზნით.

ვფიქრობთ, იგივე რამ ხდება ჩვეულებრივი ხმოვნების წარმოთქმისას: ჩვენ ვერ ვასწრებთ იმ პირველი დარტყმით წარმოქმნილი ჩქამის – **ქ** ლარინგალის – აღქმას (გაგონებას), რომელიც უსათუოდ ჩნდება (უნდა ჩნდებოდეს) დახშული სახმო სიმების მყისიერად განხშვისას, თუშკა ამ ჩქამს

⁷⁷ ცეცხლსასროლი შექანიხმის დამცემი ნაწილი.

აშკარად ვიგებთ (გვესმის), თუკი ჩვეულებრივ ხმოვნებს წარმოვთქვამთ ჩურჩულით: **ა, ე, ი, ო, უ**.

კენესის დროს, როცა პირს არ ვხსნით იმდენად, რამდენადაც ჩვეულებრივი ხმოვნების წარმოთქმას სჭირდება, თავისთავად და ბუნებრივად „მიშვლდება“ (თავისუფლდება ხმისგან და ცალკე გამოიკვეთება) **ქ** ბგერა, რომელიც, როგორც ვამბობთ, ამ ხმოვნების წარმოთქმასაც უსათუოდ ახლავს. ამ დროს ეს **ქ**, ანუ კენესა (კენესისებრი ჩქამი) გაძლიერებულია მომღვეწო ფარინგალური **ჭ**-თიც, რის შედეგადაც მიიღება: **ქჭ, ქჭ, ქჭ...** გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ დროს – კენესისას, როგორც წესი, რბილი სასა ნაქითურთ იმდენად ინდიფერენტულ მდგომარეობაშია, რომ, ძირს ეშვება რა, თითქმის კეტავს პირის ღრუს და ჰაერნაკადი ორიენტაციას იღებს ცხვირის ღრუსკენ, რის გამოც კენესა ნაზალიზებულიცაა: **ქწ, ქწ, ქწ, ქწ**. მაგრამ თუკი სასას რამდენადმე გავააქტიურებთ და ენა-პირსაც მივცემთ ნებისმიერი ჩვეულებრივი ხმოვნისთვის საჭირო კონფიგურაციას, ორ ლარინგალს შორის (**ქ**-სა და **ჭ**-ს შორის) უსათუოდ გაჩნდება ენა-პირის კონფიგურაციის შესატყვისი ხმოვანიც: **ცაჭ, ცეჭ, ციჭ, ცოჭ, ცუჭ** (ჩვეულებრივი გრაფიკით: **აჭ, ეჭ, იჭ, ოჭ, უჭ**). თუკი აქედან „გამოვასახლებთ“ კენესის **ჭ** ლემენტს, ვიღებთ: **ცა, ცე, ცი, ცო, ცუ** ანუ (ჩვეულებრივი გრაფიკით: **ა, ე, ი, ო, უ**).

ძლიერი შემართვის შემთხვევაში თვით ძლიერი შემართვისა (კენესისებრი ჩქამის, ანუ სშულ-მსკდომი **ქ** ლარინგალისა) და ხმოვნის არტიკულირება (რომელთაგან ორივე მოსდევს მანამდე დახშული სახმო ქორდების განხშვას) პრაქტიკულად ხდება ერთად, ერთბაშად, ერთჟამიერად, ძლიერი დამართვის დროს კი – არა. ძლიერი დამართვისას თვით ხმოვნისა და ძლიერი დამართვის არტიკულირებებს შორის ადგილი აქვს სერიოზულ, არსებით მოვლენას – ლალანს, რომლის ხანგრძლივობაც სხვადასხვა ოდენობისა შეიძლება იყოს და ფაქტობრივად ხმოვანი თითქმის არტიკულირდება ცალკე, მისივე ძლიერი დამართვა კი – ცალკე.

ამიტომ ხდება, რომ ხმოვნის ძლიერ დამართვას ვაცნობიერებთ უზრობლემოდ, მის ძლიერ შემართვას კი – ვერა. ხმოვნის ძლიერი შემართვა რომ გავაცნობიეროთ, საჭიროა განსაკუთრებული დაკვირვება, ძალისხმევა, რათა მოვახერხოთ შემართვის გამოცალკევება მისი შემცველი ხმოვიდან.

მართალია, **ქ**-ს არტიკულირებისას წარმოიქმნება საკმაოდ ძლიერი ჩქამი, მაგრამ, მაინც ოდენ ჩქამია რა, სუფთა ტონის – ხმოვნის – საწარმოთქმო

„იერიშის“ (ანუ შეპართვის) სიტუაციაში ის „იძრება“ ხმოვნის ბგერით, ტონურ არსში.

ანლაუტისეული ანდა იზოლორებული ჩვეულებრივი ხმოვნის საწყისი **ჟ** ელემენტის არტიკულაცია შეიძლება შევადაროთ აფრენას, ხოლო **ჟ**-ს მიმყოლი ნაწილის, ანუ მწვერვალის (თვით ხმოვნის) არტიკულაცია – ფრენას; სხვანაირად: **ჟ** – ეს არის ფორტეპიანოს სიმზე ჩაქუჩის მოხვედრა, დარტყმა, მწვერვალი კი (თვით ხმოვანი) – ის მუსიკალური ბგერა, რომელიც ამ მოხვედრას (დარტყმას) მოსდევს და ფარავს.

სწორედ აქ ეგების მოშვებება კიდევ ერთხელ **თ. უთურგაძის** მოსაზრებისა, რომელიც ასევე დაადასტურებს აქ წარმოებულ მსჯელობას: კონფიგურაციულად (სამეტყველო ორგანოების განლაგების მიხედვით ერთმანეთის მიმართ – ა. ბ.) **ჟ** თანხმოვანი „მომდევნო ან წინმდგომ ხმოვანს ჰგავს“ (უთურგაძე, 1966, 21).

თუკი ვიხელომდევანელებთ ხმოვნებისა და თანხმოვნების განდასების (და, მაშასადამე, დაბრუნების) სადღეისოდ მიღებული წესებით, **თ. უთურგაძის** ეს ნათქვამი აშკარად პარადოქსულია: რატომ უნდა ემსგავსებოდეს თანხმოვანი ხმოვანს ანდა პირიქით? თუმცა სწორედ ეს პარადოქსი მიგვიყვანს ლოგიკურ შედეგამდე, ოღონდ არა **ამ**, არამედ **სხვა** მხრიდან: რაკი პარადოქსზე საუბარი, **თ. უთურგაძის** ეს თეზა შეიძლება შევატრიოლოთ მთელი 180 გრადუსით – **მომდევნო ან წინმდგომი ხმოვანი ჰგავს ჟ თანხმოვანს**. ეს კი იგივეა, რაც **თ. უთურგაძემაც** თქვა და რასაც ჩვენც ვამბობთ: ყველა ანლაუტისეული ხმოვანი მაგარშემართვიანია თუშურ ენაში. დასანანია მხოლოდ, რომ ეს ბრწყინვალე დებულება **ჟ**-სა და მიმდებარე ხმოვნის მსგავსების თაობაზე, რომელსაც ქვემოთ ალბათ კვლავაც მოვიშველიებთ, **თ. უთურგაძემ** ოდენ თუშური **ჟ**-სთვის შეიმუშავა.

გრაფიკა ყოველთვის და ბოლომდე როდი ასახავს ენებში ფონეტიკურ ან ფონოლოგიურ სინამდვილეს (რასაც თავისი მიზეზები აქვს): არაბული დამწერლობა, მაგალითად, კონსონტანტური ასოითი დამწერლობაა – 28 ასოდან 28-ვე თანხმოვანს აღნიშნავს, თუმცა არაბულსავე მეტყველებაში ხმოვნები ისევე ფიგურირებენ, როგორც სხვა ენებში.

თუკი რუსულენოვანი გრაფიკა **я, е, ё, ю** ხმოვნებში იმთავითვე აღნიშნავდა თავიდაური **j**-ს არსებობას და დაიწერებოდა, დაეშვათ, ასე **ja, ja, jo, jy**, მაშინ არც მოგვიწევდა სიტყვის ჩამოგდება რაიმე სიმძლევებზე გრაფიკულ

და ფონეტიკურ განსხვავებებთან დაკავშირებით აქ, რუსულ ენაში, ისევე როგორც არაფერი გვეჩვენებოდა საძიებელი, თუკი იმთავითვე გრაფიკულად იქნებოდა აღნიშნული ჩვეულებრივი ხმოვნის შემაღეწელობაში შემაღალი თავიდაური **ჟ**, თუმცა, **j**-სგან განსხვავებით, **ჟ**-ს ბერჯერ ფონოლოგიური წონა არა აქვს. არსებული გრაფიკული რეალობიდან გამომდინარე კი ერთობ ძნელია დაარწმუნო მკითხველი (ან მსმენელი) ასეთი **ჟ**-ს არსებობაში აქ. ჩვენ ვხედავთ და ვაღიარებთ ამ სიმძლევს, თუმცა მით უფრო საინტერესოა ძიება. გარდა ამისა, ეს თეორიული მსჯელობა, რა თქმა უნდა, უსათუოდ უნდა დაადასტუროს ექსპერიმენტულმა ფონეტიკამ, რომელზეც დიდ იმედებს ვამყარებთ.

§3 (18). V ⊂ ჟ და ზოგიერთი სხვა რამ.

ჩვეულებრივი ხმოვნების ანალიზი ჩვენთვის თვითმიზანი არ ყოფილა და არ არის: ეს ანალიზი, პირველ რიგში, გვჭირდებოდა და გვჭირდება მათთან შედარების გზით დახასიათება მიეცეს ჩვენ მიერ თუშურ ენაში გამოვლენილ თავისუფალ ხმოვნებს და შედეგის სახით დადასტურდეს ამ უკანასკნელთა არსებობა აქ. თუმცა: ანალიზმა აჩვენა, რომ სწორედ თავისუფალი ხმოვნების არსში ჩახედვის მცდელობამ გახადა შესაძლებელიც და აუცილებელიც თვით ჩვეულებრივი ხმოვნების დანახვა თუ წარმოჩენა რამდენადმე განსხვავებული რაკურსით, კერძოდ, **ჟ** ლარინგალის (ძლიერი შეპართვის) დადასტურება მათი არტიკულაციის საწყის მომენტში – არა მარტო თუშური ენისთვის, არამედ ენებისთვის საერთოდ. ყოველივე ამას კი უსათუოდ გავყავართ ხმოვნებიდან თანხმოვნებამდე მიმავალ ძველსა და გრძელ გზაზეც.

კარგი იქნება, კიდევ ერთხელ გაკეთდეს ჩვეულებრივი ხმოვნების ექსპერტიზა (ანალიზი ლინგვაპარატურით) – ახლა უკვე თავისუფალ ხმოვნებთან მიმართებაში, მაგრამ თუკი გაეითვალისწინებთ იმას, რომ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, შიზოფონიის, განსაკუთრებით კი დისტანციური გემინირებული ოკლუზიის თეორიული დადასტურება ისედაც თვალნათელს ხდის ბევრ რამეს, ლინგვაპარატურაზე მუშაობის გადადება შეიძლება სხვა, უკეთესი დროისთვისაც.

ამჯერად კი მივუბრუნდეთ თეორიულ მსჯელობას, რათა მოვიძიოთ პა-

სუხი კითხვაზე: არის თუ არა საარტიკულაციო წინალობა სწორედ და მხოლოდ თანხმობანთა თანმდევი ფაქტორი?

აქ მოგვიწევს მივმართოთ ლინგვისტურ მეცნიერებაში შემუშავებულ ლოგიკას, რომლის მიხედვითაც ერთ ფონეტიკურ სიდიდეს მოსდევს მეორე ფონეტიკური სიდიდე, ანუ ერთი ფონეტიკური რაობა იწვევს (влечёт за собой) მეორე ფონეტიკურ რაობას (Белошапкова, ..., 1981, 33–35). გამონათქვამები „იწვევს“, „მოსდევს“ მიუთითებენ ელემენტების კავშირზე და არა მათ თანმიმდევრობაზე (რიგზე): შეიძლება, მაგალითად, მომდევნო ელემენტმა გამოიწვიოს წინამდებელი ელემენტი, ანუ შეიძლება მომდევნო ელემენტმა შეასწინაშალოს ელემენტი. ამა თუ იმ ფონეტიკური ელემენტის არსებობა განაპირობებს მეორე ფონეტიკური ელემენტის გაჩენას და, მაშასადამე, არსებობას რიგითი თანმიმდევრობის მიუხედავად.

თვალსაჩინოებისთვის მოვიშველიოთ მაგალითი რუსული ენიდან. აქ რბილი [ტ']-ს წინ მდგომი ც უსათუოდ უნდა იყოს (არის) ასევე რბილი: [ც'ტ']. სხვანაირად რომ ვთქვათ, რუსული ორთოეპია გამოორიცხავს [ცტ'] თანაბგერადობას, [ც'ტ'] თანაბგერადობას კი ნორმად მიიჩნევს; ანუ: [ტ']-ს სილბო უსათუოდ იწვევს მისი წინამდებელი ც-ს სილბოს. მაშ, ც-ს სილბო ფასდება არა როგორც მისი დამოუკიდებელი არსებითი თვისება თუ ხარისხი, არამედ როგორც მომდევნო რბილი [ტ']-ს ჩრდილი, რომელიც ეცემა წინამდებელ თანხმობას (Белошапкова, 1981, 34). სხვანაირად: თუ [ტ'] = **A**, ხოლო [ც'] = **B**, მაშინ **A** $\subset$ **B**, რაც იკითხება ასე: **A** იწვევს **B**-ს (ანუ $\subset$ სიმბოლო უნდა წავიკითხოთ როგორც „იწვევს“). ამიტომაც: КОСТЬ 'ძეალო' სიტყვის სწორი წაკითხვა არის არა **ко[ცტ']**, არამედ **ко[ც'ტ']**.⁷⁸ ასევეა винтик 'ჭანჭიკი', зонтик 'ქოლგა' ტიპის ლექსემების შემთხვევაში: **ви[ნ'ტ']ик**, **зо[ნ'т']ик**.⁷⁹

თუკი ანლაუტისეულ ანდა განცალკევებულ ჩვეულებრივ ხმოვანს აღვნიშნავთ **V**-თი (ლათ. *Vocalis*), მაშინ თუშური ენას (და არა მარტო თუშურს) შეიძლება მივუსადაგოთ დამოკიდებულება (ფორმულა) **V** $\subset$ **ც**, რაც ნიშნავს: ანლაუტისეული ანდა განცალკევებული ჩვეულებრივი ხმოვნის გაჩენა ან არსებობა თავისთავად, ბუნებრივად იწვევს მისი შემართვისეული **ც** ლარინგალის გაჩენას ან არსებობას. ამიტომ ვამბობთ: ამ სისტემაში – სისტემაში **ცV** – ლარინგალი **ც** არ წარმოადგენს

78 აქ **Т** რბილია **Б**-ს კანონზომიერი მოთხოვნით.

79 აქ **Т** რბილია **И**-ს კანონზომიერი მოთხოვნით.

განსაკუთრებულ (დამოუკიდებელი არსებითი თვისებებისა თუ ხარისხის მქონე) სიდიდეს; იგი არის **V** სიდიდის განუყოფელი ნაწილი – მისი ჩრდილი. ლარინგალი **ც** ამ შემთხვევაში **V**-სთან ერთად ქმნის ერთ ფონეტიკურ მთლიანობას, ერთიანობას, ლიგას: **ცV** (**ცV**).

სხვანაირად: თუ **V** ფონეტიკური რაობა სიტყვაში ჩნდება ისე, რომ მასთან ერთად ყოველთვის (უსათუოდ) ჩნდება **ც**-ც (ან ყოველთვის **V**-წინ, ან ყოველთვის **V**-ს მიმყოფ), მაშინ **ც** ოდენ ჩრდილია **V** სიდიდისა და ის, როგორც დამოუკიდებელი მოცემულობა, ანგარიშში არ შედის. მაშასადამე, **ც**-ს დამოუკიდებლობა ანდა მისი დამოკიდებულება განსაზღვრება სხვა მოცემულობით – **V**-თი, შეთავსების უნარით **V**-ს მხრიდან. თუ, **ცV**-სთან ერთად, გვხვდება, მაგალითად, უსათუოდ შეთავსებები **მV**, **მV** და ა. შ., მაშინ **ც** დამოუკიდებელი სიდიდეა. მაგრამ თუ, **ცV** უსათუოდ შეთავსებასთან ერთად, არ გვხვდება **მV**, **მV** და ა. შ. უსათუოდ შეთავსებები, მაშინ **ც** არ არის დამოუკიდებელი სიდიდე.

თუშური ენის არც ანლაუტში, არც იზოლაციაში **ცV** უსათუოდ შეთავსებებთან ერთად (პარალელურად) არ გვხვდება **მV**, **მV** და ა. შ. უსათუოდ შეთავსებები. მაშასადამე, **ცV** შეთავსებაში **ც** უსათუოდ დამოკიდებული სიდიდეა. ის გამოწვეულია **V**-ს არსებობით ან გაჩენით ანლაუტში (ანდა იზოლირებულად, განცალკევებით). ამიტომაც არა აქვს მას საკუთარი ფონემურობა აქ.

როგორც არაერთხელ ითქვა, ვერც მოსაუბრენი და ვერც მსმენელები, როგორც წესი, ვერ ამჩნევენ, რომ აბი სიტყვის ანლაუტში წარმოითქმის და ისმის **ც** – [ცაბი], თუმცა შედარებით უკეთ არჩევენ, რომ არა **ც** სიტყვის ბოლოში წარმოითქმის **ც** თუ არა, რაღაც ამდაგვარი; ამის მიზეზი ხმოვნის მიმართ **ც**-ს პრე- და პოსტვოწიური მდგომარეობებია. თუმცა: ენათმეცნიერება სწავლობს არა მოსაუბრეთა თუ მსმენელთა ენობრივ ცნობიერებას, არამედ თვით ენას როგორც ობიექტურ საზოგადოებრივ მოცემულობას (Белошапкова, 1981, 35).

ენაში მოქმედებს კანონი: თუ **A** $\subset$ **B**, მაშინ **B** არ წარმოადგენს განსაკუთრებულ, ცალკეულ სიდიდეს (ერთეულს); სიდიდეა (ერთეულთა) ერთობლიობებს, რომელთაც ახასიათებთ ასეთი დამოკიდებულებები, ეწოდება **სისტემები**; ნიშნეი (ნიშნადი) სიდიდეები ყოველთვის ქმნიან სისტემას, ე. ი. ისინი ექვემდებარებიან მითითებულ კანონს; სისტემას ქმნიან ფონეტიკური სიდიდეებიც, რადგან ისინი ენის სიდიდეები, ანუ ერთეულებია. ამ კანონს ეძლევა დიდი მნიშვნელობა ფონეტიკური სისტემის სხვადასხვა მხარეთა განსაზღვრისას: ამ კანონის საფუძველზე რეკევა, თუ როგორია თითოეული ბგერის დამოუკიდებელი, სისტემურად

ნიშნადი (системно значимые) თვისებები, როგორია ენის ბგერითი შემადგენლობა (რამდენია მასში ხმოვანი ან თანხმოვანი – დამოუკიდებელი ფონეტიკური ერთეული), როგორ შეთავსდებიან ქმნიან ისინი, როგორ ენაცვლედიან ისინი ერთმანეთს (Белошапкина, 1981, 35).

წარმოებული მსჯელობისთვის ჩამოვყალიბებთ სამუშაო დებულებას: ანლაუტში (ანდა განცალკევებით) ჩვეულებრივი ხმოვნებიდან ნებისმიერი ჩნდება იქ და იმ მომენტში, სადაც და რომელ მომენტშიც შეუძლია გაჩენა ხმოვნის საწყის ლარინგალურ **ქ**-ს.

იზოლორებული (ანდა ანლაუტის) ხმოვნების წარმოთქმის საწყის მომენტში საფონაციო გზა (და, მაშ, ხმაც) ისევეა ჩაკეტილი, როგორც, მაგალითად, თანამედროვე ქართული ენის **გ**. **ყ** ანდა ძველქართული **ჭ** თანხმოვნების წარმოთქმისას, იმ განსხვავებით, რომ **გ**-ს შემთხვევაში ჩაკეტვა ხდება რამდენადმე ზემოთ (ბაგეებისკენ), **ყ**-ს შემთხვევაში – რამდენადმე ქვემოთ (ხორხისკენ), ხოლო ხმოვნების შემთხვევაში – თვით ხორხში სახმო იოგებში. თუკი, ხშულობის თვალსაზრისით, მარტივ ხშულთა რიგს ავიღებთ ხმოვნებთან მიმართებაში, საარტიკულაციო ვერტიკალზე მივიღებთ⁸⁰:

პირის ბაგეები	ბ ფ ზ
დანარჩენი საწარმოთქმო ტოპოსები	დ თ ტ ბ ქ კ გ ყ
სახმო ბაგეები	ჩ ა[ჭა], ე[ცე], ი [ცი], ო [ცო], უ [ცუ]

ქვედა კიდე გახლავთ სამეტყველო ტრაქტის უკიდურესი სიღრმის წერტილი, რომელიც კი შეიძლება ჩაერთოს ჩვენთვის ცნობილი ენების ამა თუ იმ ბგერის წარმოებაში (არტიკულაციაში)⁸¹.

80 ვთვლით რა, რომ ისინი არ წარმოადგენენ ხშულებს ამ სიტყვის აბსოლუტური გაგებით (რადგან მათი არტიკულირების გარკვეულ პერიოდში სრულიად თავისუფლად ხდება საფონაციო ჰაერის გადინება ცხვირის ღრუში, რაც ცალკე საუბრის თემაა), აქ არ შეგვაქვს **ძ** და **წ** თანხმოვნები.

81 ამავე სიღრმისაა თანამედროვე ქართული **ჰ**-ც, ოღონდ მისი წარმოთქმისას, აქ წარმოდგენილ სიდიდეთაგან განსხვავებით, ჰაერი (ხმა) არ იკეტება, სამეტყველო გზა იმთავითვე ხსნილია.

მეტყველების დანაწევრება ინლაუტისეული **ქ**-თი ამ მეტყველების ექსპრესიულობაზე მიგვითითებს. ჩვეულებრივ, მშვიდ საუბარში ფრაზას **მე არა მწამს** ქართველი ასე იტყვის: **მე არა მწამს**, ანუ **მეარამწამს**. მაგრამ ექსპრესიის შემთხვევაში, მაგალითად, აღლევების, დაჟინების, ნათქვამისათვის ხაზგასმის საჭიროებისას იგივე პირი ამავე ფრაზას იტყვის ასე: **მე ცარამწამს**, ანუ **მეცარამწამს**. ლინგვისტური ფსიქოლოგიის სხვადასხვა ექსპრესიულ დონეებზე უნდა მიუთითებდეს ის, რომ გერმანელი იტყვის ენერგიულად, უფრო ცეცხლოვნად, მეტი შემართებით (შემართვით), ჯახებით – **Kul'r'o]rt**, რუსი კი იტყვის აშკარად ნაკლები ენერგიულობით, მდოფრედ, რაიმე შემართების (შემართვის), ჯახების გარეშე – **ky[p'o]pt** 'კურორტი'. რუსული ენის ანალოგიურადგვა ქართულ ენაშიც – **კულ[რ'ო]რტი**. სამაგიეროდ ასეთი შემართება (შემართვა) შენარჩუნებული აქვს ანლაუტის ჩვეულებრივ ხმოვანს ნებისმიერ ენაში. თუმცა ერთმანეთის ფარდი არ არის ის, რომ ნებისმიერი ენის ანლაუტისეულ ხმოვანს მაგარშემართვიანად ვაცნობიერებთ, და ის, რასაც **მაგარი შემართვა** ჰქვია, მაგალითად, გერმანულ ენაში, მაგრამ **ქ**-ს, როგორც ასეთის, არსებობა აქაც და იქაც უკვე მიგვანიშნებს ექსპრესიის გარკვეულ კოეფიციენტზე ორივე შემთხვევაში.

მაშ: ანლაუტისეული ანდა იზოლორებული ჩვეულებრივი ხმოვნისთვის თანმყოფი აუცილებლობაა საწყისი **ქ**. ანუ: ჩვეულებრივი ხმოვნების არტიკულაციის საწყისი ანლაუტსა და იზოლაციაში მკაცრად განსაზღვრულია: ეს არის დახშული სახმო სიძების განხშვა.

სახმო ქორდების ხშვა-განხშვა, ანუ **ქ**-ს არსებობა ხმოვნის ძლიერი შემართვის ანდა მისი ძლიერი დამართვის სახით უნდა გცნოთ მანამ, სანამ ის მოცემული ხმოვნის, როგორც ფონემის, შემადგენლობაშია, განუყოფელია მისგან და წევრია **V ⊂ ქ** ფორმულისა. მაგრამ როგორც კი ეს **ქ** აქ – ანლაუტში – გავა ხმოვნის შემადგენლობიდან და შეიძენს საკუთარ, დამოუკიდებელ ფონემურ (სოციალურ) დატვირთვას, მას ისევე ვერ ვუწოდებთ ხმოვნის ძლიერ შემართვა-დამართვას, როგორც ვერ ვუწოდებთ შემართვა-დამართვას ხმოვნის წინამავალ ანდა მიმყოფ სხვა რომელიმე თანხმოვანს: **ბ**-ს, **გ**-ს, **დ**-ს...

ახლა კიდევ ერთხელ მოგვიწევს ანლაუტის ჩვეულებრივი ხმოვნის შემოწმება, უმთავრესად არა თუშური ენაში (აქაც, რა თქმა უნდა), არამედ სხვაგან, სადაც, თუშური ენისგან განსხვავებით, დღეისთვის არ არის ვაც-

ნობიერებული ძლიერი შემართვის არსებობა. საამისოდ საჭიროა (და საკმარისიც) ამ ენებში დაიძებნოს თუნდაც თითო სიტყვა ძლიერდამართვიანი ხმოვნით აუსლაუტში, რათა, ნებისმიერი ჩვეულებრივი ხმოვნის არსებობის შემთხვევაში მომდევნო სიტყვის ანლაუტში მოხერხდეს ამ ორი ხმოვნის ზედიზედ მიყვანა რწყული მეტყველების პირობებში. თუ, სულ ცოტა, აღმოჩნდება, რომ აუსლაუტის ძლიერდამართვიანი ხმოვნისა და მომდევნო სიტყვის ანლაუტის ჩვეულებრივი ხმოვნის ზედიზედ მისვლით ყალიბდება ისეთი ფონეტიკური მოვლენა, რომელიც ლინგვისტიკაში **ოკლუზიის** სახელითაა ცნობილი, მაშინ თავისთავად დადგინდება, რომ ანლაუტის ჩვეულებრივი ხმოვანი ძლიერშემართვიანია. **ოკლუზიის** ფაქტი, ამ უბრალო აკუსტიკური დაკვირვებით გამოვლენილი, დაგვიდასტურებს ანლაუტის ხმოვნის ძლიერშემართვიანობას ნებისმიერ ენაში. თუმცა ნუ შემოვიფარგლებით ოდენ ოკლუზიით.

მოკლედ, ხმოვნის დაწერილობას თავკიდური **ქ**-თი თუშური ენისა თუ თუშური კილოს ანლაუტში შეიძლება მიეცეს ისეთივე შეფასება, როგორც **ნიკ. ტრუბეცკოი** მისცა თავის დროზე **პ. უსლარის**, **ა. ღირსას** თუ **ლ. ჟიროვის** მიერ შემოთავაზებულ დაწერილობებს: აქ ადგილი აქვს ისეთი განსაკუთრებული თანმდევი თანხმოვანი ბგერის არსებობას, რომლის სპეციფიკური საკუთარი ტონიც თითქოსდა გვევლინება სუფთა სახით; ამ თანმდევ ბგერას დამკვირვებელი ზოგჯერ მიიჩნევს დამოუკიდებელ ბგერად და აიგივებს ფონემასთან, აღიქვამს და წარმოადგენს, როგორც თანხმოვან ფონემას, მიმდებარე ხმოვანთან ერთად კი – როგორც ორი ფონემის ჯამს (*Трубейкой*, 1987, 290–291). ასე მივიღეთ, როგორც **ნიკ. ტრუბეცკოი** იტყოდა ასეთ შემთხვევაში, უცნაური დაწერილობები თუშურენოვან **ცაგ**, **ცაბალუ**, **ცელანე**, **ცილიკე**, **ცახრობ** და თუშურკილოვან **ცანგერ**, **ცანგენე**, **ცუნხლ**, **ცეომ**, **ცოცოფ** ლექსებში.

ამიტომ: თუმცა **ქ^V** (ანუ **ცა**, **ცე**, **ცი**, **ცო**, **ცუ**) დაწერილობა სინამდვილეში, მისი არსიდან გამომდინარე, შეესაბამება **ქ[∨]** (ანუ **ც[∨]ა**, **ც[∨]ე**, **ც[∨]ი**, **ც[∨]ო**, **ც[∨]უ**) რეალობას, მაგრამ, რაკი, აქ წარმოებული მსჯელობის თანახმად, თანხმოვანი, მათ შორის თვით **ქ**-ც, მის მიმყოფ ხმოვანს ისე ედაც ყოველთვის ბუნებრივად უკავშირდება რწყულად (ლივით) და ასეთი კავშირი აქ გამონაკლისი არ არის, გრაფიკული სიმარტივის მიზნით, გამოვიყენოთ დაწერილობა ლეგატოს გარეშე: **ქ^V**. ასეთი შეთანხმებით არაფერი

გაფუჭდება. აღნიშნულის საშუალებას ისიც იძლევა, რომ აქ ეს **ქ** არ არის დამოუკიდებელი ფონემა, ანუ სოციალური (დისტინქტური) სიდიდე.

აულებელ ციხე-სიმაგრედ იქცევა ხოლმე **ქ** ლარინგალი – იმდენად მკვიდრად არის ჩაკერული ანლაუტის ხმოვნის შემართვაში და სწორედ ამ სიმტკიცით იცავს თავის ოდინდელ სოციალურ თავისთავადობას.

თუმცა: როგორც კი ანლაუტის ხმოვნის წინ ჩნდება ესა თუ ის ბგერა, რითაც ანლაუტის ხმოვანი აღმოჩნდება ინლაუტში (ანდა აუსლაუტში), ეს ლარინგალი ისეთივე ეფემერული სისწრაფით ქრება, როგორც პირველი თრთვილი, რომელიც უმაღლესი კრიტიკა ხოლმე მიწიდან მზის პირველსავე სხივებზე.

§4 (19). ამ თავიდან მიღებული შედეგები.

ამ ეტაპზე – ინტუიციისა თუ აქ წარმოდგენილი ინტერპრეტაციის საფუძველზე – თავს უფლებას ვაძლევთ გავაკეთოთ შეძლებისდაგვარი დასკვნები:

1. თუშური ენის **ა**, **ე**, **ი**, **ო**, **უ** (წინამდებარე ანალიზის მიხედვით – **ცა**, **ცე**, **ცი**, **ცო**, **ცუ**) ხმოვნები იმ **ა**, **ე**, **ი**, **ო**, **უ** ხმოვნების შესატყვისი ხმოვნებია, რომელთა ფონეტიკაც სხვადასხვა ენაში ერთნაირია (ან თითქმის ერთნაირია), მათი შემართვის თვალსაზრისით. მათი კორელატებისგან განსხვავებით, ეს ხმოვნები სრულიად გასაგები და ჩვეულებრივია სრულიად განსხვავებული ენების მატარებელთათვის. ამიტომ უწოდებენ მათ **ჩვეულებრივ (ძირითად, მარტივ)** ხმოვნებს.

2. იმ საყურადღებო ფაქტის გათვალისწინებით, რომ ხმოვნის წარმოქმნაში მონაწილეობენ (და ქმნიან რეზონატორის გარკვეულ ფორმას) „პირის კუთხეები (ტუჩების მომრგვალება-გასწვრივობა), ენის ზურგი (წინა-უკანობა) და პირის საფუძველი (ზედა-ქვედაობა), ხოლო პირისეული თანხმოვნის წარმოქმნისას მოქმედებაშია შესაბამისად ერთ-ერთი სამ ორგანოთაგანი (ქვედა ტუჩი, წინაენა, უკანაენა), დანარჩენი ორი კი ნეიტრალურ მდგომარეობაში იმყოფება“ (ახვლედიანი, 1949, 389), ღიას, მართლაც დაძლევალია ის სიმწიფე, რომელსაც „ჰქმნიდნენ ბგერათა კლასიფიცირებისას ნაპრალოვანი თანხმოვნები“ (ახვლედიანი, 1949, 389), თუმცა – არა მთლიანად და ბოლომდე, მით უმეტეს, თუკი ვაღიარებთ ხმოვანთა მაგარ შემართვას ენებში საერთოდ (ზოგიერთ ენაში მაინც), რაც აბათილებს ხოვნების სტატიკურობას. ნებისმიერი სამეტყველო ბგერის – როგორც თანხმოვნის, ისე ხმოვნის – წარმოქმნისას უსათუოდ აქვს ადგილი საარტიკულაციო წინააღ-

მდეგობას (წინააღმდეგობებს). ხმოვნებისთვის ეს წინაღობა უმთავრესად აიგება ყიაში (სახმო მორჩებში), თანხმოვნებისთვის – სამეტყველო ტრაქტის ამ და სხვა ადგილებში. ისე რომ, ჩვენ არ შეგვიძლია ხმოვნებისა და თანხმოვნების განსხვავება (განდასება) არც სამეტყველო წინაღობათა ქონა-არქონის ნიშნით, არც სტატიკურობა-დინამიკურობის ნიშნით.

არტიკულაციის თვალსაზრისით, რაც ამ გამოკვლევისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, ხმოვნებსა და თანხმოვნებს შორის არსებული განსხვავება (განსხვავებები) სამეცნიერო ლიტერატურაში ასახულია ასეთნაირად (Чикобава, 1953, 150-151; სქემა ჩვენია – ა. ბ.):

	ხმოვნების არტიკულაციისას	თანხმოვნების არტიკულაციისას
1.	ჰაერნაკადს არ ხვდება წინაღობა	ჰაერნაკადს ხვდება წინაღობა
2.	სამეტყველო აპარატის დაჭიმულობა თანაბარია	დაჭიმულობა ყველგან მეტია წინააღმდეგობის გადალახვის მომენტში
3.	ჰაერნაკადი სუსტია	ჰაერნაკადი გაცილებით ძლიერია
4.	სამეტყველო ორგანოები უცვლელ მდგომარეობაშია (ამიტომ ხმოვნები სტატიკურია)	სამეტყველო ორგანოები მოძრაობაშია (ამიტომ თანხმოვნები დინამიკურია)

სამეტყველო ბგერებისთვის დამახასიათებელი ამ ოთხი ნიშნიდან ჩვენთვის მთავარია პირველი: ხვდება თუ არა წინააღმდეგობა საფონაციო ჰაერნაკადს? დანარჩენი სამი ნიშანი დამოკიდებულია პირველზე, კერძოდ, წინააღმდეგობის არსებობასა თუ არარსებობაზე დამოკიდებული ისიც, თუ როგორი იქნება სამეტყველო აპარატის დაჭიმულობა (რაც უფრო ძლიერი იქნება წინაღობა, მით უფრო მეტი იქნება დაჭიმულობა), ისიც, თუ რა სიძლიერისა იქნება ჰაერნაკადი (რაც უფრო ძლიერი იქნება წინაღობა, მით უფრო ძლიერად გამოხეიქს ჰაერნაკადი წინაღობის გარღვევის მომენტში) და ისიც, თუ რა მდგომარეობაში აღმოჩნდებიან სამეტყველო ორგანოები – უცვლელში თუ მოძრაეში (თუკი წინაღობა არსებობს, მისი გადალახვა წარმოუდგენილია რამენაირი მოძრაობის გარეშე: თვით სიტყვა **გადალახვა** უსათუაოდ მოძრაობას ითვალისწინებს). ამიტომ: თუკი გავიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ ანლაუტსა და იზოლაციაში ჩვეულებრივი ხმოვნის შემართვა

ხშვა-განხშვას ითვალისწინებს, მაშინ ამ განმასხვავებელი ნიშნებიდან არც ერთისთვის აღარ რჩება ადგილი, ანუ, სხვანაირად, განსხვავება თანხმოვნებისა და ხმოვნებისა ამ ნიშნებით რეალობას ხელს არ აძლევს.

თუმცა კიდევ ერთხელ დავახსოვტოთ ერთი დეტალიც: ანლაუტისეული ხმოვნების არტიკულაციისას საარტიკულაციო ტრაქტის ლარინქსის ზემოთა მონაკვეთში წინაღობა, როგორც ასეთი, მართლაც არ არის, მაგრამ წინაღობა არის (და ერთობ სერიოზული) თვით ლარინქსში. ეს წინაღობა ხვდება იმ საფონაციო ჰაერს, რომელმაც, ტრაქტის გავლით მოედინება რა ფილტვებიდან, უსათუოდ უნდა გაიაროს სახმო ბაგეებში, ისევე როგორც გადის, დაფუშვით, კბილ-ბაგის მონაკვეთში.

3. ჩვეულებრივი ხმოვნების აქ წარმოდგენილი ანალიზის შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ: ხმოვნების წარმოსათქმელად ისევე იხშებიან და განიხშებიან სახმო ბაგეები (იოგები), როგორც, მაგალითად, **ბ, ფ, ჰ** თანხმოვნების წარმოსათქმელად იხშებიან და განიხშებიან პირის ბაგეები (ტუჩები). ორივე შემთხვევაში – როგორც **ბ, ფ, ჰ** თანხმოვნების, ისე ანლაუტის ხმოვნების არტიკულაციისას – ტუჩებისა თუ სახმო ბაგეების განხშვას მოსდევს ის, რასაც ზოგადი ფონეტიკა **ლაღანს** უწოდებს. განსხვავება ისაა მხოლოდ, რომ, ჯერ ერთი, საქმე გვაქვს ორგვარი ბაგეების ხშვა-განხშვასთან და, მეორე, ის, რაც შეუძლებელია პირველ შემთხვევაში (**ბ, ფ, ჰ** თანხმოვნებთან), მაგრამ შესაძლებელია მეორე შემთხვევაში (ხმოვნებთან): ძლიერა, ანუ ლაღანის გაგრძელება. მხოლოდ აქედან – ლაღანის გაგრძელების შესაძლებლობიდან – შეიძლება დავიწყოთ ლაპარაკი ხმოვანთა სტატიკურობაზე, რადგან მანამდე, ისევე როგორც **ბ, ფ, ჰ** თანხმოვნების შემთხვევაში, სახეზე გვაქვს დინამიკა.

სტატიკაზე, როგორც ასეთზე (სტატიკაზე თავიდან ბოლომდე), შეიძლება ბოდა გველაპარაკა იმ შემთხვევაში, თუკი ჩვეულებრივი ხმოვანი თავისუფალი იქნებოდა იმ ძლიერი შემართვისგან, რომლის მიზეზითაც ჩნდება დინამიკა. სწორედ ხმოვნის შემართვაში არსებული **ქ** ლარინგალია ერთ-ერთი (თუმცა არა ერთადერთი) მიზეზი იმისა, რომ დღემდე ასე თუ ისე გაჭირდა ხმოვნებისა და თანხმოვნების მკაცრი გამოჯენა.

4. მართალია, უსაშველოდ ბეჭდი მოგვიწია ერთსა და იმავეზე საუბარი, მაგრამ ერთხელ, კიდევ უფრო დეტალურად და შეძლებისდაგვარად მწყობრად უნდა დავახასიათოთ **ქ** მისი მიმართების თვალსაზრისით ხმოვნებთან.

5. **ქ**-ს საწარმოებლად საჭიროა:

1) ჩავისუთქოთ ერთი (ან ორი) ბგერის არტიკულაციისთვის საჭირო (და საკმარისი) ჰაერი;

2) მჭიდროდ მოვხუროთ ყია (სახმო ქორდები) და ამით მცირე ხნით ჩავკეტოთ ფილტვებიდან მონადენი ჰაერნაკადი იმის მსგავსად, როცა წყალში ვყვინთავთ;

3) ბაგეები (ტუჩები) ოდნავ გაეხსნათ;

4) ენა განვათავსოთ თითქმის თავისუფლად;

5) მყისიერად (ოღონდ სრულიად მშვიდად) გაეხსნათ სახმო ნაპრალი (ყია) და მანამდე სასულეში (სასუნთქ მილში) წნევის ქვეშ მყოფი ჰაერი „ამოვის-როლოთ“ მასში – ყიაში, ოღონდ ეს ქმედება აღვჭურვოთ ხმით (ღაღანი);

6) სწორედ ამ მეყში წარმოიქმნება სუსტი კენესა – მჟღერი თანხმოვანი ბგერა, **ლარინგალად** წოდებული **ქ**;

7) იმავე მეყში (იმავე წამს) ხმა უნდა „მოვწყვიტოთ“, „ჩავაქროთ“, რათა **ქ** დარჩეს სუფთა და „არ დაჰკრას“ რომელიმე ხმოვნის იერმა, არ დაეშვას სოს რომელიმე ხმოვანს;

8) თუ **ქ**-ს არტიკულაციის ბოლო მომენტისთვის პირ-ბაგე როგორღაც მიიღებს ნიბისმიერი ენის ნებისმიერი ხმოვნისთვის შესაფერის კონფიგურაციას (თვით არაციონალური ხმოვნისთვის დამახასიათებელსაც კი) და თუ ღროზე არ „ჩავაქრობთ“ ხმას (ღაღანს), უსათუოდ გაფორმდება მოცემული კონფიგურაციის ადეკვატური ხმოვანი (თუნდაც არაციონალური);

9) **ქ** არის ისეთი არტიკულაციურ-აკუსტიკური სამეტყველო მოცემულობა, რომელიც ძლიერი შეშართვის სახით ჩნდება ნებისმიერი ენის ნებისმიერი ანლაუტისეული (ანდა იზოლორებული) ხმოვნის წარმოქმნის საწყის მეყში;

10) წარმოთქმის საწყისი მომენტი (შეშართვა) ანლაუტშიც და იზოლაციაშიც ერთნაირი გვაქვს როგორც ჩვეულებრივ ხმოვნებთან, ასე მათ კორელატებთან. ამიტომ: ის, რასაც შეშართვაზე ვლაპარაკობთ ჩვეულებრივ ხმოვნებთან მიმართებაში, ერთნაირად ვრცელდება მათ კორელატებზეც, გარდა თუშური ენის თავისუფალი ხმოვნებისა, რომლებზეც სერიოზული საუბარი ჯერ არ შეძგარა.

[ცა], [ცე], [ცი], [ცო], [ცუ] ბგერათა კომპლექსები, რომლებიც ჩვეულებრივ ხმოვნებს შეადგენენ, ქმნიან ერთიან არტიკულაციურ სიფრცეს ერთი შეშართვით, ერთი დაყოვნებითა და ერთი დამართვით. აკუსტიკური ფაქტორიც აქ ასევე ერთიანია. სწორედ ეს ამნელებს **ქ**-ს შემჩნევასა და ცალკე

გამოყოფას, ანუ იმას, რასაც **ხმოვანთა შიზოფონიას** ვუწოდებთ.

იმდენად მყისიერია ბოლოკიდური (ასევე იზოლორებული) **ქ** ბგერა, რომ, როგორც კი მოხდება ქორდების განხშვა და სასუნთქ მილში დაგუბებული ჰაერის ამოფრქვევა, ელვისებურად ხდება ქორდების მოშვება და სამეტყველო აპარატის გადართვა სასუნთქ რეჟიმზე.

კიდევ უფრო მყისიერია ანლაუტის ხმოვნის დასაწყისში განთავსებული ანდა (დამარცვლისას) ხმოვანზე დაწყებული მარცვლის თავკიდური **ქ**, რადგან აქ მას უმაღლე ფარავს თვით ხმოვნის არტიკულაცია (ღაღანი) და კარგავს საკუთარ აღქმადობას.

თავი III.
კონკრეტული ჩვეულებრივი ხმოვნები
კონკრეტულ მატყველებში

1. ხმოვნების შიზოფონია თუშურ ენაში

§1 (20). შესავალი: რა იგულისხმება შიზოფონიაში?

ახლა, როცა, ჩვეულებრივი ხმოვნების არტიკულაციის საწყის მომენტში ლარინგალური **ქ**-ს (მაგარი შემართვის) არსებობასთან დაკავშირებით, ასე თუ ისე გამოვთქვით თეორიული მოსაზრებები, ვცადოთ უფრო ზედმიწევნით განვამტკიცოთ ისინი – ასევე თეორიულ დონეზე.

სახმო სიმებში წარმოებული ერთგვარი კვანძისებრი ჩქამი **ქ** ლარინგალის სახით, რომელსაც ჩვენ ვვარაუდობთ ანლაუტისეული თუ განმარტოებული ჩვეულებრივი ხმოვნის შემართვაში, მჭიდროდ (უმოკლესი გზით) ერთვის, ერწყმის თვით ხმოვანს, იმაზე უფრო მჭიდროდ (და იმაზე უფრო უმოკლესი გზით), ვიდრე, როგორც **გ. ახვლედიანი** შენიშნავს (ახვლედიანი, 1966, 104), ამას ადგილი აქვს ფიზიკური შემართვის დროს. არტიკულაციური მოცულობის თვალსაზრისით, აქ **ქ** იმდენად მცისიერი და, მაშასადამე, უმნიშვნელო და თითქმის შეუმჩნეველია, რომ, იოლად და მკვეთრად ერწყმის რა ხმოვანს – გაცილებით მეტი საარტიკულაციო მოცულობის მქონე სიდიდეს – და თითქმის ხდება რა ამ **ქ**-ს აბსორბცია ხმოვნის მიერ, ჭირს მისი ამოცნობაც, გამოყოფაც. ხმოვნის მიმყოფ კი ეს გაცილებით იოლია, რადგან მასა და თვით ხმოვანს შორის ფუნქციონირებს ამ ხმოვნის არტიკულაციის სულ ცოტა ერთი ეტაპი მაინც – შეყოვნება, რაც თავისთავად გამოაცალკეებს, „გამორიყავს“ **ქ**-ს. ამიტომ: შემართვისეული **ქ**-ს გამოსავლენად (გამოსაცალკევებლად) მივმართოთ გარკვეულ ქმედებებს – სიტუაციის შესწავლის მიზნით.

მეტი სიზუსტისათვის საქმეს მივუდგეთ რამდენიმეხარად. აქ გამოყენებული თითოეული მიდგომა თითო არგუმენტი იქნება იმის დასადასტურებლად, რომ ანლაუტის ანდა განცალკევებით წარმოთქმული ჩვეულებრივი ხმოვნის შემთხვევაში ფონეტიკური **ქ** უსათუოდ და უდავოდ არსებობს, რაც საშუალებას გვაძლევს ცვლილებები შევიტანოთ სამეტყველო ბგერების დღევანდლამდელ დიფერენციალაში ხმოვნებად და თანხმოვნებად.

ასეთი **ქ**-ს ამოსაცნობად მოხმობილი იქნება სამეტყველო მასალა არა მარტო თუშურენოვანი სინამდვილიდან.

ანლაუტი, რომელიც სწორედ რომ გვანტერესებს, მაინც განსაკუთრებული ნაწილი ჩანს სიტყვისა: აქ აკუსტიკურად უფრო ძნელი ამოსაცნობია (და თითქმის არც ამოცნობა) და არტიკულაციურად უფრო ძნელი წარმოსათქმელიცაა (და თითქმის არც კი იწარმოება), მაგალითად, ის, რაც სრულიად თავისუფლად ამოცნობა და იწარმოება ინლაუტსა თუ აუსლაუტში (განსაკუთრებით კი ალბათ ინლაუტში). ეს განსაკუთრებული **ოკლუზია**, როცა ადგილი აქვს ხშულ-მსკდომი თანხმოვნების ზედიზედ მისვლას; მდრ.: ქართ. **მოგვევარეს – გგონია – გგავს**, რუს. **аккуратно ‘აკურატულად’ – к комнате [кк]омнате ‘ოთახისკენ’ – эхинококк ‘ექინოკოკი’** და ა. შ.

ჩვეულებრივი ხმოვნის შემადგენლობაში, კერძოდ, მის შემართვაში ამა თუ იმ ბგერის – ამ შემთხვევაში ლარინგალური **ქ**-ს – არსებობის გამოსავლენად თავისთავად საჭიროა ჯერ ამ ხმოვნის **გახლეჩის**, დანაწევრების შესაძლებლობაში დაფიქსირდეთ. და თუ **ასეთი გახლეჩა** მოხერხდება, მაშინ თავისთავად ცალკე „გამოვარდება“, ცალკე „დაილექება“ ის შემადგენელი ნაწილიც, რომელსაც ვეძებთ. ბგერის ასეთი **გახლეჩა** ლინგვისტურ პრაქტიკაში ახალი არ არის. უბრალოდ, ამას „გახლეჩა“ არ რქმევია. რუსულ ენაში **я, е, ё, ю** ბგერათა კომპლექსებიდან (**я = j + а, е = j + э, ё = j + о, ю = j + у**) საწყისი **j**-ს (ანუ **ჟ**-ს) გამოყოფა სწორედ ანალოგიური „გახლეჩის“, სეგმენტაციის გზით ხდება: **моя, ანუ мо[ja] ‘ჩემი’ (მდ.) – мой, ანუ мо[j], ‘ჩემი’ (მამრ.)...**

სწორედ ეს შინაარსი ჩავდეთ ტერმინში **შიზოფონია**: ბერძ. **schizo ‘გხლერ’** და **phone ‘ხმ, ბგერა’**. **შიზოფონია** მოგვცემს ლინგვისტური ბადის იმ უჯვრედის საიშვინოდ „ამოკემსვის“ საშუალებას, საიდანაც სხვა შემთხვევაში შეიძლებოდა „დაგვსხლტომოდა“ ძეხნილი ფონეტიკური სიდიდე. გარდა ამისა, **я, е, ё, ю** ბგერათა კომპლექსში შემაღალი **j**-სგან განსხვავებით, ხმოვნის შემართვაში შემაღალი **ქ** ლარინგალის გამოვლენას გარკვეულად განსხვავებული მიდგომა სჭირდება (როგორც მისივე განსხვავებული ბუნებიდან, ისე მისი შემცველი ენის სტრუქტურებიდან გამომდინარე).

მოკლედ, განსაკუთრებულ პირობებშია შესაძლებელი ხმოვნის შემართვისეული **ქ** ლარინგალის გამოვლენა, ანუ ის, რასაც **შიზოფონია** ვუწოდებთ. და სეგმენტაციის ეს პირობები უნდა შევქმნათ (მოვიფიქროთ) ჩვენ – ხელოვნურად.

მაშ: თუშური ენის ხმოვანთა უფრო დეტალური ანალიზის მიზნით, უნდა მივმართოთ მათ შესაძლოა შიზოფონიას, ანუ „გახლეჩას“ შემადგენელ ბგერით (ფონეტიკურ) კომპონენტებად. შიზოფონიის დროს საკვლევი ხმოვანი თითქოსდა იხლიჩება, იყოფა ორ შემადგენელ ნაწილად – საწყის **ქ**-დ (ანუ ძლიერ შემართვად) და საკუთრივ ხმოვნად. ისევე როგორც ლინგვისტურ მეცნიერებაში, კერძოდ, ფონეტიკაში გვიხდება მთლიანის ნელოგურად დანაწილება – „წარმოთქმულის შესწავლის გასაადვილებლად“ (ახვლედიანი, 1966, 95). ამიტომაც მივმართავთ ჩვეულებრივი ხმოვნების „გახლეჩას“, რაც მოგვაახლოებს პასუხთან კითხვაზე: როგორ, რა გზით შეიძლება ჩამოყალიბებულიყვნენ ისინი?

აქ შემოთავაზებული მიდგომებიდან ზოგიერთი ნაწილობრივ უკვე გამოვყენეთ მსჯელობის პროცესში. ამჯერად დავაკონკრეტებთ თითოეულს.

§2 (21). მიდგომა I: ა) ჩურჩული; ბ) II არხი.

ა) ჩურჩული.

რა შეიძლება მოგვეცეს ჩურჩულმა სამეცნიერო კვლევისას? – არცთუ ცოტა.

სხვა ენებთან მიმართებაში აღარ ვაპირებთ ამ ფენომენზე ცალკე საუბარს: ყველაფერი, რაც აქ იქნება თქმული, ერთნაირად შეეხება როგორც თუშურ, ისე ნებისმიერ ენას; აქ მოხმობილი თუშურენოვანი მაგალითების განზოგადება შეიძლება ნებისმიერ ენასთან მიმართებაში, რათა დადგინდეს ანლაუტის (ანდა განმარტებული) ჩვეულებრივი ხმოვნის მაგარი შემართვა.

საოცარი სამეცნიერო ფენომენი აღმოჩნდა ჩურჩული ხმოვანთა მაგარი შემართვის გამოსავლენად, იქნებ იმაზე უფრო საოცარიც, ვიდრე **დისტანციური გემინირებული ოკლუზია** (ამაზე – ქვემოთ). შემთხვევითი როდია ის, რომ სწორედ ჩურჩულს გვთავაზობენ გერმანული ენის ხმოვანთა მაგარი შემართვის გამოსავლენადაც და, მაშასადამე, დასადასტურებლადაც (Никонова, 1958, 35): ლინგვისტიკამ მოისაზრა ჩურჩულისთვის მიემართა მაგარი შემართვის გამოსავლენად ამ ენაში, მაგრამ ვერ მოისაზრა ამავე თვალსაზრისით და ამავე მეთოდით გადაემოწმებინდა ანლაუტის (ანდა განცალკევებული) ხმოვნები სხვა ენებშიც.

საქმე ის არის, რომ ჩურჩულისას „ყია“ (სახმო სიმებს შუა ნაპრალი – ა.

ბ.) დაკეტილია, მაგრამ ღიაა ხრტილებში ნაპრალი“ (ახვლედიანი, 1966, 29); „ჩურჩული შესაძლებელია აგრეთვე ყიაში, თუ ყია ვიწროდა და სიმები მოღუნებული“ (იქვე). ორივე შემთხვევაში ხმა ლიკვიდირებულია, სამაგიეროდ მაქსიმალურად ხდება ხმაურის (ჩქამის) რეალიზაცია, იმ ჩქამისა, რომლითაც ხდება არა მარტო თანხმოვნების განსხვავება ხმოვნებისგან, არამედ ყრუ თანხმოვნების განსხვავებაც კი მჟღერებისგან, რაც იმასაც ნიშნავს, რომ, თუკი ჩურჩულით წარმოვთქვამთ მჟღერ თანხმოვნებს, ვიღებთ ყრუ თანხმოვნებს. მაშ: ჩურჩულისას ხდება ბგერის მაქსიმალური განტევრთვა ხმოვანებისგან და მისი მაქსიმალურად დატევრთვა ხმაურით, ჩქამით (თანხმოვანებით), თუკი, რა თქმა უნდა, ის (ხმაური) მოცემულ ბგერას გააჩნია (შეიძლება გააჩნდეს). ბგერის პოტენციური ხმიდან და ასევე პოტენციური ხმაურიდან ჩურჩულისას ხელთ გვჩნდება ადვილად ამოცნობადი ხმაური, რასაც, ჩვეულებრივ, ყოველთვის ვერ ვცნობილობთ ხმით წარმოთქმისას. სწორედ ეს იძლევა მაგარი შემართვის (ხმაურის, ჩქამის) გამოვლენის საშუალებას გერმანული ენის ხმოვნებში, სადაც ის – მაგარი შემართვა – ნამდვილად არის: რომ არ გვეჩონოდა ასეთი შემართვა გერმანული ენის ხმოვნებთან, არც (ვერც) გამოვლინდებოდა იგი ოდენ ჩურჩულის გზით.

ჩურჩულით წარმოვთქვამთ ხუთივე თუშურენოვანი ხმოვანი და ყური მივუვდით: არტიკულირების საწყის მომენტში – შემართვაში – უსათუოდ გავიგონებთ კვენისებრ (ტკაცანისებრ) ჩქამს ყიაში, გავიგონებთ ფორტეპიანოს ჩაქჩჩის ტკაანისებრ ჩქამს წინასწარ რაიმით დახშული სიმების პირობებში. სწორედ ეს არის ხმოვნის მაგარი შემართვა, ანუ **ქ** ლარინგალი თავისი ჩქამითურთ, რომელიც შედეგია მანამდე დახშული ხრტილებში ნაპრალის განსშვისა⁸²: ა – **ქ**[ა], ე – **ქ**[ე], ი – **ქ**[ი], ო – **ქ**[ო], უ – **ქ**[უ].

იმ პირობებში, როცა ცალფა (იზოლორებული) ხმოვანს მოსდევს მისივე ძლიერი დამართვა (**ქ** ლარინგალი), ჩურჩულის მეშვეობით არც გამოუცდელი დამკვირვებლისთვის უნდა იყოს ძნელი **ქ**-ს აღქმა ამ სიტყვა-ბგერების დამართვაშიც და შემართვაშიც: **ქ** – **ქ**[ქ] *‘მინდორი’*, **ო** – **ქ**[ო] *‘მარცვალი (მცენ.)’*. აქ ფაქტობრივად გვესმის ერთი ხმოვანი როგორც ერთი ფონეტიკური სიდიდე თავისი ძლიერი შემართვითა და თავისი ძლიერი დამართვით. ორი **ქ** (**ქ**[ქ]), ანუ ძლიერი შემართვა და ძლიერი დამართვა იმდენად უახლოვდება ერთმანეთს, რომ მათ შორის ფაქტობრივად რჩება ოდენ ხმოვნის

82 ზემოთ ჩურჩული უკვე აღვნიშნეთ S სიმბოლოთი.

მწვერვალი (დაყოვნება). ასეთ გარემოებაში **ც**-ის (ძლიერი დამართვის) არტიკულირებისას ყურს (სმენას) ჯერ კიდევ კარგად „ახსოვს“ **ც** (ძლიერი შემართვა), მისი ბუნება, მისი ჟღერადობა და იოლად ახდენს მის იდენტიფიკაციას **ც**-თან.

ასევე ჩუქრულით წარმოვთქვამთ ნებისმიერი თავკიდური ხმოვნით დაწყებული ნებისმიერი თუ შორენოვანი სიტყვა. აქაც გავიგონებთ იმავე ჩქამს: აბარ ‘კერვა’: ***[ცაბარ]**, არკუმ ‘მხალი’: ***[ცარკუმ]**, ეგარ ‘შერევა’: ***[ცეგარ]**, ეგრკა ‘კალთა’: ***[ცეგრკა]**, ჩც ‘ახლა’: ***[ცჩც]**, ის ‘ცხრა’: ***[ცის]**, ოთარ ‘დაღვომა’: ***[ცოთარ]**, ოც ‘მარცვალი’: ***[ცოც]**, უთხ ‘ყველის ნაჭერი’: ***[ცუთხ]**, ურძო ‘ჭეარტლი’: ***[ცურძო]**.

ახლა შევადაროთ ჩუქრულით წარმოთქმული ანლაუტისეული და ასევე ჩუქრულით წარმოთქმული არაანლაუტისეული ერთი და იგივე ხმოვანი ერთნაირ დისტრიბუციაში მომდევნო თანხმოვანთან:

***ახარ** ‘ხენა’ – ***[ცახარ]**
 |
 ***დახარ** ‘წასვლა’ – ***[დახარ]**
 |
 ***ეშარ** ‘კლება’ – ***[ცეშარ]**
 |
 ***დეშარ** ‘დაჯერება’ – ***[დეშარ]**

თუკი ჩუქრულით წარმოთქმა გამეორებული იქნება (Никонова, 1958, 35), ეს მხოლოდ ხელს შეუწყობს მაგარი შემართვის აღქმა-გააზრებას.

უკეთეს შედეგს მივიღებთ, თუკი ჩუქრულს მივმართავთ ჩვენ მიერ აქ წარმოდგენილი სხვა მიდგომების დროსაც.

თავისი არსით ჩუქრული ერთგვარად უახლოვდება არტიკულაციას ე. წ. || არხით.

ბ) || არხი.

ისევე როგორც | მიდგომისას (ჩუქრულისას), არც აქა გვაქვს საქმე იმასთან, რაც ტრადიციულ ლინგვისტიკაში წოდებულია **მეტყველებად**, მაგრამ რასაც არცთუ იშვიათად მივმართავთ ექსტრალინგვისტურ გარემოში.

სამეტყველო ბგერათა უმრავლესობა ორალურია, რაც იმას ნიშნავს, რომ

ბგერათა უმრავლესობას წარმოვთქვამთ პირით (და არა ცხვირით): საფონაციო ჰაერნაკადი უბრატესად ამოედინება პირის ღრუს გავლით. ამ გაგებით პირის ღრუსთვის შეიძლება გვეწოდებინა **მთავარი საინფორმაციო მაგის-ტრალი, | არხი**.

გვაქვს ე. წ. ცხვირისეული (ნაზალური) ბგერებიც, რომლებიც „ეთერში გადიან“ პირისა და ცხვირის ღრუების თანამონაწილეობით. ამ გაგებით ცხვირის ღრუს შეიძლება ვეწოდოთ || არხი.

ცოცხალ სამეტყველო პრაქტიკაში გვხვდება სიტუაციები, როცა ცალკეული ბგერები (თუ სამეტყველო ხმები), რომლებიც, კომუნიკაციის თვალსაზრისით, შეესატყვისებიან ცალკეულ დამხმარე სიტყვებს (მეტყველების ნაწილებს), იწარმოებიან სამეტყველო ჰაერნაკადის მოძრაობით მხოლოდ ცხვირის ღრუში – მოკუმული ბაგეების პირობებში. ასეთ შემთხვევაში პირის ღრუში გამოსასვლელი ჰაერნაკადი იკეტება ნაქით და მთლიანად იგზავნება (გადამისამართდება) ცხვირის ღრუში. ამგვარად წარმოვთქვამთ, მაგალითად, გემინირებულ მ თანხმოვანს ისეთ სიდიდეში, როგორიცაა **ლომა-მა, ამ მხარეში, იმ მმართველმა** (თავისთავად, || არხით წარმოითქმის ცალფა მ თანხმოვნის პირველი ნაწილი, მაგალითად, **იმას, ამას, ლომი, მხარე** – და ა. შ. მოცემულობებში, თუმცა იმდენად მეყსეულად, რომ ვერ ვასწრებთ ასეთად აღქმას). სწორედ ამ გზით წარმოებულ ბგერებს (ნაზალიზებული ხმოვნები) სგან განსხვავებით, რომელთა წარმოებაშიც ორივე არხი თანამონაწილეობს), ვეწოდეთ || **არხის თანხმოვნები**, რომლებისთვისაც **პირუთქმელი ბგერებიც** შეიძლება გვეწოდებინა, რადგან აქ პირის ღრუ საერთოდ არ მონაწილეობს – გადაკეტილია. ასეთი გახლავთ ბგერები, რომლებიც გამოხატავენ, მაგალითად, ჩაცინებას, დასტურს, უარყოფას, გაოცებას, სიამოვნებას, შეკითხვას, რაიმის შეთავაზებას, რაიმის გახსენების მცდელობას და შეესატყვისებიან ისეთ ლექსიკურ რეალიებს, როგორიცაა: **აჲ, არაჲ, აჰა, აჰ, ეჰ, იჰ, ოჰ, უჰ, ოოჰ, უუჰ, ჰა, ჰა? ჰე, ჰო, ჰო? ჰმ, მმ...**

არტიკულაციასთან ერთად, აქ, რა თქმა უნდა, თავის სიტყვას ამბობს სამეტყველო სიტუაცია (კონტექსტი), ინტონაცია, ჟესტ-მიმიკა.

|| არხით მარტო ცალკეული ბგერები თუ ბგერათა ჯგუფები როდი შეიძლება ვაწარმოოთ: ამგვარად შეიძლება „შევასრულოთ“ ესა თუ ის სიმღერა ანდა ფრაგმენტი სიმღერიდან, მელოდიიდან... სულ მცირე ხნით, მაგრამ ამგვარად დიდინებს ძველებური რომანსის ფრაგმენტს, მაგალითად,

ფუფალა (ს. ჭიაურელი), როცა პირველად გამოჩნდება მხატვრულ თემაში „ნატყვის ხე“ (რეჟისორი თ. აბულაძე, სცენარის ავტორი რ. ინანიშვილი) და გართულება ფერუმახილის წასმით (<https://www.youtube.com/watch?v=KP>). მოიპოვება სხვა ცოცხალი მაგალითებიც.

შეიძლება III არხის ცნების შემოტანაც, რაშიც ვგულისხმობთ მეტყველებას, როგორც აზროვნების იმ ფორმას, რომელიც თავის შინაარსობრივ რეალიზაციას პოულობს ყოველგვარი ბგერებისა თუ ხმების გარეშე. ჩვეულებრივი – ბგერითი – მეტყველებისგან განსხვავებით, ეს გახლავთ უტყვი, უხმო, ჩუმი, შინაგანი, ფიქრითი მეტყველება, ჭლაპარაკი გუნებაში, გულში (რუს. „говорить про себя“), „უსიტყვო, უბგერო „ლაპარაკი თავისთვის, თავის თავთან“. ეს არის შინაგანი წარმოთქმა, რომელსაც (ეს ძალზე საყურადღებო მომენტი), მიუხედავად აკუსტიკური გაუფორმებლობისა, ფაქტობრივად მაინც მიაკუთვნებენ მეტყველების ბგერით ფორმას (ЛЭС, 1990, 414): ფსიქოლოგ ა. სოკოლოვს გამოვლენილი აქვს ამგვარი (შინაგანი) მეტყველებისთვის დამახასიათებელი ფარული, შეუიარაღებელი თვალისთვის შეუმჩნეველი არტიკულაციები – მცირე მოცულობის მოტორული მოძრაობები (Соколов, 1968).

II არხი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ხილია, I და III არხებს შორის გადებული. II არხის არტიკულაცია წარმოადგენს იმ საშუაშეშვლო რგოლს, რომელიც მდებარეობს მეტყველების გარეგან, ბგერით, თვალსაჩინო, მატერიალურ გარსსა (I არხსა) და შინაგან, უბგერო, უჩინარ, ასევე მატერიალურ გარსს (III არხს) შორის, და რომელიც თავადაც მატერიალურია და რეალური⁸³.

II არხით წარმოითქმის ის ცალკეული სიდიდეები, რომლებიც, თუმცა ფართოდ არ განიხილებიან ოფიციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში, მაგრამ ცოცხალ მეტყველებაში ასე თუ ისე ფუნქციონირებენ. მათ წარმოებას

83 სამეტყველო არხები ამ თანმიმდევრობით (I – II – III) დავალაგეთ ოდენ იმ პირობით, რომ სახელმძღვანელოდ ავიღეთ პრინციპი: „აკუსტიკიდან – არტიკულაციისკენ“, ანუ „მსმენელიდან – მოსაუბრისკენ (არტიკულაციის, მეტყველების წყაროსკენ)“, რის უფლებაც პრინციპულად გვქონდა, თუკი მხედველობაში მივიღებთ და გავითვალისწინებთ იმას, რომ I არხის პროდუქტია გაბატონებულია, მაგრამ სადაც ფაქტობრივად დარღვეულია ფაქტობრივ-შედეგობრივი თანმიმდევრობის სიმწყობრე: სინამდვილეში I არხი უნდა გვეწოდებინა III არხისთვის, სადაც პრინციპულად იბადება არტიკულაცია, მეტყველება ზოგადად – გულში. თუ I არხის მიშვეობით წყვეტილად, მხოლოდ საჭიროებისამებრ ერთვის ადამიანი მეტყველებას, III არხს ის უწყვეტ რეჟიმში მიმართავს მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე – მაშინაც კი, როცა არც სურს ეს, არც სჭირდება, თავადვე უწოდებს რა ამას ფიქრს / ფიქრებს

ადამიანი მიმართავს, მაგალითად, როცა პირი საგნს აქვს საჭმლით, ამა თუ იმ სითხით, სამკურნალო პრეპარატით ანდა, როცა, როგორც **მესერსენი** იტყვოდა, შორეული წინაპრებისამებრ ლაყბობს მხიარულად და დაუდევრად (*in den Tag hinein*). ეს ის სამეტყველო სიტუაციებია, როცა, როგორც **გ. ახვლედიანი** ბრძანებს, დარწმუნებული ვართ, რომ „ჩვენი მეტყველების მიზანი – გაიგოს მსმენელმა ჩვენი ნათქვამი (თუ სათქმელი – ა. ბ.) – მიიღწევა“, „მაგ., ვიწრო ოჯახურ პირობებში, ახლო ამხანაგებში და ა. შ.“ (ახვლედიანი, 1966, 200).

ღირს კი საუბარი ისეთ სიდიდეებზე, რომლებიც წარმოადგენენ და არც წარმოადგენენ სამეტყველო ბგერებს, როგორც ასეთებს? ეს კითხვა უნდა გაგვჩენოდა ჩურჩულთან დაკავშირებითაც და არა მარტო.

აღბათ თავისთავად იგულისხმება, რომ **ს.-ს. ორბელიანი** ყოველდღიურ მეტყველებაში არამც და არამც არ იყენებდა, მაგრამ, თანამედროვე სამაშულო ლექსიკოგრაფიისგან განსხვავებით, „**სიტყვის კონაში**“ სრულიად უმტკივნეულოდ მიუჩინა კუთვნილი სტატუსი სიტყვებს, რომლებზეც ღღეს ლამის ტაბუა დადებული. ამით ღიღმა ქართველმა ლექსიკოგრაფმა დააფიქსირა თავისი დამოკიდებულება სიტყვებისადმი, როგორც მათი შემქმნელების (ადამიანების) ხელშეუხებელი კუთვნილებისადმი და როგორც იმ არსენალისადმი, საიდანაც მისი მესაკუთრის დაუკითხავად არც ერთი ტყვია არ უნდა იქნეს ამოღებული. ამგვარადვე: მით უფრო მეტი ყურადღება უნდა გამოვიჩინოთ აქ, ფონეტიკაში, სადაც ცალკეული ბგერა, სიტყვისგან განსხვავებით, ჯერ კიდევ არ (ვერ) გამოხატავს რაიმე „უწესოს“, სკაბრეზულს. ყველა ბგერა (თუ ხმა), რომელიც კი შეიძლება წარმოებული იყოს სამეტყველო აპარატის, სამეტყველო მაგისტრალის მიდამოებში თუნდაც რამენაირი ინფორმაციის რამენაირად გადასაცემად თანამოსაუბრისთვის, შესწავლილი თუ არა, აღწერილი მაინც უნდა იქნეს, რათა რაც შეიძლება სრული მასშტაბურობით წარმოვიდგინოთ და წარმოვადგინოთ ადამიანის სამეტყველო საშუალებათა თუ შესაძლებლობათა დიაპაზონი, მით უმეტეს, რომ აქ გვაინტერესებს არა თვით ამ სიდიდეების საკომუნიკაციო ხასიათი, არამედ მათი ფონეტიკის რაობა⁸⁴.

მართალია, II არხით არტიკულირებისას ადგილი აქვს სათქმელის ოდენ ნაწილობრივ, არასრულ ბგერით გაფორმებას, მაგრამ ნათქვამი მთლიანო-

84 ვსარგებლობთ შემთხვევით და სინანულს გამოვთქვამთ, მაგალითად, ა ბგერის აღმნიშვნელი გრაფემის გახლეჩის გამო ქართული გრაფიკული სიჭრტიდან.

ბაში მაინც დასრულებულია იმის წყალობით, რომ საკომუნიკაციო აქტში თანამონაწილეობენ კონტექსტი და ჟესტ-მიმიკა. ისიც მართალია, რომ II არხით არტიკულორებისას, როგორც **ბ. გასპაროვი** იტყოდა, ნათქვამის აზრი თითქმის მთლიანად „დეზარტიკულირებულია“ (Гаспаров, 1978), მაგრამ ამ არხით გადაცემული და მოსმენილი ინფორმაციის აზრობრივ სისრულეზე ხშირ შემთხვევაში უდავოდ მეტყველებს ადეკვატური რეაქცია თანამოსაუბრის (მსმენელის) მხრიდან. მთავარი როლი მეტყველებაში, რაღა თქმა უნდა (ამაზე საუბარი არც კია საჭირო), ეკისრება ლექსიკურსა თუ გრამატიკულ რესურსებს, მაგრამ II არხს, როგორც **სუპერსეგმენტურ** საშუალებას, ძალუძს **სეგმენტური** დონის (საფენურის) ზოგიერთი ხარვეზის შევსება, გამდიდრება, სრულყოფა. ამასთანავე: სხვადასხვა **სუპერსეგმენტური** მაჩვენებლების აქტიური ჩართვა კომუნიკაციაში ქმნის სამეტყველო დროისა თუ ენერგიის ეკონომიის შესაძლებლობას. II არხით წარმოებული სიდიდეები მიეკუთვნება, როგორც **ლ. კაპანაძე** იტყოდა, სასაუბრო მეტყველების რთულ „პარტიტურას“ (Капанაძე, 1983, 142). და ცოცხალი მეტყველებისადმი, მისი წვრილმანი რესურსებისადმი ამგვარი – **საბასეული** – პარტიარქალური მოწიწება მით უფრო დასაფასებელი იქნება, თუკი ვიხელმძღვანელებთ ჩვენი თანამედროვის, **ჯ. კაშიას** დებულებით იმის თაობაზე, რომ „ენა არის არსებობის პირობა და ენის გარეშე არსებობა ვერ განხორციელდება. ენა აქ წარმოდგენილია არა მხოლოდ როგორც საკომუნიკაციო ფუნქციის მქონე ნიშანთა სისტემა, ...არამედ, როგორც საზრისქმნადობის შემოქმედებითი ენერგია, რომელიც არსებობის პირობას ქმნის“ (კაშია, 2001, 107-108). როცა ადამიანი, რომელსაც პირში ჩაყენებული აქვს გამოსავლები პრეპარატი, როგორღაც თვალს მოჰკრავს ისეთ რამეს, რაც არ უნდა მომხდარიყო და რასაც მყისიერი ლიკვიდაცია სჭრიდება, ახლო-მახლო მყოფი ადამიანებისთვის ინფორმაციის გადასაცემად (საკომუნიკაციოდ) რჩება მხოლოდ II არხი, რა თქმა უნდა, შესაბამისი სხეულებრივი მოძრაობების თანხლებით.

იმ პირობებში, როცა „ყველასაც თურმე ენა აქვს“ (ვაჟა-ფშაველა, 1979, 688), არ შეეცდებით, თუკი ვიტყვით, რომ ენის თვისება – აღნიშნოს, იქონიოს აზრი, მნიშვნელობა – „იბადება თვით ენის სამანებს გარეთ“ და „მომდინარეობს ენის მომხმარებელი ადამიანებიდან, რომლებიც“ გარკვეულ „აზრს გამოთქვამენ გარკვეულ სიტუაციაში; ადამიანები, როგორც წესი, ლაპარაკობენ, წარმოთქვამენ რა სიტყვებს საჭირო ტონით, სახის ამა თუ იმ გამო-

ეტყველებით, ამა თუ იმ – ზომიერი ანდა მოუზომადი – ჟესტიკულაციით, რომელიც ასევე ჭეშმარიტად „ლაპარაკობს და აზრს გამოთქვამს“; ე. წ. „სიტყვები“ რეალობის რთული კომპლექსის ოდენ ერთი ნაწილთაგანია და ისინი ასეთებს წარმოადგენენ მხოლოდ იმ ოდენობით, რა ოდენობითაც მონაწილეობენ მოცემულ რეალურ კომპლექსში და არიან მისგან განუყოფელი (Oprea, 2000, 668). ენათმეცნიერები წლების განმავლობაში გამოხატავენ მზადყოფნას, „ოფიციალურად ცნონ ამგვარი მოვლენების მნიშვნელობა და მაინც არაფრით არ სურთ სერიოზულად მიუღწეონ მათ, – სინანულით შენიშნავს **ორტეგა** ჟესტიკულაციასთან დაკავშირებით და გაბედულად დაურთავს: – არ სჯობს განა, სიმართლეს თვალეში ჩავხედოთ და გაჟაკურად ვადიაროთ: ლაპარაკი – ეს ჟესტიკულირებაა? ამ ფრაზის აზრი იმაზე ბევრად უფრო კონკრეტული და მკაცრია, ვინემ პირველი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს“ (Oprea, 2000, 682).

და, ჩვენი აზრით, II არხის არტიკულაცია, რომელიც ფაქტობრივად, მეტი თუ არ არის, არაფრით ჩამოუვარდება ჟესტსა თუ მიმიკას, უნდა მიეკუთვნებოდეს იმ კატეგორიის „გამონათქვამებს“, რომლებსაც ეძლევათ უდიდესი მნიშვნელობა სწორედ თავისი ბანალობის გამო, რადგან მჭერმეტყველურად ადასტურებენ, რომ „სიტუაციის სხვა დანარჩენი კომპონენტებიც, რომლებიც არანაირად არ შეიძლება ჩაითვალოს სიტყვებად და რომლებიც, *sensu stricto* (ლათ. *‘ვიწრო გაგებით’* – ა. ბ.) საერთოდ არა აქვთ რა კავშირი ენასთან, თავის თავში შეიცავენ აზრის გამოთქმის უკიდევანო შესაძლებლობას...“ (Oprea, 2000, 668-669).

მეტიც: ვფიქრობთ, II არხის არტიკულაცია იმაზე უფრო მეტ სემანტიკურ დატვირთვას ატარებს, ვიდრე, დავუშვათ, თვალებისა თუ ლოყების ტონუსის ცვალებადობა, რაზეც აასევე საუბრობს **ორტეგა** მეტყველების სემანტიკურობასთან მიმართებაში (იქვე, 682).

სიტყვა, როგორც ასეთი, „უსათუოდ ერწყმის მთელ სიტუაციას ყველა მისი საგნითა თუ ადამიანით, ანუ ერწყმის ყოველივე იმას, რაც თავისთავად არასიტყვიერია. სიტყვა თავისთავად ნიშნავს **არარად მცირეს**; მისი როლია: ზემოქმედება მოახდინოს – იმ უმძლავრესი დეტონატორის დარად, გამაყრუებელი გრუნუნით რომ აფეთქებს ყოველივე დანარჩენის კვახისიტყვიერ (ვითომცდა სიტყვიერ – ა. ბ.) მუხტს“ (იქვე, 668-669). „ეტიმოლოგია გააჩნიათ არა მარტო სიტყვებს“: „ადამიანის ყველა ქმედებას აქვს თა-

ვისი ეტიმოლოგია... (იქვე, 637). მეტიც: ადამიანი თავად „ეტიმოლოგიური ცხოველი“ (იქვე, 628-653).

ხალხური ცეკვები თუ კლასიკური ბალეტი, ანდა ჰანტომიმა, რომელთა ფესვებიც უშორეს წარსულში ძევს, სხვა არა არის რა, თუ არა სათქმელის გამოთქმის ის კლასიკური ნიმუში, რომელსაც, საოცარ შეფასებას აძლევს რა, **ორტევა** უყვამანოდ მიაკუთვნებს „გამოთქმის თეორიის“ სფეროს (იქვე, 673). დავაკვირდეთ: აქაც არტიკულაციებთან გვაქვს საქმე იმ გაგებით, რომ „არტიკულაცია“ არის იგივე **მოძრაობები** და **მდგომარეობები** (რომლებიც მთლიანად შემადგენელ ნაწილებს შეადგენენ ისევე, როგორც წერტილები შეადგენენ წრფის შემადგენელ ნაწილებს), ოღონდ არა, და-ეშუშათ, ხელისა, ფეხისა, თავისა და ა. შ., არამედ სხეულის სხვა ორგანოებისა – სახმო იოგებისა, ენისა, ყბებისა...

აქ სიტყვას აღარ გაგაგრძელებთ იმაზე, რომ ცეკვა, როგორც ასეთი, თავის არსშივე მეტყველი ფენომენია, იმაზე უფრო მეტყველი, ვიდრე თვით მეტყველება. თავად განსაჯეთ: ვაჟმა წყაროზე წამოსულ ქალს სიტყვა უთხრა და ქალმა იწყინა, მეტი არა (*„წინწყარო“*), მაგრამ იგივე ვაჟი იმავე ქალს რომ გასცეკვებოდა იმავე წყაროსთან, საეჭვოა, საქმე ოდენ წყენით დამთავრებულიყო. ადარაფერს ვიტყვით რა ნადირთა ხმინაობებზე, ანუ, ჩვენი გაგებით, სრულიად „არაფონოლოგიურ“ ბგერებზე, შემოვიფარგლებით მხოლოდ ერთი ანალოგიით (თუ ძალიან არ მოიკოჭლებს იგი). საბჭოური პერიოდის სტალინურ წლებში ხშირად ისმოდა რადიოთი ჩინური მეტყველება. ერთხელ მაშამ, მწყემსმა კაცმა, გაგაგოცა თავისი „მიგნებით“: ჩემი დავიკვრებით, – თქვა მან სრულიად სერიოზულად, – ჩინელები ზუსტად ისევე მეტყველებენ, როგორც ეს ჩვენი მერცხლები ჟღერებენო.

II არხის ბგერების გადმოცემის მცდელობას სპორადულად, მაგრამ მაინც ვხვდებით წერილმეტყველებაშიც. ეს ის შემთხვევებია, როცა წერილობით გადმოცემულს არტიკულაციურად სხვანაირად ვერ გადავცემთ, თუ არა დახშული პირ-ბაგით. თუ, მაგალითად, **აპა, აპ, ეპ, იპ, ოპ, უპ...** შორისდებულიების წარმოთქმა შეიძლება როგორც I, ისე II (და III) არხით, **ჰმ, მმ** შორისდებულიებს ვერ ვაწარმოებთ I არხით – ესენი უსათუოდ უნდა „წარმოვთქვათ“ II (ან III) არხით. მეტიც: მათში შემაჯალი თითოეული ბგერის წარმოთქმის შემთხვევაში I არხით – მათთვის განკუთვნილი საარტიკულაციო მოძრაობებით – დაინგრევა ის სემანტიკა, რომელსაც ეს შორისდებულები წარმოადგენენ.

ვერ გავთამამდით რა ცალსახად გვეწოდებინა **ბგერები**, ამ სიდიდეთაგან უმრავლესობას, ამავე ღროს, **სამეტყველო ხმებსაც** ვუწოდებთ. მაგრამ **ჰმ** და **მმ** სიდიდეები იმდენად აშკარად წარმოადგენენ სამეტყველო ბგერებს, რომ მეტყველების ნაწილების მორფოლოგიური კვალიფიკაციაც კი აქვთ მოპოვებული. ესეც არ იყოს, ბოლოს და ბოლოს, ნებისმიერი სამეტყველო ბგერა ბგერაა სწორედ მისი სოციალური გაგებით (როცა იგი აღიჭურვება დისტინქტური ფუნქციით), თორემ წმინდა ფიზიკური გაგებით ის წარმოადგენს ხმას, მეტს არა: შემთხვევით როდი ვუწოდებთ ბგერის გამოღებას სამეტყველოდ ან სასიმღეროდ „ხმის ამოღებას“ (ახვლედიანი, 1966, 23).

მაღალი ოსტატობით გამოიყენა რა, მაგალითად, **კ. ბუაჩიძე** შორისდებული **მმ...** (მმ...) თავის პუბლიცისტურ პამფლეტში (Буачидзе, 1989), მისთვის ჩვეული სიმსუბუქით მოახერხა ამ ერთი შეხედვით უბრალო ფონეტიკურ სიდიდეში ჩადო არა მხოლოდ მხატვრული, არამედ პოლიტიკური დატვირთვის მატარებელი მუხტი. ეს მაგალითი თვალსაჩინოება იმისა, რომ ცოცხალ მეტყველებაში გვხვდება არტიკულაციები, რომლებიც სრულდება სწორედ და მხოლოდ II (ანდა III) არხის საშუალებით. მსგავსი მაგალითები დაგვეხმარება თავისუფალი ხმოვნების დახასიათებაშიც.

II არხით შეიძლება ვაწარმოოთ ცალკეული ხმოვნები – როგორც ქართულენოვანი, ისე თუ შერეონოვანი, სადაც ხმოვნისგან ხელთ გვრჩება ოდენ მისი შემართვისეული **ც**, მეტი არა⁸⁵: **ა – „[ც], ე – „[ც], ი – „[ც], ო – „[ც], უ – „[ც]**, ანუ:

ა
ე
ი
ო
უ } „[ც]

ოღონდ: აქ უსათუოდ გასათვალისწინებელია ერთი არსებითი მომენტი.

ღია პირის (პირის ღია რეზონატორის) პირობებში საშუალება გვაქვს საჭიროებისამებრ შევცვალოთ სამეტყველო ორგანოების (პირ-ბაგის) კონფიგურაცია, რაც იძლევა შანსს, რომლის წყალობითაც ერთი ხმოვანი განსხვავდება მეორისგან. ამიტომაც არის, რომ II არხით წარმოქმნილი ხმოვნები ერთერთისგან არ განსხვავდებიან არც არტიკულაციურად, არც აკუსტიკურად

85 II არხი აღენიშნოთ ასე: II.

რად. მეტიც: მათ საერთოდ ვერ ვცნობილობთ, როგორც ხმოვნებს. მაგრამ სწორედ იმის წყალობით, რომ **||** არხზე ისინი კარგავენ ხმოვნების, როგორც ასეთების, სახეს, საშუალება გვეძლევა გამოვავლინოთ მათი ისეთი ნიშან-თვისება, რომელსაც ვერ ვავლენთ (ანდა ძნელად ვავლენთ) | არხზე.

საქმე ის არის, რომ მათი ამგვარად წარმოთქმის მცდელობაში წარმოითქმის და ისმის რაღაც. მაგრამ – რა?

როგორც აღრევე შევნიშნეთ **ქ** ბგერის ფონეტიკური დახასიათების რამენაირი სრულყოფის მიზნით (ბართიშვილი, 1998, 153), ქართული თუ თუშური **აჰ, ეჰ, იჰ, ოჰ, უჰ** შორისდებულების წარმოთქმისას **||** არხით (პირის დახურული რეზონატორით) ხმოვანი, რა თქმა უნდა, არ წარმოითქმის (და ვერც ვცნობილობთ) იმ უბრალო და ნათელი მიზეზით, რომ პირი (ბაგეები) დახურულია და ვერ ვაღწევთ სამეტყველო ორგანოთა სათანადო კონფიგურაციას. სამაგიეროდ სრულიად ცხადად წარმოითქმის და არცთუ ძნელად ამოიცნობა ფშვინიერი **ჰ**, ოღონდ ფშვინვა წარმოიქმნება არა ლარინქსში – როგორც წესია, არამედ – ნახუსში (ცხვირის ღრუში), კერძოდ, ნესტოებთან. მაგრამ აქ უფრო მთავარი ის არის, რომ ამ **ჰ**-ს წარმოთქმამდე წარმოითქმის და ასევე ნათლად ამოიცნობა ლარინგალური **ქ**, რომელიც იწარმოება იქ, სადაც მისი საწარმოთქმო ტოპოსია – ლარინქსში: **||[ქჰ]**. მაგრამ აქ **ქ**-ს მიმყოფ ისმის კიდევ ხმა, რომელიც ხმოვანს ეკუთვნის. ეს ის ხმაა, რომელსაც ზოგად ფონეტიკაში **ღაღანს** უწოდებენ, ოღონდ ამ შემთხვევაში ეს არის ღაღანი **||** არხით. თუკი ამ ხმას (ღაღანს) აღვნიშნავთ ისრით მარჯვნივ, ამ შორისდებულებისთვის მივიღებთ სურათს:

$$\left. \begin{matrix} \text{აჰ} \\ \text{ეჰ} \\ \text{იჰ} \\ \text{ოჰ} \\ \text{უჰ} \end{matrix} \right\} \text{||[ქჰ]}$$

გამოდის, რომ **||** არხით არტიკულრებისას აქ ხუთივე ადგილს ფაქტობრივად იკავებს (ავსებს) ლარინგალი **ქ** თანხმოვანი **||** არხის ღაღანითურთ (თუმცა ამჯერად ამ ღაღანს ჩვენთვის არა აქვს არსებითი მნიშვნელობა და ნუღარც აღვნიშნავთ გრაფიკულად).


აღრევე მივანიშნეთ აგრეთვე, რომ ხმოვნისა და ლარინგალური **ქ** თანხმოვნის ფონეტიკას (არტიკულაციასა და აკუსტიკას) რაღაც საერთო უნდა

ჰქონდეს, სხვადასხვა კლასის ამ ორ ბგერას – ხმოვანსა და თანხმოვანს – რაღაცა უნდა აკავშირებდეს ერთმანეთთან (ბართიშვილი, 1998, 154).

ცალკეული ხმოვნების არტიკულრებისას **||** არხით „წარმოითქმის“ და ისმის ის, რასაც **გ. ახვლედიანი** უწოდებს ძლიერ კენესისებრ ჩქამს, ანუ მაგარ შემართვას, ჩვენ კი ვაცნობიერებთ როგორც ჩვეულებრივი ხმოვნის არტიკულაციის საწყისთა საწყისს.

|| არხში „იკარგება“ ხმოვანი, როგორც ასეთი, მაგრამ რჩება მისი შემართვა, რომელიც ამ შემთხვევაში მაგარია და ფონეტიკურად ყალიბდება ხმოლო ლარინგალის სახით, გრაფიკულად კი გამოიხატება **ქ** გრაფემით. ჩვენ ამ შემართვას აშკარად შევვიგრძნობთ ლარინქსში, სწორედ იმ მიდამოში, სადაც ხველების ღროს ხდება ხოლმე ხშვა-განხშვა.

როგორც კი პირ-ბაგეს გავხნით, მივცემთ მას რომელიმე ხმოვნისთვის საჭირო კონფიგურაციას და წარმოვთქვამთ **ქ**-ს, **||** არხის ღაღანის (→ ისრის) ადგილს შეავსებს **||** არხის ღაღანი, ანუ თვით ხმოვანი, როგორც ასეთი, რის შედეგადაც ვიღებთ:



თუ არტიკულაცია შეიცავს შორისდებულებისთვის დამახასიათებელ ფშვინიერი **ჰ**-საც, **||** არხისთვის ვიღებთ: **აჰ** – **||[ქაჰ]**, **ეჰ** – **||[ქეჰ]**, **იჰ** – **||[ქიჰ]**, **ოჰ** – **||[ქოჰ]**, **უჰ** – **||[ქუჰ]**.

ანუ: **||** არხის ისრის (ღაღანის) ადგილი **||** არხზე შეავსო ხმოვანმა, როგორც ასეთმა, დარჩა რა ადგილზე **ქ**.

ცალკე საუბრის თემაა ჩვენ მიერ ზემოთ ხაზგასმული **ჰმ** და **ჰმ** შორისდებულების არტიკულაცია, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ხმოვნებთან, მაგრამ საერთო აქვს **||** არხთან, კერძოდ, ღაღანთან.

ჩვეულებრივი ხმოვნების ანალიზის დასაწყისში მათი ძლიერი შემართვის გამოსავლენად მივმართეთ ცალკე ხმოვნების არტიკულაციისა თუ აკუსტიკის შედარებას თანხმოვნის მიმყოფი იმავე ხმოვნების არტიკულაციასა თუ აკუსტიკასთან (გავიხსენოთ და ამჯერად აღვნიშნოთ **||** არხი): **ა** – **ბა**: **||[ქა]** – **||[ბა]**, **ა** – **გა**: **||[ქა]** – **||[გა]**, **ა** – **ღა**: **||[ქა]** – **||[ღა]**, **ე** – **ბე**: **||[ქე]** – **||[ბე]**...

ახლა ამავე სიდიდეებს დავაკვირდეთ მოკუმული პირით არტიკულორებისას, ანუ ამ მონაცემების წაკითხვა ვცადოთ II არხით.

ამ დროს არანაირად არ შეიძლება **ბა, გა, და, ბე** მარცვლებში შემავალი **ბ, გ, დ** თანხმოვნების წარმოთქმა, რადგან ამისთვისაც საჭიროა ღია პირის რეზონატორი და სამეტყველო ორგანოების **მოძრაობის** სისრულე, რასაც ხელს უშლის პირ-ბაგის მოკუმულობა. ამიტომ ამ თანხმოვნებისთვის კუთვნილი ხშვა-სკდომა ხდება არა იქ, სადაც I არხის პირობებში ხდება (და უნდა მომხდარიყო), არამედ ნაქში (ნაქთან). ამას მოსდევს **ბ, გ, დ** თანხმოვნების მიმყოფი ხმოვნების კუთვნილი ღაღანი (რომელიც ზემოთ აღვნიშნეთ ისრით მარჯვნივ).


რაც შეეხება ცალფა ხმოვნებს, როგორც უკვე ითქვა, II არხით წარმოთქმის არა თვით ხმოვნები, როგორც ასეთები, არამედ მათი შემართებითი ნაწილი, ანუ **ქ**, რომელიც იწარმოება იქ, სადაც მისი საწარმოთქმო ადგილია – ლარინქსში. ამ შემთხვევაში ეს უბანი საგულდაგულოდ არის დაცული ჩაღრმავებული ენის „ორმოში“ ჩაგუბებული წყლისგან: საჭიროების შემთხვევაში ენის ძირი მჭიდროდ ეფარება ნაქს. **ქ**-ს, რა თქმა უნდა, მოსდევს ხმოვნისთვის განკუთვნილი ხმა, ანუ ღაღანი, ოღონდ – II არხისა. სურათი ასეთია (ღაღანს აღარ აღვნიშნავთ): **ა – ბა:** ^{III}[ქ] – ^{III}[ბ], **ა – გა:** ^{III}[ქ] – ^{III}[გ], **ა – და:** ^{III}[ქ] – ^{III}[დ], **ე – ბე:** ^{III}[ქ] – ^{III}[ბ] – ^{III}[ქ].

მოკლედ: აქ აშკარად შევიგრძნობთ არსებით განსხვავებას ცალფა ხმოვნების შემართვასა და **ბ, გ, დ** თანხმოვნების მომდევნო ხმოვნების შემართვას შორის. და ის, რითაც განსხვავდება ცალფა ხმოვნების შემართვა, არის სწორედ მაგარი შემართვა. თუ – არა, მაშინ უნდა აიხსნას შემართვათა ამ განსხვავების არსი.

მაშ: ძლიერი შემართვის არსებობა თუშური ენის ჩვეულებრივ ხმოვნებში არის იმდენად რეალური და იმდენად მატერიალური, რომ ხმოვნების წარმოების მცდელობაში II არხით, როცა ვერანაირად ვერ იწარმოება ვერც თვით ხმოვანი, ვერც სხვა რომელიმე თანხმოვანი, სრულიად ნორმალურად იწარმოება **ქ**, რომელშიც პოულობს თავის ფონეტიკურ ხორცშესხმას ხმოვნის ძლიერი შემართვა.

ყველაფერი შეიძლება გავიმეოროთ III არხით, როცა, I და II არხებისგან განსხვავებით, არანაირ ხმაინობას არ მივმართავთ (არ ვაწარმოებთ თვით ღაღანსაც კი). ამ დროს ხდება ოდენ ენის უკანა კიდის მოძრაობა და – გან-

ცალკეევილი (ანდა ანლაუტისეული) ხმოვნების წარმოებისას – სახმო სიმების ხშვა-განხშვა; ვიღებთ: **ა**-სთვის: ^{III}[ქ], **ე**-სთვის: ^{III}[ქ], **ი**-სთვის: ^{III}[ქ]... სხვაგვარად:



ანუ: აქაც ხელთ გვრჩება ხმოვანში შემავალი მაგარი შემართვა ყოის ხშვა-განხშვის სახით.

თუკი დავდგებით სრულიად ცარიელი ოთახის რომელიმე კუთხეში ანდა სახეს დავიჭერთ ცარიელი ქვევრის პირთან (ავრეთვე: გიტარის ანდა თავახდილი ფორტეპიანოს ღიობთან, ცარიელი დოქის პირთან და ა. შ.) და ამგვარად მივმართავთ არა მარტო ამ მიდგომას, არამედ შემოთავაზებულ სხვა მიდგომებსაც, კიდევ უფრო მაღალ კოეფიციენტს შეიძენს თვალსაჩინოება: სრულიად აშკარა გახდება მანამდე მჭიდროდ დახშული სახმო ქორდების უცაბედი განხშვა და მანამდე შეკუმშულ მდგომარეობაში მყოფი ჰაერის გრგვინვისებური ამოფრქვევა, რაც სხვა არა არის რა, თუ არა ხმოვნის მაგარი შემართვა, ანუ ხმოვნის შემართვაში არსებული **ქ** ლარინგალი.

ღიახ: **ქ** უთუოდ ის ერთადერთი ბგერაა, რომელიც II არხით წარმოებისას ისევე იოლად ამოიცნობა, როგორც I არხით წარმოებისას (ოღონდ, ამ შემთხვევაში, განმარტოებულად). **ქ** ის ერთადერთი აკუსტიკური მატერიაა, რომელიც პირში წყლის ჩაყენებით შეიძლება მივიტანოთ ახლო მყოფამდე (თანამოსაუბრემდე, მსმენელამდე). და მისი ეს უნიკალური თვისება მკლავდება სწორედ ხმოვნის მიმდებარედ (შემართვაში), როცა მივმართავთ II (ან III) არხის არტიკულაციას.

§3 (22). მიდგომა II: ჩვენთვის საინტერესო ხმოვანი ბგერის (ანდა მისი შემცველი ამა თუ იმ სიდიდის) „ამოკვეთა“ სიტყვის ან მარცვლის შემადგენლობიდან.

ეს მიდგომა ითვალისწინებს ჩვენთვის საინტერესო არაანლაუტისეული ხმოვნის ანდა მისი შემცველი ამა თუ იმ სიდიდის (მაგ., ბგერათკომპლექსის) „ამოკვეთას“ სიტყვის ან მარცვლის შემადგენლობიდან, რათა იგი შევადაროთ იდენტური დისტრიბუციის მქონე ანლაუტისეული ჩვეულებრივი ხმოვ-

ნის არტიკულაციას: რაკი „სამეტყველო ბეგრების წარმოქმნის რწყმულობა, სამეტყველო ორგანოების საარტიკულაციო მოძრაობათა უწყვეტელობის შედეგად, იწვევს მეზობელი ბეგრების ურთიერთმოქმედებას“ (BC3, 1975, 74) და, მაშასადამე, იწვევს გარკვეულ ცვლილებებსაც ყოველ მათგანში, ყოველი ცალკეული ბეგრის ფონეტიკურ ხასიათში ჩასაწვდომად საჭირო ხდება ჩვენთვის საინტერესო ბეგრის, ასევე სიტყვის ამა თუ იმ ნაწილის (მარკვლის) „ამოკვეთა“ მოცემული მთლიანობიდან.

ბა, ბე, ბი, ბო, ბუ, გა, გე... ბგერათკომპლექსების (წყვილების) რწყმული (უბაუზო) წარმოთქმის შემდეგ განცალკევებით (პაუზებით) წარმოთქვათ თითოეულ კომპლექსში შემავალი თითოეული ხმოვანი. ყურადღება გაავამახვილოთ ხმოვნის არტიკულაციასა და აკუსტიკაზე, უზრევლეს ყოვლისა, ხმოვნის შემართვაზე: მისი არტიკულაცია და აკუსტიკა უსათუოდ სხვაგვარია უბაუზოდ წარმოთქმისას და სხვაგვარი – პაუზით წარმოთქმისას. სწორედ აქ, განცალკევებით წარმოთქმისას, ხმოვანი, რომელიც რწყმულობაში არ იყო ასეთი, ხდება მატარშემართვიანი, ანუ მის შემართვაში ჩნდება სწორედ ის ლარინგალი⁸⁶:

რწყმულად: განცალკევებით (ზაუზით):

δ_s : [$\delta \sim s$] [δ].....[βs], ခပ်မှ [δ βs]

$\delta\eta$: [$\delta \overset{\sim}{\eta}$] [δ].....[η], ခပ်ဗျ [δ η]


ბი: [ბ^ჰი] [ბ].....[ჰი], ანუ [ბ.....ჰი] და ა. შ.

ეფექტის ასამაღლებლად ეს ხერხი შეიძლება გამოვიყენოთ ზემოთ შემოთავაზებულ ხერხებთანაც (ჩაკეტილი ცხვირ-პირის ან ჩურჩხლის პირობებში), რაც კიდევ ერთხელ დაგვარწმუნებს მაგარი შეძართვის არსებობაში აქ.

თუმცა თუ შიშის ენის იხლაუტში ლარინგალური **ჲ** თითქოსდა ხლექს სიტყვას მარცვლებად, მარცვლებად თუ არა – ორ დამოუკიდებელ ფონეტიკურ მონაკვეთად: მარცხენა და მარჯვენა მონაკვეთებად. ამის გამო უცხო ყურისთვის რჩება შთაბეჭდილება, თითქოს სიტყვის ერთი (მარცხენა) ნაწილი წარმოადგენს ერთ სიტყვას, ხოლო მეორე (მარჯვენა) სხვას – სწორედ იმის წყალობით, რომ, შემართვის თვალსაზრისით, არავითარი განსხვავება არ არის ინლაუტის მაგარშემართვიან ხმოვანსა და ანლაუტის ჩვეულებრივ ხმოვანს შორის⁸⁷. მაგალითად:

86 პაუზა აღენიშნოთ მრავალწერტილით

87 თავის დროზე ამიტომაც იქნა მიჩნეული ინტერვოკალური **ც** ხმოვანთა გაცეფად. დამარცვლისას ინტერვოკალური **ც** წარმოითქმის მეორე ხმოვნის შეძართვის სახით, რის გამოც არის მეორე ხმოვანი მაგარშეძართიანი.



აქ **ხაყატი**, **გუგუტი** სიტყვების **წა** მარცვლის თავკიდურ ხმოვანს ისეთივე შემართვა აქვს, როგორიც **ა** ლექსების თავკიდურ ხმოვანს, რაც ტრანსკრიფციაში გაჩვენეთ კიდევაც.

ამგვარადვე: შეძართვის თვალსაზრისით, **იხ 'იარე!'** ლექსემის ანლაუტის ჩვეულებრივ ხმოვანს აბსოლუტურად ისეთივე ფონეტიკა აქვს, როგორც **ქიხ** მარცვლის ხმოვანს სიტყვაში **დიოხიხ** „წადი!“:

დოცინ: დოცინ (წადი!)
ინ: (ინ) 'იარე!'

ავიღოთ თუშურენოვანი გამონათქვამი **ხნაო ცო ხოყურა კედ ჰეტბარ** ‘ვინმესგან ვინმეს შეწუხება’ (ზედლიწი: ‘ვეტის ტენვა იქ, სადაც ხნაოც არ ეტევა’) და დაგმარცვლოთ ლექსემა **ხოყურა** ‘იქ, სადაც ეტევა’: **ხო-ყურა**. აქ –**ყურა** მარცვალი როგორც ფონეტიკით, ისე სემანტიკით იდენტურია ქართული **უჩა** ანთროპონიმის თუშურენოვანი ვერსიისა **უჩრა**. ისე რომ, თუშურ ენაში ერთმანეთის ფარდია –**ყურა** მარცვალი და ანთროპონიმი **უჩრა** ‘უჩა’:

ხოცუჲრა 'იქ, სადაც ეჭვევა' – ხოცუჲრა
 უჲრა 'უჲრა' – ხოცუჲრა

ანლაუტის ჩვეულებრივი ხმოვანი აქაც მაგარშემატვიანია.

ყველგან, სადაც კი თუშური ენის ჩვეულებრივი ხმოვანი აღმოჩნდება სიტყვის თავიდან (ანდა განმარტებით), ის უთუოდ ძლიერშემაღრთიანია, ანუ აღჭურვილია შემაღრთვისეული **ჲ** ლარინგალით. ოღონდ აქ ეს **ჲ** არ არის ფონემა: იგი ჩვეულებრივი ხმოვნის ატრიბუტია ისევე, როგორც, ღაფუშვით, დაყონება ან დამართვა.

§4 (23). ოკლუზია – მიდგომა III.

მივადექით ძიების სწორედ იმ მონაკვეთს, რომელიც ყველაზე დამაჯერებელი უნდა იყოს მკითხველისთვის.

ოკლუზია საერთოდ – ეს არის სამეტყველო ორგანოთა „ჩაკეტვა“, ხშვა ხშული (ხშულ–მსკდომი) თანხმოვნის წარმოთქმისას (ფრანგ. **occlusion** < ლათ. **occlusio** ‘ჩაკეტვა, დახშვა’), რის გამოც წარმოიქმნება ერთგვარი მექანიკური (მყისიერი) საარტიკულაციო ვაკუუმი (ლათ. **vacuum**), ბგერითი სიკარილე, პაუზა, ანუ, როგორც **გ. ახვლედიანი** იტყვოდა, უბგერო მდგომარეობა (ახვლედიანი, 1949, 123). ეს არის ხშული თანხმოვნის მეორე საარტიკულაციო მომენტი (მწვერვალი, ანუ დაყოვნება) ფონოლოგიაში ცნობილი სამი საწარმოთქმო მომენტიდან (ახვლედიანი, 1966, 37). ოკლუზიის გრაფიკულად (სქემატურად) გადმოცემა შეიძლებოდა **V**-თი (პირველი ასო ლათინური სიტყვისა **vacuum**), მაგრამ რაკი ამ სიმბოლოთი, როგორც წესი, აღვნიშნავთ ხმოვნებს (ლათ. **vocalis**), მოგვიწევს მისი ამობრუნება⁸⁸: **Λ**. თვით ხშული, რომელიც იწვევს ოკლუზიას, წარმოითქმის და ისმის არა ოკლუზიამდე ანდა ოკლუზიის დროს, არამედ ოკლუზიის მიმყოფო, ოკლუზიის დასრულების შემდეგ. ამიტომ: ტრანსკრიბირებისას **Λ** სიმბოლო უნდა განვათავსოთ ხშული თანხმოვნის წინ. მაგალითები ქართული და რუსული ენებიდან: **მათი** [მა^Λთი], **იმათი** [იმა^Λთი], **მეტი** [მე^Λტი]; **ветхий** – ве[Λт]хий ‘ძველი’, **закись** – за[Λк]ись ‘ქვეყანა’, **лук** – лу[Λк] ‘ხახვი; მშვილდი’ და სხვ.

ასეთ ოკლუზიას შეიძლება ვუწოდოთ **მარტივი** (ცალფა, ცალმაგი).

მაგალითები თუშური ენიდან ხშული **ც** თანხმოვნისთვის: **დაც**! [და^Λც] ‘მოიტა, მომე!’, **ლეც** [ლე^Λც] ‘სურს’, **ხიც** [ხი^Λც] ‘ჯდება’, **ლაცარ** [ლა^Λცარ] ‘სურვილი, ნდობა’, **ხაცარ** [ხა^Λცარ] ‘დაჯდობა’ და ა. შ.

სურათი ქართული **არაც** (ახვლედიანი, 1966, 105) ლექსემისთვის: **არ**[ა^Λრ].

ხშული თანხმოვნების დაყოვნების მომენტი არ იძლევა ბგერით ეფექტს და ამდენად წარმოადგენს **უბგერობას** ანუ **აკუსტიკურ პაუზას**, მიუხედავად სათანადო ორგანოთა მოქმედების უწყვეტელობისა (დამახლოებით გამონაკლისი სამეტყველო დატვირთვისა – ა. ბ.) მათი ხშვის (დაყოვნების)

88 რუსულ ტრანსკრიპციაში **Λ** სიმბოლო, როგორც წესი, აღნიშნავს უმახვილო **ა** და **ო** ხმოვნების რედუქციას პირველ მხველის წინა ანდა თავკიდურ პოზიციაში, რაკი არ უნდა აგვერიოს ხშული თანხმოვნებისთვის დამახასიათებელი თავისებურება.

მომენტში საწარმოთქმო ორგანოები მოქმედებენ: ჰაერნაკადს ერთხანს გზას უკეტავენ; მაშასადამე, არტიკულაციას ადგილი აქვს, მაგრამ ბგერა არ აღიქმება. ეს უბგერობა – აუცილებელი პაუზა – წარმოადგენს სამეტყველო ბგერის აღქმის აუცილებელ ნაწილს. ამიტომ ეს უბგერო მომენტი ჩვენი ცნობიერების გარკვეული ფაქტია: აღიქმება აკუსტიკური პაუზა, როგორც ხსენებულ ბგერათა განუყრელი ნაწილი (ახვლედიანი, 1949, 54).

მეტყველებაში, სიტყვათწარმოების, ფორმათწარმოების თუ შესიტყვებათა მშენებლობის წყალობით, ზოგჯერ ადგილი აქვს ერთგვაროვანი (სავსებით ერთნაირი) ანდა მსგავსი თანხმოვნების შეერთებას (ზედიზედ მისვლას), რის შედეგადაც, მივდივართ რა კვანტიტატიურ სხვაობამდე, ვიღებთ გრძელ თანხმოვანს: **მოგვგვის** [მო^Λგვის], **ბურთთან** [ბურ^Λთან], **ბელთან** [ბელ^Λთან]...

ბგერათწარმოებაში ამ გზით მიღებულ თანხმოვანს, ჩვეულებრივ, ეძახიან **გემინატს**, ანუ **გემინირებულ თანხმოვანს** (ლათ. **geminare** ‘შეუღლება, გაორკეცება’); ასეთი ხმოვნების შეერთებას ვეძახით **გემინაცია**; გემინირებულია **თ**, მაგალითად, სიტყვა–ფორმაში **მათთან** (ახვლედიანი, 1966, 100). ამ შემთხვევაში – და აქ კიდევ უფრო მეტად – ადგილი აქვს ოკლუზიას, დაყოვნებას, ანუ უბგერო მომენტს (იქვე, 123). აქ ვაკუუმი უფრო ცხადია და გამჭვირვალე.

მართალია, სამეტყველო ორგანოთა ხშვა ამ დროს ხდება ვაკუუმად (სწორედ ამ ხშვით იწყება საწარმოთქმო ვაკუუმი), მაგრამ რაკი განხშვა ჯერაც არ მომხდარა, ბგერა როგორც ასეთი არ ისმის არც ვაკუუმად და არც ვაკუუმის დროს („ისმის“ უბგერობა) და, მაშასადამე, ბგერა ჯერ არ არის ნაწარმოები – ის ჯერ მხოლოდ წარმოების სტადიაშია: ეს არის უბგერო (დაყოვნების) მომენტი, რომელიც კარგა ხანს („რამდენიც გვინდა“ – ახვლედიანი, 1966, 123) შეიძლება გაგრძელდეს, თუმცა ამით სათქმელი სემანტიკას არ კარგავს. გრძელი, ანუ გემინირებული თანხმოვანი, რომელიც გემინირებულ ოკლუზიას იწვევს, „ეთერში გადის“ არა ვაკუუმად ანდა ვაკუუმის დროს, არამედ ვაკუუმის (უბგერო მომენტის) დამთავრების შემდეგ – როგორც კი შესრულდება ის პროცედურა, რომელიც, ჩვეულებრივ, სრულდება ხშულის არტიკულირებისას: დახშული სამეტყველო ორგანოების მყისიერი განხშვა. თორემ უბგერო მომენტში შესაძლოა გადავიფიქროთ კიდევაც სიტყვის მომდევნო ნაწილის არტიკულირება და საერთოდ აღარ

წარმოვთქვამთ აღარაფერი – არც ის თანხმომავანი, რომელიც თურმე გემინირებული უნდა ყოფილიყო, არც სხვა ნებისმიერი ბგერა.

აქ კიდევ უფრო საინტერესოა ის, რომ ორი (გაორმაგებული) ხმოვანი თანხმომავნიდან ისმის მხოლოდ მეორე, რადგან უბგერო მდგომარეობაა პირველი ხმოვლის წინამავალი ბგერის დამართვიდან პირველი ხმოვლის დამართვამდე (ჩათვლით), ანუ მეორე ხმოვლის შეძართვამდე. რაც შეეხება მეორე ხმოვლს, გარეგნულად (აკუსტიკურად) ის წარმოითქმის და ისმის თავიდან (საკუთარი შეძართვიდან) ბოლომდე, ანუ საკუთარ დამართვამდე (ჩათვლით) და გამოდის ისე, რომ „სწორედ ის არ გაიგონება“, „რის გახანგრძლივებაცაა შესაძლებელი“ (ახვლედიანი, 1966, 123) და აუცილებელი, ანუ არ გაიგონება ის, რის გახანგრძლივებაც ფაქტობრივად ხდება: პირველი ხმოვი. აქ, ბგერათშეერთების პირველი წესის თანახმად, ორივე ხმოვლის საზიარო არტიკულაცია წარმოებს არა ცალ-ცალკე თითოეულისთვის, არამედ „მხოლოდ ერთხელ“ (ახვლედიანი, 1949, 100; ახვლედიანი, 1966, 99-100). ანუ ორი ერთნაირი ხმოვლ-მსკდომის ზედიზედ მისვლის შემთხვევაში შესაბამისი სამეტყველო ორგანოს (ორგანოების) მოძრაობა როგორც ხმის, ისე განხმის სახით (რაც საზიაროა ორივე ხმოვლ-მსკდომისთვის) ხდება **მხოლოდ ერთხელ**: ხმვა ხდება პირველისთვის, განხმვა – მეორისთვის, რაშიც უთვალსაზრისოდ რეალიზდება დროისა და ენერგიის ეკონომიის პრინციპი. და რაკი ბგერა წარმოითქმის და ისმის (მიიღება) არა ხმის, არამედ განხმის შემდეგ (მიმყოფი), ფაქტობრივად წარმოითქმის და ისმის (მიიღება) მეორე ხმოვი. მეტიც: ორივე ხმოვლის არტიკულაცია ცალ-ცალკე ორთოეპიულად არათუ დასაშვებია – გაუმართლებელიც კია. განხმისთანავე წარმოვთქვამთ **ერთ** ხმოვლს და გადავდივართ მომდევნო (მიმყოფი) ბგერის არტიკულაციაზე. და ეს **ერთი** ხმოვი არის **მეორე** ხმოვი, რადგან პირველი ხმოვი მოყვა, „შთანთქმება“ ვაკუუმში.

ერთნაირი ხმოვი თანხმომავნების ზედიზედ მისვლით მიღებული ოკლუზია ლინგვისტიკაში ნიშნავს სამეტყველო ორგანოთა ხმას ბგერის არტიკულაციის, ანუ წარმოთქმის პროცესში. ეს დებულება ლინგვისტიკაში დიდი ხანია დამკვიდრებულია და არავითარ ეჭვს არ იწვევს. მაგრამ ცალკე აღებული (ცალკეა) ხმოვლისგან განსხვავებით, ოკლუზია კიდევ უფრო თვალსაჩინოა და გამოკვეთილია ორი ერთნაირი ხმოვლის ზედიზედ მისვლის შემთხვევაში: „ჩვეულებრივი მოკლე ხმოვლის ხანგრძლიობა უდრის საშუალოდ წამის 10-

15/100, ხოლო გრძელისა – ორჯერ მეტს“ (ახვლედიანი, 1966, 123). მაშ, აქ ორჯერ მეტია ოკლუზია. ასეთ ოკლუზიას ვუწოდოთ **გემინირებული (გაორმაგებული)** და მისი გრაფიკულად აღნიშვნის მიზნით შევადგინოთ **V** და **Λ** სიმბოლოები: **X**. მაშასადამე, **თ-ს** წარმოთქმისას გვაქვს არაგემინირებული, ჩვეულებრივი (ცალკეა) ოკლუზია, ხოლო **თთ-ს** (**ტ-ს**) წარმოთქმისას – გემინირებული, გაორმაგებული; შდრ.: **მათი** [**მაΛთი**] – **მათთან** [**მაXთან**].

ფაქტობრივად ორი ხმოვლის ზედიზედ მისვლის შემთხვევაში სამეტყველო ორგანოებს ვამზადებთ (და ეს, თავისთავად, ასეც უნდა იყოს) ორი ხმოვიდან (**მათ,თ₂ან**) პირველი ხმოვლის წარმოსათქმელად, მაგრამ სინამდვილეში ვკმაყოფილებით უბგერო მომენტით (ვაკუუმით), ანუ ოკლუზიით, რომელსაც, ჯერ თუმცა შეიძლება არც უნდა რქმეოდა **გემინირებული**, მაგრამ რაკი მაინც გემინაციასთან გვაქვს საქმე, სქემაზე უკვე შეიძლება მივცეთ გემინირებული ოკლუზიის სახე: **მათ...[მაX...]**⁸⁹. ამ მზადყოფნას **ა** ხმოვნის მომდევნო **თ₂** თანხმომავნების წარმოსათქმელად აკუსტიკა (ყური) „ისმენს“ და აღიქვამს როგორც ბგერით სიცარიელეს, ვაკუუმს. მხოლოდ ამის შემდეგ წარმოვთქვამთ **ერთ – მეორე – ხმოვლს**, ანუ **ორივეს** ერთი ხმოვლის სახით „გავიგონებთ და ვიცნობთ“ „გათავებისას, ექსპლოზიაში“ (ახვლედიანი, 1966, 57): **მათ,თ₂ან** [**მაXთ₂ან**]. სხვა შემთხვევაში უნდა წარმოგვეთქვა ორივე ხმოვი – [**მათ,თ₂ან**], რასაც, სხვათაშორის, მიმართავს კიდევაც ზოგიერთი „ბეჯითი“ მოსაუბრე, რომელსაც არად მიაჩნია ორთოეპიული ნორმატივები⁹⁰.

გამოდის, აქ ერთგვარ პარადოქსთან გვაქვს საქმე: ბგერათშეერთების პირველი წესის, ანუ საზიარო არტიკულაციის შესაბამისად, ორი ჰომორგანული (სავსებით მსგავსი) ბგერის დამეზობლებისას თუმცა, დიან, ხდება **ორი** ბგერის არტიკულაცია, მაგრამ, ადგილი აქვს რა სათანადო ორგანობის საზიარო (ერთიანობა) არტიკულაციას და, მაშასადამე, ეს არტიკულაცია ორმაგდება და გრძელდება რა უწყვეტლივ, ორმაგდება და უწყვეტლივ

89 აქ **X** სიმბოლო მიგვანიშნებს იმაზე, რომ ენის წვერი მიბჯენილი გვაქვს წინა ზედა კბილებზე.

90 არააშული გემინირებული თანხმომავნების შემთხვევაში ხმას, რა თქმა უნდა, არ ექნება ადგილი, მაგრამ უსათუოდ გვექნება სახეზე სამეტყველო ორგანოთა შეხერხება შესაბამისი დროით, რაც ფიზიოლოგიურად ახლოებს გემინირებულ ხმოვლებსა და არააშულებს. განსხვავება მათ შორის (გემინირებულ ხმოვლებსა და გემინირებულ ნაპრალოვნებს შორის) ალბათ მხოლოდ ისაა, რომ ხმოვლებს „გავიგონებთ და ვიცნობთ, ჩვეულებრივ, გათავებისას, ექსპლოზიაში, ხოლო მყოფრების (ნაპრალოვნების) „გამოცნობა შეგვიძლია მათი წარმოთქმის ყველა მომენტში“ (ახვლედიანი, 1966, 57).

გრძელდება ის **ერთი** საწარმოთქმო ვაკუუმიც, ანუ ის **ერთი** უბგერო მო-
მენტი, რომელზეც აშკარად სიტყვა გაგვიგრძელდა.

გემინირებული ოკლუზიის სულ რამდენიმე მაგალითი რუსული, ქა-
რთული და თუშური ენებიდან: **оттепель** [oXtʰ]eპელ⁹¹ *‘ლოდმის დაკვრა
(დათბობა ზამთარში ან ადრე გაზაფხულზე)’*; **подданство** [poXd]ანство
‘ქვეშევრდომობა’; **მედლახმარება** [მეXლახმარება], ათთან [აXთან]; **ჰედლარ**
[ჰეXლარ] *‘დაგვიანება’* (act.), **ბადლაღარ** [ბაXლაღარ] *‘დაობლება’* (pass.).

მეტეც: თუკი, მაგალითად, ერთმანეთის მიმყოლ აღმოჩნდება მეწყვილე ყრუ
და მჟღერი (ან მჟღერი და ყრუ) ხშულები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ასე თუ ისე
სხვადასხვა სოციალური დატვირთვის ბგერებია, გემინირებული ოკლუზიის წყა-
ლობით, ორიდან ჰირველი, როგორც წესი, საერთოდ ითიმება არტიკულაციიდან
– თვით მჟღერიც კი: **კეთლება** > [კედ.ღება] > [კეXღება], **კაბინეტთან** > [კაბინეთ-
თან] > [კაბინეXთან], **გიულდენშტეტლი** > [გიულდენშტეტ.ტი] > [გიულდენ-
შტეXტი], **მიქქონდა** > [მიქქ.ონდა] > [მიXქნდა], **გადაგვიდა** > [გადაკკიდა]
> [გადაXკიდა]... ასეა სხვა ენებშიც, თუკი მსგავს დისტრიბუციას აქვს ადგილი.

აქ განხილული გემინირებული ოკლუზია, როგორც **გ. ახვლედიანი** იტყო-
და, **კონტაქტურია**, რადგან მას იწვევს ბგერათა უშუალო მეზობლობა (კონ-
ტაქტი) ერთი სიტყვის ფარგლებში.

გხედავთ აგრეთვე, რომ ოკლუზიას ადგილი აქვს თვით მჟღერი ხშულების
თავმოყრის შემთხვევაშიც კი (ახვლედიანი, 1966, 123), რაც არ ხდება, დაეუშ-
ვათ, ზოგიერთი სხვა მჟღერი ხშულის წარმოთქმისას (ახვლედიანი, 1949, 54):
ცალკეული (განცალკევებული) მჟღერი ხშულის „წარმოთქმის პროცესში
„უბგერობას“ ადგილი არა აქვს“, რადგან მისი „ხშვის ღროს სახმო სიმების
ვიბრაციული მოქმედება (ჟღერა) არ წყდება, და გვესმის გაუფორმებელი
ხმა, „ღღღანი“, რომელსაც გერმანულად **Blählaut** ეწოდება“ (იქვე, 54).

ფონეტიკური (არტიკულაციური და აკუსტიკური) თვალსაზრისით, ასეთ-
სავე ხასიათს ამჟღავნებენ თუშური ენის ინტენსიური თანხმოვნები; მდრ.:
ქართ. ენ. **ათთან** [აXთან] – თუშ. ენ. [ათან] *‘ძროხას’*, **ერთთან** [ერXთან] –
ეთსა [ეXთსა] *‘დგებასავით’*, **ხუთთან** [ხუXთან] – **ბუთსა** [ბუXთსა] *‘მთვარე-
სავით’*, **ხილთან** [ხიXთან] – **ლითარ** [ლიXთარ] *‘რეცხვა’*⁹².

91 აქ – სიმბოლო აღნიშნავს თანხმოვანის, ამ შემთხვევაში T-ს სილბოის რუსულ ენაში.

92 თუშკა, როგორც კ. ჭრელაშვილმაც შენიშნა სრულიად მართებულია (**ჭრელაშ-
ილი**, 1975, 46–52), ფოლოლოგიური თვალსაზრისით, უნდა შეგვეძლოს გემინირებული
და ინტენსიური თანხმოვნების ერთმანეთისგან განსხვავება.

ყველაზე უფრო საინტერესო ის არის, რომ რწყმული (ბმული) მე-
ტყველების ღროს გემინირებულ ოკლუზიას ადგილი აქვს ერთ სინტაგ-
მად (ერთ შესიტყვებად) შეკრული ცალკეული სიტყვების შეპირაპირების,
სიტყვების ზედიზედ მისვლის ადგილასაც (**Бартишвили**, 1998, 15), რომ-
ლის ფარგლებშიც ბგერათა კოარტიკულაციისა და ვარიანობის წესები
ხორციელდება ისევე, როგორც ნებისმიერი მარტივი სიტყვის ფარგლებში.
კერძოდ, სიტყვების შეპირაპირების ადგილას ხორციელდება ჰოზიციურად
განაწილებული ის ცვლილებები ბგერებისა, რომლებიც მიეკუთვნებიან **სან-
ღმის**, რომელიც, თავის მხრივ, მაგალითია ე. წ. **სასაზღვრო სიგნალებისა**⁹³. და
ლ. შერბამ შემთხვევით არ განსაზღვრა **სინტაგმა**, როგორც ის „ფონეტი-
კური ერთობა, რომელიც მეტყველება–აზროვნების პროცესში ერთ აზრო-
ბრივ მთლიანობას გამოხატავს“ (**ЛЭС**, 1990, 447). ამ შემთხვევაში გემინი-
რებული ოკლუზია არის **დისტანციური** (ლათ. **distantia** *‘დისტანცია’*), რაშიც
იგულისხმება გრაფიკული (ვიზუალური) და წარმოსახვითი მანძილი, ანუ
დაშორება ოკლუზიის გამომწვევი ბგერების აღმნიშვნელ გრაფემებს შორის
და რაც გვახსენებს, რომ ამ ბგერებიდან ერთი შესიტყვების ჰირველი წევრის
აუსლაუტშია, მეორე – მეორე წევრის ანლაუტში. თუკი დისტანციას ადგენი-
ნავთ **D** სიმბოლოთი (ჰირველი ასოა ლათ. სიტყვისა **distantia**), დისტანცი-
ური გემინირებული ოკლუზიისთვის ვიღებთ: **DX**⁹⁴. მაგალითები ქართული
სალიტერატურო არტიკულაციიდან: **ლამაზად დაჯექი! [ლამაზადDXდაჯექი]**,
რარივ გიხდება! [რარიDXგიხდება], **ერთ თვეშიერDXთვეში**...

სწორედ ეს არის დისტანციური გემინირებული (გაორმაგებული) ოკლუ-
ზია, რომელიც შედეგია ხშული **დ და დ, გ და გ, თ და თ** თანხმოვნების თავ-
მოყრისა (ზედიზედ მისვლისა).

ახლა თუშური ენიდან ავიღოთ ცალკეული სიტყვები: **ადთაყრ** „ნათლია“,
ეგრკვ *‘კალთა’*, **ისკამბ** *‘წიპურტი’*, **ორკულ** *‘ძაფის გორგალი’*, **უდსთხი**
‘ნერბი’.

ამგვარი ხმოვანანლაუტიანი სიტყვები მეტყველებაში შეიძლება აღ-

93 სანსკრ. **sandhi** *‘კავშირი, შეერთება’* – ბგერების ცვლილება მორფემების ნაკერებ-
სა თუ ორი სიტყვის საზღვარზე; სიტყვების ან წინადადებების საზღვარზე რეალი-
ზებული უწოდებენ გარე სანდჰის, ხოლო მორფემების საზღვარზე რეალიზებულს
– შიდა სანდჰის (**ЛЭС**, 1990, 432).

94 მართალია, აქ **X** სიმბოლოს შინაარსობრივად არაფრეა აქვს საერთო ლათ. ანბა-
ნის 22-ე **Xx** (იქს) ასოსთან, მაგრამ, გარეგნულ მსგავსებაზე დაყრდნობით, **DX** სიმ-
ბოლოები შეიძლება წავიკითხოთ, როგორც „დე იქს“.

მოხსენებენ **ც**-ზე დაბოლოებული სიტყვების მიმყოფელ და მათთან ერთად ჩამოაყალიბონ შესიტყვებები (სინტაგმები): **ვშივეც ამათაყრ** ‘*ოთხი ნათლია*’, **მშივეც ემრკან** ‘*ოთხი კალთა*’, **ბშივეც ისკამბ** ‘*ოთხი წიპურტი*’, **დშივეც ორკულ** ‘*ძაფის ოთხი გორგალი*’, **ბშივეც უმსთხი** ‘*ოთხი ნერბი*’.

ის, ვინც მკითხველთაგან ჯერაც არ დათანხმებია ანლაუტის ჩვეულებრივ ხმოვანში მაგარი შემართვის არსებობას (ამ შემთხვევაში – თუშურ ენაში), მაგრამ ამავე დროს ფლობს **ც**-ს ორთოეპიას, უსათუოდ შეამჩნევდა უკვე, რომ ამ შესიტყვებების წევრთა შესაყარში ნამდვილად აქვს ადგილი დისტანციურ გემინირებულ ოკლუზიას, რომელიც ამოიცნობა იმით, რომ აქ იქმნება უბგერო მდგომარეობა და რომ ეს მდგომარეობა (დაყოვნება) „შესაძლებელია გაფაგრძელოთ, რამდენიც გვინდა“ (ახვლედიანი, 1966, 123). ტრანსკრიფციაში ეს იღებს ასეთ სახეს:

ვშივეც ამათაყრ	[ვშივეDX ამათაყრ]
მშივეც ემრკან	[მშივეDX ემრკან]
ბშივეც ისკამბ	[ბშივეDX ისკამბ]
დშივეც ორკულ	[დშივეDX ორკულ]
ბშივეც უმსთხი	[ბშივეDX უმსთხი]

რწყული მკითხველების არსიდან გამომდინარე, აქ საქმე გვაქვს წარმოთქმასთან ერთი მთლიანი ნაკადის სახით, ანუ წარმოთქმასთან ერთი ფონეტიკური სიტყვის სახით. და სწორედ აქ წარმოიქმნება **DX** სიტუაცია⁹⁵. **DX**-ს კი, როგორც ითქვა, ადგილი აქვს ერთადერთ შემთხვევაში: ორი ერთნაირი ხმოვან-მსკდომის ზედიზედ მისვლის შემთხვევაში (ახვლედიანი, 1966, 123). მაშ, აქ **DX**-ს იწვევს შესიტყვების | წევრის აუსლაუტის **ც**-ს შეკავშირება, შეერთება || წევრის ანლაუტის **ც**-სთან.

ამრიგად, ამ შესიტყვებათა შეპირაპირების ადგილში თავს იყრის ორი **ცც**, რომელთაგან ერთი, რომელიც ფონოლოგიური სიდიდეა, ხილვადია და განთავსებულია შესიტყვების პირველი წევრის აუსლაუტში (**ვშივეც**, **მშივეც**, **ბშივეც**, **დშივეც**), მეორე კი, რომელიც ფონეტიკური სიდიდეა, ვიზუალურ განზომილებაში არ ფიგურირებს და შესიტყვების მეორე წევრის ანლაუტშია დაბანაკებული, რაც ტრანსკრიფციაში ასეც შეიძლება გადმოიცეს:

⁹⁵ დისტანციური გემინირებული ოკლუზია ჩვენ უკვე აღვნიშნეთ სიმბოლოთი **DX**; ამის შემდეგ მსჯელობისას ნაცვლად შესიტყვებისა „დისტანციური გემინირებული ოკლუზია“ ზოგჯერ ვიხმაროთ **DX** სიმბოლიკა.

ვშივეც ამათაყრ	[ვშივეც ამათაყრ] ან [ვშივეც ამათაყრ]
მშივეც ემრკან	[მშივეც ემრკან] ან [მშივეც ემრკან]
ბშივეც ისკამბ	[ბშივეც ისკამბ] ან [ბშივეც ისკამბ]
დშივეც ორკულ	[დშივეც ორკულ] ან [დშივეც ორკულ]
ბშივეც უმსთხი	[ბშივეც უმსთხი] ან [ბშივეც უმსთხი]

ახლა საშუალება გვქმნება ცალკე ამოვწეროთ შესიტყვებების მეორე წევრები, სადაც ანლაუტის ხმოვანი გაფორმდება საწყისი ფონეტიკური **ც**-თი:

ამათაყრ	[ამათაყრ] ‘ <i>ნათლია</i> ’
ემრკან	[ემრკან] ‘ <i>კალთა</i> ’
ისკამბ	[ისკამბ] ‘ <i>წიპურტი</i> ’
ორკულ	[ორკულ] ‘ <i>ძაფის გორგალი</i> ’
უმსთხი	[უმსთხი] ‘ <i>ნერბი</i> ’

სხვა მაგალითები⁹⁶: **ლუც აუჯ** [ლუცაუჯ] ‘*უნდა (რომ) თქვას*’, თხაყ ალ! [თხაყალ] ‘*დღესვე თქვი (უთხარი)*!’, ხეც იშტ [ხეცეშტ] ‘*იცის ასე*’, ჰალოც იხტ [ჰალოცეხტ] ‘*ისეე იმაკა*’, სოც ეტღებ! [სოცეეტღებ] ‘*ისეე გამოავლე*!’, სოც ოთღებ! [სოცეოთღებ] ‘*ისეე გადმოღვი*!’, ჰალოც უმათ [ჰალოცეუმათ] ‘*ისეე ადგება*’, ტყოც ალ [ტყოცეალ] ‘*კიდევ თქვი*!’, მშივეც უთხ [მშივეცეუთხ] ‘*ყველის ოთხი ნაჭერი*’, მოც ალარ [მოცეალარ] ‘*იტყოლი ძინც*’, დაც ის დანხარ! [დაცეისდანხარ] ‘*მოძე ეგ შეშა*!’, დადენ ხეც ე ამბუჟ [ხეცეეამბუჟ] ‘*მამამ იცის ეს ამბავი*’, ვაშენ ლუც უმსთხ ეცა [ლუცეუმსთხეცა] ‘*ძმას უნდა ნერბის ყიდვა*’ და ა. შ.

DX სიტუაციები თუშურენოვან ტექსტებში (მიქელაძე, ..., 2011; მიქელაძე, ..., 2014): **ვქ დოკ დაკდეგნორ**, ჩუც უმათორ [ჩუცეუმათორ], ბზარკი ნიფსინორ ლათანენარ ‘*მერე ელოვით ანდებოდა გულისგული, ისეე შეჩერებულიყო, თვალი გაესწორებინა შესარკინებლად*’, მჟლ გერელ დორწნორ ნანქ დოკ, ქოკ ოშტიც ჰათხაყ ოთბინორ [ჰათხაყეოთბინორ] ‘*უფრო მეტად გაქვავებოდა დედას გული, ბიჯი კვლავ გადაედგა წინ*’, ცჰან-გეჩუშნ ხეცეკაყ ალარ... [ხეცეკაყეალარ] ‘*ვიღაც-ვიღაცეებმა იციან ხოლმე თქმა...*’, ლარაყ ოსი, მიჩახ [ლარაყეოსმიჩახ] ბზარკ გაყბინას ჰოხ ‘*უცებ იქ, სადაც თვალი მოგკარ*’, ლაუშმე წმვერლოქდა გექრალორ ქოკი სოდაკაყ ოთამოშ [სოდაკაყეოთამოშ] ‘*მთის წვერიდან დაიკვლოდა თურმე ფეხების ოდნავ განზე გადგმით*’, ყურბან... ჰალოც აბარგბადქალაქ [ჰალოცეაბარგბადქალაქ]

⁹⁶ **DX** სიმბოლოების ნაცვლად ახლა უკვე გამოვიყენოთ **ცც** გრაფიკები.

ლაშქრ... 'ყურბანა... კვლავ აბარგდა მთაში', ტყუმაჰსინეგეც ამაუნორ [ტყუმაჰსინეგეცაუნორ] 'ბოლოსდა ეთქვა', დაკნ ლეცნი ცო ლეოდმაკეშ – ჰამახეც ის და [ჰამახეცისდა] ხალანა 'გულისთქმის უთქმელობა – ყველაზე (მეტად) ეგ არის გულისტკენი', ძც მოც აუოლ ვად [მოცყალოლეც] ვაშ-ბიგო, უქ ყაჰალოქ ვადნ დენოლა 'ენლა მინც ეუთხრათ ერთმანეთს, რატომ გაგვიმწარდა სიცოცხლე', მოც აფუშ ცო ბოჟგრ [მოDXცაგუშცობოჟგრ] 'ნამცეცი ტყუილი არ ურევია', ძშიც ზჯხეც [ძშიცDXცოჯხეც] 'ოთხმა ზჯახმა', მარჟ ლანა მოც ეჰათ [მოDXცეჰათ] დარ 'მაშინ იყო რა კარგი', გქ თოცნ ჰეტესდიქ ქე ოშიც ოსხ [ცოშტიDXცოსხ] 'მერე კიდევაც გზენეს ცხვარი ისე იქ' და ა. შ.

ჰალოც აბარგბად[ქალ] [ჰალოცყაბარგბად[ქალ] 'კვლავ აბარგდა' შეს-იტყვების მეორე წევრის პირველი ნაწილი აბარგბა– მომდინარეობს ქართული სიტყვიდან აბარგება, რაც ნაწილობრივ უკვე მიგვანიშნებს იმაზეც, რომ ქართულ აბარგება სიტყვაშიც თავკიდური ხმოვანი ისევეა მაგარშემართვიანი, როგორც თუშურ ენაში: [ცაბარგება].


თუკი აქ მოხმობილი შესიტყვებების საზღვარზე მონაწილეობას არ მიიღებდა ზედიზედ მისული ორი ცხ, არავითარ შემთხვევაში არ წარმოიშობოდა DX, ისევე როგორც არა გვაქვს DX, თუკი, მაგალითად, შესიტყვების მეორე წევრი იწყება სხვა ნებისმიერი ხშული თანხმონი.

კიდევ უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანი ისა, რომ ფონეტიკური შეკავშირებისას აუსლაუტისეული ც–ს არმქონე სიტყვებთან შესიტყვების მეორე წევრის თავკიდურმა ხმოვანმა უმტკივნეულოდ შეიძლება დაკარგოს ჩვენ მიერ გამოვლენილი მაგარი შემართვა და ამით შეიძლება მივიღოთ ვარიანტული ფორმები: ფხი ატყ [ფხიწყატყ] / [ფხიატყ] 'ხუთი მშვილდი', ში უსთხი [შისუსთხი] / [შისუსთხი] 'ორი წერტილი', დეთხ ემრკნ [დეთხეცემრკნ] / [დეთხეცემრკნ] 'ქვესი კალთა' და ა. შ.

მაგრამ, პირველი წევრის ბოლოკიდურში ც–ს არსებობის შემთხვევაში არაფრით არ თმობს მაგარ შემართვას მეორე წევრის ანლაუტისეული ხმოვანი, ანუ ხელოვნურად რჩება DX. ხოლო თუ უარვეყოფთ DX–ს, ანუ ზედიზედ მისული ორი ც–დან იგნორირებას გადაუკეთებთ ერთ–ერთს, სულერთია, რომელს, გარდაუვალია ნათქვამის დესოციალიზაცია – სემანტიკის შეცვლა ანდა მისი მთლიანად დაკარგვა. – რატომ?

ერთი მხრივ, მართალია (ზეპირმეტყველების ფონეტიკური მოთხოვნილე-

ბების შესაბამისად), შესიტყვებაში შემავალ წევრებს წარმოეთქვამთ ერთი ფონეტიკური სიტყვის სახით, მაგრამ, მეორე მხრივ, ზეპირმეტყველებისავე, კერძოდ, სუნთქვითი პროცესების მოთხოვნილებების შესაბამისად, სიტყვას და, მასასადაშე, შესიტყვებასაც წარმოეთქვამთ არა ერთბაშად (როგორც, მაგალითად, თოფი ისვრის), არამედ წარმოთქმის უმცირესი ბუნებრივი ელემენტების – მარცვლების – სახით (როგორც, მაგალითად, ავტომატის ჯე-რია). დამარცვლისას კი, როგორც ვნახეთ, ორ ხმოვანს შორის მოყოლილი ც გადადის მეორე ხმოვნის მხარეზე, თუნდაც მორფოლოგიურად ის იყოს პირველი მარცვლის კუთვნილება. სწორედ იმის წყალობით, რომ ფორმისა თუ მნიშვნელობის შემცველი ც გადაადგილდება საწარმოთქმო მოთხოვნილებების მიხედვით, ხდება სემანტიკის „გადაადგილება“⁹⁷:



ანუ: აქ ორი ცხ–ს არტიკულირება გვაძლევს სწორ ფორმებს, ერთისა კი არა.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თუშური ენის ჩვეულებრივი ხმოვნების ყველა კორელატი, რომელსაც კი შეუძლია ანლაუტის პოზიციის დაკავება, ასევე მაგარშემართვიანია.

მოკლედ, დაკვირვება გვიჩვენებს, რომ თუშური ენის ანლაუტის ჩვეულებრივი ხმოვნები (და მათი კორელატები) უსათუოდ ძლიერშემართვიანები

97 ამავე მიზეზით ხდებოდა ამგვარივე რამ ზემოთ, როცა მივმართავდით ამა თუ იმ სიდიდის „ამოკვეთას“ ცალკეული სიტყვების რწმული არტიკულაციიდან; ამავე მიზეზით ხდება ის, რომ „ჩვენ ვერ გამოვიცნობთ, თუ რამდენი სიტყვაა უცნობ ენაზე წარმოთქმულ წინადადებაში, მაგრამ მარცვალთა რიცხვის გამოცნობა მასში არ არის მძელი“ (ანგლოელიანი, 1966, 113).

არიან. სხვა რამ მიზეზი **DX**-ს არ შეიძლება გააჩნდეს, გარდა საწარმოთქმო პათოლოგიისა, რაც ჩვენი მსჯელობის სფეროს სცილდება. აქ გამოვლენილი **DX** (დისტანციური გემინირებული ოკლუზია) ნიშანია სულ ცოტა ორი ერთ-ნაირი ხშულის – ამ შემთხვევაში ორი **სს** ლარინგალის – ზედიზედ მისვლისა.

ეს – III – მიდგომა ყველაზე დამაჯერებელი უნდა იყოს აქ შემოთავაზებული მიდგომებს შორის. გემინირებული ოკლუზია ყველაზე თვალსაჩინო სიტუაციაა **ს** ლარინგალის ამოსაცნობად თუშური ენის ანლაუტისეული ხმოვნების შემადგენლობაში. ოღონდ, გავიმეოროთ, ეს **ს** აქ არის არა ფონოლოგიური, არამედ ოდენ ფონეტიკური მოცემულობა.

ამრიგად, გარდა იმისა, რომ თავად ბგერათა გარკვეული დისტრიბუციის შედეგს წარმოადგენს, ოკლუზია, თავის მხრივ, გვეხმარება თვით ამ დისტრიბუციის ჭვრეტასა თუ გამოვლენაში, რაც შეიძლება გამოვიყენოთ შემდგომ საკვლევაშიც. ოკლუზიას არ ექნებოდა ალბათ რამენაირი ღრეხულება, მარტო თუშური ენის ხმოვანთა ხასიათს რომ ავლენდეს.

§5 (24). მიდგომა IV: დაკვირვება უფროსი თაობის მეტყველებაზე.

დღეს მოწმენი ვართ იმისა, თუ როგორ ხდება თუშურ ენაში ჩვეულებრივი ხმოვნი დაწყებული სიტყვის მიერთება (ბმა) წინამავალ სიტყვასთან ბოლოკი-დური ნაზალიზებული ხმოვნი (ბართიშვილი, 1995): თუ აუსლაუტისეული ნაზალიზებული ხმოვანი თავისუფლდება ნაზალობისგან, მაშ, საქმე გვაქვს ორი ლექსემის შეერთების წყალობით წარმოქმნილ და ახლა უკვე ხმოვნისწინა ინლაუტში მოყოლილ **V6** (ხმოვანი + **6**) კომპლექსთან. მაგალითად, ვახტ **წასვლა, წასასვლელოდ** + ალქ **თქვა** > ვახანალოქ **წასვლაო, წასასვლელოდო, თქვა**.

უფროსი თაობის მეტყველებაში ამგვარი კომპოზიციების საზღვარზე, ანუ ყოფილ ინლაუტში (რომელიც მერე ინლაუტად იქცა) არცთუ იშვიათად ისმის ხმოვნისწინა **ს** ბგერა. ე. ი. მოსაუბრე წინამავალი სიტყვის აუსლაუტის ნაზალიზებულ ხმოვანს ათავისუფლებს ნაზალობისგან (**V̇ > V6**) და ამით ამხადებს მას მომდევნო ხმოვანთან შესაერთებლად (**V6V**), მაგრამ მომდევნო ხმოვანს არ ათავისუფლებს მისი ყოფილი თავკიდური ფონეტიკური **ს**-სგან, ანუ ძლიერი შემართვისგან (**V6სV**): ვახანალოქ [ვახანსალოქ] **წასვლაო, წასასვლელოდო, თქვა** (< ვახტ **წასვლა, წასასვლელოდ** + ალქ [სალოქ] **თქვა**) – ნაცვლად იმისა, რომ გარდამავალი ბგერის დახმარებით

მეორე წვერის ანლაუტის ხმოვანი ლეგატოთი „ნარნარად“ (**ПЛАВНО**) გადაება წინა სიტყვის **6** თანხმოვანთან, დავუშვათ, ასე: ვახან[**6**]ალოქ.

უფროსი თაობის ეს არტიკულაცია – [ვახანსალოქ] – კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ ანლაუტის ხმოვანი შედგება საწყისი **ს** თანხმოვანი ბგერისგან (ძლიერი, მკვეთრი შემართვისაგან): ალოქ[სალოქ].

ქართული **‘ერთ-ნახევარი’** სიტყვის თუშურენოვანი ეკვივალენტის ინლაუტში – ყოფილი დამოუკიდებელი ლექსემების (ანლა კი მორფემების) ნაკერზე – ჩნდება ვარიანტული **ს** („ვარიანტული“ იმიტომ, რომ ის შეიძლება არც გაჩნდეს). თუმცა „ჩნდება“ უნდა გვეთქვას იმ შემთხვევაში, თუკი საერთოდ არ გვექნებოდა წარმოდგენა ანლაუტის **ს**-ზე, მაგრამ რაკი ასეთი (ანლაუტის) **ს**-ს შესახებ ასე თუ ისე ჩამოგვიყალიბდა გარკვეული მოსაზრება, უკვე შეგვიძლია ვთქვათ: ინლაუტში (მორფოლოგიური სიდიდეების ნაკერზე) ყოფილი შემართვისეული **ს** რჩება ადგილზე, ანუ ყოფილი ანლაუტისეული ჩეულებრივი ხოვანი ინლაუტში „შემოდის“ მისი კუთვნილი შემართვისეული **ს**-თი: ცჰა **‘ერთი’** + ჰს [სჰს] **‘ნახევარი’** > ცჰა-ას [ცჰაას] / [ცჰაჰს] **‘ერთ-ნახევარი’** > ცჰაანალოქ [ცჰაანალოქ] / [ცჰაანსალოქ] **‘ერთ-ნახევარიანი’**, ფხი [ფხი] **‘ხუთი’** + ჰს [სჰს] > ფხი-ას [ფხიას] / [ფხიჰს] **‘ხუთ-ნახევარი’** > ფხიანალოქ [ფხიანალოქ] / [ფხიანსალოქ] **‘ხუთნახევარიანი’**, ტყა **‘ოცი’** + ჰს [სჰს] > ტყა-ჰს [ტყაჰს] / [ტყაჰს] **‘ოც-ნახევარი’** > ტყანალოქ [ტყანალოქ] / [ტყანსალოქ] **‘ოცნახევარიანი’**...

ანუ: ის ადგილი, სადაც უწინ ლექსიკური (და, მაშასადამე, ფონეტიკური) საზღვარი გადიოდა, დღეს მოინიშნება ოდენ ფონეტიკური საზღვრით (რასაც, მახვილთან ერთად, უზრუნველყოფს ყოფილი ანლაუტის ხმოვნის შემართვისეული **ს** ლარინგალი, რომელიც, ჩვენი მსჯელობის მიხედვით, სიტყვების შეერთებამდე უკვე იყო აქ). ეს თითქოსდა მიგვანიშნებს ყოფილ ლექსიკურ ერთეულთა სტატუსის ერთგვარ ხელშეუხებლობაზე. ასეთი ტაბუ კიდევ უფრო ცხადად ჩანს იმ ურთულეს თუშურენოვან სიტყვებში, ასეც ვიტყვით, სიტყვა-ნოველებში, რომლებზეც ცალკე ეგების საუბარი:

დებლ-სე’ბლდალ’დე’წლანუცენსუ’დლნორიცე’მში

[დებლ-სე’ბლდალ’დე’წლანუცენსუ’დლნორიცე’მში]

‘აკი გეთქვით თურმე, თითქოს უნდა იკორთალონო თურმე’

აქ **ს** ლარინგალი თითქოსდა აშორიშორებს (განჰყრის) რთულ ქვეწყობილ

წინადადებაში შემავალ მთავარ და დამოკიდებულ ნაწილებს:

მთავ.: უ' *მღწირობა* ცე' მში [ცუ' *მღწირობა* ცე' მში] <

< ე' *მღწირობა* ცე' მში [ცე' *მღწირობა* ცე' მში] <

< ა' *მღწირობა* ცე' მში [ცა' *მღწირობა* ცე' მში]

(< *აღარ* [ცა-უარ] 'თქმა') 'აკი გეთქვათ თურმე'

დამოკ.: დებლ-სე' *ბღდალადე* წდანუ მცემნ(რ)

(< *დებღდალარ* 'გვერდზე ვარდნა') 'თითქოს უნდა

იკოტრიპლონო თურმე'

ამდენად: უფროსი თაობის ხელში მეტყველება უფრო გამოკვეთილი, ძარღვიანი და, მასადაბე, ექსპრესიული იყო, რაშიც გამოიხატებოდა ენისადმი მის მფლობელთა ფიქრიანი, აქტიური დამოკიდებულება. დღევანდელ თაობას ბევრჯერ წარმოდგენაც არა აქვს, მაგალითად, ამგვარ სიტყვა-ნოველებზე. ჩვენ კი უფროსი თაობის მეტყველებისთვის დამახასიათებელი სრული სტილი გვეხმარება ზოგაერთი ფონეტიკური დაკვირვების წარმოებაში.

§6 (25). მიდგომა V: შიზოფონია თუ შურენოვანი და ქართულენოვანი ლექსების დამეზობლებით.

ახლა **ც**-ზე დაბოლოებული სხვა თუ შურენოვანი სიტყვები სინტაგმატიკური შეთავსებულობის პრინციპის დაცვით დაფუძნებულად ჩვეულებრივ ხმოვანზე დაწყებულ სხვა ქართულენოვან (ანდა თუ შურენოვან ქართული ენის მეშვეობით შემოსულ სხვაენოვან) სიტყვებს, სადაც ანლაუტის ხმოვნის ძლიერი შემართვა დღესდღეობით არათუ მიჩნეული – შემჩნეულიც არ არის. დავინახავთ, რომ აქაც ადგილი აქვს დისტანციურ გემინირებულ ოკლოზიას (**DX**), რაც, როგორც ითქვა, ანლაუტის ხმოვნის ძლიერი შემართვის დამადასტურებელია: *ლეც ახსნად* [ლე**DX**ახსნად] 'უნდა ახსნა' (< ქართ. ახსნა), *დაც ატამ!* [და**DX**ატამ] 'მოძე ატამი!' (< ატამი), *დაც ქძლაცრ!* [და**DX**ქძლაცრ] 'მოძე ენძელა!' (< ენძელა), *დაც ქცეკლოპელია!* [და**DX**ქცეკლოპელია] 'მოძე ენციკლოპელია!' (< ენციკლოპელია), *დაც ია!* [და**DX**ია] 'მოძე ია!' (< ია), *დაც იოდი!* [და**DX**იოდი] 'მოძე იოდი!' (< იოდი), *დაც ოქრო!* [და**DX**ოქრო] 'მოძე ოქრო!' (< ოქრო), *დაც ოდეკოლო!* [და**DX**ოდეკოლო] 'მოძე ოდეკოლონი!' (< ოდეკოლონი), *ბაც ურემ!* [ბა**DX**ურემ] 'მოძე ურემი!' (< ურემი), *დაც უთო!* [და**DX**უთო] 'მოძე უთო!' (< უთო)...

წარმოდგენილია სურათი ხუთივე ქართული ხმოვნისთვის. გამოდის, რომ

ქართული სტატუსით ნასესხები სიტყვებში **ახსნა**, **ატამი**, **ენძელა**, **ენციკლოპელია**, **ია**, **იოდი**, **ოქრო**, **ოდეკოლონი**, **ურემი**, **უთო** ანლაუტის ხმოვანი ძლიერ შემართვიანია: [ახსნა], [ატამი], [ენძელა], [ენციკლოპელია], [ცია], [ცოდი], [ცოქრო], [ცოდეკოლონი], [ცურემი], [ცუთო]...

მაგრამ: იქნებ აქაც ისევ თუ შური ენაა მიზეზი იმ გაგებით, რომ თუ შურენოვანი აუსლაუტისეული **ც**-თი ხდება ქართულენოვანი ანლაუტის ჩვეულებრივი ხმოვნის „დასნებოვნება“? ანუ, შესაძლოა, ამ სიტყვების თუ შური ენაში გადაადგილება იყოს მიზეზი მაგარი შემართვის ჩამოყალიბებისა ქართულენოვან ხმოვნებში.

ვიდრე ამგვარ შესაძლებლობას შევხებოდეთ, ვცადოთ შევაჯამოთ თუ შური ენის ანლაუტზე დაკვირვების შედეგები.

რკვევა, რომ გემინირებულ ოკლოზიას თუ შური ენაში ადგილი არა აქვს:

1. არც იქ, სადაც **ც** ყვება ერთი და იმავე სიტყვის ინტერვოკალში;

2. არც იქ, სადაც შესიტყვების პირველი წევრი ბოლოვდება, ხოლო მეორე იწყება ჩვეულებრივი ხმოვნით;

3. არც იქ, სადაც შესიტყვების პირველი წევრი მთავრდება თანხმოვნით (გარდა **ც**-სი), მომდევნო კი იწყება ჩვეულებრივი ხმოვნით;

4. არც იქ, სადაც აუსლაუტის **ც**-ს ვამეზობლებთ (ვახვედრებთ, ვაჯახებთ) ანლაუტის სხვა რომელიმე თანხმოვანს, თუნდაც ხშულსა და მკვეთრს. – რატომ?

იმიტომ, რომ ამ (ჩამოთვლილ) შემთხვევებში საქმე არა გვაქვს ორ **ც**-სთან. იმ შემთხვევაში კი, როცა შესიტყვების პირველი წევრი მთავრდება **ც**-ზე, ხოლო მეორე იწყება ნებისმიერი ჩვეულებრივი ხმოვნით, გემინირებულ ოკლოზიას უსათუოდ აქვს ადგილი. – რატომ?

იმიტომ, რომ აქაც საქმე გვაქვს ორ **ც**-სთან, რომელთაგან ერთი (ხილული და ფონოლოგიური) შესიტყვების პირველი წევრის აუსლაუტის კუთვნილებაა, მეორე კი (უხილავი და ფონეტიკური) – შესიტყვების მეორე წევრის ანლაუტის ჩვეულებრივი ხმოვნისა.

მოკლედ: ანლაუტის ნებისმიერი ჩვეულებრივი ხმოვანი (ანდა მისი ნებისმიერი კორელატი) თუ შური ენაში ძლიერ შემართვიანია, ანუ ხმოვანი იწყება ლარინგალური **ც**-თი.

იქნებ სხვა მიდგომების შემუშავებაც შეიძლებოდეს აქ, მაგრამ ეს რამდენიმე მიდგომაც უთუოდ კმარა იმისთვის, რომ თეორიულ დონეზე ვცნოთ **ქ**-ს, ანუ მაგარი შემართვის არსებობა თუშური (ასევე, როგორც ახლა დავინახავთ, ქართული) ენის ანლაუტისეულ ანდა განმარტოებულ ნებისმიერ ჩვეულებრივ ხმოვანში (და მის ნებისმიერ კორელატში).

მთელი ამ მსჯელობიდან იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მრავალი წლის მერე იმასვე ვავლენდეთ თუშურ ენაში, რაც, მრავალი წლის წინ **უკვე** იყო გამოვლენილი **თ. უთურგაიძის** მიერ (უთურგაიძე, 1966, 42). თუმცა: ჯერ ერთი, **ი. დეშერიევის** საპირისპიროდ, **თ. უთურგაიძემ** თუშური ენის ანლაუტისეული **ქ** მიიჩნია ფონემად და ამიტომ აღნიშნა კიდევაც იგი გრაფიკულად (თუმცა არათანმიმდევრულად). ჩვენ კი, **ი. დეშერიევისა** და **კ. ჭრელაშვილის** კვალდაკვალ, ვამბობ, რომ ეს **ქ** აქ არის არა ფონოლოგიური, არამედ ფონეტიკური სიდიდე და გრაფიკულად მისი აღნიშვნა საჭირო არ არის, გარდა უდენ ტრანსკრიფციისა. თუკი აქ **ქ**-ს მივიჩნევთ ხმოვნის **შემართვად**, მაშინ აღარ უნდა მიეცეს მას ფონემის კვალიფიკაცია, რადგან **შემართვა** არის ფონემის **თვისება**, **ნიშანი** და არა თვით ფონემა. მეორე, **თ. უთურგაიძე**, ზოგადფონეტიკური ცნობიერებიდან გამომდინარე, თავიდაური ხმოვნის შემართვაში ლარინგალურ **ქ**-ს ცნობს, არა, მაგალითად, ქართული ენის მთის რომელიმე კილოსთვის და, მითუმეტეს, არა სალიტერატურო ქართული ენისთვის, არამედ, ამ შემთხვევაში, სწორედ და მხოლოდ თუშური ენისთვის. ჩვენ კი ვამბობთ, რომ ანლაუტის ხმოვნის ძლიერი შემართვა, რომელიც გამოიხატება **ქ** ლარინგალის არსებობით ამ ხმოვნის შემართვაში, ახასიათებს (უნდა ახასიათებდეს) არა მხოლოდ თუშურ ენას, არამედ ნებისმიერ მეტყველებას – გნებათ ენას, გნებათ დიალექტს. მესამე, თუშური ენის ანლაუტის ხმოვნის მაგარი შემართვის **თ. უთურგაიძისეული** დადასტურება, ჩვენი აზრით, მოკლებულია თუნდაც რამენაირ თვალსაჩინოებას, არგუმენტაციას.

გფექრობთ, სერიოზული, არსებითი განსხვავებაა საკითხისადმი ამ ორგვარ მიდგომას შორის. თუმცა: ის, რაც გააკეთა ამ სფეროში, უდავოდ ეთვლება დიდ დამსახურებად **თ. უთურგაიძეს**, როგორც მკვლევარს.

ყოველივე თქმული კიდევ უფრო გამოიკვეთება თუშური ენის თავისუფალი ხმოვნების დახასიათებისას.

თუშური ენის ჩვეულებრივი ხმოვნის არტიკლაციის შემართვაში **ქ**-ს გამოვლენა აშკარად გვიწყობს ხელს ასეთივე **ქ**-ს (ძლიერი, მაგარი, ხშული,

მკვეთრი შემართვის) გამოვლენაში თუშური ენისგან განსხვავებულ მეტყველებებშიც – ქართულ, რუსულ და სხვა ენებში, რაც, ერთი მხრივ, რამდენადმე ახლებურად დაგვანახებს ჩვეულებრივ ხმოვნებს საერთოდ, მეორე მხრივ, თავისთავად გაგვიადვილებს მსჯელობას თუშური ენის თავისუფალ ხმოვნებზე.

ვნახოთ, რა შესაძლებლობები გვაქვს სხვა მეტყველებებში ასეთი **ქ**-ს (ფონეტიკური **ქ**-ს) გამოსავლენად. თუკი ასე თუ ისე დავადასტურებთ ჩვეულებრივი ხმოვნების მაგარი შემართვის არსებობას სხვა მეტყველებებშიც, მით უფრო გაიოლდება ასეთი შემართვის გააზრება თუშურ ენაში, სადაც იგი, როგორც ვნახეთ, უკვე აშკარად გამოიკვეთა.

წინ გვაქვს შანსი, ვილაპარაკოთ ქართული ენის ხმოვანთა მაგარ შემართვაზე.

2. ქართული ენის ხმოვანთა შიზოფონია

§1 (26). ელექტრონული შიზოფონია – კომპიუტერული ხარვეზი.

საუკუნის მახასიათებლად მივიჩნევთ კომპიუტერიზაციის სიკეთეს, თუმცა ამ ეტაპზე არცთუ უხარვეზოდ მიმდინარეობს საკომპიუტერო საქმიანობა ჩვენთან. მხედველობაში გვაქვს ტექსტის კომპიუტერული მოწესრიგება; ამჯერად საუბარია **გ. ჩხეიძის** რომანზე **„წითელი ძეგლი“** კრებულიდან **„ცასწავალა“** (თბ., 2007). აქ ზოგიერთ სტრიქონში სიტყვა-ფორმათშორისი შუალედები (ხარვეზები) ან საერთოდ არ არის, ანდა იმდენად არასტანდარტულია (მცირეა), რომ საკმაოდ ჭირს კითხვა. სხვა შემთხვევაში სასვენი ნიშნებიც კი ერთ დიდ მთლიანობაშია „ჩაყრილი“. და საერთოდ: უხვად არის სხვა ხარვეზებიც (ნაკლოვანებები). მოვუხმობთ რამდენიმე მაგალითს და აღნიშნულ ხარვეზს ხელოვნურად დავამატებთ კიდევ ერთს: სტრიქონების პირველ სიტყვა-ფორმებს თავში მოვაცლით (მოვაკლებთ) რამდენიმე ასო-ბგერას, რათა კიდევ უფრო დაიკლოს ამ – პირველი – სიტყვა-ფორმის სემანტიკის და, მაშასადამე, მისი აუსლაუტის გაცნობიერების (ამოცნობის) კოეფიციენტი. ამით კიდევ უფრო გაძნელდება მომდევნო სიტყვა-ფორმების ანლაუტების, ანუ სიტყვა-ფორმათშორისი საზღვრების დადგენა, რაც კიდევ ერთხელ აიძულებს მკითხველს ეს ანლაუტები (და აუსლაუტებიც), ანუ ლექსმათშორისი საზღვრები (ხარვეზები) ეძებოს მაგარი შემართვების ძალაუფლებური მოშვე-

ლიებით შესაბამის ხმოვნებთან. ამ მაგარი შემართებიდან ბევრი აღმოჩნდება ცრუ, რასაც მკითხველი თავადვე „გამოხშირავს“, მაგრამ ზოგი აღმოჩნდება ნამდვილი, რასაც იგივე მკითხველი გამოიყენებს კიდევაც ხმოვანზე დეწყვ-ბული სიტყვების ანლაუტების ამოსაცნობად:

- (1) **ნტელებიდაეფინებოდენმთებს,ტყეებს,სახლისსახურავებს**
(ჩოხელი, 2007, 346)
- (2) **ანსჭერსადარალაცასიხესენებდა.ახლა,რატომღაც,მთელიარსე[ბით]**
(იქვე, 358)
- (3) **ისწვერებიდანნელ-ნელაქვემოთჩამოეფინადამფრთხალი**
(იქვე, 369)
- (4) **რედიმდლებშიჩაცვივდითორმოშიმედაორისხვამე[ლი]**
(იქვე, 458)
- (5) **ჩმოსნაბრზეფეხითუგაუსსლტა**
(იქვე, 459)
- (6) **ატარადანითსაფეხურებისკეთებადაიწყორომოსკედელში**
(იქვე, 462)...

ასეთ შემთხვევაში (შემთხვევებში) მკითხველს უხდება ჩაკერკეტება და ძლიერი შემართვის ძალაუნებური გამოყენება ხმოვნით დაწყებული ლექსემის მიგნების შემთხვევისთვის, ანუ ამ ტიპის კომპიუტერული (ანდა ხელწერითი) ხარვეზები გვეხმარება თავკიდური ხმოვნის ძლიერი შემართვის გამოვლენაში. და, ჩუმაღ ვებუტუტებო რა ჩვენთვის და მარცვლებს ვანაწილებო რა ხან მარ-ჯგნოვ, ხანაც მარცხნივ, როგორც კი გავაცნობიერებო ამა თუ იმ ლექსემას, ხმოვნით დაწყებულს, ამ ხმოვანს ჩვენდაუნებურად არტიკულაციურად ვა-ფორმებო ძლიერი შემართვით (გრაფიკულად – **გ**-თი), დაახლოებით ასე⁹⁸:

- (1) **ნტელებიდაე ეფინებოდენ მთებს,ტყეებს,სახლისსახურავებს**
 - (2) **ანსჭერსადარალაცასიხესენებდა. ახლა, რატომღაც,მთელიარსებით**
 - (4)**რედემდლებშიჩაცვივდითორმოშიმედაცორისხვამე[ლი]**
 - (6) **ატარადანითსაფეხურებისკეთებადაიწყოცორომოსკედელში**
- ანუ, როგორც სინამდვილეშია:
- (1)**ფანტელები და ეფინებოდენ მთებს, ტყეებს, სახლის სახურავებს**
 - (2)**[ერთ]ხანს ჭერსა და რალაცას იხსენებდა. ახლა, რატომღაც, მთელი არსებით**
 - (4)**სწორედ იმ დღეებში ჩაცვივდით ორმოში მე და ორი სხვა მე[ლი]**

98 სტრიქონების პირველი სიტყვა-ფორმები კვლავ ამოუცნობი რჩება.

(6) **პატარა დანით საფეხურების კეთება დაიწყო ორომოსკედელში**

ამგვარი ხარვეზები (ნაკლოვანებები) გვიბიძგებენ მსგავსი სიტუაციების ხელოვნურად მოფიქრებისკენაც სწორედ ხმოვანთა ძლიერი შემართვის გამოვლენის მიზნით. მეტიც: რომც არ აღმოგვეჩინა ეს კომპიუტერული ხარვეზები, ჩვენ თავადვე უნდა მოგვეფიქრებინა ისინი ამ მიზნით. ახლა ხმოვანთა ძლიერი შემართვის გამოსავლენად **გ. ჩოხელის „წითელი მგლის“** გამოყენებით თავადვე მივმართავთ ლექსემების ხელოვნურ შეერთებას:

- (7) ***ორიგეებიუსაშვოდარავისუშვებენდარიფემრიდანახლის**
დიდრიგია (იქვე, 244)
- (8) ***სახმანწამოაღებოდათავზედაახლააქეთგამოსაქცევადამზადებდა**
(იქვე, 251)
- (9) ***იქშინესდაუკანასკნელიძალითეკვეთნენერთმანეთს** (იქვე, 339)
- (10) ***გამწყვდებიცმიეჩვივნამმგველსდაუკველარავისეშინოლამისი**
(იქვე, 406)
- (11) ***რტომოშინაურებულომგელიახლდადიმისიმელიჭქონდარომნადრის**
არმოუშვებდა (იქვე, 406)
- (12) ***შიცკიისუცნაურიპატარძალიდგათვალწინ** (იქვე, 414)

ჩვენ მიერ ხელოვნურად შეერთებული ამ ლექსემების დაშორიშორების პროცესში მკითხველი ერთგვარად გაითავისებს ანლაუტისეულ ხმოვანთა მაგარი შემართის იდეასაც და შიზოფონიის არსსაც.

ამ მაგალითებზე დაკვირვებისას მიგნებული თავკიდური ხმოვნის არტიკულრება მისთვის კუთვნილი ძლიერი შემართვით გვეხმარება ნათელი, არა-ორაზროვანი საზღვრების გავლებაში სტრიქონებში შემაჯალ ლექსიკურ სი-დიდეებს შორის, როცა, რა თქმა უნდა, ვიცნობთ (ამოვიცნობთ) ამ ლექსემებს.

გამოდის, რომ, თუკი **ეფინებოდენ (1), იხსენებდა (2)** და ა. შ. სიტყვა-ფორმებს წინამაგალ ლექსემებთან რწმულად არტიკულრების დროსაც შევუნარჩუნებთ თავკიდური ხმოვნების მაგარ შემართვას (შემართვებს), რწყული (უბაუზო) არტიკულრების შემთხვევაშიც თავისუფლად შეიძლება მისი – ამ შესიტყვებათა მეორე წეზრების ხმოვან-თავკიდურის – ამოცნობა.

კიდევ ერთი დეტალი **გ. ჩოხელიდან**. ხველების გადმოსაცემად მწერალი იყენებს **კჰ!.. კჰ!..** ან **კჰ-კჰ** გრაფიკულ ფორმებს (იქვე, 326, 359). სინამდვილეში აქ ხშულ-მსკდომი უკანაენისმიერი **კ**-ს ადგილი უკავია ასევე ხშულ-მსკდომ, ოღონდ ხორხისმიერ (ლარინგალურ) **გ**-ს: **კჰ!.. გჰ!..** ან **კჰ-გჰ**. თუკა **გ** გრაფემის

არქონის კვალობაზე სრულიად დასაშვებია იყო კერძოების ხმარება აქ: მთავარ-
ია, რომ **გ. ჩოხელის** დათქმული აქვს სხვა, მაგრამ სწორედ ხშულ-მსკდომი
თანხმოდან, რაც შემოქმედის დაკვირვებულობის მაღალი ხარისხის მანიშნებელია.

და ერთიც: (1) და (6) მაგალითებში ძლიერი შემართვის მდებარეობის
არასწორად განსაზღვრის შემთხვევაში აღგილი აქვს სემანტიკურ გადაადგ-
ილებას; შდრ.:

დაეფინებოდნენ [დაეფინებოდნენ] – და ეფინებოდნენ
[დაეფინებოდნენ]

დაიწყო [დაიწყო] – და იწყო [დაცოწყო]

გ. ჩოხელის თხზულებათა კრებულიდან „**ცასწავლა**“ მკითხველს
ვთავაზობთ სიტყვების არასწორი ელექტრონული გადატანის ნიმუშებსაც,
რომლებიც, მაგარი შემართვის ბუნებრივ პროვოცირებას იწვევენ რა ხმოვან-
ში, ერთგვარად გვეხმარებიან ანალიზის წარმოებაში⁹⁹: **სულ-იერი, შუამაფ-**
ალი, დაგ-ადგამენ, წელიწ-ადი, გაგვ-აგზავნიდნენ, ჰიტლ-ერისათვის, წა-
მომაყ-ენა, ჩაიყ-ოლა, მოგიყ-ოლია, ღირექტ-ორი, მოდ-ის, გარდამაფ-ალი,
გად-ადიოდნენ, გალ-ეული, ლაპარ-აკი, მოსალოდნელ-ია, გამოიტ-ანა,
სულ-იწმინდა, დაგ-არღვევდი, თვ-ალს, წვ-იმაში, მკრთ-ალი, მზ-ერთი, წლ-
ისა (ჩოხელი, 2007, 23-116)... აქაც: თუ ამ სიტყვების არასწორად გადატანილ
ნაწილებს წავიკითხავთ წინა ნაწილებისგან დამოუკიდებლად, ყოფილი ინ-
ლაუტისეული (ახლა კი გაანლაუტებული) ხმოვნები თავისით იძენენ (აღიდ-
გენენ) ძლიერ შემართვას და ვიღებთ: **სულიერი – იერი [ცირი], შუამაგალი**
– ალი [ცალი], დაგადგამენ – [ცადგამენ], წელიწადი – ადი [ცადი]...

სიტყვების არასწორი ელექტრონული გადატანის ნიმუშები სრულიად სხვა,
განსხვავებული წყაროდან (**„ამხელატორული პაციენტის სამედიცინო ბარათი...“**):

სამედ-
იცინო

უფლებამოს-
ილია

§2 (27). უბრალო დაკვერება სამეტყველო აპარატის ხელოვნურ მდგო-
მარეობაზე.

ვამბობთ, რომ, მაგალითად, **ც-**ს არსებობის წყალობით, თუ შერენოვანი **დაცარ**
‘მოტანა’, ლაყარ ‘სურვილი, ნიშან’ ტიპის სიტყვების **და-**, **ლა-** მარცვლების მომ-

99 სიტყვების გადატანა აღვნიშნეთ დეფისით.

დევნო –**არ** მარცვლის ხმოვანი მაგარშემარფიანია – **ლა-[ყარ], და-[ყარ]**.

მაგრამ ეს იმასაც ნიშნავს მთელი თავისი არსით და სისრულით, რომ **-არ**
[ყარ] მარცვლის ხმოვნის არტიკულაცია და აკუსტიკაც (ფონეტიკა) ზუს-
ტად ისეთივეა, როგორიც იმ შემთხვევაში, თუკი, ერთი მხრივ, თუ შერსავე
ენაში ამ მაგალითებში გვექნებოდა არა **დაყარ, ლაყარ**, არამედ ***არლა,**
***არლა** სახე, რაც გვადლევს ***[ყარლა], *[ყარლა]** სურათს, ხოლო მეორე
მხრივ, თუკი ამ მარცვალს წარმოვთქვამთ ქართულ სიტყვაში **არდავიწყება:**
არ-და-ვიწყ-ება. მაშასადამე, ქართული **არდავიწყება** სიტყვის ტრანსკრიფ-
ცია შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ასე: **[ყარ]დავიწყება.** ასევე გამოიყურება
ნებისმიერი სხვა ქართული ანლაუტისეული ხმოვანი ნებისმიერ მაგალითში:

თუშ. ენ.

ქართ. ენ.

ლეყრ: **ლე-[ყერ]** ‘**სურდა**’ – **ერბო[ყერბო]**

ხაყრ: **ხა-[ყარ]** ‘**გავო**’ – **რემი[ყარემი]**

ხოყრ: **ხო-[ყორ]** ‘**გავებდა**’ – **ორმო[ყორმო]**

ხოყურ: **ხო-[ყურ]** ‘**ეტეოდა**’ – **ურვა[ყურვა]**

ამგვარადვეა იმ დანარჩენ ენებში, რომელთათვისაც ასეთი რამ დღე-
სათვის არ ცნობიერდება.

საკითხის უფრო დეტალური განხილვისთვის დავიწყეთ უბრალო დაკ-
ვერებით სამეტყველო აპარატის აბსოლუტურად ხელოვნურ მდგომარეო-
ბაზე.

ისევე როგორც აღამიანის ანატომიის შესასწავლად არის აუცილებელი
მისი სხეულის გაჭრა (დაჭრა, დანაწევრება) ცალკეულ ასოებად, ხმოვნების
(ბგერების) კიდევ უფრო ღრმად შესასწავლად სასარგებლოა მათი „გახლეჩა“,
დაყოფა შესაძლებელ შემადგენელ ნაწილებად. ფილოსოფიაში ეს აუცილე-
ბლობა ზოგჯერ ასეა ჩამოყალიბებული: „ბრძოლაში მტერი უნდა გაყო და ამ
გაყოფით ისარგებლო“ (მამარდაშელი, 1992, 15). ანალიტიკური დედუქციის
დროს ფიზიკოსებს შეჰყავთ „რალაც დამატებითი მონაცემი ან პრინციპი, რო-
მელიც ამ დედუქციის ელემენტი არ არის“ (იქვე, 19). ხმოვანთა „გახლეჩაში“
ასეთი დამატებითი მონაცემის სახით შეიძლება გამოვიყენოთ **ც.** ამიტომაც
ვუთმობთ საკმაოზე მეტ დროსა თუ ადგილს ამ უნიკალური ბგერის ანალიზს.

ჩვენ ვცადეთ თეორიულ დონეზე მიგვემართა რამდენიმე ხერხისთვის,

პირველ რიგში კი, მოგვეხსენიო უშუალო დაკავრებები საკუთარი სამეტყველო აპარატის მუშაობაზე ბგერათწარმოების (და არა მარტო ბგერათწარმოების) დროს. არ დაგვიდებიათ ფარულ და, მაშასადამე, აბსოლუტურად უპირობო აკუსტიკურ დაკავრებებს არგვლივ მყოფთა არტიკულაციაზე.

პირველი შიზოფონიური მიდგომა გულისხმობს საკმაოდ პრიმიტიულ და სწორედ ამიტომ ერთობ ეფექტურ თვალსაჩინოებას.

ჩავისუნთქოთ ჰაერის გარკვეული რაოდენობა (იმდენი, რამდენიც სჭირდება ამ ექსპერიმენტის ერთჯერად შესრულებას); ორივე ხელის ცერი თითებით მჭიდროდ ჩაკეცვით ყურები, ორივე ხელის სხვა ნებისმიერი თითებით კი – ნესტოები, რითაც უზრუნველყოფთ ყურების გარეთა სასმენი მილებისა და ცხვირის დახშვას (ჩაკეცვას); ჩაკეტილი ყურების შემთხვევაში, მაქსიმალურად არის რა იზოლირებული გარე აკუსტიკური ველისგან, ჩვენი სასმენი აპარატი მაქსიმალურად აფიქსირებს (დააფიქსირებს) ყველაფერს, რაც კი ჩვენს სამეტყველო თუ თვით სასმენი აპარატის შიგნით ხდება (შეიძლება მოხდეს); ამის მერე მჭიდროდ მოვკუმოთ ბაგეები (ტუჩები) და სრულიად მშვიდად (ჩვეულებრივ) შევასრულოთ ნებისმიერი ქართული ჩვეულებრივი ხმოვნის წარმოთქმისათვის საჭირო ჩვეულებრივი აქტი (ვფიქრობთ, ამისთვის არ დაგვჭირდება რაიმე განსაკუთრებული ძალისხმევა, არც ასისტენტი, არც რაიმე სახელმძღვანელო).

თითოეული ხმოვნის წარმოთქმის მცდელობისას ამ მდგომარეობით ხახა-ცხვირ-პირ-ყელ-ყურის არეში უსათუოდ და სრულიად აშკარად შევიგრძნობთ ჰაერნაკადის უცაბედ, მკვეთრსა და ძლიერ, ლამის გვირგვინისებრ ამოფრქვევას, აფეთქებას ყიაში, რაც უდავო და ერთადერთი ნიშანია მბგერი იოგების (ყიის) ხშვა-სკდომისა და რაც, თავის მხრივ, ადასტურებს **ჟ** ლარინგალის (მაგარი, მკვეთრი, ძლიერი, ხშული) შემართვის არსებობას. ამას განსაკუთრებით შევიგრძნობთ ყურებში, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ძლიერ შემართვას აქ ადასტურებს აკუსტიკაც.

საქმე ის არის და იმიტომ შევაჩერეთ ყურადღება ამ მეთოდზე, რომ, ჩაკეტილი ნესტოების გამო აღარა აქვს რა ადგილი (გასაქანი, ასპარეზი) ღაღანს, ანუ ხმის ამოღინებას სამეტყველო აპარატში, სახმო ქორდების ხშვა-განხშვის წყალობით, ყოველი ხმოვნის შემართვისას სასულელად ყიაში უცაბედად ამოსროლილი ჰაერნაკადი ასევე უცაბედად გადაადგილდება ხახის ღრუში – ასეთივე ცალკეული მკვეთრი და მოკლე დარტყმის სახით.


აქედან ეს დარტყმა გადაადგილდება **ვესტაქის** (სასმენი) ლულაში; სასმენი (**ვესტაქის**) ლულა, თავის მხრივ, უკავშირდება ჰაერით ამოვსებულ დაფის ღრუს, რომლის გარეთა კედელი თხელდება და გარდაიქმნება დაფის ელასტიკურ აპკად. სახმო ქორდების განხშვისას ხახის ღრუში ტყვიისებრ გასროლილი ჰაერნაკადის დარტყმას სასმენი ლულისა და ჰაერით ამოვსებული დაფის ღრუს საშუალებით, ბოლოს, იერიში მიაქვს (ეხეთქება) დაფის აპკს, რის გამოც შევიგრძნობთ სწორედ აღნიშნულ დარტყმას – „გრგვინვას“. ცალკეული ჩვეულებრივი ხმოვნის არტიკულაციის ბაზაზე მიღებული ეს დარტყმა სწორედ სახმო ქორდების ხშვა-განხშვის, ანუ ძლიერი შემართვის კონსტატაცია. ამგვარსავე დარტყმას განიცდიან ჩაკეტილი ნესტოებიც და, ასე გასინჯეთ, ტუჩებიც კი, მაგრამ მათი მგრძნობელობა და, მაშასადამე, ინფორმაციის გადამუშავების უნარი მოსატანიც არ არის ყურის დაფის აპკის მგრძნობელობასთან. მბგერი მორჩების ხშვა-განხშვის გარეშე ამგვარი დარტყმა არანაირად არ უნდა შეგვეგრძნო: **არაფერს** მსგავსს არ შევიგრძნობთ სხვა ნებისმიერი თანხმოვნის წარმოთქმის მცდელობისას ამ ხერხის გამოყენებით, გარდა **ჟ**-სი.

თუმცა სრულიად არაბუნებრივ (ხელოვნურ) პირობებში ვაყენებთ მათ, მაგრამ მბგერი იოგები სრულიად ბუნებრივად ასრულებენ თავიანთ დანიშნულებას. სწორედ ამის წყალობით გვამცნობენ ისინი იმ მაგარი შემართვის არსებობას აქ, რომლის აღქმაც პრაქტიკულად გვიჭირს მათი მუშაობისას ბუნებრივ პირობებში: რაც უფრო მაგრად მოგვიჭერს ტონომეტრის მანქეტი (რითაც უჩვეულო მდგომარეობაში აყენებს სისხლძარღვებს), მით უფრო აშკარად შევიგრძნობთ საკუთარი სისხლის მოძრაობას, რასაც მანამდე თითმის არანაირად არ აღვიქვამდით (სწორედ სისხლძარღვების სრულიად ბუნებრივი მდგომარეობისა გამო). ვალიაროთ, ექსპერიმენტების უმრავლესობა სწორედ ხელოვნურ – არაბუნებრივ – პირობებში ტარდება. თვით ლინგოაპარატურით აღჭურვილი ლაბორატორიაც სრულიად ხელოვნურ და არაბუნებრივ პირობებს გეთავაზობს.

ლარინგალური **ჟ** ერთადერთი სამეტყველო ბგერაა უთუოდ, რომლის წარმოებასაც არ სჭირდება რაიმე განსაკუთრებული არტიკულაცია (სამეტყველო ორგანოების მუშაობა), გარდა სახმო ქორდების ხშვა-განხშვისა, რასაც, სხვა სამეტყველო ბგერებისგან განსხვავებით, არაფერი არ უშლის დახურული პირ-ბაგის პირობებშიც. **ჟ**-ს ჩვეულებრივი წარმოთქმის შემთხ-

ვევაშიც კი პირ-ბაგე ოდნავ, მინიმალურად არის გახსნილი, იმდენად ოდნავ და იმდენად მინიმალურად, რომ არ (ვერ) ხდება რომელიმე ხმოვნის ჩამოყალიბება.

რაკი შემოთავაზებული ექსპერიმენტი ფაქტობრივად გულისხმობს სამ-ეტყველო აპარატის ხელოვნურ მდგომარეობას, ხმოვნების არტიკულაცია შეგვიძლია აღვნიშნოთ **a** სიმბოლოთი (პირველი ასოა ლათ. სიტყვისა **ars** 'ხელოვნება; სიმარჯვე, ეშმაკობა'): ა – ^a[ჲ], ე – ^a[ჲ], ი – ^a[ჲ], ო – ^a[ჲ], უ – ^a[ჲ], ანუ:



მცირე არტიკულაციური შესვენების შემდეგ შეგვიძლია გავიმეოროთ იგივე, ოღონდ ამჯერად არა ხმოვნების „წარმოსათქმელად“, არამედ კვების იმიტაციის მიზნით, ანუ **ჲ**-ს საწარმოებლად. ეფექტი აბსოლუტურად იგივე იქნება: „გრგვინვა“: **ჲ** – ^a[ჲ].

შეგვიძლია გავიმეოროთ ყველაფერი თავიდან ბოლომდე.

§3 (28). პაუზა, ანუ არტიკულაციის წყვეტა (დაკვრევა შესიტყვების წევრთა დაშორებულ არტიკულაციაზე).

როცა გერმანული ენის ხმოვანთა ძლიერ შემართვაზეა ლაპარაკი, შემთხვევით არ იგულისხმება სწორედ ანლაუტის (მთლიანი სიტყვის ან ცალკეული მარცვლის) ხმოვანი. ხმოვანს ანლაუტის ხმოვნის კვალიფიკაცია შეიძლება მიეცეს მარცვლის, სიტყვის, შესიტყვების, სინტაგმის, წინადადების და, ბოლოს, აზნაცის თავკიდურში, აგრეთვე იზოლაციაში, რადგან სწორედ აქა აქვს მას შემართვის სრული, საკუთარი სახე. მარცვლის, ასევე შესიტყვების (სინტაგმის) ანდა აზნაცის შემართვაში თავისთავად გვაქვს შეხება პაუზასთან, რასთან დაკავშირებითაც სიტყვისა და ტაქტის ფონეტიკური ურთიერთობის კონტექსტში სამართლიანად შენიშნავს **გ. ახვლედიანი**, რომ „ცოცხალ წარმოთქმაში სიტყვის თავკიდური ბგერა შეიძლება გამოიჩინოს პაუზის მიმყოფ“, ისევე როგორც „ბოლოკიდური – პაუზის – წინ...“ და მერე: „ფონეტიკური თავკიდურია ის ბგერა, რომელსაც აქვს თავისი საკუთარი, დამოუკიდებელი შემართვა: ასეთია ყოველი ბგერა **პაუზის** მიმყოფ“ (ახვ-

ლედიანი, 1949, 221). ამ თვალსაზრისით, ბევრი საერთო რამ შეიძლება გამოვლინდეს გერმანული ენის ანლაუტის ხმოვნისა და სხვაენოვანი ანლაუტის ხმოვნის ხასიათებს შორის.

სწორედ ამ პოზიციაში უნდა განვიხილოთ ჩვეულებრივი ხმოვანი, რათა გავერკვეთ, არის თუ არა იგი ძლიერ შემართვიანი – არა მარტო თუ შერეულ ენაში.

თუ შერეული ენის ხმოვნებზე საუბრისას მივმართეთ შიზოფონიის ისეთ ხერხებსაც, როგორცაა ჩურჩული, II არხი, დაკვრევა უფროსი თაობის მეტყველებაზე. იმ მოსაზრებით, რომ დასახელებული მიდგომები ან ველარაფერს მოგვცემენ ახალს, ანდა, შესაძლოა, ითვალისწინებენ სწორედ და მხოლოდ თუ შერეული ენის სპეციფიკას (მაგ., უფროსი თაობის მეტყველება), აქ ნულარ გავიმეორებთ მათ: ჩავთვალოთ, რომ ამ მიდგომების გაძეოების შემთხვევაში იმავე შედეგებამდე მივიდოდით. გავიმეოროთ მხოლოდ ის მიდგომები, რომლებსაც გააჩნიათ ესა თუ ის განსხვავებული პერსპექტივა ქართული ენის ხმოვნებისათვის. შემოვიტანოთ ახალი მიდგომებიც. ამჯერად ყურადღება შევაჩეროთ, მაგალითად, პაუზაზე (სურვილის შემთხვევაში პარალელურად შეიძლება მივმართოთ ზემოთ ჩამოთვლილ ხერხებსაც).

აქაც და ქვემოთაც იმედი გვაქვს ქართულენოვანი მკითხველისა: იქ, სადაც არ ელოდება, ეცდება გაიგონოს და დაინახოს ის, რაც ჩვენ გვესმის და რასაც ჩვენ ვხედავ.

საუბარი გვექნება პაუზაზე, რომელიც ლექსემებს შორის შეიძლება გაკეთდეს, მანამდე კი თვალი გადავავლოთ ქართული ენის ნებისმიერ ხმოვანს – განცალკევებით ანდა ანლაუტში – და წარმოვთქვათ ჩვეულებრივ, ანუ წარმოვთქვათ ის, რასაც ვხედავთ, და დაგრწმუნდებით, რომ ხმოვანი უსათუოდ წარმოითქმის მაგარი შემართვით, ანუ ხმოვნის შემართვაში (ექსკურსიაში) უსათუოდ აქვს ადგილი მანამდე დახშული სახმო სიმების განხშვას.

ვიდრე ამ დებულების მტკიცებაზე გადავიდოდეთ ქართულ ენასთან მიმართებაში, შევნიშნოთ, რომ თუ შერეულენოვან მაგალითებზე დაკვრევისას არ უნდა გამოვჩინოთ სულ ცოტა ოთხი მომენტი:

1. არათუ შერეულენოვანი მკითხველისთვის შეიძლება ბუნდოვანი და, მაშასადამე, ნაკლებდამაჯერებელი დარჩა ბევრი რამ.

2. ის, რაც ითქვა ანლაუტის ჩვეულებრივი ხმოვნების შემართვაზე თუ შერეულ ენაში, არ არის გამორიცხული, პროვოცირებული იყოს თავკიდური ექსკურსიული **ღ**-თი, რომელშიც, როგორც დავინახეთ, შედის თავკიდური **ჲ**-ც (**ღ** = **ჲ** + ^a), და,

რომელიც, როგორც აგრეთვე დავინახეთ, დამახასიათებელია თუშური ენისთვის.

3. რაკი **თ. უთურგაძის** მიერ ისედაც უკვე იყო გამოვლენილი თავკიდური ხმოვნის მაგარი შემართვა თუშურ ენაში, იქნებ მართლაც ზედმეტი იყო განმეორებითი საუბარი ამ თემაზე?

4. ბოლოს, ხომ შეიძლება მთელი ეს ინტერპრეტაცია ავტორისეული ფანტაზიისა თუ ასოციაციების ნაყოფი იყოს, რასაც არცთუ იშვიათად აქვს ადგილი საერთოდ?

ამიტომ: აუცილებელია ანალოგიური ანალოზის ჩატარება თუშური ენისგან განსხვავებულ მეტყველებაშიც – სულ ერთია, კილო იქნება იგი თუ ენა, მით უმეტეს, რომ საუბარია ანლაუტის ხმოვანთა მაგარშემართვიანობაზე არა მარტო თუშურ ენაში.

მიეუახლოვდით რა ქართულენოვან სიტუაციას და, მაშასადამე, ყველაზე საბასუხისმგებლო მომენტს, კიდევ ერთხელ ვთვლით საჭიროდ მცირე განმარტებას იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა გავიგოთ „მაგარი (ძლიერი, მკვეთრი, ხშული) შემართვა“.

როცა, მაგალითად, ჩვენი პედაგოგიური პრაქტიკის მანძილზე, ქართულენოვან მსმენელებს ვუხსნით ხოლმე, რომ შესაბამის სიტუაციაში რუსული ენის ესა და ეს თანხმოდანი უნდა წარმოთქვათ **მაგრად** (твёрдо) და არა რბილად (мягко), ისინი რაგვარ ქმედებებს აღარ მიმართავენ – არა მხოლოდ არტიკულაციურს, რათა თანხმოდანი როგორმე გამოუვიდეთ „მაგარი“: ჭიმავენ და ძაბავენ ბაგეებს, კისერს, სხეულს, ბერავენ ნესტოებს, იმადლებენ ხმას, იცვლიან ტონს, კრავენ წარბებს, კუმშავენ მუშტებს, აფართოებენ თვალებს და ა. შ. სინამდვილეში კი აქ ისევეა ზედმეტი მსგავსი ქმედებები, როგორც ხმოვნის მაგარი (მკვეთრი, ხშული, ძლიერი) შემართვის შემთხვევაში: ნებისმიერი ჩვეულებრივი ხმოვანი წარმოვთქვამთ ჩვეულებრივ, სრულიად მშვიდად, რაიმე დამატებითი ენერგიისა თუ სხვა აქტიურობის გარეშე, ანუ ისე, როგორც წარმოვთქვამდით და წარმოვთქვამთ მთელი ჩვენი სიცოცხლის მანძილზე – და ეს ხმოვანი თავისთავად გამოვა მაგარშემართვიანი. ესაა მხოლოდ: კარგად დავაკვირდეთ საკუთარი სახმო სიმების მუშაობას, რასაც აქამდე არ ვაკეთებდით. და კიდევ: ვეცადოთ დავინახოთ თუნდაც რამენაირი განსხვავება, ერთი მხრივ, ანლაუტისეულისა თუ განცალკევებულ, ხოლო მეორე მხრივ, ინლაუტ-აუს-ლაუტისეულ ხმოვნებს შორის. და თუკი გავაცნობიერებთ განსხვავებას, თუნდაც უმცირესს, ანლაუტისეული თუ იზოლორებული ხმოვნების შემთხვევაში,

სწორედ ეს განსხვავება იქნება ის, რასაც **მაგარი შემართვა** ჰქვია და რომელიც ფონეტიკურ ხორცშესხმას პოულობს **ჟ** ლარინგალში, **ქ** ლარინგალის სახით.

მოკელ: ანლაუტისეული (ანდა იზოლორებული) ხმოვნის შემართვა მაგარია არა იმ პირდაპირი გაგებით, რომ ის მართლა „მაგარია“ იმდენად, რომ ვერ გასტეხს გრდემლიც კი „ტყვიისა ლბილისა“, არამედ იმ გაგებით, რომ მის საარტიკულაციო შემართვაში, უბრალოდ, ხდება სახმო ბაგეების ხშვა-განხშვა. აქ აქცენტი უნდა გაკეთდეს არა რაიმის სიმაგრეზე როგორც ასეთზე, არამედ სახმო სიმების ხშვა-განხშვაზე¹⁰⁰.

ეს საუბარი გვახსოვდეს, როცა ვაკვირდებით არტიკულაციას, უპირველესად, საკუთარს. იგივე ითქმის აკუსტიკაზეც.

გვქონდა იღბლიანი შემთხვევა შევსწრებოდით ერთ სამეტყველო კურორტს, სადაც კარგად იკვეთება რწყმული და დიფერენცირებული (პაუზირებული) არტიკულაციის დაპირისპირებულობა, თუმცა ამჯერად არა ხმოვნებთან, არამედ თანხმოდნებთან მიმართებაში.

ერთ-ერთმა მოსაუბრემ თავის ერთობ ემოციურ მონოლოგში იხმარა ფრაზა, რომელმაც რწყმულ არტიკულაციაში მიიღო სახე **[განავალიმოიშორა]**.

თუმცა აქ იკვეთება აშკარა კვანტიტატური თავისებურებაც (რაც ჩვენ მიერ ქართულ ვოკალიზშია გამოვლენილი, თუმცა, ჩანს, ჯერ არ არის აღიარებული), მაგრამ ფაქტია, რომ ამ სრულიად სწორი შერწყმით არტიკულირებულმა ფრაზამ დამსწრეთ საბაბი მისცა თავიანთ ცნობიერებაში არასწორად დაენაწერინებინათ იგი, რამაც გამოიწვია ჩოჩქოლი, რადგან ნათქვამი გაგებულ იქნა ასე: **[განავალი] [მოიშორა]**, სინამდვილეში კი იგულისხმებოდა: **განა ვალი მოშორა!**

ეს მაგალითი საუკეთესო იქნებოდა შიზოფონიისთვის, რომ არა მისი ტრივიალობა და ის, რომ (ეს უფრო მნიშვნელოვანია აქ) დაკვირვების ობიექტი არ არის ხმოვანი.

მაგრამ თუ ეს მაგალითი თვალსაჩინოა იმ გაგებით, რომ ფონეტიკურ სიტუაციაში გასარკვევად არცთუ იშვიათად გვეხმარება (შეიძლება დავგეხმაროს) რწყმული და დანაწევრებული არტიკულაციების შეპირისპირება,

100 (ჩვენი აზრით, სჯობდა სატერმინო კომპონენტებიდან „მაგარი“, „ძლიერი“, „მკვეთრი“, „ხშული“ უპირატესობა მიგვენიჭებინა უკანასკნელისთვის: ის ყველაზე ზუსტად გადმოგვცემს ამ შემართვის არსს)

თავისუფლად შეგვიძლია გადავიდეთ ისეთ მაგალითზე, სადაც კვლევის ფოკუსში ხმოვანი აღმოჩნდება.

ქართული ორთოგრაფიის მიხედვით **დედა** ლექსიკური სიდიდით ერთ შემთხვევაში, სხვა ლექსიკურ სიდიდესთან ერთად იძლევა რა ერთ რთულ ლექსიკურ წარმონაქმს, იწერება რწყმულად, სხვა დროს კი, ქმნის რა ორწევრიან შესიტყვებას, იწერება ცალკე; გვაქვს, მაგალითად, **დედაბერი, დედაბოძი, დედაბუდე, დედაკაცი, დედამიწა**, მაგრამ გვაქვს ასევე **დედა გვრიტი, დედა ვეფხვი, დედა კატა, დედა კურდღელი, დედა მერცხალი...**

წარმოვიდგინოთ, რომ ამ არაერთგვაროვანი ორთოგრაფიის შესახებ ვიცით ჩვენ, მაგრამ არავითარი წარმოდგენა არა აქვთ ჩვენს ცდისპირებს. აქვე შევნიშნოთ, რომ აქ წარმოდგენილ მაგალითებში **დედა** სიდიდის მიმართ ყველგან ფიგურირებს ანლაუტისეული თანხმოვანი, რასაც ჯერ კიდევ არა აქვს პირდაპირი კავშირი ჩვენს მსჯელობასთან, უფრო სწორედ, ექსპერიმენტთან, მაგრამ გვაწვდის ინფორმაციას ორი განსხვავებული ორთოგრაფიის შესახებ **დედა** სიდიდესთან მიმართებაში.

ცდისპირებს დაუბნე ვუწერთ ორ ლექსიკურ სიდიდეს, სადაც რწყმული დაწერილობა გვაქვს: **დედაზრი, დედაარსი**. ამის შემდეგ ცდისპირებს ევალებათ ფურცლებზე დაწერონ ჩვენ მიერ სასაუბრო სტილით (რწყმულად) ნაკარნახევი შესიტყვება **[დედაარწივი]**.

არათუ გამოიკვეთილი არ არის, პირიქით, უფრო მოსალოდნელიც კია, რომ, **დედაზარი** და **დედაარსი** სიდიდეების ორთოგრაფიის გავლენით, ცდისპირთა უმეტესობამ თუ არა – გარკვეულმა ნაწილმა მაინც **[დედაარწივი]**-ც დაწეროს რწყმულად: **დედაარწივი**.

ამ კონტექსტში რით განსხვავდება ა ხმოვანი დანარჩენი 4 ქართული ხმოვნისგან შემართვის თვალსაზრისით? ქართული საენათმეცნიერო მონაცემების მიხედვით – არაფრით. აქედან გამომდინარე, ცდისპირები უთუოდ იმგვარადვე არაერთგვაროვნად დაწერენ **[დედაიხვი]**, **[დედაოფოფი]** და ა. შ. სიდიდეებსაც, რაც უკე იძლევა მსჯელობის საბაზს.

აქ ნუ ავიღებთ ჩვენს თავზე ქართული ორთოგრაფიისა და, მით უმეტეს, ცდისპირთა კრიტიკას, არამედ ვეძებთ გზა, ფონი, რომელიც თუნდაც რამენაირი თეორიული (ორთოგრაფიული) ახსნა-განმარტების გარეშე ცდისპირებს მიიყვანს ერთდერთ სწორ გადაწყვეტილებამდე – გამართულად დაწერონ შესიტყვებები **[დედაარწივი]**, **[დედაიხვი]**, **[დედაოფოფი]**...

ეს მიზანი თუ შედეგი მიიღწევა განსაკუთრებული ძალისხმევით გარეშე: საკმარისია ამ სიდიდეების მეორე წევრთა წარმოთქმამდე, ანუ **[დედა]** სიდიდის წარმოთქმის შემდეგ გავაკეთოთ პაუზა: **[დედა...]**.

ეს არის და ეს. თუმცა: აქ საქმეს აგვარებს არა იმდენად პაუზა, როგორც ასეთი (პაუზაც, რა თქმა უნდა), რამდენადაც ის, რომ პაუზის შემდეგ, თუკი მომდევნო სიტყვა იწყება ხმოვნით, გვინდა ეს თუ არა, თეორიული ფონეტიკის რაიმე კანონების მოშველიების გარეშე, მაგრამ მათი თავისთავადი ძალისხმევით ამ ხმოვნის წარმოთქმამდე სახმო ქორდები თავისთავად იხმოებიან და განიხმოებიან, რათა წარმოთქვან ანლაუტისეული ჩვეულებრივი ხმოვანი, რაც სხვა არა არის რა, თუ არა **ჟ** ლარინგალთ გამოხატული (გაფორმებული) მაგარი შემართვა წარმოთქმული ხმოვნისა: **[დედა...ჟარწივი]**, **[დედა...ჟიხვი]**, **[დედა...ჟოფოფი]** ან **[დედა] [ჟარწივი]**, **[დედა] [ჟიხვი]**, **[დედა] [ჟოფოფი]**...

ანუ აქ ჩვენდაუნებურად ვიყენებთ იმ **ჟ** ლარინგალს, რომელსაც „ხმოვანთა გამყოფს“ უწოდებენ და რომელიც აქ სიტყვათა გამყოფის როლსაც ასრულებს.

მეტეც: თუკი მიზნად დავისახავთ ამ ტიპის შესიტყვებების სწორად ჩაწერინებას, პაუზის გაკეთებაც არ არის საჭირო – საკმარისია შესიტყვების მეორე წევრის ანლაუტის ხმოვნის წარმოსათქმელად სახმო სიმები დავხუროთ და გავგნანოთ, თუ, რა თქმა უნდა, ეს უნებურადაც არ გამოგვივა – **[დედაჟარწივი]** **[დედაჟიხვი]** **[დედაჟოფოფი]**. ეს მაშინ, როცა თანხმოვნის შემთხვევაში საქმეს ვერაფერი აგვარებს თუ არა პაუზა.

ანალოგიურ შედეგს მივიღებთ, თუკი ცდისპირებს შევთავაზებთ **რა ოდენობით?** – **რაოდენობით, ვის ელი?** – **ვისელი** (ანთროპ.) ტიპის წყვილებს.

აქ, ვფიქრობთ, არცთუ წარუმატებლად გადავლახეთ პირველი ფონი. ისლა დაგვჩენია – თვალი გადავავლოთ კიდევ რამდენიმე ანალოგიურ სიტუაციას.

ქართულენოვან სამეცნიერო თუ სასწავლო წყაროებში წარმოდგენილია ხოლმე ცალკეული ბგერების (ამ შემთხვევაში – ხმოვნების) აღმნიშვნელი ასოების ჩამონათვალი, რომელსაც შეიძლება ახლდეს ან არც ახლდეს ესა თუ ის სასვენი ანდა სატრანსკრიფციო ნიშანი: **ა, ე, ი, ო, უ**, ან **ა ე ი ო უ**, ან **[ა]**, **[ე]**, **[ი]**, **[ო]**, **[უ]**, ან **[ა]** **[ე]** **[ი]** **[ო]** **[უ]**. ორივე შემთხვევაში – სასვენი თუ სატრანსკრიფციო ნიშნების გამოყენების შემთხვევაშიც და მათ გარეშეც – გრაფემებს შორის უსათუოდ დატოვებულია ხარვეზი (შეუალელი, სიფრცე),

ისევე როგორც, დაფუშვით, ვტოვებთ სიტყვასა და სიტყვას შუა. სასვენ თუ სატრანსკრიფციო ნიშნებსა და ხარვეზებთან პარალელურად იყენებენ განსხვავებულ შრიფტსაც. ეს ყველაფერი სიგნალია იმისა, რომ თითოეული გრაფემა წაკითხული უნდა იქნეს არა წინამდებარე ანდა მიმყოფ გრაფემასთან (ბეერასთან) ერთ მთლიანობაში, ე. ი. არა რწყმულად, არა ბმულად, არამედ ცალ-ცალკე, იზოლირებულად, ერთერთისაგან სრულიად დამოუკიდებლად, პაუზებით და, მაშასადამე, მაგარი შემართვით.

რწყმული წაკითხვის შემთხვევაში ჩამონათვალში წარმოდგენილი თითოეული წევრი (გარდა პირველისა) დაკარგავს იმ მოცემულობას, რომელსაც მასში დებდნენ, როცა გამოყოფდნენ.

მეტეც: თუ, დაფუშვით, [აეიოუ]-ს როგორღაც ვკითხულობთ რწყმულად, გერანაზად ვერ წარმოვთქვამთ რწყმულად თანხმოვნების ჩამონათვალს: [ბგდვზ].

მოკლედ, ხმოვანთა ჩამონათვალის სწორად არტიკულირებისთვის საჭიროა თითოეული ხმოვნის გამხროლება, თითოეული ხმოვნის იზოლაცია მეორისგან (დანარჩენებისგან). და რა უნდა მოვიმოქმედოთ არტიკულაციურად, რათა ეს მითითება სრულექმნათ?

ბეერი არაფერი: თითოეული ხმოვანი უნდა წარმოვთქვათ ცალ-ცალკე, იზოლირებულად, სხვებისგან სრულიად დამოუკიდებლად, პაუზებით, თავიდან, საკუთარი შემართვიდან. ტავტოლოგიაა, მაგრამ ტავტოლოგიაც ლოგიკის კატეგორიაა: „ყოველგვარი ჩვენი მტკიცება სამყაროზე, საგანზე“ „შეიძლება დაყვანილ იქნეს ტავტოლოგიაზე“ (მამარდაშვილი, 1992, 105)¹⁰¹.

და სწორედ მაგარი შემართვაა ის, რაც **ა, ე, ი, ო, უ** მწყობრში იზოლაციის ფუნქციას იღებს თავის თავზე. ეს არის **ჟ** ლარინგალი, რომელიც ფონეტიკურად განთავსებულია, ხოლო გრაფიკულად უნდა წარმოვიდგინოთ **ა-ს, ე-ს, ი-ს, ო-ს** და **უ-ს** შორის, ასევე **ა-ს** თავში: [აჟეჟიჟოჟუჟ].

ეს „იზოლაცია“, ანუ, ამ შემთხვევაში, ხმოვანთგამყარი **ჟ** ადგილზე რჩება, რაც არ უნდა სწრაფად წავიკითხოთ ჩამონათვალი. **ჟ-ს** არსებობა კი ნიშნავს, რომ აქ ჩამოთვლილი ყოველი წევრის წარმოთქმის შემდეგ დავხუროთ და გავსხნათ, დავხუროთ და გავსხნათ, დავხუროთ და გავსხნათ სახმო ქორდები.

¹⁰¹ ტავტოლოგია დავჭირდა სწორედ იმიტომ, რომ გვიწევს იმის „მტკიცება“, რასაც ყოველდღე მიმართავთ მთელი ჩვენი შეგნებული არსებობის მანძილზე და, მაშასადამე, რასაც არ სჭირდება მტკიცება. ახლოგიურად: წყალი წყალია და სხვა არაფერი, ჩვენ ყველდღიურად ვიღებთ მას, თუშკა დგება წუთები, როცა გვჭირდება იმის მტკიცება, რომ ვსევამთ წყალბადის ორ-ორ ატომსა და ჟანგბადის თითო ატომს, ანუ H_2O -ს.

რაკი **ა, ე, ი, ო, უ** ჩამონათვალის თითოეული წევრის სახის შენარჩუნებაზე ვლაპარალობთ, ამ ჩამონათვალიდან პირველს (**ა-ს**) **ჟ** შეუნარჩუნდება მშინაც, თუკი მთლიან ჩამონათვალს წავიკითხავთ რწყმულად [აჟეიოუჟ].

ვთვლით, შეძლებისდაგვარად ავსენით, რომ ქართული ენის ყოველი იზოლირებული (ანდა ანლაუტისეული) ხმოვანი ძლიერშემართვიანია ისევე, როგორც თუშურ ენაში. ამაში უთუოდ უნდა დარწმუნდეს ამ სტრიქონების ნებისმიერი მკითხველი –რაიმე აპარატურის გარეშეც, თუკი გულდადებით დააკვირდება საკუთარ არტიკულაციასა თუ აკუსტიკას.

თელაველი ბარდი, **ზ. ზაქარიაძე (პაპა)** მღერის განცალკევებულ ჩვეულებრივ **ო** ხმოვანს, რომელიც წარმოადგენს ლირიკული პერსონაჟი მანდილოსნის სახელის ინიციალს: **ქალბატონი ო.**, რაც ჩვენი გრაფიკით იღებს სახეს [ქალბატონიო] (<https://www.youtube.com/watch?v=1EfGbPSpFc>), სადაც ლარინგალური **ჟ** მაგარი შემართვაა ამ ინიციალისთვის: **ო [ჟო]**. ასეთივეა სიმღერის თვით სათაურიც. მკითხველი დაგვეთანხმება, რომ აქ ხმოვანთა გამყოფი ფონეტიკური **ჟ-ს** ჩართვის გარეშე დაირღვეოდა **ო**. ინიციალის სემანტიკა და ის გადაგვარდებოდა მესამე პირის ნათქვამის გამეორების გამომხატველ –**ო** ნაწილაკად: [ქალბატონიო], ანუ **ქალბატონიო**. სხვათაშორის, მომღერალი აქვე გვთავაზობს თავისუფალ **ი** ხმოვანსაც: **მერე მეც ვიმღერე, ვუთხარი: მიყვარხარ, ი!**

ავიღოთ და კავშირი და **დ. ა.** ინიციალები. არ შეიძლება მკითხველი არ დაგვეთანხმოს იმაში, რომ აქ ერთსა და იმავე ხმოვანს აშკარად განსხვავებული ფონეტიკა აქვს. შევადაროთ და დავაკვირდეთ: **და – დ. ა.** გავიმოვროთ, ოღონდ შეპირისპირებული სიდიდეების შებრუნებული თანმიმდევრობით: **დ. ა. – და.**

და რაც **დ. ა.** ინიციალებში შემავალ ხმოვანს განასხვავებს და კავშირში შემავალი ხმოვნისგან, არის სწორედ ის, რასაც ჰქვია **მაგარი შემართვა**. აქ ხმოვანი წარმოითქმის **დ** თანხმოვნისგან სრულიად დამოუკიდებლად (თუშკა, ღიახ, ზოგჯერ, უპაუზოდაც). წინააღმდეგ შემთხვევაში მოიშლება ის ერთადერთი მექანიზმი, რომლითაც **და** კავშირი და **დ. ა.** ინიციალები ერთერთისგან უნდა განვასხვავოთ. და თუ გრაფიკულად ამ განსხვავებისთვის სასვენი ნიშნების (აქ: წერტილების) ქონა-არქონა გახლავთ ერთადერთი სიგნალი, არტიკულაციურად (და აკუსტიკურად) ასეთ უსათუო სიგნალს წარმოადგენს **ჟ-თი** გამოხატული მაგარი შემართვის ქონა-არქონა, სხვა არაფერი.

მაგრამ იზოლირებული ხმოვნის შემართვისგან არაფრით არ განსხვავდება

ანლაუტის ხმოვნის შემართვა, რადგან, ისევე როგორც იზოლაციის შემთხვევაში, ადგილი არა აქვს რა წინამდებელი ბგერის ამა თუ იმ ნიშნის თუნდაც რამენაირ დაშრეგებას, რასაც კოარტიკულაცია იძლევა ხოლმე, სწორედ აქ ვლინდება ხმოვნის შემართვა მისი აბსოლუტური არსით (ЛЭС, 1990, 46). ამიტომ: ანლაუტის ხმოვნის შემართვა ისევეა მაგარი, როგორც განცალკევებული ხმოვნისა.

ბოლოს, თუკი თუ შერკილოვან სიდიდეებს **რასიოდ** (თათარაიძე, 1979, 54) '**რა ძალიან**', **უდერასიოდ** (იქვე, 8) '**ბეგრ რა!**', **რასიც** (იქვე, 15) '**რაც**' სიდიდეებს (სადაც დამარცვლისას **ციოდ, ცოდ, ციც** ნაწილების თავკიდური ხმოვანი მაგარშემართვიანია) შევადარებთ ქართულენოვან სიტყვებს **იოლი, ილლია, იცი**, დავინახავთ, რომ აქაც და იქაც თავკიდური ხმოვნის შემართვა აბსოლუტურად ერთნაირია, რაც იმის ნიშანია, რომ თავკიდური ხმოვანი ქართულ ენაშიც მაგარშემართვიანია.

§4 (29). ჩვენთვის საინტერესო ხმოვნის (ანდა მისი შემცველი ამა თუ იმ სიდიდის) „ამოკვეთა“ სიტყვის ან მარცვლის შემადგენლობიდან.

ეს სხვა არა არის რა, თუ არა სიტყვის დანაწევრება მის ამა თუ იმ შემადგენელ ნაწილებად: მორთეპებად, აფიქსებად, მარცვლებად და ცალკეულ შემთხვევებში იქნებ სრულიად მექანიკურ (არაცნობიერ) – ნაწლებადაც. მაგალითად:

ა) ავიღოთ სიტყვა **მაერთი** და წარმოვთქვათ ჩვეულებრივ: [მაერთი]. აქ ვერაფერს ვიტყვით და ვერც აღვნიშნავთ ახალს – განსაკუთრებულს, ყველაფერი ადგილზეა და არც გაუგებაში თუ საეჭვოა რამე.

ბ) დასახელებულ სიტყვას ჩამოვაცილოთ **მა**– ნაწილი და დარჩენილი – **ერთი** ნაწილი წავიკითხოთ ისე, როგორც სხვა დროსაც წავიკითხავს მრავალგზის – როგორც სრულიად დამოუკიდებელი სიტყვა, როგორც რიცხვითი სახელი **ერთი** (1). გვინდა თუ არ გვინდა, წარმოვთქვამთ და მოვისმენთ ასე: [ცერთი] – ანლაუტისეული ხმოვნის ძლიერი შემართვით.

გ) კიდევ ერთხელ რომ დაგვწყინდეთ ამაში, მიღებული სიდიდე გულდასმით გავიმეოროთ რამდენჯერმე: **ერთი, ერთი, ერთი...** კიდევ ერთხელ გავაცნობიერებთ თავკიდური ხმოვნის მაგარ შემართვას: [ცერთი], [ცერთი], [ცერთი]...

დ) კვლავ ადვადგინოთ **მა**– ნაწილი, წარმოვთქვათ **მაერთი** და რამდენჯერმე გავიმეოროთ: [მაერთი], [მაერთი], [მაერთი]...

ე) რიგრიგობით წარმოვთქვათ **მაერთი** და – **ერთი** (იგივე **ერთი**); გულდასმით

დავაკვიროთ, ხომ არაფრით განსხვავდება ე ხმოვანი ამ სიდიდეებში: **მაერთი – ერთი – ერთი – ერთი...** უსათუოდ მივიღებთ ე ხმოვნის შემართვის ორ განსხვავებულ სურათს. და ის, რითაც – **ერთი** (ანუ **ერთი**) ნაწილის თავკიდური ე განსხვავდება **მაერთი** სიტყვის რწყმულ არტიკულაციაში ჩართული ე–სგან, არის **მაგარი შემართვა** (შესადარებელი სიდიდეები გადავიტანოთ ვერტიკალზე):



ეს უბრალო, მაგრამ, ჩვენი აზრით, საყურადღებო ექსპერიმენტი გვაგონებს ორნიშნა, მაგალითად, 61 რიცხვისა და მასში შემავალი თითოეული ნიშნის (ციფრის) ურთიერთმიმართებას: ერთ მთლიანობაში აღქმისა და წაკითხვის შემთხვევაში გამოდის რიცხვი 61 (**სამოცდაერთი**), ცალ–ცალკე აღქმისა და წაკითხვის (ანუ დანაწევრების) შემთხვევაში კი – ამ რიცხვში შემავალი თითოეული ციფრი ცალ–ცალკე 6 (**ექვსი**) და 1 (**ერთი**). თუ ამნაირადვე მივუდგებით თვით სიტყვას **სამოცდაერთი**, ერთ მთლიანობაში წაკითხვის შემთხვევაში ვიღებთ სურათს [სამოცდაერთი], რასაც მივმართავთ კიდევაც. მაგრამ თუ რაიმე მიზნით ამ სიტყვაში შემაგალ – **ერთი** (**ერთი**) ნაწილს აღვუდგენთ თავის ჰარვანდელ საარტიკულაციო სტატუსს, ანუ თუ მოვინდომებთ **სამოცდაერთი**–ს დანაწევრებულად წარმოთქმას, მივიღებთ ტრანსკრიფციას [სამოცდაცერთი]. ასეც წარმოვთქვამთ ხშირად, როცა ვხელმძღვანელობთ წარმოთქმის არა სასაუბრო, არამედ სრული სტილით, მაგალითად, როცა მსმენელებს ვკარნახობთ რიცხვებს. და სწორედ ეს არის ფონეტიკა იმ ე. წ. ხმოვანთა გამყოფისა, ანუ ლარინგალური [ც]–სი, რომელიც ასე უხვდაა წარმოდგენილი თუ შერკილოვან თუ თუ შერენოვან მეტყველებაში.

ანალოგიური მდგომარეობა გვექნება მაგალითებში **სამოცდაორი, სამოცდაათი** და ა. შ.

ახლა რამდენადმე უფრო ფართოდ წარმოვადგინოთ ამგვარი „ამოკვეთის“ ნიმუშები – ა) თანხმოვნის მიმყოლი ხმოვნისთვის და ბ) ხმოვნის მიმყოლი ხმოვნისთვის:

ა) ვარსებობ [ვარსებობ]

არსებობ [ვარსებობ]

ველი [ველი]

ელი [ველი]

ვიხდი [ვიხდი]

იხდი [ვიხდი]

ვოხრავე [ვოხრავე]

ოხრავე [ვოხრავე]

ვუხდი [ვუხდი]

უხდი [ვუხდი]

ბ) გამოაბამს [გამოაბამს]

აბამს [გამოაბამს]

გამოება [გამოება]

ება [გამოება]

გაოგნდება [გაოგნდება]

ოგნდება [გაოგნდება]

დაუანგარიშებია [დაუანგარიშებია]

უანგარიშებია [დაუანგარიშებია]

საინტერესო და კვირვება შეიძლება ჩატარდეს სტრიქონიდან სტრიქონზე გადატანილ სიტყვებზე, რაც ბუნებრივად იძლევა „ამოკვეთის“ იმიტაციას.

წარმოვიდგინოთ გვერდი (ფურცელი), რომლის მარჯვენა მხარეც ნახევრად დახვეულია, მარცხენა მხარეზე კი ვხედავთ საანალიზო – ლექსიკურ – სიდიდეებს:

ათევეს
ერი
ისევამს
ოდენობა
უბერავს

რამდენჯერმე წავიკითხოთ (ჩავიკითხოთ) ისინი (ხმით ან ჩურჩულით). ამის შემდეგ გავშალოთ გვერდის დახვეული ნაწილი, სადაც აღმოვაჩენთ ახალ სიდიდეებსაც გა-, სული-, ჩა-, რა-, და-:

ათევეს	გა-
ერი	სული-
ისევამს	ჩა-
ოდენობა	რა-
უბერავს	და-

აღმოჩნდა, რომ ათევეს, ერი, ისევამს, ოდენობა, უბერავს სიდიდეები მხოლოდ ნაწილები ყოფილა სტრიქონიდან სტრიქონზე გადატანილი სიტყვებისა გაათევეს, სულიერი, ჩაისევამს, რაოდენობა, დაუბერავს. რაკი ასეა, წავიკითხოთ ეს სიტყვები ისე, როგორც ჩვეულებრივ ვკითხოლობთ: [გაათევეს], [სულიერი], [ჩაისევამს], [რაოდენობა], [დაუბერავს]. ყველაფერი გასაგებია და ყურადღებასაც არაფერი იქცევს.

ახლა მორიგეობით წავიკითხოთ: ჯერ სიტყვის გადატანილი ნაწილი (მაგ., **ათეეს**), მერე გადატანისას გრაფიკულად გაწყვეტილი სიტყვა მთლიანად (მაგ., **გაათეეს**), მერე – კვლავ სიტყვის გადატანილი ნაწილი; ამგვარად და-ვამუშაოთ აქ წმოდგენილი ყველა მაგალითი:

ათეეს

გაათეეს

ათეეს და ა. შ.

თუ კვლავ სტერეოტიპულ ტყვეობაში არა ვართ, უსათუოდ უნდა შევნიშნოთ და გავიაზროთ სხვაობა ანლაუტისეულ ხმოვნებსა და მათ შესატყვის ინლაუტისეულ ხმოვნებს შორის. და რითაც გამოიხივებიან ეს ხმოვნები ანლაუტში, არის სწორედ ის, რასაც ვეძებთ და **ძლიერი შემართვა** ეწოდება:

გვქონდა შემთხვევა, როცა (არა ამ კვლევა-ძიებასთან, არამედ სულ სხვა საქმესთან დაკავშირებით) დაგვევალა მეთვალყურეობა გაგვეწია იმისთვის, თუ როგორ დაეუფლებოდა ქართული ენის გრამატიკულ სტუქტურაში არცთუ გაწაფული ცდისპირი ერთ ქართულენოვან ხელოთ ნაწერ ტექსტს. ცდისპირი ჩუმად მიჰყვებოდა ნაწერს და კითხვების მეშვეობით დროდადრო ჩვენთან არკვევდა ამა თუ იმ სიტუაციას. კითხვებს შორის აღმოჩნდა ასეთიც:

- რა არის **იწვია**?
- რა სიტყვა თქვით?
- **იწვია**.

ცდისპირმა, რა თქმა უნდა, თავკიდური ხმოვანი წარმოთქვა ისე, როგორც ნებისმიერი ჩვენგანი წარმოთქვამდა – ჩვეულებრივ, ანუ ძლიერი შემართვით: **[ციწვია]**.

აღმოჩნდა, რომ ხელოთ ნაწერში სტრიქონიდან სტრიქონზე იყო გადატანილი სიტყვა **გამოიწვია**, ოღონდ – გადატანის ნიშნის გარეშე:

გამო
იწვია

სწორედ ამან – ინლაუტის ხმოვნის თუნდაც, დიახ, მექანიკურმა მოხვედრამ ანლაუტში, ანუ რწყმული (*legato*) არტიკულაციის მექანიკურმა გადაყვანამ წყვეტილ (*staccato*) არტიკულაციაზე, რომელიც ანლაუტის არტიკულაციის ეკვივალენტურია – გამოიწვია მაგარი შემართვის გაჩენა აქ; შდრ.:

გამოიწვია – [გამოიწვია]

იწვია – [ციწვია]

როგორც კი სიტყვის გადასატანი დეფისი გაფორმდა, ცდისპირმა უმაღლესაწონა არტიკულაცია: **[გამოიწვია]**.

ერთი მაღაზიის კარზე გაკრულ აბრაზე იკითხებოდა **ილია**, რაზეც მაღაზიის მუშაკებმა განმარტეს, რომ სიტყვა **დაკეტილია** ჰქონდათ ამობუჭილი ორ ფურცელზე, რომელთაგან ერთი ჩამოვარდა და დაიკარგა. ერთმანეთს შევადაროთ ეს ორივე მოცემულობა და დავინახავთ, რომ **ლ**-ს წინამავალი ხმოვნის შემართვა მათში აშკარად განსხვავებულია – პირველში მაგარია, მეორეში არა:

ლ ი ა
დაკეტილია

სიტყვაში შემავალი ინლაუტის ხმოვანი ფონეტიკურად მაგარი შემართვით ფორმდება იმ შემთხვევაშიც, როცა ის არ წარმოადგენს მარცვლის თავკიდურს, მაგრამ როცა საბეჭდო მანქანაზე ანდა კომპიუტერზე ვეძებთ ჩვენთვის საჭირო მორიგ კლავიშას (ასოს) და იმის შიშით, რომ არ გამოგვეპაროს სიტყვაში შემავალი ესა თუ ის ასო-ბგერა, სიტყვას მარცვალ-მარცვალ, მეტიც, ასო-ასო (ბგერა-ბგერა) ვანაწევრებთ და ამ „ნაწევრებს“ გულდასმით წარმოვთქვამთ და ვიმეორებთ ხმით, რის შედეგადაც რწყმული არტიკულაციიდან „ამოკვეთილი“ თითოეული ხმოვნის თავში ჩნდება ძლიერი შემართვა, ანუ თითოეულ ხმოვანს აღუდგება ყოფილი იზოლაციისეული ანდა ყოფილი ანლაუტისეული ლარინგალური **ქ**.

ახლა ერთმანეთს შევადაროთ **შემო-** / **შემო!** სიდიდეების მიმყოლი ხმოვნები ორგვარ გარემოებაში (ვითარებაში, პირობაში): 1) არა პაუზის მიმყოლ, როცა **შემო-** წარმოადგენს ერთი ლექსემის შემადგენელ ნაწილს და 2) პაუზის მიმყოლ, როცა **შემო!** წარმოადგენს სრულიად დამოუკიდებელ ლექსემას, მეტიც – ბრძანებითი კილოთი გამოხატულ წინადადებას:

არა პაუზის მიმყოლ	პაუზის მიმყოლ
შემოაგდებს	შემო!... აგდებს.
შემოეხვევა	შემო!... ეხვევა.
შემოინახავს	შემო!... ინახავს.
შემოუნთბის	შემო!... უნთბის.

ის, რასაც არტიკულაციურად აქ აღვლი აქვს **ა, ე, ი, უ** ხმოვნებში პაუზის

მიმყოლ (აგდებს, ეხვევა, ინახავს, უნთებს), განსხვავებით პოზიციისა არა პაუზის მიმყოლ (შემაგდებს, შემოეხვევა, შემოინახავს, შემოუნთებს), არის ხმოვნის ძლიერი შემართვა, რაც ტრანსკრიფციაში იძლევა სურათს:

არა პაუზის მიმყოლ	პაუზის მიმყოლ
[შემაგდებს]	[შემო][ცაგდებს]
[შემოეხვევა]	[შემო][ცეხვევა]
[შემოინახავს]	[შემო][ცინახავს]
[შემოუნთებს]	[შემო][ცუნთებს]

მაშ, ქართულში გვაქვს: აგდებს [ცაგდებს], ეხვევა [ცეხვევა], ინახავს [ცინახავს], უნთებს [ცუნთებს].

მოკლედ: ანლაუტიდან ინლაუტში მოხვედრილი ხმოვანი გახლავთ, როგორც **გ. ახვლედიანი** იტყოდა, ცვლილებადანცდილი ბგერა და, როცა ამა თუ იმ მიზეზითა თუ მიზნით ასეთ ხმოვანს კვლავ ანლაუტში ვაბრუნებთ, მას უბრუნდება, აღუდგება მისი სრული, ხალასი, საკუთარი შემართვა, რომელიც არის ძლიერი და რომელიც ფონეტიკურად გამოიხატება **ც** ლარინგალით.

§5 (30). ოკლუზია.

ერთადერთი სიტყვა მაგარდამართვიანი ხმოვნით იქნება აუცილებელიც და საკმარისიც იმისათვის, რათა გამოვავლინოთ ანლაუტის (ანდა განცალკევებული) ხმოვნის დღემდე გაუცნობიერებელი ნიშანი – მაგარი შემართვა – არა მხოლოდ ქართულ ენაში.

ცოცხალ ქართულენოვან მეტყველებაში, მართალია, გვხვდება სიტყვები აუსლაუტისეული მაგარდამართვიანი ხმოვნით, მაგრამ სულ სხვა რამეა, როცა ასეთ ფაქტს გვიდასტურებს სამეცნიერო წყარო და ისიც – მაღალი კლასისა.

დიდი ქართველი ფონოლოგი, **გ. ახვლედიანი** წარმოგვიდგენს ძლიერდამართვიან ქართულ სიტყვებს. ესენია: ნაწილაკები **აჟ** და **არაჟ** (ახვლედიანი, 1949, 106; ახვლედიანი, 1966, 105). ეს უკვე გვაძლევს საშუალებას მივმართოთ ანალიზს.

თუკი ამ სიტყვებს შევაპრაპირებთ (შევუწყვილებთ) ნებისმიერი ხმოვნით დაწყებულ ქართულსავე სიტყვას, სადაც (ეს თავისთავად იგულისხმება) ძლიერი შემართვა არ არის გაცნობიერებული, გარდაუვალია **DX** (დისტანციური გემინირებული ოკლუზია).

ვიდრე მაგალითებზე გადავიდოდეთ, გავიხსენოთ ერთი პირობა.

როგორც ირკვევა, სინტაგმატიკური „ალიანსის“ (მთლიანობის) ჩამოყალიბებას ბევრჯერ ხელს ვერ უშლიან სინტაქსური ბარიერები, კერძოდ, ხელს ვერ უშლის სიტყვებს შორის არსებული ის ზღვარი, რომელიც წერილმეტყველებაში პუნქტუაციით გამოიხატება, ზეპირმეტყველებაში კი – პაუზითა და ინტონაციით. მაგალითად, ხშირად ერთ სინტაგმატიკურ მთლიანობად წარმოითქმის სიტყვები **კი** და **მაგრამ**, რომლებსაც გრაფიკულად მძიმით განვაცალკევებთ ერთიურობისგან: **კი, მაგრამ [კიმაგრამ] ეს როგორ მოხდა?** ასევეა რუსულშიც: **Да, но [дано]¹⁰² как это случилось? 'კი, მაგრამ ეს როგორ მოხდა?'**

აქ არც მძიმე, არც ინტონაცია ხელს არ გვიშლის სიტყვების ერთ მთლიანობად (პაუზის გარეშე) წარმოთქმაში, რადგან: ყოველთვის როდი „იკითხება“ მძიმე, ანუ ყველა მძიმესთან როდი კეთდება პაუზა (Хмара, 1980, 94), თუმცა პაუზა წარმადგენს სინტაგმის მთლიანობისა და მისი საზღვრების გასაფორმებელ ერთ-ერთ საშუალებას, აზრობრივ (ლოგიკურ) მახვილთან, მელოდიკასთან და ტემპთან ერთად (იქვე, 88), რომელთაგან ამჯერად გვაინტერესებს სწორედ და მხოლოდ პაუზა.

ხშირად იმდენად არის წაშლილი პაუზის კვალი, რომ, როცა ბგერათცვალებადობაზე საუბრობს სიტყვათმეცნიერის მაგალითზე, **ღია ღმერთო (> ღიად / ღიან), ბიჭო სცან (> ბიჭოს), კაცო სცან (> კაცოს)** შესიტყვებებში **გ. ახვლედიანი** საჭიროდ აღარც კი თვლის მძიმის დასმას (ახვლედიანი, 1966, 200).

ახლა მოვუხმოთ **DX**-ის ამსახველ მაგალითებს (სიტუაციებს), რამაც ქართულში უნდა დაადასტუროს ანლაუტის ხმოვნის ძლიერი შემართვის ფაქტი.

თუკი მეტყველებაში ჩაფრთავთ **გ. ახვლედიანის** მიერ დადასტურებულ უარყოფა-აკრძალვის გამომხატველ **არაჟ** სიტყვას, კითხვაზე **ეს რა დახატე – ღათვი?** ბავშვის (ასევე ღილის) პასუხი შეიძლება იყოს სხვადასხვა:

არაჟ, ადამიანი

არაჟ, ენძელა

არაჟ, ირემი

არაჟ, ოფოფი

არაჟ, უთო

თუკი ფეხობთ **ც**-ს არტიკულაციის ტექნიკას და თუ ამ **ც**-ს ვიცნობთ აკუსტიკურად, უსათუოდ შევამჩნევთ, რომ ყველა ამ პასუხში სახეზე გვაქვს **DX**:

102 ამ შემთხვევაში **ო** არ ექვემდებარება რედუქციას და ინარჩუნებს თავის სახეს.

არაჟ, ადამიანი [არაDXცადამიანი]

არაჟ, ენძელა [არაDXცენძელა]

არაჟ, არემი [არაDXცარემი]

არაჟ, ოფოფი [არაDXცოფოფი]

არაჟ, უთო [არაDXცუთო]

თუკი ანლაუტის ხმოვნის მაგარ შემართვას თავის სტატუსს მივანიჭებთ **არაჟ** სიტყვაშიც, მივიღებთ: [ცარაDXცადამიანი], [ცარაDXცენძელა]...

ამგვარი ოკლოუზია შედეგია იმისა, რომ პირაპირზე (ორი სიტყვის ფონეტიკურ შესაყარში, ნაკერზე) თავს იყრის ორი ერთნაირი ხშულ-მსკდომი **ც** თანხმოვანი, რომელთაგან პირველი გვაქვს პირველი (**არაჟ**) სიტყვის აუსლაუტში, მეორე კი, იგულისხმება, მომდევნო სიტყვის ანლაუტში, რაც ტრანსკრიფციაში იღებს სახეს: [ცარაჟცადამიანი], [ცარაჟცენძელა]...

თუკი აქ გამოვრიცხავთ **DX**-ს, ანუ ზედიზედ მისულ ორ **ც**-ს, მაშინ ტრანსკრიფციაში მივიღებდით ფორმებს [ცარაჟცადამიანი], [ცარაჟცენძელა], რაც ტოლფასია მოცემულობებისა **არა, ადამიანი** და **არა, ენძელა**. ჩვენ კი გვაინტერესებდა **არაჟ, ადამიანი** ტიპის სიდიდეების ფონეტიკური არსი, რაც, ვფიქრობთ ასე თუ ისე გამოიკვეთა.

გამოდის, ქართულში გვაქვს: **ადამიანი** [ცადამიანი], **ენძელა** [ცენძელა], **არემი** [ცარემი], **ოფოფი** [ცოფოფი], **უთო** [ცუთო].

ქართული **არაჟ** სიტყვის მიმყოფი შეიძლება წარმოვიდგინოთ ნებისმიერი სხვა სიტყვა, ხუთი ხმოვნიდან ნებისმიერზე დაწყებული: ყველგან იგივე მდგომარეობა გვექნება.

მაგალითების გარეშე ვიტყვი, რომ ანალოგიურ სიტუაციებს ავლენს ქართული **აჟ** ნაწილაკი.

ამგვარივე საუბარი შეიძლება წარვმართოთ დასტურის გამოხატველ **ჰოჟ** ნაწილაკზე, რომელიც ასევე შეიძლება გავიგონოთ ქართულენოვან მეტყველებაში.

თუკი უხვად მოვეყრით თავს იდენტურ ქართულენოვან შესიტყვებებს და ზედიზედ (მიჯრით) შევუდგებით მათ კითხვას, სულ მალე აღმოვჩნდებით სუნთქვით პროცესებთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემის წინაშე – დაგვეწყება შეხუთვა, რაც უალტერნატივოდ მეტყველებს ანლაუტის ხმოვნის მაგარშემართვიანეობაზე ქართულში: ზედიზედ მისული ორი **ც**-თი გამოწვეული უბგერო მომენტი იგივე მჭიდროდ დახშული ყიაა, დახშული ყია

კი – შეჩერებული, შეწყვეტილი, შეგუებული სუნთქვა. ეს ფაქტი გვათამამებს უბგერო მომენტის გაგრძელებასთან დაკავშირებით გამოყენებული **რამდენიც გვინდა** (ახვლედიანი, 1966, 123) ფორმულის სანაცვლოდ შემოვიტანოთ ალტერნატიული ფორმულა **რამდენიც შეგვიძლია**. აქ, როგორც არსად, მოიწვევს **ა. შანიძის** მიერ აღწერილი ის სამეტყველო ეპიზოდი, როცა მოსაუბრე თუშისტვის უკითხავთ: „თუშო, რას იხრჩობი?“ (შანიძე, 1970, 105).

მაშ: ქართულენოვანი **აჟ** და **არაჟ** სიტყვები, მათში აუსლაუტისეული **ც**-ს არსებობის წყალობით, რაც **DX**-ის წყაროა, საშუალებას იძლევიან ნებისმიერი ხმოვნით დაწყებული ნებისმიერი ქართულენოვანი სიტყვის ანლაუტში გამოვავლინოთ და დავადასტუროთ ანლაუტის ჩვეულებრივი ხმოვნის ძლიერი შემართვა, რაც განპირობებულია არტიკულაციის საწყის ფაზაში (საწყის მეყში) ფონეტიკური **ც** სიდიდის, ანუ **ც** ლარინგალის არსებობით.

რომც არ ჰქონოდა ქართულ ენას ეს ორიოდე სიტყვა ბოლოკიდური ხმოვნის მაგარი დამართვით, მათი ხელოვნურად შექმნაც კი ღირდა ანლაუტის ხმოვნის (ჩვეულებრივი ხმოვნის) ძლიერი შემართვის გამოსავლენად.

უამრავჯერ გვინდა გავიმეოროთ: ამ ყოველივეში რომ დაფრწუნდეთ, არ არის საჭირო არც რაიმე აპარატურა, არც განსაკუთრებული უნარი, საკმარისია ვიცოდეთ: რა არის **ც** და რა – ოკლოუზია?

§6 (31). დაკვირვება არანორმირებულ, თავისუფალ მეტყველებაზე თავისუფალ წუთებში.

ვარჩევთ რა დამწერლობიანი ენების ე. წ. სალიტერატურო და ე. წ. არასალიტერატურო (სასაუბრო) ფორმებს, ხშირად თავს ვარიდებთ ამა თუ იმ სასაუბრო ფორმისა თუ ბგერის განხილვას ლინგვისტურ კატეგორიათა ასპექტში, რითაც ვტოვებთ მათ ოდენ ექსტრალინგვისტური თუ ლიალექტოლოგიური კონსტატაციის ვიწრო ჩარჩოებში. მაგრამ, ვფიქრობთ, აქ გათვალისწინებული უნდა იქნეს სულ ცოტა სამი მომენტი.

ჯერ ერთი, ე. წ. სასაუბრო (არასალიტერატურო) ფორმები ხვალ ან ზევდ შესაძლოა იქცნენ ე. წ. სალიტერატურო ფორმებად (თუ უკვე არ არიან ქცეულები ასეთებად), რადგან სალიტერატურო ენას არ გააჩნია სხვა რამ უფრო უხვი წყარო არსებობისთვის, გარდა სასაუბრო მეტყველებისა. სალიტერატურო ენისთვის არ შეიძლება თვით სალიტერატურო ენა იყოს

საარსებო წყარო: **დედა მდინარისკენ მორაკაკე ნაკადული** უწოდა თუ-
შურ კილოს **ე. თათარაძემ** ერთ საგაზეთო პუბლიკაციაში. საოცრად სრული
ნათქვამია.

მეორე, უამრავი უდამწერლობო ენა (მეტყველება) შედის ლინგვისტი-
კის ინტერესებში და უამრავი მათგანი ექვემდებარება კვლევა-ძიებას. და
როგორ უნდა განისაზღვროს ის, თუ რომელი ფორმებია აქ „ნორმირებუ-
ლი“ („ნორმატიული“) და რომელი „არანორმირებული“, რომელი ფორმებია
„სალიტერატურო“ და რომელი „არასალიტერატურო“, რომელი მიეკუთვნე-
ბა მაღალი ინტერესის სფეროს და რომელი დაბალი ინტერესისას? თუ: რაკი
ენა უდამწერლობაა, ის არანორმალურიცაა?

მესამე, ჩვენ აქ საუბარი გვაქვს **ხმოვნებზე**, ქართული ენის **ხმოვნებზე** და
არა ამ ხმოვნების შემცველ „სალიტერატურო“ და „არასალიტერატურო“
ვარიანტებზე, სადაც არანაირად არ უნდა გვიხდებოდეს ლაპარაკი ე. წ. სალიტ-
ერატუროზე და ე. წ. არასალიტერატუროზე, მისაღებზე და მიუღებელზე.

ამიტომ: თავისუფლად უნდა მოვიხმოთ მაგალითები ისეთი სამეტყვე-
ლო სიტუაციებიდან, როგორიცაა: ოჯახი, ეზო, ქუჩა, სამსახური, ბაზარი,
დღეობა, ხელჩართული ჩხუბი, ესა თუ ის ხალხმრავალი აქცია (სადაც მე-
ტყველება არცთუ იშვიათად ექსპრესიულია – ფარინგალიზებული), სამედი-
ცინო მომსახურება, სახელმწიფო მართვის სტრუქტურები, მეგობართა წრე
და ა. შ. მეტწილად სწორედ ასეთ პირობებში მიმდინარეობს მეტყველება,
რომელსაც **გ. ახვლედიანი** უწოდებს ჩვეულებრივს, ნორმალურს (ახვლედი-
ანი, 1966, 199–200). სწორედ ამგვარ სამეტყველო სიტუაციებზე დაკვირვე-
ბა შეიძლება თავისუფალ დროს, რათა თუნდაც რამენაირი სარგებლობა
მოეუტანოთ სამეცნიერო კვლევა-ძიებას. ისე რომ, კოლოკვიალისტიკა¹⁰³
მარტო კოლოკვიალისტიკისთვის არ უნდა არსებობდეს.

ლინგვისტიკა – ფონეტიკა იქნება იგი, გრამატიკა თუ ლექსიკა – ენის,
როგორც ასეთის, ვითომდა შესასწავლად იკვლევს რაღაც აბსტრაქციას,
რომელსაც მან (ლინგვისტიკამ – ა. ბ.) „ენა“ უწოდა, – წერს **ორტეგა** თა-
ვის **„ახალი ლინგვისტიკის შესავალი“**. – სინამდვილეში ენა, თუკი ნებადარ-
თული იქნება მისი ფორმალური საზღვრების დადგენა, სულაც არ არის მო-
ცემული აბსტრაქცია, ...არამედ ნამდვილი საოცრებაა, რომლისაც წვდომა

103 თანამედროვე ლინგვისტიკის მიმართულებით, რომელიც სწავლობს სამეტყვე-
ლო პრაქტიკის სასაუბრო (ბუნებრივ) სახესხვაობებს (<http://skladrobot.ru/>).

ეგების... სინამდვილეში ენა არასოდეს არ წარმოადგენს რაღაც გაკეთე-
ბულს, დასრულებულს, სხვანაირად – „ფაქტს“, რადგან ის არასოდეს არ არის
„გაკეთებული“ და „დასრულებული“. ენა მუდმივად ქმნის და ამავე დროს
ანგრევს, ანადგურებს თავის თავს (Ортега, 2000, 671). მეტიც: თვით ადამი-
ანიც კი, როგორც ენის მატარებელი, „ყოველთვის იმყოფება ჩამოყალიბების
სტადიაში და ყოველი ისტორია შეიძლება განისაზღვროს, როგორც მისი
ძალისხმევის ისტორია ადამიანად გახდომისა. ადამიანი არ არსებობს – იგი
ხდება...“ (Мамардашвили, 1992, 313). და იმ საოცრებათა შორის, რომელთა
წვდომაც ეგების, **ორტეგა** ასახელებს ბეგრის ამა თუ იმ ნიშანსაც არა –
ჟესტ-მიმიკებს. ეს კიდევ არაფერი: ის მთელი სერიოზულობით საუბრობს
სხეულის სამეტყველო პოზებზე და თავბრუდამხვევ დაძვრებლობასა თუ
გამომხატველობით ოსტატობას ამჟღავნებს, როცა აღწერს ინგლისელების
ანდა ფრანგების სამეტყველო თავისებურებებს (იქვე, 684–685).

რწყმული მეტყველების პრინციპებიდან გამომდინარე, შესიტყვებები
მაგნარად არ შეიძლება, მაგდენი არ უნდა ღირდეს, წამალმა არ უშველა,
მაგან უნდა გაიგოს, დამისახელო ერთი მაინც, მაგან ისეთი რამე თქვა, სამ-
ჯერ თუ ოთხჯერ ვუთხარი და ა. შ. წარმოითქმის ასე: [მაგნარადარშეიძლე-
ბა], [მაგდენიარუნდაღირდეს]...

მაგრამ მოსაუბრის სამეტყველო ინდივიდუალობიდან, სათქმელის სე-
მანტიკური დატვირთვიდან, თვით სამეტყველო აქტის ხარისხიდან და სხვა
სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორებიდან გამომდინარე, და, როგორც
გ. ახვლედიანი ბრძანებს (ახვლედიანი, 1966, 199–200), გამომდინარე იქიდან,
„თუ რა სიტუაციაში ვიმყოფებით მოსაუბრის მიმართ (მანძილი, დამოკიდებ-
ულება მოსაუბრესთან, მოსაუბრის მოთხოვნილება, მისი სმენითი და გაგების
შესაძლებლობა და სხვა)“, შეიძლება მოვისმინოთ ამ და ამგვარი შესიტყვე-
ბების დანაწევრებული არტიკულრებაც, რაც თავისთავად გულისხმობს
ხმოვნის მაგარ შემართვასაც იქ, სადაც შესიტყვების ცალკეული წევრი იწ-
ყება ხმოვით: [მაგნარადგარშეიძლება], [მაგდენიარგუნდაღირდეს]...

მეტიც: სხვა შემთხვევაში ეს შესიტყვებები შეიძლება დაშლილი იქნეს
ცალკეულ მარცვლებადაც, სადაც ხმოვნის მაგარი შემართვა დაფიქსირდება
ხმოვნით დაწყებული ყოველი მარცვლის ანლაუტში, ისევე როგორც სალიტ-
ერატურო გერმანულშია: [მაგნარადგარ-შე-ყი-ძლე-ბა], [მაგდენიარ-
გუნ-და-ღრ-დეს]...

ჩვენ გვაინტერესებს არა სათქმელისა თუ ნათქვამის ნორმირებული ან არა-ნორმირებული ხასიათი, არამედ ის, თუ რა ხასიათი შეიძლება გამომჟღავნოს ამა თუ იმ ბგერამ ამა თუ იმ სამეტყველო სიტუაციაში – იმისდა მიუხედავად, არის თუ არა იგი (ბგერა) ნორმირებული თუ არანორმირებული სიტუაციის ნაყოფი. ვფიქრობთ, სწორედ ამგვარი, „არანორმირებული“ სამეტყველო გარემოს კვალი ატყვია ჯერაც მეტყველების ისეთ „ნაბოლარა“ ნაწილებს, როგორცაა ნაწილაკი, შორისდებული, ხმაბაძვითი სიტყვები და ა. შ.

და საერთოდ: მეტყველება, როგორც ასეთი, სწორედ ამგვარ ატმოსფეროში იშვიათად უთუოდ, რასაც **ჟესტურსენის** მოსაზრებაც უნდა გვიდასტურებდეს (ახვლედიანი, 1949, 389-390). ამიტომ: სწორედ ამგვარ – „დაუდევარ“ – სიტუაციებში შეიძლება გამომჟღავნდეს მეტყველების, კერძოდ, ამა თუ იმ ბგერის ესა თუ ის ნიშან-თვისება და არა უსათუოდ თანამედროვე აბარტურით აღჭურვილ ლაბორატორიებში.

ავილოთ სხვა „არანორმალური“ სიტუაციები. ერთ საკმაოდ ძველსა და გაფრცხვანულ ანეკდოტში შინაარსის (სათქმელის) გადმოცემა ხდება სწორედ ყოფილი ანლაუტისეული, ახლა კი ინლაუტში მოყოლილი ხმოვნისთვის მისი ყოფილი (და კუთვნილი) ანლაუტისეული ძლიერი შემართვის აღდგენის გზით. თუ არა ამ შემართვის „რეალიზაცია“, გაუფერულდებოდა ანეკდოტის, როგორც ფოლკლორის ერთ-ერთი პოპულარული ჟანრის, არა მხოლოდ ფორმა, არამედ შინაარსიც.

„ვინც კარგები ვართ, – ამბობს ოსი, – სუ ოსები ვართ, სენი წირიძე. – და ჩამოთვლის თავის ამ დებულების დამადასტურებელ არგუმენტებს (ჯერ გრაფიკულად ნუ აღვნიშნავთ იმ მნიშვნელოვან დეტალს, რომლითაც უნდა წარმოითქვას კიდევაც აქ ეს სიდიდეები): – **ფიზიკოსი, ქიმიკოსი, მათემატიკოსი, აკადემიკოსი, ფილოსოფოსი, გენიოსი...**“¹⁰⁴

ანეკდოტის პროფესიონალი მთხრობელი მიმართავს ამ თითოეული ხაზგასმული სიტყვიდან –**ოსი** ნაწილის „ამოკვეთას“. ამას კი სხვაგვარად ვერ გააკეთებს, თუ არა **ოსი**-ს წარმოთქმით ისე, თითქმის ეს იყოს არა ამ სიტყვების ნაწილი, არამედ – სრულიად დამოუკიდებელი ლექსემა. ეს კი უსათუოდ გულისხმობს მისი თავიკიდური **ო** ხმოვნის წარმოთქმას მაგარი შემართვით, რასაც ჩვენ აღვნიშნავთ **ჟ** გრაფიკით და რაც იძლევა სურათს:

ფიზიკოსი – ფიზიკ[ოსი]

104 მოგვიანებით დაემატა კოსიგინი

ქიმიკოსი – ქიმიკ[ოსი]

მათემატიკოსი – მათემატიკ[ოსი]

აკადემიკოსი – აკადემიკ[ოსი]

ისე რომ, ქართულ სიტყაში **ოსი** თავიკიდური **ო** ხმოვანი მაგარშემართვიანია: **[ოსი]**. და რატომ არ ექნებათ მაგარი შემართვა მსგავს დისტრიბუციაში ქართული ენის დანარჩენ ხმოვნებს, მაგალითად, სიტყვებში **ასი, ესენი, ისინი, უსახო?**

გავიხსენოთ გონების სავარჯიშო გასართობი ამოცანა ბავშვობიდან (გვაინტერესებს თავიკიდურხმოვნის სიტყვები).

ერთი ბავშვი ეუბნება მეორეს:

– აბა, დაიწყე დათვლა **ლიმონ ერთი, ლიმონ ორი** და დათვალე ათამდე, რა გამოვა?

აქ ამოცანის გართულება-გაბუნდოვნების მიზნით შესიტყვებაში შემაჯალ რიცხვით სახელებს მთქმელი წარმოთქვამს არა **ლიმონ**–თან რწყმილად, არამედ – ცალკე, დამოუკიდებლად, ანუ, ჩვენი მსჯელობის თანახმად, თავიკიდური ხმოვნების ძლიერი შემართვით – ისე, როგორც წარმოთქვამთ მათ მთელი სიცოცხლე: **ერთი [ცერთი], ორი [ცორი]**. აქედან გამომდინარე, შესიტყვებები ფონეტიკურად გამოიყურება ასე: **ლიმონ[ცერთი], ლიმონ[ცორი]**, რაც შეიძლება ასეც დაიწეროს: **ლიმონცერთი, ლიმონცორი**.

სხვაგვარად ეს გასართობი ამოცანა ვერ მოგვცემს იმ სასურველ შედეგს, რომელმაც შეკითხვის აღრესატი საგონებელში უნდა ჩააგდოს. მეტიც, ამ შესიტყვებებს ვერც წარმოვთქვამთ (და არც უნდა წარმოვთქვათ) რწყმილად, ანუ მაგარი შემართვის გარეშე **ერთი, ორი** რიცხვითი სახელების თავიკიდურ ხმოვნებთან.

მოპასუხე იწყებს თვლას არტიკულაციის იმ წესით, რომელიც კითხვის ავტორმა შესთავაზა: **ლიმონ ერთი [ლიმონცერთი], ლიმონორი [ლიმონცორი]... ლიმონ ათი [ლიმონცათი]**.

– რა გამოვიდა? – ეკითხება დავალების მიმცემი.

პასუხი შეიძლება იყოს ორგვარი:

ა) მიუხედავად ბავშვი გულისხმობდა და მექანიკურად გაიმეორებს **ლიმონ ათი [ლიმონცათი]**, რითაც თითქმის და გვეუბნება იმას, რის დამტკიცებაც მთელი ეს დრო ვუწოდებთ – ქართული ენის თავიკიდური ხმოვანი მაგარშემართვიანია: **ათი [ცათი]**;

ბ) საზრიანი ბავშვი კი, გადაერთვება რა ასოციაციიდან ასოციაციაზე, რიცხვით სახელს **ათი** წარმოთქვამს **ლიმონ**–თან ბმულად, რწყმულად, რათა მიიღოს **ლიმონათი**, რასაც გაღეჟსილ თქმაში **ზმას** უწოდებენ (ქეგელ, 1990, 504). ამისთვის კი საჭიროა და აუცილებელი მაგარი შემართვის მოცილება **ათი** [ცათი] რიცხვითი სახელის თავკიდური ა ხმოვნიდან. სხვაგვარად არაფრით არ მოხერხდება ამის გაკეთება, რაც არცთუ მთლად იოლი საქმეა, და ბავშვი ამას აკეთებს არა რაიმის ცოდნის წყალობით მაგარ შემართვაზე ანდა, მით უმეტეს, **ც** ლარინგალზე, არამედ – საზრისის წყალობით.

მაშ: **ლიმონ ათი** [ლიმონცათი] შესიტყვებიდან **ლიმონათი** სიტყვა მიიღება **ათი** [ცათი] რიცხვითი სახელის ანლაუტის ხმოვნიდან მაგარი შემართვის მოცილების (ლიკვიდაციის) გზით.

აქ მთავარია გააცნობიეროთ არა ხმოვნის მაგარი შემართვა, როგორც ასეთი, არამედ ის, რომ, მაგალითად, **ათი** რიცხვითი სახელის ა ხმოვნის შემართვა **ნამდვილად** სხვაგვარია ინლაუტში (**ლიმონათი**) და სულ სხვაგვარი ანლაუტში (**ათი**). თუ ეს გაცნობიერდა, მაშინ თავისთავად ცხადი ხდება, რომ ის, რითაც არის სხვაგვარი ეს ა, გახლავთ სწორედ მისი მაგარი შემართვა. წინააღმდეგ შემთხვევაში არ აიხსნება ამ ანლაუტისეულ სხვაობათა არსებობა?

შევნიშნოთ, რომ **ლიმონათი** / **ლიმონ ათი** პრინციპზეა აგებული **არტიმელი** / **არტიმელი, რეაქცია** / **რეაქცია** ტიპის თანამედროვე წარმონაქმნებიც, სადაც იმთავითვეა ჩადებული მინიშნება როგორც რწყმულ, ისე დანაწევრებული არტიკულაციაზე.

საზრისი უნდა მოვიშველიოთ ღიდებმაც, რათა ქართული ენის თავკიდურში ვცნოთ ხმოვნის მაგარი შემართვა: ბავშვები ბევრჯერ სრულიად მარტივად წყვეტენ იმას, რაც ღიდებისთვის ხშირად მიუწევდომელია.

ყელის ტკივილისას ექიმი, აღებიანებს რა პირს და ფითხით (დებრესორით, შპატელით) აწვევა რა ენის ძირს, რათა კარგად ჩაიხედოს ყელში (ლარინქსში), პაციენტს ეუბნება: „აბა, თქვი ააა!“¹⁰⁵

აბსოლუტურად ერთნაირად წარმოვთქვამთ თუ არა აქ **ააა** სიდიდის პირველ, მეორე, მესამე და ა. შ. ხმოვნებს?

რა თქმა უნდა, არა: პირველი ა დანარჩენი ა–ებისგან განსხვავდება ერთი რამით – შემართვით. და ის, რითაც პირველი ა განსხვავდება დანარჩენი ა–

105 სწორედ ასე ჰქვია „პროვოკატორის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებულ ერთ მიწიან-ტურას ჟურნალში „გზა“: „აბა, გააღე პირი და თქვი: ა-ა-ა-ა!“ („გზა“, 2001).

ებისგან, არის სწორედ მისი მაგარი შემართვა: [ცააა].

ვიდრე კუთვნილი დონის ლინგოაპარატურულ ანალიზამდე მივიდოდეთ, ნებისმიერი პოლიკლინიკის ოტორინოლარინგოლოგს შეუძლია ვიზუალურადაც და სმენითაც დარწმუნდეს ხმოვანთა ორგვარი (განსხვავებული) შემართვის არსებობაში; ამისთვის საკმარისია ენის ძირზე ფითხით დააწვეს ცდისპირს, ამ უკანასკნელმა კი ხან დახშული ლარინქსის უცაბელი განხშვით წარმოთქვას ა ხმოვანი, ხან კი იმთავითვე ღია (გახსნილ) ლარინქსით; პირველ შემთხვევაში ლარინგოლოგი მოისმენს მაგარშემართვიან ა [ცა] ხმოვანს, მეორეში კი თავისუფალშემართვიან ა ხმოვანს, რაც პირდაპირი მიზეზიც არის და შედეგიც ხმოვანთა ამ ორგვარი (განსხვავებული) შემართვის არსებობისა.

ისევე საბავშვო თამაშობებს მივმართოთ – დამალობანას. ყველას გაგვიგონია ეზოებში: **როცა გეტყვი „ე“, არ გამოხვიდე; როცა გეტყვი „ი“, მაშინ გამოდი**. აქაც: „ე“ და „ი“ ხმოვნებს აქვთ იმ შესაბამისი ხმოვნების ფონეტიკისგან აშკარად განსხვავებული ფონეტიკა, რომლებიც შედიან სარიტმო-დე და -დი მარცვლების შემადგენლობაში. ეს განსხვავება ხმოვნის ძლიერი შემართვა; მდრ.:

როცა გეტყვი [ე],

არ გამოხვიდე[დე]

როცა გეტყვი [ც],

მაშინ გამოდი[დი]

საბჭოეთის ბოლო წლებში ხალხმა, რომელიც ყველაზე კარგად ხედავდა ყველაფერს, შექმნა ასეთი ანეკდოტი.

ხმა დაიჩხა, რომ ამოწმებენ საბავშვო ბაღებს. ერთ-ერთი ბაღის გამგემ თადარიგი დაიჭირა და ახლობლებს დაურეკა ზემდგომ ინსტანციაში: უნდოდა დაეზუსტებინა, რა კუთხით მიმდინარეობდა შემოწმება.

იდეოლოგიური მხარე აინტერესებთ, – იყო საბჭოური პასუხი.

გამგემ საჩქაროდ მიიღო საბჭოური ზომები.

და როცა შემმოწმებელები საბავშვო ბაღს მიადგნენ, თვალში ეცათ კარების თავზე გაკრული ღიდი წითელი პლაკატი წარწერით: **სოციალიზმი – კაკა, კაპიტალიზმი – ა-ა!**

ეს ანეკდოტი ფასეულია სწორედ იმით, რომ დააფიქსირა და შემოგვინახა ხმოვნის მაგარი შემართვა ქართულ ენაში: ბავშვის ენაზე ნათქვამ **ა-ა** სიდიდეში (ბერძნ. *'kopros'*) ორივე ხმოვანს ერთნაირი ფონეტიკა აქვს, ანუ ორივე ხმოვანი მაგარშემართვიანია. ორივე ხმოვნის წარმოსათქმელად საჭიროც არის და აუცილებელიც სახმო იოგების (ყიის) დახშვა და განხშვა, დახშვა და განხშვა – სხვაგვარად ამ ლექსიკურ მონაცემს ვერ წარმოვთქვამთ (ხოლო თუ მაინც ვეცდებით სხვაგვარ წარმოთქმას, დავკარგავთ სემანტიკას): **ა-ა** [ყაყა]¹⁰⁶.

ბოლოს: თუკი კარგად დავაკვირდებით პანკისის ქისტების, განსაკუთრებით უფროსი თაობის, ქართულენოვან მეტყველებას, ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშნის სახით იმას აღმოვაჩენთ, რომ ისინი შესიტყვების წევრებს ხშირად წარმოთქვამენ ერთმანეთისგან იზოლირებულად (*staccato*), ანუ სიტყვადანაწევრებულად და არა რწყილად, არა ბმულად (*legato*). ეს კი სხვა არა არის რა, თუ არა მაგარი შემართვა ხმოვნით დაწყებული ყოველი სიტყვის ანლაუტში: **ეს ავტობუსი აღრე ხო არ გადის? [ცესცავტობუსისცადრეხოცარგადის], რა უთხარი ეგეთი შენ ამ კაცს? [რაცუთხარიცეგეთიშენცამკაცს]...**

ქართულენოვანი მოსაუბრე მეტწილად ამბობს ასე: **[ცესცავტობუსი-აღრეხოარგადის], [რაუთხარიცეგეთიშენამკაცს]**.

მეტყველების „ქისტური“ ნიუანსის ზუსტ მიმსგავსებას რომ მიაღწიოს ქართულენოვანმა იმიტატორმა, უბრალოდ, უნდა მიმართოს სახმო ქორდების ხშვა-განხშვას ხმოვნით დაწყებული ყოველი სიტყვის ანლაუტში, ანუ: ყოველი ასეთი სიტყვა, უბრალოდ, უნდა წარმოითქვას ხელახალი შემართვით. ეს თავისუფლად შეიძლება გააკეთოს ნებისმიერმა ქართულენოვანმა მოსაუბრმაც.

§7 (32). მაგალითები პალინდროფონისთვის¹⁰⁷.

კარგი იქნებოდა, თუკი ამ თეორიული ძიებების კვალდაკვალ ჩვეულებრივი ხმოვნების შემართვა, გარდა თანამედროვე ინსტრუმენტული მეთოდებისა, შემოწმდებოდა ისეთი მეთოდით, ისეთი ახალი აპარატით, რომლითაც

¹⁰⁶ ზოგჯერ მერე ხმოვანი აქ ნაზალიზდება კიდევაც: [ყაყაჲ].


¹⁰⁷ ეს პარაგრაფი ეძღვნება ძველთაში წიგნთაწერის მანდილოსნის, ნათელა ცისკარიშვილის ხსოვნას.

ერთი და იმავე ბგერის, ერთი და იმავე მარცვლის, ერთი და იმავე სიტყვის მოსმენას შეეძლებოდა ჯერ წაღმა, ჩვეულებრივ (→), მერე უკუღმა, უკუსვლით, უკუთქმით, შებრუნებით (←).


როგორც აღრევე შევნიშნეთ (ბერთლანი (ბართიშვილი), 1999, 137-143), იმისდა მიუხედავად, სიტყვაშია ჩართული იგი თუ განმარტებულია, თითოეული ბგერა, რომლის პირობით (ოპტიკურ, გრაფიკულ) ნიშანსაც ასო, ანუ გრაფიკა წარმოადგენს, წარმოითქმის საფონაციო ჰაერნაკადის გავლით, გადაადგილებით (მოძრაობით) სამეტყველო ორგანოების გარკვეულ მოქმედებათა ან მდგომარეობათა თანხლების პირობებში. სწორედ ამ მოძრაობებისა თუ მდგომარეობების ერთობლიობაა, რასაც ლინგვისტიკაში **არტიკულაციას** ვუწოდებთ. და ეს მოძრაობები ხორციელდება გარკვეული, მკაცრად განსაზღვრული თანმიმდევრობით. მაგალითად, ქართული ენის **ბ** ბგერის წარმოსათქმელად ყველაფერი იწყება ბაგეების დახშვით, რათა, ფილტვებიდან წამოსული ჰაერნაკადის მოწოლის წყალობით სამეტყველო ტრაქტში, კერძოდ, ფილტვებიდან ვიდრე პირის ღრუში წარმოიქმნას გარკვეული წნევა, რომელიც საჭიროა ამ და სწორედ ამ ბგერის გამოსაღებად („ხმის ამოსაღებად“) როგორც სამეტყველოდ, ისე სასიმღეროდ (ახვლედიანი, 1949, 12-13). ამის შემდეგ უნდა მოხდეს მანამდე დახშული ტუჩების (პირის) მეყსეული განხშვა. სწორედ ამ განხშვას მოსდევს **ბ** თანხმოვნის არიკულაციური „შობაც“ და მისი აკუსტიკური განზრცობაც სამეტყველო ტრაქტის გარეთ – სივრცესა და ღრუში, რადგან აქამდე **ბ** როგორც ბგერა ჯერ არ არსებობდა. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ვილაპარაკოთ პერცეფციაზე ამ ბგერასთან მიმართებაში.

თანმიმდევრობათა რიგის თვალსაზრისით, კიდევ უფრო თვალსაჩინო სურათს იძლევა არტიკულაცია რუსული ენის **Ы** ხმოვნისა, რომელიც რუსულ ენას განასხვავებს სხვა მრავალი ენისგან (Гвоздев, 1973, 101). მის წარმოსათქმელად სამეტყველო ორგანოები ჯერ უნდა მოვამზადოთ რუსულივე **а** (თუნდაც ქართული **ა**) ხმოვნის წარმოსათქმელად, თუმცა ჯერ არ უნდა წარმოვთქვათ იგი. ამის შემდეგ დანარჩენ სამეტყველო ორგანოებს ზოგადად უნდა შევანარჩუნებინოთ **а**-ს არტიკულაციისთვის საჭირო კონფიგურაცია, ხოლო კბილ-ბაგე გადავიყვანოთ რუსული **И** ხმოვნის (თუნდაც ქართული **ი** ხმოვნის) არტიკულაციისთვის საჭირო მდგომარეობაში. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა განვახშოთ მბგერი ქორდები და საფონაციო ხმად ქცეული ჰაერის ჭავლი გავატაროთ სამეტყველო ტრაქტში; ამის პარალელურად ენის ზურ-


გი **ა**-ს არტიკულაციისთვის საჭირო მდგომარეობიდან მწყობრად (плавно) უნდა გადავაადგილოთ **ი**-ს არტიკულაციისთვის საჭირო მდგომარეობაში. მხოლოდ ამ რიგითობის დაცვის შემთხვევაში მიიღება რუსული ენის **Ы**:



ა (ა)



მზადება **Ы**-სთვის



Ы-ს ჩამოყალიბება

სხვაგვარი თანმიმდევრობით ამ ხმოვნის არტიკულაცია არ / ვერ შედგება.

ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებულ თანმიმდევრობათა დაცვის გარეშე, რაც ჯამში წარმოგვიდგება ბგერის წარმოთქმის სამი მომენტის სახით, არ / ვერ მიიღება არც / ვერც ქართული ენის **ბ** თანხმოვანი და არც / ვერც სხვა რომელიმე ენის რომელიმე ბგერა. სწორედ თანმიმდევრობათა რიგის დაცვაა ის, რასაც გეძახით ბგერის (და, მაშასადამე, სიტყვის) სწორად წაკითხვასა თუ სწორად წარმოთქმას. ბგერის შიგნით არსებულ ამ თანმიმდევრობათა გადაადგილება ისევე არ შეიძლება, როგორც არ შეიძლება ბგერების გადაადგილება სიტყვაში. საკმარისია ამ თანმიმდევრობათაგან ერთიც ამოვარდეს ანდა მოხდეს მისი გადაადგილება – ბგერა დაკარგავს ფონეტიკას და, როგორც წესი, ფონოლოგიასაც.

ასოს წაკითხვა და, მაშასადამე, ბგერის წარმოთქმა ქართულშიც და რუსულშიც სრულდება მარცხნიდან მარჯვნივ. სქემატურადაც ასეა: ბგერის შემართვა (დასაწყისი) მარცხნივ, დამართვა (ბოლო) კი – მარჯვნივ; თავისთავად ასეა სიტყვაშიც (ახვლედიანი, 1949, 30). ეს ყოველივე შეიძლება აღვნიშნოთ დიდი ისრით ქვეშ – სიტყვისთვის მთლიანობაში, ხოლო პატარა ისრით მაღლა – სიტყვაში შემაჯავლი ასო-ბგერებისთვის; რწყმულობა, ანუ ბგერაბმულობა (როგორც არსებული, ისე შესაძლებელი) გადმოვცეთ სიმბოლოთი¹⁰⁸:

$\delta \rightarrow [\delta] \rightarrow \text{აბი} \rightarrow [\text{ა} \text{ბ} \text{ი}] \rightarrow \text{Ы} \rightarrow [\text{Ы}] \rightarrow \text{ЫТ} \rightarrow [\text{Ы} \text{Т}] \rightarrow \text{'ყოფა'}$

¹⁰⁸ ყოველი ბგერის მიმყოფ სიმბოლოთი პირობით აღვნიშნოთ შესაძლო ბმულობა შესაძლო მომღვენო ბგერისთვისაც.

არც ქართულ, არც რუსულ, არც სხვა რომელიმე სამეტყველო პრაქტიკაში არ არის გამოორიცხული სიტყვის (სიტყვების) ე. წ. უკუღმა წაკითხვა, ანუ წაკითხვა მარჯვნიდან მარცხნივ. ასეთ კითხვას თავისთავად მივმართავთ, მაგალითად, **პალინდრომებში** (< ბერძნ. **palindromos** 'უკუღმა მოძრაე', **palindromeo** 'გაფრთხიარ უკან'), ანუ სიტყვებში, რომლებიც „ერთნაირად იკითხება თავიდან (წაღმა, მარცხნიდან – ა. ბ.) და ბოლოდან (უკუღმა, მარჯვნიდან – ა. ბ.)“ (უსლ, 1989, 364). მაგალითები ქართული ენიდან: **აბა, ანა, არა, ესე** (< ფრანგ. **essai**), **ეპე, იგი, იცი, ოთო** (< **ოთარი**), **ოტო, ოპო, უკუ, ულუ, უშუ...**¹⁰⁹

ამჯერად ავიღოთ ქართული კიდურხმოვნებიანი **იგი** პალინდრომი და, დაკვირვების გაიოლების მიზნით, დავნიშნოთ თავკიდური და ბოლოკიდური **ი**-ები: **იგი**¹¹⁰.

იგი ტიპის სიდიდეს სწორედ იმიტომ ჰქვია **პალინდრომი**, რომ ერთნაირად იკითხება თავიდან (→) და ბოლოდან (←):



აქ ჩვენ მიერ წაკითხვის შემთხვევაში ერთნაირია **ი**-სა და **ი**-ის ფონეტიკაც, რადგან ბოლოდან (პირუკუ, „არაბულად“) წაკითხვის შემთხვევაში, წელანდელი აუსლაუტისეული ხმოვანი ახლა უკვე გადაიქცევა რა ანლაუტისეულ ხმოვნად, ჩვენ მიერ ხდება **ი**-ის აღჭურვა წელან წაღმა („ქართულად“) წაკითხული **ი**-ის შემართვით და, პირიქით, წელანდელი ანლაუტისეული ხმოვანი ახლა უკვე გადაიქცევა რა აუსლაუტისეულ ხმოვნად, ჩვენ მიერ ხდება **ი**-ის აღჭურვა წელან წაღმა წაკითხული **ი**-ის შემართვით. ეს ქმნის ორივე **ი**-ს იდენტურობის ილუზიას ფონეტიკის თვალსაზრისით, რაც გამოორიცხულია იმ გარემოების გათვალისწინებით, რომლისკენაც მივდივართ, რადგან სინამდვილეში **ი**-ს საკუთარი შემართვა აქვს, **ი**-ს კი – არა, **ი**-ს საკუთარი დამართვა აქვს, **ი**-ს კი – არა.

ისე რომ, ჩნდება სრულიად ლეგიტიმური კითხვები:

სინამდვილეში არის კი უკუკითხვა ის, რასაც პალინდრომში მივმართავთ, ანუ

¹⁰⁹ ბოლოს და ბოლოს, შეიძლება პალინდრომი არც იყოს, მთავარია სიტყვას კიდურებში ჰქონდეს ხმოვნები, თუნდაც არაერთგვაროვანი; პალინდრომის უპირატესობა აქ მხოლოდ იმაშია, რომ საშუალებას იძლევა გამოვავლონოთ ერთ ლექსემაში შემაჯავლი ერთი და იმავე ხმოვნის შესაძლო განსხვავებული ნიშან-თვისება (ნიშან-თვისებები).

¹¹⁰ შეიძლებოდა აგველო რუსული **или** 'ან', ფრანგული **იცი** 'აქ' და სხვა პალინდრომები.


არის თუ არა პალინდრომული უკუეკითხვა წაღმა წაკითხულის ადეკვატური?

როგორია ანდა როგორი უნდა იყოს ურთიერთმიმართება მთლიანი სიტყვის არტიკულაციასა და სიტყვაში შემავალი თითოეული ასო-ბგერის არტიკულაციას შორის ამ ორგვარი წაკითხვის შემთხვევაში?


რა რჩება და რა იკარგება წაღმა წაკითხულის უკუეკითხვის დროს?

არის კი უკუეკითხვა ის, რასაც პალინდრომია (ანუ უკუეკითხვა) გულისხმობს – იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენი დაკვირვების ინტერესს აქ წარმოადგენს ხმოვნის (უკეთ: ერთი და იმავე ხმოვნის) ფონეტიკური ბუნების უფრო ზედმიწევნითი გამოვლენა ანლაუტში (შემართვის თვალსაზრისით) და, შესაძლოა, აუსლაუტშიც (დამართვის თვალსაზრისით)?

თუ, რუსული ლექსიკოგრაფიის თანახმად, **იკითხება** სიტყვა-ფორმა განმარტებულია, როგორც **დაწერილის აღქმა ხმიური ანდა თავისთვის (გულში – ა. ბ.) წარმოთქმის საშუალებით** (Ожегов, 1970, 871), ხოლო ქართულ ლექსიკოგრაფიაში დანახულია, როგორც **დაწერილის** ოდენ „**ამოცნობა ასოების აღქმისა და მათი სიტყვებად შეერთების საშუალებით**“ (ქეგლ, 1990, 575), მაშინ აქ განხილული მაგალითები, თაქტობრივად არც წარმოადგენენ პალინდრომებს. მაგრამ თუ მათ მაინც ვაცნობიერებთ პალინდრომებად – მხოლოდ იმიტომ, რომ **გრაფიკულად (ვიზუალურად)** მართლაც გამოიყურებიან ასეთებად. თუკი მოვისურვებთ მათ წაკითხვას (არტიკულირებას) ხან წაღმა (თავიდან), ხანაც უკუ-ღმა (ბოლოდან), გვინდა თუ არა ეს, ხმოვნებს (ხმოვნებსაც) კვლავინდებურად ვკითხულობთ რა წაღმა, ჩვენდაუნებურად (ბუნებრივად) ვტოვებთ ადგილზე (ადგილებზე), მაშინ როცა შემართვა-დამართვას (შემართვა-დამართვებს) დიაგონალურად გადავუადგილებთ, რითაც ბგერებს (ამ შემთხვევაში – ხმოვნებს) რადიკალურად ვუცვლით ფონეტიკურ ბუნებას. ამ ბოლო ნათქვამს სქემატურად დაახლოებით ასეთი სახე შეიძლება მიეცეს¹¹¹:



111 თვალსაჩინოებისთვის ერთნაირი ხმოვნები დაგნომრით; ამასთანავე, რაკი, ჩვენივე მსჯელობის მიხედვით, ანლაუტის ნებისმიერი ჩვეულებრივი ხმოვანი მაგარშემართვიანია, ეს შემართვა (ასევე მაგარი დამართვა) შესაბამისად აღვნიშნოთ **ქ** გრაფიკით, **ყ** სიმბოლოთი გადმოვცეთ თავისუფალი შემართვაც და დამართვაც (ისევე როგორც გადმოვცეთ ბგერაბმულობა).




ამგვარი უკუეკითხვის შემთხვევაში თვით სიტყვას კი უკუღმა ვკითხულობთ, მაგრამ ჩვეულებრივ – წაღმა – ვკითხულობთ მასში შემავალ თითოეულ ასო-ბგერას, რაც უკვე ანგრევს არტიკულაციურ თანმიმდევრობას თითოეულ ბგერაში, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ. და თუკი, მაგალითად, **სამი** სიტყვის უკუეკითხვისას მივდივართ რაღაც შედეგამდე (ვიგებთ, რომ მისგან მიიღება სიტყვა **იმას**), ამავე თვალსაზრისით, ვერაფერს ახალს ვერ ვიგებთ მასში შემავალი ცალკეული ბგერების შესახებ: არ ვიცით და ვერც ვიგებთ, რა სახეს აქვს აქ **ი** ხმოვანს მისი უკუარტიკულირების შემთხვევაში.

ანუ: ბოლოდან კითხვისას სრულიად ქვეცნობიერად – ბიოლოგიური (სუნთქვითი) მოთხოვნის შესაბამისად – ყოფილ ბოლოკიდურ ხმოვანს, რომელსაც საკუთარი გააჩნია არა შემართვა, არამედ – დამართვა (რითაც ის სწორედ რომ განსხვავდება თავკიდური ხმოვნისგან), „ვმოსავთ“ ყოფილი თავკიდური ხმოვნის შემართვით და პირქით. ეს ასე იმიტომაც ხდება, რომ, რიცხვების დალაგება პირობითია რა აქ, 1-ელი ყოველთვის არის ის ასო, რომელსაც მოცემულ რიგში პირველად დავინახავთ, ხოლო 1-ელი არის ის ბგერა, რომელსაც მოცემულ რიგში პირველად წარმოვთქვამთ. ჩვენი ორი ნეკიდან ორივე შეიძლება აღმოჩნდეს რიგით 1-ელიც და რიგით 6-ეც – იმის მიხედვით, თუ საიდან დავიწყებთ თვლას. მეტიც: როცა სიმღერის დაწყების წინ ლოტბარი ანსამბლის წევრებს ეუბნება „3-2-1“, სინამდვილეში ეუბნება „1-2-3“. განსხვავება ისაა მხოლოდ, რომ „1-2-3“ წყობის შემთხვევაში გუნდის წევრთაგან რომელიმე შეიძლება დაიბნეს და ვერ გააცნობიეროს, 2-ზე უნდა სიმღერის დაწყება, 3-ზე, 4-ზე თუ ა. შ., „3-2-1“ შემთხვევაში კი იცის, რომ 1-ის იქით (1-ის ქვემოთ) „მატარებელი უკვე წასული დახვდება“.

ჩვენ რომ შევძლებოდა ამ ნუმერაციების „ჩადება“ არტიკულაციაში, ალბათ შევძლებდით წაღმა არტიკულირების (წარმოთქმულის) შეტრიალებასაც უკუღმა – ფონეტიკური და არა ვიზუალური (გრაფიკული) უკუ-თანმიმდევრობით, რაც, თავის მხრივ, კიდევ ერთხელ მისცემდა დახასიათებას


ერთი და იმავე ხმოვნის შემართვასაც და დამართვასაც, ანუ შეეძლებოდა წაკითხვას დაახლოებით ასე:




აქ ლაპარაკია საარტიკულაციო შესაძლებლობაზე თანმიმდევრობით: დამართვა – დაყოვნება – შემართვა.

ჩვენ რომ ეს არ შეგვიძლია (და არც გვიცდია), იმიტომაც წარმოვთქვამთ მათ – ხმოვნებს – აბსოლუტურად ერთნაირად ორივე მხრიდან (თავიდანაც და ბოლოდანაც) და იმიტომაც გვესმის ისინი ორივეჯერ აბსოლუტურად ერთნაირად, რაც ამ შემთხვევაში სრულებით არასაკმარისია, რადგან, თითქოს ასეა რა ეს ყველაფერი, სიმამღვილეში ასე არ არის.


№1 და №2 ხმოვნები ერთმანეთისგან არსებითად განსხვავდებიან (და უნდა განსხვავდებოდნენ კიდევაც) იმით, რომ განსხვავებულია (და განსხვავებულიც უნდა იყოს) მათი შემართვა-დამართვა (შემართვა-დამართვები). აი ეს უნდა გამოავლინოს პალინდროფონიამ, რაზეც სწორედ რომ მიდის მსჯელობა: ეს „ფონ-ეტიკური სარკე“ უნდა დაგვეჩმაროს ერთი და იმავე ხმოვნის როგორც „წინა“, ისე „უკანა მხარის“ „დანახვასა“ თუ „დათვალიერებაში“ დაახლოებით ასე:



სიტყვისთვის **სამი** მივიღებთ:




ანუ: თუკი უკუელმა წარმოთქმულს წაღმა დაგწერდით და მოვისმენდით, უნდა მიგვეღო დაახლოებით ასეთი რამ:



სიტყვისთვის **სამი** მივიღებთ: $[\text{ } \text{ი} \text{ } \text{მ} \text{ } \text{ა} \text{ } \text{ს} \text{ }]$

ხოლო სიტყვისთვის **იმას** მივიღებდით სახეს:



ამ თვალსაზრისით, საინტერესო იქნება, მაგალითად, თოფის გასროლის ანდა ფორტეპიანის ცალკეული ბგერის შესწავლაც პალინდროფონით: ლოგიკა გვეკარნახობს აზრს, რომლის თანახმადაც, როგორც თოფის, ისე ფორტეპიანოს შემთხვევაში შემართვა-დამართვებისთვის მივიღებთ ისეთსავე განსხვავებულ სურათებს, როგორსაც ისედაც ვაცნობიერებთ – პალინდროფონის გარეშე, რადგან ამ შემთხვევაში განეზღვრებულები არა ვართ ე. წ. პალინდრომებით, „წაკითხვის“ (და, მაშასადამე, მოსმენის) შესაძლებლობით ორივე მხრიდან (ხან მარჯვნიდან, ხანაც მარცხნიდან). ეგაა მხოლოდ, რომ, თოფისგან აშკარა განსხვავებით, ფორტეპიანოს შემთხვევაში გვესმის სიმზე ჩაქუჩის დარტყმით მიღებული ძლიერი შემართვა, რომელიც, როგორი მეცსეულობითაც ჩნდება, ისეთივე მეცსეულობით გადადის ხანგრძლივ ჰარმონიულ ბგერაში – ჟღერაში, ეს კი, გარკვეული დროით გვანიჭებს რა ესთეტიკურ ტკობას, ნელ-ნელა და მწყობრად მიიღევა და ასევე ნელ-ნელა და მწყობრად ეკარგება უსასრულობაში, რის შანსიც არ გვჩნება (ან თითქმის არ გვჩნება) სამეტყველო ბგერების, კერძოდ, ხმოვნების (ასევე – თოფის) შემთხვევაში. სწორედ შემართვაში „წამოღებული“ (მოხვედრილი) ეს მიღება უნდა „დაგვაჭერინოს“ პალინდროფონმა, როცა ჯერ გავიგონებთ უსასრულობიდან ნელ-ნელა და მწყობრად წამოსულ მუსიკალურ ბგერას, ბოლოში კი – სიმზე ჩაქუჩის დარტყმით გამოწვეულ ძლიერ ხმას, რომელიც მოწყვეტით შეწყდება.

მოკლედ, იდეაში პალინდროფონმა უნდა ჩაგვახედოს როგორც გრაფიკული, ისე ფონეტიკურის ფონეტიკურ არსში.

ღიახ: უკუკითხვის დროს სიტყვა მთლიანობაში მართლაც იკითხება უკუელმა, უკურბენით, მართლაც დაცულია უკუთანმიმდევრობა ასო-ბგერებს შორის და მართლაც ვიღებთ იმავე სემანტიკის სიდიდეს, როგორიც გვაქვს წაღმა კითხვისას. მაგრამ სიტყვაში შემავალი თითოეული ასო-ბგერა ამ შემთხვევაშიც **კვლავ** წაღმა (მარცხნიდან მარჯვნივ) იკითხება. სხვაგვარად ადამიანის სამეტყველო აპარატი, უბრალოდ, ვერ აღასრულებს არტიკულაციის აქტს, რადგან მას ამგვარი გამოცდილება არ გააჩნია. ყველაფერს რომ თავი ვანებოთ, წაღმა კითხვისას ბგერას წარმოვთქვამთ საფონაციო ჰაერნაკადის მოძრაობით ფილტვებიდან გარეთ (ანუ ექსპირაციით, ამოსუნთქვით), რაც აღვნიშნეთ $\neg$ ნიშნით და რასთანაც პირდაპირ კავშირშიც უნდა იყოს ბგერის ისეთი ატრიბუტები, როგორიცაა შემართვა და დამართვა. უკუკითხვის

შემთხვევაში კი, მისი აბსოლუტური გაგებით, ბგერა უნდა წარმოგვეთქვა (უნდა წარმოვთქვათ) ჰაერნაკადის მოძრაობით გარედან ფილტვებისკენ (ინსპირაციით, შესუნთქვით), დაახლოებით ისე, როგორც, მაგალითად, სამხრეთ აფრიკის ზოგიერთ ენაში იწარმოება ე. წ. **წ(კ)ლაუნა, შეწოვნილი ბგერები**, ანუ **ქლიქები** (< ინგლ. **clicks**)¹¹², რაც შეიძლება აღვნიშნოთ “ნიშნით და რაც ენათა უმრავლესობისთვის არაბუნებრივი რამ არის, თუმცა მათ ქართულენოვან ყოფით მეტყველებაშიც ვიყენებთ, მაგალითად, უარყოფის აღმნიშვნელ **“ნწჷ**, თანაგრძნობა-სინანულის აღმნიშვნელ **“ნწჷ-“ნწჷ-“ნწჷ**, ძაღლის მისაპატეებელ **“ჰჷ-“ჰჷ-“ჰჷ**, ცხენის წასაქეზებელ **“ჰჷჷჷ-“ჰჷჷჷ**, კოცნის აღმნიშვნელ **“პჷ**, უკიდურესი გაკვირვების გამომხატველ **“იიი** და ა. შ. სიდიდეებში¹¹³. ამ ლექსემებთან ერთად, თუშურ ენაში გვაქვს, მაგალითად, უარყოფის აღმნიშვნელი **“კ** ნაწილაკიც (სინონიმი უარყოფის აღმნიშვნელი **“ნწჷ** სიდიდისა), რომელიც ამავე დროს ცალგვერდა ლატერალიცაა: მისი არტიკულირებისას საფონაციო ჰაერაკი გარედან შიგნით „ძვრება“ ენის ერთი – უმეტესწილად მარცხენა – გვერდიდან.

უნდა ითქვას, რომ შეწოვნილი არტიკულირების შემთხვევაშიც კი, რაც სრულიად ნორმალურ („წაღმა“) მოვლენას წარმოადგენს ასეთი ბგერების მქონე ენათათვის, ადგილი აქვს სამეტყველო ორგანოთა მოქმედებების სრულიად მწყობრ თანმიმდევრობას.

გამოდის, რომ, პირუკუ კითხულობს რა პალინდრომს, როგორც სიტყვას, მასში შემაგალ თითოეულ ასო-ბგერას ადამიანი აღიქვამს და აცნობიერებს წაღმა, რასაც მივყავართ ერთ არსებით შეუსაბამობამდე: სიტყვას მთლიანობაში ვკითხულობთ ერთი მიმართულებით (უკუღმა), ხოლო მასში შემაგალ თითოეულ ასო-ბგერას – საპირდაპირო მიმართულებით (წაღმა):

[**აბა**], [**როგორ**]

← ←

ასეა ეს იმ ენებშიც, სადაც სიტყვა იკითხება და იწერება კიდევაც მარჯვნიდან მარცხნივ (მაგ., არაბულ ენებში): თითოეული ასო-ბგერის არტიკულაცია აქაც ინარჩუნებს კუთვნილ წაღმა თანმიმდევრობას. ასეა იმ ფენომენების პრაქტიკაშიც, რომლებიც უკუღმა თავისუფლად კითხულობენ

112 **წლაუნა** – ‘პრის (მ)ტკებანურების (მტკებანურობის) ემა’ (ორბელიანი, 1993; <http://www.nplg.gov.ge/>); ზოგი ავტორი იყენებს სატერმინო კომპონენტს **წკლაუნა**.

113 ამ ტაბის ბგერებს თუშური ენაც იყენებს, რაც ჯერ კიდევ **გ. გინეკენს** შეუნიშნავს (ფონეტიკური, 1940, 4-5).

და წარმოთქვამენ არათუ ცალკეულ ლექსემებს, არამედ შესიტყვებებსა და მთელ წინადადებებსაც კი. ამ საოცარი ნიჭით იყო დაჯილდოებული თუშური ენის მაღალი დონის მცოდნე წოვათუში ქალბატონი, **ნათელა ცისკარიშვილი**, ვის ნათელ სსოვნასაც ეძღვნება ჩვენი ნაშრომის ეს ნაკვეთი.

სწორედ აქედან გამომდინარე ინარჩუნებს უკუწაკითხული პალინდრომი წაღმა წაკითხული პალინდრომის ფარდ ჟღერადობასა და, მაშასადამე, სემანტიკასაც, რის თქმაც არ უნდა შეგვეძლოს იმ შემთხვევაში, თუკი ადამიანი შეძლებდა პალინდრომში შემავალი თითოეული ასო-ბგერის ასევე უკუარტიკულირებას ამ სიტყვის ზუსტი ფონეტიკური გაგებით.

თუკი ასეთ – აბსოლუტურ – უკუკითხვას შევადარებთ პალინდრომულ ვითომდა უკუკითხვას, უსათუოდ უნდა მივიღოთ აკუსტიკური სხვაობა, განსაკუთრებით ხმოვნებით დაწყებულსა თუ დამთავრებულ სიტყვებში, რადგან, როგორც ითქვა, საქმე გვაქვს შემართვა-დამართვის (შემართვა-დამართვების) თანმიმდევრობის გადაადგილებასთან, სადაც შემართვა დამართვის ფარდი არ არის და არც შეიძლება იყოს: შემართვა გარკვეულწილად შეიძლება გავიგოთ, როგორც **‘თავდასხმა, იერიში, შეტევა, ბრძოლის დაწყება’**, ხოლო დამართვა – **‘ბრძოლისთვის თავის მიხელება, ანუ იარაღის დაყრა’**¹¹⁴.

არცთუ იშვიათად ასეთი სხვაობის ცნობა შეიძლება შეუიარაღებელი ყურითაც. კერძოდ, იმის გათვალისწინებით, რომ როგორც წაღმა კითხვისას, ისე უკუკითხვისას სიტყვასა თუ ფორმაში ჩართულ თითოეულ ასო-ბგერას უნდა შევუნარჩუნოთ (შეუნარჩუნდეს) თითოეული მისი ფონეტიკური მახასიათებელი, დავინახავთ, რომ თვალსაჩინო მაგალითს იძლევა რუსული ენა, ოღონდ არა შემართვა-დამართვის, არამედ მახვილის ნაწილში.

ერთი შეხედვით – ვიზუალურად, დაახ. თითქმის პალინდრომიან რუსულენოვანი ლექსემა **КОМОК** (СИС, 1954, 507) **‘გუნდა, კომტი’**, მაგრამ აბსოლუტური (წმინდა მეცნიერული) გაგებით იგი არ შეიძლება იქნეს მიჩნეული პალინდრომად სულ მცირე სამი მიზეზით (თვალსაჩინოებისთვის ლექსემაში შემავალი **О**-ები დაგნომროთ – **КО, МО, К**, სადაც **О** მახვილიანია, **О**, კი – უმახვილო, რასაც დიდი მნიშვნელობა ეძლევა ამ მსჯელობაში):

1) თუ წაღმა კითხვისას ჯერ უნდა წავიკითხოთ უმახვილო **О**, ხოლო მერ-ელა მახვილიანი **О** –

КО, МО, К,

114 შდრ.: რუს. **отступ > отступать / отступить** ‘უკან დახევა; დამართვა’.



უკუკითხვის შემთხვევაში ეს თანმიმდევრობა არღვევა –

КО₁МО₂К



და ფაქტობრივად ვიღებთ თანმიმდევრობას ***К₀₂МО₁К**, ანუ ***К₀МОК**.

2) აქედან გამომდინარე, თუ წაღმა წაკითხვისას უმახვილო **О₁** უნდა წარმოგვეთქვა, როგორც მახვილისწინა რედუცირებული [Λ] –

[КΛ₁МО₂К],



უკუკითხვის შემთხვევაში, წინა მიზეზში აღწერილი რეალობის წყალობით, იგივე **О₁** უნდა წარმოვთქვათ, როგორც მახვილის მომდევნო ძლიერ რედუცირებული [Ъ] –

[КЪ₁МО₂К],

ანუ ფაქტობრივად ვიღებთ ***К₀МОК** [**К₀₂МО₁К**] ცდომილებას, და არა **КОМОК** [**КО₁МО₂К**] რეალობას¹¹⁵.

3) ორივე შემთხვევაში არღვევა როგორც გამოსახვის, ისე შინაარსის პლანზე.

ბოლოს, არ უნდა დაგვეწყებოდა ისიც, რომ აქ მთლიანი სიტყვის არტიკულირება ხდება უკუღმა, მასში შემავალი თითოეული ბგერისა კი – წაღმა, რასაც უსათუოდ მიეცემოდა გადამწყვეტი მნიშვნელობა, თუკი თავკიდურშიც და ბოლო კიდურშიც ხმოვანი გვექნებოდა.

მოკლედ, უკუკითხვისას ხდება (ყოველ შემთხვევაში მოსალოდნელია) წაღმა წაკითხულისთვის დამახასიათებელი ფონეტიკურ (და ზოგჯერ ფონოლოგიურ) ნიშანთა რიგის გადაადგილება, შეტრიალება 180 გრადუსით, რაც სიგნალია იმისა, რომ აქ უკუკითხვა, სრულად არ ემთხვევა რა წაღმა კითხვას, ააშკარავებს შეუსაბამობას.

რუსულენოვან მაგალითებზე მსჯელობის საშუალება მოგვცა იმან, რომ აქ მახვილის არსებობა იწვევს სერიოზულ ფონეტიკურ ძვრებს ხმოვნებში. ახლა კვლავ მივუბრუნდეთ ქართულ ენას და შევნიშნოთ, რომ, თუკი მახვილის

115 ჩვენი აზრით, არ უნდა იყოს სწორი (**кот** ‘კატა (ხედი)’ – **ток** ‘დენი’, **нос** ‘ცხვირი’ – **сон** ‘ძილი; სიზმარი’, **хорош** ‘კარგია’ – **шорох** ‘ფაჩხი’ მაგალითების წარმოდგენა პალინდრომების სტატუსით, როგორც ეს გაკეთებულია ერთ-ერთ რუსულენოვან წყაროში (**Розенталь**, ..., 1976, 267).

ფაქტორს აქაც გავითვალისწინებთ, გამოვავლენთ არცთუ უმნიშვნელო დეფექტს: წაღმა კითხვისას გვაქვს, მაგალითად, **აბა’, ა’რა** და ა. შ., უკუკითხვისას კი – **ა’ბა, არა’**... მეტიც, სხვა შემთხვევაში მახვილმა შეიძლება სერიოზული სემანტიკური ძვრები დააფიქსიროს: **ა’ნა, ე’სე, ი’გი, ო’თო** და ა. შ. სიდიდეები თხრობით კილოს გამოხატავენ, ხოლო **ანა’, ესე’, იგი’, ოთო’**... სიდიდეები, რომლებიც მათივე უკუკითხვისას მიიღება, კითხვით შინაარსისკენ იხრებიან; შდრ.: **ა’ნა – ანა’?, ე’სე – ესე’?, ი’გი – იგი’?, ო’თო – ოთო’?** ისე რომ, აბსოლუტური გაგებით არც აღნიშნული ქართულენოვანი მაგალითები წარმოადგენენ პალინდრომებს, როგორც ასეთებს. ხოლო თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ, მართალია, სხვადასხვა ბუნებისა, მაგრამ ასეთი თუ ისეთი – მისთვის დამაკმაყოფილებელი – მახვილი ნებისმიერ ენაში მოქმედებს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არც ერთ ენაში არ უნდა არსებობდეს იმ ცნების ადეკვატური პალინდრომი, რომელიც ამ ტერმინშია ჩადებული და „...რომელიც ერთნაირად იკითხება თავიდანაც და ბოლოდანაც“ (უსლ, 1989, 364).

ამ და სხვა სახის სხვაობათა უკეთ გაცნობიერებაში დაგვეხმარებოდა ისეთი სალაბორატორიო, ლინგუოფონური ხელსაწყო, რომელიც საშუალებას მოგვცემდა ჩვენ მიერ არტიკულირებული ცალკეული ბგერები, ვოკალური თუ ინსტრუმენტული სამუსიკო ფრაგმენტები, აგრეთვე ჩვენ მიერ როგორც წაღმა, ისე უკუღმა წაკითხული პალინდრომები თუ სხვა ნებისმიერი სიდიდეები მოგვესმინა როგორც წაღმა, ისე უკუღმა. ამით სამეცნიერო საზოგადოებრიობას ვთავაზობთ ხმის (სამეტყველო ბგერებისა თუ თვით მეტყველების) ჩამწერი და მოსასმენი დანადგარების (ლინგოაპარატურის) მოდერნიზაციის იდეას. შემოთავაზებული ხელსაწყო სახელწოდება შეიძლება იყოს, დავუშვათ, **პალინდროფონი** (ბერძნ. **palindromos** ‘**უკუღმა მოძრაი**’ და **phone** ‘**ხმა, ბგერა**’). ასეთი აპარატი, წაღმა ჩაწერილს ყოველგვარი პრობლემის გარეშე – მექანიკურად – „აკრეფდა“ („წაკითხავდა“) რა უკუღმაც, სიტყვაში შემავალი ანდა მის გარეთ მყოფი თითოეული ბგერის საწარმოთქმო მომენტს (შემართვას, მწვერვალს, დამართვას) მოგვასმენინებდა უკუღმაც (უკუთანმიმდევრობითაც), რასაც, როგორც ითქვა, ვერ ახერხებს ადამიანი. აპარატი საშუალებას მოგვცემდა პალინდრომისა თუ სხვა ნებისმიერი სიტყვის „წაღმა პირი“ შეგვედარებინა უკუღმისათვის. ეს იქნებოდა ხელსაწყო, რომელიც მოახდენდა წაღმა (ჩვეულებრივ) წარმოთქმული და ჩაწერილი სიტყვის ანდა ცალკეული ბგერის რეფონაციას (კვლავწარმოებას) როგორც

წაღმა (ჩვეულებრივ), ანუ მარცხნიდან მარჯვნივ, ისე უკუღმა (ბოლოდან), ანუ მარჯვნიდან მარცხნივ. ამით გამოვლინდებოდა ბგერათა ის ფონეტიკური ნიშნები, რომლებიც ჯერაც გაუცნობიერებელი შეიძლება რჩებოდეს. პალინდროფონი თვალნათლივ გვაჩვენებდა იმას, რომ პალინდროფონით უკუღმა მოსმენილი პალინდროფი სულაც არ არის ჩვენ მიერ წაღმა (ან თუნდაც უკუღმა) წაკითხული პალინდროფის ფარდი მისი ფონეტიკური (ბევრ-ჯერ კი – სემანტიკური) არსის თვალსაზრისით.

პალინდროფონია, ანუ სამეტყველო ბგერების (მეტყველების) შესწავლა პალინდროფონის გამოყენებით სხვა სიკეთესაც მოუტანდა ექსპერიმენტულ ფონეტიკას (და არა მარტო ფონეტიკას).

ასეთი აპარატურით მიღებული შედეგები შეიძლებოდა შეგვედარებინა ფოტონეგატივისთვის, რომელზეც ნამდვილად იგივე საგანია გამოსახული, რაც პოზიტივზე, ოღონდ იქ, სადაც სიშავე უნდა ყოფილიყო, სითეთრეა და პირიქით, რის გამოც გეიჭერს ხოლმე სრულიად ნაცნობი ადამიანის ამოცნობა. ანუ: ნეგატივი ისეთ – განსხვავებულ – ინფორმაციას შიკავს და იძლევა საგანზე, რომელზედაც მანამდე წარმოდგენაც არ შეიძლებოდა გვეჩინოდა.

ეს იმასაც ჰგავს, როცა, მაგალითად, ეკრანზე ერთი და იგივე ადამიანი ჯერ ჩვეულებრივ გარბის, მერე კი უცებ უკან მორბის ლამის იმავე წერტილიდან და ლამის იმავე სისწრაფით, ოღონდ ამჯერად უკვე არა სახით წინ, არამედ – უკან-უკან (ზურგით). ეს არის კინოაპერატორული ტრიუკი (ხრიკი), რითაც წაღმა გარბენი გაუკუღმებულიცაა. თუ ხელოვნებას იქით გადავდებთ და დანახულს კარგად გავაცნობიერებთ, სულ ცოტა იმას მაინც აღმოვაჩენთ, რომ წინ მოძრაობისას ადამიანი ბუნებრივად წინ არის (წინ უნდა იყოს) წახრილი რამდენიმე გრადუსით მაინც (ასეც არის ეკრანზე), მაგრამ უკუბრუნებისას (უკან-უკან რბოლისას) წახრა ასევე ბუნებრივად უნდა მომხდარიყო უკან, ტრიუკში კი ეს წახრა კვლავაც წინაა. და ეს დეტალი, უსათუოდ გვეუბნება რა რაღაც ახალს, გვაძლევს რაღაც ახლის მიგნებისა და შესაბამისი დასკვნის გაკეთების შანსს. ამგვარადვე შეგვიძლია დავამონტაჟოთ მაღალი ცერიდან მდინარეში გადახტომა და, შესაბამისად, „უკუხტომა“ (ანუ უკან-უკან ხტომა მდინარიდან ცერზე – ქვემოლან ზემოთ). ასეთი „უკუხტომა“ ბუნებაში შეუძლებელია, მაგრამ თუკი მაინც მოახერხებდა ვინმე და ჩვენ ამას ასევე ეკრანზე დავაკვირდებოდით, უსათუოდ აღმოვაჩენდით, რომ მხტომელს ზემოთ აჰყვებოდა წყლის ჭავლი, რასაც ადგილი არ

ჰქონია აქ აღწერილ კინოტრიუკში და რაც განსჯის საშუალებას გვაძლევს.

პალინდროფონი საშუალებას მოგვცემს → მიმართულებით წაკითხული (არტიკულირებული) **იგი** პალინდროფი მოვისმინოთ როგორც → ისე ← მიმართულებებით, რათა ერთმანეთს შევადაროთ ამ ორი **ი-ს** ფონეტიკა როგორც →, ისე ← შემართვაში. სწორედ აქ აღმოვაჩენთ, რომ პალინდროფი-ისეული ვითომ ერთნაირი კიდური ხმოვნების შემართვა-დამართვები მართლაც განსხვავებულია და თანაც – სერიოზულად. აქვე ამოვიცნობთ წაღმა წაკითხული **ი-**ის მაგარ შემართვას, ოღონდ – ამასაც უკუღმა მოსმენილს: ის, რაც → მიმართულებით წაკითხვისას (და მოსმენისას) მოგვცემდა უცაბედად განსნილი ყიიდან საფონაციო ჰაერნაკადის უცაბედი ამოფრქვევის ეფექტს, ← მიმართულებით მოსმენისას მოგვცემდა საფონაციო ჰაერნაკადის უცაბედი წყვეტის (ჩაქრობის) ეფექტს, ანუ ყიის უცაბედი ჩაქვევების ეფექტს; ეს იმას ჰგავს, როცა პირით ჩრდილოეთისკენ დამდგარი ვიყურებით სარკეში, ჩვენი ორეული კი, „გვიყურებს“ რა ჩვენ, „დგას“ პირით სამხრეთისკენ. მოკლედ, ვიდრე წაღმა არტიკულირებული უკუღმა (შებრუნებულ, 180°-ით შეტრიალებულ) სახეს, რაც სხვა არა არის რა, თუ არა ერთი საგნის, ერთი მოვლენის დანახვის აქტი სულ ცოტა ორი მხრიდან და რაც ჰგავს დედამიწიდან მთვარის დანახვას იმ მხრიდან, რომლიდანაც აროდეს გვიანახავს; ეს იქნებოდა გასროლილი თოფის ხმის მოსმენის ეკვივალენტური არა თავიდან ბოლოსკენ, როგორც მიჩვეულები ვართ, არამედ ბოლოდან თავისკენ, რის მოწმენიც აროდეს გავმხდარვართ. ეს, უდავოდ, მოგვცემს თუნდაც რამენაირ ეფექტს (შედეგს) ფონეტიკური კვლევა-ძიებისას.

მოკლედ, პალინდროფონი იქნებოდა ფონეტიკური სარკე ბგერებისათვის ან, უფრო ზუსტად, „სარკული ფონეტიკის“ ხელსაწყო.

ასეთი ხელსაწყო დახმარებით შეიძლება, მაგალითად, დავაკვირდეთ ისეთ ცალკეულ სიტყვასაც, რომელიც პალინდროფს არ წარმოადგენს, მაგრამ იწყება და მთავრდება ერთი და იმავე ხმოვნით: **აღება, ერიდე, იმედი, ოქრო...** ინტერესს არ უნდა იყოს მოკლებული ჩვეულებრივ ხმოვანზე დაწყებული და ძლიერდამართვანი ხმოვნით დამთავრებული სიტყვების მოსმენაც: ქართ. ენ. **არაჲ!** თუშ. ენ. **ეჰაჲ / იჰაჲ ‘ისეე ეს’, ოჰაჲ ‘ისეე ის’, დანაჲ / დანეჲ ‘იმიტომ’** ა. შ. საინტერესოა აგრეთვე, რას მოგვცემს პალინდროფონზე ქართული **ცარა!** სიტყვა.

ასეთი ექსპერიმენტი უთუოდ გვეტყვის რაიმე ახალს ანლაუტის ხმოვნებზე – არა მარტო ქართულ და თუშურ ენებში.

თუკი, მაგალითად, ქართულენოვან სიტყვებს **აქეთ, იქით, ესმით, ოთარ, უთხარ** სიდიდეებს „ჩავახედებთ“ „ფონეტიკურ სარკეში“, ანუ უკუღმა მოვისმენთ პალინდროფონზე, უნდა მივიღოთ დაახლოებით ასეთი სურათი¹¹⁶:

წაღმა	უკუღმა
აქეთ: [ცაქეთ]	თექა [თექაჲ]
იქით: [ციქით]	თიქი [თიქიჲ]
ესმით: [ცესმით]	თიმსე [თიმსეჲ]
ოთარ: [ცოთარ]	რათო [რათოჲ]
უთხარ: [ცუთხარ]	რახთუ [რახთუჲ]

ეს სიტყვები თავიანთი ფონეტიკით გამოიყურებიან, როგორც მარჯვენა და მარცხენა ხელთათმანები ანდა თვით ხელები და „ფონეტიკურ სარკეში“ პირველებს აქეთ მეორეთა სახე, მეორეთ კი – პირველებისა. ისინი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ასიმეტრიულ სიმეტრიაში არიან ერთმანეთთან.

ასეთმა დაკვირვებამ კიდევ ერთხელ უნდა დაგვანახოს, რომ ხმოვანზე დაწყებული სიტყვის უკუღმა მოსმენის შემთხვევაში ეს ხმოვანი ძლიერდამართვიანი უნდა აღმოჩნდეს, რაც იმასაც ნიშნავს, რომ წაღმა კითხვისას (მოსმენისას) ის ასევე ძლიერშემართვიანია (ძლიერშემართვიანი იყო). ანუ, რაც იგივეა, ჩვეულებრივი ხმოვანით დაწყებული და წაღმა (ჩვეულებრივ) წარმოთქმულ-ჩაწერილი სიტყვის უკუღმა აღწარმოებისას პალინდროფონზე ის, რაც ამ ნაშრომში გაცნობიერებულია ფონეტიკურ მაგარ შემართვად, უნდა იქცეს (და იქცევა) ფონეტიკურ მაგარ დამართვად, ოღონდ – უკუღმა არტიკულირებულად და უკუღმადვე მოსმენილად, შეტრიალებულად 180°-ით.

როცა, წაღმა არტიკულირებისას, სამეტყველო თუ სასუნთქი კანონზომიერებებიდან გამომდინარე, ენერგიით აღსავსე ჰაერი ზვირთივით აწევს სახმო სიმებს და მათი განხშვისთანავე ასევე ზვირთივით ამოიფრქვევა ყიიდან, ვერ ვასწრებთ რა **ჟ**-ს აღქმას, უკუღმა მოსმენისას იგივე **ჟ**, ახლა უკვე აუსლაუტში მოქცეული, თითქოს ზღვის ობოლი მარგალიტით „გამოირიყება ნაპირზე“.

პალინდროფონია, უდავოდ, იძლევა რა ახალ პერსპექტივას, იქნება კიდევ ერთი – დამატებითი, დამხმარე – მოცემულობა ბგერის ფონეტიკური დიაგნოსტიკის განვითარების გზაზე.

პალინდროფონით მუშაობა იმასაც მოგვაგონებს, როცა, მაგალითად,

116 აქ თვით **ჟ**-ც შეტრიალებული იქნება 1800-ით.

სარკეში დანახულ ჩვენს ორეულში (ანუ ჩვენს „ნეგატივში“) ჩვენსავე თავს „ეკითხულობთ“ ისე, როგორც ჩვენი ორეული „კითხულობს“ ჩვენში თავის თავს – შებრუნებულად, უკუღმა. ჩვენ იმდენად ვართ შეგუებული სარკის ფენომენს (სარკის არეკვლით თვისებას), რომ არანაირი პრობლემა აღარ გვექმნება ჩვენი თავის აღქმაში: ველარ ვამჩნევთ იმას, რომ პერანგის ჯიბე, რომელიც ჩვენ მარცხენა მხარეზე გვაქვს, „იმას“, ჩვენკენ რომაა შემობრუნებული, ჩვენი გაგებით, მარჯვენა მხარეზე აკერია, რითაც სარკეს ერთგვარად „გაფუჟუღმებივართ“; ვეღარც იმას ვამჩნევთ, რომ ჩვენ ერთი ვართ და, მაშასადამე, გამორიცხული უნდა ყოფილიყო, ისიც ჩვენ ვყოფილვიყავით, ვინც სარკეში მოჩანს და ა. შ. მაგრამ თუკი, ჩვენთან ერთად, სარკეში „ჩავახედებთ“ ტექსტს, თუნდაც ყველაზე მარტივს, მისი წაკითხვის თვალსაზრისით უსერიოზულოესი პრობლემის წინაშე აღმოვჩნდებით, რადგან „სარკის ტექსტი“ (ისევე როგორც ჩვენი სარკისეული გამოსახულება) სარკის მეშვეობით თურმე სრულიად ახალ ნიშნებს იძენს თუ ამჟღავნებს: ტექსტი მთელი 180°-ით შემოტრიალებულა საკუთარი ვერტიკალური ღერძის ირგვლივ, რითაც თითქოსდა „ნეგატივად“ გადაქცეულა¹¹⁷. თუმცა: სწორედ იმის წყალობით, რომ „გაფუჟუღმებს“ (მთელი 180°-ით შემოგატრიალებს თუ შემოგაბრუნებს) და გადაგვაქცევს **Alter ego**-დ (*‘მეორე მე’*-დ), სარკე გვაწვდის ზოგიერთ – ჩვენთვის მანამდე უცნობ – ოპტიკურ ინფორმაციას ჩვენსავე შესახებ, თუნდაც იმის შესახებ, რომ, მაგალითად, სახეზე რაღაც ლაქა გვცხებია. თუ ზორგს უკან მეორე სარკესაც დავიჭერთ, „აღმოჩენების“ არეალი კიდევ უფრო გაიზრდება (იმაშიც, რომ მანდილოსნები ყოველთვის მომხიბვლელად გამოიყურებიან, უთუოდ სარკეს უძევს ლომის წილი). და სწორედ ამის სანაცვლოდ ურიგდება ადამიანი სარკის „თვითნებობას“, რის გარეშეც მას არც შეეძლო ამ მაღალი მისიის ხორცშესხმა.

ისევე როგორც ნებისმიერი სიტყვის უკუკითხვისას წარმოგვიდგება სხვაგვარად როგორც სიტყვის სემანტიკა, ისე მისი შემადგენელი ბგერების თანმიმდევრობაც და დისტრიბუცია, სხვაგვარად წარმოგვიდგება თავი-ღური ბგერების შემართვაც და დამართვაც. ისევე როგორც, მაგალითად, **იღება** სიტყვის უკუკითხვისას ვიღებთ **აბელი** სიტყვას, ახალსა და სხვა სემანტიკით დატვირთულს, შეიძლება პალინდროფონით გამოვავლინოთ ამა თუ იმ

117 ჩვენი ორეული კი, თუკი მას შეეძლებოდა ჩვენ გარეშე არსებობა, უპირობოდ წაკითხავდა ჩვენ მიერ სარკეში ჩახედებულ ტექსტს

ბგერის ესა თუ ის ახალი – ფონეტიკურად ღირებული – ნიშანი.

ისე რომ, ვთქვამთ, გარკვეულ სარგებლობას მივიღებთ ხმოვანთა შემაღრვის (ასევე დამართვის) კვლევის გზაზე, თუკი პალინდრომით კიდევ ერთხელ დავაკვირებთ თუშური ენის ანლაუტისეულ ჩვეულებრივ და თავისუფალ ხმოვნებს, ასევე მათ ტიპოლოგიურ მიმართებას როგორც ქართულ ხმოვნებთან, ისე, მაგალითად, დასავლეთეფროპულ **W**-სთან. მოკლედ: პალინდრომონი იქნებოდა „აკუსტიკური სარკე“ თუ „აკუსტიკური რენტგენი“, ერთგვარი „ექსკოპია“ ბგერების, კერძოდ, ხმოვნების ჯერ კიდევ შესასწავლი ნიშნებისათვის.

§8 (მ3). დაკვირება ფონოლოგიურად ოპოზიციურ სიტუაციებზე.

„სტუდია ა“ საქართველოს ერთ-ერთი პოპულარული რადიოპროგრამის სახელწოდებაა. შევადაროთ მისი ფონეტიკა შედგენილ შემასმენელს **სტუდიაა**, რომელიც, შეიცავს რა სულ სხვა სემანტიკას, მაშასადამე, ფონოლოგიურ ოპოზიციასა **„სტუდია ა“**-სთან. და ეს ოპოზიცია არტიკულაციურად (წართქმისას) წარმოიშობა სწორეს განმარტებული **ა** ხმოვნის მაგარი შემაღრვის, ანუ **ჟ** ლარინგალის არსებობის წყალობით.

ის, რაც არ გააჩნია ბოლო კიდურ ბმულ და, მაშასადამე, დისტრიბუციულ **ა**-ს ფორმაში **სტუდიაა**, მაგრამ რაც უსათუოდ გააჩნია განმარტებულ, ცალფა **ა**-ს ფორმაში **„სტუდიაა“**, არის ხმოვნის მაგარი შემაღრვა. ანუ: ის, რითაც **„სტუდია ა“**-ს განმარტებული (დისტანციური) **ა** განსხვავდება **სტუდიაა** ფორმის ბოლო კიდური ბმული **ა**-სგან, არის ხმოვნის ძლიერი შემაღრვა. ჩვენ ამ ფონეტიკურ სხვაობას (ოპოზიციას) იოლად ვარჩევთ რადიოეთერშიც და ასევე იოლად შევამჩნევთ, თუკი შესადარებლად მასალას რამდენჯერმე გავიმეორებთ ერთმანეთის მონაცვლეობით – ხმით ან ჩურჩულით:

„სტუდია ა“: [სტუდიაა]

სტუდიაა: [სტუდიაა]

მეორე მხრივ, იმისათვის, რომ მსმენელმა განასხვავოს ეს ორი მნიშვნელობა, მოსაუბრემ (მთქმელმა) განცალკევებული **ა** ხმოვანი უსათუოდ უნდა აღჭურვოს მაგარი შემაღრვით **„სტუდი ა“**-ში. და აკეთებს კიდევაც ამას. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუცა, ღიახ, გარკვეულწილად შეიძლება სიტყვათმხვილის

იმედზეც ვიყოთ, მაგრამ შესიტყვებაში, როგორც ორგანიზებულ შენაერთში (**„სტუდია ა“** კი იგივე შესიტყვებაა), ჩნდება შესიტყვების მახვილიც, რომელიც, განსხვავდება რა თავისი ხარისხით, სწორედ რომ საფუძველია შესიტყვების კომპონენტთა ერთ ფონეტიკურ მთლიანობად (ბლოკად) გაერთიანებისა და ხშირად გადაფარავს ხოლმე სიტყვათმხვილს (გავიხსენოთ ენკლიტიკა და პროკლიტიკა). ამიტომ ძლიერი შემაღრვის ჩართვის გარეშე აქ მაღალია სემანტიკური აღრევის კოეფიციენტი, ხდება რა სხვადასხვა (დამოუკიდებელი) ლექსიკურ-გრაფიკული სიდიდეების გადაგვარება ოპოზიციებად; შდრ.:

„სტუდია ა“: [სტუდიაა] (1)

სტუდიაა : [სტუდიაა] (2)

თუ სახეზე არ არის შესაფერისი კონტექსტუალური გარემო, მაგარი შემაღრვის შემოტანის გარეშე თანამოსაუბრე (მსმენელი) ვერ გაიგებს, რომელს ისმენს ამ ორი – (1) და (2) – შესაძლებელი ინფორმაციიდან. ამიტომ ვიყენებთ (1) მნიშვნელობის გამოსაკვეთად (გამოსააშკარავებლად) ხმოვნის **მკვეთრ**, ანუ მაგარ (ძლიერ, ხშულ) შემაღრვას. მოკლედ: სემანტიკის გარკვევის პროცედურაში აქტიურ მონაწილეობას იღებს მაგარი შემაღრვა, ანუ **ჟ** ლარინგალი.

ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს ქვემოთ წარმოდგენილ ოპოზიციურ სიტუაციებში, ოღონდ იმ მცირე განსხვავებით, რომ, ცალფა ხმოვნების გარდა, არენახე შემოდიან ანლაუტისეული ხმოვნებიც; შდრ.¹¹⁸: **ვიტამინია** – „**ვიტამინი ა**“, **ალმაგელია** – „**ალმაგელი ა**“, **არაბია** – **არ აბია**, **არა დგება** – **არ ადგება**, **ზედა დევს** – **ხელ ადევს**, **თვითარსებობა** – **თვით არსებობა**, **ანასი** – **ან ასი**, **არა ჭამო** – **არ აჭამო**, **სულელი** – **სულ ელი**, **ეს ისარი** – **ეს ის არი**¹¹⁹, **მაჩუქე სია** – **მაჩუქეს ია**, **სამოსს** – **სამ ოსს**.

კიდევ მაგალითი – გასხვავებული წყობისა, მაგრამ იდენტური შედეგისა:

ი. ა. მიქელაძე – **ია მიქელაძე**.

აქ სულ სხვა რამეა **ი. ა.** და სულ სხვა **ია** – როგორც სემანტიკურად, ისე ფონეტიკურად. და ის, რაც გვაქვს **ი. ა.** ინიციალების ორივე ხმოვნის არტიკულაციისა და **ია** ლექსემის პირველი ხმოვნის საწყისში, არის მაგარი შემაღრვა: **[ყიყა]** მიქელაძე – **[ყია]** მიქელაძე.

იმ შემთხვევაში, როცა ეს-ესაა წარმოვთქვამთ და მოვისმენთ მაგარ შემაღრვას (ანუ **ჟ** ლარინგალს) და ამასთანავე აქვე გავიმეორებთ, ჩვენი ცნო-

118 ჩანს, ყველაზე ფართო დისტრიბუციული დიაბაზონი აქვს **ა**-ს.

119 შეგვხვდება ვიყენებთ უმარტებულო **არი** ფორმას.

ბიერება, ჯერ კიდევ ახსოვს რა სულ ახლახან წარმოთქმული და მოსმენილი, მსგავსების წყალობით იოლად ამოიცნობს მას. აქ, ინიციალების შემთხვევაში, იმდენად ახლო-ახლო მიდის ორი ხშულ-მსკდომი **ც**, რომ ახლოს მივყავართ გემინირებულ ოკლუზიურ სიტუაციასთან, რაც აკი არც რჩება უშედეგოდ: იოლად ამოვიცნობთ მას – **ც**-ს.

ძლიერი შემართვის ამოცნობა კიდევ უფრო გაიოლდება, თუ კიდევ ერთხელ (ან მეტჯერაც) „შეგვახსენებს იგი თავს“ – იქვე, ახლო-მახლო: **ა. ა. ერგემლიძე – სცაყერგემლიძე**.

ევექტი კიდევ უფრო მეტი იქნება, თუკი ხუთივე ხმოვანს რამდენჯერმე წარმოვთქვამთ ინიციალების სახით, ოღონდ რაც შეიძლება სწრაფად: **ა. ე. ი. ო. უ. სცაყეცოცუ**.

კიდევ ორიოდ მაგალითი: **დაწერეო – დაწერე „ო“, თქვიო – თქვი „ო“, დაუღება – და უღება, მზესუმზირა – მზეს უმზირა**.

თელაველი „ბარდი“, **ზურაბ ზაქარიაძე** („პაპა“), მღერის რა, იყენებს ასეთ სიდიდეებს – **ასოციაცია „ა“, ქალბატონი „ო“**, სადაც **ა** და **ო** ხმოვნების ფონეტიკურ დამოუკიდებლობას არტიკულაციურად გადმოსცემს (გამოხატავს) ამ ხოვნების მაგარი შემართვით, რასაც გარკვევით აღვიქვამთ აკუსტიკურად. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, **ასოციაცია „ა“-ს** და **ქალბატონი „ო“-ს** ავურევდით შედგენილ შემასმენელში **ასოციაციაა** და მესამე პირის ნათქვამის გამოვლენის აღმნიშვნელ ფორმაში **ქალბატონიო**. მეტიც: თუკი ძლიერი შემართვის გარეშე ვიხმართ **ა. ო.** ინიციალებს, ისინი ერთდროულად შეიძენენ როგორც შედგენილი შემასმენლის მაწარმოებლის, ისე **-ო** ნაწილაკის მნიშვნელობას; შდრ.:

ქალბატონი ა. ო. [ქალბატონიყაყო] (1)

ქალბატონიო [ქალბატონიო] (2)

ახლა შესადარებლად ავიღოთ ლექსიკური სიდიდეები, რომელთაგან ერთია ანთროპონიმი **ასათიანი**,¹²⁰ მეორე კი გრამატიკული სახელი **ასათიანი₂** (რომელიც შედგება რაოდენობითი რიცხვითი სახელებისგან **100, 10**, ერთად კი იძლევა **110**-ს).

იმისათვის, რომ შესადარებლად მოხმობილი ეს ორი ლექსემა – **ასათიანი**, და **ასათიანი₂** – ერთურობისგან განვასხვაოთ (მაგალითად, გართულებების შემთხვევაში კარნახისას), იძულებული ვხდებით რიცხვითი სახელების შემცველი კომპოზიტი წარმოვთქვათ ცალ-ცალკე, რაც სხვას არას ნიშნავს,

თუ არა – **ასათიანი** კომპოზენტის თავიკიდური ხმოვნის შემართვაში იმ ლარინგალური **ც**-ს ჩართვას, რომელიც მას ექნებოდა (და აქვს კიდევაც) მისი ცალკე წარმოთქმისას: **ას[ცათიანი]₂**. ის, რაც წარმოითქმის და ვიღებთ აქ ჩატარებული ფონეტიკური ექსპერიმენტის შედეგად, არის სწორედ ანლაუტის ხმოვნის მაგარი შემართვა, რომელიც იგივე ლარინგალური **ც** თანხმოვანია და რომელიც ხელს უშლის ომონიმების საბოლოო ჩამოყალიბებას. ნათქვამის თანახმად, რიცხვითი კომპოზიტი მთლიანობაში იღებს ფონეტიკურ სახეს – **[ცასათიანი]₂**, ხოლო, შესაბამისად, ანთროპონიმს ექნება ფონეტიკური სახე – **[ცასათიანი]₁**. გამოდის, რომ დასახელებული კომპოზიტი შეიცავს ორ მაგარშემართვიან ხმოვანს, ანთროპონიმი – ერთს.

მეტიც: იმდენად რეალურია კომპოზიტ **ასათიანის₂** განსასხვავებლად ჩართული **ც** და იმდენად მაღალ დონეზე ასრულებს იგი თავის ფუნქციას აქ (არა მარტო ფონეტიკურს), რომ არ არის საჭირო იმ პაუზის გაკეთება, რომელიც აუცილებელი იქნებოდა თანხმოვნით დაწყებული კომპოზენტის შემცველი კომპოზიტის განსასხვავებლად ანალოგიურ შემთხვევაში (შდრ.: **ერთმანეთთან** და **ერთ მანეთთან**).

ისე რომ, აქ ფონეტიკური **ც** (ისევე როგორც, სხვათაშორის, პაუზა) აშკარად დისტინქტურ ფუნქციას ატარებს.

ეს ფაქტები კიდევ ერთხელ გვათამამებენ ვიწმინდით ქართული ენის ანლაუტისეული ხმოვნის ძლიერშემართვიანობა.

მაგარი შემართვის უქონლობის გამო არის, რომ პაუზის გარეშე ვერ ვასხვავებთ (ანდა გაჭირვებით ვასხვავებთ) შესიტყვებებს – კონტექსტიდან ამოკვეთილ და ფაქტობრივად ომონიმებად ქცეულ ომოფორმებს – ისეთ სალექსო წყობაში, როგორიცაა მაჯამა; შდრ.¹²⁰: **მეწოვა – მე წოვა** (არჩილი, 1936, 205), **მენელა – მე ნელა** (წერეთელი, 1991, 213), **დაგული – და გული** (იქვე), **მიწამე – მიწა მე** (იქვე), **დანაგულს – დანა გულს** (იქვე), **ნეტარად – ნეტა რად** (იქვე), **წამალით – წა მალით** (იქვე), **ამტანს – ამ ტანს** (იქვე).

ახლა მოვუხმოთ მაჯამის ისეთ რამდენიმე ნიმუშს, სადაც შესიტყვების მეორე წევრს თავიკიდური ხმოვანი აქვს: შესაძლოა, მკითხველს თავადვე გაუჩნდეს ხმოვნის მაგარი შემართვის ჩართვის აუცილებლობის შეგრძნება

120 აქ (და სხვაგანაც) გვხვდება შემთხვევები ქართული კვანტიტატიური თავისებურებებითაც, რაც იშვიათად თუ იქცევა ყურადღების ობიექტად და რასაც არც გააჩნია კავშირი ხმოვნის შემართვასთან.

მის შემართვაში; შდრ.: **სადარი – სად არი** (წერეთელი, 1991, 213), **ისარი – ის არი** (იქვე), **მარადის – მარად ის** (იქვე, 214).

სულ სხვა სემანტიკას შეიცავს და გადმოსცემს სიდიდე **ხუთია** (შედგენილი შემასმენელი), სულ სხვას – სიდიდე **ხუთი „ა“** (ანუ **5^ა**) (ამა თუ იმ ობიექტის, პუნქტის და ა. შ. ნომრითი მაჩვენებელი) და, მაშასადამე, აქ სხვადასხვა ფონეტიკა (არტიკულაცია და აკუსტიკა) გვაქვს იმ გაგებით, რომ მეორე შემთხვევაში **ა-ს** შემართვა მაგარია, პირველ შემთხვევაში კი – არა.

აქ განხილული მაგალითები თავისუფლად შეიძლება მიგვაკუთვნოთ მაგარი შემართვის გამოვლენასაც უნებლიეთ, რაც ასევე შიზოფონიის ფორმებს მიეკუთვნება და რაზეც ახლა გვექნება საუბარი.

ყველაზე უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ, მოყვანილი მაგალითებიდან გამომდინარე, ქართულ ენაში ძლიერი შემართვა შეიძლება აღჭურვილი იყოს არა მხოლოდ ფონეტიკური, არამედ ფონოლოგიური (დისტინქტური, სოციალური) ღირებულებითაც: ამ მაგალითებში სწორედ ძლიერი შემართვა ამყარებს სემანტიკურ განსხვავებულობას.

სრულიად დაბეჯითებით ვაძლევთ ასეთასავე დახასიათებას ქართული ენის ნებისმიერ ხმოვანს ანალოგიურ სიტუაციაში.

§9 (34). რეფლექსური (ინსტინქტური, უნებლიე) შიზოფონია.

აქ შენება გვექნება ცოცხალი ორგანიზმის იმ საპასუხო და უბირობო რეაქციასთან (ინსტინქტთან, თანდაყოლილ მიდრეკილებასთან, ალღოსთან) გარეგან გამღიზიანებელზე, რომელსაც ახორციელებს და აკონტროლებს ცენტრალური ნერვული სისტემა, და რომელიც, თანდაყოლილი ქცევის ფორმაა რა, მიმდინარეობს ყოველგვარი ძალდატანებისა თუ გაცნობიერების გარეშე (<http://ka.wikipedia.org/wiki/http:>), ანუ საუბარი გვექნება ცოცხალი მეტყველების იმ შემთხვევაზე, როცა ხმოვანს მაგარი შემართვით წარმოვთქვამთ უნებურად (უნებლიეთ) – იმის მიუხედავად, იქნება თუ არა ეს ხმოვანი ანლაუტში ანდა განმარტოებით, მეტიც, ინლაუტში.

განმარტოებული ხმოვნის უნებლიე მაგარი შემართვის დამადასტურებელ ნიმუშს წარმოადგენს, მაგალითად, ფრაგმენტი **ე. შენგელაიას** მხატვრული ფილმიდან „**შერეკილები**“ (სცენარი **რ. გაბრიადის**) (<https://www.youtube.com/watch?v=uJ>), სადაც ქრისტეფორე (**გ. ჩხაიძე**) ეუბნება ერთაოზს: „...**ორჯერ ორი**

არის ო... ო...“; ამ ფრაზის ფინალი ჩვენი ტრანსკრიფციით იქნება: **[სო]...[სო]...**

ტრანსპორტის სახელმწიფო ნომრების შემადგენელ ნაწილებად გვევლინება ცალკეული ასოები, რომლებსაც ცოცხალ მეტყველებაში წარმოთქვამენ ბგერების სახით, მაგალითად, ასე: **[ცა], [ცე], [ცო]**. და თუკი სახელმწიფო ნომრის ასოითი ნაწილი (სერია) შედგება ხმოვნებისგან, ჩვენ, გვინდა თუ არა ეს, წარმოვთქვათ მათ ძლიერი შემართვით: **AEO [ცაყეცო], IOA [ცოყოცა]...**

ამგვარადვე ვაკეთებთ მათემატიკურ საგნებში, როცა საქმე გვაქვს ხმოვნებით აღნიშნულ სიდიდეებთან: **AOE [ცაყოცე], OE [ცოყე]**.

ასე ვაკეთებთ, თუ ფასიანი ქაღალდების, ლოკუმენტების სერიები ხმოვნებითაა დაკომპლექტებული.

თუკი, მაგალითად, ამა თუ იმ სერიის აღმნიშვნელ **EEE** სიმბოლოებს წავიკითხავთ მაგარი შემართვის (შემართვების) გარეშე, მივიღებთ არა სერიის აღმნიშვნელ სიდიდეს, არამედ გაწეილ შორისდებულს **ეეე!** თუმცა, ჩვენზე რეფლექსურობიდან გამომდინარე, ასე არ ვკითხულობთ.

შესიტყვებიდან **მარტი და აბრილი** მისი მეორე წევრის – **აბრილი** – ს – ანლაუტის ხმოვანი შეიძლება არტიკულირებული იყოს ორგვარად: **და** კავშირისგან მოწყვეტით, ანუ ხელახალი (მაგარი) შემართვით და **და** კავშირისგან მოუწყვეტლად, ანუ მაგარი შემართვის გარეშე, რითაც ფაქტობრივად არაფერი არ ფუჭდება.

არტიკულაციის დასაშვები ორგვარობის გამო ამ მაგალითს გარკვეულად აკლია დამაჯერებლობა. მაგრამ ასეთი დამაჯერებლობა უსათუოდ მეტია ისეთ ქართულ ანდაზებში, როგორიცაა, მაგალითად: **ა ბურთი და ა მოედანი** (სახოკა, 1967, 11), **ა დათვი და ა კვალიო** (იქვე, 12), **ა პური და ა პირიო** (იქვე, 19). აქ, რაც არ უნდა რწმუნულად (და რაც არ უნდა სწრაფადაც) წარმოვთქვათ ფრაზები, მაინც ვერ აფრიდებთ თავიდან **და** კავშირის მიმყოლი **ა** ნაწილაკის ძლიერ შემართვას: **[ცაბურთიდაცამოედანი], [ცდათვიდაცაკვალიო], [ცპურიდაცაპირიო]**.

ზოგადი ფონეტიკის ბგერათცვალებადობის სფეროში ცნობილია ისეთი მოვლენა, როგორიცაა **ჰიატუსი** (ლათ. **hiatus** ‘**ნაპრალო, პირის გაღება**’), ანუ ორი ხმოვნის უშუალო შეხვედრა (დამეზობლება) ერთი სიტყვის ბოლოსა და მომდევნო სიტყვის თავიკიდურში ანდა სიტყვის შიგნით (ახვლედიანი, 1949, 236; ახვლედიანი, 1966, 180), მაგალითად, **დაუწერია, დროება, არა აქვს, რა უნდა...**

ამ საინტერესო ფაქტის დასაკონკრეტებლად შეიძლებოდა **არა აქვს, რა უნდა** ტიპის ჰიატუსისთვის გვეწოდებინა **დისტანციური**, ხოლო **დაუწერია, დროება** ტიპის ჰიატუსისთვის – **კონტაქტური**.

დაფუთოთ ისიც, რომ ბევრჯერ აღგილი აქვს ორზე მეტი ხმოვნის და-
მეზობლებასაც, რისთვისაც შეიძლებოდა ჰიპერჰიატუსი გვეწოდებინა
(ბერძნ. *hyper* „-ზე, ზევით“).

ცნობილია ისიც, რომ ზოგიერთი ენა ერიდება ჰიატუსს და ცდილობს
თავიდან აარიდოს იგი სხვადასხვა გზით, მაგალითად, კონტრაქციით ან
ლიეზონით. ამათგან ლიეზონი (ფრანგ. *liaison* ‘შეერთება, შეკავშირება’)
გულისხმობს თანხმოვნის ჩართვას პირველი სიტყვის ბოლო ხმოვანსა და
მომდევნო სიტყვის თავიკიდურ ხმოვანს შუა (ახვლედიანი, 1949, 236; ახვლე-
დიანი, 1966, 180), მაგალითად, ფრანგულში: *nous* [nu] ‘ჩვენ’ + *allons* ‘მი-
ვდივართ’ > *nous allons* [nuza] ‘ჩვენ მივდივართ’, აქვს + *il* [il] ‘ის’ >
a t-il [atil] ‘მას აქვს’. ამ თვალსაზრისით, ასეთი ლიეზონისთვის შეიძლებოდა
გვეწოდებინა **ლისტანციური**.

ზოგ შემთხვევაში არც ლიეზონია ქართული ენისთვის უცხო, თუმცა
მას, ფრანგულისგან განსხვავებით, გრაფიკულად არ აღვნიშნავთ. მაგალი-
თად, სიტყვათა ჯგუფები *არა ერთი*, *არა ორი*, *არა უმეტეს* ჩვეულებრივ წარ-
მოითქმის ჰიატუსით – ბმულად: [სარაერთი], [სარაორი], [სარაუმეტეს]...

მაგრამ დაჟინებული, ხაზგასმული მეტყველებისას აქ უთუოდ ექნება აღ-
გილი ლიეზონს, რასაც ქართულ ენაში სხვა გზით ვერ გადმოვცემთ, თუ არა
ხმოვანთა გამყოფი *ჟ*-თი: *არა ერთი* [სარაჟერთი], *განა ერთი* [განაჟერთი]¹²¹...

კიდევ უფრო საინტერესოა ის, რომ მეტყველების სრული სტილის დაცვი-
სას ლიეზონი არის არა დასაშვები, არამედ აუცილებელი იმ ქართულენოვან
შემთხვევებში, სადაც აღგილი აქვს ჰიპერჰიატუსს. წინააღმდეგ შემთხ-
ვევაში იქმნება არტიკულაციის და, შესაბამისად, აკუსტიკის გაბუნდოვნების
გარკვეული საშიშროება. მაგალითად, სიტყვები *გააიოლებს*, *გაუიოლებს*,
გაუუბატიურება, *გაუუბედურება*, *გაუუარესება*, განსაკუთრებით კი
სიტყვები *გაუუუღვაშება*, *გაუუუფლოება* და ა. შ. უმჯობესია წარ-
მოვთქვათ ასე: [გააჟიოლებს] (< [ჟიოლი]), [გაუჟიოლებს] (< *იოლდება*
[ჟიოლდება]), [გაუჟუბატიურება] (< *უბატიო* [ჟუბატიო]), [გაუჟუბედურე-
ბა] (< *უბედური* [ჟუბედური]), [გაუჟუარესება] (< *უარესი* [ჟუარესი]),
[გაუჟუუღვაშობა] (< *უუღვაშო* [ჟუუღვაშო]).

ხმოვანთა ამგვარ თავკიდურს შეიძლება ვუწოდოთ **ინტერჰიპერჰიატუსი**.

ალბათ განვამტკიცებთ ამ მსჯელობას, თუკი განვმარტავთ, რომ, მაგ-

121 ანალოგიურ სიტუაციაზე უკვე იყო საუბარი, მაგრამ სხვა საჭიროებისათვის.

ალითად, ყოველმხრივ გაუმართლებელი იქნებოდა წაგვეკითხა ასე: [გაჟუუ-
ჰატიურება], [გაჟუუბედურება], [გაჟუუუღვაშება]...

ასევე გააბუნდოვნებს არტიკულაციასაც და აკუსტიკასაც (ფონეტი-
კას), თუკი ქართულენოვან სიტყვებს *გააადვილებს*, *გაათკეცებს*, *გაათ-
თრებს*, *დაახლოვებს*, *აალებს* და ა. შ. წარმოვთქვამთ ასე: [გაჟაადვილებს],
[გაჟაათკეცებს], [ჟაჟალებს].

2008 წელს რუსეთის საელჩოს წინ მოწყობილ მშვიდობიან საპროტესტო
აქციას, რომელიც ამავე დროს *რეაქცია*ც იყო სამაჩაბლოში განვითარებულ
მოვლენებზე, თბილისელებმა მოსწრებულად უწოდეს *რე აქცია*. და რაკი *აქ-
ცია* გარკვეულწილად მაინც სხვა რამეა და *რეაქცია* რამდენადმე სხვა, იმ-
ისათვის, რათა ტელემსმენელადმე სწორად მიეტანათ ნაწილებად დაშლილი
რე და *აქცია* მოცემულობის არსი, არტიკულორებისას ტელეჟურნალისტები,
ფიქრობდნენ ამაზე თუ არა, მიმართავდნენ *აქცია* ნაწილის პირველი *ა* ხმოვნის
გათორმეხას ძლიერი შემართვით: [რე][ჟაქცია], ანუ [რეჟაქცია].

თუკი შეძლებისდაგვარად სწრაფი ტემპითა და ხმამაღლა შევუდგებით ამ
ტიპის სიტყვების საკმაოდ გრძელი რიგის კითხვას, რამდენიმე სიტყვის შემდეგ
თავისთავად და უნებურად ვიგრძნობთ ორიდან ერთს: 1) ან ხმოვანთა გაყოფის,
გაყრის (ლიეზონის) საჭიროებასა თუ აუცილებლობას მესამე ხმოვნის წინ,
რაც დამარცხვლის იდენტურობა (შდრ.: თუ შ. ენ. *დაჟარ: და-არ* ‘მოტანა’); 2)
ან ხელახალი საწარმოთქმო (საარტიკულაციო) შემართების საჭიროებასა თუ
აუცილებლობას – ასევე მესამე ხმოვნის წინ, რაც, გულისხმობს რა საფონა-
ციო ჰაერნაკადის ახალი ძალითა და ენერგიით მიწოდებას (მომატებას), ძლი-
ერ შემართვად არის წოდებული: *გააადამიანებს*, *გაადვილებს*, *გაააგზავს*,
გააავგულებს, *გაააგებს*, *გაააგზიანებს*, *გაააგვაცებს*, *გაააზატებს*, *გაააზნაუ-
რებს*, *გაააზრიანებს*, *გააათასკაცებს*, *გაათკეცებს*, *გააალმასებს*, *გააამაყებს*,
გააამპარტავენებს, *გააანალიზებს*, *გაანგარიშებინებს*, *გაანჩხლებს*...

ჩანს, ქართულენოვანი არტიკულაცია ასე თუ ისე ერიდება ჰიპერჰიატუსს,
ისევე როგორც თუშური ენა ვერ იტანს ხმოვნების უმარტივეს თავმოყრასაც კი.

ოღონდ ერთი რამ უსათუოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული აქ. თუ სი-
ტყვაში *გაუუარესდა* ლიეზონი დასაშვებია რიგით მესამე ხმოვნის წინ
([გაუჟუარესდა]), სიტყვაში *გაუარესება* იმავე ბგერათცვალებადობის –
ლიეზონის – დაშვება შეიძლება რიგით მეორე ხმოვნის წინ ([გაჟუარესება]).
გამოდის, რომ მარტო ხმოვანთა მექანიკურ თავმოყრასთან დაკავშირებულ

საწარმოთქმო კრიზისს არ უნდა მივაწეროთ ყველაფერი: აქ უსათუოდ ამბობს თავის სიტყვას მოცემული ენის მორფოარქიტექტურაც.

ზოგჯერ ორ სრულიად განსხვავებულ სემანტიკურ (გარკვეულწილად სინტაქსურ) გარემოში შევყავართ იმას, თუ როგორ წარმოვთქვამთ რწყმუ-ლი მეტყველებისას ქართული **არ** ნაწილაკის **ა** ხმოვანს – მაგარი შემართვით თუ მის გარეშე; შდრ.:

მმას არ უნდა გამოვეპასუხო, რაც არ უნდა მეჩხუბოს.


მმამ ის მითხრა, რაც არ უნდა ეთქვა.

პირველ მაგალითში გვაქვს არტიკულაცია [**რაცარუნდა**] მეჩხუბოს, მეორეში კი [**რაც**] [’**არუნდა**] ეთქვა.

ასევე: უნებურ მაგარ შემართვას იყენებენ ხმოვნებთან საზოგადოებრივ მაუწყებელზე მიმდინარე ტელეშოუში „**სიტყვების თამაში**“ წამყვანი – ხმით (I არხით) ასო-ბგერების დალაგებისას, მოთამაშეები კი – უხმოლ (III არხით) ამოცანის გადაწყვეტისას.

და ამ წესრიგს ადამიანები თავისუფლად აღწევენ არა იმიტომ, რომ იციან რამე ხმოვნის მაგარი შემართვის თაობაზე, არამედ სრულიად უნებლიეთ, ინსტინქტურად (არაცნობიერად, თუმიცა კანონზომიერად), რაც, თავის მხრივ, გვეხმარება მსჯელობის წარმოებაში მაგარი (ძლიერი, მკვეთრი, ხშული) შემართვის ორგვლივ სალიტერატურო ქართულ ენაში.

§10 (35). შიზოფონია გეომეტრიულ წრეში („ოპერაცია **ყ**“).



ამ გეომეტრიულ კონსტრუქციაში საათის ისრის მოძრაობის მიმართულე-ბით მოსაძებნია სრულიად უბრალო სიტყვა-ფორმის დასაწყისი (თავკიდური, ანლაუტი) და, მაშასადამე, წრეწირზე ამოსაკითხია ლექსიკური (მორფოლო-გიური) სიდიდე.

ტესტი ისეთნაირად არის შედგენილი, რომ ლექსემაში შემავალ ბოლო კი-დურსა და თავკიდურ ასო-ბგერებს შორის ისეთივე ინტერვალია დატოვე-ბული, როგორც დანარჩენ ასო-ბგერებს შორის, რის გამოც ერთბაშად ვერ ვიგებთ (ვერ გავიგებთ), რომელი წერტილიდან, რომელი ასო-ბგერიდან იწ-ყება სიტყვა. ამიტომ: დაკვირვების გარეშე ჭირს ამოცანის გადაჭრა. ამას-თანავე, ნუმერაცია (1, 2, 3...) სრულიად პირობითია და არაფერი აქვს საერთო ასო-ბგერების რაობასთან ან რიგთან. ასეთ შემთხვევაში იძულებული ვართ ამოკითხვა (კითხვა) დავიწყოთ რომელიმე – ნებისმიერი – ასო-ბგერიდან.

დავიწყოთ, მაგალითად, №1 ნიშნულიდან, რაც გვაძლევს სიდიდეს: **თოსთვისუ**.

თავისთავად გაუგებარია რა სემანტიკა, იძულებული ვართ გავაგრძელოთ თავკიდურის ძებნა, რისთვისაც მივმართავთ კითხვას მომდევნო №2, №3 და ა. შ. ნიშნულიდან – მანამდე, ვიდრე არ მივიღებთ სემანტიკურ ბალანსს.

თუმიცა: სემანტიკაზე უფრო მეტად აქ საინტერესოა ის, რომ, გულის-მით ვცდილობთ რა არაფერი გამოგვეპაროს, იმ შემთხვევაში, როცა ამოკ-ითხვა გვიწევს ხმოვანი ასო-ბგერიდან, ამ ხმოვანს უნებლიეთ, ოღონდ უს-ათუოდ წარმოვთქვამთ მაგარი შემართვით, ანუ იქ, სადაც სიტყვის ანლაუტს ვვარაუდობთ, თავკიდური ხმოვნის წარმოსათქმელად სახმო სიმებს ავტო-მატურად ვკეტავთ და ვხსნით, რაც ნიშნავს მაგარი შემართვის, ანუ **ყ** ლარ-ინგალის ჩემოყალიბებას (გაჩენას) აქ, რასაც ამოვიცნობთ სახმო სიმების ხშვა-განხშვის შეგრძნების გზით საკუთარ სამეტყველო აპარატში.

ვაგრძელებთ რა კითხვას, ვიღებთ: №2 ნიშნულიდან – **ოსთვისუთ** [ყოსთ-ვისუთ], №3 ნიშნულიდან – **სთვისუთ** [სთვისუთ].

მიღებულ **ოსთვისუთ** [ყოსთვისუთ] სიდიდეში ძლიერი შემართვის ბუნე-ბრივი ჩართვით ჩვენ თითქოსდა ვეჭიდებით, ვაფიქსირებთ ანლაუტს, რათა არ დაგვეკარგოს იგი, ვიდრე არ მივალწევთ სიტყვის ბოლოს და ამით არ გა-ვარკვევთ სემანტიკას. თუმიცა ამჯერადაც მცდელობა უშედეგო გამოდგა.

ასე ვაგრძელებთ მანამ, სანამ არ მივალწევთ სწორ შედეგს – სემანტიკურ ბალანსს, რომელიც იმ შემთხვევაში მიიღება **თურმე**, თუკი კითხვას დავიწ-

ყებთ №8 ნიშნულიდან, სადაც ასევე მიემართავთ საწყისი ხმოვნის არტიკულაციას მაგარი შემართვით: **უთოსთვის [სუთოსთვის]**.

საყურადღებოა ერთი რამ: იმ ხმოვნებს, რომლებსაც წელან, ვვარაუდობდით რა ანლაუტში, წარმოვთქვამთ მაგარი შემართვით (მაგ., **ოსთვის [სოსთვისუთ]** – №2), ახლა, როცა აღმოჩნდა, რომ ისინი ანლაუტში არ არიან, აღარც წარმოვთქვამთ მაგარი შემართვით. ესეც უნებლიეთ ხდება – ბუნებრივად, რადგან მაგარი შემართვით წარმოითქმის მხოლოდ ანლაუტის ხმოვანი: **უთოსთვის [სუთოსთვის]**. და ის, რითაც განსხვავდება ამ სიტყვა-ფორმის თავკიდური უ, არის მისი მაგარი შემართვა.

მაშ: ანლაუტის ნებისმიერი ხმოვნის სკუთარი შემართვა – ეს იგივე მისი მაგარი შემართვაა, რომელსაც უმაღლეს კარგავს, როგორც კი ანლაუტიდან ანლაუტში (ან აუსლაუტში) გადაადგილდება და უმაღლეს პოულობს, როგორც კი ანლაუტში დაჯდება.

ახლა გადაადგილებული ასო-ბგერებიდან უკვე ნახაზის გარეშეც შეგვიძლია დავამუშაოთ, მაგალითად, სიდიდეები **ნენუწვედ, ევდათაუწ...** და ამ მცდელობათა პროცესში კიდევ ერთხელ უნდა დაფრწმუნდეთ ანლაუტის ხმოვნის მაგარშემართვიანობაში: **უწვედნენ – [სუწვედნენ], აუწვედათ – [საუწვედათ]...**

„გეომეტრიული წრის“ ანალოგიას და, თუ გნებავთ, გაგრძელებას წარაადგენს საზღვრების დადგენის მცდელობა მოსმენილ წინადადებაში შემავალ ცალკეულ სიტყვებს (წინადადების წევრებს) შორის, როცა ენა არ ვიცით.

ქართულ ფრაზას **არ იყიდო ეს უხეირო ერბო** ქართველი წარმოთქვამს დაახლოებით ასე **[სარყიცილოესუხეიროერბო]**. მაგრამ უცხოელი, რომელიც ეს-ესაა ეუფლება ქართულს, ამ ფრაზას ამგვარად არათუ ვერ წარმოთქვამს, ვერც წაიკითხავს და ვერც გაიმეორებს. ის თითოეულ ბგერასა და მარცვალს თუ არა, თითოეულ სიტყვას მაინც წაიკითხავს (წარმოთქვამს) დიდი სიფრთხილით: მეორისგან დამოუკიდებლად (*staccato*), ბევრჯერ გაჭიანურებული პაუზებითაც. და წარმოთქმულ სიდიდეთა ეს დამოუკიდებლობა იქნება ოდენ ფონეტიკური და არა გრამატიკული (არც მორფოლოგიური ანდა სინტაქსური). ეს კი ნიშნავს იმას, რომ ხმოვანთავკიდურიან სიტყვებს უცხოელი წაიკითხავს ხელახალი – მაგარი – შემართვით: **[სარ] [ციყილო] [ესეს] [სუხეირო] [სერბო]**, ანუ **[სარყიცილოესუხეიროერბო]**.

თუ იმავე უცხოელს ამ ფრაზას თავიდანვე შეგნებულად დაეუწეროთ არა ორთოგრაფიულად (**არ იყიდო ეს უხეირო ერბო**), არამედ – ფონეტიკურად **[სარყიცილოესუხეიროერბო]**, მას უსათუოდ მოუწევს სიტყვებს შორის საზღვრების ძებნა და დადგენა. და საზღვრების ამ ძებნა-ძიებაში ყოველ ხმოვანთან უსათუოდ მოუწევს თავკიდური ძლიერი შემართვის ჩართვა.

ც-ს საშუალებით სიტყვათშორისი საზღვრების ამგვარ მონიშვნას ჩვენ ვუწოდებდით „**ოპერაცია ც**“-ს, რომელიც გვეხმარება უმართებულოდ (არაორთოგრაფიულად) დაწერილის მართებულად წაკითხვაშიც და თვით **ც**-ს გამოვლენაშიც ანლაუტის ხმოვანთან. სწავლების პროცესში ბევრჯერ სწორედ ამგვარ თავსატეხთან გვაქვს საქმე, როცა რუსული ენის შემსწავლელის მიერ დაწერილ ნამუშევრებს ვასწორებთ და როცა იძულებული ვართ სწორედ „**ოპერაცია ც**“-ს მივმართოთ.


ამგვარსავე „**ოპერაციებს**“ მიემართავთ ყველანი, როცა ეს-ესაა ვიწყებთ ამა თუ იმ უცხო ენის შესწავლას.

ერთადერთი არსებითი განსხვავება რწყმულისა და არარწყმულ არტიკულაციებს შორის აქ ის არის, რომ არარწყმული არტიკულაციის შემთხვევაში ანლაუტისეული ხმოვანი აღჭურვილია ძლიერი შემართვით.

ანალოგიურ შედეგებამდე მივდივართ დაკვირვებისას ისეთ სახუმარო გამოსაცნობ გამონათქვამებზე, როგორიცაა, მაგალითად, **ალიქოხარეცეს**¹²². აქ ხუმრობის არსი სწორედ ის გახლავთ, რომ ის, რაც წარმოდგენილია რწყმულად (*legato*), უნდა წარმოითქვას ლექსიკურ დონეზე დანაწევრებულად (*staccato*), რაც სხვაგვარად არ (ვერ) მოხერხდება, თუკი ყიის ხშვა-განხშვის გამოყენებით, ბოლოს, არ მივაგნებთ გამონათქვამში შემავალი ლექსემების ანლაუტის ხმოვნებს: **[ცალი] [ქოხ] [სარ] [სეცეს] / [ცალიქოხსარეცეს]**, ანუ **ალი ქოხ არ ეცეს 'ალი ქოხს არ ეცეს'**. ქართული სასაუბრო მენტალიტეტი, სარგებლობს რა ამ ლინგვისტური თამაშით, აქ უსათუოდ (და სწორედაც) აცნობიერებს ორ განსხვავებულ არტიკულაციას, თუმცა დღემდე ვერ აცნობიერებს იმას, რომ ამ ორი არტიკულაციიდან ერთ-ერთი უსათუოდ (და სწორედ) ანლაუტისეული ხმოვნის მაგარი შემართვაა.

122 უნდა გავემორღეთ და შევნიშნოთ, რომ გვანტერესებს არა მოხმობილი მაგალითების (გამონათქვამების) ეთიკური თუ ესთეტიკური მიზანშეწონილობა, არამედ მათი საარტიკულაციო ტექნოლოგია და აკუსტიკური შედეგი (ანუ ფონეტიკა), გვანტერესებს ის ბგერითი მოცემულობები, რომელთა ფიქსირება, როგორც **თ. გა-მყრელიძე** იტყვოდა, ჩამოწერზეა დამოკიდებული (<http://www.science.org.ge/books/>).

ბოლოს, „წავიკითხოთ“ ერთი „გეომეტრიული წრეც“, რაც კიდევ ერთხელ დაგვარწმინებს მაგარი შემართვის აუცილებლობასა თუ რეალობაში ანლაუტის ხმოვნის არტიკულაციას:



ექსპერიმენტი უფრო საინტერესო და სასარგებლო გახდება, თუკი ის ჩატარდება ჩუჩიულთ: ყოველთვის, რამდენჯერაც ხმოვნით ვეცდებით „წრეში შესვალას“, ანუ რამდენჯერაც წრეზე დაწერილის წაკითხვას დავიწყებთ ხმოვნიდან, იმდენჯერ გავიგონებთ და შევიგონებთ სახმო სიმების „მშრალ“ ხშვა-განხშვასა და ჰაერნაკადის ერთგვარ ამოფრქვევას. ეს იქნება სწორედ ანლაუტის ხმოვნის თანმყოფი მაგარი შემართვა – ლარინგალური ¹²³.

ჩვეულებრივი ხმოვნების მაგარი შემართვის გამოსავლენი სხვა მიდგომებიც გვაქვს შემუშავებული. აქ, სიტყვას აღარ გავაგრძელებთ რა ამაზე, წარმოვაჩინოთ ერთ დეტალსაც.

როგორც ცნობილია, სიტყვაში შემავალი ბგერებიდან თანხმოვნები უფრო მეტ სემანტიკურ ინფორმაციას შეიცავენ და გასცემენ, ვიდრე ხმოვნები. ამიტომაც, რომ თანხმოვნების მეშვეობით უფრო იოლად ამოვიცნობთ ხოლმე სიტყვებს, ვიდრე ხმოვნებისა. მაგალითად, ვერანაირ სემანტიკურ მინიშნებას ვერ იძლევიან სიტყვებიდან ამორიდებული ხმოვანთა ჯგუფები – **ეი, ეაი, ია**. გაცილებით მეტს ვიგებთ, თუკი ამავე სიტყვებიდან ამოვარიდებთ თანხმოვნებს: **ბრტყელ, ტყელ, მყვრს**¹²⁴.

123 ახლა, როცა მკითხველი ალბათ უკვე ეცადა ამოცანის ამოხსნას და ვერას გახდა, განუმარტავთ, რომ, მეტი ეფექტურობის მიზნით, ასო-ბგერები საათის ისრის საპირისპიროდ განვალაგეთ.

124 აღებული იყო სიტყვები **ბრტყელი, ტყემალი, მიყვარს**.

თუმცა: არის ერთი გარემოება, როცა სიტყვის (სიტყვების) ამოცნობა კვლავ ძნელდება, ოღონდ ამჯერად – თითქოსდა ხმოვნის (ხმოვნების) არქონის გამო. ავიღოთ სიტყვებიდან ამორიდებული თანხმოვნები, რომლებიც, ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, უნდა დაგვხმარებოდნენ სემანტიკის გახსნაში: **სკლ, ბბ**. მკითხველი გვეთანხმება უთუოდ იმაში, რომ ამოცნობა თითქმის ვერ ხერხდება. საქმე ის გახლავთ, რომ ამ მონაცემთაგან თითოეული იწყება ხმოვნით, ანუ თითოეულ მათგანს გააჩნია ანლაუტისეული ხმოვანი. თუმცა, თუკი ვთვლით, რომ ანლაუტის ხმოვანი მაგარშემართვიანია, ანუ ვაღიარებთ იმას, რომ ანლაუტის ხმოვანი თავის შემართვაში შეიცავს ლარინგალურ **ქ** თანხმოვანს და მას ამ ექსპერიმენტში თავის ადგილს მივუჩენთ, ამოცნობა მართლაც გაიოლდება; შდრ.: [სკსკლ], [ბბბ]¹²⁵. გაშლის, აქ აღრიცხვის გარეშე იყო დარჩენილი **ქ** ლარინგალის სახით რეალიზებული თანხმოვანი, რაც აძნელებდა ლექსიკური სემანტიკის დადგენას და რომლის ჩართვამაც გარკვეულწილად გააიოლა ამოცანა.

მოკლედ: თავის სტატუსზე თავადვე შეტყვევებს ხმოვნის მაგარი შემართვა ანლაუტში (და იზოლაციაში).

3. ანლაუტის ხმოვანთა მაგარი შემართვის შესახებ ენებში საერთოდ

§1 (36). მოსაზრება ხმოვანთა მაგარ შემართვასთან დაკავშირებით სალიტერატურო გერმანულ ენაში (და იმ ენებში, რომლებსაცა აგრეთვე, მიეწერებათ ასეთი შემართვა).

თუკი, ჩვენივე მსჯელობის მიხედვით, ძლიერი შემართვა ხმოვნებს ახასიათებს **საერთოდ**, ანუ თუკი ხმოვანთა ძლიერი შემართვა **მარტო** ზოგიერთი ენისთვის არაა დამახასიათებელი, მაშინ:

1. რა უნდა იყოს ის, რაც ხმოვანთა ძლიერ შემართვად არის მიჩნეული სალიტერატურო გერმანულ ენასა თუ ზოგიერთ სხვა ენაში და რაც მართლაც განასხვავებს მათ დანარჩენი ენებისგან?

2. სახელდობრ, რით განსხვავდება გერმანული ენის ანლაუტის ხმოვნის ფონეტიკა (არტიკულაციაც და აკუსტიკაც), დავუშვათ, ქართული, რუსული და იმ სხვა ენების ანლაუტის ჩვეულებრივი ხმოვნის ფონეტიკისგან, რომელთათვისაც ასეთი – ძლიერი – შემართვა ზოგად ფონეტიკაში საერ-

125 აღებული იყო სიტყვები **ასკილი – [ჟასკილი], ობობა – [ჟობობა]**.

თოდ არ არის გაცნობიერებული?

3. თუ სიტყვის დამწყები ხმოვანი ძლიერშემართვიანია გერმანულ ენაშიც და ქართულ, რუსულ და ა. შ. ენებშიც, რიდათი განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისგან შემართვის თვალსაზრისით?

4. როგორ უნდა მივადწიოთ იმას, რომ არაგერმანელმა ზუსტად აღიქვას და ასევე ზუსტი რეპროდუცირება გაუკეთოს იმას, რასაც გერმანული ენის ანლაუტის ხმოვნის **მაგარ შემართვას** უწოდებენ?

5. ანდა პირიქით: როგორ უნდა მივადწიოთ იმას, რომ გერმანელმა ზუსტად აღიქვას და ასევე ზუსტი რეპროდუცირება გაუკეთოს ქართული, რუსული და ა. შ. ენების ანლაუტის ჩვეულებრივ ხმოვანს, რომელიც, ჩვენი მსჯელობით, ასევე მაგარშემართვიანია, მაგრამ რომელიც სწორედ შემართვის თვალსაზრისით უნდა განსხვავდებოდეს და განსხვავდება კიდევაც გერმანული ენის ანლაუტის ხმოვნისგან?

თეორიული თუ მეთოდური მითითებები და განმარტებები გერმანული ენის ხმოვანთა შემართვის შესახებ ალბათ საკმარისზე მეტიც გვაქვს. მაგრამ მკითხველი უნდა დაეთანხმოს იმაში, რომ აქ თეორია და მეთოდიკა ანდა პედაგოგის ყველაზე დიდი თავდადება, როგორ ვთქვათ, არათერს გვაძლევს-თქო, მაგრამ ბევრს კი ნამდვილად ვერას იძლევა.

ქართული ენისგან განსხვავებით, რუსულ ენას გააჩნია, მაგალითად, ძლიერი და მოძრავი მახვილი, თანხმოვნის სიღბო, მაღალი აწეულობისა და შერეული რიგის **Ы** ხმოვანი, რომლის წარმოთქმაც იწყება შუა რიგით და მთავრდება წინა რიგით და სხვ. არსებობს ყოველივე ამის ამსახველი უამრავი თეორიული თუ მეთოდური ლექტურატურა, არიან შესანიშნავი პედაგოგებიც, რომლებიც ამ მასალას უზადოდ გადასცემენ. მაგრამ ხანგრძლივმა პედაგოგიურმა მუშაობამ დაგვარწმუნა იმაში, რომ ვერც ლიტერატურა, ვერც ახსნა-განმარტებები საქმეს ვერ წყვეტენ, ვიდრე თვით მსმენელი „ერთ მშვენიერ დღეს“ თავად არ „ჩაეჭიდება“ სწორედ იმ ერთადერთ და სწორედ იმ მთავარ ნიშანს, რითაც რუსული ენის თითოეული აქ დასახელებული ფონეტიკური „კაპრიზი“ „თურმე“ განსხვავდება იმისგან, რასაც მშობლიურ ენაში „ჩვეულებრივს“ უწოდებენ. საქმეს, რა თქმა უნდა, ვერც ის შევლის, რომ ეს „კაპრიზები“ ხშირ შემთხვევაში გრაფიკულად აღნიშნულია.

ანალოგიურად, რუს მსმენელს უჭირს რუსული **К**-სგან განასხვაოს ქართული **კ, ქ, ყ** და სხვ.

მოკლედ, ამ შემთხვევაში განმარტებები, თუნდაც ყველაზე დახვეწილი, ვერ წყვეტენ პრობლემას, ისინი მხოლოდ სამზადისად თუ შეიძლება მივიჩნიოთ ამ გზაზე.

დაეუშვათ, რომ სათანადო სპეციალურ წყაროებში გრაფიკულად აღნიშნულია გერმანული ენის სიტყვის დამწყები ხმოვნის ძლიერი შემართვაც – **’aber ‘მაგრამ’, ‘immer ‘მუდამ’, ‘ober ‘ზედა’**. მაგრამ ეს არათერს აძლევს ამ ენის შესწავლის მსურველს: მას სჭირდება თავისით გაცნობიერება იმისა, თუ რა არის ის, რითაც გერმანული ენის ანლაუტის ხმოვანი ფონეტიკურად განსხვავდება მისი მშობლიური ენის ანლაუტის ხმოვნისგან?

აპარატურას ამჯერად ერთადერთ გამოსავლად ნუ მივიჩნევთ: ლინგოაპარატურებით არ ვცხოვრობთ.

დაუფრუხდეთ თუშური ენის **ქ**-ს, რომლის გახსენებაც კიდევ ბევრჯერ მოგვიწევს და რომელიც ლინგვისტიკაში ხმოვნის მაგარ შემართვად არის მიჩნეული.

ჩვენი აზრით, თუშური ენის **ქ** ლარინგალის ერთ-ერთ მარჯვე, ზუსტ დახასიათებას **თ. უთურგაიძემ** მიაგნო თუშეთის ნახურენოვან ტოპონიმში **ცინი-ბუხი ‘ინიბუხი’**¹²⁶, როცა თქვა, რომ „**ქ** წარმოადგენს ნახური **ღ**-ს რეფლექსს“ (უთურგაიძე, 1966, 102).

ჩვენი მხრიდან დაეუმატებდით სამ რამეს:

1) **ღ**-ს რეფლექსში (ანუ ანარეკლში) ალბათ უნდა ვიგულისხმოთ, რომ აქ, ამ „რეფლექსის“ არტიკულაციაში, უკვე გადალახული გვაქვს **ქ**-ს ბარიერი, მაგრამ ჯერ ბოლომდე არ წარმოგვითქვამს **ჭ** ფორმულიდან **ღ = ქ + ჭ**.

2) იქ, სადაც ვამბობთ, რომ, მაგალითად, ზანურში, აგრეთვე გერმანულ ენაში, დაჟინებულად თქმულ ქართულ **არა**-ში და ა. შ. ადგილი აქვს ანლაუტის ხმოვნის მაგარ შემართვას, ანუ თავკიდური **ქ**-ს არსებობას, უნდა ვივარაუდოთ, რომ აქაც საქმე გვაქვს **ღ**-ს რეფლექსთან, ანუ აშკარად წარმოგვითქვამთ **ქ**-ს, მაგრამ არ ვაძლევთ ბოლომდე ჩამოყალიბების შანსს **ჭ**-ს ფორმულიდან **ღ = ქ + ჭ**, უმაღლესად ვაძლევთ რა თვით ხმოვნის არტიკულაციაზე. ამიტომ: ამ **ჭ**-ს წარმოგვითქვამთ სანახევროდ, რამდენადმე ბუნდოვნად.

3) სუფთა **ქ (’)** ბგერა, ჩვენი მსჯელობის მიხედვით, უთუოდ არის ჩვენთვის ცნობილი (ქართული, რუსული, ფრანგული...) ენების ანლაუტის ნებისმიერი ხმოვნის დასაწყისში, თუ, რა თქმა უნდა, იქ არ ფიგურირებს **ღ**-ს მეორე,

126 თუშ. ენ. **ღჟ** ‘პატარა ხევი’ და **ბუხ** ‘ფსკერი’.

სრულყოფილი **ჰ** კომპონენტიც ფორმულიდან $\mathcal{E} = \mathcal{P} + \mathcal{H}$.

აღბათ ამიტომაც აიგივეს **გ. ახვლედიანი** ძლიერ შემართვის გრაფიკულად აღნიშვნისთვის $\mathcal{P}$ -სა და $\mathcal{E}$ -ს (ახვლედიანი, 1949, 106; ახვლედიანი, 1966, 105).

ეს ტაპონიმი ამავე დროს უთვალსაზიროესი დადასტურებაა იმისაც, რომ $\mathcal{E}$ დაშლადი ბგერაა, იმისაც, რომ მეტყველებაში შეიმჩნევა $\mathcal{E}$ -ში შემავალი **ჰ**-ს დაკარგვა იქ, სადაც ის წესით უნდა იყოს და იმასაც, რომ ანლაუტის ნებისმიერი ჩვეულებრივი ხმოვანი (თუ ის არ არის ფშვინვიერშემართვიანი ანდა თავისუფალშემართვიანი) ისედაც ძლიერშემართვიანია: **ინიბუხი** [ცმინიბუხი] > **ინიბუხი** [ცინიბუხი].

ისიც უნდა შეინიშნოს, რომ დღეს, როცა, როგორც აღრეც ვთქვით (ბართიშვილი, 1995), თუშურენოვანი მოსაუბრე თავს არიდებს, მისი აზრით, ტლანქ, უხეშ ბგერებს იქაც კი, სადაც ეს იწვევს სემანტიკურ შეუსაბამობას, იკარგება რა ფარინგალური **ჰ** კომპონენტი და ადგილზე რჩება ლარინგალური $\mathcal{P}$ კომპონენტი, სრული კომპოზიტი $\mathcal{E}$ ფორმულიდან $\mathcal{E} = \mathcal{P} + \mathcal{H}$ დასუსტებულია და ხელთ გვრჩება ჩვეულებრივი ხმოვანი მისი კუთვნილი $\mathcal{P}$ -თი, რაც რწმული და სწრაფი მეტყველების დროს თავისთავადაც ხდება.

ჩვეულებრივ ხმოვნებზე დეტალური საუბრის წარმართვამდე გარკვეულად ძნელი იყო მაგალითების მოხმობა ცოცხალი მეტყველებიდან, აქ კი გვეძლევა ამის საშუალება. ერთმანეთს შევადაროთ მოცემულობები, სრული სტილით (თუშ. ენ. **ყტროშ**) წარმოთქმული (1) და წარმოთქმული სასაუბრო სტილით, ანუ ბმულად და სწრაფად (2):

დურდქ მაცოგროს¹²⁷ { [ცშურდქმაცოგროს] (1)
[’ურდქმაცოგროს] (2)

დრიფხუ ნექ ლიბ სც¹²⁸ { [ცშრიფხუნექლიბსც] (1)
[ცრიფხუნექლიბსც] (2)

დარჭჳ მოფსთ ჰც! ‘შავი მიწა შენ!’ { [ცშარჭჳმოფსთჰც] (1)
[ცარჭჳმოფსთჰც] (2)

მეტიც: თუ $\mathcal{E}$ -ზე დაწყებული სიტყვა სინტაგმის (ანდა ფონეტიკური სი-

127 ‘დილით პურზე წავალ’.

128 ‘რომელიც ურო ბასრია, ის დანა მომე(ცი)!’.

ტყვის) შიგნით აღმოჩნდა, $\mathcal{E} = \mathcal{P} + \mathcal{H}$ ფორმულიდან იკარგება არა მარტო **ჰ**, არამედ $\mathcal{P}$ -ც(!), ე. ი. იკარგება $\mathcal{E}$ მთლიანად; შდრ.:

ცა ლურდქ ‘ხეაღ დილით’ { [ცაწშურდქ] (1)
[ცაურდქ] (2)
სქ ნექ დრიფხ და¹²⁹ { [სქნექცშრიფხდა] (1)
[სქნექრიფხდა] (2)
სქ დარჭჳ ბაწარ ‘ჩემი შავი ბაწარ’ { [სქწშარჭჳბაწარ] (1)
[სქარჭჳბაწარ] (2)

აქ, ბუნებრივია, მოქმედებს სამეტყველო დროისა და ენერგიის ეკონომიის კანონიც.

ანლაუტში თუშურენოვანი $\mathcal{E}$ -ს სრული სახით არტიკულირება ხდება თემის ძირძველი და ჯერაც ძარღვმაგარი ინდივიდების მეტყველებაში, განსაკუთრებით უფროსი თაობის მამაკაცებში. თემის იმ „გაცივილიზებული“ წარმომადგენლების მეტყველებაში კი, რომლებიც თუშურ ენაზე ლაპარაკს ბევრჯერ ლამის თავილობენ, ხდება თავკიდური $\mathcal{E}$ -ს ასევე „გაცივილიზება“ იქაც, სადაც ის ჯერ კიდევ აშკარა ფონეზურ სტატუსს ატარებს, ხოლო **დამ ‘ტბა’, დავ ‘ძაფი (მატყლისა)’, დალიჩ ‘დადებულო ნიშანი’, და ‘პატარა ხევი’, დართი ‘კუნტრუში’, დოკ ‘ნახევარმთვარის ფორმის ქადა’, დუნალ ‘ჯამავი-რი’, დუბ ‘ჭრილობაში შეჭრილი სიციფე’** ტიპის სიტყვები, სადაც თავკიდურში ფონოლოგიური $\mathcal{E}$ გვაქვს, ლამის საერთოდ არის გამქრალი ხმარებიდან.

თუ ზოგიერთ არაგერმანულ ენაში ვცნობთ ანლაუტის ხმოვნის მაგარ შემართვას, ხოლო გერმანული ენის ანლაუტის ხმოვნის, ფონეტიკურად ვასხვავებთ რა არაგერმანული ენების ანლაუტის ხმოვნისგან, ასევე მივაწერთ მაგარ შემართვას, მაშინ (ძნელია მოიძებნოს სხვა რამე ლოგიკა) გერმანული ენის ანლაუტში საქმე გვაქვს $\mathcal{E}$ -ს, ანუ $\mathcal{P}$ & $\mathcal{H}$ -ს მსგავს ფაქტთან. იგივე ეხება დაკინებულია თქმული ქართული **’არა**, მეგრულ-ჭანური **ცუჯი, ცონა, ცინი** ტიპის არტიკულაციას.

გერმანული ენის (და ზოგიერთი სხვა მეტყველების) **მაგარშემართ-**

129 ‘ჩემი დანა უფრო ბასრია’.

ვიანებად წოდებული ხმოვნები იგივე ჩვეულებრივი ხმოვნებია, ოღონდ იმაზე რამდენადმე სუსტი ფარინგალიზაციით, ვიდრე აქვს, მაგალითად, თუშური ენის ფონოლოგიურ **ღ**-ს, ანუ **ქ & ჭ**-ს. თუშური ენის ფონოლოგიური (და არა ფონეტიკური) **ღ**-ს არტიკულაცია უფრო ღრმაა, რაც იწვევს **ჭ (ღ)** კომპონენტის აქტიურობას (ხმანობას) ფორმულიდან **ღ = ქ & ჭ**, ანუ **ღ = ' & ღ**.

გერმანული ენის ანლაუტის ხმოვნის არტიკულაცია უფრო „ვერობულია“, რამდენადმე სუსტია რა **ქ**-ს მომღეწო **ჭ**, და, მაშასადამე, მისი (**ჭ**-ს) სახით ხელთ გვრჩება **ჭ**-ს რეფლექსი, ანუ ანარეკლი, **ჭ**-ს მაგვარი ბგერა, მინაბგერი (ობერტონი), რომელსაც გრაფიკულად გადმოვცემთ [Ⓜ]ნიშნით: **aber** [ʰa]ber, **immer** [ʰi]mmer, **ober** [ʰo]ber...

თუ გერმანული ენის ანლაუტის ხმოვანი მართლა განსხვავდება ჩვენთვის ცნობილი ენების ანლაუტისეული ჩვეულებრივი ხმოვნებისგან (და ეს განსხვავება უდავოა), ეს ხდება არა ხმოვნის ძლიერი შემართვის, როგორც ასეთის, ანუ არა **ქ (')** ლარინგალის მიზეზით, არამედ ანლაუტის ჩვეულებრივი ხმოვნის ძლიერ შემართვასა და თვით ხმოვანს შორის ფარინგალური **ჭ (ღ)** ბგერის **ჭ (ღ)** ობერტონის განვითარების შედეგად.

ეს ფარინგალური [Ⓜ](**ჭ**) რუდიმენტი, ახლა უკვე თავად რჩება რა აღუქმელი ფონემობის უქონობისა გამო, თითქოსდა ცალკე გამომდევნის, გამოაცალკეებს, „გამორიყვას“ რწყული არტიკულაციიდან ხმოვნის შემართვისეულ **ქ** ლარინგალს, რითაც იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ეს ლარინგალი, ანუ მაგარი შემართვა დამახასიათებელი იყოს მხოლოდ ამ – ზოგიერთი მეტყველების ხმოვანთათვის. სინამდვილეში ამ – ზოგიერთი – მეტყველების ხმოვნებისთვის დამახასიათებელია არა მაგარი შემართვა, როგორც ასეთი, ანუ არა შემართვისეული **ქ** ლარინგალი, არამედ ამ ლარინგალის მიმყოფ განვითარებული ფონეტიკური, ექსპრესიული ფარინგალიზაცია [Ⓜ](**ჭ**) ობერტონის სახით. თუშუცა ხმოვნის შემართვისეული **ქ** ლარინგალი თავადაც უკვე წარმოადგენს ექსპრესიისკენ გადადგმულ ნაბიჯს: ის უკვე „იძლევა ტონს“ ასეთი ექსპრესიისთვის.

ხმოვნის მაგარ შემართვასა და თვით ხმოვანს შორის გაჩენილი ექსპრესიული [Ⓜ] ობერტონი **ქ** ლარინგალს ხელს უშლის კვლავინდებურად მჭიდროდ (უმოკლესი გზით) შეუერთდეს თვით ხმოვანს, რაც გარკვეულწილად ააშკარავებს ხმოვნისგან რამდენადმე „განზე ღარჩენილი“ ამ ლარინგალის

(მაგარი შემართვის) არსებობას. ისე რომ, აქ აღგილი აქვს ექსპრესიულ, ფონეტიკურ და არა ფონოლოგიურ აქტს.

ერთმანეთს შევადაროთ, ერთი მხრივ, გერმანული ანლაუტის რუსული და თვით გერმანული არტიკულაციები, მეორე მხრივ, თუშურენოვანი არაექსპრესიული და ექსპრესიული ანლაუტების არტიკულაციები თვით ამ ენის შიგნით:

რუს.: **абер** [ʰa]ber – გერმ. **aber** [ʰa]ber ‘*მაგრამ*’

обер [ʰo]ber – **ober** [ʰo]ber ‘*ზედა*’

иммер [ʰi]mmer – **immer** [ʰi]mmer ‘*მუდამ*’

თუშ. ენ.:

არაექს.

ექსპრ.

აღნი: [ʰაღნი] – [ʰაღნი] ‘*აღვანში*’ (ess.)

აგ: [ʰაგ] – [ʰაგ] ‘*ბეზია*’

ელანე: [ʰელანე] – [ʰელანე] ‘*ელანე*’

ილიკრ: [ʰილიკრ] – [ʰილიკრ] ‘*ილიკო*’

არადაჟინებულად (არაექსპრესიულად) და დაჟინებულად (ექსპრესიულად) არტიკულირებული ქართულენოვანი არა: **ცარა** – [ʰარა]

არაჟ ფორმასაც, რომელსაც ზოგადი ფონეტიკა **ძლიერდამართვანს** უწოდებს, ფაქტობრივად ექსპრესიულდამართვანია, სადაც ექსპრესიის, ანუ განსაკუთრებული არტიკულირების მისიას თავის თავზე იღებს კვლავ **ქ** ლარინგალი.

სმენის ღიდად დაძაბვა არ სჭირდება, უბრალო ყურადღებაც საკმარისია იმისათვის, რომ ამგვარი ფარინგალიზაცია ამოვიცნოთ ინგლისურენოვან ე.წ. ბოვეეკებში, როცა ფილმის პერსონაჟები ამოიძახებენ ხოლმე ცალკეულ სიტყვებსა თუ შორისდებულებს განსაკუთრებულად უკიდურეს, ექსტრემალურ გარემოებებში.

ექსპრესიულ [Ⓜ]-ს წარმატებულად იყენებენ მამრობითი სქესის პერსონაჟები ქართულ ტელესერიალში „*შუა ქალაქში*“.

მაგალითისთვის: 2005 წ. 4 იანვარს საქართველოს საზოგადოებრივი ტელევიზიით გადაცემული სიუჟეტი ჩვესურეთზე, მთავრდება ჩვესურული სიმღერით, რომელშიც ცალკეული სიტყვების ანლაუტის ხმოვანი თავის შემართვაში ექსპრესიულია, ანუ გაჯერებულია ექსპრესიული [Ⓜ]-თი.

ცოცხალი ქართული მეტყველება სხვა შემთხვევებშიც გვთავაზობს ამგვარ არტიკულაციას.

გერმანული ენის ხმოვნის მაგარი შემართვის მისაღებად, – გვასწავლიან მეთოდურ წყაროებში, – საჭიროა ფილტვებიდან ამომავალი ჰაერის ამო-
დინების გაძლიერება და შეკავება-შეფერხება ისე, როგორც ეს ხდება ჩახ-
ველებისას (Popov, ..., 1978, 10). სწორედ ჩახველებისთვის საჭირო ქმედებაა
ის აუცილებელი პირობა, რომელიც ამ ხმოვნის შემართვას ასხვავებს სხვა
ენების ანლაუტის ჩვეულებრივი ხმოვნის შემართვისაგან, და არა საკუთრივ
–ს წარმოებისთვის საჭირო ქმედება. სწორედ ჩახველებისთვის მომზადე-
ბული კონფიგურაცია იძლევა „გერმანული“ ლ-ს წარმოქმნას ჩვეულებრივი
ხმოვნებისთვის ისედაც დამახასიათებელი –ს (ძლიერი შემართვის) მიმყოფი,
თორემ ჰაერის წინმსწრებ შეკავება-შეფერხებას, როგორც ასეთს, ადგილი
აქვს აქაც და იქაც.

სხვა ენების ანლაუტის ჩვეულებრივი ხმოვნებისგან განსხვავებით, გერ-
მანული ენის ხმოვანში იმიტომ ვცნობილობთ ძლიერ შემართვას, როგორც
ასეთს, რომ ძლიერ შემართვასა და თვით ხმოვანს შორის ფიგურირებს კიდევ
მესამე სიდიდე – ფარინგალური ლ. გამოდის, რომ გერმანული ენის ანლაუტ-
ში, ძლიერი შემართვის გამომხატველ ლარინგალს გარკვეულწილად აქვს
თავისი შემართვაც, მწვერვალიც, დამართვაც.

რაც შეეხება ლ-ს, ეს „გერმანული“ ფარინგალი იმდენად სუსტია, რომ
შეიძლება გარდამავალი ბეგრაც ვუწოდოთ. თუშური ენის ანლაუტისეულ
ფონეტიკურ (ექსპრესიულ) ლ-ში შემავალი ფონეტიკურივე (ექსპრესიული)
ფორმულიდან ლ = ლ + ზ არის უფრო სრული, გამოკვეთილი და ხანგას-
მული, „კავკასიური“ და „ველური“, გერმანული ენის ანლაუტისეული ხმების
ექსპრესიული (ფონეტიკური) ლ კი (ფორმულიდან ლ = ლ + ლ) – გარკვეულად
რაფინირებული, მიჩუქებული და „დემოკრატიული“.

ამიტომაც არ უნდა იყოს შემთხვევითი ის, რომ ა. შიფნერმა თუშუ-
რენოვანი ლუნალ, ლამურ, ლემურ, ლოფი სიტყვების ანლაუტში ლ-ს ნაცვლად
გააცნობიერა და წარმოგვიდგინა ლ (ლ), რასაც თავადვე უწოდა Spiritus lenis
'ძლიერი (მაგარი) შემართვა'.

ყველაზე უფრო ფასეულად ვთვლით იმ ფაქტს, რომ ჯერ კიდევ მაშინ,
როცა ბაცბოლოვია ის-ის იყო იდგამდა ფეხს, გერმანულმა მეცნიერმა შე-
ძლო დაეჭრა და დაეთქსირებინა ის, რაც აკუსტიკურად უნდა გაეგონა თა-
ვისი ერთადერთი ცოცხალი თუშურენოვანი ინფორმანტისგან – გ. ცისკარი-

ვილსგან. მან თუშურენოვანი არტიკულაცია გააიგივა იმასთან, რაც თავის
მშობლიურ – გერმანულ – ენაში ესმოდა მუდამ, და რასაც ეწოდება Knack-
laut 'ძლიერი შემართვა'. ეს კი გერმანულ ენაში ოდენ ფონეტიკური მოვ-
ლენაა და გრაფიკულად არც აღინიშნება, თუ არ არის მეთოდური ხასიათის
აუცილებლობა. ამიტომ აღარ აღნიშნა გრაფიკულად ა. შიფნერმაც თუშური
ენის ხმოვნებში ის, რაც მან მაგარ შემართვად გააცნობიერა – არც ანლაუტ-
ში, არც ინლაუტში. თუმცა გრაფიკულად მაინც აღნიშნა ის, რაც, ძლიერი
შემართვის გარდა (ანუ ლ-ს გარდა), კიდევ შეიცავდა რაღაცას – გერმანუ-
ლის მაგვარს, მაგრამ, დავუშვათ, რუსულისგან განსხვავებულს: ლ, ანუ ლ +
აღნიშნა ლ-თი. ანუ: ა. შიფნერმა გააიგივა გერმანული ენის ანლაუტის ხმოვანი
და თუშური ენის ხმოვანი მისი წინამავალი ანლაუტისეული ლ-თი, რომელიც,
თავის მხრივ, ძლიერი შემართვის სტატუსით, ღიახ, შეიცავს ძლიერ ლ-საც.
ასეთი მსგავსების მიგება მაშინ ალბათ სწორედ თუშური ენის პირველი
მკვლევარის, ა. შიფნერის ხეივანი უნდა ყოფილიყო. გერმანელ მკვლევარს
სხვაგვარად არც შეეძლო: თუშური ენის თავიდაური ფონოლოგიური ლ (ლ +
ა), რომელიც ძალიან ჰგავს ფონეტიკურ (ლ + ლ)-ს, უნდა გადმოეცა ისევე,
როგორც გააკეთებდა ამას მშობლიურ გერმანულ ენაში – ლ-თი. და პირიქით,
გერმანულენოვანი ფონეტიკური შემართვა (ლ + ლ), რომელიც გარეგნულად
ერთობ ახლოსაა თუშური ენის ფონოლოგიურ ლ-სთან (ლ + ლ-სთან), ბოლოს
და ბოლოს, შეგვიძლია გადმოვცეთ ლ გრაფიკულად (*Zimmer, *Zober...),
თუკი, რა თქმა უნდა, არ დავივიწყებთ, რომ „გერმანულ ლ“-ში უნდა ვიგუ-
ლისხმოთ ოდენ ექსპრესიას (ფონეტიკას), მაგრამ არა ფონოლოგიას.

ნათქვამიდან გამომდინარე, ა. შიფნერის მიერ დაფიქსირებული თუშუ-
რენოვანი სიტყვების ტრანსკრიფცია შეიძლება გავიგოთ დაახლოებით ასეც:
ლუნალ [ლუნალ], ლამურ [ლამურ], ლემურ [ლემურ], ლოფი [ლოფი].

ჩანს, მ. ბროსეს მიერ ჩატანილმა ი. ცისკარიშვილისეულმა მასალებმა
(Цискаров, 1848) დიდი სამსახური გაუწიეს გერმანელ მკვლევარს: „არაფინ
გამოჩნდა ისეთი, – წუხს რა, შენიშნავს თავად ა. შიფნერი, – რომ ჩაჩუნი-
სათვის გაეკეთებინა ის, რაც მღვდელმა ი. ცისკარიშვილმა თავისი დედაე-
ნისათვის გააკეთა“ (ჩიქობავა, 1965, 170). მიუხედავად ამისა, გარკვეული,
ერთობ სერიოზული სირთულეების წინაშე ა. შიფნერი მაინც იდგა, რაც შეი-
ძლებოდა გამხდარიყო ცდომილების ლოგიკური საფუძველი.

თავად ა. შიფნერი მისსავე შრომასთან დაკავშირებით, რომელმაც შემ-

დგომში ესოდენ მაღალი შეფასება მიიღო, შენიშნავდა, რომ იძულებულია „მონურად მისდიოს დედანს“ (ჩიქობავა, 1965, 175), რომელიც, როგორც ვიცით (ჩიქობავა, 1965), საქართველოდან ჰქონდა მიღებული. ხოლო **პ. უსლარის** ერთ-ერთ ნაშრომთან დაკავშირებით იგი ბრძანებს: „ვინც იცის, რაოდენ ძნელია წერილობით ჯერ კიდევ დაუფიქსირებელი ბგერებისა თუ სიტყვების ჩაწერა, ის იოლად გაიგებს, რომ თვით დამაბული ყურადღების შემთხვევაშიც კი უთუოდ იპარება შეცდომები“ (Услар, 1888, VII). და: თუშური (კავკასიური) ენის ხმოვნებისთვის, ასევე თანხმოვნებისთვის დამახასიათებელი ესა თუ ის ელფერი (ან თუნდაც არსებითი ნიშანი) ევროპული სმენის მქონე დამკვირვებლისთვის, დიახ, ერთ შემთხვევაში შეიძლებოდა შეუმჩნეველი დარჩენილიყო, მეორე შემთხვევაში, პირიქით, მოჩვენებითი გამხდარიყო.

ის, რასაც **ა. შიფნერი** ორიგინალს უწოდებს, ლინგვისტური თვალსაზრისით მთლად ორიგინალი არც არის: „**გრამატიკასთან**“ ერთად, **ი. ცისკარიშვილმა** პეტერბურგში გადაგზავნა არა საკუთრივ თუშურენოვანი ტექსტები, არამედ ქართულიდან თუშურ ენაზე ნათარგმნი მასალა, რის გამოც ასევე წუხდა გერმანელი მკვლევარი (ჩიქობავა, 1965, 171). ისე რომ, **ა. შიფნერმა** თავისი მონოგრაფია დაასრულა ორიგინალური, თუშურენოვანი ტექსტების გარეშე. ჩემს წამოწყებას, – წერს იგი, – „ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ შეიძლებოდა ამ ენის მცოდნე დამხმარებოდა. ეს იყო **გიორგი ცისკარიშვილი** (**ცისკაროვი**), აქაური სასულიერო აკადემიის სტუდენტი, უმცროსი ძმა **იოზ ცისკარიშვილისა**, რომლის შედგენილიც ეს ტექსტები იყო. ამ ახალგაზრდის დახმარებით მალე შევძელი ბგერითი შემადგენლობის **ზოგი თავისებურება** გამეჩვენა“ (ჩიქობავა, 1965).

მაშ, **ა. შიფნერს** ჰყავდა ცოცხალი ლინგვისტური ინფორმანტი (რესპონდენტი), რომლისგანაც კონსულტაციებს იღებდა მთელი 9 თვის განმავლობაში (იქვე, 1965). მაგრამ სულ სხვაა, როცა ლინგვისტს უშუალო სამეცნიერო კონტაქტი აქვს არა ერთ რომელიმე ინდივიდთან, თუნდაც ყველაზე საუკეთესოსთან, არამედ ენის მატარებელ კოლექტივთან ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, გარკვეულ ჯგუფთან (არაფერს ვამბობთ იმ საუკეთესო შემთხვევაზე, როცა მკვლევარი თავადაა საკვლევი ენის მატარებელი).

საქმეს ართულებდა ისიც, რომ, როგორც თავად **ა. შიფნერიც** წუხს ამის გამო, „**გიორგი ცისკარიშვილს**, რომელიც რვა წელი არ ყოფილიყო შინ, ქართული და რუსული უფრო ემარჯვებოდა და სიტყვები დედაენაზე ძნელად

აგონდებოდა“ (ჩიქობავა, 1965, 169). მეტიც: **ა. შიფნერისავე** თქმით, „ასეთი გავლენისათვის თავი ვერ დაეღწია უფროს ძმასაც“ (იქვე).

როგორც ვხედავთ, **ა. შიფნერის** მდგომარეობა არცთუ სახარბიელო იყო თუნდაც მცირედენი წარმატებისთვის.

ზოგიერთი დეტალის გარკვევის მიზნით, **ა. შიფნერი** წერილობით მიმართავს **ი. ცისკარიშვილს** თიანეთში, სადაც ეს უკანასკნელი მაზრის ბლალ-ჩინად მსახურობდა, და ასე იღებს ცნობებს (ჩიქობავა, 1965, 169-170). სამაგიეროდ და სამწუხაროდ, ვერ იღებს დანაპირებ მასალას **ად. ბერჟესგან**, რომელსაც ურთიერთობა ჰქონდა ადგილობრივ თუშურენოვან მოსახლეობასთან (იქვე, 170).

მოკლედ, გასაგები უნდა იყოს, რა პირობებში უხდებოდა **ა. შიფნერს** მონოგრაფიაზე მუშაობა. ყველაზე სერიოზულ წინააღმდეგობად კი, ალბათ, ენობრივი ბარიერი უნდა მივიჩნიოთ – როცა მკვლევარი ვერ ფლობს საკვლევ ენას, როგორც ცოცხალ მეტყველებას. ამას თვით **ა. შიფნერიც** გრძნობს და შენიშნავს: „ჩვენი ყური მიხვეულია გარკვეულ ბგერებს, – წერს იგი **პ. უსლარის** მონოგრაფიის („**აფხაზურის შესახებ**“) მისეულა გამოცემის წინასიტყვაობაში, – და საჭიროა დიდი ვარჯიშობა, რომ სწორად აღვიქვათ უჩვეულო ბგერები, და მაინც შეუძლებელი ხდება განსხვავება შევნიშნოთ იქ, სადაც ადგილობრივი მკვიდრი ასეთ განსხვავებას ხედავს“ (ჩიქობავა, 1965, 184-185).

უდავოდ: კეთილსინდისიერი, ტიტანური, თუ შეიძლება ასე ითქვას, გერმანული შრომაა ჩადებული **ა. შიფნერის** მონოგრაფიაში, რაც უსათუოდ დასაფასებელია მასში. არც გამოჩენია ეს მხედველობიდან **არნ. ჩიქობავას**: იბერიულ-კავკასიურ ენათა მეცნიერული შესწავლის პიონერად მიიჩნევს რა გერმანელ მკვლევარს, იგი სინანულით შენიშნავს: „ადვილი წარმოსადგენია, რა სახესაც მიიღებდა **ა. შიფნერის** შრომა, მის ავტორს რომ შემთხვევა მისცემოდა კავკასიაში ემოშავა, სათანადო ენაზე უშუალო დაკვირვება ეწარმოებინა“ (იქვე, 177).

მუხედავად ყოველივესი, მეცნიერმა შექმნა და დღეს ხელთა გვაქვს ღირსშესანიშნავი მონოგრაფია. დაწერო ასეთი წიგნი ამა თუ იმ ენის შესახებ მის მატარებლებთან უშუალო ცოცხალი კონტაქტის გარეშე იმას ჰგავს – დაწერო მართალი ისტორია ქვეყანაზე, რომელიც რუკაზეც არ გიხილავს. დღესაც თამამად ვიმეორებთ სიტყვებს, რომლებიც 100 წელზე მეტი ხნის

წინ შეუცდომლად ბრძანა **პ. უსლარმა**: „ფილოლოგიური სამყაროსთვის თუ შური ენა ცნობილი გახდა ბ–ნ აკადემიკოს **შიფენერის** ნაშრომის წყალობით“ (Услар, 1888, 2). ეს უკვე ის არის, რაზედაც ძველი ლათინები იტყოდნენ: *Opus Herculeum*¹³⁰.

უნდა აღინიშნოს ის აშკარად ხელშესახები თავისებურება, რომელიც გერმანული ენის ხმოვანს გააჩნია მარცვლის თავშიც (Берхина, 1958, 9) და თავსართის შემდეგაც, ასევე რთული სიტყვის მეორე შემადგენელი ნაწილის თავში (Белостоцкая, ..., 1951, 14), რასაც აგრეთვე მაგარ შემართვად მივიჩნივით და რაც, არ ახასიათებთ რა სხვა ენებს, ხშირად ახასიათებს ისევ და სწორედ თუშურ ენასაც. ესეც უნდა გავითვალისწინოთ, როცა **ა. შიფენერ-სეულ** მიგნებაზე ვლაპარაკობთ.

თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ: ის, რასაც გერმანული ენის ხმოვნის **ძლიერ შემათვას** ვუწოდებთ, ხარისხობრივადაც და ოდენობრივადაც არის იმაზე მეტი, ვიდრე ძლიერი შემათვას (რომელიც თანმყოფი ნიშანია ანლაუტის ხმოვნისა ენებში საერთოდ, მათ შორის, თუშურშიც).

მაგრამ:

ა) რატომ უნდა დაეტოვებინათ **აგ** [ყაგ] ‘**ბებია**’, **ელანე** [ყელანე] ‘**ელანე**’ ტიპის სიტყვებს ანლაუტისეული ჩვეულებრივი ხმოვნების შემართვისგან განსხვავებული შემართვის შთაბეჭდილება იმდენად, რომ **თ. უთურგაიძეს** საჭიროდ ჩაეთვალა მისი გრაფიკულად აღნიშვნა **ყ**-თი (უთურგაიძე, 1966, 42–43)?

ბ) მით უმეტეს, რატომ უნდა დაეტოვებინათ **ახ** [ყახ] ‘**მონანი**!’, **ახრობ** [ყახრობ] ‘**თახლო**’ ტიპის სიტყვებს ანლაუტისეული **ღ**-ს შთაბეჭდილება **ი. დეშერიევში** (Дешериев, 1953, 41)?

ანლაუტისეული ჩვეულებრივი ხმოვნის არტიკულაციისას საქმე გვაქვს მასში შემავალი **ყ**-ს არტიკულაციის უშუალო და ბუნებრივ, რწმუნულ გადასვლასთან თვით ხმოვანი ბგერების საარტიკულაციო სივრცეში ყოველგვარი შეფერხების გარეშე. **ყ**-სა და თვით ხმოვანს შორის არ არსებობს არანაირი ე. წ. გარდამავალი ბგერა, ანდა მინიმუმადეა დასული მისი შესაძლებელი არსებობა. ამგვარად, **ყ** თვით ანლაუტის ხმოვნის ორგანული და მუდმივი შემადგენელი ნაწილია, მისი ატრიბუტია. ეს კია: მეტყველების ექსპრესი-

ულობის შემთხვევაში **ყ**-სა და თვით ხმოვანს შორის (ხმოვნის ძირითად ბრთვას შორის) ჩნდება ექსპრესიული ფარინგალი, რომელიც უკვე აღვნიშნეთ **ჰ**^(ა) გრაფიკით. კონფიგურაციულად თვით **ჰ**, როგორც სრულფასოვანი თანხმოვანი, ძალიან ახლოს დგას **ყ**-სთან, რის გამოც ხდება (შეიძლება მოხდეს) ასე იოლად **ყ**-ს მიმყოფ ექსპრესიული **ჰ**-ს განვითარება. ისე რომ, ფაქტობრივად ექსპრესიას იძლევა (ქმნის) არა **ყ**, ანდა არა თუნდაც **ღ** (ფორმულიდან **ღ = ყ + ჰ**), არამედ **ყ**-ს მიმყოფ განვითარებული **ჰ**. მოკლედ: ადგილი აქვს ხმოვნის შემართვისეული **ყ**-ს ფარინგალიზაციას, რაც ბუნებრივად გვაძლევს თვით ხმოვნის ფარინგალიზაციასაც.

თუშური ენის ანლაუტისეული **ყ** არ არის ზანურის, ანდა სალიტერატურო გერმანულის **ყ** (') სიდიდის ეკვივალენტი. უფრო მატალი მეცნიერული ტაქტი უნდა ვცნოთ **ა. შანბის** მიდგომაში, როცა ამბობს, რომ თუშური კილოს **ყ** ბგერა „**თითქმის** იგივეა, რაც **ყ** მეგრულ სიტყვებში...“ (შანბი, წიგნი: უთურგაიძე, 1966, 20). იგივე ითქმის თუშური ენის **ყ**-ზეც, რადგან თუშურ კილოში მას ისეთივე ფონეტიკა აქვს, როგორიც თუშურ ენაში (უთურგაიძე, 1966). თუშური **ყ** მართლაც არ არის ის, რასაც მაგარ შემართვას უწოდებენ მეგრულში (= ზანურში), ანდა სალიტერატურო გერმანულ ენაში. მეგრულსა თუ სალიტერატურო გერმანულში გვაქვს **ყ**-ს მიმყოფ განვითარებადი (მაგრამ არცთუ ბოლომდე განვითარებული) **ჰ**, რომელიც, წარმოთქმული **ჰ**-სთან ერთად (**ჰ**-ს მიმყოფი), ტოვებს აკუსტიკური **ღ**-ს (**ჰ** & **ღ**-ს) შთაბეჭდილებასაც.

თუშურენოვანი ექსპრესიული ფარინგალური **ჰ** მარტო ანლაუტის ხმოვანთან როდი ჩნდება: როგორც ცნობილია, პროსოდიული მოვლენაა რა (დაკავშირებული ტონის სიმაღლესთან, ბგერის გრძლიობასთან თუ სიძლიერესთან და ა. შ.), ფარინგალიზაცია ზოგჯერ შეიძლება გავრცელდეს როგორც მარცვალზე, ისე მთელ სიტყვაზეც კი (ЛЭС, 1990, 541). შევნიშნეთ, რომ თანამედროვე წოვათუში ზოგადად არიან თანხმოვან ღრმა (ფარინგალურ) არტიკულაციას, მაგრამ, უკვე წონასწორობადაკარგულმა მანდილოსანმაც კი, პირიქით, თავდასულ ბავშვს შეიძლება შეუტეოს ასე¹³¹:

სა ლაქქალზინა! 'სულგამქრალი!' – ნაცვლად არაექსპრესიული ფორმისა სა ლაქქალზინა! 'სულგამქრალი!'

სო ღაქალ, გოჰ! 'შოჰიტა აჰჰა, ჰიტო!' – ნაცვლად არაექსპრესიული ფორმისა სო ღაქალ, გოჰ! 'მოიტა აქა, ბიტო!'

131 ექსპრესია გაგაფორმით ქართულ თარგმანშიც.

130 ლათ. ‘დიადი ნამოქმედარი!’

თუშთა წოვის თემის წარმომადგენლები შინაგანად ემოციურნი არიან, რასაც გამოხატავენ არა, დაფუშვით, მოქცევით, შორისდებულებით, ან ნაწილაკებით (ლექსიკურად), არამედ – უფრო, თუ შეიძლება ასე ითქვას, ფონეტიკურად, ამ შემთხვევაში სწორედ ექსპრესიული ზ-თი. ამას ხელს უწყობს მათი საარტიკულაციო ბაზისიც.

მეტეც: ქართულ ყოფით მეტყველებაშიც შეიძლება ასეთი ზ-ს მოძიება:

სად მიდისზარ, ბიჭო?! – ნაცვლად ფორმისა **სად მიდისარ, ბიჭო?! –**

მოადი ზაქ, გეუბნებზი! – ნაცვლად ფორმისა **მოადი აქ, გეუბნები!**

თუშთა ქართულენოვანი მეტყველების შემთხვევაში აშკარად შეზღუდულები ვართ, ჩანს, საარტიკულაციო ბაზისის უქონლობისა გამო.

თუშური ენის ანლაუტის ამ ექსპრესიულობას მხოლოდ ადასტურებს **ი. დეშერიევის** შენიშვნა: „...некоторые бацбийцы иной раз затрудняются определить, предшествует ли данному гласному гортанный **I**“¹³² (Дешериев, 1953, 41).

ის, რაც დამახასიათებელია, მაგალითად, სალიტერატურო გერმანული ენის ანლაუტის ხმოვნისთვის, მართლაც არის დამახასიათებელი მისთვის და მის გარეშე გერმანული ენა, უბრალოდ, დაკარგავდა მისთვის ესოდენ საჭიროსა და აუცილებელს – გერმანულს. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ თუ, მაგალითად, ქართველი, რომელიც, ჯერ სათანადოდ ვერ ფლობს რა ასეთ არტიკულაციას, მოიშველიებს „ქართულ“ წარმოთქმას, სიტყვას უსათუოდ შეეცვლება, ან დაეკარგება გერმანული **იერი**, მაგრამ არ შეეცვლება და არ დაეკარგება **სემანტიკა**. ამ თვალსაზრისით, გერმანული ენის თავიერი ხმოვნის ფონეტიკური თავისებურება, ისევე როგორც თუშური ენის ექსპრესიული ზ, ფონოლოგიურ ფუნქციას არ ატარებს. ამიტომაც: შემთხვევითი არ არის, რომ გერმანულ ენაში ხმოვნის ეს ნიშანი (რომელიც ძლიერ შემართვად არის ცნობილი), ფშვინვური შემართვისგან განსხვავებით, გრაფიკულად არც გადმოიცემა. მაგრამ თუკი ამ ძლიერ შემართვას, ფშვინვური შემართვის მსგავსად, ფონეობა დაეკისრებოდა, ის, ისევე როგორც ფშვინვური შემართვა, გრაფიკულადაც გადმოიცემოდა. და თუშურ ენას დამწერლობა რომ ჰქონოდა, ამავე მიზეზით არც აქ გახდებოდა საჭირო ანლაუტის ხმოვნის მაგარი შემართვის გრაფიკულად გადმოცემა. აკი არც

132 „...ზოგიერთ წიგნათუშს ზოგჯერ უჭირს განსაზღვროს, უძღვის თუ არა წინ მოცემულ ხმოვნას ხორხისძიერი / (ჟ)“.

გადმოუციათ იგი გრაფიკულად ბაცბოლოებს, გარდა **თ. უთურგაძისა**.

90-იან წლებში, ეროვნული მოძრაობის აღზევების დღეებში, ცეცხლოვანი გამოსვლებისას ხალხმრავალ მიტინგებზე ბევრი ქართველი ორატორის გამოსვლაში გაისმოდა ანლაუტის ხმოვნისეული (არა მარტო ა ხმოვნისეული) ექსპრესიული ზ, რასაც მშვიდობიან წლებში ვერ მოვისმენთ.

ხშირად ფარინგალიზებულია **ნიაზ დიასამიძის** ვოკალური მეტყველება, გამომდინარე როგორც თვით მომღერლის, ისე მისი სასიმღერო ტექსტების ექსპრესიულობიდან; აქ მაგალითისთვის მოვიხმობდით სიმღერას L'aigle 'არწივი' (<https://www.youtube.com/watch?v=WyRu4skGQjo>), რომელიც ჩვენთვის იშვიათ საშუალებას იძლევა ამ კუთხით ვისაუბროთ ფრანგული არტიკულაციის ფარინგალიზაციაზეც.

გამრავალმაგებული ექსპრესიული ზ-თი ფორმდება შორისდებული, რომელსაც ბიჭები წამოიძახებენ ხოლმე, მაგალითად, მაღალი ცერიდან მდინარეში ხტომისას: **ჰჰჰააა!.. ჰჰჰოოო!..**

თუკი ჭარბ სითამამედ არ ჩამოგვერთმეოდა, შევნიშნავდით, რომ ექსპრესიული ფარინგალიზაცია ამშვენებდა ბ-ნ **გ. კოტეტიშვილის** ენაწყლ-იან მეტყველებას. ეს ნიშანი ზოგჯერ ამა თუ იმ პირის მეტყველების ინდივიდუალობის მაჩვენებელიცაა, ამ შემთხვევაში – ქართველი მეცნიერისა. ამ გაგებით, ამგვარ არტიკულაციას **ბ-ნ ვახუშტის არტიკულაციასაც** ვუწოდებდით.

მოკლედ, უმიზეზოდ, თავისთავად კი არ ჩნდება ანლაუტის ფონეტიკური (არაფონოლოგიური) ზ, არამედ სამეტყველო ექსპრესიის აუცილებლობით. ჩვეულებრივი ხმოვნის შემართვაში ისედაც არსებული ფონეტიკური (არაფონოლოგიური) **ჰ-ს** მიმყოფ ვითარდება ასევე ფონეტიკური ზ, ამ ორი შესაჯერების ჯამში კი იძლევა ფორმულას **ჰ & ზ**.

ასევეა ქართულ ენაშიც: შემთხვევით არ უწოდებს **გ. ახვლედიანი** **ცარა** ნაწილაკს **დაჟინებულად** თქმულს: დაჟინება თავისთავად და უსათუოდ გულისხმობს ექსპრესიას. ამიტომ დაჟინებულად თქმულ ამ ნაწილაკში უთუოდ ფიგურირებს ექსპრესიული ზ-ც:

არა — **[ცარა]** (ჩვეულებრივ)

— **[ჰარა]** (დაჟინებულად)

გერმანული ენის ინლაუტში – ხმოვნი დაწყებული მარცვლის (ან ფუძის)

ანლაუტში – ექსპრესიული ფარინგალური **ჲ**, შესაძლოა, გარკვეულწილად კიდევ უფრო გაუფერულებული (დასუსტებული) იყოს, ვიდრე სიტყვის ანლაუტშია, მაგრამ აქ, სიტყვის ინლაუტში, ლარინგალური **’**–ც უკვე სრულიად საკმარისია იმისათვის, რათა მეტყველებამ შეიძინოს განსაკუთრებული (განსხვავებული), ექსპრესიული ელფერი, რაც ასევე შეიძლება შეფასდეს როგორც მოცემული ენისთვის დამახასიათებელი სამეტყველო თავისებურება.

წინამდებარე ანალიზი, ისევე როგორც **თ. უთურგაიძე** ბრძანებს **ი. დეშერიევისეულ** მსჯელობასთან დაკავშირებით თუშურენოვან ანლაუტზე, ჯერჯერობით „მხოლოდ სმენით შთაბეჭდილებას ეყრდნობა“ (უთურგაიძე, 1966, 44) და ამ ეტაპზე აკლია ექსპერიმენტული შედეგებით დადასტურება. მაგრამ, ერთი მხრივ, ამ საკითხში **ი. დეშერიევის** ვარაუდი უფრო ახლოს აღმოჩნდა სინამდვილესთან, ვიდრე **თ. უთურგაიძის** დასკვნა (**ი. დეშერიევმა**, არცნო რა, არც აღნიშნა თუშურენოვან ანლაუტში **ც**, **თ. უთურგაიძემ** კი, ცნო რა იგი, აღნიშნა კიდევაც, რის უარყოფაც მოუწია შემდგომ **კ. ჭრელაშვილს**). მეორე მხრივ, განა აქამდე კი არის ჩატარებული ისეთი ექსპერიმენტი, რომელიც ნათლად, ცხადად დაგვანახებდა და აშკარად გაგვარკვევდა იმაში, თუ:

1) რით განსხვავდება, მაგალითად, თუშური კილოს ანლაუტის ჩვეულებრივი ხმოვნის ფონეტიკა ამავე კილოს ანლაუტის იმ ხმოვნის ფონეტიკასგან, რომელსაც მაგარშემართვიანს უწოდებენ?

2) რით განსხვავდება თუშური კილოს ანლაუტის ე. წ. ძლიერშემართვიანი ხმოვნის ფონეტიკა ქართული სალიტერატურო ენის ანლაუტის ჩვეულებრივი ხმოვნის ფონეტიკისგან?

3) რით განსხვავდება თუშური ენის ანლაუტის ე. წ. ძლიერშემართვიანი ხმოვნის ფონეტიკა თუშური კილოსა თუ ქართული სალიტერატურო ენის ანლაუტის ჩვეულებრივი ხმოვნის ფონეტიკისგან?

4) რით განსხვავდება თუშური ენის ანლაუტის ე. წ. მაგარშემართვიანი ხმოვნის ფონეტიკა რუსული, ფრანგული და ა. შ. ენების ანლაუტის არამაგარშემართვიანი (= ჩვეულებრივი) ხმოვნის ფონეტიკისგან?

5) რით განსხვავდება თუშური ენის ანლაუტის **ENV** კომპლექსის ფონეტიკა თუშური კილოს, სალიტერატურო გერმანული ენისა და ა. შ. ენების ანლაუტისეული ე. წ. ძლიერშემართვიანი ხმოვნის ფონეტიკისგან?

6) ბოლოს, რით განსხვავდება „დაჟინებულად თქმული“ ქართულენოვანი **პარა** სიტყვის ანლაუტის ხმოვნის ფონეტიკა, ერთი მხრივ, ჩვეულებრივად

წარმოთქმული ამავე **არა** სიტყვის ანლაუტის ჩვეულებრივი (= არამაგარშემართვიანი) ხმოვნის ფონეტიკისგან, მეორე მხრივ, მაგალითად, თუშური ენის **ნარჯი** ‘**შავი**’ სიტყვის ანლაუტისეული ფონეტიკისგან?

პასუხები ამ და ამ ტიპის სხვა კითხვებზე გაგვარკვევდა ბევრ საინტერესო საკითხში ხმოვნებთან დაკავშირებით როგორც თუშურ ენაში, ისე სხვა მეტყველებებში (ენებსა თუ კილოებში), თუმცა: ამ კითხვებზე ამომწურავი პასუხების გაცემა უსათუოდ აღემატება ერთი ან ორი ნაშრომის შესაძლებლობებს.

ერთი რამ კი, უდავოდ, ცხადია და მარტივი: სხვა რამეა მეტყველების ექსპრესია და სულ სხვა – ფონოლოგიური რეალობა. სხვა რამეა ანლაუტის ხმოვანთა მაგარი შემართვა, როგორც ასეთი, და სულ სხვა – ანლაუტის ხმოვანთა შემართვა როგორც სალიტერატურო გერმანულ ენაში, ისე თუშური ენის **აღნი**, **ელანე** ტიპის სიტყვების ანლაუტში.

თუკი შევთანხმდებით იმაზე, რომ, მაგალითად, ქართულ–ანდა რუსულენოვან ანლაუტში ხმოვანი უსათუოდ მაგარშემართვიანია, ხოლო გერმანულენოვანი ანლაუტის ხმოვანი ნამდვილად განსხვავებული შემრთვისაა ამ (და სხვა) ენებთან მიმართებაში, მაშინ ამ განსხვავების მიზეზი უნდა ვეძებოთ არა თვით შემართვაში, ანუ არა ლარინგალურ **ც**–ში, არამედ ანლაუტის ხმოვნის ფარინგალიზაციაში, ანუ მაგარი შემართვის მიმყოლი ექსპრესიული **ჲ** ფარინგალის არსებობაში თუ განვითარებაში.

[**ცუზაგ**], [**ცუშელანე**], [**ცუზილიკრა**] ტიპის არტიკულაცია იყო, უთოდ, მიზეზი იმისა, რომ **თ. უთურგაიძემ** თუშური ენის ანლაუტში გაიაზრა და ფონემის სტატუსითაც კი გამოცოთავილური **ც** (უთურგაიძე, 1966, 42–51): **ი. დეშერიევისგან** განსხვავებით, **თ. უთურგაიძის** თუშური ენა უკეთ ესმოდა და, თავისთავად, უკეთ გრძნობდა, რომ აქ არაფრით არ შეიძლებოდა ყოფილიყო ფონოლოგიური **წ**, მაგრამ იგი, **ი. დეშერიევის** მსგავსად, იმასაც აშკარად გრძნობდა, რომ აქ, ისევე როგორც (ზოგჯერ) სალიტერატურო ქართულსა თუ ქართული ენის მთის კილოებში (მაგალითად, თუშურ კილოში), იყო რაღაც განსხვავებული, განსაკუთრებული – **ექსპრესიული** (უთურგაიძე, 1966, 17–42), რაც გრაფიკულად გადმოსცა არა **წ**–ს, არამედ **ც**–ს (= **’**) სახით. ამავე **ც**–თი აღნიშნა **თ. უთურგაიძემ** ის, რაც თუშური ენის თავიკიდურში

ფონემად მიიჩნია: **ცაგ, ცელანე, ცილოკო** – მაშინ, როცა, თუკი ექსპრესიას არა აქვს ადგილი, თუ შურ ენაში ამ სიტყვების ანლაუტისეული **ა, ე, ი** წარმოითქმის ზუსტად ისევე, როგორც სალიტერატურო ქართულში წარმოითქმის **აგერ, ელანე, ილიკო** სიტყვების ანლაუტისეული ხმოვნები. ამიტომაც უარყო **კ. ჭრელაშვილმა** (ჭრელაშვილი, 1975, 37) **თ. უთურგაძის** „კატეგორიული დებულებები“ ამის თაობაზე. თუ შური ენის ანლაუტის ხმოვნებს სალიტერატურო ქართულისგან განსხვავებული აქვთ არა **ც**, რომელიც ორივეგან უსათუოდ არის, არამედ – სხვა რამ. ის, რაც ზოგჯერ მკლავდება როგორც სალიტერატურო ქართული ენის, ისე ქართული ენის მთის კილოების, კერძოდ, თუ შური კილოს ანლაუტისეული ხმოვნის შემართვაში და რასაც **ექსპრესიული** შეიძლება ეწოდოს, არის არა **ც**, არამედ – სხვა რამ. და კიდევ: ის, რითაც სალიტერატურო გერმანული ენის ანლაუტის ხმოვნებს განასხვავებენ სხვა ენების ანლაუტის ხმოვნებისგან, არის არა **ც**, რომელიც საერთო უნდა იყოს ყველა ენისთვის (ყველა მეტყველებისთვის), არამედ – სხვა რამ.

საგარეოდ, რომ **ი. დეშერიესაც** სწორედ ასეთ – ექსპრესიულ – სიტუაციებთან ჰქონდა შეხება, როცა შენიშნავდა წოვათუშების დაბნეულობის თაობაზე წინამდებარე I-სთან (**ღ**-სთან) დაკავშირებით ანლაუტისეული ხმოვნის შემართვაში (Дешериев, 1953, 41). ექსპრესია ისეთი რამ არის, რაც შეიძლება ახლდეს მეტყველებას, შეიძლება არა, რასაც ადასტურებს თვით **ი. დეშერიეს** დაბნეულობა, როცა ერთსა და იმავე ლექსემას ხან თავკიდური ხმოვნით წარმოგვიდგენს – **ამბუა ‘ამბაე, ამბები’** (იქვე, 348), ხანაც ამ ხმოვნის წინამდებარე **ღ**-თი – **ღამბუა** (იქვე, 358).

მოკლედ, აქ ექსპრესიულია არა მთლიანად **ღ**, ანუ **ცჳ**, არამედ ფონეტიკური **ღ**-ს მეორე შემადგენელი კომპონენტი **ჳ**. არ არის გამორიცხული, რომ თვით **ღ**-ც (**ც + ჳ**) თავის დროზე შეიძლებოდა ჩამოყალიბებულიყო არაფონოლოგიური (ექსპრესიული), მაგრამ სრულიად ბუნებრივი ფონეტიკური (აქცესიური) კომპლექსის სახით.

მეტყველების ექსპრესია (ლათ. **pressus ‘წნევა’**), წნევის წყალობით, რომელიც გულისხმობს გარკვეულ ძალისხმევას (ლათ. **expressus ‘გაძლიერებული’**), იმაზე უფრო მეტს, ვიდრე ჩვეულებრივი სამეტყველო ბგერების ჩვეულებრივ არტიკულირებას სჭირდება, ანლაუტის ხმოვნის შემართვასა (მაგარ შემართვასა) და მის მწვერვალს (დაყოვნებას) შორის განათავსებს **ჳ**-ს და ამით აღწევს ერთგვარ გამომხატველობას (ლათ. **expressio ‘გამოხ-**

ატვა‘): მეტყველების ექსპრესია კი არ წარმოადგენს ექსპრესიული **ჳ**-ს შედეგს, არამედ პირიქით, მეტყველების ექსპრესიის შედეგს წარმოადგენს ექსპრესიული **ჳ**-ს წარმოშობა-განვითარება.

შემთხვევითი არ იყო, რომ ჟენევის სკოლის წარმომადგენლები, ბევრ სხვა რამესთან ერთად, ენის განვითარების ერთ-ერთ მიზეზად (ერთ-ერთ პირობად – ა. ბ.) თვლიდნენ მასზე **ემოციონალურ-ექსპრესიული** ფაქტორების ზემოქმედებასაც (Шадури, 1983, 94). ეს სწორედ ის ფსიქოლოგიზმი უნდა იყოს, რომელიც, **ი. ბოდუენ დე კურტენეს** აზრით, მკლავდება არა მარტო ენაში მთლიანად, არამედ თვით ცალკეულ ლინგვისტურ სიდიდეებშიც კი (в единицах), მაგალითად, ცალკეულ ფონემებში. უფრო ადრე კი **ვ. ჰუმბოლტი** წერდა: „Язык всеми тончайшими фибрами своих корней связан с народным духом“ **‘ენა მთელი თავისი ფესვების უნატიფესი ნიჭებითაა მიბმული ხალხის სულისთან’** (Звегинцев, 1960, 69). და კიდევ ბრძანა **ვ. ჰუმბოლტმა**: სწორედ ენის საშუალებით შეიძლება ხალხის ფსიქიკის (სულის) და ხასიათის შეცნობა (Шадури, 1983, 26).

ის, რაც ძლიერ შემართვად არის გაცნობიერებული სალიტერატურო გერმანულ, თუ შურ და ზოგ სხვა ენაში, უთუოდ უნდა იყოს დაკავშირებული ამ მეტყველებების საერთო ნიშანთან – ექსპრესიასთან: ძლიერ შემართვასა და თვით ხმოვნის ბირთვს (დაყოვნებას, ანუ მწვერვალს) შორის განვითარებული არაფონოლოგიური ფარინგალური **ჳ** თანხმოვნის სახით საქმე გვაქვს **ექსპრესიის** გამოვლენასთან მეტყველებაში, რასაც, თავის მხრივ, მიყვავართ თუ შური, გერმანული თუ სხვა ენების მატარებელი ხალხების ფსიქოლოგიურ დახასიათებასთან: გერმანული ენის ხმოვანთა დამახასიათებელ თავისებურებას, მაგალითად, „წარმოადგენს თითოეული ბგერის განსაკუთრებული სიცხადე და „მკაფიოობა, გარკვეულობა“ (Никонова, 1958, 26), გამოკვეთილობა, რასაც პირდაპირი კავშირი უნდა ჰქონოდა გერმანული ხალხის ბუნებასთან. განსაკუთრებული ნიშნით ხასიათდება არა მხოლოდ ხმოვნები გერმანული ენისა: ცნობილია, რომ გერმანული თანხმოვნები წარმოითქმიან გაცილებით უფრო ენერგიულად, ვიდრე, მაგალითად, რუსული თანხმოვნები (Бабаян, ..., 1935, 26). და ეს ენერგიულობაც უთუოდ არის რაიმე კავშირში სამეტყველო ექსპრესიასთან. ისიც ცნობილია, რომ კავკასიური, კერძოდ,

133 **ნიტა** ლექსემა **საბასთან** განმარტებულია, როგორც **სიმი, ძაფი, ღარი** (საბა, წიგნ-ში: ნეიმანი, 1951).

თუ შორენოვანი თანხმობებიც ასევე განსხვავდებოდა თავიანთი სიმკვეთრით. და საერთოდ, თუ შური ენაც გამოიჩინა თავისი ექსპრესიულობით, რაც მარტო ფონეტიკის სფეროში არ მკლავნდება.

თუკი საუბრისას მეტ ემოციურ აქტიურობას გამოვიჩინოთ, რჩება იმის შთაბეჭდილება, რომ ჩვეულებრივი ხმოვანი დაწყებულ თუ შორენოვან ანლაუტში მართლაც ყალიბდება **წ**, რომელიც, როგორც ვთქვით, შედგება **ც** და **ჭ** ბგერებისაგან. თუმცა სინამდვილეში აქ საქმე გვაქვს არა სრულად ჩამოყალიბებულ **შ**-სთან, არამედ მის ობერტონთან (მინაბგერთან), რომელიც აღვნიშნეთ **შ** სიმბოლოთი¹³⁴.

მაგალითად, თუ კარგა ხანია უხმობს ბებიას (**აგ!** [ცაგ] *‘ბებია!’*), მაგრამ ბებია ვერ იგებს (ბებიას არ ესმის), პატარა, ბოლოს, მთელი დაძაბვით ასე შესძახებს: **ცაგოოო!** *‘ბებიააა!’*, რასაც **ი. დეშერიევი** დაწერდა **წაგოოო!** სახით.

ასევე წარმოითქმის, მაგალითად, **ცარსქ** (ნაცვლად ფორმისა **არსქ**!), **ცასმათ** (ნაცვლ. **ასმათ**!), **ცუთერ** (ნაცვლ. **უთერ**!), **ცივსებ** (ნაცვლ. **ივსებ**!), **ცოთარ** (ნაცვლ. **ოთარ**!), **ცუშანგ** (ნაცვლ. **უშანგ**!) და ა. შ. ანალოგიურ სიტუაციებში, რაც ფონოლოგიურად (სემანტიკურად) არაფერს განსხვავებულს არ გვაძლევს.

ასეთი **ც**³, ჩვეულებრივ, ჩნდება ბავშვობიდან მოზარდობაში ფეხშედგმული ბიჭუნების მეტყველებაში. სტუმრის შეკითხვაზე **უხ დშივნა, აუ?! ‘რა მოკალი, ბიჭო (კაცო)?!’**¹³⁵ ბიჭუნა უთუოდ უპასუხებს დიდი თავმომწონებითა და თვითდაჯერებით: **უხ დშივნასე...** (როგორც კი მოიფიქრებს) **ცარწიე ‘რა მოკალი და... არწიე!’**

უფრო საყურადღებოა ის, რომ იგივე ბიჭუნა ასევე იტყვის დიალოგის ქართულენოვანი ვარიანტის შემთხვევაში:

- რა მოკალი, ბიჭო, შენ?
- რა მოკალი და... **ცარწიე.**

ასეთ სამეტყველო სიტუაციებში ამგვარი თავკიდური არტიკულაცია მთ-

134 **მინაბგერში (ობერტონში)** ვგულისხმობთ ძირითადი ბგერის (ამ შემთხვევაში **ც**-ს) თანმდევ დამატებით ბგერას, ძალზე მოკლეს და არცთუ ყოველთვის მკაფიოს (აშკარას, ცხადს).

135 **უუ** ‘ბიჭო (კაცო)’ ფორმით, რომელიც გულისხმობს მამაკაცთა **გ**-კლასს, ჯერ კიდევ საგანთა **დ**-კლასში მყოფ ბიჭუნას მიმართავენ მასში მამაკაცური ქცევების გასაღვიძებლად.

ლად უცხო არ არის თვით ქართულენოვან (არაწოვათუშ) ბავშვებშიც, განსაკუთრებით ბიჭუნებში.

მართლები არიან ფონეტიკოსები, როცა თვლიან, რომ ანლაუტსა და აუსლაუტში სალიტერატურო ქართულ ენასა და მის მთის კილოებში ფიგურირებს ექსპრესიული **ც** ანუ **’** (უთურგაიძე, 1966, 19). დავაზუსტებდით: აუსლაუტში ფიგურირებს ექსპრესიული, ოღონდ სრული **ც** – **არაუ, ჰოუ**, ხოლო ანლაუტში – **ც**-ს მიყოლი ექსპრესიული (არასრული) **ჭ**, ანუ **ც³:ც³არაუ**.

თუმცა დავუბრუნდეთ თუ შურ ენას. აქ ექსპრესია (ისევე როგორც გამრავალმაგებული **მმმ**-ს შემთხვევაში) აღესრულება არა ლექსიკური, არამედ ფონეტიკური რესურსებითა და ფონეტიკური მისიით. ამაში რომ დავრწმუნდეთ, მოვუხმობთ შესაბამის ფრაგმენტს ერთი ლექსიდან: **გევესე წებასკეოხ, შუე თექ-ნაბდი დაჭ თერს-მაკდიენო** (მიქელაძე, 2011, 40).

ვიდრე თარგმანს წარმოვადგენდეთ, შევნიშნავთ, რომ დაკვირვების ობიექტს წარმოადგენს **გევესე წებასკეოხ** შესიტყვებაში შემავალი **გევესე** ფორმა. თუკი მეტყველება ექსპრესიული არ იქნებოდა, უნდა ყოფილიყო არა **გევესე**, არამედ **ესე: ‘აქ’ (ესს.)**. მაგრამ, მეტყველებისთვის ექსპრესიული დატვირთვის მიცემის მიზნით, გამრავალმაგებულ **ევე**-სთან ერთად, შემოტანილია ცოცხალი ექსპრესიული მეტყველებისთვის დამახასიათებელი თავკიდური ფონეტიკური **ც³**, სადაც **ც** ფონოლოგიური სიდიდის მუდმივი შემადგენელი ნაწილია, **შ** კი – მეორადი, არასრული, დროებითი და ფონეტიკური (ექსპრესიული). ექსპრესიის საჭიროებას განაპირობებს წინა ცხრა სალექსო სტრიქონის შინაარსი. ექსპრესიით, რომელსაც ლექსის ლირიკულ პერსონაჟში შობს მისი თაობის ინერტულობით გამოწვეული სირცხვილ-სინანულის გააზრება-აღიარება ვაჟკაცურ ცხოვრებას ნაზიარები წინაპრების წინაშე, რითაც ერთგვარი ელფერი ეძლევა ლექსის შინაარსს მთლიანად, აღჭურვილია ზმნისართი **ც³ევესე** (< **ესე [ესესე]**) **‘აქ’**, რაც ლექსში გამარტივებულია გადმოცემული **წ**-ით.

თუ შურენოვანი ექსპრესიული **ც³**-ს განვითარების შემთხვევაში მისი მომდევნო ხმოვანი შეიძლება გაგრძელდეს (გამრავალმაგდეს) კიდევაც, რაც იმავე ექსპრესიის ნაყოფია. ამ დროს ექსპრესიას იძენს არა მხოლოდ მოცემული სიტყვის შემადგენელი ესა თუ ის ბგერა (ხმოვანი ან თანხმოვანი), არამედ – სიტყვა მთლიანად, შესიტყვება, წინადადება და ა. შ. მაგალითად (ამ სახით მეტყველებენ ან უკვე ასაკოვანი კაცები, ანდა ვაჟები, რომლებ-

საც ძალიან უნდათ მალე დაკაცდნენ): ნაცვლად ფორმისა **ე ჟე მაცლომცჷ ლელ-დატ ე ნაკვეთე?! 'ეს ცხვარი' (კრებ.) როდემდე დაეხეტება ამ ნაკვეთ-ში?!'** იტყვიან: **ცჷეეე ჟე მაცლომცჷ ლელ-დატ ცჷეე ნაკვეთე?! 'ვეე ცხვარი როდემდე დაეხეტება ეეეე ნაკვეთში?!'**

მეტეც: თუ შური ყურისთვის არაფერი იქნება მოულოდნელი და არაბუნებრივი, თუკი ქართულენოვან ვარიანტსაც თავიკიდური **ცჷ**-თი გაგაფორმებთ: „**ცჷეეე ცხვარი როდემდე დაეხეტება ცჷეეეე ნაკვეთში?!'**“

როგორც ვხედავთ, აქ ექსპრესია (მთქმელის ესა თუ ის დამოკიდებულება საგნისა თუ მოვლელისადმი) იმ გაგებითაც ვრცელდება ხმოვანზე, რომ ქართული **ეს** ჩვენებითი ნაცვალსახელის **ამ** ფორმაში ვითარდება ფორმოლა **ა > ე**. ექსპრესიის პრესის ქვეშ ერთი ბგერის გადასვლა მეორეში სხვაგანაც გვხვდება; გავიხსენოთ, მაგალითად, ძაღლისა თუ მისთანათა გასაგდები ქართული **ქაღი!** < **გაღი!** ან **ქაცი!** < **გაცი!** *'წადი! მო შორდი აქედან!'*

თუ შური ენის მატარებელი მამაკაცები იტყვიან აგრეთვე: **ცჷეაუმფლქ 'ამხელა, ამღენი'** (ნაცვლად ფორმისა **ეაუმფლქ**), **ცჷეაშტქ 'ასეთი'** (ნაცვლ. **ეაშტქ / იშტქ**), **ცჷეანაძრათ 'ასეთნაძრად'** (ნაცვლ. **ეანაძრათ / ეანაძრათ**), **ცჷეაყაყ 'ახლაყე'** (ნაცვლ. **ეაყაყ / აყაყ**) და ა. შ.

მოკლედ, აქ თავიკიდური **ცჷ** ახლავს ვარიანტულ ექსპრესიულ ფორმებს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ თავიკიდური **ცჷ** აწარმოებს იმგვარ ფორმებს, რომელთათვისაც თუ შურენოვანი დამწერლობის არსებობის შემთხვევაში არასალიტერატურო ფორმებად შეიძლება მიგვეჩნია.

ამდენად, გარკვეულწილად მართალი ბრძანდებოდა **ი. დეშერიევი**, როცა შენიშნა, რომ თუ შურენოვან მეტყველებაში **ზოგჯერ Ални** ისმის, როგორც **Іални** (Дешериев, 1953, 29), ანუ როგორც **ღალნი**; რომ **ах** ისმის, როგორც **iax**, ანუ როგორც **ღახ** და რომ **ахрѳ** ისმის, როგორც **iaxრѳ**, ანუ როგორც **ღახრობ** (იქვე, 41) და ა. შ. მაგრამ მეცნიერი გარკვეულად აჩქარდა, როცა **ღ**-ს გაჩენა მიაწერა თუ შური ენის ხმოვანთა ხასიათს – მათს ხორხისმიერობას (იქვე, 40).

გარკვეულწილად მართალი ბრძანდება **თ. უთურგაიძეც**, როცა თუ შურენოვანი ლექსებში (ანთროპონიმები) მოგვცა **ცაბალორ, ცელანე, ცილიკო** და ა. შ. სახით (უთურგაიძე, 1966, 42). მაგრამ მკვლევარი აჩქარდა, როცა **ც**-თი გამოწვეული მაგარი შემთხვევა მარტო თუ შური ენას მიაწერა და თქვა, რომ **ი. დეშერიევი-სეულ iax, iaxрѳ** შემთხვევაში **I (ღ)** კი არა, არამედ **ც** გვაქვს (იქვე, 44).

გავიძეოთ: ის, რასაც ანლაუტის ხმოვნის წინ ლანდავენ მკვლევარები

ცაბალორ, ცელანე, iax, iaxрѳ ტიპის სიტყვებში, არის არა, უბრალოდ, **ც**, არამედ **ცჷ**, ხოლო ის, რასაც ანლაუტის ხმოვნის ძლიერი შემართვა ჰქვია (უნდა ერქვას), ახასიათებს არა მარტო, დაფუძვით, თუ შური, გერმანულ, ზანურ ენებს.

ექსპრესიული მეტყველება თავისთავად ითვალისწინებს ფრაზაში შემაჯავლი ყოველი სიტყვის დანაწევრებულად, ხაზგასმით, გამოკვეთილად წარმოთქმასაც. ექსპრესიულობის თვალსაზრისით, ორ განსხვავებულ სურათს ვიღებთ იმისდა მიხედვით, თუ ორიდან რომელ წარმოთქმას მივანიჭებთ უბრატესობას – **[მამასუთხარი]** თუ **[მამას][სუთხარი]**.

მეტყველების ბგერითი ორგანიზაციის სფეროს მიეკუთვნება ალიტერაცია, რომელიც გულისხმობს „ერთნაირი თანხმოვანი ბგერების ან ბგერათა ჯგუფის გამეორებას“ (Розенталь, ..., 1976, 26). ასეთი გამეორება სიტყვებს გამოყოფს სამეტყველო ნაკადში და ყურადღებას მიაპყრობს მათზე, რადგან ისინი (ეს სიტყვები – ა. ბ.) გარკვეულწილად წარმოითქმან სხვებთან შედარებით ხაზგასმულად, იძენენ ინტონაციურ ღირებულებას და ამით გარკვეულ დატვირთვას სძენენ ყოველგვარ მეტყველებას (Словарь, 1974, 26). და სწორედ ინტონაციის წყალობით (რომელიც აზრობრივ-ემოციონალურად ღირებულ სიტყვებს გამოყოფს), ერთნაირი ბგერები ქმნიან მეტყველების ინტონაციურ-ბგერით სისტემას, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული მის (მეტყველების – ა. ბ.) ლექსიკურ, სინტაქსურ, ემოციონალურ-აზრობრივ სტრუქტურასთან (Словарь, 1974, 88).

ისე რომ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ უარყოფთ გერმანული ენის ანლაუტში ექსპრესიული **ჰ**-ს განვითარებას, ანუ ხმოვნის ფარინგალიზაციას, ხმოვანზე დაწყებული ყოველი სიტყვის (ზოგჯერ კი – ყოველი მარცვლის) ანლაუტში ლარინგალური **ც**-ს (როგორც თანხმოვნის – ა. ბ.) გამეორებადობაც (Никонова, 1958, 35) უკვე ქმნის ექსპრესიულ ფონს. არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ სწორედ ალიტერაცია ახასიათებდა ძველ გერმანულ მე-ლექსეობასაც (Словарь, 1974, 12): გერმანული მეტყველება ჯერ კიდევ მაშინ გამოირჩეოდა ექსპრესიით.

იმგვარ თუ შურენოვან არტიკულაციას, როცა თავიკიდური ხმოვნის შემართვაში ვითარდება ექსპრესიული **ჰ**, მივაკუთვნებდით მეტყველების იმ ტიპს, რომელსაც თუ შური ენის მატარებლები უწოდებენ **ყტროშ ამბუიძარ**, რაც ქართულად შეიძლება ითარგმნოს დაახლოებით ასე: *'ლაპარაკი სრული სტილით, განსაკუთრებული ხაზგასმით'*. ამ ტიპის არტიკულაციიდან

შორს აღარ უნდა იყოს გერმანული ენის იმ არტიკულაციამდე, რომელსაც ეწოდება **Knacklaut**, ანუ **Knackgeräusch**.

ამგვარსავე კვალიფიკაციას მივცემდით ხმოვანთა ფარინგალიზაციას, ანუ ექსპრესიული ზ-ს განვითარებას სხვა მეტყველებებში.

მოკლედ, ამჯერად ექსპერიმენტულ მტკიცებულებათა დონეზე არა, მაგრამ თეორიული მსჯელობის დონეზე შეიძლება ითქვას, რომ გერმანული ენის ანლაუტის ხმოვნების შემართვა სხვა ენების ანლაუტის ხმოვნების შემართვისგან განსხვავდება არა იმდენად სიმაგრით (სიმკვეთრით, სიძლიერით, ხშულობით), რაც უსათუოდ გულისხმობს **გ** ლარინგალის არსებობასაც აქ და რაც ნებისმიერ ენას უთუოდ უნდა ახასიათებდეს, რამდენადაც იმით, რომ ამ ლარინგალური **გ**-ს მიმყოფ ვითარდება ფარინგალური არტიკულაციაც, ფარინგალური ლობერტონი, რაც აქ, გერმანულ ენაში, ატარებს წმინდა ფონეტიკურ და, მაშასადამე, ექსპრესიულ ხასიათს.

ლარინგალური **გ**-ს არსებობა ხმოვნის შემართვის მომენტში, რაც უსათუოდ ითვალისწინებს სახმო სიმების ხშვასა და განხშვას, გერმანული ენისთვის ისევე უნდა იყოს ჩვეულებრივი და აუცილებელიც კი, როგორც ნებისმიერი სხვა ენისთვის. ოღონდ ნაუბარის საფუძველზე უნდა ვთქვათ, რომ გერმანულ ენაში საქმე გვაქვს **გ**-სა და თვით ხმოვნის მწვერავლს შორის ექსპრესიული (და, მაშასადამე, არა ფონოლოგიური, არა სოციალური, არამედ ოდენ ფონეტიკური) სიდიდის განვითარებასთან, რომელშიაც უნდა ამოიცნობოდეს ფარინგალური **ფ**-ს რეფლექსი ანდა – ნუ შეგვეშინდება ამის თქმა – არასრული **ფ**. ეს არის არა ის ფარინგალური **ფ**, რომელიც ფუნქციონირებს თუშური ენის ფონოლოგიური **ფ**-ს შემადგენლობაში, არამედ ფარინგალური **ფ**-ს ოდენ კვალი, მინაბგერი, რომელიც საჭიროებისამებრ აღენიშნეთ ასე: **ფ**(**ფ**). თუ არ ვაღიარებთ ხმოვნის ამგვარი ფარინგალიზაციის არსებობას გერმანულ ენაში, მაშინ გერმანული ენის ანლაუტისეული ხმოვნის ფონეტიკა (არტიკულაცია და აკუსტიკა) არაფრით არ უნდა განგვესხვავებინა არც ქართული, არც რუსული და არც სხვა ენების ანლაუტის ხმოვანთა ფონეტიკისგან. ხოლო რაკი განსხვავება სინამდვილეში არსებობს, ის მდგომარეობს არა მაგარ შემართვაში, ანუ არა **ფ**-ს არსებობაში ხმოვნის შემართვის მომენტში, არამედ **ფ**-ს არსებობაში **ფ**-სა და ხმოვნის მწვერავლს შორის. თუქცა: თავიც რომ ვანებოთ საუბარს ამგვარი ფარინგალიზაციის

არსებობაზე, გერმანული არტიკულაციის თავისებურების გასაცნობიერებლად სრულიად საკმარისი იქნებოდა წინადადებაში შემავალი და ხმოვანზე დაწყებული ყოველი სიტყვის წამართქმის დაწყებაც „ახალი შემართვით“, რაც გერმანულად ჟღერს, როგორც **der neue Vokaleinsatz** (*staccato* – ა. ბ.), აღარაფერს ვამბობთ რა ხმოვნით დაწყებულ ზოგიერთ მარცვალზე ანდა რთული სიტყვის ცალკეულ კომპონენტებზე. მეტიც: თუკი ქართულ, რუსულ და ა. შ. ენებშიც მივმართავდით ასეთსავე წამართქმას („ახალი შემართვით“), ეს ენები ამ კუთხით ნაწილობრივ უკვე დაემსგავსებოდნენ გერმანულს.

გერმანულ ენაში, თითქმის ისევე როგორც თუშურ ენაში, ხმოვნის ბირთვისგან გამოყოფს რა ანლაუტისთვის ისედაც დამახასიათებელ ძლიერ შემართვას, ანუ ლარინგალურ **ფ**-ს, სწორედ ეს **ფ** იძლევა **ფ**-ს „დანახვისა“ და ამოცნობის გარკვეულ შანსს. სამაგიეროდ ძნელი ამოსაცნობი ხდება თვით **ფ**, რადგან მჭიდროდ ერწყმის ხმოვნის მწვერავლს. ეს ბუნებრივიც კია: „ვინც არაა დახელოვნებული წარმოთქმული ნაკადის – ცალკეული სიტყვისა თუ წინადადების – ბგერებად დაშლაში“, მას ეძნელება ამ ნაკადის დაშლა შემადგენელ ფონემებად (ე. ი. ბგერებადაც – ა. ბ.), რაც „მხოლოდ ფონეტიკური ანალიზის შედეგია“ (ახვლედიანი, 1940, 144; ახვლედიანი, 1966, 113). ესაა მხოლოდ: თუშური ენის **ფ**-სა თუ **ფ** ბგერების „კავკასიურ“ ხასიათსაც გულისხმობდა ალბათ **ა. ლიპარი**, როცა არცთუ მთლად უსაფუძვლოდ ბრძანდება, რომ ლაპარაკისას „ჩაჩან-დაღესტნელი თითქმის ნახევლს იღებს“ (ფონეტიკური, 1940, 25): ლინგვისტური გეოგრაფიის თვალსაზრისით, თუშური ენა ხომ, ჩაჩნურთან ერთად, – ნახურ, ხოლო დაღესტნურ ენებთან ერთად, მთის აღმოსავლეთკავკასიურ ენებში შედის. ესეც კია: თუშური ენის **ფ** (ფორმულიდან **ფ** = **გ** + **ფ**), რომელიც, გერმანული ენის ძლიერი შემართვისგან განსხვავებით, ფონემატაა, როგორც დავინახეთ, ნელ-ნელა კარგავს თავის სოციალურ პოზიციებს და იქცევა ოდენ ფონეტიკურ ფონად, ისევე როგორც გერმანულ ენაში.

მოკლედ: **ფ**-ს მეორე კომპონენტი – ეს ის ბგერითი სიდიდეა, რომელიც, ჩნდება რა როგორც თუშური, ისე გერმანული ენების ანლაუტის ხმოვნის მაგარი შემართვის მიმყოფ, მხოლოდ ფონეტიკური სიგნალია გერმანულ ენაში, თუშურ ენაში კი გვევლინება როგორც ფონეტიკური **ფ**-ს, ისე ფონოლოგიური **ფ**-ს სახით.

ისე რომ, გერმანული და ზოგიერთი სხვა ენის ე. წ. მაგარშემართვიანი

ხმოვნებიც, ღიახ, ასევე მაგარშემართვიანები არიან, ოღონდ იმ მცირე თუ არსებითი განსხვავებით, რომ მაგარ შემართვასა და ხმოვნის მწვერვალს შორის ვითარდება ექსპრესიული და, მაშასადამე, ფონეტიკური ^ა(^ა) მინაბგერიც (ობერტონი).

როგორც უკვე შევნიშნეთ და სამეცნიერო ლიტერატურიდანაც ჩანს, ჯერაც ბოლომდე შესასწავლია ლარინგალური **ჟ**. ეს არქაული და თავისებური ბგერა, რომელიც ჯერაც „კარგად გრძნობს თავს“ თუშურ ენაში (და არა მარტო აქ), ლინგვისტიკას კიდევ ბევრჯერ შეახსენებს თავს.

მართალია ქართველი ენათმეცნიერი, **ა. შანიძე**, როცა წერს: **ჟ** ბგერა **თითქმის** იგივეა, რაც **ჟ** მეგრულში (შანიძე, წიგნში: უთურგაძე, 1966, 11). ღიახ: **თითქმის მეგრული**, მაგრამ **არა** მეგრული, როგორიც ბევრჯერ შეიძლება მოგვეჩვენოს; ასევე: თუშური ენის **ჟ** არის **თითქმის** იგივე, მაგრამ **არა იგივე** გერმანული ხმოვნის ძლიერი შემართვა.

მართალია **ი. ღეშერიევი**, როცა თვლის, რომ თუშური ენის ანლაუტის „ზოგიერთი ხმოვანი... თითქმის ხორხში წარმოიქმნება“, რის გამოც, მაგალითად, ანლაუტის **ა** ჟღერს „თითქმის როგორც ხორხისმიერი **ა**“ (Дешериев, 1953, 40-41). თუმცა დავახსოვოთ: როგორც მრავალგზის აღვნიშნეთ, აქ ანლაუტის **ა** კი არ წარმოიქმნება „თითქმის ხორხში“, არამედ ამ **ა**-ს შემართვაში ვითარდება **ა**-ს ექსპრესიული ^ა კომპონენტი.

მართალია **თ. უთურგაძე**, როცა ბრძანებს, თუშურ ენაში „თუ ისმის **ა**, უნდა აღნიშნულიყო კიდევ (იგულისხმება **ი. ღეშერიევისეული** მაგალითები **აღლნი**, **აზრობ** და სხვ. — ა. ბ.), რამდენადაც ეს ბგერა **ი. ღეშერიევის** მიერ მიჩნეულია ფონემადო“, და დაურთავს, რომ „ამ ხმოვნებიდან **ა** კი არა, არამედ **ჟ** გვაქვს, ე. ი. **ჟ**-ს გამო ამ ხმოვნებს აქვს ძლიერი შემართვა“ (უთურგაძე, 1966, 44).

მართალია **კ. ჭრელაშვილიც**, როცა არ ეთამხმება **თ. უთურგაძის** იმ დებულებას, რომლის მიხედვითაც თუშური ენის **ჟ** „უნდა გამოიყოს ანლაუტში, ისევე როგორც ინლაუტსა და აუსლაუტში“ (ჭრელაშვილი, 1975, 37).

არ უნდა ვცდებოდეთ ჩვენც, როცა არ ვიზიარებთ იმ მოსაზრებას (უთურგაძე, 1966, 42-51; ჭრელაშვილი, 1975, 37-38), რომლის თანახმადაც თავკიდურ პოზიციაში თუშური ენის ფოკალური ერთეულები იმიტომაცაა მაგარი შემართვისა, რომ ეს ნიშან-თვისება სწორედ თუშური ენისთვისაა დამახასიათებელი:

გარკვეულად სხვა მოვლენაა ის, რასაც ხმოვნის **მაგარ შემართვას** ვუწოდებთ თუშურ, მეგრულ, ხუნძურ, გერმანულ და ა. შ. ენებში, და გარკვეულად სხვა — ის, რასაც სინამდვილეში ჰქვია ხმოვნის **მაგარი შემართვა**.

ხმოვნათა განსხვავებული (მაგრამ არა მაინცდამაინც მაგარი) შემართვა მართლაც განსაკუთრებული მოვლენაა და ამაზე მართლაც ეგების განსაკუთრებული საუბარი.

ამგვარად, ანლაუტის ფოკალათა შემართვა დაახლოებით ასე შეიძლება დახასიათდეს:

1. თუშურ ენაში გვაქვს:

ა) ხმოვნისწინა **ფონეტიკური (მაგრამ არაექსპრესიული)** ლარინგალი **ჟ**, ანუ ანლაუტის, ანდა იზოლორებული ხმოვანი (თუ ის ფშვინვიერი ან თავისუფალი შემართვისა არ არის) თუშურ ენაში მაგარშემართვიანია;

ბ) ხმოვნისწინა **ფონოლოგიური ა** სიდიდე, რომელიც კომპოზიტია და შედგება ლარინგალური **ჟ** და მისი მიმყოფი ფარინგალური **ჟ** კომპონენტებისგან;

გ) ხმოვნისწინა **ფონეტიკური (ექსპრესიული)** **ა** სიდიდე, რომელიც ასევე კომპოზიტია და შედგება ლარინგალური **ჟ**-სგან და მისი მიმყოფი ფონეტიკური ფარინგალური **ა** რეფლექსისგან (მინაბგერისგან, ანარეკლისგან).

2. გერმანულ ენაში (ასევე იმ ენებში, სადაც ზოგადი ფონეტიკა აცნობიერებს მაგარ შემართვას) გვაქვს ხმოვნისწინა **ფონეტიკური (ექსპრესიული)** **ა** სიდიდე, რომელიც კომპოზიტია და შედგება ლარინგალური **ა**-სგან და მისი მიმყოფი ფარინგალური **ა** რეფლექსისგან (ობერტონისგან, ანარეკლისგან, მინაბგერისგან).

3. **ნებისმიერ ენაში** გვაქვს ხმოვნისწინა **ფონეტიკური (მაგრამ არაექსპრესიული)** ლარინგალური **ჟ**. სხვანაირად რომ ვთქვათ, ანლაუტისეული, ანდა გამხოლოებული ხმოვანი (თუ ის ფშვინვიერი ან თავისუფალი შემართვისა არ არის) ნებისმიერ ენაში მაგარშემართვიანია.

მოკლედ, ის, რაც დღემდე წოდებულია ხმოვნის ძლიერ შემართვად, ჩვენი აზრით, არ გულისხმობს ოდენ ლარინგალური **ჟ**-ს არსებობას: ლარინგალური **ჟ** — ეს არის ატრიბუტი (*attributum*) ნებისმიერი ენის ანლაუტის (ანდა განცალკევებით გამოყენებული) ნებისმიერი ხმოვნისა, თუშური ენის იმ ხმოვნების გამოკლებით, რომლებსაც პირობით **თავისუფალი** ვუწოდებთ (ბართიშვილი, 1995; ბართიშვილი, 1993; ბართიშვილი, 1995₂; Бартишвили, 1998; Бартишвили, 1998₂) და რომლებიც სერიოზულ ანალიზს ელიან.

§2 (37). ამ თავიდან მიღებული შედეგები.

აქ შეიძლება ითქვას შემდეგი:

1. ქართული, რუსული, გერმანული, ზანური და ა. შ. ენების, აგრეთვე თუ-შური კილოს ანლაუტის ხმოვნებთან დაკავშირებით საბოლოო სიტყვა ამ მეტყველებების სპეციალისტებს ეკუთვნით, თუ შურენოვანი **ცაგ / აგ 'ბე-ბა'** ტიპის გრაფიკულ სიდიდეებთან დაკავშირებით კი დაბეჯითებით უნდა ითქვას შემდეგი: აქ თუ არის რამე, არა ანლაუტის ხმოვნისწინა **ც** ფონემა, არამედ:

ა) ან ანლაუტის ხმოვნის შემართვისეული **ც** ბგერა, რომელიც ოდენ ფონეტიკური (არაექსპრესიული და არაფონოლოგიური) სიდიდეა და დამახასიათებელია არა მარტო თუშური ენისთვის;

ბ) ან ამგვარივე **ც** მისი მომდევნო ექსპრესიული, ფონეტიკური, არაფონოლოგიური ^ა-თი, რომელიც ხან წარმოითქმის, ხან – არა, ხან ისმის, ხან – არა.

2. თუშური ენის (ასევე თუშური კილოს) ანლაუტისეული ხმოვნების შიზოფონია გვიდასტურებს ამ ხმოვნების მაგარ შემართვას აქ. გარდა ამისა, ჩვენი აზრით, **თ. უთურგაიძე** ძალზე ახლოს მივიდა ხმოვანთა ბუნების გაცნობიერებასთან, როცა, საუბრობდა რა იმაზე, თუ „რატომ გაუჩნდა **ც** სენამტიზებულ **ა**-ს“ თუშურ კილოში (უთურგაიძე, 1966, 34), ბრძანა: „**ც** თავდაპირველად შეიძლება გასჩენოდა **ა** ხმოვანს მისი შედარებით ჭარბი ღიაობის გამო“, ანუ „**ც** თავდაპირველად გამოწვეულია **ა**-ს ბუნებით“ (იქვე, 35). თუმცა, ჩვენი მსჯელობით, **ც** არ არის მარტო **ა**-ს კუთვნილება.

3. წინამდებარე კვლევა-ძიება უკავშირდება, ერთი მხრივ, **ც** ლარინგალის, ხოლო მეორე მხრივ, თავისუფალი ხმოვნების არსებობას **თუშურ ენაში**, მაგრამ ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და კვლავაც აქვს ხმოვანთა ხასიათს **ქართულენოვან მეტყველებაში**, რასთან დაკავშირებითაც მოკლედ ვასკენით: ანლაუტსა და იზოლაციაში ქართული ენის ხმოვნები ისევეა მაგარი შემართვისა, როგორც თუშურ ენაში, რაც ფონეტიკურად გამოიხატება **ც** ლარინგალის არსებობით.

4. რაც შეეხება ხმოვანთა მაგარ შემართვას სხვაგან (სხვა ენებსა თუ დიალექტებში), ერთი მხრივ, თუკი ყველა მეტყველებაში დაიძვნებოდა თუნდაც თითო სიტყვა ძლიერდამართვიანი ხმოვნით, კიდევ უფრო დამაჯერებელი

ლი იქნებოდა მაგარი შემართვის, ანუ **ც** ლარინგალის არსებობა იქ ანლაუტის (ანდა იზოლირებული) ხმოვნების საარტიკულაციო ექსკურსიაში; მეორე მხრივ, თუ, ქართული და რუსული ენების აქ წარმოდგენილი მაგალითებიდან გამომდინარე, მკითხველი ასე თუ ისე დარწმუნდა ხმოვანთა ძლიერი შემართვის არსებობაში, ლოგიკური განზოგადების შესაძლებლობის მოშველიებით უთუოდ დარწმუნდება იმაშიც, რომ ანალოგიური სურათი გვაქვს სხვა ენებშიც – იქ, სადაც ხმოვანთა ასეთი ნიშანი ჯერაც არ არის აღიარებული ან თუნდაც შემჩნეული.

ისე რომ, არც გვიხდება ლაპარაკი ე. წ. ძლიერშემართვიანი ხმოვნის განსხვავებაზე ჩვეულებრივი ხმოვნისგან (ანლაუტში ანდა იზოლაციაში), რადგან ჩვეულებრივი ხმოვანი თავის თავშივეა ძლიერშემართვიანი.

მოკლედ, აქ წარმოდგენილი მსჯელობა საკმარისი და დამაჯერებელი უნდა იყოს იმისათვის, რათა თეორიულ დონეზე მაინც შევთანხმდეთ ძლიერი შემართვის არსებობაში ნებისმიერი ენის ნებისმიერი ხმოვნის არტიკულაციის საწყის მეცში, თუ ის ანლაუტშია ანდა იზოლირებულია.

შემართვა (ექსკურსია), ისევე როგორც დამართვა (რეკურსია), სახეზე გვაქვს ნებისმიერი სამეტყველო ბგერის (ხმოვნისა თუ თანხმოვნის ანდა ნახევარხმოვნის) წარმოთქმისას. მაგრამ აქ ლაპარაკია მაგარ (**ძლიერ, ხშულ, მკვეთრ**) შემართვაზე, რაც ნებისმიერი სამეტყველო ბგერას როდი ახასიათებს.

რაც შეეხება ქართული, თუშური, ზანური ენების, ასევე თუშური კილოსა თუ გერმანული ენის იმ ფენომენს, რომელიც ცნობილია ძლიერი შემართვის სახელით, აქაც, რა თქმა უნდა, ადგილი აქვს ლარინგალური **ც**-ს არსებობას, რაც თავისთავად ძლიერ შემართვასაც გულისხმობს – აგრეთვე ფონეტიკურს, მაგრამ არა უშუალოდ ხმოვნის წინ, როგორც ჩვენ მიერ აქ კვალიფიცირებული ძლიერი შემართვის დროს, არამედ ხმოვნისწინა ექსპრესიული ^ა-ს (^ა-ს) წინ. ანუ: ძლიერ შემართვასა და თვით ხმოვანს შორის (ხმოვნის შემართვასა და მისსავე მწვერვალს შორის) არის კიდევ ერთი ფონეტიკური სიდიდე – ექსპრესიული ^ა(^ა) ფარინგალი.

მოკლედ, ის, რაც მეცნიერულ ფონეტიკაში ანლაუტის ხმოვნის ძლიერ შემართვად არის სადღეისოდ მიჩნეული, არის არა ხმოვნის ძლიერი შემართვა,

როგორც ასეთი, არამედ იგივე თუ შერეონი ექსპრესიული **ღ**, რომელიც, თავის მხრივ, შედგება თავიკიდური **გ**-სგან და მისი მომდევნო **ჟ**-სგან.

ექსპრესიული **ჟ** აქ არის მხოლოდ და მხოლოდ ფონეტიკური ღრეზ-ულეების მატარებელი. ამ თვალსაზრისით, რამდენადმე ჭირს ლაპარაკი უდამ-წერლობა მეტყველებებზე, მაგრამ გერმანული ენის მაგალითი საშუალებას იძლევა ვთქვათ: ძლიერ შემართვას სოციალური (დისტინქტური) ღრეზ-ულეა რომ ჰქონოდა (ისევე როგორც, დავუშვათ, ფშინვიერ შემართვას), შესაბამისი გრაფიკული შესატყვისიც ექნებოდა, ისევე როგორც ფშინვი-იერი შემართვისას აქვს (შდრ.: **Ader** 'სისხლძარღვი' – **Hader** 'ჩხუბი, დავა' – **Kader** 'კადრები'; **ein** 'ერთი' – **Hain** 'კორომი' – **Rain** 'მიჯნა'...)

რაკი ხმოვნის ძლიერი შემართვა ფონეტიკური ფაქტორია და არა ფო-ნოლოგიური და რაკი ის არის ყველგან (ყველა ენაში), არ საჭიროებს გრაფი-კულ აღნიშვნას, ისევე როგორც, დავუშვათ, არასოდეს არ მივუთითებთ თითოეულ ხმოვანზე, რომ ის ხმოვანია. ძლიერი შემართვა ან არ არის არსად (არც ერთ ენაში), ან არის ყველგან (ყველა ენაში), რის გამოც ის ან არსად არ უნდა აღინიშნოს (გარდა სატრანსკრიფციო საჭიროებისა), ანდა უნდა აღინ-იშნოს ყველგან.

ცალკე წარმოთქმული (ანდა ანლაუტისეული) ხმოვნის შემართვაში **გ** ლარინგალი ისეთივე ბუნებრივი მოვლენაა ენებისთვის, როგორც, მაგალი-თად, სამეტყველო ორგანოების მუშაობა ანდა თვით საფონაციო ჰაერნაკა-დის არსებობა. სწორედ ამიტომ არ არის საჭირო მისი აღნიშვნა წერილობით. ასევე ბუნებრივი მოვლენაა, მაგალითად, დასავლეთეფროპული **I (L)** თანხ-მოვნის აუცილებელი სილბო, რომელიც ასევე არ აღინიშნება გრაფიკუ-ლად. შემართვისეული **გ**-ს თუ ამ დასავლეთეფროპული სილბოს გრაფიკული აღნიშვნა საჭირო გახდებოდა იმ შემთხვევაში, თუკი ამ ორივე მოვლენას გაუჩნდებოდა ფონოლოგიური ოპოზიცია: რუსულ ენაში, მაგალითად, **Л** გვაქვს მაგარიც, რბილიც; ამიტომაც აღნიშნავენ ამ უკანასკნელს გრაფიკუ-ლად – **ЛБ**.

გარდა ამისა, თუშური ენის **ღ** ფონემაში შემავალი არაექსპრესიული **ჟ** ფორმულიდან **ღ = გ & ჟ** გაცილებით ძლიერი და ენერგიული, ჩამოყალიბე-ბული სიდიდით, გერმანული ენის ექსპრესიული **ჟ** კი გაცილებით სუსტი და ჩამოყალიბებელი, რის გამოც გაცილებით ძნელად აღიქმება. ასეთივე სუს-ტია ექსპრესიული **ჟ** თუშური, ქართული, ზანური ენების, აგრეთვე თუშური

კილოს შემთხვევაში. ერთ-ერთი განსხვავება აქ ისიცაა, რომ გერმანულ ენაში ეს ექსპრესია ატარებს სისტემურ ხასიათს, სხვაგან კი ხშირად ფრაგ-მენტული ხასიათი გააჩნია.

მოკლედ, აუცილებელი არ არის ვფიქრობდეთ ყველა ენას და გაავანალ-იზოთ ყველა ენის ანლაუტისეული თუ განმარტოებული ხმოვნები: აზრითი უნარი იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ ანლაუტისეული და განმარ-ტოებული ნებისმიერი ხმოვანი ენაში ძლიერშემართვიანია. ძალიან ხშირად, თითქმის ყოველ ნაბიჯზე, დაუფიქრებლად და უპრობლემოდ (უშეც-დომოდ) ვხმარობთ ისეთ სიტყვებს, რომელთა მნიშვნელობაც სანახევრო-დაც არ გვესმის, მაგრამ რომლებიც, როგორც **ორტეზა** იტყოდა, ჩვეულებად გვაქვს ქცეული; სწორედ ასევე: ანლაუტის (ანდა განმარტოებული) ხმოვნის შემართვაში წარმოვთქვამთ **გ** ლარინგალს, წარმოდგენაც არა გვაქვს რა მის არსებობაზე აქ. პირველი აქტი, რომელსაც ვასრულებთ ცალკეული ჩვეუ-ლებრივი ხმოვნის არტიკულირებისას, ეს არის **გ** ლარინგალის წარმოთქმა.

მართალია, ჩვეულებრივი ხმოვნების აქ წარმოდგენილი ანალიზი ოდენ ფონეტიკური ხასიათისაა და არა ფონოლოგიურისა, მაგრამ ეს სრულიად საკმარისი აღმოჩნდა გარკვეულად ახლებური დახასიათების მისაცემად მათ-თვის. ყოველი სამეტყველო ბგერის გაცნობა და შესწავლა იწყება სწორედ მისი ფონეტიკიდან, რომელიც იმ პირველ აგურს წარმოადგენს, მისივე შემ-დგომი ფონოლოგიური დახასიათების საძირკველში რომ იდება.

მკითხველს შევახსენებთ რა კვენისებრ ჩქამთან და ჩვენ მიერ შემო-თავაზებულ არტიკულაციურ-აკუსტიკურ (ფონეტიკურ) დაკვერვებასთან დაკავშირებით, გვინდა შევნიშნოთ: ბეჭდველ იმისთვის მივმართეთ ერთობ არაორდინალურ სიტუაციებსა თუ მიდგომებს, რომ ჩვეულებრივი ხმოვნის შემართვა (ექსპრესია) გვეჩვენებინა სრულიად ორდინალური სახით, ანუ „დაგვეჭრა“ ჩვეულებრივი ხმოვნის ის ჩვეულებრივი იერი, რომელიც მას გააჩნია სრულიად დამოუკიდებელ მდგომარეობაში, ანუ იზოლაციაში ანდა ანლაუტში. შემოთავაზებულმა დაკვერვებებმა, ჩვენი აზრით, ცხადზე უკეთ წარმოაჩინეს ხმოვნის შემართვის რაობა: ეს აღმოჩნდა კვენისებრი ჩქამი, რომელიც გამოწვეულია მბგერი ქორდების ხშვა-სკდომით და შეესატყვისე-ბა ლარინგალურ თანხმოვან ბგერას, იმ ბგერას, რომელსაც გრაფიკულად

თავი IV.
უფრო დეტალურად
ანლავის თავისუფალი არტიკული პისახე

1. თავისუფალი ხმოვნების ადგილი თუშურ ენაში

მსჯელობას უთუოდ უნდა ცხადეყო ბევრი თუ არა, ერთი რამ მაინც: ნებისმიერი ენის ინლაუტის (ასევე აუსლაუტის) ჩვეულებრივ ხმოვანს არ შეიძლება ჰქონდეს მაგარი შემართვა, ანუ შემართვისეული **ქ** ლარინგალი: ის აქ თავისუფალია მისგან. და თუკი ამ ხმოვანს წარმოვიდგენთ ანლაუტში გადაადგილებულს, ეს უკვე იქნება ანლაუტის თავისუფალი (თავისუფალ-შემართვიანი) ხმოვანი¹³⁶.

ახლა შეიძლება განისაზღვროს თავისუფალი ხმოვნების ადგილი როგორც თუშური ენის დანარჩენ ხმოვნებს შორის, ისე ხმოვნებს შორის საერთოდ, აგრეთვე მოიწიწოს ხმოვნებიდან თანხმოვნებისკენ მიმავალი (თუ მომავალი) გზა, ანუ: განისაზღვროს, როგორ და რისთვის იქნა „მოთვინიერებული“ თავისუფალი ხმოვნები.

§1(38). საუბრები ცოცხალ სამეცყველო გარემოში, ანუ: რა აზრისანი არიან თავად ენის მატარებლები თუშური ენის თავისუფალი ხმოვნების შესახებ?

კარგა ხნის წინ ერთმა მანდილოსანმა თუშთა წოვის თემიდან, **ვარდი ჩაჩქანიშვილმა** გადმოგვცა საწუთისოფლო თემაზე დაწერილი საკუთარი თუშურენოვანი ლექსი სათაურით **ცჰაჰ ცომ ცო დანუდჰ ადმიქ ‘არცა რამ ყოფილა, თურმე, ადამიანი’**. **ვარდი** პედაგოგი-მათემატიკოსია უმაღლესი განათლებით, მაგრამ, ისევე როგორც დანარჩენი წოვათუშები, არ ფლობს თუშურენოვანი ტექსტის ჩაწერის ტექნიკას, საკუთარი ტექსტისაც კი. ვინმემ რომ ამას თავი გაართვას, უნდა შეეძლოს 80-ზე მეტი ასო-ბგერის ერთურთისგან განსხვავება, რაც არსად არ ისწავლება. გაცნობიერებული ჰქონდა რა ეს, მან წინასწარ მოიბოდიშა წარმოდგენილი ტექსტის გამო. ვისარგებლეთ შემთხვევით და ყურადღება გავამახვილეთ ჩვენთვის საინტერესო მო-

¹³⁶ ზოგად ფონეტიკაში ასეთი შემართვისთვის გამოყენებულია ტერმინი **რბილი შემართვა**, რომელიც ჩვენი კვლევისთვის არ მივიჩნიეთ აღეკვა-ტურად (ამაზე იხ.: ბერტლანი, 2012).

გადმოცემით ’ ან **ქ** აღმნიშვნელობით. ისე რომ, ზემოთ წარმოდგენილი დაკვირვებების შემდეგ უკვე შეიძლება გაკეთებულიყო უფრო გაბედული დასკვნები ჩვეულებრივ ხმოვნებთან დაკავშირებით, რომ არა უკმარისობის იმაზე მეტი შეგრძნება, ვიდრე ამჯერად შეიძლება გავაჩნდეს.

თუმცა: ავტორთა ნაწილს ასე თუ ისე შეუძლია სუსტი ან თუნდაც საშუალო მომზადების მქონე მკითხველს თავზე მოახვიოს თავისი მოსაზრებები, მაგალითად, თავისუფალ ხმოვნებთან დაკავშირებით, მით უმეტეს, ისეთი არცთუ ცნობილი მეცყველების მაგალითზე, როგორცაა თუშური ენა. მაგრამ უკიდურესად ძნელი ან სულაც შეუძლებელი უნდა იყოს რაიმე ახლის მიგნება თუ ჩამოყალიბება იმ – ჩვეულებრივ – ხმოვნებთან დაკავშირებით, რომელთა კვლევა-ძიებაც ათასწლეულებს ითვლის.

მეორე მხრივ, კვლევა-ძიების ხანგრძლივი ისტორია სულაც არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ამ სფეროში დღემდე მიკვლეული იდეალურად ზუსტია და საბოლოო, დასრულებული: სულ ახლახან თქვა ახალი სიტყვა თანამედროვე ქართული ენის ხმოვანთა სისტემაზე **ტ. ფუტკარაძე** (ფუტკარაძე, 1998).

თუშურ ენაშიც, ქართული ენის თუშურ კილო შიკ, თვით ქართულ ენაშიც, რუსულ ენაშიც თავკიდური ხმოვნით გამოწვეული დისტანციური გემინირებული ოკლუზია (**DX**) ისევეა აშკარა და თვალსაჩინო, როგორც ნებისმიერი ენის ორი ხმოვი თანხმოვნის შესაყარში და ცხადად აღიქმება შეუიარაღებელი ყურითაც – ულტრათანამედროვე ლინგოაპარატურის გარეშე. ამასთან დაკავშირებით შეიძლება დაგვერთო: არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ თავისი პირველი საუკეთესო ჭრნახულის მოწვევა სწორედ უშუალო სმენითი შთაბეჭდილებებით მოახერხა ლინგვისტიკამ, რაც, ბუნებრივია, იმას როდი ნიშნავს, რომ სააპარატურო ექსპერიმენტი უგულვებელყოფოთ. პირიქით: საჭირო და აუცილებელია აქ შემოთავაზებული თეორიული ანალიზი დადასტურებული და დამოწმებული იქნეს ექსპერიმენტის ბეჭდითაც.

მენტებზე, რასთან დაკავშირებითაც ჩვენ შორის შედგა დაახლოებით ასეთი დიალოგი:

– ვარდი, შენ გ გიწერია ვუხკ? ვუნაკ? ვუხ? სიტყვების თავში. როგორ ფიქრობ, სწორია?

– არავითარ შემთხვევაში!.. აკი ვთქვი, ბევრი ვიწვალე და, ბოლოს, როგორც შემიძლო და მოვახერხე, ისე ჩავწერე – მარტო ეს სიტყვები კი არა, მთელი ლექსი.

– თუკი თვლი, რომ გ აქ უადგილოა, იქნებ პირდაპირ უ-თი დაგეწყო: უხკ? უნაკ? უხ?

– არა, არც უ ივარგებს!

– როგორ წარმოთქვამ ამ სიტყვებს? როგორ წარმოთქმის ისინი საერთოდ?

ლექსის ავტორმა მიმართა არტიკულაციას, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ თავისუფალს: უხკ ‘ნეტაფ, რა?’, უნაკ ‘ნეტაფ, რატომ?’, უხ ‘რა?’.

– რა ბეგერაა, თავში რომ წარმოთქვამ?

– ვერ გეტყვი.

– იქნებ მაინც გ არის, ან უ?

– არა, სხვა რაღაცაა.

კვლევის პროცესში ამ „სხვას“ ვუწოდებთ თავისუფალი ხმოვანი.

თავკიდური არტიკულაციის დაზუსტების მიზნით, ჩვენი კვლევის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს მიზნობრივი საუბრები თუშური ენის მატარებლებთან სრულიად მრავალფეროვან ყოფით პირობებში, ხშირად თვით ყველაზე ექსტრალინგვისტურშიც კი. ამ საუბრებიდან ერთობ განსაკუთრებული აღმოჩნდა თუშური ენის საუკეთესო მცოდნის მათურელ ბართიშვილის განმარტება:

– აქ არავითარ შემთხვევაში უ არ ითქმის, გ კი აშკარად ვუღვარეულია¹³⁷. აქ სხვა რამესთან გვაქვს საქმე!

მცირე პოეტურ მცდელობაში სათაურით ვაჲ ათ-პაპიგო ვუღ-ვაჟკას ‘ჩვენს მამა-პაპათ ვუხხმობ’ ჩვენ თავად გამოვიყენეთ ლექსემები თავკიდური „სხვაგვარი უ“ ხმოვნით, გაგაფორმეთ რა ჩვენ მიერვე მისაღებელი გრაფიკული ნიშნით (ლიგით), რომელიც მკითხველისთვის სრულიად უცნობი

137 ვუღვარეული, ანუ გაყალბებული, დამახინჯებული და, თუ გნებავთ, უხამსი, უგვანო (უსლ, 179), ანუ მ. ბართიშვილისთვის მიუღებელი.

და, მაშასადამე, გაუგებარი რამ უნდა ყოფილიყო. მაგრამ აღმოჩნდა, რომ, როგორც კი ეს ლექსი წაუკითხავს ჩვენი სკოლის მათემატიკის მსცოვან მასწავლებელს, ქალბატონ ანიკო ქადაგიძეს, არათუ პრობლემები არ გასჩენია ტექსტთან (გრაფიკასთან) დაკავშირებით, პირიქით, სრულიად აღეკვეტურად გაუცნობიერებია თავისუფალი ხმოვანიც, ამ ხმოვნით აღჭურვილი ლექსიკური სიდიდეებიც და ლექსის სულისკვეთებაც, რაზეც უდავოდ მეტყველებს მისი არდაგვიანებული მშვენიერი საპასუხო ლექსი სათაურით დაჰი ვიცვალაჰ?... ‘დაგავიწყდა განა?...’ მეტიც: მას თავადაც უხვად გამოუყენებია სიტყვები თავისუფალი თავკიდური ხმოვნით – უქ? ‘ნეტაფ, რატომ?’, უხ? ‘რა?’, უქ? ‘რატომ?’, უჲ? ‘რა ძალიან? რატომასე (ძალიან)?’, უხეჲ(რ)? ‘რატომ?’, უხეჲჲ ‘რებიც’, უნაკ? ‘ნეტაფ, რატომ?’

ეს ყოველივე მიუთითებს იმაზე, რომ თუშური ენის მატარებელთათვის ანლაუტის (ანდა განმარტოებული) ხმოვნის თავისუფალშემართვიანი არტიკულაცია (და აკუსტიკა) სრულიად ნაცნობი და მშობლიური რამაა, ოღონდ იმის გათვალისწინებით, რომ უჭირთ ამ ფენომენის კვალიფიკაცია თუ ორთოგრაფია.

ჩვენი სამეცნიერო პროექტის ფარგლებში გამოსაქვეყნებლად მომზადდა უკვე თუშური ენის მატარებლის, ალექსი მიქელაძის თუშურენოვანი ლექსების კრებული (ავტორისეული ქართული თარგმანითურთ). კრებულზე მუშაობის პროცესში შედგა საუბარი, რომლის დროსაც პოეტი საიმოვნებით დაგვთანხმდა თავისუფალი ხმოვნების აღმნიშვნელი გრაფემები გამოგვეყენებინა იქ, სადაც ამის საჭიროება იქნებოდა, რაც მისი მხრიდან ამ ტიპის ხმოვნების აღიარების ფარდი უნდა იყოს.

აქ გვინდა აღვნიშნოთ ერთი ფაქტი, რომელსაც განსაკუთრებულსა და ჩვენთვის ფრიად სასარგებლოს ვუწოდებდით. სულ ახლახან, 2013–2014 წლებში, პროექტ „მცირე ენების...“ ფარგლებში მოპოვებული თუშურენოვანი აუდიომატალის ტრანსფორმირება წერილობით ტექსტებად სრულიად შემთხვევით დაევალა წოვათუშს, დარია მიქელაძეს¹³⁸. დავალეების შესრულების დაწყებისთანავე მან აღვნიდან დარეკა (რასაც ჩვენ ველოდით კიდევ) და მოგვმართა კითხვით იმის თაობაზე, თუ როგორ, რომელი გრაფემით უნდა გადმოეცა უხ? / ვუხ?

138 დ. მიქელაძეს დიდი ხნის წინ დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების მიმარ-თულებით. მიზეზთა გამო ის ვერ გაჰყვა საკვლევივადი საქმიანობას, თუმცა დღემდე ავლენს მაღალ ინტერესსა და ერთობ საინტერესო ხედვებს ამ სფეროს სხვადასხვა საკითხებში.

ტიპის თუშურენოვანი ლექსიკური სიდიდეები, რომლებიც, როგორც თავადაც ბრძანა, არცთუ იშვიათად გვხვდება აუდიოჩანაწერებში.

ეს იყო სწორედ ის ერთ-ერთი საკითხი, რომელიც მუშავდებოდა წინამდებარე ნაშრომში და რომელთან დაკავშირებითაც წესით უნდა (შეგვეძლო) გაგვეფრთხილებინა **დ. მიქელაძე**, თუმცა ეს არ გაგვიკეთებია, რითაც ის – **დ. მიქელაძე** – ავტომატურად აღმოჩნდა ჩართული ერთგვარ ტესტირებაში და, მაშასადამე, ჩვენს საკვლევადიებო ინტერესებში.

მეისიერი განმარტებისგან თავი შევიკავეთ ამჯერადაც და კითხვის აგტორს კითხვითვე ვუპასუხეთ იმის თაობაზე, თუ რატომ არ დაწერდა ამა თუ იმ ასოს, მაგალითად, ჩვეულებრივ **უ** ხმოვანს ანდა, მაგალითად, **გ** თანხმოვანს. ჩვენდა სასიხარულოდ, სატელეფონო პასუხი **დ. მიქელაძისგან** იყო ზედმიწევნით ზუსტი და კვალიფიციური: **მაგვარად ვერ დაწერება ის, რაც ისმის**.

ეს ფაქტი, როგორც წინამდებარე ნაშრომშიც ვამბობთ არაერთხელ, იმასაც ადასტურებს კიდევ ერთხელ, რომ ხშირ შემთხვევაში პრობლემა მდგომარეობს არა იმდენად თავკიდური თავისუფალი შემართვის „დაჭერაში“ სმენით, რამდენადაც მის გადმოცემაში წერილობით.

ჩვენ წლობით ვეძებდით და კვლავაც ვეძებთ თანამოზიარეთ თავკიდური ხმოვნის თავისუფალი შემართვის ძიების გრძელსა და მომქანცველ გზაზე. გულანდილობა გვავალდებულებს ვაღიაროთ, რომ ბევრ შემთხვევაში ჩვენი მიგნება გაზიარებული არ არის თუშური ენის მატარებელთაგან, თუმცა გვხვდება აშკარა მხარდაჭერაც. და ასეთ პირობებში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენთვის **დ. მიქელაძის** ამ სატელეფონო ზარს.

დროთა განმავლობაში, დიას, ჩვენ მიერ თავისუფალი ხმოვნების მქონედ მიჩნეული ლექსემების ანლაუტში მოხდა ამ უარქაულესი, შეიძლება ითქვას, პირველყოფილი არტიკულაციის „გათანამდროვეობა“: უკანა რიგის თავისუფალი **უ** (ასევე **ი**) ხმოვნის თავკიდურში განვითარდა **გ** თანხმოვანი, ხოლო წინა რიგის თავისუფალი **ზ** და **ი** ხმოვნების შემთხვევაში – თანხმოვანი **დ** თუმცა, ერთი მხრივ, პარალელურ რეჟიმში დღემდე იქნა შენარჩუნებული არქაული ფორმებიც, მეორე მხრივ, ძველი სახით დარჩა შუა რიგის თავისუფალი **ზ**, რომელმაც ვერ შეიგუა ვერც **გ**, ვერც **დ** და ვერც სხვა რომელიმე თანხმოვანი. სწორედ ამიტომ: ანლაუტისეული თავისუფალი **უ** (ასევე **ი**), **ზ** და **ი** ხმოვნების შემთხვევაში **დ. მიქელაძესაც**, სხვა რომელიმე ადამიანსაც კიდევ როგორღაც შეეძლო თავკიდურში განეთავსებინა, შესაბამისად, **გ** ან

დ, მაგრამ თავისუფალი **ზ** ხმოვნის შემთხვევაში ვერც **დ. მიქელაძე**, ვერც სხვა რომელიმე ადამიანი ვერ განათავსებდა აქ ვერც **გ** და **დ** თანხმოვნებს, ვერც სხვა რომელიმე თანხმოვანს, ვერც თვით ჩვეულებრივ **ა-ს** (გავიხსენოთ ოპოზიცია: **აჲჭ ‘კი, ღიახ, პი’ – აჲჭ ბერძნ. ‘Kopros’**).

მოკლედ, ჩვენს მოსაზრებებსა თუ მსჯელობას წაადგა არა მხოლოდ ის, რომ **დ. მიქელაძემ** ნებისმიერი გრაფემით არ ისურვა აღნიშნული არტიკულაციის აღნიშვნა წერილობით, არამედ, პირველ რიგში, ის, რომ ამგვარმა სიტუაციებმა ის დააფიქრა ისევე, როგორც საუკუნეობით იბნეოდნენ სხვადასხვა თაობის ჩამწერნი.

გულწრფელობას მოითხოვს რა სამეცნიერო ეთიკა, უნდა ვაღიაროთ და გავიმეოროთ, რომ განმეორებითი ვიზიტისას თავკიდური არტიკულაციის გასარკვევად ცდისპირები ზოგჯერ თავისუფალი ხმოვნის საზარალოდაც ცვლიან ხოლმე თავიანთ პირვანდელ ხედვას. თუმცა: ჯერ ერთი, მესამე თუ მეოთხე ვიზიტისას იგივე რესპოდენტები ბევრჯერ კვლავ თავისუფალი ხმოვნისკენ იხრებიან; მეორე, როგორც მრავალგზის შევნიშნეთ, სწორედ ეს ორჯოფობა იძლევა უკვე საბაბსაც და საფუძველსაც ეჭვი შევიტანოთ როგორც თავკიდურ ჩვეულებრივ **უ-ში** (ანუ **ცუ-ში**), ისე თავკიდურ **გ-ში** და ვითქროთ და ვილაპარაკოთ მესამე ანლაუტისეულ არტიკულაციაზე, რომელსაც რატომ არ შეიძლება ვუწოდოთ **თავისუფალი?**

მართლაც: თავკიდურ ხმოვანთა თავისუფალი არტიკულაციის ანალოგიური – გაორებული – გაგება ვლინდება ცდისპირთა მხრიდან იმ სატესტო გასაუბრებებშიც, რომლებიც აუდიოჩანაწერების სახით იქნა მოპოვებული ჩვენი პროექტის ფარგლებში.

§2 (39). თუშურენოვანი ლექსიკა თავკიდური თავისუფალი ხმოვნებით და თუშური ენის ხმოვანთა პარადიგმატიკა თავისუფალი არტიკულაციის გათვალისწინებით.

ახლა შეძლებისდაგვარად წარმოვადგენთ ჩვენ მიერ მოძიებული იმ თუშურენოვანი სიტყვების ნუსხას, სადაც, ჩვენი აზრით, ფუნქციონირებენ თავკიდური თავისუფალი ხმოვნები, რომლებიც პრეისტორიული ნიქარების ნატყების მსგავსად შემორჩენიან ცოცხალ მეტყველებას. ხმოვანთა ეს უნიკალური აღნაგობა დღემდე შემოგვინახეს სწორედ ამ სიტყვებმა, რომელთა

შორისაც ყველაზე ფართო დიაბაზონი თავისუფალ უ-ს გააჩნია:

1. აჰჰ 'კი, ღიან, პო'
2. ჰჰ? (ინტონაციით —) 'პო – მერე?'
3. ჰჰ? (ინტონაციით —) 'პა? ბატონო?'
4. ჰჰჰ! (ინტონაციით —) 'ააა!' (მნიშვნელობით 'აი, თურმე, რა ყო-ფილა!')
5. ჰჰჰ! (ინტონაციით —) 'ააა!' (დავიწყებულის გასახსენებელი დამხმარე სიტყვაა)
6. ჰჰჰ?! (ინტონაციით —) 'ჰააა?!' (მნიშვნელობით 'რას ამბობ?!')
7. ჰჰ! (დაჟინებულად თქმული 'არა!')
8. ახკეც / ჰახკეც 'იქნებ, ეგებ(ა)'
9. ა-ჰაჰაჰ! / ა-ჰაჰანი(ე)! (წყევლის განსამტკიცებელი სიტყვაა; ხმრობენ მხოლოდ ქალები)
10. აეო! / აო! / დეო! / დეო! 'კაცო! ბიჭო! ჭო!' (ხმარობენ კაცები)
11. აენო / ჰენო -ო' (ნაწილაკი, იხმარება 3-ე პირის ნათქვამის გადმო-საცემად)
12. აჲ / დეჲ 'კაცო! ბიჭო! ჭო!' (ხმარობენ კაცები)
13. ე / დე 'და' (კავში.)
14. იე! (ხმარობენ კაცები)
15. ის(ა)! / მის(ა)! } (შეძახილები ღორის გასაგდებად)
16. იქს(ა)! / დიქს(ა)!
17. უო! (ჯიქური შეწინააღმდეგების ანდა მუქარის გამომხატველი სიტყვა)
18. უოენო 'ჯიქურ, მუქარით'
19. უმ / ვუმ¹³⁹ 'რა(ი)მე'
20. უმაჰ 'ყველაფერი'
21. უმგე 'ვინიცობაა, რა(ი)მე...'
22. უმნე მრათ 'რამენარად'
23. უნაკ? 'ნეტა, რად? ნეტა, რატომ?' (ცალკე არ იხმარება)
24. უნაკენო? 'ნეტა, რად? ნეტა, რატომ?' (ცალკე არ იხმარება)
25. უნახგე 'ვინიცობაა, რა(ი)მე...'
26. უნახ 'რალაცა'

139 ქვემოთ ვიკულისხმებთ, მაგრამ აღარ წარმოვადგენთ ვარიანტულ ფორმებს თავიკლური გ-თი.

27. უნახ-მიხში 'რალაც-რალაცები'
28. უნე(დ), უნე 'რაც; რაც კი' (ცალკე არ იხმარება)
29. უნე-უნე 'რამე; ან ეს, ან ის'
30. უნე(კ) უმ 'რაც; რაც კი; რაც (კი) რამ' (ცალკე არ იხმარება)
31. უნე(კ) (მაკ) / უნმაკ 'რაც კი შეუძლია, როგორც კი შეუძლია, რაც კი ძალი და ღონე აქვს' (ცალკე არ იხმარება)
32. უნელე 'რაც არ უნდა...'
33. უჲ? 'რატომ? რად?' (ცალკე არ იხმარება)
34. უგ? 'რალად? რალატომ?' (ცალკე არ იხმარება)
35. უდა(ე)? 'რატომ? რად?' (ცალკე არ იხმარება)
36. უდაკ? 'ნეტა, რად? ნეტა, რატომ?' (ცალკე არ იხმარება)
37. უდაკალე? 'ნეტა, რად? ნეტა, რატომ?' (ცალკე არ იხმარება)
38. უდაჲ?! 'რატომ, რატომ?!'
39. უდაჲ ცო?! 'რატომაც არ(ა)!'
40. უდაჲ? 'რატომო, რა თქვი?' (ცალკე არ იხმარება)
41. უდეგე 'რა ზე'
42. უდეგნო? 'რატომო?' (ცალკე არ იხმარება)
43. უჲთხე? 'რა (საიდან) იცის?' (მნიშვნელობით 'არ ვიცი')
44. უთხე 'რად, რა ვიცი' (მნიშვნელობით 'არ ვიცი')
45. უჲ?! 'რა ძალიან?!' (ცალკე არ იხმარება)
46. უჲ? / უნაკ? 'ნეტა, რად? ნეტა, რატომ?' (ცალკე არ იხმარება)
47. უჲჲ! (შორს მყოფი ახლობლის, თანამგზავის და ა. შ. ყურადღების მისაქცევი შეძახილი; წარმოითქმის ფალცეტოთ)
48. უხ? 'რა?' (ცალკე არ იხმარება)
49. უხ(ა)კ? 'ნეტა, რა?' (ცალკე არ იხმარება)
50. უხჲ? 'რაო, რა თქვი?' (ცალკე არ იხმარება)
51. უხდა? 'რა? ბატონო?' (ცალკე არ იხმარება)
52. უხ და? 'რა არის?' (ცალკე არ იხმარება)
53. უხდეგლი (და)? 'რა მასალაა, რისთვისაა?' (ცალკე არ იხმარება)
54. უხ დოგეგე! 'რალას იზამს!' (ცალკე არ იხმარება)
55. უხენო? 'რატომ? რაო (რა თქვა)?' (ცალკე არ იხმარება)
56. უხენოკ? 'ნეტა, რატომ?' (ცალკე არ იხმარება)
57. უხე(კ) 'რაც კი' (ცალკე არ იხმარება)

58. უხ-თური 'რამე-რუმე'
 59. უხ-თურ ხილუ(გე)! 'რალა იქნება!'
 60. უხუდრ! / უხუდრ! 'რას იზამს!'
 61. უჰ! 'უჰ! ვიშ!'


ეს სიტყვები დღეს ერთობ ცოტადაა თუშურ ენაში, მაგრამ მათი რიცხვი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რათა სამეცნიერო თუ სხვა სახის წყაროებში სხვადასხვაგვარად დაეფიქსირებინათ მათი ანლაუტი. ჩვენი აზრით, **მენუხ?** 'რომელი?' – მენუხე / მენხუ 'რომელიც' და მოლუ? 'როგორ?' – მოლუხე / მოლუხუ 'როგორც' კითხვითი თუ მიმართებითი ნაცვალსახელები უნდა მომდინარეობდნენ სწორედ უხ? 'რა?' – უხე / უხუ 'რაც' და უ? 'რატომ?' – უხე 'რაც; რაც კი' სიდიდეებისგან, რაც ერთხელ კიდევ გვიდასტურებს თავკიდური თავისუფალი უ ხმოვნის რეალობას აქ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ანუ იმ შემთხვევაში, თუკი თავკიდურში დაფიქსირებული **გ** თანხმოვანს, **მენუხ?** – **მენუხე** და **მოლუ?** – **მოლუხე** სიდიდეების ნაცვლად უნდა გვექონოდა **მქუხე?** – **მქუხე** და **მოლუ?** – **მოლუხე**, რაც სინამდვილეში არა გვაქვს.

არ არის გამორიცხული, რომ, მაგალითად, 'შვიდი' რაოდენობითი რიცხვითი სახელისა და მისი მონათესავე თუშურენოვანი წარმოებულების თავკიდურშიც გვექონდეს დიფთონგისეული მოკლე თავისუფალი უ ხმოვანი (უოოუ 'შვიდი', უოოუემატა 'ჩვიდმეტი'), რომელიც საფუძვლიან შესწავლას საჭიროებს, რის გამოც ის არც შეგვიტანია ჩვენს სისტემაში. შესაძლოა, ასევე იყოს ჩაჩხურსა და ინგუშურშიც: უოოო 'შვიდი'.

ბოლოს, არ არის გამორიცხული, მაგალითად, **ვოუბზ** (წოვათის არქაული სახელწოდება), **ვოუგრი** 'მიქელაძეები' ტიპის ლექსებშიც ანლაუტისეული თავისუფალი ი ყოფილიყო ხმარებული ისტორიულად: ***იუბზ**, ***იუგრი**. აგრეთვე: ზოგჯერ უფროსი ასაკის მამაკაცთა მეტყველებაში უმაყ **'ყველაფერი'** ფორმის ნაცვლად ისმის **იუმაყ** ვერსიაც.

გხედავთ აგრეთვე, რომ თავისუფალი ხმოვნები, მომდევნო მოკლე ხმოვნებთან ერთად, დამავალი (ნამდვილი) დიფთონგების წარმებაშიც მონაწილეობენ, რაც იმის დამადასტურებელია, რომ ისინი სრული წარმოების ბგერებს მიეკუთვნებიან.

თუკი თუშური ენის ვოკალთა რაოდენობას შევავსებთ აქ გაანალიზებული თავისუფალი ხმოვნებით, მივიღებთ კიდევ უფრო მდიდარსა და სანტერესო სურათს. ეს სურათი პარადიგმატიკაში იღებს დაახლოებით ასეთ სახეს:



წარმოდგენილი პარადიგმა, რომელიც საარტიკულაციო შესაძლებლობათა მთელ სპექტრს მოიცავს და იძლევა, ფაქტობრივად მიგვანიშნებს ხმოვნებიდან თანხმოვნებამდე მიმავალ იმ გზაზე, რომელიც ჩვენ მოგხაზეთ

და რომელიც **ჰ** ლარინგალზე გადის.

როგორც ვხედავთ, თუშური ენაში საქმე გვაქვს არა ხმოვნების ე. წ. სამკუთხედის, არამედ სამკუთხედების მთელ სისტემასთან, არა ხმოვნების, არამედ მათი სამკუთხედების პარადიგმატიკასთან.

იმის გათვალისწინებით, რომ თუშურ ენაში 5 ჩვეულებრივი ხმოვნიდან 4-ს აწონასწორებს 4 თავისუფალი ხმოვანი, თეორიული ფონოლოგიის თვალსაზრისით, საყურადღებო უნდა იყოს 5-ე ჩვეულებრივი ხმოვნის თავისუფალი კორელატის საკითხიც.

ენობრივი უნივერსალიების თეორიის მიხედვით, ენაში არ შეიძლება არსებობდეს 10-ზე ნაკლები და 80-ზე მეტი ფონემა (JLBC, 1990, 535). თუშური ენის ფონემათა საერთო რიცხვს სადღეისოდ გადალახული აქვს ზღვარი და შეადგენს 82-ს (ბერთლანი, 2012), რაც ყურადსაღები ფაქტია.

როგორც ჩანს, თავისუფალი ხმოვნები ლარინგალურ **ჰ** თანხმოვანზე კიდევ უფრო არქაულ სიდიდეებს წარმოადგენენ და დღემდე რომ შერჩენოდან მათ სამეტყველო ასპარეზი, მათგან შეიძლებოდა ჩამოყალიბებულიყო კორელატების ისეთივე მრავალფეროვნება, როგორიც თუშური ენის ჩვეულებრივი ხმოვნების შემთხვევაში გვაქვს.

წინამდებარე ნაშრომზე მუშაობა ერთგვარად ჩაგვაფიქრებს თუშური ენის ხანდაზმულობაზეც: თუკი თანხმოვნები მეორეული მოვლენაა, ხმოვნები კი – პირველადი, მაშინ ენის ასაკზე საუბარი მართლაც შეიძლება თანხმოვანთა რაოდენობის მიხედვით მასში, მაგრამ ამასთანავე თავისუფალი ხმოვნების არსებობაც თავისთავად უნდა მიგვანიშნებდეს, ერთი მხრივ, ენის ასაკზე, მეორე მხრივ, მის სიცოცხლისუნარიანობაზე.

§3 (40). რას ნიშნავს ხმოვნის თავისუფლება?

როგორც აღინიშნა, თუშური ენის ანლაუტში გვაქვს ხმოვნები, რომლებიც რალაცით განსხვავდებიან ჩვეულებრივი ხმოვნებისგან.

რა ხმოვნებია ეს ხმოვნები?

რით განსხვავდებიან ისინი ჩვეულებრივი ხმოვნებისგან და რატომ ვუწოდებთ მათ **თავისუფალი**?

რას ვხედავთ ამ ხმოვანთა თავისუფლებაში?

რატომ იქნა შეზღუდული მათი თავისუფლება?

არის თუ არა თავისუფალი მთის მდინარე, რომელსაც თითქოსდა თან მოაქვს ყველაფერი და წარბმეუხრელი კლდეც კი ვერ აღუდგება წინ?

არის თუ არა თავისუფალი მდინარე, რომელიც, მდორედ მოედინება რა, თითქოს არც მოედინება?

არის თუ არა თავისუფალი აბლანტებული, ხაგსმოდებული ტბა, რომელიც უძრავად დგას?

და საერთოდ, არის თუ არა სადმე თავისუფალი რამ?

მაღალმხატვრულად, სხარტად და ზუსტად უპასუხა **ვაჟამ** ამ საინტერესო კითხვას: „ხევი მთას ჰმონებს, მთა – ხევსა...“ (ვაჟა-ფშაველა, 1979, 107). და ასე დაუსრულებლივ, ვიდრე არ შეიკვრება (თუ იკვრება საერთოდ სადმე) სამყაროს უსასრულო წრეწარი, სადაც თვით ბუნებაც კი, რომელიც თურმე ყოველთა მბრძანებელია, „იგივ მონაა თავისა“ (იქვე).

თავისუფლება მისი ფილოსოფიური გაგებით არის „ნების გამომჟღავნების შესაძლებლობა“ (ქეგლ, 1990, 511), ნების გამომჟღავნების შეუზღუდველობა. თავისუფლება – ეს არის „არარსებობა რაიმე შეზღუდვისა, შემოფარგვლისა, შევიწროებისა“ (Ожегов, 1970, 695).

თუმცა: ნებისმიერ თავისუფლებას იმავდროულად წინასწარ უძევს ესა თუ ის სამანი, ზღვარი, ზღუდე, ჯვებრი. და თუ ასეთი ზღვარი არ აღმოჩნდა მის გარეთ, ნებისმიერი საგანი თუ მოვლენა თავის თავს თავადვე უქმნის მას თავისსავე თავში.

რეგულივ არსებულ მატერიალურ უსასრულობაში, იქნებ იმიტომაც, რომ ის მატერიალურია, არაფერი ჩანს აბსოლუტურად თავისუფალი – თვით ის მოცემულობაც კი, რომელიც თავად არის თავისუფლებისა თუ შეზღუდვის მიმცემი თუ გამომხატველი. ამდენად თავისუფლება, როგორც ასეთი, ფარდობითი სიდიდე გამოდის: ერთი რამ თავისუფალია მეორე რამისგან, მაგრამ არ არის თავისუფალი მესამისგან, ანდა თავისუფალია მეტად ან ნაკლებად. ნებისმიერი რამ თავისუფალია იმდენად რამდენადაც. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ არა თავისუფლებაზე ზოგადად, არამედ თავისუფლების ამა თუ იმ სახეზე, ხარისხზე, ოდენობაზე.

თუკი ამ საუბარს გადავიტანთ ფილტვებიდან ამონადენ ჰაერნაკადზე – სულ ერთია, რესპირაცია იქნება ეს თუ ფონაცია – მივალთ დაახლოებით ასეთ ფორმულამდე: ფილტვებიდან ამონადენი ჰაერნაკადის თავისუფლება არ უნდა გავიგოთ როგორც არარსებობა ისეთი პირობებისა, რომლებიც ზღუდავენ მას

– ჰაერნაკადს. ის, რომ ეს ჰაერნაკადი იმადიდროულად არ გადის ცხვირ-პირის ღრუშიც, თვალებშიც, ყურებშიც, საფეთქლებშიც და კიდევ სხვაგანაც, არის უკვე თავისუფლების მიცემაც და შეზღუდვაც ზღვრული ოდენობით.

სწორედ სარესპირაციო ჰაერნაკადის თავისუფლების შეზღუდულობაზე (ლიმიტირებულობაზე) მეტყველებს ის, რომ ფიზიკური დატვირთვის დროს, აღმოვაჩენთ რა, რომ თავისუფლად აღარ გვეძლევა ჰაერი, იძულებული ვართ პირიკ გაგაღოთ, რათა ჰაერნაკადმა იმაზე უფრო მეტი თავისუფლება შეიძინოს, ვიდრე მანამდე – მშვიდი სუნთქვისას – ჰქონდა. ღია პირს ხშირად მივაშველებთ ხოლმე სხვა, დამატებით ქმედებებსაც, ვცდილობთ რა, რომ ჰაერნაკადს მივანიჭოთ კიდევ უფრო მეტი თავისუფლება და ა. შ.

ჰაერნაკადი სწორედ იმიტომაც არის ნაკადი, რომ თავისუფალი არაა რაღაც ძალისხმევისგან.

როცა ჰაერნაკადის თავისუფლებაზე ვლაპარაკობთ სამეცნიერო არტიკულაციასთან დაკავშირებით, გვულისხმობთ იმ შემთხვევას, როცა ეს ჰაერნაკადი ჩვეულებრივი წყნარი სუნთქვისმიერია და არც მასზე (თვისებრივი თუ ოდენობრივი თვალსაზრისით) და არც სახმო სიმებზე (დაჭიმულობის თვალსაზრისით) არ ხდება იმაზე უფრო მეტი რაიმე ძალდატანება, ვიდრე სუნთქვისთვისაა საჭირო. მაგრამ ასეთი ჰაერნაკადი არის ჯერ კიდევ არა საფონაციო, არამედ ოდენ სარესპირაციო და მას ჯერ კიდევ არაფერი აქვს საერთო სამეცნიერო ბეგრებთან, მეტყველებასთან საერთოდ.

და თუკი სარესპირაციო ჰაერნაკადიც კი არ ყოფილა თავისუფალი, მით უმეტეს, არ იქნება თავისუფალი საფონაციო ჰაერნაკადი, რომელმაც გარკვეული ოდენობის მოწოდების წყალობით უნდა აწარმოოს ისეთი ფენომენი, როგორიცაა სამეცნიერო ბგერა. ნებისმიერი ბგერა (ხმა) შედეგია ამა თუ იმ ძალის (ძალოვანი ნაკადის, ტალღის) კონტაქტისა ამა თუ იმ წინააღმდეგობასთან: ბგერა (ხმა) ჩნდება ამ წინააღმდეგობის / წინააღმდეგობის გადალახვის მომენტში. ამასთანავე: სამეცნიერო ორგანების ნებისმიერი სამეცნიერო კონფიგურაცია უკვე არის მეტ-ნაკლები წინააღმდეგობის მქონე ის ბარიერი, ჯებირი, რომელიც ხვდება, ეღობება საფონაციო ჰაერნაკადს და რომელიც რამენაირად უნდა იქნეს გადალახული. და წინააღმდეგობის ეს გადალახვა თვით ბგერა (ხმა): თუნდაც რამენაირი წინააღმდეგობის არსებობის გარეშე არ (ვერ) წარმოიქმნება ბგერა, როგორც ასეთი.

წყნარი, თავისუფალი სუნთქვის დროსაც კი ჩვენ გვესმის როგორც საკუ-

თარი, ისე ერთმანეთის სუნთქვა, რაც უკვე უდავო ნიშანია რაღაც წინააღმდეგობის არსებობისა სარესპირაციო გზაზე, რომელიც იმავე დროს საფონაციო გზაცაა. და ეს სუნთქვა გვესმის ისევე, როგორც ნებისმიერი სამეცნიერო ბგერა, ანუ თვით მეტყველება. მეტიც: სუნთქვა, ბოლოს და ბოლოს, შეიძლება იქცეს საკომუნიკაციო საშუალებადაც – ისევე, როგორც სამეცნიერო ბგერა, ანუ თვით მეტყველება.

თუ ყია საკმაოდ ფართოდაა ღია, ჰაერის არანაირი (თითქმის არანაირი – ა. ბ.) ხახუნს არა აქვს რა ადგილი სახმო სიმების კედლებზე, ხმა არც წარმოიქმნება (Никитина, 1958, 23). მაგრამ საკმარისია ყია რამდენადმე შევავიწროვოთ, რომ გვესმის სუნთქვის ნაცნობი ხმაც კი (იქვე). ხოლო რაც უფრო გავაძლიერებთ სახმო ჰაერნაკადს ხმის გამოცემისას, მით უფრო გაიზრდება ხახუნი (ე. ი. წინააღმდეგობა) და მით უფრო ძლიერი იქნება ჩვენი ხმაც.

რესპირაციის (ჩვეულებრივი წყნარი სუნთქვის) დროს და თვით ღრმა სუნთქვის დროსაც კი ჰაერნაკადი არ ამოდის თავისუფლად, რადგან, მართალია, არც სახმო სიმები, არც ხრტილები ერთმანეთზე არ არის მიდებული და არც ერთმანეთთანაა მიახლოებული, მაგრამ ყიას ასე თუ ისე აქვს **გარკვეული ფორმა** (სამკუთხედისა) და, მაშასადამე, აქვს **გარკვეული ზღვრული გარშემოწერილობა**, რომელსაც **გარკვეული ძალით** აწვება ჰაერნაკადი და რომელიც **ამავე ძალით** ზღუდავს, აწვება და ავიწროვებს ჰაერნაკადს.


ჰაერის თავისუფლებაზე ალბათ იმ შემთხვევაში უნდა ვილაპარაკოთ, როცა, მაგალითად, სალამური, უბრალოდ, დევს სადმე. მაგრამ როგორც კი ჩაებერავთ მასში, იკარგება თვით ჰაერის (ახლა უკვე ჰაერნაკადის) თავისუფლება. იგივე სურათი გვაქვს ყიაში. ხატოვნად ასე შეიძლება ითქვას: სწორედ თავისუფლებაზე ამეცნიერდება ხოლმე სალამურში შთაბერილი, მანამდე კი უხმო და უბრალო ჰაერი, რომელიც ახლა უკვე შარმონიულ ჰაერნაკადად ქცეულა¹⁴⁰. სამეცნიერო ბგერაც, სიტყვაც, მეტყველებაც, სიმღერაც, გალობაც... – ეს არის შინაგანი სწრაფვა ნანატრი თავისუფლებისაკენ, იგულისხმება, გარკვეულ წინააღმდეგობათა გადალახვის ფასად. იქ, სადაც სასრულოა ჰაერნაკადის სამოძრაო სივრცე (მოცულობა), სასრულოა ამ ჰაერნაკადის თავისუფლებაც. მეტიც: თავისუფალი ჰაერი ჯერ მხოლოდ ჰაერია და არა ჰაერ-

140 ერთობ სასიამოვნო იყო, როცა აღმოჩნდა, რომ თ. გამყრელიძესაც გასჩენია მოთხოვნები ადამიანის სამეცნიერო მექანიზმი შეედარებინა სასრულო ინსტრუმენტისთვის – სალამურისთვის, კლარნეტისთვის (<http://www.science.org.ge/books/Gamkrelidze>).


ნაკადი, საბგერო ნედლეულია და არა თვით ბგერა. იქ, სადაც აბსოლუტური თავისუფლებაა, ჰაერი არც იქცევა ჰაერნაკადად, ანუ ბგერად, მეტყველებად, სიმღერად, გალობად, მუსიკად. შემთხვევითი როდია, რომ სამეტყველო ბგერის წარმოთქმისას სამეტყველო ტრაქტის მუსკულატურა მეტ-ნაკლებად დაჭიმულია: ეს ქმნის მეტ-ნაკლებ წინალობას. ნებისმიერი ბგერა უკვე არის ამა თუ იმ წინალობის ან წინალობათა გადალახვის აქტი, შედეგი.

„ბგერის წყარო, – გვასწავლის ფიზიკა, – შეიძლება იყოს ნებისმიერი მოვლენა, რომელიც იწვევს წნევის ან მექანიკური ძაბვის ადგილობრივ ცვლილებებს“ (ქსე, 1977, 259). ბგერის წყარო შეიძლება იყოს სიმი (იქვე), მაგალითად, ჩონგურისა, გიტარისა, ეოლეს ქნარისა და ა. შ. „ბგერის წყარო შეიძლება იყოს თვით გარემოს შემოსაზღვრული მოცულობის რჩევა, მაგალითად, ორგანოს მილებში, სასულე საკრავებში, სასტვენში და სხვ. (იქვე). ბგერა აღიძრება ბუნებაშიც „მყარ სხეულებზე ჰაერის ნაკადის გარსდენის დროს მასზე გრივანების წარმოშობისა და მოწყვეტის შედეგად“ (იქვე). დაბოლოს, ბგერის წყაროებს შორის ვხედავთ ადამიანის (აგრეთვე, ცხოველის) მბგერავ აპარატს, რომელიც „როდესაც რჩევადი სისტემა“ (იქვე).

უკვე ამის გამო ეჭვქვეშ შეიძლება აღმოჩნდეს დღეისათვის შემუშავებული და დამკვიდრებული დებულება იმის შესახებ, რომ თანხმომავნი ბგერებისგან ხმოვანთა ერთ-ერთ განმასხვავებელ ნიშანს – ფონეტიკურს – წარმოადგენს საფონაციო ჰაერნაკადის თავისუფალი ამოღინება სამეტყველო გზაზე, რადგან თავისუფალს ვერ ვუწოდებთ თვით თავისუფალი სუნთქვის მაწესრიგებელ ჰაერნაკადსაც კი. მით უფრო ნაკლებია (სუსტია) ბგერის სიმჟღერე, ანუ სიცხადე, რაც უფრო ღიაა და თავისუფალი საფონაციო ტრაქტი. ეს ფორმულა თვალსაჩინოდაა რეალიზებული სახმო სიმების გამყრელიძისეულ მდგომარეობებში (<http://www.science.org.ge/books/Gamkrelidze>):



ამასთანავე, ყველაზე ადეკვატურად მივიჩნიეთ თ. გამყრელიძის მიერ წარმოდგენილი მდგომარეობები სახმო სიმებისა (<http://www.science.org.ge/books/Gamkrelidze>):



მაშ: ხმოვნების დახასიათებისას უნდა ვიგულისხმოთ არა თავისუფლება საერთოდ, ანუ არა აბსოლუტური თავისუფლება, არამედ თავისუფლების ის ოდენობა, ის ხარისხი, ის ღიაობა, რომელიც განსაზღვრავს მათი ფონეტიკის მიმართებას თანხმომავნთა ფონეტიკასთან. როგორც თანხმომავნების, ისე ხმოვნების არტიკულირებისას საფონაციო ჰაერნაკადი უეჭველად არის შეზღუდული რაღაცით თუნდაც იმიტომ, რომ თვით სახმო სიმებიც და მაქსიმალურად გაღებული პირის ღრუც უკვე წარმოადგენენ წინალობას ხ ხარისხში. სამეტყველო აპარატის თვით არსებობა და მასში საფონაციო ჰაერნაკადის გავლის აქტი უკვე ითვალისწინებს ამა თუ იმ წინალობის თავისთავადობას.

მაშასადამე, როცა ვახასიათებთ და ერთმანეთს ვადარებთ ხმოვნებსა და თანხმომავნებს, იგულისხმება სამეტყველო აპარატში მოძრავი ჰაერნაკადის, ანუ ხმის ფარდობითი (შედარებითი) თავისუფლება. იმიტომ: ბგერების კლასიფიკაციისას ხმოვნებად და თანხმომავნებად უმჯობესი იქნებოდა გველაპარაკა არა წინალობის არსებობასა თუ არარსებობაზე, არამედ მის ხარისხზე, რაგვა-რობაზე, ადგილზე და ა. შ. იქ, სადაც აბსოლუტური თავისუფლება შეიძლება წარმოვიდგინოთ (სადაც ერთი რამ არ ზღუდავს მეორეს), ბგერა არ გაჩნდება, მით უმეტეს სუფთა ბგერა. ბგერა ჩნდება იქ, სადაც ადგილი აქვს გარკვეული ოდენობის შეზღუდვას, ანუ წინალობას, თუნდაც უმცირესს. რაც უფრო გაეზრდით წინალობას, მით უფრო ამაღლდება, რაც უფრო შევამცირებთ მას, პირიქით, უფრო დადაბლდება (დაეშვება ნოლისკენ) ბგერა, ანუ ხმა.

ჩვენ არ ვილაპარაკებთ თავისუფლებაზე მისი აბსოლუტური ღირებულებით. ვისაუბრებთ იმ თავისუფლებაზე, ანდა, უფრო სწორედ, თავისუფლების იმ ოდენობაზე, რომელიც ერთი ბგერის მეორისგან განმასხვავებელ ნიშნად შეიძლება მოგვევლინოს.

თავისუფალ ხმოვნებს **თავისუფალი** ვუწოდეთ არა თავისუფლების აბსოლუტური გაგების, არამედ მისი მკაცრად განსაზღვრული ოდენობის თვალსაზრისით.

ახლა ვისაუბროთ იმაზე, თუ რისგან არის თავისუფალი ხმოვანი. თუმიცა: როგორც არ უნდა უცნაურად გამოიყურებოდეს ეს, აქ საბოლოო პასუხი უნდა გაეცეს იმასაც, თუ რატომ ვთვლით, რომ ანლაუტისეული ანდა განმარტებული ჩვეულებრივი ხმენები (და მათი კოლერატები) უსათუოდ მაგარშემართვიანია. და ამ უცნაურობას ხელს უწყობს მართლაც უცნაური **ჰ** თანხმოვნის ფაქტორი. ანუ: აქ საჭირო ხდება დავუბრუნდეთ ჩვეულებრივი ხმოვნების იმ დახასიათებასაც, რომელიც დღემდეა შემუშავებული და მიღებული, და იმ დახასიათებასაც, რომელიც ჩვენ მივეცით მათ მათი განსხვავებისას ანლაუტსა თუ იზოლაციაში. თავისუფალ ხმოვნებთან მიმართებიდან გამომდინარე, მას მერე, რაც შეძლებისდაგვარად დავახასიათეთ ლარინგალური **ჰ** თანხმოვანიც, უკვე მერამდენედ გვიწევს საუბარი ჩვეულებრივ ხმოვნებზე. მაინც რას წარმოადგენენ, ბოლოს და ბოლოს, ისინი? კიდევ რის დამატება შეიძლება ჩვეულებრივ ხმოვნებთან დაკავშირებით არა მხოლოდ თუშურ ენაში – ზოგადი ფონეტიკის თვალსაზრისითაც?

როცა ბგერათშეერთებაზე აქვს საუბარი, **გ. ახვლედიანი** ბრძანებს (და ეს ასეც არის), რომ სიტყვაში **ნღობა** ხმოვანი **ა** „თავდება „თავისუფლად“, ხოლო იწყება **ბ**-ს გავლენით“ (ახვლედიანი, 1966, 96). გამოდის, რომ **-ბა** მარცვალში **ა** ხმოვნის დასასრული (დამართვა) თავისუფალია, ხოლო დასაწყისი (შემართვა) – არათავისუფალი, ანუ **[ბ]**-თი (**[ბ]**-ს გავლით) დაწყებული.

როცა თავისუფალ ხმოვნებზე ვსაუბრობთ, მაშასადამე, საუბარია ისეთ ხმოვნებზე, რომლებიც არ იწყება არც **[ბ]**-თი (**[ბ]**-ს გავლით) და არც სხვა რომელიმე ბგერით (სხვა რომელიმე ბგერის გავლენით), მათ შორის, არც **ჰ** ლარინგალით.

რატომ გვიანტერესებს ხმოვნები მაინცდამაინც ანლაუტსა თუ იზოლაციაში?

მართალია, „ყველა სამეტყველო ბგერა მოცემულია სხვა ბგერებთან შეერთებაში“ და „ბგერათშეერთებაში მკლავნდება თითოეული ფონემის მრავალგვარი შესაძლებელი სახესხვაობა“ (ახვლედიანი, 1966, 95), მაგრამ ამავე დროს „თუ ზოგჯერ ჩვენ განზრახ წარმოვთქვამთ განცალკევებულ ბგერას“, „იგი რამდენადმე მაინც განსხვავებული იქნება“ იმ ბგერებისგან,

რომლებიც გვაქვს სიტყვის შემადგენლობაში (იქვე). სწორედ ამ განსხვავებაზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება, განსაკუთრებით – ხმოვნის შემართვაზე, რომელიც ერთნაირი აქვს მას როგორც განცალკევებით, ისე ანლაუტში. ესეც არ იყოს, როცა ხმოვანთა **შემართვაზეა** საუბარი, სწორედ **ანლაუტის** მაგალითებს ეყრდნობა ზოგადი ფონეტიკაც.

„ფონეტიკურად თავკიდურია ის ბგერა, რომელსაც აქვს თავისი საკუთარი, დამოუკიდებელი **შემართვა**; ფონეტიკურად ბოლოკიდურია ის ბგერა, რომელსაც აქვს თავისი საკუთარი, დამოუკიდებელი **დამართვა**; ფონეტიკურად სიტყვის შიგნითა (ინლაუტისეული – ა. ბ.) ბგერა არის ის ბგერა, რომელსაც არა აქვს საკუთარი, დამოუკიდებელი არც შემართვა და არც დამართვა (ახვლედიანი, 1966, 175). დაფუძნებით: სიტყვის შიგნით – ინლაუტში – დამეზობლებული ბგერების შემართვაში ლოგიკურად აქვს ადგილი წინმდგომი ბგერის დამართვისა და მომდევნო ბგერის შემართვის გადამას (შერევას), რის შედეგადაც ჩნდება ის, რაც გარდამავალ ბგერას უწოდებენ (იქვე, 95–98). ამიტომ: გვინდა რა ჩავეძიოთ შემართვას და მხოლოდ შემართვას, ნებისმიერი ბგერა, ამ შემართვაში – ხმოვანი, გვიანტერესებს **მხოლოდ და სწორედ** ანლაუტში (ანდა განცალკევებით, იზოლაციაში), რადგან ინლაუტსა და აუსლაუტში მისი შემართვის შესწავლაში ხელს გვიშლიან სხვა ფონეტიკური ძალები თუ გარემოებები.

თუმიცა „ჩვეულებრივს რწყმულ წარმოთქმაში სიტყვათა შორის ხშირად წაშლილია ფონეტიკური საზღვარი“ (იქვე, 174), რაშიც კიდევ უფრო ვრწმუნდებით არამშობლიური ენის მაგალითზე, მაგრამ „მაინც შეგვიძლია ვილაპარაკოთ ცალკეული სიტყვის ფონეტიკურ არსებობაზე“, რადგან „საკმაოდ ხშირად სიტყვას აქვს ფონეტიკურად თავისებური დასაწყისი, ანუ თავკიდური (ანლაუტი) და ფონეტიკურად თავისებური ბოლო, ანუ ბოლოკიდური (აუსლაუტი)“ და, „მაშასადამე, ცალკეული სიტყვა არსებობს არა მხოლოდ როგორც სემანტიკური და გრამატიკული ერთეული, არამედ აგრეთვე როგორც ფონეტიკური ერთეული“ (იქვე, 174). ასეც ვიტყვით: სიტყვა, პირველ რიგში, არსებობს არა როგორც სემანტიკური და გრამატიკული, არამედ როგორც ფონეტიკური ერთეული; მეტიც: მეტყველების აქტი შეიძლება შედგებოდეს არა მხოლოდ ცალკეული სიტყვებისგან (იქვე, 174–175), არამედ ცალკეული ბგერებისგანაც.

ბგერების შემართვა-დამართვასთან პირდაპირ კავშირში წარმოებული **გ.**

ახვლედიანისეული ეს მსჯელობა სიტყვებზე თავისუფლად შეიძლება მივუსადაგოთ ბგერებსაც და დავასკვნათ, რომ რწყმული მეტყველების პროცესში ხშირად წაშლილია როგორც ცალკეული სიტყვის ანლაუტი ან აუსლაუტი, ისე ცალკეული ბგერა თუ არა, მისი შემართვა ან დამართვა მაინც, რის გამოც, ანალიზის მიზნით, გვიწევს რწყმული მეტყველებიდან „ამოკვეთა“ როგორც სიტყვებისა, ისე ცალკეული ბგერებისა.

გ. ახვლედიანის დებულება აუსლაუტის ხმოვნის დაწყება-გათავებასთან დაკავშირებით **ნღობა** სიტყვაში თავისთავად მიანიშნებს იმაზეც, რომ ანლაუტსა და იზოლაციაში, სადაც ადგილი არა აქვს წინამავალი ბგერის არსებობას (რაც უსათუოდ მოახდენდა ამა თუ იმ სახის გაგლენას), ხმოვნის შემართვას უნდა შეეხებოთ იმისგან განსხვავებულად, ვიდრე ვუყურებთ იზოლაციაში ან აუსლაუტში. ამ თვალსაზრისით გვიანტერესებს ხმოვანი სწორედ ანლაუტში და არა იზოლაცია-აუსლაუტში.

მთავარი ის კი არ არის, რომელს მივიჩნევთ რეალურ, „სალიტერატურო“ ფორმად თუ შორ ენაში – ფორმას თავკიდური **გ**-თი, თავკიდური ჩვეულებრივი **უ**-თი თუ კიდევ სხვა რომელიმე ფონეტიკური მოცემულობით, არამედ ის, რომ გაგაანალიზოთ ფორმა თავკიდური თავისუფალი ხმოვნით, თუნდაც ხელოვნურად მოგვეჩვენოს იგი (ხმოვანი): არცთუ იშვიათად ბუნებრივად არსებული საგნებისა თუ მოვლენების შესასწავლად გვიხდება მათი ხელოვნური მოდელის შემუშავება.

დავუბრუნდეთ ჩვეულებრივ ხმოვნებს და გავიხსენოთ **გაუუუენებელუყვია, გაუუულვაშოებია** და ა. შ. ტიპის სიტყვები, სადაც ყველა ხმოვანი ჩვეულებრივია და სადაც, როგორც ითქვა, ზედიზედ მისული ხმოვნებიდან ერთ-ერთის არტიკულირებისას მოსაუბრეს (მთქმელს) ბუნებრივად (უნებლიეთ) უჩნდება მოთხოვნილება არტიკულაციაში ჩართოს მაგარი შემართვა – დაახლოებით ასე: **[გაუუუენებელუყვია], [გაუუულვაშოებია]**. „ფარული კამერით“ ჩატარებული ერთი თავშესაქცევი სატელევიზიო ხუმრობის გამო მეორე დღეს ჩვენმა ერთმა კოლეგამ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან რამდენჯერაც სცადა ეკითხა **უყურეთ თუ არა, განათლების მინისტრი რომ კინაღამ გაუუულვაშოებიათ**, იმდენჯერ დაება ენა უ-ებთან, ვიდრე არ მივაშველეთ მაგარშემართვანი **ცუ** (რიგით მეორე): **[გაუუუულვაშოებიათ]**. ასეთი – მაგარი – შემართვა აქ (ამას ხაზს ვუსვამთ) **აუცილებელი არ არის**, მაგრამ არის **შესაძლებელი, დასაშვები, მოსალოდნელი, უძჯობესიც კი**, რაც

უკვე საკმარისია მსჯელობისთვის.

როგორი სურათი გვაქვს დამარცვლისას, ანუ: რა უნდა (რა შეიძლება) მოვიმოქმედოთ იმისათვის, რომ სიტყვა დამარცვლილად ჩათვალოს – არა გრაფიკულად (წერილობით), არამედ არტიკულაციურად (წარმოთქმით)?

აქ გვაქვს ორად-ორი გამოსავალი თუ შესაძლებლობა: ხმოვნით დაწყებული ანდა ცალკეული ხმოვნით წარმოდგენილი მარცვალი უნდა წარმოვთქვათ: ა) ან მაგარი შემართვის გარეშე, ანუ ბმულად (*legato*) (1);

ბ) ან მაგარი შემართვით, ანუ დანაწევრებულად, წყვეტილად, ისე, თითქმის მარცვალს წარმოვთქვამდეთ არა როგორც მარცვალს, არამედ როგორც სრულიად დამოუკიდებელ ლექსიკურ სიდიდეს (*staccato*) (2).

ამ ორი შესაძლებლობიდან პირველი (1) თავისთავად შეესაბამება ზოგადი ფონეტიკის იმ დებულებას, რომლის მიხედვითაც ქართულ ენაში, მაგალითად, ხმოვანი არ შეიძლება იყოს მაგარშემართვანი (მით უმეტეს იზოლაციაში ან აუსლაუტში). ასეთ შემთხვევაში, როგორც მთელი ჩვენი მსჯელობიდანაც გამომდინარეობს, დამარცვლა იქნება ლეგატირებული:

[გა-უ-უ-უ-ულ-ვა-შო-ე-ბი-ა],

ანუ:

[გა-უ-უ-უ-ულ-ვა-შო-ე-ბი-ა] (1)

ამ შემთხვევაში აუცილებელიც კია (ამას თვით დამარცვლის ტექნიკა მოითხოვს, რომელიც მჭიდრო კავშირშია სუნთქვის ბიოლოგიასთან) გარკვეულად გაფაღიეროთ ჰაერის ჭავლი ყოველი მარცვლის დასაწყისში, რაც ხორციელდება სახმო ქორდების შევიწროვებით იმაზე უფრო მეტად, ვიდრე დაუმარცვლობის შემთხვევაში. ეს კი ცალფა ხმოვანი ანდა ხმოვნით დაწყებული მარცვლის შემთხვევაში ნიშნავს ერთი ნაბიჯის გადადგმას ქორდების დასშვასკენ, ანუ ხმოვნის მაგარი შემართვისკენ. სწორედ ეს გარემოება გვიწყობს ხელს მივმართოთ მეორენაირ (2) არტიკულაციასაც.

აქ წარმოდგენილი ლეგატირებული არტიკულაცია (1) სხვა არა არის რა, თუ არა არტიკულაცია ხმოვნის თავისუფალი შემართვით, რაც შეესაბამება ფონეტიკის იმ დებულებას, რომელიც გამოიყენებს ქართული ენის ხმოვანთა მაგარ შემართვას და რაც ზემოთ უკვე გადმოვეცით ლიგით: **~**. ტერმინში **თავისუფალი შემართვა** (რომელიც **თავისუფალი ხმოვნის ტოლფასია**) ფაქტობრივად, დიახ, იგივე ცნებაა ჩადებული, რომელიც, ზოგადი ფონეტიკის მიხედვით, ძვეს ტერმინებში **რბილი შემართვა** და **ნელი შემართვა**, თუმცა

იქ ეს ცნება არცთუ ზუსტად არის მიზანმიმართული. ჩვენ მას **თავისუფალი** ვუწოდეთ იმ გაგებით, რომ ამგვარი შემართვის მქონე ხმოვანი, ვიმეორებთ, სწორედ რომ **თავისუფალია** შემართვისეული **ც** ლარინგალისგან, ანუ თავისუფალია სახმო სიმების ხშვა-განხშვისგან.

რა ხდება მეორე (2) შემთხვევაში?

აქ ხმოვნით დაწყებული, ანდა ცალთა ხმოვნით წარმოდგენილი ყოველი მარცვლის წარმოთქმისას ხდება ჰაერის ჭავლის კიდევ უფრო გაძლიერება, ანუ შემართვის გაძლიერება, რაც მიიღწევა მბგერი მორჩების არა უბრალო შევიწროებით, არამედ მათი ხშვა-განხშვით. ეს შეიძლება გაკეთდეს და კეთდება კიდევაც წარმოთქმულისთვის მეტი სიმკვეთრის (გარკვეულობის) მიცემის მიზნით, შესაძლოა, ქვეცნობიერადაც. ეს სიმკვეთრე კი თავისთავად ნიშნავს მაგარ (ძლიერ, ახშულ, მკვეთრ) შემართვასაც:

[გა-ცუ-ცუ-ცუ-ვა-შო-ცე-ბი-ცა], ანუ

[გაცუცუცუ-ვა-შოცე-ბი-ცა] (2)

იგივე სურათი გვექნება ნებისმიერ სიტყვაში.

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ აქ მართლაც შესაძლებელი თუ დასაშვებია ორგვარი არტიკულაცია. და თუ ერთი მათგანი თავისუფალია (რბილია, ნელია), არ შეიძლება მეორეც იყოს ასეთივე და, პირიქით. ეს კი ერთსა და იმავე დროს საშუალებას იძლევა ვილაპარაკოთ ხმოვანთა როგორც ძლიერ, ისე თავისუფალ არტიკულაციაზე (შემართვაზე).


სახმო სიმებს შესწევთ უნარი: ან გახსნან სახმო ნაპრალი (ყია) და თავისუფლად გაატარონ ჰაერი, ან იმდენად შეაფიწროვონ იგი, რომ ჰაერს დაუტოვონ ოდენ მცირე გასასვლელი, ანდა, ბოლოს, მთლად ჩაკეტონ ნაპრალი ისე, რომ ჰაერს სულაც არ ჰქონდეს გავლის საშუალება (Никонова, 1958, 22). სახმო ნაპრალის სრული ჩაკეტილობა გვაქვს, მაგალითად, ხველებისას; ამ დროს ნაპრალი იკეტება, ჰაერი შიგნიდან სულ უფრო მეტად აწვევა წარმოქმნილ წინაღობას (ჯვებირს) და, ბოლოს, განახშობს ამ წინაღობას და ხმაურით (ჯახანითა თუ ჩქაფანით – **გაჟა**) გამოდის, გამოვარდება გარეთ.

ხმის წარმოქმნა ხდება შემდეგნაირად: სახმო ნაპრალი თითქმის დახურულია, სიმები – დაჭიმული; ჰაერი გამოდის გარეთ; გამოსვლისას ჰაერი რამდენადმე ხსნის დახშულ (თითქმის დახშულ) სახმო ნაპრალს; თავიანთი ელასტიურობის წყალობით, სიმები იმავე წამს უბრუნდება თავიანთ პრევანდელ (თითქმის დახურულ) მდგომარეობას და ა. შ.; ასე წარმოიქმნება

სახმო სიმების რხევა, რაც, ბოლოს, გვაძლევს ბგერით ტალღებს, ანუ ხმას (Никонова, 1958, 22).

გ. ახვლედიანის მიხედვით (ახვლედიანი, 1966, 28-32) და, საერთოდ, ზოგადი ფონეტიკის თანახმად, გვაქვს ყიისა (სახმო სიმებში ნაპრალისა) და ხრტილებში ნაპრალის 5 მთავარი მდგომარეობა, ანუ წყობა (აქ გამოყენებული გვაქვს **გ. ახვლედიანის** სქემები).

1. ამოსასუნთქი (ჩველებრივი წყნარი სუნთქვის) **A** მდგომარეობა, როცა ყია და ხრტილებში ნაპრალი ერთ მთლიან სამკუთხედს წარმოადგენენ, ოღონდ ეს სამკუთხედი ამჯერად უფრო წაგრძელებულია და, მაშასადამე, შევიწროებულიც:




1 – ფარისებრი ხრტილი

2 – ერთ-ერთი სახმო სიმი


3 – ბექტისებრი ხრტილი

2. ჩასასუნთქი (ღმა სუნთქვის) **B** მდგომარეობა; ეს იგივეა, რაც **A** მდგომარეობა, ოღონდ უფრო ფართოა ყიისა და ხრტილებში ნაპრალის ერთიანი სამკუთხედი¹⁴¹:




¹⁴¹ აქ შევნიშნით, რომ სასუნთქი (ჩასასუნთქი და ამოსასუნთქი) მდგომარეობის შემთხვევაში ჰაერი (სარესპირაციო, ანუ სასუნთქი ჰაერი) მარ-თლაც უფრო **თავისუფლად** მოძრაობს, რაც ნიშნავს იმას, რომ **A** და **B** წყობაში ბგერა ჯერ კიდევ არ წარმოქმნილა, ანუ სახმო ქორღების ეს ორი წყობა ჯერ არ არის სამეტყველო (საფონაციო, საბგერო) მდგომარეობა.

3. საჩურჩულე **C** მდგომარეობა, როცა ყია (სახმო სიმებშუა ნაპრალო) და-
კეტილია, მაგრამ ღიაა ხრტილებშუა ნაპრალო:




4. ბეკრა – ხმოვანიც და თანხმოვანიც – წარმოიქმნება მაშინ (და მხოლოდ მაშინ), როცა სახმო სიმები მჭიდროდაა მიახლოებული ერთმანეთთან და დაჭიმულია (მიახლოებული და არა დახშული!). ეს არის სწორედ სამეტყველო **D** მდგომარეობა, როცა ამონადენი (საფონაციო) ჰაერნაკადი ზედიზედ ჯახებით აათრთოლებს სახმო სიმებს¹⁴²:



5. **E** მდგომარეობა, როცა ყიაც და ხრტილებშუა არეც დაკეტილია და ჰაერნაკადის ამოღინება სრულებით შეწყვეტილია. ეს არის წყობა ლარინგალური **ჟ**-სთვის, ანუ, **გ. ახვლედიანის** მიხედვით, აბრუბტივებისთვის, ანუ ყელხშული თანხმოვნებისთვის. სქემაზე ეს ასე გამოჩნდება (**გ. ახვლედიანთან** შესატყვისი სქემა არ არის წარმოდგენილი):


142 უკვე ამის გამო (ანუ იმის გამო, რომ, სასუნთქი წყობისგან განსხვავებით, სახმო ქორღების მხრიდან აშკარაა წინალობა) არ უნდა ვთქვათ, რომ ხმოვნების (ჩვეულებრივი ხმოვნების) წარმოქმნისას ხმა (საფონაციო ჰაერნაკადი) თავისუფლად ამოედინება სამეტყველო აპარატში, სადაც ყია პირველია აქტიურ სამეტყველო ორგანოებს შორის: „ბეკრის წარმო-სათქმელად ყველაზე უფრო მთავარია სახმო სიმები... და ეხ“ (Чикобава, 1953, 145). სახმო სიმებს რომ ჰაერნაკადისთვის წინააღმდეგობა არ გაეწი-ათ, მაშინ არც ათრთოლებოდნენ ისინი და, მაშასადამე, არც აქლერდებოდნენ.



აქ დავაზუსტოთ ერთი რამეც. ჩვენ ნებისმიერ ღროს შეგვიძლია სახმო ქორღების (ყიის) მოძრაობები ნებისმიერი ოდენობით ვცვალოთ, მაგრამ ხმა არ (ვერ) მივიღოთ: ხმის ამოსაღებად საჭირო და აუცილებელია დიაფრაგმის მოშველიებით სარესპირაციო ჰაერნაკადის კონდიცია (მასა თუ მოცულობა, წნევა თუ სისწრაფე, მოკლედ, აქტიურობა) გავზარდოთ იმდენი მაჩვენებლით, რამდენიც საჭიროა მის საფონაციო ჰაერნაკადად გადაქცევისთვის (ამას ორგანოები უპრობლემოდ ართმევენ თავს, მთავარია თავის ტვინი გვექონდეს წესრიგში). თუ მაჩვენებელს რამდენადმე გავზრდით, მივიღებთ აწეულ ხმას, თუ კიდევ უფრო გავზრდით – ყვირილს და ა. შ.

ისე რომ, ანლაუტსა და იზოლაციაში ჩვეულებრივი ხმოვნების არტიკულაციას ვიწყებთ **E** წყობით: პირის ღრუ და ენა წინასწარ გვაქვს მომზადებული ნებისმიერი ჩვეულებრივი ხმოვნის წარმოსათქმელად და როგორც კი მოხდება ყიის (სახმო ქორღებშუა ნაპრალის) განხშვა და, მაშასადამე, გადასვლა **D** მდგომარეობაში, ვიღებთ სამეტყველო აპარატის კონფიგურაციის შესატყვის ჩვეულებრივ ხმოვანს. გამოღის, რომ ანლაუტსა და იზოლაციაში ჩვეულებრივი ხმოვნის არტიკულაცია არის დინამიკური, შედგება რა **E** და **D** მდგომარეობებისგან. მოკლედ, ანლაუტსა და იზოლაციაში ჩვეულებრივი ხმოვნის არტიკულაცია იწყება **ჟ**-თი, ანუ ძლიერი შეძარტვით.

ახლა, როცა ემსჯელობთ თავისუფალ ხმოვნებზე, უნდა შევთანხმდეთ სახმო იოგების (ყიის) მდგომარეობაზე მათთვისაც, ანუ თავისუფალი არტიკულაციისთვის. ეს არის **D** წყობა, რომელსაც, ჩვეულებრივი ხმოვნებისგან განსხვავებით, წინ არ უძღვის **E** მდგომარეობა; ანუ აქ დაკეტილია ხრტილებშუა არე, მაგრამ საწყისშივე ღიაა ყია:



გამოდის, თუ სტატიკაზე შეიძლება საუბარი – მოლოდ თავისუფალი ხმოვნების შემთხვევაში.

მსჯელობიდან გამომდინარე, თუშური ენის ანლაუტის თავისუფალ ხმოვნებს **თავისუფალი** ვუწოდეთ არა იმიტომ, რომ მათი წარმოთქმისას ჰაერნაკადია თავისუფალი, არამედ იმიტომ, რომ იგი თავისუფალია სახმო ქორღების ხშვა-განხშვისგან, ანუ ლარინგალური **ქ**-სგან. ანლაუტის თავისუფალი ხმოვანი თავისუფალია იმ წინააღობისგან, რომლისგანაც არ არის თავისუფალი ჩვეულებრივი ხმოვანი ამავე პოზიციებში.

ხმის წარმოშობის **ი. მიუღერისეული** თეორიით ხმის გამოცემას წინ უსწრებს ხორხის მბგერი იოგების ურთიერთმიახლოება, ამასთან მატულობს ინტრატრაქეალური წნევა (ქსე, 1987, 488). იოგების სწორედ ეს კონფიგურაციაა, თავისუფალ ხმოვნებს რომ სჭირდება. მათ წარმოსათქმელად ისლარჩება, რომ (**ი. მიუღერის** მიხედვით – ა. ბ.) ჰაერის ნაკადმა გაიაროს საბგერ ნაპრალში და გამოიწვიოს იოგების ვიბრაცია, რასაც მოჰყვება მათ ზემოთ არსებული ჰაერის რხევა (იქვე), რითაც არტიკულაცია გადადის უკვე აკუსტიკაში. და კიდევ: რაღა თქმა უნდა, პირ-ბაგეც უნდა უზრუნველყოფოთ ხუთიდან ერთ-ერთი ხმოვნის შესატყვისი არქიტექტურით.

თავისუფალი ხმოვნის არტიკულირებისთვის:

1. პირ-ბაგეს ვაძლევთ ნებისმიერი ჩვეულებრივი ხმოვნისთვის საჭირო კონფიგურაციას. სახმო სიმები (ყია) ჯერჯერობით გვაქვს ჩვეულებრივი სუნთქვისთვის საჭირო მდგომარეობაში, ანუ ჯერჯერობით ვსუნთქავთ ჩვეულებრივ.

2. სახმო სიმებს ნელ-ნელა ვუახლოვებთ ერთმანეთს (ოღონდ არავითარ შემთხვევაში არ ვკეტავთ), ვიდრე არ ჩამოყალიბდება სწორედ თავისუფალი ხმოვნისთვის საჭირო განლაგება.

3. როგორც კი ჩაფრთავთ ხმას, მივიღებთ იმ თავისუფალ ხმოვანს, რომ-

ლის შესაფერისი კონფიგურაციაც ექნება პირ-ბაგეს.

4. თუ სახმო სიმებს ოდნავ მაინც მოვეშვებით (მოვაბოშებთ), ბგერადობა შეწყდება, რადგან არასაკმარისი იქნება ჰაერნაკადის ხახუნი სახმო ქორღებზე.

5. თუ სახმო სიმებს შევაფიწროვებთ იმდენად, რომ ჩაიკეტნენ, ბგერადობა ამ შემთხვევაშიც, თავისთავად, შეწყდება, რადგან ჩაკეტილი იქნება ჰაერნაკადის ამოღინება.

6. ხოლო თუ ასეთნაირად ჩაკეტილ (დახშულ) სახმო სიმებს კვლავ განვახშობთ და ხმასაც ამოვიღებთ, მივიღებთ ჩვეულებრივ ხმოვანს მაგარი შემართვითურთ, ხმოვანს მეცხეული **ქ**-თი მის შემართვაში, ანუ მივიღებთ ქართული, რუსული და ა. შ. ენების ანლაუტისეულ ანდა განმარტოებულ ჩვეულებრივ ხმოვანს.

ფილოლოგებს არცთუ იშვიათად გვიწევს დავასახელოთ ანდა ჩამოვთვალოთ ხმოვანზე დაწყებული ანდა ცალფა ხმოვნით გამოხატული ესა თუ ის სიტყვათ- ან ფორმათმაწარმოებელი სიდიდეები, მაგალითად: **-ა** (**არის** მეშველი ზმნის შეკვეცილი სახე შედგენილ შემასმენელში), **-ად** (ვითარებიის ფორმანტი), **-ე** (მეორე წევრი რთული მაწარმოებლისა **მე...ე**), **-ედ** (რიგობითი რიცხვითი სახელის ვითარებიის ფორმანტი), **-ი** (სახელობითის ფორმანტი), **-ით** (მოქმედებითის ფორმანტი), **-ო** (ნაწილაკი, იხმარება მესამე პირის ნათქვამის გაქორწინებისას, ასევე წოდებითის ფორმანტი), **-ოდ** (მეორე წევრი რთული მაწარმოებლისა **უ...ოდ**), **-ულ(ი)** / **-ურ(ი)** (ანთროპონიმული ფორმანტი) და ა. შ. არ შეიძლება მკითხველი არ დაგვეთანხმოს იმაში, რომ აქ, ამ სიდიდეების განცალკევებით წარმოთქმისას, რასაც ვუწოდეთ **სიტყვის ან მარცვლის შემადგენობიდან „ამოკვეთა“**, ამ ხმოვნების შემართვა არის სხვაგვარი, ხოლო სიტყვაში ანდა ფორმაში წარმოთქმისას – სხვაგვარი. შდრ.: **-ა: ლამაზია; -ად: წიგნად; -ე: მეურმე; -ედ: მეორედ; -ი: ვაშლი; -ით: დანით; -ო: მოვიდესო; -ოდ: უმამოდ; -ულ(ი): ბურღული; -ურ(ი): ღუღუშაური.**

ახლა იმაშიც დაგვეთანხმება უთუოდ მკითხველი, რომ სწორედ აქ, შესაძარებლად წარმოდგენილი წყვილების პირველ წევრებში, ხმოვნების არტიკულირება ხდება მაგარი შემართვით, ანუ სახმო სიმების ხშვა-განხშვით, განსხვავებით მეორე შემთხვევისგან, სადაც ასეთ რამეს ადგილი არა აქვს; შევადაროთ კიდევ ერთხელ და დავაკვირდეთ კიდევ ერთხელ (უკეთესია, თუკი მივმართავთ ჩურჩულს).


სამაგიეროდ: შესაძარებლად წარმოდგენილი წყვილების მეორე

წევრებში ხმოვნების არტიკულირება ხდება სახმო ქორდების ხშვა-განხშვის გარეშე, რაც იმას ნიშნავს, რომ, პირველი შემთხვევისგან განსხვავებით, ხმოვანი თავისუფალია ძლიერი შეძარტვისგან: **ლამაზია**, ანუ **ლამაზი** [ა], **წიგნად**, ანუ **წიგნი** [ად] და ა. შ. ანუ ინლაუტსა და აუსლაუტში ნებისმიერი ჩვეულებრივი ხმოვანი თავისუფლდება შეძარტვისეული ფონეტიკური **ქ**-სგან, რომლის ადგილსაც იკავებს ფონოლოგიური დატვირთვის მატარებელი ესა თუ ის სხვა თანხმოვანი. ამიტომ აქ, შეძარტვის თვალსაზრისით, პრაქტიკულად იშლება ფონეტიკური ზღვარი ანლაუტისეულ თავისუფალ ხმოვანსა და ინლაუტ-აუსლაუტისეულ ჩვეულებრივ ხმოვანს შორის¹⁴³.


ჩვენ მიერ თუშურ ენაში მიკვლეული ანლაუტის თავისუფალი ხმოვნები (ბართიშვილი, 1995; ბართიშვილი, 1993; ბართიშვილი, 1995; ბარტიშვილი, 1998; ბარტიშვილი, 1998; ბერთლანი, 2012) ფაქტობრივად იგივე ჩვეულებრივი ხმოვნებია შეძარტვისეული **ქ**-ს გარეშე, ანუ იგივე ჩვეულებრივი ხმოვნებია არამკვეთრი, არაძლიერი, არახშული შეძარტვით. ამ შეძარტვას თანამედროვე ლინგვისტიკა უწოდებს **რბილ, ნელ შეძარტვას**. მაგრამ, რაკი ამ შემთხვევაში სილბო (თუ სიმაგრე) უფრო სასასთან (ლათ. **palatum**) დაკავშირებული რამ არის და არა ლარინქსთან (ბერძნ. **larynx**), ვამჯობინეთ **რბილის** ნაცვლად შემოგვეტანა სატერმინო კომპონენტი **თავისუფალი**. თავისუფალია ის ანლაუტისეული ხმოვანი **‘რა?’** კითხვითი ნაცვალსახელის თუშურენოვანი შესატყვისის ანლაუტში, რომელსაც **ი. გიულდენშტეტმა**, არ აჩქარდა რა, წინ არ „ააფარა“ **გ** თანხმოვანი.

თუკი კარგად დავაკვირდებით კიმოგრამულ მასალებს, უთუოდ უნდა დავინახოთ, რომ **A** წერტილი არის სწორედ ის საწყისთა საწყისი, რომლითაც ჩვეულებრივი ხმოვნის არტიკულაცია იწყება და რაც წარმოგვიდგება **ქ** ბგერის სახით. სწორედ ამ **ქ**-თი იწყება განცალკევებული, ანდა ანლაუტისეული ნებისმიერი ჩვეულებრივი ხმოვნის „შენეხლობა“. დახშული სახმო ქორდების განხშვა და **ქ** თანხმოვნის იმავდროული ამოფრქვევა სწორედ ჩვეულებრივი ხმოვნის შეძარტვა, ანუ ექსკურსია (დაწყება), მისი სასტარტო ნიშნული:


143 სწორედ ინლაუტი და აუსლაუტი უნდა ვიგულისხმოთ, როცა ზოგად ფონეტიკაში ვსაუბრობთ ჩვეულებრივი ხმოვნების **რბილ, ნელ** შეძარტვაზე.



ამას მოსდევს შემრთვა საკუთრივ ხმოვნისა, მაგალითად, **ა**-სი, რომელიც მოიცავს **AB** მონაკვეთს (**CD** მონაკვეთით აღნიშნულია ამავე ხმოვნის დამართვა):



თუკი ანლაუტის, ანდა იზოლორებულ ჩვეულებრივ ხმოვანს დავტოვებთ მასთან სიმბიოზში მყოფი **ქ**-ს, ანუ ძლიერი შეძარტვის გარეშე (ანუ წარმოვთქვამთ ძლიერი შეძარტვის გარეშე), ჩამოყალიბდება თავისუფალი ხმოვანი, რომელიც წარმოგვიდგება **ABCD** მონაკვეთის სახით:



თუ ანლაუტისეული (ან იზოლორებული) ჩვეულებრივი ხმოვნის შეძარტვაში საფონაციო ჰაერს ტყევისებრ „ვისწრით“ ყიიდან, თავისუფალი ხმოვნის შემთხვევაში ჰაერნაკადი ნაკადულისებრ „მოჰლურტულებს“ ყიაში. ჩვეულებრივი სუნთქვისას შევავიწროვოთ ყია ისეთნაირად, რომ კვეთის შემცირებით გავზარდოთ წინალობა. როცა წინალობა მიაღწევს გარკვეულ ზღვარს, აჟღერდება სახმო სიმები. აი ეს არის თავისუფალი ხმოვანი, ანუ ხმოვნის თავისუფალი არტიკულაცია და, საერთოდ, სამეტყველო ხმა როგორც ასეთი.

მივმართოთ სამეტყველო აპარატის აბსოლუტურად ხელოვნურ მდგომარეობას: ჩავისუნთქოთ ჰაერის გარკვეული რაოდენობა; ორივე ხელის ცერი თითებით მჭიდროდ ჩავეკეტოთ ყურები, ორივე ხელის სხვა ნებისმიერი თითებით კი – ნესტოები; ამის მერე მჭიდროდ მოვეკუთხოთ ბაგეები (ტუჩები) და სრულიად მშვიდად (ჩვეულებრივ) შევასრულოთ ნებისმიერი ქართული ჩვეულებრივი ხმოვნის წარმოთქმისთვის საჭირო ჩვეულებრივი აქტი (ამ ოპერაციას ჩვენ უკვე მივმართეთ ჩვეულებრივ ხმოვნებზე დაკავრებისას). თითოეული ხმოვნის წარმოთქმის მცდელობისას ამ მდგომარეობით ხახა-ცხვირ-პირ-ყელ-ყურის არეში, განსაკუთრებით კი ყურებში, უსათუოდ და სრულიად აშკარად შევიგრძნობთ ჰაერნაკადის უცაბედ, მკვეთრსა და ძლიერ, ლამის გრგვინებისებრ ამოფრქვევას ყიიდან, რაც უდავო და ერთდერთი ნიშანია მბგერი იოგების (თვით ყიის) ხშვა-სკდომისა და რაც, თავის მხრივ, ადასტურებს **ქ** ლარინგალის, ანუ მაგარი (მკვეთრი, ძლიერი, ხშული) შემართვის არსებობას. ეს „გრგვინვა“ ფორმდება ერთგვარი მოკლე „თანაგრგვინვით“, ექოთი, რაც ნიშანია იმისა, რომ ცხვირ-პირ-ყურების ჩაკეტილ სივრცეში მაინც წარმოიშობა ერთგვარი რეზონანსული ფონი.

ახლა ამავე პროცედურებით წარმოვთქვათ თუშური ენის თავისუფალი ხმოვანი: აქ აღარ (ვეღარ) შევიგრძნობთ ჰაერნაკადის უცაბედ, მკვეთრსა და ძლიერ, ლამის გრგვინებისებრ ამოფრქვევას ყიიდან, რაც უდავო და ერთდერთი ნიშანია იმისა, რომ მბგერი იოგები არ ექვემდებარებიან ხშვა-სკდომას, თუმცა გავიგონებთ მოგუდულ ღაღანს, იმაზე უფრო მოგუდულის, ვიდრე ახლავს ხოლმე ჩვენს მეტყველებას ძლიერი სურდოს დროს, რომლითაც ჩვენთან ტელეფონით მოსაუბრე ამოიცნობს ხოლმე ჩვენს მდგომარეობას და რომელიც საარტიკულაციო სივრცის სრული დახშულობის გამო მალევე მიიღევა.

როცა **გ. ახვლედიანი** ბრძანებს, რომ, მაგალითად, სიტყვაში **აბი** ხმოვანი **ა** იწყება თავისუფლად (ახვლედიანი, 1966, 96), ანუ, სიტყვაში **აბი ა**-ს შემართვა თავისუფალია, გულისხმობს იმას, რომ ამ **ა**-ს წინ არ უძღვის ესა თუ ის ბგერა (ფონემა), ხმოვანი არ იწყება ამა თუ იმ ბგერის (ფონემის) გავლენით, რომ მას საკუთარი აქვს შემართვა.

ჩვენი მსჯელობის მიხედვით, **აბი** სიტყვის ანლაუტისეული **ა** იწყება საწყისი **ქ** ბგერის გავლენით: **აბი [ქაბი]**. პართალია, ამ **ა**-ს წინ არ უძღვის ესა თუ ის **ფონემა**, მაგრამ **ქ ბგერა** კი უსათუოდ უძღვის. ამ გაგებით, **აბი** სიტყვაში თავიკიდური **ა**, ჩვენი გაგებით, არ არის თავისუფალი.

რაც შეეხება სამეტყველო გზას, კერძოდ ყიას¹⁴⁴. მასში **ქ** ხშული ლარინგალის არსებობის გამო სამეტყველო გზის ეს მონაკვეთი ხმოვნისთვის უნდა წარმოედგინოთ სულ ცოტა 2 მდგომარეობის სახით დაახლოებით ასე (გვანტერესებს **მხოლოდ** ყიის მიღამო):



სქემა №10.



სქემა №11.

თავისუფალი ხმოვნისთვის გვექნება სურათი (აქაც გვანტერესებს **მხოლოდ** ყიის მიღამო):



სქემა №11.

144 ხმოვანთა შორის კონფიგურაციული განსხვავებულობის გამო, მსჯელობის გამარტივების მიზნით, ნუ გამოვეყენებთ სამეტყველო გზის ენისა და პირ-ბაგის მონაკვეთებს და ყურადღება გავამახვილოთ სწორედ ყიასზე, სადაც უნდა გავჩვენოთ ხშულობის არსებობისა თუ არარსებობის საკითხი

თუკი საფონაციო ჰაერნაკადის თუნდაც რამენაირ თავისუფლებაზე შეიძლება ლაპარაკი, ეს თავისუფლება ყველაზე მეტი აქვთ თავისუფალ ხმოვნებს.

სახმო მორჩების ახმანების შემთხვევაში ხშვის (ხშვა-განხშვის) გარეშე, რასაც **გ. ახვლედიანი** უწოდებს **გაუფორმებელ ხმას**, ანუ **ყელის „ლაღანს“** და რასაც გერმანულად ჰქვია **Blählaut** (ახვლედიანი, 1949, 54; ახვლედიანი, 1966, 61), შეიქმნება საფუძველი ნებისმიერი თავისუფალი ხმოვნის ჩამოსაყალიბებლად – საკმარისა მხოლოდ ამ „ლაღანის“ პროცესში ენა-კბილ-ბაგეს მივცეთ (მივადლებინოთ) სასურველი ხმოვნისთვის საჭირო კონფიგურაცია, რითაც მოხდება გაუფორმებელი ხმის გაფორმება საჭიროებისდაგვარად. აქ საინტერესო და საგულისხმოა ისიც, რომ ამით საფუძველი ექმნება ნებისმიერი არაყვლსშული თანხმოვნის ჩამოყალიბებასაც (თუკი ხშვა-განხშვა არ მოხდება სადმე სხვაგან) – აქაც საკმარისია, ყელის „აღღანებასთან“ ერთად, საჭირო კონფიგურაცია მივადლებინოთ შესატყვის ორგანოებს.

მეტეც: თუკი აღუღებული სტვენია ჩაიღნის ტუჩს პერიოდულად მიეუახლოვებო და ასევე პერიოდულად მოვაშორებო თავისავე სარქველს, რითაც შევქმნით სამეტყველო აპარატის ერთგვარ მოდელს, უსათუოდ მივიღებო აკუსტიკას, რომელიც აღჭურვილი იქნება თავისუფალი ხმოვნისმაგვარი არტიკულაციით და რომელიც გრაფიკულად დაახლოებით ასე შეიძლება გამოვხატოთ: [ჟაჟ-ჟაჟ-ჟაჟ], ანუ [waw-waw-waw]. თუკი რამდენადმე გაავზრდით სარქველის დაშორების პერიოდულობას, მივიღებო ჰეანტიტატიურ“ სხვაობას, დაახლოებით ასეთს: [ჟააჟ-ჟაააჟ-ჟაააჟ], ანუ [waaaw-waaaw-waaaw] და ა. შ. ეფექტი იმდენად დიდია, რომ, თუკი ამ ყველაფერს ცდისაბრებს მოვასმენინებო აუდიოჩანაწერის სახით, არცთუ ცოტას გაუჭირდება თქმა იმის, რომ საქმე გვაქვს ჩაიდანთან და არა სამეტყველო არტიკულაციასთან.

ანალოგიურ სურათს მივიღებო, თუკი ჩანჩქერთან დავგებოთ და ორივე ყურს ანალოგიურად დავამუშავებო ჯამისებრ მოღუნული ხელისგულებით.

მაგრამ თუკი სახმო სიმებს ავანშიანებო მათი წინასწარი ხშვითა და შემდგომი განხშვით, სრულიად ზედმეტია რა ლაპარაკი თავისუფალ ხმოვნებზე, ანდა რომელმე თანხმოვანზე (გარდა, რა თქმა უნდა, **ჟ**-სი), ჩამოყალიბება ის ჩვეულებრივი ხმოვანი, რომლის შესაფერის კონფიგურაციაშიც აღმოჩნდება ენა-კბილ-ბაგე.

გამოდის, ყიაში ხდება ნებისმიერი ბგერის (როგორც ხმოვნის, ისე თანხმოვნის) წამროშობა ჯერ კიდევ გაუფორმებელი ხმის, „ლაღანის“ სახით, ყიის ზემოთა არეში კი, ენა-კბილ-ბაგის კონფიგურაციათა წყალობით, ხდება ბგერების გაფორმება, ანუ დიფერენციათა ჩვენთვის ცნობილი ნიშნებით.

ბოლოს, ანლაუტისთვის თუშურ ენაში შეიძლება ჩამოყალიბდეს დაახლოებით ასეთი ფორმულა:


ერთ შემთხვევაში საქმე გვაქვს სრულიად ჩვეულებრივ ხმოვანთან, რომელიც თავისთავად შეიცავს ძლიერ შემართვას, ანუ ხშულ **ჟ** ლარინგალს და არაფრით არ განსხვავდება ქართული, რუსული და ა. შ. ენების ხმოვნებისგან;

მეორე შემთხვევაში – ხმოვნისწინა ფონემურ **ღ**-სთან, რომელიც შედგება **ჟ** ლარინგალისა და **შ** ფარინგალისგან;

მესამე შემთხვევაში – ხმოვნისწინა ექსპრესიულ და, მაშასადამე, არაფონემურ, ფონეტიკურ **ღ**-სთან, რომელიც შედგება **ჟ** ლარინგალისგან და მისი მიმყოლი ექსპრესიული **შ** ობერტონისგან;

მეოთხე შემთხვევაში – თავისუფალ ხმოვანთან, რომლის შემართვაც (ექსურსია, დაწყება) თავისუფალია ლარინგალური **ჟ**-სგან.

სქემატურად ეს ნაუბარი დაახლოებით ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ¹⁴⁵:



§4 (41). „აი ია“: ასოციაციები შორეულ ბავშვობასთან; გზის მონახაზისთვის ხმოვნებიდან თანხმოვნებამდე.

აქ კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ ქართულ ენას, რომელსაც ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება – თუნდაც იმიტომ, რომ მასზე მეტყვე-

¹⁴⁵ ხმოვანი აღენიშნოთ V-თი, ანლაუტი კი – A-თი.

¹⁴⁶ ახლა უკვე შეგვიძლია შევნიშნოთ ერთი რამეც: ინგლისური **w**-ს, შეიძლება ასეც ითქვას, ძველქართული **ჟ**-ს, ანუ **ჟ** (ჟ)–ს არტიკულორების საწყის მომენტში, ერთი მხრივ, ტუჩები მომარჯვებული გვაქვს ჩვეულებრივი **ჟ** ხმოვნისთვის საჭირო კონფიგურაციაში და ამიტომ წარმოთქმის ამ მომენტში არ შეიძლება მისი გაიგივება **გ** თანხმოვანთან, ხოლო მეორე მხრივ, სახმო სიმები ისევე გვაქვს განხშული, როგორც **გ** თანხმოვნის არტიკულორებისას, რის გამოც მისი გაიგივება არც ჩვეულებრივ უ ხმოვანთან შეიძლება.

ლებს ამ ნაშრომის პოტენციურ მკითხველთა აბსოლუტური უმრავლესობა. უსათუოდ გვჭირდება მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ ერთ დეტალზე, რომელიც, ჩვენი აზრით, ერთობ მნიშვნელოვანი უნდა იყოს როგორც ჩვეულებრივი თუ თავისუფალი ხმოვნების დახასიათების შესავსებად, ისე სამეტყველო არტიკულაციის უფრო სრული დახასიათებისთვის.

ჩვენი შორეული ბავშვობიდან გავისხენოთ უნივერსალური და საოცარი ფრაზა **აი ია**, რომლითაც იწყებოდა თითოეული ჩვენგანის ქართული სალიტერატურო არტიკულაციისა თუ მეტყველების ჩამოყალიბება.

იმას, ვინც, ამ მონოგრაფიის ავტორის მსგავსად, თუნდაც რამენაირი წინასწარი მომზადების გარეშე მივიდა სკოლაში და, ამასთანავე, სახლში იშვიათად თუ ჰქონდა გაგონილი ქართულენოვანი მეტყველება, უთუოდ ეხსოვება იგივე, რაზეც აქაა საუბარი.

შეიძლება ითქვას: **აი ია** – ის პირველი ქართულენოვანი სიტყვებია, რომლებიც შეიძლება წლისამ პირველად მოისმინა, პირველად წაიკითხა და პირველად წარმოთქვა ამ მონოგრაფიის ავტორმა. მას ახსოვს, მოისმინა ბავშვური ალტყინებით, მაგრამ წაიკითხა და წარმოთქვა, ესეც კარგად ახსოვს, დიდი წვალებით. მერე, როცა ცოტა რამ მანაც გაიგო ბგერაბმულ მეტყველებაზე, შენიშნა, რომ თურმე ასევე წვალობდნენ არა მარტო მისი თაობისა და არა მარტო წოვის ბავშვები.

რატომ?


მართლაც უნიკალურია **ი. გოგებაშვილის „ღელა ენის“** ეს პირველი გაკვეთილი. ამ ორად-ორ ასო-ბგერაში მარტო დასრულებული წინადადება და თითოეული ჩვენგანის ბავშვობა როდია: მასშია თვით ჩვენი ღელა ენა.

თუკი გულმოდგინედ და პედანტურად ჩავეკიდებით თითოეული ცალკეული ბგერის არტიკულაციას, აქ პრაქტიკულად გვქავს **ა** და **ი** ხმოვნების მოცემული წყობა და ამ წყობის ინვერსიული ვარიანტი **ი** და **ა**.

ასეც კითხულობდა თითოეული ჩვენგანი სულ პირველად:

[ცა], [ცი], [ცი], [ცა] (1)

ანუ: თითოეულს ამ ასო-ბგერათაგან წარმოვთქვამდით ცალ-ცალკე, ერთმანეთისგან სრულიად იზოლირებულად, განცალკევებულად, დანაწევრებულად (*staccato*) – ისე, როგორც ჩვენი ჯერ კიდევ სრულიად ქორთვა მხედველობა აღიქვამდა. თითოეულ ასო-ბგერას ვიზრებდით ცალკეული ბარათის, ანუ ცალკეული ხატის სახით:



ამის შემდეგ თითქოსდა განვალაგებდით კიდევაც მათ გარკვეული წესრიგით:



ამ თვალსაზრისით, ამგვარი – ჩათვლითი – კითხვისათვის, გარკვეული გაგებით, შეიძლება გვეწოდებინა **სტატარული**¹⁴⁷ **არტიკულაცია**: თითოეული ბგერითი აქტი, ანუ თითოეული არტიკულაცია შეესაბამება უმოძრაო მდგომარეობაში საჩვენებლად გაჩერებულ თითოეულ წერით გამოსახულებას, ანუ წერილობით აქტს (სურათს, კადრს, ხატს).

თუკი „სამეტყველო ბგერების წარმოთქმის რწყმულობა, სამეტყველო ორგანოების საარტიკულაციო მოძრაობათა უწყვეტლობის (ბმულობის – ა. ბ.) შედეგად, იწვევს მეზობელი ბგერების ურთიერთმოქმედებას“ (БСЭ, 1975, 74) და, მაშასადამე, იწვევს გარკვეულ ცვლილებებს ყოველ მათგანში, მაშინ არ უნდა გაგვიჭირდეს იმის წარმოდგენა, რომ ბავშვს, რომელსაც ჯერ არავითარი ჩვევები არ გააჩნია საამისოდ, რა თქმა უნდა, გაუჭირდება განცალკევებით დანახული და მასწავლებლის მიერ წარმოთქმული **ა** და **ი**, **ი** და **ა** ხმოვნების შერწყმა იმ უთუო ცვლილებების შეტანით, რომლებზეც აქ ვლაპარაკობთ. ამიტომაც კითხულობს ის **აი ია**-ს რაიმე შერწყმის (ბმის) გარეშე, ანუ კითხულობს არა **kinematos**-ის (მოძრაობის), არამედ **cadre**-ების (ცალკეული სურათების) სახით (გავიმეოროთ): [ცა], [ცი], [ცი], [ცა], ანუ [ცაყციყცა]. ჩვენ ეს არტიკულაცია ზემოთ შევუსატყვისეთ **staccato**-ს.

საზიარო არტიკულაციის წესის (ბგერათშეერთების პირველი წესის) მიხედვით, უშუალო მეზობლობაში მოხვედრილი ბგერების არტიკულაცია უნდა იყოს საზიარო, ანუ არტიკულაციის წარმოება უნდა მოხდეს მხოლოდ

147 ლათ. *‘მდგომარე, უმოძრაო’* (უსლ, 1989); საპირისპ.: **კუერსორიული** ლათ. *‘სწრაფ-მოძრავი’* (იქვე).

ერთხელ და არა ცალ-ცალკე თითოეულისთვის (ახვლედიანი, 1966, 99). ჩვენ ეს არტიკულაცია ზემოთ შევესატყვისეთ **legato**-ს.

სკოლაში მისვლის პირველივე დღეს ბავშვმა არ იცის ეს წესი, რომელიც ურთულესი მეცნიერების – ზოგადი ფონეტიკის – მრავალსაუკუნოვანი ძიების შედეგს წარმოადგენს. ამიტომ კითხულობს იგი **ა**-სა და **ი**-ს, **ი**-სა და **ა**-ს იმდენი დამოუკიდებელი ფონეტიკური სიდიდის სახით, რამდენ გრაფიკულ სიდიდესაც აღიქვამს, ანუ რამდენ ხატსაც ხედავს.

პარადოქსია, მაგრამ შემდგომ, დიდობაში, იმავე ბავშვს, უკვე ზრდასრულ ადამიანს, როგორც ზოგადი ფონეტიკა გვასწავლის (ახვლედიანი, 1949, 144 ; ახვლედიანი, 1966, 113), ასევე გაუჭირდება სიტყვის დანაწევრება მის შემადგენელ ბგერებად, ანუ **ია** სიტყვის დანაწევრება **ი** და **ა** სიდიდეებად.

დიდობაშიღა ვხედავთ და ვიგებთ, რომ ცალკეული ასო-ბგერა თავისთავად ჯერ კიდევ არაფერს არ აღნიშნავს აქ და, მაშასადამე, არაფერს არ გვეუბნება – ვიდრე „საერთო ფერხულში არ ჩაებმება“ ამავე სიტყვის შემადგენელ სხვა ასო-ბგერებთან, რომ ასო-ბგერათა ასეთი შეერთება-შეხმატკბილება (ბმულობა – **legato**) გვაძლევს საბოლოოდ იმას, რასაც სიტყვის მნიშვნელობას, სემანტიკას ვუწოდებთ და სადაც ასოს სახით წარმოდგენილი ბგერა აღწევს თავისი ფონოლოგიური (დისტინქტური, სოციალური) ფუნქციის რეალიზაციას.

მოკლედ, როცა ეს-ესაა ვსწავლობთ ამა თუ იმ ენაზე დაწერილის კითხვას, რწყმულად (**legato**) წარმოთქმის ნაცვლად დანაწევრებულად (**staccato**) წარმოთქვამთ წინადადებაში შემაჯალ თითოეულ სიტყვას, სიტყვაში შემაჯალ თითოეულ ბგერას და, თუ გვაქვს მარცვლების გარჩევის უნარი, თითოეულ მარცვალს. და სწორედ აქ ხდება სახმო სიმების ხშვა-განხშვა ხმოვნით დაწყებული სიტყვის ან მარცვლის შემართვაში, აგრეთვე ცალკე წარმოთქმული თითოეული ხმოვნის შემთხვევაში; შდრ.: **გაუუუღღაშოებია: გაყუყუღღა-ვა-შოცე-ბიყა.**

როგორც წერილ-, ისე ზეპირმეტყველებაში გაუწაფავ ბავშვს, რომელიც პირველად ხედავს ასოებს და რომელსაც პირველად, გაჭირვებით ათქმევინებენ (ამეორებიანებენ) ცალკეულ ბგერებს, უჭირს ამ ოთხი ასო-ბგერის ჯერ ორ ფონეტიკურ ჯგუფად, ორ ნაკადად დაყოფა (**ცა**], **ცი**] და **ცი**],**ცა**]), ხოლო მერე – თითოეულ ჯგუფში შემაჯალი ასო-ბგერების სინთეზირება, ანუ გაერთიანება-გადაბმა, რაც აღვნიშნეთ $\sim$ ნიშნით (ლიგით):

[**ცა** $\sim$ **ცი**] **ცა**] (2)

და ეს პრობლემა **აი ია**-თი არ მთავრდება: მერეც გველობებოდა წინ – ზოგს მეტი, ზოგს ნაკლები ხნით.

ბავშვმა ან მექანიკურად უნდა გაიმეოროს მასწავლებლის მიერ წარმოთქმული სიტყვა, ანდა უტეხ უნდა გაუეღოს თავში, რომ ეს მისთვის ნაცნობი სიტყვაა, რათა ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინოს. ბავშვი უნდა მივიდეს იმ მომენტამდე, რასაც გერმანელმა ფსიქოლოგებმა **აჰა-ეფექტი** უწოდეს და რომელიც, **მ. მამარდაშვილის** განმარტებით, მდგომარეობს იმაში, რომ „რაიმე ცნებასთან (ამ შემთხვევაში სიტყვასთან – ა. ბ.) შეხვედრამ თქვენში გამოიწვიოს განცდა: „აჰ, მე ხომ ვიცოდი, მაგრამ არ ვიცოდი, რომ ამაზე ასე შეიძლებოდა ლაპარაკი“ (მამარდაშვილი, 1992, 159). ეს საინტერესო ფსიქოლოგიური მონაბოგარი ჩვენს შემთხვევას ასე შეიძლება მივუსადაგოთ: „აჰ, მე ხომ ვიცოდი, რომ ეს ასე უნდა წარმოთქმულიყო, მაგრამ არ ვიცოდი, როგორ წარმოთქმევა“. მაგრამ ამ ფსიქოლოგიურ ეფექტამდე (შედეგამდე) მისასვლელი გზა საკმაოდ ეკლიანია ბავშვის ჯერ კიდევ ჩვილი ფუნქციონებისთვის.

პირველად დანახული თუ მოსმენილი ასო-ბგერების მოქცევა ერთად, ერთ ფოკუსში, ანუ მათი აღქმა და გამოთქმა ერთ ნაკადად, ერთ მთლიანობად, რწყმულად, მითუმეტეს, თუ სიტყვა ნაცნობი არ არის, ბავშვებს უჭირთ. და ეს ბუნებრივიცაა.

ყველას, მით უმეტეს, იმას, ვინც ისე შეეკიდა „**ღღა ენას**“, რომ, ამ მონობრადიის ავტორის მსგავსად, ორი სიტყვაც არ იცოდა ქართული, ცხადად თუ არა, ბუნდოვნად მაინც ეხსომება პირველი და საოცარი გაკვეთილი – **აი ია**, რომელიც წარმოადგენს არა მხოლოდ შესიტყვებას, ანდა წინადადებას, არამედ მთელ სამყაროს. იმას, რის თქმაც გვსურს, უთუოდ გავგვიგებს ისიც, ვინც სახლში ამეცადინებს თავის პირველკლასელს „**ღღა ენაში**“ და ისიც, ვინც პირველ კლასში ასწავლის. იმას კი, თუ როგორ იწყებდა „**ღღა ენას**“ კითხვას თუ მთა წოვის თემში თითქმის ყოველი მოერე თუ არა მესამე ბავშვი იმ დროს, როცა თუშური ენა ჯერ კიდევ სტაბილურად გამოიყურებოდა, მკითხველი უთუოდ ჩასწვდება ქვემოთ წარმოდგენილი ეპიზოდის წყალობით.

თუშურენოვანი მეტყველებრივი სინამდვილის ამსახველ ამ სიუჟეტს ჩვენი საველე ჩანაწერებიდან მოვიშველიებთ იმ აზრის განსამტკიცებლად, რომ დანაწევრებული (ჩათვლითი) კითხვიდან რწყმულ (ბმულ) კითხვაზე გადასვ-

ლა ბავშვებს ნამდვილად უჭირთ – ამ შემთხვევაში თუ შურენოვან სივრცეში, და რომ დანაწევრებულად წაკითხულიდან ბავშვს ვერ „გამოჰყავს“ ის, რაც სინამდვილეში უნდა გამოვიდეს, და რომ ცალკეულ ასო-ბგერებს ბავშვი ისევე ძნელად აკავშირებს ერთ მთლიან სიტყვად, ანუ ცნებად, როგორც, მაგალითად, ციფრებიდან **1** (ერთი) და **2** (ორი) ვერ აცნობიერებს რიცხვს **12** (თორმეტი).

აქ ჩვენ გვინტერესებს არა იმდენად ის, რომ ბავშვს უჭირს ჩათვლითი კითხვიდან მხოლოდ კითხვზე გასასვლა, რაც ისედაც ცხადია, რამდენადაც ის, თუ რატომ უჭირს მას ეს, რაშიც ვხედავთ ერთგვარ კავშირს ხმოვნებიდან თანხმოვნებაზე მიმავალ გზასთან.

მოცულობით მცირე, მაგრამ ლინგვისტურ-ფსიქოლოგიური, აგრეთვე პედაგოგიური თვალსაზრისით და ჩვენი მოსაზრებით, ერთობ საინტერესოა ამ ეპიზოდის პერსონაჟები არიან შვილიშვილი – **პატა მახბლიშვილი**, დღეს ზრდასრული მამაკაცი და მისი ბებია მამის მხრიდან – **საბელა**, რომელსაც შინაურობაში **არას (აროს)** ეძახდნენ.

არა პირველკლასელ **პატას „დღეა ენაში“** ამეცადინებს. კალენდრით **შ** ასო-ბგერაზე არიან და გაკვეთილად აქვთ **შეშა**. უკვე მერამდენედ ჩაკითხა ბავშვმა ჩათვლით (დანაწევრებულად) **შ-ე-შ-ა** (ჩვენი გაფორმებით [**შ**] [**ცე**] [**შ**] [**ცა**]), უკვე მერამდენედ ჩაკითხა მას ბებია „აბა, შვილო, რა გამოვიდა?“ და უკვე მერამდენედ გააჰარა პატამ თვალი შეშის ამსახველი სურათისკენ სახელმძღვანელოში. ბავშვის მთელი გულწრფელობით ნათქვამი პასუხი ერთი და იგივე იყო:

– **დოსი**, არო!

წოვათუში პირველკლასელისთვის სიტყვის ბგერაბმულ წარმოთქმაზე გაცილებით უფრო იოლი აღმოჩნდა ის, რაც, ჩვენი აზრით, გაცილებით უფრო რთულსა და ძნელ პროცედურას უნდა წარმოადგენდეს – თავის დადწევა ასოციაციათა ურთულესი ლაბირინთებისგან სურათის „წაკითხვისა“ და შეძლეგ მისი „თარგმნის“ გზით: თუ შურენოვანი **დოს** იგივეა, რაც ქართულენოვანი **შეშა**, – ი კი ქართულენოვანი ნომინატივის ფლექსიაა, რომელსაც ინტეგრაციის კალობაზე თავისუფლად იყენებენ თუშური ენის მატარებლები თუშურენოვანი სიტყვების განთავსებისას ქართულენოვან სივრცეში.

ვიმეორებთ: ამ მდგომარეობაში იყო თითქმის ყოველი მეორე წოვათუში ბავშვი. აქ წამოწეული პრობლემა ქართულენოვან ბავშვებში, რა თქმა უნდა

გარკვეულად სხვა სიძიძით იდგა, მაგრამ აქაც უსათუოდ იყო სახეზე პრობლემა, როგორც ასეთი, რასაც არსებული ვითარების კვალობაზე ნებისმიერი მასწავლებელი დაგვიდასტურებს დღესაც. მეტიც: იგივე პრობლემა უთუოდ არის იმ ნებისმიერ ენაში, რომლის სწავლა თუ სწავლებაც იწყება ასო-ბგერითი დანაწევრებული კითხვით.

ახლა აღბათ რამდენადმე უფრო მეტ გამჭვრევლობას იძენს **ლიმონათი** სიტყვათა თამაშიც, რომელიც სახუმარო დავალების კვალითუკაცითი ეძლევა თანამოსაუბრეს სწორედ იმ ანგარიშით, რომ მას უთუოდ გაუჭირდება **ათი** [**ცათი**] ლექსემის ანლაუტის ხმოვნის განთავისუფლება მაგარი შემართვისგან (*staccato*) იმისათვის, რათა ჩართოს იგი შესიტყვების რწყულ (*legato*) არტიკულაციაში და მიიღოს მისთვის მოულოდნელი ლექსემა **ლიმონათი**: **ლიმო[ნცა]თი > ლიმონ[ა]თი > ლიმონათი**, რასაც მივყავართ **აჰა-ეფექტამდე**.

სწორედ ამგვარი მაგალითები შეიძლება გამოგვადგეს ბგერების იმგვარი ინტერპრეტაციისთვის, როგორიც ჩვენ წამოგვიდგენია.

აქ (1) ვარიანტში, ცალ-ცალკე იკითხება რა ყოველი ასო, ყოველი ბგერა გამოითქმის ცალ-ცალკე, „თავიდან“ (გავიმეოროთ): [**ცა**], [**ცი**], [**ცო**], [**ცა**].

აქ ყოველი ბგერა წარმოდგენილია, თუ შეიძლება ასე ითქვას, მთელი თავისი არსით, სადაც ბგერის შემადგენელი თითოეული მომენტი წარმოდგენილია უკლებლივ: თავისი დასაწყისით (შემართვით, აღმართით, ექსკურსიით), დაყოვნებით (მწვერვალთ, პლატოთ) და დასასრულით (დამართვით, დადმართით, რეკურსიით). შემართვა აქ უსათუოდ მაგარია: [**ც**].

ვიდრე **აი ია** თემას გავაგრძელებდეთ, ჩაწოთთ კიდევ ერთი არანაკლებ საინტერესო ლინგვისტური ეპიზოდი.

უფროსების კითხვაზე რომელიდაც საგანთან დაკავშირებით **ვინ გადააგდო, ნიკოლოზ?** ჩვენი საცხოვრებელი კორაუსის პატარა ბინადარმა, რომელიც ის-ის იყო ეუფლებოდა მეტყველებას, ბუნებრივად მიმართა რა დანაწევრებულ (*staccato*) არტიკულაციას (მას სხვაგვარად არც შეეძლო), უპასუხა: **მე ა, ია [მე][ცა][ცია]**, ანუ **[მეცაცია] ‘მე არა, იაშ’** (ჩაწერილია 2004 წ. 14 ივლისს).

ეს არის არა უსათუოდ ბავშვური გამოუცდელობით დამახინჯებული წაკითხვა, არამედ წაკითხვა სუნთქვითი პროცესების მოთხონილებათა დაცვით თითოეული ასო-ბგერისთვის (ან მარცვლისთვის) ცალ-ცალკე.

(2) ვარიანტში უკვე ასე თუ ისე ნაცნობი ასო-ბგერები ორ მორფოლოგიურ, ლექსიკურ (და ფონეტიკურ) ნაკადად არის დაჯგუფებული. აქ „თავიდან“ ვკითხულობთ უკვე არა თითოეულ ასო-ბგერას, არამედ ასო-ბგერათა ორი ჯგუფიდან თითოეულს:

[ცა] [ცი] [ცა] (2)

ეს არის უკვე წაკითხვა მართლგამოთქმის (ორთოეპიის) ნორმების სრული დაცვით შესიტყვებაში შემაჯავლი თითოეული წევრისთვის: ლექსემისთვის **აი** და ლექსემისთვის **ია**.

მაგრამ ჩვენ გაინტერესებს (1) ვარიანტში დაფიქსირებული ფაქტი, ფონეტიკური მომენტი, როცა ბავშვი ვერ ახერხებს დანახული ასო-ბგერების რწმულ არტიკულირებას:

[ცა] [ცი] [ცი] [ცა] (1)

ბგერათშეერთების მრავალფეროვნებას, – გვასწავლის ზოგადი ფონეტიკა, – ვერ ამოწურავს სამი ძირითადი წესი: საზიარო არტიკულაციის წესი (სადაც იგულისხმება გრძელი ბგერები და აფრიკატები), არტიკულაციის უმოკლესი წესი (სადაც იგულისხმება დიფთონგები და შემთავა-დამართვები – ფშვინვიერი, ძლიერი, რბილი) და არტიკულაციის ერთჯამიერობის წესი (სადაც იგულისხმება თანხმოვანთა აქცესიურ-დეცესიური, ანუ აქეთურ-იქითური, აგრეთვე, ჰარმონიული, ანუ ქართული კომპლექსები); „ამიტომ ბგერათშეერთების ზოგიერთ დანარჩენ სახეებს ვაერთიანებთ **კოარტიკულაციური** ბგერათცვლილების ცნებაში“, რომლის მიხედვითაც „ბგერის გარემოცვაში, ე. ი. ბგერათშეერთებისას სიტყვაში, თითოეული ბგერა იძენს ხოლმე დამატებითს ანუ **მეორეულ** საწარმოთქმო მოძრაობა-მდგომარეობას“ (ახვლედიანი, 1966, 107-108).

„ისტორიულად ზოგიერთ მეორეულ არტიკულაციას შეუძლია მოაპოვოს მოცემული ბგერისთვის არსებითი ხასიათი“ (იქვე, 108). ასეთია, მაგალითად, პალატიზაცია რუსულ ენაში, ნაზალიზაცია ფრანგულ, პოლონურ, თუშურ და სხვა ენებში და სხვ.

„ჩვეულებრივ, ცოცხალი წარმოთქმის პროცესში, ეს მეორეული არტიკულაცია არააარსებითია მოცემული ბგერისთვის“ (იქვე). ჩვენ საუბარი გვაქვს სწორედ არაარსებით, მეორეულ არტიკულაციაზე, რომელსაც ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა ეძლევა, მით უმეტეს, რომ, როგორც ვთქვით, ასეთ არტიკულაციას შეუძლია შეიძინოს არსებითი ხასიათიც.

მსჯელობის მსვლელობაში უსათუოდ უნდა ჩაფრთოთ ყოველ ორ შეერთებულ ბგერას შორის არსებული „მეტ-ნაკლები ხანგრძლივობის **გარდამავლობაც**“ (ახვლედიანი, 1966, 97), ანუ ამ ღროს წარმოებული **გარდამავალი ბგერაც**.

ბავშვს, რომელმაც ეს-ესაა სკოლის ეზოში შეაბიჯა, ვინ იცის, გაზაფხულზე, ტყის პირას გასულს, თავადვე რამდენჯერ აქვს წამოძახებული: **აი ია!** ასე ჟღერს ეს მოცემულობა თუშურ ენაზეც.


მაგრამ: ანლა, როცა მისთვის ამ უჩვეულო გარემოში სრულიად უცნობი ადამიანი (მასწავლებელი) მისგან მოითხოვს რაღაცას (წაკითხვას, გაძეგვას, კითხვაზე პასუხის გაცემას...) და ამასთანავე მოითხოვს ესოდენ კუშტად, კატეგორიულად და თანაც საჩქაროდ, როცა ერთბაშად აჩვენებენ ოთხ (და არა ერთ) ასოს და თანაც ხმოვანთა თავყრილობას, როცა მტკივნეულად ჩატარდა პირველი ოპერაცია („აბა, თქვი ა“, „აბა, თქვი ი“) და ა. შ., – ბავშვი, რომელსაც წარმოდგენა არა აქვს არც ბგერათშეერთების სამ ძირითად წესზე, არც კოარტიკულაციაზე, არც გარდამავალ ბგერაზე და, საერთოდ, მის ჯერ კიდევ ქორთა გონებას არ შეუძლია აბსტრაგირება, განყენება, განზოგადება, რაც გულისხმობს რაიმე საგნის არაარსებითი ნიშნების უგულებელყოფასა და არსებითი ნიშნების გამოყოფის უნარს, რჩება რა კონკრეტული, პირველი მხედველობითი თუ სმენითი აღქმის ერთეულ მონად, ოთხი სურათის, ოთხი კადრის, ოთხი ხატის, ოთხი ამბის სახით აღქმულ სინამდვილეს წარმოთქვამს ურთიერთისგან არტიკულაციურად დამოუკიდებელი ოთხი ბგერის, ოთხი ბგერითი ხატის სახით.

განცალკევებით დანახული (ან თუნდაც ერთი სიტყვის მოცულობაში მოქცეული) ასო-ბგერების გადაბმა ბავშვისთვის წამროდგენს იმ სიმნელის უკუსახეს, რომელზედაც **გ. ახვლედიანი** ბრძანებს: მეტყველების „დაშლა შემადგენელ ფონემებად მხოლოდ ფონეტიკური ანალიზის შედეგია: ვინც არაა დახელოვნებული წარმოთქმული ნაკადის – ცალკეული სიტყვის თუ წინადადების – ბგერებად დაშლაში, მას ეს უფრო ეძნელება, ვიდრე მისი დაშლა მარცვლებად. მაგ., უწიგნური ადვილად დაშლის სიტყვას **ფოთოლი** მარცვლებად – **ფო-თო-ლი**, მაგრამ ვერ დაშლის მას ფონემებად – **ფ-ო-თ-ო-ლ-ი**“ (ახვლედიანი, 1966, 113), რაც ჩვენი გრაფიკით იღებს სახეს: [ფ-ცო-თ-ცო-ლ-ცი].

და პირიქით: ვინც ჯერ არაა დახელოვნებული განცალკევებით დანახული და ასევე განცალკევებით მოსმენილი ასო-ბგერების გადაბმაში, მას ეს უფრო უძნელდება, ვიდრე მზა გადაბმულის მოსმენით გაძეგვა. ამავე

პრობლემის წინაშე აღმოვჩნდებით ხოლმე ჩვენც, დიდები, როცა ამა თუ იმ უცხო ენის შესწავლას ვკიდებთ ხელს.

XXI საუკუნის ზოგიერთი ქართველი პარლამენტარი, ვისაც, XX საუკუნის 40-იანი წლების წოვათუში პრეფერენციულად დიდად განსხვავებული ვალდებულებები ეკისრება მსოფლიო დონის ტრეინინგთან (ეფროპარლამენტში), სამწუხაროდ, იმიტომაც იქცა სალაპარაკო ობიექტად სულ ახლახან, რომ თავის ინგლისურენოვან გამოსვლაში, ბევრ სხვა რამესთან ერთად, **staccato**-ს მიმართავს იქ (მარტო ხმოვნებს არ ენება საქმე), სადაც ლექტო უნდა მოიმარჯვოს, რაც იგივეა, თუკი იგივე პარლამენტარები **აი ია** ფრანგულს წაითხავდნენ ასე:




ჩვენ, გასული საუკუნის 40-იანი წლების წოვათუში ბავშვებს, თითქმის არც ერთი ქართული სიტყვა რომ არ ვიცოდით, კარგად გვახსოვს პირველი დღეები სკოლაში, სადაც, თურმე, წინასწარ და მკაცრად განსაზღვრული ე. წ. სასწავლო გეგმით, ჩაუმუხლავედ უნდა გვევლო წინ. ჩვენი დანაწევრებული [ა] [ი] [ა] [ა]–ს გამო საყვედური არ გვეკლდა არც სკოლაში, არც სახლში. ჩვენ მაშინ ნამდვილად არ გვეჩვენოდა და არც უნდა გვეჩონოდა რამენაირი წარმოდგენა ამაზე, მაგრამ ჩვენს მოჩინებებს კი ჰქონდათ სრული წარმოდგენა ე. წ. დანაწევრებულისა (**staccato**) და ე. წ. რწყმულ (**legato**) არტიკულაციაზე, რომელიც, თურმე, ზოგადი ფონეტიკის ერთ-ერთ ურთულეს მონაკვეთს წარმოადგენს?

ცნობილია, რომ მეტყველება (ზეპირმეყველება), ჩვეულებრივ, რწყმული ხასიათისაა არა მარტო ცალკეული სიტყვების, არამედ მთელი წინადადებებისა და, ასე განსაჯეთ, ზოგჯერ მთელი აბზაცების ფარგლებშიც კი. ასეთ მეტყველებას ისმენს ბავშვიც ირგვლივ მყოფთაგან ჯერ კიდევ მაშინ, როცა თავად არათუ მეტყველებას ვერ ფლობს, არამედ ვერ ამბობს ცალკეულ სიტყვებსაც კი. ამ დროს ირგვლივ მყოფნი, ცდილობენ რა ბავშვი აამეტყველონ (ამეტყველებას ქვეცნობიერად თვით ბავშვიც ცდილობს – ასეთი მოთხოვნისგან მასში იმთავითვე არის ჩადებული), მიუთითებენ მას ცალკეულ ნივთებზე, პიროვნებებზე, ცხოველებზე და ეუბნებიან: **თოჯინა...**

აი თოჯინა!.. ფისო... აი ფისო! ძია... აი ძია! და ა. შ. ხაზი გავუსვათ: ბავშვს აგონებენ ცალკეულ სიტყვებს არა დანაწევრებულად (**staccato**), ანუ არა ცალკეული მარცვლებისა თუ ბგერების სახით (როგორც ამას მერე მივმართავთ, როცა კითხვას ვასწავლით), არამედ – რწყმულად (**legato**). და ბავშვი ერთხელაც ამოთქვამს – ასევე რწყმულად: **ჯოჯინა... ფიშო... ჯია...**

ამგვარად: უმეტველო სტადიიდან ბავშვი პირდაპირ აბიჯებს რწყმულ ლექსიკურ არტიკულაციაში. ამის შემდეგ ის ეტაობრივად გადაერთვება რწყმულ შესიტყვებებში (**ცეპი ჯოჯინა... ცეპი ფიშო... ცეპი ჯია...**), რწყმული შესიტყვებებიდან კი – რწყმულ სინტაქსში (**ცეპი ჯოჯინა მიდა... ცეპი ფიშო დაღის... ცეპი ჯია მოიდა...**). ასე გრძელდება იმ დღემდე, სანამ ბავშვს „დღეიდან“ არ დაუფლებთ წინ. აქედან იწყება მისთვის ზეპირი მეტყველებიდან კითხვით (წერილობით) მეტყველებაზე გადასვლა. სწორედ აქედან იწყება ის პირველი და ერთობ სერიოზული პრობლემა, რომელსაც **აი-ია-პრობლემას** ვუწოდებდით. ეს სიმწელე აღრე თუ გვიან უსათუოდ არის გადასალახავი, აღრე თუ გვიან ბეზიაც და შვილიშვილიც, მასწავლებელიც და ბავშვიც უსათუოდ უნდა ჩასწვდნენ იმ ეტაობრივ საფეხურებს, რომლებიც სქემატურად დაახლოებით ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ:



(აქ, რა თქმა უნდა, იგულისხმება, რომ ბავშვის სამეტყველო „შემოქმედება“ იწყება არა აბზაცური, არამედ ლექსიკური არტიკულაციიდან, თუმცა მისი ყური და გონება იმთავითვე აბზაცური თუ სინტაქსურ-შესიტყვე-

ბითი არტიკულაციის ველშია განთავსებული, რაც გარკვეულ შედეგობრივ ფონს ქმნის).

ეს არის ბავშვის მეტყველებრივი განვითარების გზის ანალიტიკური მიმართულება. ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ბავშვს ვაგაღდეულებთ დანაწევრებული **თ-ო-ჯ-ი-ნ-ა**, ან თუნდაც **თო-ჯი-ნა** წარმოგვიდგინოს რწყმული სახით: **თოჯინა**. აქ ანალიზის რიგში დგება სინთეზი:

და ა. შ.

↑ რწყმული ლექსიკური არტიკულაცია
დანაწევრებული მარცვლოვანი არტიკულაცია
დანაწევრებული ბგერითი არტიკულაცია

ბავშვისთვის ეს არის ყველაფრის „ყირაზე დაყენება“. და ის უბრალო და ერთობ მელოდური წინადადება-შესიტყვება **აი ია**, რომელიც ბავშვს მანამდე, ვინ იცის, რამდენჯერ ჰქონდა არტიკულირებული, ეხლა, **თურმე**, უნდა დაანაწევროს ოთხ დამოუკიდებელ ფონეტიკურ (სამეტყველო) სიდიდედ **-ა, ი, ი, ა**, რათა მერე იქვე შეკრას ერთ მთლიანობად, ერთ წინადადებად, დასრულებულ აზრად: **აი ია**. სწორედ აქ ჩნდება რწყმულისა და დანაწევრებულის მაშორიშორებელი თუ მაკავშირებელი სამანები, რაც მჭიდრო კავშირშია ძლიერი და თავისუფალი შემართვის (შემართვების) რაობასთან. საქმე ის არის, რომ სხვაგვარად კითხვას (ვერც წერას) მართლაც ვერ ისწავლის ვერც ბავშვი, ვერც ასაკოვანი: როცა ნებისმიერ ასაკში ამა თუ იმ უცხო ენის შესწავლას ვეკიდებით, ჩვენ თავადვე ვანაწევრებთ სიტყვებს მარცვლებად თუ ბგერებად, ისევე როგორც პირველ კლასში ყოფნისას ვანაწევრებდით **აი ია**-ს, ალბათ იმ განსხვავებით, რომ დანაწევრებულიდან რწყმულზე გადასვლა დიდობაში იმდენად ადარ გვიჭირს. აქ იკვეთება განმასხვავებელი კონტურები წერით-კითხვით მეტყველებასა (წერა-კითხვასა) და ზეპირ მეტყველებას შორის.

მოკლედ: ახლა, როცა ამდენი ვისაუბრეთ უკვე ანლაუტის ხმოვანთა მაგარ შემართვაზე, შეიძლება ვთქვათ, რომ ის, რითაც პირველკლასელები იწყებენ ხმოვნებად დანაწევრებული **აი ია** შესიტყვების თითოეული ხმოვნის არტიკულაციას (ანლაუტშიც, ინლაუტშიც, აუსლაუტშიც), არის სწორედ ხმოვნის მაგარი შემართვა, რომელიც თავის ბუნებრივ რეალიზაციას პოუ-

ლობს ლარინგალური **ს**-ს სახით (ანუ **staccato**-ს სახით): **[სა] [ცი] [ცი] [სა]**, ანუ **[საყიციყა]**; ის კი, რასაც ჩვენ მოვითხოვთ ბავშვისგან იმისათვის, რათა, ბოლოს, სიტყვაში შემავალი ხმოვნები წარმოთქვას რწყმულად (**legato**-თი), სხვა არა არის რა, თუ არა ხმოვნის თავიკიდური **ს**-ს ჩამოშორების ტექნიკა, რასაც ბავშვი საიდან უნდა ფლობდეს. მეტიც: ბავშვისგან ამას მოვითხოვთ მისთვის იმ გაუგებარ პირობებში, როცა ეს **ს** ინლაუტისა და აუსლაუტის ხმოვნებს უნდა ჩამოშორდეს, ანლაუტის ხმოვნებთან კი ხელუხლებელი დარჩეს, რაც კიდევ უფრო ამძიმებს სიტუაციას: **აი ია, [საი][საი]**, ანუ **[საყიყა]**.

ერთი სიტყვით, ბავშვისგან მოვითხოვთ ჩვენ მიერვე სტაკატოთი ნაკარნახევი და მის მიერ რამდენჯერმე სტაკატოთივე გამოვრებული ცალკეული ხმოვნების წარმოთქმას ლეგატოთი. რამდენად ძნელი უნდა იყოს ეს ბავშვისთვის პირველ დღეებში, ალბათ მუსიკათმცოდნეც შეათვასებენ. ჩვენ კი ესლა შეგვიძლია დავურთოთ: თუკი გამოჩნდებოდა ისეთი ძალა, რომელიც იმ შორეულ ბავშვობაში დაგვაბრუნებდა (ამჟამინდელი ცოდნითა თუ გამოცდილებით), ეჭვიც არაა, სულ სხვაგვარად გამოვჩნდებოდით.

§5 (42). ამ თავიდან მიღებული შედეგები.

თავისუფალი ხმოვნების, **ს** თანხმოვნისა და ჩვეულებრივი ხმოვნების ურთიერთმიმართების კიდევ ერთხელ დაზუსტების მიზნით, ურიგო არ იქნება რამდენიმე სამუშაო თეზისის ჩამოყალიბება:

1. თუ სახმო სიმებს ვიქონიებთ ჩვეულებრივი სუნთქვითი აქტის მდგომარეობაში, ბეჭდით რომ ვეცადოთ, ხმას ვერ მივიღებთ („ვერ ამოვიღებთ“), რადგან სიმებზე ჰაერის ხახუნი ამ დროს ყველაზე სუსტია (1).

2. „ხმა რომ ამოვიღოთ“, სახმო სიმები მუშა (სახმო) მდგომარეობაში უნდა მოვიყვანოთ მათი ერთგვარი დაჭიმვითა და, მაშასადამე, მობილიზაციით (აქტივაციით), რითაც სასუნთქ ჰაერნაკადს გადავაქცევთ სამეტყველო ჰაერნაკადად ხახუნის გაზრდის გზით; აქ არც აუცილებელია და არც საჭირო სახმო სიმების ხშვა (2).

3. თუ ბგერები (ტურები) მოკუმული გვაქვს (ვსუნთქავთ ცხვირით) და სახმო სიმები გვაქვს იმავე – მუშა, ანუ სახმო (2) – მდგომარეობაში, ფილტვებიდან მომდინარე ჰაერნაკადი, გამოედება რა საამისოდ მზადყოფნა სახმო სიმებს, გვაძლევს ხმას (მაგრამ ჯერ კიდევ არა ბგერას); ამ დროს ჰაერ-

ნაკადიც და ხმაც გამოდის ცხვირის ღრუში (3).

4. თუ სახმო სიმებს იმავე – (2) და (3) – მდგომარეობებში ვიქონიებით და პირს გაგხსნით ისეთნაირად, რომ არც პირის ღრუს და არც ბაგეებს (ტუჩებს) არ ექნებათ რომელიმე ხმოვნისთვის საჭირო კონფიგურაცია, მივიღებთ იმავე ხმას, ოღონდ ამჯერად – პირის ღრუისეულს; მაგრამ ჯერ არც ამ შემთხვევაში გვაქვს ხელთ ხმოვანი (ბგერა) – არც თავისუფალი, არც სხვა რომელიმე, თუმცა ყველაზე ახლოს ვართ თავისუფალი ხმოვნის არტიკულაციასთან (4).

5. თავისუფალი ხმოვანი რომ ჩამოყალიბდეს, საჭიროა (4) მდგომარეობის პირობებში ენას, პირის ღრუსა და ტუჩებს მივადებონოთ ხუთი ჩვეულებრივი ხმოვიდან ნებისმიერისთვის შესაფერისი კონფიგურაცია. როგორც კი ეს აქტი შედგება, მყისვე მივიღებთ თავისუფალ ხმოვანს, რომელიც, ღიაზე, ჯერ კიდევ უფრო მეტად ჰგავს ხმას და ნაკლებად – ბგერას. უფრო მეტად რომ დამსგავსებოდა ბგერას ასეთი – თავისუფალი – ხმოვანი, საჭირო იყო ისეთი დანამატის შეტანა მასში, რომელიც განასხვავებდა მას საკუთარი თავისგან, ანუ თავისუფალი ხმოვნისგან.

6. სამეტყველო ენერგიისა და ღროის ეკონომიის, აგრეთვე ზედმეტ წინაღობათა თავიდან აცილების საჭიროებიდან გამომდინარე, ეს-ესაა ამეტყველებულ ადამიანს (*Homo dictor*) უნდა ეძებნა ისეთი რამ, რაც, ყველაფერთან ერთად, იოლი მისაწვდომი იქნებოდა. ასეთი აღმოჩნდა **პ**, რომელიც იწარმოება იქვე – სახმო სიმებში – და რომელიც, როგორც უამრავჯერ უნდა დაფრწმუნებულყავით ამაში, თითქმის ყველა ამ პირობას შეესატყვისება. **პ** არის ყველაზე მოკლე (მყისიერი) და ყველაზე იოლად წარმოსათქმელი თანხმოვანი ბგერა, იმდენად მოკლე და იოლად წარმოსათქმელი, რომ სწორედ მას და არა სხვა რომელიმე ბგერას წარმოთქვამს მისუსტებული ავადმყოფი, როცა, აღარა აქვს ლაპარაკის და, მაშასადამე, რაიმის წარმოთქმის უნარი და მხოლოდღა კენესის. საკმარისია სახმო სიმების მსუბუქი, თუმცა სრული ხშვა-სკდომა, რათა მივიღოთ კენესისებრი **პ**.

7. თუკი პირ-ბაგეს მივადებინებთ შესაბამის კონფიგურაციას და ამ პირობებში გავახოთ წინასწარ დახშულ სახმო სიმებს, მივიღებთ ჩვეულებრივ ხმოვანს, რომელიც, თავისუფალი ხმოვნისგან განსხვავებით, აღჭურვილია თავკიდური **ფ**-თი. ლარინგალური **ფ**-ს წარმოსათქმელად სახმო სიმები განხშვის მომენტშივე გადადიან იმ მდგომარეობაში, რომელიც აღვწერეთ (2),

(3), (4) და (5) მდგომარეობების სახით და რომელიც გვჭირდება თავისუფალი ხმოვნის საწარმოებლად. **ფ**-ს მიმყოფლა მყარდება (*sic!*) საწარმოთქმო ორგანოთა ის მდგომარეობა, რომელსაც ზოგადი ფონეტიკა უწოდებს „გარკვეულ მდგომარეობაში შეჩერებას“ (ახვლედიანი, 1949, 391) და რომლითაც ხმოვნები თანხმოვნებისგან განსხვავდებიან. და ეს განმასხვავებელი ნიშანი შემკვიდრებით გადმოეცათ ჩვეულებრივ ხმოვნებს თავისუფალი ხმოვნებისგან.

8. როგორც კი სახმო სიმებს „ნებაზე მივუშვებთ“, ანუ გადავიყვანთ ინდიფერენტულ მდგომარეობაში, შეწყდება ხმაც, ბგერაც და გადავალთ სუნთქვით პროცესზე – (1), რასაც მეტყველების დროს პარალელურ რეჟიმში მივმართავთ კიდევაც.

9. ჩუროჩულით წარმოთქმული ხმოვნების შემთხვევაში სახმო ქორდები იმაზე უფრო მოშვებულ („მიშვებულ“) მდგომარეობაშია, ვიდრე ეს საერთოდ სჭირდება ჩვეულებრივ სამეტყველო ხმას (ჩუროჩულის დროსაც იღებს მონაწილეობას „ხმა“, ოღონდ არა ჩვეულებრივი, არამედ სწორედ „საჩუროჩული“, რომელიც შეიძლება შევადაროთ გრამფორტიკის ხმას, როცა ის არ ან ვერ გადის რეპროდუქტორში).

მოკლედ: სახმო ნაპირის გახსნილობის ხარისხის მიხედვით, ბუნებრივია, განსხვავებული იქნება ამა თუ იმ ბგერის ესა თუ ის ნიშანიც – ძირითადი, თუ თანმყოფი (გვერდითი, დამატებითი).

იმის წყალობით, რომ მის წარმოთქმამდე ფილტვებიდან ამომდინარე ჰაერნაკადი ჩაკეტილია სახმო იოგებით და იმყოფება გარკვეული წნევის ქვეშ, თუკი დანარჩენი საარტიკულაციო ორგანოები მისი წარმოთქმისათვის შესატყვის კონფიგურაციაში არიან, სახმო სიმების გახსნისთანავე თითქოს-და თავისთავად, რაიმე დამატებითი ძალის გამოყენების გარეშე, მყისიერად „ამოიფრქვევა“ (წარმოთქმის) შესატყვისი ჩვეულებრივი ხმოვანი. თავისუფალი ხმოვნის არტიკულაციის შემთხვევაში კი სახმო სიმები იმთავითვე ღიაა და, თავისუფლად მოძრაობს რა ჰაერნაკადი სამეტყველო გზაზე, მოსაუბრემ ენერგია უნდა გაიღოს, რათა ჰაერნაკადის ხახუნს სახმო სიმებზე გაზარდოს იმდენად, რომ ისინი აჟღერდნენ და, მაშასადამე, ხმა გამოსცენ¹⁴⁸. ამასთანავე, წინამდებელი **ფ**-ს, როგორც სასტარტო ნიშნულის, წყალობით მყისიერად

148 სხვათაშორის, მოსაუბრეს იმაზეც უხდება აქ „ზრუნვა“, მბგერი იოგები იმდენად არ მიუახლოვდნენ ერთმანეთს, რომ მთლიანად ჩაკეტდნენ.

წარმოთქმული ჩვეულებრივი ხმოვნისგან განსხვავებით, ერთგვარად მეტია თავისუფალი ხმოვნის საარტიკულაციო დრო, რადგან აქ არსად ჩანს საწყისი საარტიკულაციო წერტილი.

მოკლედ, ჩვეულებრივი ხმოვნისგან განსხვავებით, თავისუფალი ხმოვნის არტიკულაციას ერთგვარად მეტი სჭირდება დროც და ენერგიაც. აქედან გამომდინარე, სამეტყველო დროისა და ენერგიის ეკონომიის პრინციპის შესაბამისად, ადამიანს გაუჩნდა მოთხოვნილება როგორმე ჩაეკეტა თავისუფალი ხმოვანი მისი არტიკულაციის საწყის მეცში. მაგრამ ჩამკეტი საშუალება უნდა ყოფილიყო ისეთი, რომ, დარჩებოდა რა თითქმის შეუმჩნეველი მსმენელის ყურისთვის, არ გადაგვარებდა, არ „წაშლიდა“, არ გადაფარავდა თვით ხმოვანს, როგორც ასეთს, არც ფონეტიკურად და არც, მით უმეტეს, ფონოლოგიურად. ასეთი აღმოჩნდა ყველაზე სუსტი და ყველაზე მოკლე (მცისიერი) ჩქამი – **ჟ** თანხმოვანი, რომლის წყალობითაც მივიღეთ დღევანდელი ჩვეულებრივი ხმოვანი, რითაც ჩვენი პირველყოფილი წინაპრების ექსპერიმენტმა (მცდელობამ) მოიპოვა წარმატება. თუმცა ამით უცებ არ აღგვიღა პირისგან მიწისა თავისუფალი ხმოვნები: მათ შესანარჩუნებლად ამოქმედდნენ ტრადიციების (ჩვევების), სულ ახლახან გაჩენილი ფონოლოგიური ოპოზიციების, როგორც ახალი სოციალური (დისტინქტური) პერსპექტივების, აგრეთვე მეტყველების შინაგანი კანონზომიერებებისა და სხვათა ფაქტორები.

აქ ლაბარაკია სამიდან იმ ერთ-ერთ აკუსტიკურ თვისებაზეც, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს **ჟ**-ს ჩამოყალიბებაში: ეს არის ჩქამის იმპულსური წყარო, რომელიც წარმოიქმნება ქორდების მცისიერი განხშვისას, რის შედეგადაც ხდება ჰაერის იმ წნევის გათანაბრება ატმოსფერულთან, რომელიც გაცილებით მეტია (მეტი იყო – ა. ბ.) ხშვის ადგილის შიგნით; სწორედ ეს გათანაბრება შობს, თუ შეიძლება ასე ითქვას, მოკლე „წკაპურტს“, კვრას, რომელიც, თავის მხრივ, წარმოშობს თანხმოვნის სკდომის ჩქამს – ტკაცანს (ЛЭС, 1990, 478), კენესას.

პირველი ორგანო, რომელიც ადამიანს უნდა ჩამოჰყალიბებოდა სამეტყველოდ ჯერ კიდევ მაშინ, ვიდრე პირის ღრუში „ენის მოტრიალებასა“ და სამეტყველოდ მის გამოყენებას ისწავლიდა, თავისთავად უნდა ყოფილიყო ყია (სახმო სიმები) და არა, დაფუშვით, ენა (მისი ნაწილებით), ანდა სასა (მისი მონაკვეთებით), ალვეოლები, კბილები, ტუჩები და ა. შ.

სახმო ქორდების სპონტანურ ხშვა-განხშვას ადამიანი თავისთავად უკვე მიმართავდა ზოგიერთი ფიზიოლოგიური მოთხოვნილების (მაგ., ხველის, ჩახველების, კენესის, ჭინთვის, ხვნეშის, კრუსუნის და ა. შ.) განსახორციელებლად, მაგრამ იმ ეტაპზე ამ ხშვისა და განხშვის გამოყენება სამეტყველო დანიშნულებით ძნელი წარმოსადგენია თუნდაც იმ უბრალო მიზეზით, რომ მას – ადამიანს – ჯერ სამეტყველოდ არ ჰქონდა საქმე. აქედან გამომდინარე, პირველი ცალკეული სამეტყველო ბგერები, რომლებსაც ძნელია ვუწოდოთ სამეტყველო, უნდა ყოფილიყო სწორედ თავისუფალი ხმოვნები, რომლებსაც არ სჭირდებოდა სახმო ქორდების ხშვა-განხშვა სამეტყველო (საკომუნიკაციო) დანიშნულებით. ადამიანის მოდგმას დღემდე დაჰყვა ეს ნიშანი: ვიდრე თავკიდური **ჟ**-თი აღჭურვილი ჩვეულებრივი ხმოვნების წარმოებას ისწავლიდეს, ბავშვი თავისუფალი ხმოვნების წარმოებით კმაყოფილდება, როცა ის თავს იქცევს ტიტინით, ანუ „ლაპარაკით“ თავის თავთან.

რაც შეეხება უარქაულეს **ჟ** ლარინგალს, რიმელიც ორგანულად ჩაექსოვა თავისუფალ ხმოვნებს (რითაც მიღებული იქნა ჩვეულებრივი ხმოვნები), აგრეთვე სახმო სიმებში უნდა შობილიყო, რადგან, როგორც ითქვა, ზესად-გამამილში, ანუ ხახა-ცხვირ-პირის ღრუებში განთავსებული სხვა ორგანოები, რომელსაც მერე **სამეტყველო ორგანოები** ეწოდათ, ჯერ კიდევ „არ (ვერ) ფლობდნენ“ მეტყველებას. თუმცა: თავდაპირველად ცალკეული ხმოვნები – არც თავისუფალი და არც, შემდგომ, ჩვეულებრივი – ჯერ კიდევ არ შეადგენდნენ მეტყველებას, როგორც ასეთს. მეტყველებამ მეტყველების ჯერ იერი, მერე კი სრული სახე ნელ-ნელა მიიღო – შემდგომში, როცა ზესად-გამამილში „ისწავლა“ თანხმოვნების წარმოება.

მეტყველებაში თანხმოვნების რეალიზაცია ხდება მიმდებარე ხმოვნების წყალობითა თუ დახმარებით (ЛЭС, 1990, 237), მაგრამ, როგორც წესი, უფრო მეტ ინფორმაციულ დატვირთვას სწორედ თანხმოვნები ატარებენ (იქვე), ანუ თანხმოვნები ხმოვნების გარეშეც ასე თუ ისე გამოხატავენ სიტყვის მნიშვნელობას. მაშ, შემეცნებისკენ მსრბოლი, სულ ახლახან „ამეტყველებული“ ადამიანი (*Homo dictor*), ცდილობდა რა კიდევ უფრო სრულექმნა თავისი „მეტყველება“ სულ ახლახან „ნაპოვნი“ სამეტყველო ორგანოების დახვეწის გზით, ისწავლდა სხვა, ახალი, ისეთი ბგერების შექმნისკენ, რომლებიც კომუნიკაციას აიყვანდნენ სხვა, ახალ სიმაღლეებზე. ასეთ ბგერათაგან – თანხმოვანთაგან – **ჟ** ლარინგალი ერთ-ერთი პირველი უნდა ყოფილიყო

ხმოვნების (თავისუფალი ხმოვნების) შემდეგ: არ უნდა იყოს ძნელი წარმო-
სადგენი, რომ პირველი თანხმევანი ბგერა (ბგერები) ჯერ კიდევ სამეტყველო
გამოცდილების არმქონე ადამიანს უნდა ეწამოებინა იქვე (ან თითქმის იქვე),
სადაც მანამდე აწარმოებდა სხვა ბგერებს – თავისუფალ ხმოვნებს.

მაგრამ ლარინქსის შესაძლებლობები ერთობ შეზღუდული აღმოჩნდა იმ
მოთხოვნებებთან მიმართებაში, რომლებიც დიალექტიკამ წაუყენა ეს-
ესაა ენაადგმულ ადამიანს (*Homo dictor*): საჭირო იყო პლიკალური (ლათ.
plicavocalis **მბგერავი ნაოჭები**) წარმოებიდან გლოტალურ წარმოებაზე
გადასვლა (ბერძნ. *glotta 'ენა'*). შესაძლებლობების მოთხოვნებებთან
შესატყვისობაში მოყვანის მიზნით „პოლიგონი“ გადატანილი იქნა ზესად-
გამ მიღში, სადაც, ისევე როგორც ხორხში – სახმო ქორღები, ყველაზე პერ-
სპექტიული გამოდგა ენა. და, სემანტიკის ძირითადი დატვირთვის გამომხ-
ატველ ბგერათა – თანხმოვანთა – უმეტესობა უმთავრესად წარმოებული
იქნა რა სწორედ აქ, პირის ღრუში (ენის უაქტიურესი ჩართვის წყალობით),
მეტყველებამ ახლავდა მიიღო მეტყველების სახე. ამიტომ გააიგივა, ალბათ,
ადამიანმა ენა როგორც სამეტყველო ორგანო და ენა როგორც მეტყველება.

იმ პირობებში, როცა აზრობრივი ინფორმაცია საგნებსა თუ მოვლე-
ნებზე (ანუ სიტყვის სემანტიკა) უპირატესად ჩაიღო არა ხმოვნებში, არამედ
თანხმოვნებში და მათს კომბინაციებში, ხმოვნები წარმოგვიდგნენ ოდენ
თანხმოვნებსშორისი სარესპირაციო პაუზების სახით, ანუ, როგორც ჩვენთ-
ვის ცნობილ უძველეს დამწერლობიან ენებში (მაგალითად, თინიკიელებსა
და არამიელებში) იყო, თანხმოვნები წარმოადგენდნენ სიტყვის ნივთიერი
მნიშვნელობის მატარებლებს, ხოლო ხმოვნები – გრამატიკული მნიშვნელო-
ბის ნაწილებს. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ, ვიდრე თანხმოვანი ბგერები
გაჩნდებოდა, ხმოვანი ბგერები, სხეულებრივ მოძრაობებთან ერთად, თანა-
მოსაუბრის ყურადღების მისაქცევად უფრო გამოიყენებოდა უთუოდ, რაშიც
არ შეიძლება არ დაეინახოთ მაშინდელი ხმოვნების აზრობრივი დატვირთვაც
(აზრობრივი ინფორმაცია), რომლის წყალობითაც თანამსაუბრე, რომელიც
ასევე ხმოვანი ბგერების არტიკულაციის გზით „პასუხობდა“, მოსაუბრედაც
იქცეოდა. ამის შემდეგ გაჩნდა ინფორმაციის გაცვლის სრულყოფისა და,
მაშასადამე, თანხმოვნების შემოტანის საჭიროება თუ აუცილებლობა ურთ-
იერთობაში.

ადრინდელი ანბანები (წერილმეტყველებები), მართალია, არ შეიცავდნენ

ხმოვანი ბგერების აღმნიშვნელ გრაფემებს, მაგრამ მათი შესატყვისი ზე-
პირმეტყველებები უსათუოდ შეიცავდნენ ხმოვან ბგერებსაც. გარდა ამისა,
შემდგომში ენათა დიდმა ნაწილმა საჭიროდ ჩათვალა ხმოვნების ჩართვა
წერილმეტყველებაშიც, რაც უკვე თავისთავად მეტყველებს ხმოვნების
მნიშვნელობაზეც მათი აზრობრივი ღირებულების თვალსაზრისით.

ასეა თუ ისე, კაცობრიობის ისტორიის რომელიმე მონაკვეთში საჭირო
გახდა პირველი თანხმოვანი ბგერების არტიკულირება და ამით ურთიერთო-
ბის („მეტყველების“) გამოყვანა თავისუფალ ხმოვანთა ვიწრო, შეზღუდუ-
ლი წრიდან. და რაკი ხმოვნები უკვე წარმოითქმოდნენ ლარინქსში, პირველი
თანხმოვანი ბგერაც უთუოდ უნდა წარმოქმნილიყო იქვე, ლარინქსში. რაკი
ქვის ნატეხით შესაძლებელი აღმოჩნდა ნადირის მოკვლა, იმავე ქვით სცადა
ადამიანმა სხვადასხვა საქმის მოწესრიგებაც და არცთუ ურიგოდ იმ დროის-
ათვის. დღეს კი, სამეტყველო ორგანოებსაც აღარ ვჯერდებით რა, ვერტუა-
ლური ელექტრონული საშუალებებით ვესაუბრებით ერთმანეთს¹⁴⁹:

შესაძლოა, თავისუფალი ხმოვნის თავში **ქ** უნდა გაჩენილიყო მხოლოდ
მას მერე, რაც ადამიანმა უკვე ისწავლა გამოყენება ე. წ. წლაპუნა თანხ-
მოვნებისა, რომლებიც, **ვან გინეკენის** მოსაზრებით, „პირველი სამეტყველო
ბგერები უნდა ყოფილიყო“ (ახვლედიანი, 1949, 392), მაგრამ ეს, ბუნებრივია,
უნდა მომხდარიყო, როგორც თავად **გინეკენს** აქვს მხედველობაში და რასაც
გ. ახვლედიანიც ეთანხმება, მეტყველების განვითარების ახალ, თანხმოვნურ
საფეხურზე (იქვე), რასაც წლაპუნი ვერ სრულყოფდა.

თუკი დაფუძნებთ თავისუფალი ხმოვნების პრიმატს და თუ დღეისათვის
წარმოდგენილი თანხმოვნებით შემოვიფარგლებით, ლოგიკური უნდა იყოს
იმის დაშვებაც, რომ მერე და მერე, როცა აღარ აკმაყოფილებდა თავი-
სუფალი ხმოვნების სიბუნდოვნე, ადამიანმა (უფრო სწორედ, სამეტყველო
აპარატმა) დაიწყო მათ დახვეწაზე ზრუნვა. და პირველი ნაბიჯი, რომელიც
ამ საჭოჭმანო გზაზე გადაიდგა, შესაძლოა, ნაპრალოვანი ლარინგალური
ჰ-ს წარმოებაც ყოფილიყო, რითაც ადამიანს უნდა ესწავლა სახმო სიმების
მიტანა ახლო-ახლო იმაზე კიდევ უფრო მეტად, ვიდრე ეს თავისუფალ
ხმოვნებს სჭირდება. ამით ხმოვნები შეიძენდნენ ფუნქციურ შემართვას

149 როცა, სულ ახლახან, ერთ ახლობელს, მუდმივად კომპიუტერთან მომუშავეს,
ვთხოვეთ ჩვენთვის გაუგებარი რამდენიმე ტერმინი ჩამოეწერა, მან კალამი ქაღალდ-
თან მიიტანა, გაეცინა და თქვა: „წერა დამეწყება!“

(რომელიც ბევრ შემთხვევაში აქვთ კიდევაც შეძენილი). მაგრამ **ჰ** მაინც არ იძლევა შედეგს გამოკვეთილობის თვალსაზრისით, თუ შეინვიერი შემართვა კი არ არის მკვეთრი შემართვა, რომელსაც უნდა გამოეკვეთა, გაეძკაფიოებინა ხმოვნები (თავისუფალი ხმოვნები). საჭირო იყო მბგერი მორჩების ერთმანეთთან კიდევ უფრო ახლოს მიწევა თვით ჩაკეტვამდე. და სწორედ ამ ჩაკეტვამ (შემდგომი განხმევითურთ) მოგვცა მკვეთრი **ჟ** ლარინგალი: სახმო სიმების ერთმანეთთან ნაკლები მიახლოებით ბგერა გამოდის ნაკლებ ძლიერი. მაშ, გარკვეულობასთან ერთად, თავისუფალ ხმოვნებს ეკლდათ სიძლიერეც. საჭირო იყო ხმოვანს შეეძინა ეს სიძლიერე, რომელიც უნდა მიღწეულიყო სახმო სიმების დახმევითა და ჰაერნაკადის შეგუებით, რასაც მოჰყვებოდა ჰაერნაკადის ტყვიისებრი გასროლა დაწნევით (*staccato*), რაც უსათუოდ მოითხოვს მკვეთრ ლარინგალურ **ჟ**-ს. მოკლედ, უნდა გავარდნილიყო თოფი, რაც ნიშანი უნდა ყოფილიყო „გაქოანობისა“ – **ჟ**-ს გაჩენისა.

დაეუშვათ, რომ ჰრველი სწორედ და მაინცდამაინც თუ შეინვიერი **ჰ** ლარინგალი შეიძლებოდა ყოფილიყო. ასეთ შემთხვევაში ერთი ნაბიჯილა რჩებოდა მკვეთრი **ჟ**-სთვის საჭირო კონფიგურაციამდე, რომელიც შეეძლო გამოეტოვებინა კიდევაც ადამიანს, რადგან ის ისევე უკონტროლოდ დააბიჯებდა, როგორც ლაპარაკობდა.

მომდევნო ასათვისებელ უბნად, რომელიც ლარინქსთან ყველაზე ახლოს იყო, რჩებოდა ფარინქსი. მაშ, ასეა თუ ისე, ლარინგალურ არტიკულაციას მართლაც უნდა მოჰყოლოდა ფარინგალური (**ჰ, ზ**) არტიკულაცია და ა. შ.

ცნობილია, რომ თანხმოვნების ჯარბი თავმოყრა სიტყვაში ერთგვარად ართულებს არტიკულაციის აქტს. მაგრამ არანაკლებ (თუ არა მეტ) სირთულეს უნდა ქმნიდეს ხმოვნების თავმოყრაც: ამ დროს ჩნდება ისეთი შეგრძნება, თითქმის არტიკულაცია ეძებდეს არეკლისთვის საჭირო ყრდნობის წერტილს. ამაზე უნდა მეტყველებდეს ზემოთ მოყვანილი მაგალითები მრავალხმოვნისანი სიტყვებისა (**ააალუმს, გააადვილებს, გაუუღლვაშოებია...**). ამ ტიპის სიტყვათა გარკვეული რაოდენობის ზედიზედ არტიკულირებისას სწორედ ამგვარი „ყრდნობის წერტილის“ მისიით შემოდის არენაზე „ხმოვანთა გამყარი“ არაფონემური **ჟ**, რაც არტიკულაციას ერთგვარად განტვირთავს:

[**ჟა** აჟალ ებს],

[**გა** აჟადე ილ ებს],

[**გა** აჟუჟ ულგ აშო ებ ი ა]...

თავისუფალი ხმოვნების ბაზაზე აგებული „ბრველყოფილი“ ბგერადანაწერებული მეტყველება **ჟ** ლარინგალის მიგნების შემდეგაც კიდევ ღიდ ხანს რჩებოდა ბგერადანაწერებულად. თანხმოვნების კონსტრუირების შემდეგ ადამიანი უნდა გადასულიყო ჯერ ცალკეული მარცვლების, მერე კი ცალკეული სიტყვების წარმოებასა და გამოყენებაზე, საიდანაც გზას მიეყვაროთ სინტაგმებსა თუ ცალკეულ წინადადებებამდე. თავდაპირველად მწინადადებებიც“ უთუოდ სიტყვადანაწერებულად არტიკულირდებოდა, სადაც თავკიდური ჩვეულებრივი ხმოვნები თავისთავად ძლიერი შემართვით წამოროთქმოდა უკვე, თავისუფალი შემართვით წარმოთქმოდა რა, ჯერ კიდევ შემორჩენილი თავისუფალი ხმოვნები. ახლაც: თუკი რწყმული, სწრაფი მეტყველებიდან მიზანდასახულად გადავალთ სიტყვადანაწერებულ არტიკულაციაზე, ყოველი სიტყვის თავკიდურში ჩვეულებრივ ხმოვანს უსათუოდ დაუბრუნდება ის ძლიერი შემართვა, რომელიც დაკარგული აქვს რწყმული და სწრაფი მეტყველების პირობებში. თავკიდური ხმოვნის თავისუფალი არტიკულაცია კი, რომელმაც პირნათლად შეასრულა თავისი მისია, დღეს აქა-იქლა გვხვდება იმ სარკმლის დარად, საიდანაც ცალი თვალთ შეიძლება გაეხედოთ წარსულის იქითა წარსულს.

თუკი **ჟ**-ს აღვიქვამთ აბრუბტივად, რაც სიმკვეთრის ფარდია, არ უნდა გავიჭირდეს იმის წარმოდგენა, რომ თავისი განვითარებით შემართვაში მან სიმკვეთრე შესძინა ყოფილ, არტიკულაციურად რამდენადმე ამორფულ თავისუფალ ხმოვანს, რომელიც ჰგავდა ქალწულობისდროინდელი დედამიწის ნაპრწალეკილ მდინარეს, გამოკვეთა იგი, ყოფილი თავისუფალი ხმოვანი, რომელიც, აკუსტიკური თვალსაზრისითაც, ამ **ჟ** ბგერის გარეშე (მის განვითარებამდე) უსათუოდ იყო ერთგვარად ჩამოუყალიბებელი, არამკაფიო, გაურკვეველი. ლარინგალურმა **ჟ** ბგერამ თითქმისდა კალაპოტში მოაქცია მანამდე თავისუფლად და, მასადამე, დედამიწის ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ რელიეფზე უგზო-უკვლოდ მონაგარდე მდინარე. როგორც კი მიეახლა, ცხოველმყოფელი მადლით გაანაცოფიერა **ჟ** ლარინგალმა თავისუფალი ხმოვანი, მანამდე უკიდევანო, მაგრამ თითქმის უნაცოფო. როგორც მზის თვალთაგან დაფარდნილმა წვეთმა პატარა ნაკადული მდინარე ნილოსად აქცია (Робакидзе, 2001, 39-40), დაახლოებით ასევე: სულ სხვა შინაარსით შეავსო და წარმოაჩინა „აწაწინა“ თანხმოვანმა ხმოვანი (თავისუფალი ხმოვანი), დაუნანებლად გადაუსხა რა საკუთარი სისხლი.

იმის გათვალისწინებით, რომ თანხმოვნები ხმოვნებზე უფრო გამომეტყველნი (ინფორმაციულნი) არიან, ძნელი არ უნდა იყოს იმის წარმოდგენაც,

თუ რამხელა ფუნქციონალური დატვირთვა უნდა დაჰქისრებოდა ლარინგალური **ქ** თანხმოვნის გამოჩენას თავისუფალი ხმოვნების შემართვაში.

თავისუფალ ხმოვანს ისევე სჭირდებოდა „მოთვინიერება“, „გახენა“, როგორც მანამდე თავისუფლად მონაგარდე ველურ ცხენს. და, სწორედ **ქ** ლარინგალით მოთოკა და აღჭურვა რა ადამიანმა ჯერ კიდევ თავის სამეტყველო გარიჟრაჟზე ეს ხმოვანი, სრულიად ახალი მისიით ჩააყენა თავის სამეტყველო სამსახურში.

თვით მდინარეც კი, რომელიც მიედინება, არ არის თავისუფალი ამ სიტყვის მკაცრი გაგებით. მეტიც: ის სწორედ იმიტომ მიედინება – მოძრაობს – შემომზღუდავ ნაპირებს შორის, რომ თავისუფლებისკენ მიისწრაფვის, ეძებს თავისუფლებას, იმაზე უფრო მეტს, ვიდრე გააჩნია. და რაც უფრო მეტად ეზღუდება მას თავისუფლება ზოგადად, მით უფრო მეტად იწყებს იგი ხმაურს, რითაც „ააცხადებს“ თავის არსებობას. თავის მხრივ, ყველაზე დიდსა და, მაშასადამე, მკვეთრ, „გასაგებ“ ხმას კი ყველაზე დიდი წინალობის გარღვევის მეყში გამოსცემს მდინარე, რითაც ყველაზე მკაფიოდ, „გასაგებად“ ავლენს თავის არსს (მდრ.: ვაჟა-ფშაველა, 1979, 228).

ასეა ყველა სხვა შემთხვევაში, სადაც საქმე გვაქვს დინებასთან (მოძრაობასთან) და წინააღმდეგობასთან, ჩვენი მსჯელობის მიხედვით – სამეტყველო ბგერათა არტიკულაციის შემთხვევაში. იმისათვის, რომ თავისუფალ ხმოვანს ხმოვნური მეტყველების არსებობის შესახებ „გამოეცხადებინა“ იმაზე უფრო ნათლად, ვიდრე მანამდე ჰქონდა „გაცხადებული“, საჭირო გახდა აგებულიყო მტკიცე წინალობა, ზღუდე, დაეუშვათ, **ქ** ლარინგალის სახით, რომლის გარღვევასაც უნდა მოჰყოლოდა და მოჰყვა კიდევაც მისი – ხმოვნის – არსის გამოკვეთა, „გამოცხადება“ იმაზე უფრო მეტი ხარისხით, ვიდრე მანამდე გააჩნდა, რამაც შვა მაგარი შემართვით, ანუ შემართვისეული **ქ** ლარინგალით აღჭურვილი ჩვეულებრივი ხმოვანი.

შემართვის (წარმოთქმის საწყისის) ახლად მოაოგებულმა სიმკვეთრემ აშკარად გამოკვეთა, ცხადად მოიწონა ხმოვნის არტიკულაციის საწყისი მე-წერტილი და ამით – თვით ხმოვანიც, როგორც უცხო რამ სამეტყველო მასალა, რომელსაც, სულ უფრო და უფრო იჯრებდა რა ძალას, წინ დიდი პერსპექტივები ელოდა.

მანამდე თავდავიწყებით და უთავბოლოდ „მონაგარდე“ ხმოვანს **ქ**-მ მიანიჭა სიცხადე, კონკრეტულობა, სიზუსტე, ასე ვთქვათ, რეტუში გაუკეთა ხმოვნის ხატს და განსაზღვრა, გამოკვეთა მისი ფიზიკური (ფონეტიკური)

სამანები, რითაც ნახევარფაბრიკატი აქცია სრულფასოვან სამეტყველო პროდუქტად. დღეს **ქ**-ს არქონის შემთხვევაში ასეთსავე მისიას სხვა რომელიმე თანხმოვანი (ფონემა) იღებს თავის თავზე: **ვ**-ც და **ძ**-ც ალბათ სწორედ ამიტომ ჩნდებიან ანლაუტის თავისუფალი ხმოვნის წინ თუშურ ენაში.

სწორედ ძლიერი შემართვისა და მისი მიმყოლი ⁹ ობერტონის წყალობით არის, რომ გერმანული ენის ანლაუტის ხმოვანი ხასიათდება მკაფიოობითა და სიცხადით, გარკვეულობით (Никонова, 1958, 32). სწორედ ძლიერი შემართვის წყალობით არის ანლაუტის ჩვეულებრივი ხმოვანი ასევე მკაფიო და გარკვეული ქართულ, რუსულ და ა. შ. ენებში, განსხვავებით თუშური ენის ანლაუტისეული თავისუფალი ხმოვნისგან, რომელიც სწორედ ძლიერი შემართვის უქონლობისა გამო აღირევა ხან **გ**-ში, ხან **ძ**-ში, ხანაც **უ**-ში ([**ცუ**]-ში)¹⁵⁰.

როცა თავისუფალი ხმოვნებიდან ჩვეულებრივ ხმოვნებზე გადასვლის საჭიროებასა თუ გარდაუვალობაზე ვლაპარაკობთ, უნდა გვახსოვდეს ერთი მარტივი რეალობა: რაც უფრო დაშორიშორებულია ერთერთისგან სახმო სიმები, – ვკითხულობთ **თ. გამკრელიძესთან**, – მით უფრო ნაკლებია (დაბალია, გაურკვეველია და ამორფული – ა. ბ.) ბგერის სიმძლავრის ხარისხი და პირიქით (<http://www.science.org.ge/books/Gamkrelidze>). ამ გაგებით, ჩვეულებრივ ხმოვნებთან მიმართებაში თავისუფალი ხმოვნებისთვის შეიძლებოდა გვეწოდებინა **ყრუ თანხმოვნებიც** კი. ბგერის სიყრუე კი უსათუოდ გადახრილია ბუნდოვნებისკენ, გაურკვეველობისკენ, იმისკენ, რაც გამოკვეთილთან ანტონიშურ მიმართებაშია. და ბუნებრივია კია, თუკი უძველეს ადამიანს, რომელმაც ეს-ესაა შეიცნო მეტყველების ზენაარი მადლი, გაუჩნდა მოთხოვნილება, იმაზე უფრო გამოკვეთილად ექცია ხმოვანი, ვიდრე მანამდე იყო, იმაზე უკეთ ვერც გააკეთებდა, ვიდრე გააკეთა.

შორეულ წარსულში, როცა ადამიანებს შორის კომუნიკაცია მყარდებოდა დეიქტიკური დანიშნულების მატარებელი მოცემულობებით და რაც ჯერაც მჭიდრო კავშირში იყო სხეულმოძრაობით მეტყველებასთან, წარმოთქმა-მეტყველება ატარებდა ხმოვნურ ხასიათს, რადგან ხმოვნებით უფრო ადვილი იყო ამის გაკეთება, მეტადრე დაშორებულ მანძილზე, ვიდრე თანხმოვნებით იქნებოდა შესაძლებელი.

150 ის ფაქტი, რომ გერმანული ენის ანლაუტის ხმოვანთა შემართვა განსაკუთრებულია მათი ექსპრესიულობის წყალობით (წყალობითაც), მხოლოდ ხელს უწყობს მათს მკაფიოებასა და სიცხადეს, თუკი აღარას ვიტყვით იმაზე, რომ გერმანული ენის ხმოვანი ძლიერ შემართვას ამჟღავნებს არა მხოლოდ ანლაუტში.

„ამ საფეხურზე წარმოთქმა-მეტყველებას აქვს მხოლოდ დიქტიკური (მითითებითი – ა. ბ.) და არა სიგნიფიკაციური (ნიშნობრივი – ა. ბ.) ფუნქცია, რომელიც ვითარდება სხეულმომპრაობითი მეტყველების დასუსტების კვალობაზე“ (ახვლედიანი, 1949, 390).

და, ისევე როგორც პოლისემანტიზმი და ამორფულობა პრიმიტიული ენებისა, თავისუფალი ხმოვნების ამორფულობა წარმოთქმა-მეტყველების დიქტიკურობისდროინდელი ნაშთი უნდა იყოს, რამდენადაც მითითებას გარკვეულ სიტუაციაში შეუძლია შეასრულოს როგორც სემანტიკური, ისე გრამატიკული ფუნქცია (ახვლედიანი, 1949, 390-391).

თავისუფალი ხმივანი იყო ის პირველი ადამიანური ბგერა, რომელიც, საწარმოთქმო ორგანოების ნახევრად ინდიფერენტული მდგომარეობის კვალობაზე, ჯერაც პრიმიტიულად გამოიყურებოდა, რადგან ჯერ კიდევ შორი იყო საარტიკულაციო აქტივინაციაზე, რაც **ჰ** თანხმოვანს უნდა მოეტანა და მოეწესრიგებინა. თავისუფალ ხმოვანს ჯერაც არ გააჩნდა თანხმოვნისთვის დამახასიათებელი და ბოლომდე ჩამოყალიბებული ის დიფერენცირებული არტიკულაცია, რომელიც ასევე **ჰ** ლარინგალს უნდა მიენიჭებინა მისთვის. ეს ის ეპოქა უნდა ყოფილიყო, როცა მეტყველების დიქტიკური (მითითებითი) ფუნქციები ნელ-ნელა სუსტდებოდნენ და ნელ-ნელავე იკრებდნენ ძალებს მისი სიგნიფიკაციური (ნიშნობრივი) ფუნქციები.

ძლიერი შემართვა, ანუ ლარინგალური **ჰ** – ეს ის უღელტეხილია, რომელსაც პირველყოფილი თავისუფალი ხმოვნებიდან გადავყავართ ჯერ ჩვეულებრივი ხმოვნებთან, მერე კი თანხმოვნებთან.

თავისუფალი ხმოვნების ფუნქციონირება უნდა მივაწეროთ იმ ეპოქებს, როცა ადამიანის მეტყველება სრულიად თავისუფალი იყო წესებისა თუ ნორმებისგან, კერძოდ, თავისუფალი იყო გამოკვეთილი და, მაშასადამე, კოლექტივის ყველა წევრთან შეთანხმებული ფონეტიკური წესებისგან. და სწორედ გამოკვეთილი მეტყველების აუცილებლობამ შვა პირველი მკვეთრი თანხმოვანი ბგერა – ლარინგალური **ჰ**, რომელიც იწარმოება იქვე, სადაც თავისუფალი ხმოვნის თავისუფალი შემართვა.

მკვეთრმა **ჰ**-მ სწორედ რომ გამოკვეთა თავისუფალი ხმოვანი და ამით მისცა მას, როგორც ხმოვანს, სრულიად ახალი, საბოლოო სახე.

არ არის რა ფონეტიკურად მარკირებული, თავისუფალი ხმოვნის შემართვა ერთგვარად შეუმჩნეველია და განუსაზღვრელი, ბუნდოვანი, მოუწინავე, ასეც

ვიტყვით: „გაუბედავი“. ამ თვალსაზრისით, ასეთი ხმოვნის შემართვა მოგვაგონებს იმ მუდმივმოქმედ ვულკანს, რომლის პირველი ამოფრქვევაც აღარავის ახსოვს და რომელიც ყურადღებასაც აღარავისაც იქცევს. **ჰ** ლარინგალმა თოფის გასროლის მსგავსად დააფიქსირა შემართვა და ამით მისცა მას სიცხადე და სისრულე, ამცნო რა თანამოსაუბრეს ხმოვნის (ახალი ხმოვნის) შობა.

ისე რომ: სწორედ ლარინგალური **ჰ** თანხმოვანი უნდა ყოფილიყო პირველი ინოვაცია ხმოვნებიდან თანხმოვნებისკენ მიმავალ გრძელსა და რთულ გზაზე. უსაფუძვლოდ როდი ვარაუდობენ მკვლევარნი ლარინგალურ ფონემურ ერთეულებს ინდოევროპულ ენათა განვითარების უძველეს საფეხურზეც (ჭრელაშვილი, 1975, 30).

ჰ ლარინგალის წარმოებით ადამიანმა ისწავლა სახმო ქორდების, როგორც სამეტყველო წინალობის, გამოყენება და მისი ჩართვა ხმოვნური მეტყველების ახალ სიმაღლეზე აყვანის საქმეში. სახმო ბაგეების ხშვა-განხშვის გამოყენებით აქ, მეტყველებაში, ადამიანმა მერე და მერე ისწავლა სხვა სამეტყველო ორგანოების, მაგალითად, პირის ბაგეების ხშვა-განხშვის გამოყენებაც სამეტყველო მიმართულებით და ა. შ. ისე რომ, პირველი ბილიკები ხმოვნებიდან (თავისუფალი ხმოვნებიდან) თანხმოვნებად სწორედ **ჰ** ლარინგალს უნდა გაეკვალა.

როცა ადამიანის ცნობიერებამ მიაღწია თავისი სამეტყველო გზის იმ მონაკვეთამდე, სადაც საჭირო გახდა ბგერების (თავისუფალი ხმოვნების) გადაყვანა ფიზიოლოგიური, ანუ ფონეტიკური ფუნქციებიდან სოციალურ ფუნქციებზე, პირველი თანხმოვანი ბგერა, რომელიც თავისი ფიზიოლოგიით ყველაზე ახლოს მდგარა როგორც თავისუფალ, ისე ჩვეულებრივ ხმოვნებთან, აღმოჩნდა **ჰ** ლარინგალი, რომელმაც ბინა დაიღო სწორედ თავისუფალ ხმოვნებთან – ლარინქსში – და მოგვევლინა ჩვეულებრივი ხმოვნების შემართვის სახით, რამაც შედეგად მოგვცა სრულიად ახალი შინაარსისა და ფორმის ბგერები.

დახშული მბგერი იოგების წყალობით შეგუბებული ჰაერნაკადი მათი განხშვის მომენტში ერთგვარად უკვე იძენს გარკვეულ ექსპრესიულობასაც, ანუ ადამიანურობას. ამიტომაც უნდა გადასულიყო ადამიანი-ნადირი თავისუფალი ხმოვნებიდან ჩვეულებრივ ხმოვნებზე. ხოლო თუ ვეცდებით არა მარტო სახმო ქორდების (ლარინქსის), არამედ მათი მიმდებარე არის – ფარინქსის – ხშვა-განხშვაც, ექსპრესია მხოლოდ გაღრმავდება. ასეც ხდება ხმოვნისწინა თავკიდური ექსპრესიული **ჰ**-ს (**ჰ** + **ჰ**)-ს არტიკულაციისას, რაც მეტყველებას მარლაც სძენს ექსპრესიულობას.

მეორე მხრივ, რაც უფრო თავგამოდებით დავაძალებთ ბავშვს პირველ-სავე (ან თუნდაც მომდევნო) გაკვეთილზე **რწყმულად** წარმოთქვას მის მიერ **იზოლარებულიად** დანახული და ჩვენ მიერ ასევე **იზოლარებულიად** არტიკუ-ლორებული ხან **ა**, ხან **ი**, ხან ისევე **ი**, ხანაც ისევე **ა**, მით უფრო უკან დაგწევთ ბავშვის მხრიდან **რწყმული** (ე. ი. სწორი, გამართული) წარმოთქმის შედეგს, რომლისკენაც აგრე რიგად ვისწრაფვით ხოლმე. სჯობს ბავშვს რამდენ-ჯერმე მოვასმენინოთ ამ კლასიკური, საოცარი ფრაზის ასევე კლასიკურ და საოცარ სიტყვებში შემაჯავლი ბგერების (ხმოვნების) ბმული, არაიზოლორე-ბული წარმოთქმის ნიმუში: **ა ი ი ა [ცა ი] [ცი ა],** ანუ **[ცა იცი ა]**.

დღეს რომ ჩვენი მეტყველება არ ყოფილიყო რწყმული და ყოფილი-ყო დანაწევრებული თითოეული ბგერის ან თუნდაც ხმოვნით დაწყებული ნაწილების დონეზე, მაშინ ყოველი ხმოვნის დასაწყისში უსათუოდ უნდა წარმოგვეთქვა **ც** – არა მარტო ანლაუტში ანდა განცალკევებით. ვილაპარა-კებდით სწორედ ისე, როგორც ბავშვი კითხულობს პირველ გაკვეთილებს: **[ცა][ცი][ცი][ცა]**, ანუ **[ცაიციცა]; [შ] [ცე] [შ] [ცა]**, ანუ **[შეეშეცა]...** სხვაგვარად რომ ვთქვათ, მეტყველება იქნებოდა „თუშური“¹⁵¹.

ასეა თუ ისე, რომელიმე ეპოქაში ვილაციისთვის **ც** ლარინგალი მაინც აღ-მოჩნდა არათუ მძიმე წარმოსათქმელი – მძიმე მისასმენიც კი. ალბათ ამიტომაც: ადამიანის სამეტყველო ფსიქიკამ, მიაგნო რა რწყმული არტიკულაციის სიკეთეს (აშკარა უპირატესობას), შეზღუდა „ხმოვანთა გამყოფი“ (და, მაშასადამე, სი-ტყვებისა თუ სიტყვაში შემაჯავლი ნაწილების გამყოფი) **ც**-ს მოქმედების არეალი, რადგან ის აშკარად ედობებოდა თავისუფალ არტიკულაციას და იქნებ კიდევაც „ახრჩობდა“ ვინმეს. მაგრამ, ამავე დროს, დააწესა ბგერათა საოცარი კავშირი – ლიგა: **[ცა იცი ა], [შ ეშ ა]...** თვით სასუნთქი და, მაშასადამე, სამეტყველო აპარატიც მოწყობილია ისეთნაირად, რომ მართლაც ვერ მოხერხდებოდა წამ-დაუწუმ (სიტყვაში შემაჯავლი ყოველი ჩვეულებრივი ხმოვნის წარმოსათქმე-ლად) დაეხშო და განეხშო, დაეხშო და განეხშო ადამიანს მბგერი იოგები. ყოფ-ელ შემთხვევაში დიდ ხანს ვერ გაგრძელებოდა ასე: გაჭირდებოდა.

151 კახელმა თუშის (კონტექსტით იგულისხმება ჩაღმათუში – ა. ბ.) მეტყველებაში ლარინგალური **ც**-ს ხშირი ხმარება რომ შენიშნა, – წერს **ა. შანიძე** (შანიძე, 1970, 105), – ჰკითხა: თუშო, რას იხრჩობო? თუმცა, როგორც იქვე დაურთავს მეცნიერი, თუში არათუ არ იხრჩობა ამ დროს, არამედ ისევე თავისუფლად და ლაღად წარმოთქვამს ამ ბგერას, როგორც ნებისმიერი ენის მატარებელი წარმოთქვამს საკუთარი ენის ნების-მიერ ბგერას, ხშირად **ც**-ზე უფრო ძნელად წარმოსათქმელს.

მოკლედ: თუ მართლა ბიოლოგიურად ხმოვანია თავდაპირველი, სოციალ-ურად კი – თანხმოვანი (ახვლედიანი, 1949, 391) და, მაშასადამე, თანხმოვნების რიცხვის ზრდა პირდაპირპროპორციული უნდა იყოს ადამიანის გადსვლისა ჰორიზონტალური მდგომარეობიდან ვერტიკალურში და თუ ცნოველსა და ადამიანს შორის მართლა თანხმოვანი დებს ზღვარს (იქვე), რომელიც დღეს ჩვეულებრივ ხმოვანს აფორმებს (კეტაეს) მის შემართვაში, მაშინ თავდაპირ-ველი ხმოვნები მართლაც თავისუფალი შემართვისანი უნდა ყოფილიყვნენ. ანუ: გზა თანხმოვნებამდე მოდის თავისუფალი ხმოვნებიდან და ძვეს ჩვეუ-ლებრივ ხმოვნებზე შემართვისეული **ც**-თი.

დაახლოებით ასეთი უნდა იყოს ის ერთობ რთული და საინტერესო გზა, რომელიც ადამიანის მეტყველებაში გაიარა ხმოვნებიდან თანხმოვნებამდე, უფრო სწორედ, გზა თავისუფალი ხმოვნებიდან თანხმოვნებამდე, რომელიც გადის ჩვეულებრივ ხმოვნებზე. და ეს გზა, რომელიც ისევე გრძელდება ჩვეუ-ლებრივი ხმოვნებიდან თანხმოვნებამდე, როგორც თავისუფალი ხმოვნებიდან ჩვეულებრივ ხმოვნებამდე, შეიძლება გადმოვცეთ დაახლოებით ასეთი სახით:

↓

$$\neg V \rightarrow V \rightarrow C \quad (1),$$

ანუ

$$\neg V \rightarrow 'V \rightarrow C \quad (2).$$

ეს ფორმულები ასე იკითხება:

1. იყო თავისუფალი ხმოვანი – $\neg V$;
2. მერე გაჩნდა პირველი თანხმოვანი – ლარინგალური **ც**, რომელიც მაგარი შემართვის მისიით განთავსდა მანამდელი (თავისუფალი) ხმოვნის მა-ნამდელი (თავისუფალი) შემართვის ადგილას, რითაც მივიღეთ ჩვეულებრივი ხმოვანი – $'V$;
3. $'$ -ს მერე გაჩნდნენ სხვა თანხმოვნებიც – **C**, რომლებსაც ხმოვნის შემართვა დახვდათ $'$ -თი „დაკავებული“.

ისე რომ, სადღაც იქ, თავისუფალ ხმოვნებთან უნდა ვეძიოთ უთუოდ ხმოვნებიდან თანხმოვნებამდე მიმავალი (თუ მომავალი) გზის დასაწყისი, ანუ ხმოვანთა ხასიათისა თუ გენეზისის საწყისები.

დასკვნა

განხილული ნიშნებიც ლარინგალური **ქ** (') თანხმოვნისა, რომელიც არქიარქაულ ბგერას წარმოადგენს, ახლებურად დანახული ჩვეულებრივი ხმოვნებიც როგორც ზოგადად, ისე კონკრეტულ მეტყველებებში, დეტალური ანალიზიც ანლაუტისეული თავისუფალი ხმოვნებისა, რომლებიც იმაზე კიდევ უფრო ძველი წარმომავლობისანი არიან, ვიდრე **ქ** ლარინგალია და რომლებიც, ამ ლარინგალთან ერთად, დღემდე ფუნქციონირებენ თუშურ ენაში, უსათუოდ გვაახლოებს იმ შორეულ გზასთან, რომელიც ალაპარაკებულ ადამიანს (*Homo dictor*) უნდა გაეგლო ხმოვნებიდან თანხმოვნებამდე **ქ** ლარინგალზე გავლით.

ექვანარეგად ვასრულებთ საუბარს. თუმცა: ყველაფერი მწყობრად რომ სრულდებოდეს მეცნიერებაში, მაშინ ძიების საბაბიც აღარ მოგვეცემოდა.

არაფერი ისე არ ეთანხმება გონებას, უთქვამს **პასკალს**, როგორც უნდობლობა საკუთარი თავისადმი. მაგრამ რაკი, მკითხველთან ერთად, აქამდე მოვსულვართ, სავალდებულოც კია შესაბამისი დასკვნის გაკეთება.

ანალიზის პროცესში მრავალჯერ იქნა თქმული ამაზე, მაგრამ დასკვნის გაკეთების წინ კიდევ ერთხელ გვინდა გაგვსვით ხაზი ერთ დეტალს.

ნებისმიერ ბგერას აქვს: **ექსკურსია** (შეპართვა, დაწყება), **მწვერვალი** (დაყოფნა, განვითარების ან არსებობის პიკი) და **რეკურსია** (დამართვა, დასასრული). ჩვენ უპირატესად გვაინტერესებს **ექსკურსია**. ამიტომ დასკვნაც უპირატესად კეთდება შეპართვაზე, ანდა ამა თუ იმ მიმართებაში მასთან.

ამასთანავე: კიდევ ერთხელ უნდა გაესვას ხაზი იმასაც, რომ, როცა საუბარია როგორც ჩვეულებრივ, ისე თავისუფალ ხმოვნებზე, ძირითადად იგულისხმება პოზიცია ანლაუტსა და იზოლაციაში (განცალკევებით), რადგან შეპართვის დახასიათებისას ზოგადი ფონეტიკა გულისხმობს სწორედ ანლაუტის ხმოვნებს, რომელთა შეპართვაც იდენტურია განცალკევებული ხმოვნების შეპართვისა. თუმცა საჭიროების შემთხვევაში მსჯელობა გვიწევს ინლაუტსა და აუსლაუტზეც.

გარდა ამისა, ანალიზის დასაწყისშივე ჩვენთვის უდავო იყო სამი რეალობა:

1. ჩვეულებრივი ხმოვნების არსებობა საერთოდ;

2. ლარინგალური **ქ** თანხმოვნის არსებობა ზოგიერთ ენაში;

3. ჩვენ მიერ მიგნებული „სხვანაირი ხმოვნების“ არსებობა თუშურ ენაში.

ამ რეალობის ფონზე საჭიროდ ჩავთვალეთ გაგვერკვია: რით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან ჩვეულებრივი და „სხვანაირი“ ხმოვნები?

კვლევის პროცესში აღმოჩნდა, რომ მათი განსხვავებულობა ძვედა **ქ** ლარინგალში: ანლაუტის ჩვეულებრივი ხმოვნები თავიანთ შეპართვაში შეიცავენ ამ ლარინგალს (ანუ ძლიერ, მაგარ, ხშულ, **მკვეთრ** შეპართვას), „სხვადასხვა ხმოვნები“ კი ამავე პოზიციაში – არა.

მაგრამ იოლი არ აღმოჩნდა ამ მიგნების გადატანა საკვლევაძიებო ჭრილში – იმ პირობებში, როცა ზოგადი ფონეტიკა იმთავითვე გამოირცხავდა მაგარი შეპართვის არსებობას, მაგალითად, ქართული, ასევე სლავური თუ რომანული ენების ხმოვნებში, ანუ ჩვეულებრივ ხმოვნებში საერთოდ.

თუშური ენის მაგალითზე მოიხაზა ზოგადი კონტურები ხმოვნებიდან თანხმოვნებამდე მიმავალი გზისა. ეს სურათი მკრთალი და უბადრუკი მოგვეჩვენება იმ სურათთან შედარებით, რომელიც წარმოგვიდგება მომავალში, როცა ყველაფერი გადამოწმდება ექსპერიმენტული ლინგვისტიკის რესურსების გამოყენებით: მაშინ კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდება აშკარა განსხვავება ჩვეულებრივსა და თავისუფალ ხმოვნებს შორის და არცთუ იმდენად მნიშვნელოვანი განსხვავებაც ჩვეულებრივ ხმოვნებსა და თანხმოვნებს შორის. ამჯერად კი აქ წარმოებული მსჯელობა დაახლოებით ასე შეიძლება შეჯამდეს:

1. უსათუოდ უნდა მოწესრიგდეს თუშთა წოვის თემის ქართული ენისგან განსხვავებული მეტყველების აღმნიშვნელი ტერმინოლოგია, რაც თავისთავად გულისხმობს თვით ამ ეთნოსის აღმნიშვნელი ტერმინოლოგიის მოწესრიგებასაც, რომ აღარაფერი ვთქვათ ეთნიკურ ურთიერთობათა დაბალანსების აუცილებლობაზე: უბრალო სამეცნიერო წესიერება მოითხოვს ერთსა და მეორესაც.

1.2. თუშურ ენაში მოძიებულ **უნ?** / **ვენ?** / **რა?** ტიპის მონაცემთა ანალიზი საშუალებას იძლევა ამ ენაში ვცნოთ ისეთი ანლაუტისეული ბგერების არსებობა, რომლებსაც ვუწოდეთ **თავისუფალი ხმოვნები**. ამგვარი ხმოვნებით დაკომპლექტებული სიტყვები დღეს ერთობ შეზღუდულია თუშურ ენაში, მაგრამ არსებული რაოდენობა უკვე საკმარისია ამ ხმოვნების საკითხის განსახილველად, მით უმეტეს, რომ მათი შესწავლის პროცესში არ იყო

გამორიცხული ჩვეულებრივი ხმოვნების ამა თუ იმ ახალი ნიშან-თვისების გამოვლენაც.

I. 3. ჩავუღრმავდით რა **ცაგ** / **აგ** ‘*ბეზია*’ ტიპის თუშურენოვან (აგრეთვე თუშურკილოვან) მონაცემებს და ვაღიარეთ და ძალაში დავტოვეთ რა დებულება, მაგალითად, ანლაუტისეული ხმოვნების მაგარი შემართვის არსებობის შესახებ თუშურ, მეგრულ, გერმანულ ენებში (ასევე ზიგიერთ სხვა მეტყველებაში), რაც, თავისთავად, **ც** ლარინგალის არსებობასაც გულისხმობს, ჩვენთვის გასარკვევეი გახდა სულ ცოტა სამი რამ:

1) ფონეტიკური განსხვავება **ც**-ს მქონე და **ც**-ს არმქონე ხმოვნებს შორის ანაუტში;

2) განსხვავება ანლაუტისეულ **ც**-სა და **ც**-ს შორის (თუნდაც თუშური ენის მაგალითზე);

3) განსხვავება თუშური ენის ალნაუტისეული **ც**-სა და აქ დასახელებული მეტყველებების ანლაუტისეული ხმოვნების შემართვას (შემართვებს) შორის.

გასათვალისწინებელი იყო მოსაზრებაც იმის თაობაზე, რომ მარტივი (ძირეული) მორფემის ფარგლებში **ც**, როგორც ფონემა, თუშურ ენაში ფუნქციონირებს მხოლოდ აუსლაუტში.

II. 4. ხმოვნების წარმოთქმისას უსათუოდ უჩნდება რა საფონაციო ჰაერნაკადს წინალობა სახმო სიმების სახით და ხდება რა მისი გადაღახვა, ხმოვნებისა და თანხმოვნების განსხვავება წინალობის ქონა-არქონის ნიშნით არ არის ბოლომდე დამაკმაყოფილებელი. სახმო იოგები, ქმნიან რა ერთგვარ წინალობას, ამავე დროს ქმნიან სამეტყველო ხმას; დანარჩენი სამეტყველო ორგანოები, ქმნიან რა სხვადასხვა სახის სერიოზულ წინალობას, ბოლომდე აფორმებენ ამ წინალობათა შესატვის ბგერებს – ხმოვნებსაც და თანხმოვნებსაც.

III. 5. თუკი არტიკულაცია არის საწარმოთქმო ორგანოების სამუშაოების ერთობლიობა სამეტყველო ბგერების წარმოთქმისას, მაშინ სრული არ უნდა იყოს ბგერების წარმოქმნის ამსახველი ის სქემატური თვალსაჩინოებანი, რომლებიც სამეცნიერო (თუ სასწავლო) წყაროებშია ხოლმე შემოთავაზებული სურათების, ნახატებისა და ა. შ. სახით. ბგერების წარმოთქმის (თავიდან ბოლომდე ჩამოყალიბების) საჩვენებლად აუცილებელია სურათზე დავაფიქსიროთ საარტიკულაციო სქემის (შემართვა-დაყოვნება-დამართვის) სულ

ცოტა პირველი ორი მომენტი მაინც: არტიკულაციის სამი საფეხურის არსებობა უკვე თავის თავში შეიცავს მოძრაობას მეტყველების ორგანოებისა. იგივე ითქმის მბგერ იოგებზე **ც** ლარინგალის, ანუ ძლიერი შემართვის წარმოებისას.

II. 6. **V** $\subset$ **ც**, ანუ: ანლაუტის (ანდა განცალკევებული) ჩვეულებრივი ხმოვნის გაჩენას ან არსებობას თავისთავად, ბუნებრივად მოსდევს შემართვისეული **ც** ლარინგალის გაჩენა ან არსებობა; სისტემაში **ცV** ლარინგალური **ც** არ წარმოადგენს განსაკუთრებულ სიდიდეს, იგი არის **V** სიდიდის განუყოფელი ნაწილი – არა მხოლოდ თუშურ ენაში.

იმდენად მყისი ბგერაა მკვეთრი **ც**, რომ, მიმყოლ ხმოვანთან ერთად, იოლად, ჩვენი სმენისთვის თითქმის შეუმჩნევლად ქმნის აქცესიურ (არაჰარმონიულ) კომპლექსს. ასეთი ალიანსის დადასტურებაა სწორედ **ც** = **ც** & **ჟ** ფაქტის არსებობაც თუშურ ენაში და ანლაუტის ჩვეულებრივი ხმოვნის მაგარშემართვიანობაც ენებში საერთოდ.

შემართვად (და დამართვადაც) უნდა მივიჩნიოთ ბგერის (ამ შემთხვევაში – ხმოვნის) არა ის ნიშანი, რომელიც მჟღავნდება უსათუოდ ბგერათშეერთებაში და რომელიც უფრო ფონემური ნიშანია, არამედ ის ნიშანი, რომელიც მოცემული ბგერისთვის არის საკუთარი, შინაგანი და რომელიც გამოხატულებათა არტიკულაციისა და აკუსტიკის და არა მანცლადმანც პოზიციის (ანუ ცვალებადი მდგომარეობის) რაობისა. იქ, სადაც ფონემა, როგორც აბსტრაქტული ერთეული, უპირისპირდება ბგერას, როგორც კონკრეტულ სიდიდეს, რომელშიც ხდება ფონემის მატერილაური რეალიზაცია, დავვაინტერესა ბგერამ არა, მაგალითად, პოზიციაში რომელიმე ბგერის მიმყოლ, არამედ – ცალკე აღებულია ანდა ანლაუტში, რადგან, პირველ რიგში, გვინდოდა გავვერკვია ხმოვნის შემართვის არა ფონოლოგიური, არამედ ფონეტიკური რაობა (თუმცა აქაც კვლავ პოზიციაზე გვიხდება საუბარი, ოღონდ არა ისეთ პოზიციაზე, რომლის არსიც გამომდინარეობს სხვა, წინამდებელი ბგერის არსიდან). ანუ: ვცადეთ დავვეწყო მარტივიდან (კონკრეტულიდან) და გვევლო რთულისკენ (აბსტრაქტულისკენ).

III. 7. ქართული ‘*ბეზია*’ ლექსების თუშურენოვანი შესატყვისი უნდა დაიწეროს არა ‘*აგ*’ (ანუ **ცაგ**) სახით, არამედ *აგ* სახით. თუ საქმე გვაქვს მეტყველების (და, მაშასადამე, არტიკულაციის) ექსპრესიასთან, მაშინ ეს ლექსება შეიძლება წარმოვადგინოთ **ცაგ** სახით და ისიც – ტრანსკრიფციის

ფარგლებში. იგივე ითქმის ხმოვნით დაწყებულ ნებისმიერ სიტყვაზე თუშურ ენაში.

გერმანულ და თუშურ ენებში, აგრეთვე, მაგალითად, ზანურში, თუშურ კილოში, დაქინებულია თქმულ ქართულ **’არა’**-ში და ა. შ. თავკიდური ხმოვანი, დიახ, ასევე ძლიერ-, ანუ მაგარშემართვიანია, ოღონდ აქაც, როგორც წესი, თვით ძლიერ შემართვასა და ხმოვნის ძირითად ბირთვს შორის ვითარდება ექსპრესიული ⁹ – ზოგგან მეტი, ზოგგან ნაკლები ინტენსიურობით. ანუ: ის, რაც ზოგიერთ ენაში (გერმანულ, მეგრულ, თუშურ და ა. შ. ენებში) გაცნობიერებულია ანლაუტის ხმოვნის ძლიერ შემართვად, არის არა ძლიერი შემართვა, როგორც ასეთი, არამედ ძლიერ შემართვასა და თვით ხმოვანს შორის განვითარებული ექსპრესიული ფარინგალიზაცია, გამოხატული თანმყოლი ⁸ ბგერის (ობერტონის) სახით.

დიახ, ერთი მხრივ, თანმყოლი (გვერდითი) მოვლენები, რომლებიც არა-არსებითაა ენის მატარებლის სუბიექტურ-ფონეტიკური ენობრივი ცნობიერებისათვის, აკუსტიკურად აღიქმება ყველაზე ადვილად, რის გამოც მსმენელს უნებურად ეჩვენება, რომ სწორედ ეს იოლად განსხვავებადი აკუსტიკური განმასხვავებლები ასახევენ შესაბამისი ბგერის არსს, რასაც უნდა მივათვალოთ თუშური ენისა თუ თუშური კილოს ანლაუტში ექსპრესიული **ქ** + ⁸ მოცემულობის ნაცვლად **ქ** დაწერილობის გაჩენაც, მაგრამ, მეორე მხრივ, მთელ თავის ყურადღებას ამახვილებს რა ამ – თანმყოლ – მოვლენებზე, ის (მსმენელი თუ დამკვირვებელი) ყოველთვის, როცა კი ისინი ბგერას არ აღმოაჩნდება, საგონებელში ვარდება ხოლმე, რაშიც უნდა ვიგულისხმოთ **უხ?** / **ვუხ?** (ასევე **ვილსონი** / **უილსონი**) ვარიანტების გაჩენაც: თუშური ენის თავკიდური ხმოვანი გამოდის იმ თანმყოლი შემართვისეული **ქ**-ს გარეშე, რომელიც ხშირად მდიდრდება ექსპრესიული **ქ** + ⁸ ფორმულითც, რაც დამკვირვებელს (მსმენელს) აბნევს.

III. 8. თუშური ენის ხმოვანთა უფრო დეტალური ანალიზისთვის საჭირო ხდება მიემართოთ მათ შესაძლო შიზოფონიას, ანუ „გახლეჩას“ შემადგენელ ბგერით (ფონეტიკურ) კომპონენტებად – წარმოთქმულის შესწავლის გასადვილებლად. ეს შესაძლებლობას გვაძლევს გავაცნობიეროთ ანლაუტის (ანდა იზოლორებული) ჩვეულებრივი ხმოვნების შემართვა. ანალიზის პროცესში გამოვლინდა შიზოფონიის რამდენიმე ფორმა (შესაძლებლობა, ხერხი, გამოსავალი), რომელთაგან ყველაზე ეფექტურად შეიძლება მივიჩნიოთ ძლი-

ერდამართვიანი და ჩვეულებრივი ხმოვნების დამეზობლება ერთი სინტაგმის (შესიტყვების) ფარგლებში, რაც უსათუოდ იძლევა დისტანციურ გემინირებული ოკლუზიას (**DX**), ეს კი, თავის მხრივ, ადასტურებს იმას, რომ ანაუტიკური (ასევე იზოლორებული) ხმოვანი თუშურ ენაში მაგარშემართვიანია.

III. 9. ყველაზე ღირებულ მონაპოვრად უნდა ჩათვალოს მაგარი შემართვის გამოვლენა ქართული სალიტერატურო ენის თავკიდურ (აგრეთვე იზოლორებულ) ხმოვნებში – ასევე შიზოფონიის, კერძოდ, დისგემოკლუზიის (**DX**) დახმარებით. ეს საშუალებას იძლევა გარკვეულწილად ახლებურად შევხედოთ და მივუდგეთ ხმოვნებს (არა მარტო ხმოვნებს), როგორც სამეტყველო ბგერებს, კერძოდ:

III. 10. ა) შიზოფონიის გზით შეიძლება გამოვავლინოთ ჩვეულებრივი ხმოვნების მაგარი შემართვა სხვა ნებისმიერ ენაშიც: სლავურ (კერძოდ, რუსულ), რომანულ და ა. შ. ენებში.

ხუთიდან (**a, e, i, o, u**) ერთი რომელიმე ხმოვანი ორ სხვადასხვა ენაში ფონეტიკურად რაღაცით განსხვავდება კიდევაც, მაგრამ, ამავე დროს, ერთი და იგივეც არის. ამგვარივე საერთო ფონეტიკური ნიშანი უნდა იყოს მაგარი შემართვა – როგორც ყველა ჩვეულებრივი ხმოვნისთვის, ისე მათი ყველა კორელატისთვის ენებში საერთოდ. გამოდის, ხმოვნის ძლიერი შემართვა არის არა მარტო ზოგიერთი (თუშური, მეგრული, გერმანული...) ენებისთვის დამახასიათებელი რამ, არამედ უნდა მიეკუთვნებოდეს იმ ლინგვისტურ უნივერსალებს, რომელთა არსებობაც ჯერ კიდევ უძველეს გრამატიკებში იყო გაცნობიერებული და დადასტურებული. ეს შემართვა ენათა უმრავლესობისთვის არის ოდენ ფონეტიკური ნიშანი და არ სცილდება ფონეტიკის სფეროს. თუმცა თუშურ ენაში, მაგალითად, სადაც დღემდეა შემონახული თავისუფალი შემართვაც, ძლიერი შემართვა, თავის მხრივ, ქმნის რა ოპოზიციას წინააზრ თავისუფალ შემართვასთან, ასევე ატარებს ფონოლოგიურ დატვირთვას.

ჩვეულებრივი ხმოვნის ძლიერი შემართვა უნდა ვიგულისხმოთ:

- 1) მისი განცალკევებით (იზოლორებულად) არტიკულირების შემთხვევაში;
- 2) განცალკევებული ლექსემის ანლაუტში;
- 3) მარცვლის ანლაუტში დამარცვლისას;
- 4) წინადადებაში ხაზგასმული ლექსემის ანლაუტში (ლოგიკური მახვილის პირობებში);

5) წინადადების (ან სინტაგმის, შესიტყვების) პირველი წევრის თავი-
დურში;

6) ხანგრძლივი პაუზის შემდეგ;

7) სხვა შემთხვევებში, რომლებიც დაზუსტებასა და სისტემატიზაციას
ელიან (მაგალითად, ტექსტის დამუშავებისას კომპიუტერით, რაც ხან-
გრძლივი პაუზის ანალოგიაა და ა. შ.).

მოკლედ, ნებისმიერი ენის ჩვეულებრივი ხმოვნის (აგრეთვე მისი კორე-
ლატების) არტიკულაცია მის საწყის მომენტში დასშულია (ჩაკეტილია) სამ-
ეტყველო სიდიდით, რომელსაც **კ. ჭრელაშვილმა** ბგერა-სეგმენტი უწოდა;
ეს არის **ჰ** ლარინგალი.

III. 10. ბ) თუ შორი ენის ჩვეულებრივი ხმოვნები წარმოადგენენ იმ **a, e, i, o, u**
ხმოვნების შესატყვის ხმოვნებს, რომელთა ფონეტიკაც სხვადასხვა ენაში
ერთნაირია (ან თითქმის ერთნაირია), ყოველ შემთხვევაში, მათი შემართვის
თვალსაზრისით; ესენი ჩვეულებრივი ხმოვნებია.

IV. 11. ხმოვნებისა (ჩვეულებრივი ხმოვნებისა) და თანხმოვნების ერთურ-
თისგან განსხვავების თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას შემდეგი:

1) ნებისმიერი სამეტყველო ბგერის – როგორც თანხმოვნის, ისე ხმოვნის
– წარმოთქმისას უსათუოდ აქვს ადგილი საარტიკულაციო წინალობას. მეო-
რეთათვის ეს წინალობა ძირითადად აიგება (და მერე იხსნება) ყიაში (სახმო
მორჩებში), პირველთათვის – სამეტყველო ტრაქტის მთელ პერიმეტრზე,
მათ შორის, ყიაშიც. აქედან გამომდინარე, ჩვენ არ შეგვიძლია ხმოვნებისა და
თანხმოვნების განსხვავება სამეტყველო წინალობათა ქონა-არქონის (არსე-
ბობა-არარსებობის) ნიშნით. ისე რომ, ხმოვნებისთვის და თანხმოვნებისთვის
სამეტყველო ხშვა-განხშვა (სამეტყველო წინალობის ქონა-არქონა) არის
არა განმასხვავებელი, არამეს საერთო ნიშანი;

2) ხმოვნების (ჩვეულებრივი ხმოვნების) წარმოსათქმელად ისევე იხშებიან
და განიხშებიან სახმო ბაგეები (იოგები), როგორც, დავუშვათ, **ბ, ფ, ჰ** თანხ-
მოვნების წარმოსათქმელად – პრის ბაგეები (ტუჩები). ამ თვალსაზრისით, არ
შეიძლება ვისაუბროთ ხმოვანთა სტატიკურ ხასიათზე ზოგადად.

როცა ლაპარაკია ხმოვნებისა და თანხმოვნების განსხვავებაზე საარტიკუ-
ლაციო გზის თავისუფლებისა თუ ამა თუ იმ წინალობათა არსებობა-არარსე-
ბობის ნიშნით, უპირატესად იგულისხმება ბგერა, როგორც ფონეტიკური და
არა ფონოლოგიური სიდიდე, ანუ ბგერა არა სწორედ და მხოლოდ სიტყვაში

(სადაც შედგენდება მისი ფონოლოგიური ღრეზულება), არამედ ბგერა,
როგორც ასეთი. ამ თვალსაზრისით, წინამდებარე გამოკვლევის საფუძველზე
შეგვიძლია ვთქვათ, რომ საარტიკულაციო წინალობათა არსებობა-არარსე-
ბობის ნიშნით ანლაუტსა და იზოლაციაში ხმოვნები და თანხმოვნები არ გან-
სხვავდებიან.

როგორღაც ისე აეწყო ლინგვისტიკაში, რომ ცალ-ცალკე, ერთმანეთთან
თემატური კავშირის გარეშე განიხილება ხოლმე, ერთი მხრივ, ხმოვნებისა და
თანხმოვნების განსხვავების საკითხი სამეტყველო წინალობის ქონა-არქონის
ნიშნით, ხოლო მეორე მხრივ, ხმოვანთა ძლიერი შემართვის საკითხი თუნდაც,
მაგალითად, სალიტერატურო გერმანულ ენაში, რაც ხელს არ უნდა უწყ-
ობდეს ამ ორი ასპექტის სწორად გაცნობიერებას: თუკი თუნდაც ერთ რომე-
ლიმე კერძო მეტყველებაში (გნებათ ენაში, გნებათ ღიალექტში) გვაქვს
მაგარშემართვიანი ხმოვნები, რაც თავისთავად გულისხმობს სამეტყვე-
ლო წინალობის არსებობას, უკვე ტოვებს უკმარისობის შთაბეჭდილებას
ბგერების ზოგადფონეტიკური კლასიფიკაცია ხმოვნებად და თანხმოვნებად
ამ წინალობის ქონა-არქონის ნიშნით.

IV. 12. თავისუფალ ხმოვანს **თავისუფალი** ვუწოდეთ იმის გამო, რომ ასე-
თი ხმოვანი, ჩვეულებრივი ხმოვნისგან განსხვავებით, თავისუფალია მაგარი
(**მკვეთრი**, ხშული, ძლიერი) შემართვისგან, ანუ შემართვისეული **ჰ** ლარ-
ინგალისგან. ისე რომ, ხმოვანთა შემართვის დღეისათვის ცნობილი ოთხი
ტიპიდან – ძლიერი, ნელი (რბილი), ფშვინვიერი და მოტრეხული – თუ შორი
ენის მაგალითზე თავისუფალ ხმოვნებში უნდა ვიგულისხმოთ ნელი (რბილი)
შემართვა – იმ არგუმენტის გათვალისწინებით, რომელიც საფუძვლად დაე-
ლო სატერმინო კომპონენტს **თავისუფალი**. ხოლო თუკი გავიზიარებთ მო-
საზრებას ანლაუტის ხმოვნის არტიკულაციის საწყის მომენტში **ჰ**-ს მიმყო-
ლი ექსპრესიული **ჰ**-ს განვითარების შესახებ, მოგვიწევს ხმოვნის შემართვის
მესუთე ტიპის – ექსპრესიული შემართვის – ცნობა.

როცა ვლაპარაკობთ ანლაუტის (ანდა იზოლირებულ) თავისუფალ
ხმოვნებზე, უნდა წარმოვიდგინოთ ანლაუტისა თუ აუსლაუტის ის ჩვეუ-
ლებრივი ხმოვანი, რომლის წინაც, სამეტყველო კანონზომიერებათა გათ-
ვალისწინებით, არ არის **ჰ** ლარინგალი (ძლიერი შემართვა). ანუ: ანლაუტსა და
აუსლაუტში ჩვეულებრივი ხმოვანი თავისუფლდება ძლიერი შემართვისგან,
თუ, რა თქმა უნდა, მის წინ, ამა თუ იმ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით,

არ ჩნდება **ჟ** ლარინგალი.

ბგერის სტრუქტურული და ფონეტიკური (არტიკულაციური) მხარეების გამოჯვანის შემთხვევაში, შეიძლება ასეთი მსჯელობის აგება: თუ ფიზიოლოგიურად (არტიკულაციურად) **ნაზალიზებულს** ვუწოდებთ იმ ხმოვანს, რომელსაც წარმოვთქვამთ ჰაერნაკადის ერთდროული გატარებით პირისა და ცხვირის ღრუებში, სტრუქტურის (აგებულების) თვალსაზრისით, ნაზალიზებულია ის ხმოვანი ბგერა, რომელიც შედგება ჩვეულებრივი ხმოვნისა და მისი მოძღვენა ცხვირისმიერი **ნ** (ან **მ**) თანხმოვნის ცხვირისმიერი ნაწილისგან. გამოდის, სტრუქტურულად ნაზალიზებული ხმოვანი არის რთული ბგერა და უდრის: ჩვეულებრივი ხმოვანი + ცხვირისმიერი თანხმოვნის ნაწილი. ანალოგიურად: ჩვეულებრივი ხმოვანი უდრის: **ჟ** ლარინგალური თანხმოვანი + თავისუფალი ხმოვანი (ჩვეულებრივი ხმოვნის ნაწილი საწყისი **ჟ**-ს გარეშე). ანუ ჩვეულებრივი ხმოვანი = **ჟ** + $\sim$ V. თავისთავად, თავისუფალი ხმოვანი წარმოადგენს ბგერას, რომელიც უდრის: ჩვეულებრივი ხმოვანი მინუს **ჟ**. ის მაგარი შემართვა, რომელიც გაჩნდა მანამდელი თავისუფალი ხმოვნების შემართვაში, თავდაპირველად, შესაძლოა, ექსპერსიულიც ყოფილიყო.

ფილტვებიდან ამონადენი ჰაერნაკადის თავისუფლება-შეზღუდულობა დაახლოებით ასეთნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ:

(1) **ჩვეულებრივი (თავისუფალი, წყნარი) სუნთქვა**. ამ დროს ჰაერნაკადი არ არის აბსოლუტურად თავისუფალი, მაგრამ არის ყველაზე მეტად თავისუფალი (აბსოლუტური თავისუფლების შემთხვევაში აღარ შედგებოდა თვით სუნთქვაც, როგორც ასეთი). ხმა (ბგერა) აქ ჯერ არა გვაქვს.

(2) **სახმო სიმების სახმო (მუშა) მდგომარეობა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ხმის, ისე თავისუფალი ხმოვნების წარმოებას**. ამ დროს თავისუფლება იმაზე ნაკლებია, ვიდრე (1) შემთხვევაში, მაგრამ იმაზე მეტი, ვიდრე სხვა ნებისმიერი სამეტყველო ბგერის წარმოებისას.

(3) **საარტიკულაციო გზაზე (იგულისხმება სახმო ქორდებიც) ამა თუ იმ წინალობის (ხშვის გამოკლებით) წარმოქმნა მისი შემდგომი ლიკვიდაციით**. ამ დროს ჰაერნაკადის თავისუფლება იმაზე უფრო მეტად არის შეზღუდული, ვიდრე (2) შემთხვევაში და იმაზე უფრო ნაკლებად, ვიდრე ხშილი თანხმოვნების (მათ შორის **ჟ**-ს) წარმოებისას. აქ იწარმოება ნაპრალოვანი თანხმოვნები (მათ შორის ლარინგალური **ჟ**-ც).

(4) **ხშვა განხშვით**. ამ დროს იხშობიან და განიხშებიან როგორც თვით

სახმო ქორდები, ისე სხვა რომელიმე სამეტყველო ორგანოები, რითაც წინალობა აღწევს უმაღლეს დონეს, თავისუფლება კი აბსოლუტურად ლიკვიდირებულია განხშვამდე. აქ ქორდების ხშვა-განხშვით მიიღება ლარინგალური **ჟ** და ანლაუტისეული (ან განმარტოებული) ჩვეულებრივი ხმოვნები (მათი კორელატებითურთ), სხვა ორგანოების ხშვა-განხშვით კი – ესა თუ ის ხშილ-მსკდომი თანხმოვანი (აბრუპტივი).

აქედან გამომდინარე, ის განმასხვავებელი არტიკულაციური ნიშნები, რომლებიც სადღეისოდ მიეწერება ხმოვნებს (ჩვეულებრივ ხმოვნებს), უნდა მივაწეროთ თავისუფალ ხმოვნებს, ხოლო ის ნიშნები, რომლებიც თანხმოვნებს მიეწერება, უნდა გავუნაწილოთ ანლაუტის (ანდა იზოლირებულ) ჩვეულებრივ ხმოვნებს:

№	თავისუფალი ხმოვნების არტიკულაციისას	თანხმოვნების, აგრეთვე ანლაუტისეული (ანდა იზოლირებული) ჩვეულებრივი ხმოვნების არტიკულაციისას
1	ჰაერნაკადს არ ხვდება წინალობა	ჰაერნაკადს ხვდება წინალობა
2	სამეტყველო აპარატის დაჭიმულობა თანაბარია	წინალობის გადალახვის მომენტში დაჭიმულობა ყველაზე მეტია
3	ჰაერნაკადის ამოღინება სუსტია	ჰაერნაკადის ამოღინება ძლიერია წინალობათა გადალახვის აუცილებლობის წყალობით
4	სამეტყველო ორგანოები უცვლელ მდგომარეობაშია (ამიტომ: თავისუფალი ხმოვნები სტატიკურია)	სამეტყველო ორგანოები მოძრაობაშია (ამიტომ: თანხმოვნები, აგრეთვე ანლაუტისეული ანდა იზოლირებული ჩვეულებრივი ხმოვნები დინამიკურია).

ანლაუტისეული თუ განცალკევებული ნებისმიერი ჩვეულებრივი ხმოვანი შემართვაში ისევეა დახშული **ჟ**-თი, როგორც, მაგალითად, რუსულ ენაში **ж, в, в, ю** გრაფემებით აღნიშნული ხმოვნებია ილჭურილი **ж**-თი (თუ ისინი ფიგურირებენ: ან ანლაუტში, ან ხმოვნებისა თუ **ж** და **в** ნიშნების მიმყოფ, ან იზოლაციაში). ესაა მხოლოდ, განსხვავებულია ხშვის ადგილიც და ხარისხიც: **ჟ** ლარინგალურია და ხშილი, **ж** (н) კი – შუაენისმიერი და ნაპრალოვანი.

ხუთივე ჩვეულებრივი ხმოვნიდან ნებისმიერის არტიკულაციის-

ვის მომზადებული ჰქონდა ღრუს პირობებში თითქოსდა აღარაფერი გვიშლის ხელს ამ არტიკულორების ჩასატარებლად. მაგრამ სინამდვილეში ეს არ (ვერ) მოხდება მანამდე, ვიდრე თითოეული ჩვეულებრივი ხმოვნისთვის ცალ-ცალკე არ მიემართავთ სახმო სიძების ხმას მათი შემდგომი განხშვით, რასაც მოჰყვება საფონაციო ხმის ამონიღება, გამჟღერების პროცესი სახმო ქორდებზე ხახუნით (ფრიქციით). საფონაციო ხმის ამოღინებას შეიძლება მივაღწიოთ სახმო ქორდების ხშვა-განხშვის გარეშე – მათი ერთმანეთთან მოახლოებით სამუშაო მდგომარეობამდე, ოღონდ ამ შემთხვევაში ჩამოყალიბდება თავისუფალი ხმოვნები.

თავის ღრვზე ხმოვნებს უწოდეს **სტატიკური**, ხოლო თანხმოვნებს – **დინამიკური**. მათი ასეთი კვალიფიკაცია შემუშავდა ამ ნიშნების შესაძლო პოზიციური დიფერენციაციის გათვალისწინების გარეშე. და ეს მაშინ, როცა, მაგალითად, ხმოვნის მაგარ (თუ რბილ ანდა ფშვინიერ) შემართვაზე საუბრისას, უსათუო და გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა მის პოზიციას, იმას, თუ სიტყვის რომელ ნაწილშია ხმოვანი; ანუ: არსებითი მნიშვნელობა ეძლევა ხმოვნის, როგორც ფონემის, იმ გარემოცვას, რომელიც მისთვის ქმნის გარკვეულ საწარმოთქმო პირობებს.

ახლა, როცა ასე თუ ისე გავაანალიზეთ ჩვეულებრივი ხმოვნებიც, **ქ** თანხმოვანიც, თავისუფალი ხმოვნებიც, შეიძლება ვთქვათ, რომ სამეცნიერო წყაროებში შემოთავაზებულ რენტგენოგრაფიაზე ასახული **ქ**-ს (თუშური **ქ**-ს) არტიკულაციაში არა ჩანს სახმო ქორდების ხშვის მომენტი, რაც არანაირად არ პასუხობს ამ თანხმოვნის კვალიფიკაციას – არც ხშულობას, არც, მაშასადამე, დინამიკას: თუკი ენის მდგომარეობას გამოვრცხვავთ და ყურადღებას სწორედ სახმო ქორდებზე გადავიტანთ, ეს მათი ის მდგომარეობაა, რომელიც, ჩვენი მსჯელობის თანახმად, უზრუნველყოფს ნებისმიერი თავისუფალი ხმოვნის არტიკულაციას, აგრეთვე არტიკულაციას ნებისმიერი ანლაუტისეული (ანდა განცალკევებული) ჩვეულებრივი ხმოვნისა, ოღონდ – არტიკულაციის იმ ნაწილისა (მონაკვეთისა), რომელიც მოსდევს **ქ**-ს. თუკი შევერთებთ ამ „ორ არტიკულაციას“ – **ქ** თანხმოვნისას და თავისუფალი ხმოვნისას, მივიღებთ ანლაუტისეული (ანდა იზოლირებული) ჩვეულებრივი ხმოვნის არტიკულაციას.

ჩვენი მსჯელობის მიხედვით, ანლაუტის (ასევე განცალკევებული) ჩვეულებრივი ხმოვნების არტიკულაცია მათ საწყის მომენტში ითვალისწინებს

მანამდე დახშული მბგერი იოგების განხშვას, ანუ ამ უკანასკნელთა მოძრაობას, რაც იძლევა **ქ** ლარინგალს და რაც გვათამამებს დავასკვნათ, რომ, ისევე როგორც თანხმოვნები, ხმოვნები (ანლაუტისეული და ცალფა) უნდა მივიჩნიოთ დინამიკური წარმოების ბგერებად.

ამათგან განსხვავებით, თავისუფალი ხმოვნები (ასევე – ანლაუტსა და იზოაციაში) უნდა მივიჩნიოთ სტატიკური (სტაციონალური, ერთგვაროვანი) წარმოების ბგერებად, რადგან სწორედ ესენი უნდა ხასიათდებოდნენ ფორმანტების (მაწარმოებლების) სიმძრეთა მუდმივი მნიშვნელობით ბგერადობის მთელ განფენილობაზე, რაც არტიკულაციურად შეესაბამება სამეცნიერო ორგანოთა უცვლელ წყობას (მათ შორის, სახმო სიძებისა) წარმოქმნის დაწყებიდან დამთავრებამდე.

ისე რომ, ჩვეულებრივი ხმოვანი მისი არტიკულაციის საწყის მეცხე დინამიკური წარმოებისაა, მომდევნო ეტაპზე კი – სტატიკური წარმოებისა.


სტატიკური (სტაციონარული) წარმოებისაა თავისუფალი ხმოვანი მისი არტიკულაციის მთელ მანძილზე, ანუ ის ისეთივეა, როგორც ჩვეულებრივი ხმოვანია მისი თავიერი ფონეტიკური **ქ**-ს მიმყოფ, მომდევნო ეტაპზე: თუ, ჩვენი მსჯელობის მიხედვით, ნებისმიერი სამეცნიერო ბგერის (როგორც ხმოვნის, ისე თანხმოვნის) წარმოსათქმელად საჭირო და აუცილებელია შესაბამისი სამეცნიერო ორგანოების სულ ცოტა ორი მდგომარეობა (ორი კონფიგურაცია), თავისუფალი ხმოვნის არტიკულაციისთვის სკამარისა ორგანოების – სახმო სიძების – ერთი, მუშა მდგომარეობა (მათი რჩევა როგორც მოძრაობა ანდა მოძრაობათა ჯერი ამ კონტექსტში არ ჩაითვლება საწარმოთქმო გადაადგილებად, ანუ მოძრაობად). ამ გაგებით, თავისუფალი ხმოვნები შეიძლება მივიჩნიოთ **სუბერსტატიკურ** ბგერებადაც, რადგან ყველა საწარმოთქმო ორგანო, სახმო სიძების ჩათვლით და ჩვეულებრივი ხმოვნებისგან განსხვავებით, მართლაც თავიდან ბოლომდე შეჩერებულია გარკვეულ მდგომარეობაში – სწორედ ისევე, როგორც ეოლეს ქნარის შემთხვევაშია.

განსხვავება ჩვეულებრივსა და თავისუფალ ხმოვნებს შორის არის ის, რომ თავისუფალი ხმოვნების არტიკულაციისას არა გვაქვს ის, რაც გვაქვს ჩვეულებრივი ხმოვნების არტიკულაციისას – მბგერი იოგების ხშვა-განხშვა. იქ, სადაც ჩნდება შემართვისეული **ქ**, იკარგება ხმოვნის თავისუფლება და, პირიქით, იქ, სადაც გვაქვს ხმოვნის თავისუფლება, არა გვაქვს შემართვისეული **ქ**. ამაშია პირველი და ყველაზე არსებითი ფონეტიკური განსხვავება მათ შორის.

თუკი ცოცხალ მეტყველებას მოვუსმენთ ისე, როგორც მუსიკას უსმენს დიდი მუსიკოსი, რომელიც ორკესტრის მრავალხმიანობაში არჩევს ნებისმიერი ინსტრუმენტის ხმას, იჭერს ნებისმიერ ბგერას და მის თითოეულ უნატიფეს ელფერს, არცთუ ძნელად შევამჩნევთ, რომ თუ შორენოვან მეტყველებაში, იქ, სადაც წინამდებარე შრომის ავტორი ითვალისწინებს თავისუფალ ხმოვნებს, მართლაც გვაქვს იმის ანალოგიური შემართვა, როგორიც ინგლისურენოვანი **Wilson, Wilton** და ა. შ. ტიპის სიტყვების ანლაუტში გვაქვს, ოღონდ: თუ ინგლისური ენის **w**-ში გვაქვს თავკიდური მოკლე (უმარცვლო) თავისუფალი $\sim \text{უ} (\sim \text{უ})$, თუ შუური ენის თავკიდურში გვაქვს სრული წარმოების თავისუფალი $\sim \text{უ} (\sim \text{უ})$ ¹⁵².


იმ შემთხვევაშიც კი, თუკი თუ შუურ ენას ექნებოდა დამწერლობა, სადაც თავისუფალხმოვნანი ფორმები მიჩნეული იქნებოდა დიალექტიზმებად (ან თუნდაც გაუმართლებელ, ექსტრალინგვისტურ ფორმებად), მაინც იქნებოდა საჭირო შესაბამისი დახასიათებაც, ახსნაც. აქ მთავარი ის კი არ არის, ნამდვილად გააჩნია თუ არა თუ შუურ ენას თავისუფალი ხმოვნები, არამედ ის, რომ ენის მატარებელთა შორის არიან ადამიანები, რომლებიც ასერხებენ ხმოვნის წარმოთქმას (და მოსმენას) შემართვისეული **ქ**-ს გარეშე, რასაც სჭირდება აღნიშვნაც და დეფინიცია. და თუკი ერთხელაც დავესკისებოდით **ბ. შოუს**, შეიძლებოდა გვეთქვა: განსხვავება ჩვეულებრივ და თავისუფალ ხმოვნებს შორის თუ შუური ენის ანლაუტში (და იზოლაციაში) ისევეა ხელშესახები და აშკარა, როგორც **ა**-სა და **ბ**-ს შორის.

IV. 13. მის შემართვაში მოვიაზრებთ რა **ქ** ლარინგალს, რომელიც, ასე თუ ისე, ბგერაა მაინც, ტრადიციული საარტიკულაციო სქემა (შემართვა-დაყოვნება-დამართვა) ჩვეულებრივი ხმოვნისთვის (ანლაუტზეა ლაპარაკი) იგივე ღარჩება:



შესაბამისად, თავისუფალი ხმოვანი, რომელიც, ჩვენი გაგებით, არ შეიცავს შემართვისეულ **ქ**-ს, სქემაზე გამოჩნდება დაახლოებით ასე:

152 ჩვენი გრაფიკით უ.



IV. 14. **ქ** ლარინგალისა და ჩვეულებრივი ხმოვნების, ასევე თუ შუური ენის თავისუფალი ხმოვნების ანალიზს გარკვეულწილად მივყავართ **გზის მონახ-აზამდე ხმოვნებიდან თანხმოვნებამდე**, კერძოდ, თავისუფალი ხმოვნებიდან ჩვეულებრივ ხმოვნებამდე – ლარინგალურ **ქ** თანხმოვანზე გავლით, რაც, ჩვენი ხედვით, იძენს სახეს: $\sim V \rightarrow \text{ქ} V \rightarrow C$.

V. 15. და თუკი გარკვეულ მოსაზრებებამდე მივდივით ამ მხრივ, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ხმოვანთა შემართვა (მაგარიც და თავისუფალიც) ჯერჯერობით ისეთსავე ბნელ მონაკვეთად რჩება ფონოლოგიაში, როგორც სინათლე – ფიზიკაში.

მოკლედ: ყველა საანალიზო შემთხვევაში ვუმიზნებდით რა ხმოვნით დაწყებული სიტყვის ფონეტიკური თავკიდურის ხასიათს, ანუ ჩვეულებრივი ხმოვნის საკუთარ, დამოუკიდებელ **შემართვას**, ეს შემართვა აღმოჩნდა **მაგარი (ძლიერი, ხშული, მკვეთრი)**, რაც უმაღლესი ხარისხის საარტიკულაციო დაბრკოლებას წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით, თუ შუური ენის თავისუფალი ხმოვნები წარმოადგენენ, თუ შეიძლება ასე ითქვას, **ყველაზე ხმოვან ხმოვნებს**. თავისუფალი ხმოვნებისგან იქნენ წარმოებული ჩვეულებრივი ხმოვნები – **ქ** ლარინგალის (ძლიერი შემართვის) გაჩენის წყალობით მათივე წარმოთქმის საწყის მეყში. ხმოვნებიდან თანხმოვნებამდე მიმავალ გრძელსა და რთულ გზაზე ადამიანს გამოუძეოდა სახმო ქორდების ხშვისა და განხშვის საკომუნიკაციო საჭიროება და ჩვევები, რითაც თავისუფალმა ხმოვნებმა სრულიად ახალი დატვირთვა შეიძინეს. სწორედ აქ ჩნდება შესაძლებლობა ვილაპარაკოთ ვოკალთა ახალ თვისებებზე.

რაც შეეხება თანხმოვნებს. ყველა თანხმოვანი, ჩამოყალიბდა რა მას მერე, რაც ყოფილმა თავისუფალმა ხმოვანმა შეიძინა მაგარი შემართვა ლარინგალური **ქ** თანხმოვნის სახით, ანუ მბგერი იოგების, როგორც სამეტყველო

ორგანოების, ხშვა-განხშვის სახით, იმთავითვე მოგვევლინა საკუთარი, თანდაყოლილი (თუმცა, ღიახ, სხვადასხვა ხარისხის) ხშვა-განხშვით. ამიტომაც: თანხმოვნები თავიანთ ხშულ შემართვას არ კარგავენ არც ინლაუტში, არც აუსლაუტში. და როცა საუბარია ბგერათშეერთებაზე, უთუოდ უნდა განვასხვაოთ, ერთი მხრივ, მომდევნო თანხმოვნების, ხოლო მეორე მხრივ, მომდევნო ხმოვნების შეერთება წინამდებარე ბგერებთან: თანხმოვნები არ კარგავენ იმ შემართვას, რომელიც გააჩნიათ ანლაუტსა და იზოაციაში, ხმოვნები კი კარგავენ მას. ეს კიდევ ერთი ის ნიშანაცაა, რომლითაც ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ ხმოვნები და თანხმოვნები (ხმოვანთა მაგარი შემართვის შეძენილობაზე მიგვანიშნებს, ერთი მხრივ, თავისუფალი შემართვის ჯერ კიდევ შემორჩენილი კვალი მეტყველებებში, განსაკუთრებით თუშურ ენაში, მეორე მხრივ, ის, რომ ინლაუტსა და აუსლაუტში დღევანდელი ხმოვნები კარგავენ მას – მაგარ შემართვას).

წინამდებარე კვლევის წარმოებასაც და გარკვეული დასკვნების გაკეთებასაც უნდა ვუძღვოდეთ თუშურ ენას, მის არსებობას ჯერ კიდევ ყველაზე მეტად კი ის არის ღრებულო, რომ, მიუხედავად სერიოზული ფონეტიკური ძვრებისა და ისიც – უდამწერლობის, დამავალი ბილინგვიზმისა თუ გააქტიურებული ინტერფერენციის პირობებში, თუშური ენა ისე მიდის არენიდან, რომ, პირნათლად მოიხადა რა ის ვალი, რომელიც შეიძლებოდა დაჰკისრებოდა ენას, როგორც ასეთს, და არ დანებდა რა ფონეტიკურ ზეგავლენათა თვითნებობას, არ მოეშვა იმ ოდენობით, რა ოდენობითაც შეიძლებოდა მოშვებულიყო: ინგლისური და ჩინური ენების მატარებლები, მაგალითად, იძულებულნი არიან წამდაუწუმ მიმართონ **spelling**-ს, ანუ სიტყვების ასოით (ასო-ასო) წარმოთქმას, რაც მათ უპირატესობაზე არ უნდა მეტყველებდეს. ტიპოლოგიის თვალსაზრისით, ქართული და თუშური ენები ფაქტობრივად ერთი და იმავე საარტიკულაციო ბაზისით სარგებლობენ, თუკი გამოფრიცხავთ თუშური ენის მდიდარ კორელაციას, რომელიც სპეციფიკური ფონის მიზეზია. მეორე მხრივ, დღესაც, როცა ისტორიამ მკაცრად და ამჯერად ალბათ უკვე საბოლოოდ დასვა თუშური ენის ყოფნა-არყოფნის მტკიცებულო საკითხი, აქ შემონახული თავისუფალი ხმოვნები (და არა მარტო ესენი) კიდევ ერთხელ ადასტურებენ **ი. დეშერიევის** მიერ გასული საუკუნის 50-იან წლებში ნათქვამ სიტყვებს იმის შესახებ, რომ ამ ენის ფონეტიკური (ფონოლოგიური) სისტემა ნარჩუნდება, ის არ დაექვემდებარა ძირეულ მსხვრე-

ვას, პირიქით, ფონეტიკის ძირითადი სპეციფიკური თვისებები განაგრძობენ მოქმედებას, ფუნქციონირებას, იქნებ სწორედ იმიტომაც, რომ უდამწერლობის გამო ეს ენა სწორედ ამ სფეროში აღმოჩნდა უფრო მეტად მობილიზებული, რაც თვითგადარჩენის ინსტინქტზე მიგვანიშნებს. ეს ფაქტი თავისთავად იძლევა იმ ენის დახასიათებას, რომლის ფონეტიკურმა გენმაც, მასზე მოლაპარაკეთა მცირე და გეომეტრიული პროგრესიით კლებადი რიცხვის მიუხედავად, დღემდე ურყევად შეინარჩუნა თავისი სახე მრავალსაუკუნოვანი მრავალფეროვნების ბუნებრივსა და უმჭიდროეს გარემოცვაში. თუშური ენა თავისი მრავალსაუკუნოვანი არსებობიდან მოდის (და მიდის) საკუთარი ფონოლოგიური არსენალით, შინაგანი განვითარების საკუთარი კანონებით. მეტიც: თავისი დასასრულის წინ თუშური ენა კვლავაც გვაოცებს იმ მოულოდნელობებით, რომლებზეც ჯერ კიდევ **ნ. ტრუბეცკო** მიგვანიშნებდა, როცა შეფასებას აძლევდა აღმოსავლეთკავკასიური ენების ბგერათა ფონეტიკურ მხარეს. **მ. შიქელაძის** სიტყვებით, ისე მიდის არენიდან თუშური ენა, რომ, ჯერაც არ იძლევა რა თანხმობას ბევრ რამეზე, ბოლომდე იჩენს იმ საოცარ სიფრთხილეს, რასაც საერთოდ იჩენს ხოლმე სიახლეათა მიმართ, რათა ორენოვნების ყველა საფეხურზე მაქსიმალურად შეასრულოს საკომუნიკაციო მისია. როგორც ჩანს, ამანაც განაპირობა მისი დღემდე არსებობა დამწერლობის გარეშე. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ, ხეთური ენისთვის **ქ** ლარინგალი უკვე ითვლებოდა არქაულ ბგერად, მაშინ კიდევ უფრო უძველესად უნდა ჩათვალოს თავისუფალი ხმოვანი, რომლისგანაც მივიღეთ ჩვეულებრივი ხმოვანი – **ქ** ლარინგალის განთავსების გზით მის შემართვაში. თუ ლარინგალურ არტიკულაციას არქაულ მოვლენად ვთვლით, მაშინ შეიძლება ჩავთვალოთ, რომ თავისუფალი ხმოვნების შემთხვევაში საქმე გვაქვს არქაიარქაულ ბგერებთან. და თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ უძველესი კვალიც, ხმოვნებიდან თანხმოვნებამდე მიმავალი, სწორედ თუშური ენის ბგერით თვითმყოფადობას უნდა წარმოეჩინა.

იმას, რასაც თავკიდური თავისუფალი ხმოვნის კვალითუქაცია მივეციოთ აქ და რაც, შესაძლოა, ზოგჯერ სრულიად უმნიშვნელო და იქნებ ზედმეტ მცდელობადაც მოგვეჩვენოს, ჩვენ ერთობ სერიოზულ ფაქტად მივიჩნევთ და ვთვლით, რომ ეს უნიკალური მოვლენა შედგომს სკრუპულოზურ კვლევას ელის: თავისი გაქრობის წინ თუშურმა ენამ მოასწორო კიდევ ერთი თავსატეხი შემოეთვავებინა ენათმეცნიერთათვის. სწორედ თუშურ ენაში არსებ-

ულმა და დაკვირვების შედეგად გამოვლენილმა ნიშან-თვისებებმა მოგვცეს უნიკალური შანსი სრულიად ახლებურად გაგვეაზრებინა ჩვენთვის კარგად ნაცნობი ზოგადმეცნიერული, კერძოდ, ზოგადფონეტიკური მოვლენები თუ დებულებები. დასაბუთებულია მხოლოდ, რომ ასეთი ენა, რომელიც ოდესღაც დიდად გავრცელებული ყოფილა, ჩვენს თვალწინ ასრულებს თავის არსებობას და ჯერაც არა ჩანს: არათური – საშველი და არავინ – მაშველი.

რომც არ მიგვეგნო თუშურ ენაში, არც რომელიმე სხვა ენაში ასეთი – თავისუფალი – ხმოვნებისთვის, ღირდა, ასე ვიტყვი, მოგვეგონებინა ისინი თუნდაც მხოლოდ იმისათვის, რათა ახლებურად განგვეჭვრიტა ჩვეულებრივი ხმოვნები – არა მხოლოდ თუშურ ენაში. მაგრამ ჩვენ მივაგენით ასეთ ხმოვნებს და მივაგენით სწორედ თუშურ ენაში. ამან კიდევ უფრო ღრმად ჩაგვახედა ხმოვანთა სისტემაში, მეტიც, სამეტყველო ბეგრებში საერთოდ. თუშური ენის თავისუფალი ხმოვნების არსებობის გარეშე ანდა, ასე ვთქვათ, ამგვარ მონაცემთა არსებობის თუნდაც შესაძლებლობის გააზრების გარეშე, ვეჭვობთ, მოხერხებულიყო **ჲ** ელემენტის გამოვლენა ჩვეულებრივი ხმოვნების შემართვაში, სწორედ ისევე როგორც **ჟ**-ს არსებობის გარეშე მოხერხებულიყო **ღ**-ს შემადგენლობიდან **ჲ**-სა და **ჟ**-ს გამოყოფა. აღარას ვამბობთ იმაზე, რომ ამ ყოველივემ ხელი შეგვიწყო, ერთი მხრივ, ერთურთისგან გაგვემიჯნა ხმოვნის ძლიერი შემართვა და მეტყველების ექსპრესია, ხოლო მეორე მხრივ, ექსპრესია დაგვენახა არა ლარინგალურ **ჲ**-ში, არამედ ფარინგალურ **ჟ** მინაბეგრში (ობერტონში). ამასთანავე, **ჲ** ლარინგალით გამოხატული ძლიერი შემართვა ჩვეულებრივი ხმოვნებისა ერთ-ერთია იმ ენობრივ უნივერსალებს შორის, რომლებითაც ერთი ენა უახლოვდება, ენათესავება მეორეს თუნდაც ტიპოლოგიის დონეზე. და აქ კიდევ ერთხელ გვახსენებს თავს ის მაღალი მისია, რომელიც უსათუოდ აკისრია ენათა (მეტყველებათა) შესწავლასაც ეთნოსთა კონსოლიდაციის საქმეში.

ბოლოს, იმის გათვალისწინებით, რომ, ერთი მხრივ, თუშური ენა უდამწერლობაა, მეორე მხრივ, გვაქვს გარკვეული მიგნებები ამ უბანში, რაც გარკვეულ კვლევით თავდადებას საჭიროებს, გვინდა ხაზი გავუსვათ იმ რეალობას, რომელიც აღწერილი აქვს **თ. გამყრელიძეს**: სამეტყველო მონაცემთა ფონეტიკური ჩაწერა (და აღწერა) „გულისხმობს ყველა იმ ბგერითი თავისებურების დაწვრილებით აღნუსხვას, რომლებიც ჩამწერმა შეიძლება გაიგონოს და გაარჩიოს მეტყველების ნაკადში“; და კიდევ: „...მეტყველების

ყოველი ფონეტიკური ჩანაწერის სიზუსტე, ის, თუ რა თავისებურებებია მასში აღნუსხული, დამოკიდებულია ჩამწერის ფონეტიკურ მომზადებაზე, მისი სმენის გაწაფულობაზე“. ეს ნათქვამი იმასაც გულისხმობს უსათუოდ, რომ, ერთი მხრივ, ჩვენი კვლევა არ არის და არც შეიძლება იყოს საბოლოო და უტყუარი, მეორე მხრივ, მისი არსიდან გამომდინარე, მასში ჩაიდო ერთობ მძიმე შრომა.

ამ განწყობით დაველოდებით იმ ექსპერიმენტის შედეგებს, რომელსაც ჩატარებენ ალბათ მომავალში, ამ თეორიული ინტერპრეტაციების მერე, და რომელმაც ჩვენი მსჯელობის შედეგები საბოლოოდ უნდა დაადასტუროს ან უარყოს. თეორიული მსჯელობისას ვცდილობდით აზრიორი წარმოგვედგინა ის სურათი, რომლისკენაც ჩვენივე ეჭვებითა და მღელვარებით ვისწრაფოდით. ეს მსჯელობა, ბუნებრივია, მოკლებულია იმ სიზუსტეს, რითაც აღჭურვილია თანამედროვე ლინგვაპარატურა. ამის მიუხედავად, ჩვენ მიერ დახატულ სურათს ხელუხლებლად ვტოვებთ ნიშნად იმისა, თუ როგორი წვალებით მწიფდებოდა აზრი და როგორი რთული და მძიმე იყო ხმოვნებიდან თანხმოვნებამდე მიმავალი იმ აბაღახებული გზის ძიება, რომელსაც ბევრჯერ ოდენ ინტუიციურად ვაცნობიერებდით.

რეზიუმე

როგორც ზოგადი ფონეტიკა გვასწავლის, ადამიანის მეტყველება თავდაპირველად იყო ხმოვანი და მხოლოდ გარკვეული ისტორიული პერიოდის მერე მოხდა თანხმოდანთა წარმოების (არტიკულაციის) დაუფლება და მათი გამოყენება.

ამ გრძელი და რთული გზის მონახაზი ხმოვნებიდან თანხმოდანამდე ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს $\neg V \rightarrow 'V \rightarrow C$ სქემის სახით, რომელიც იკითხება დაახლოებით ასე:

1. თავდაპირველად, დიახ, როგორც ზოგადი ფონეტიკა გვასწავლის, ფუნქციონირებდა ხმოვანი, ოღონდ, ჩვენი აზრით, ჯერ კიდევ ბოლომდე ჩამოუყალიბებელი, გაუფორმებელი მაგარი შემართვით, ანუ ლარინგალური ' (ქ) თანხმოდანით, რის გამოც ის ატარებდა ერთგვარად ამორთულ, არცთუ სათანადოდ გამოკვეთილ და, მასასადამე, მართლაც ცხოველურ, არასოციალურ ხასიათს; ეს იყო ხმოვანი, თავისუფალი შემართვისეული მაგარი (ძლიერი, ხშირი, მკვეთრი) შემართვისგან: $\neg V$.

2. დროთა განმავლობაში არცთუ ხუმრობით აღაპარაკებულ ადამიანს (*Homo dictor*) უნდა გასჩენოდა მოთხოვნილება გაეტარებინა სხვადასხვა სახის „რეფორმები“, რომელთა შორისაც აღმოჩნდებოდა ცხოველური ტიპის ხმოვნებიდან სოციალური ტიპის ხმოვნებზე გადასვლასთან დაკავშირებული „პროექტი“, რაც თავისთავად უნდა მომსახურებოდა მიზანს, მანამდელი ხმოვანი გამხდარიყო უფრო გამოკვეთილი, უფრო ცხადი, უფრო ნათელი, უფრო ადამიანური და, მასასადამე, სოციალური, რისთვისაც გაათორმა კიდევაც იგი მაგარი (ძლიერი, ხშირი, მკვეთრი) შემართვით, ანუ შემართვისეული ' (ქ) ლარინგალით – პირველი თანხმოდანით: $'V$.

რატომ მაინცდამაინც ამ თანხმოდანით?

შესაძლოა, იმიტომ, რომ თანხმოდანთაგან მხოლოდ ის იწარმოება სწორედ იმ ერთადერთ ტაბოსში, სადაც მანამდე უკვე იწარმოებოდა თავისუფალი ხმოვანი – ლარინქსში (ყიაში, სახმო ქორღებში) და, რაც კიდევ უფრო მთავარია, მხოლოდ ამ თანხმოდანს შეეძლო ამგვარი სიცხადის მინიჭება მანამდე არცთუ გასაგები აკუსტიკის მქონე ხმოვნისთვის, რაზეც საკმაოდ ვრცლად გვაქვს საუბარი თვით ნაშრომში.

3. ამგვარად გაჩნდა პირველი თანხმოდანი: C .

და რაკი გადაიდგა პირველი, თუნდაც გაუბედავი, ნაბიჯი ხმოვნებიდან თანხმოდანებისკენ, რამაც არცთუ ცუდი შედეგი აჩვენა, მერე და მერე ადამიანი გააქტიურდა, რასაც მოჰყვა თანხმოდანთა „მოპოვების“ ტექნოლოგიის დახვეწა და რამაც, ბოლოს, მოგვცა თანხმოდანთა ისეთი მრავალფეროვნება, როგორსაც, ალბათ, თვით ადამიანიც არ მოელოდა.

ასეთია, ჩვენი აზრით, იმ გზის კონტურები, რომელიც მიემართება (თუ მოემართება) ხმოვნებიდან თანხმოდანამდე.

ამგვარი მსჯელობის წარმოების საშუალებას იძლევა უდამწერლობო თუშური ენა, რომელმაც დღემდე – თავისი ხანგრძლივი არსებობის ფინიშამდე – შემოინახა განსაკუთრებული არქიარქაული ფონეტიკური თუ ფონოლოგიური თავისებურებანი.

General Phonetic Issues of the Nature and Genesis of Vowels
on the example of Tush Language Memory

Summary

As general phonetics teaches us, human's speech was at first based only on vowels and after a peculiar historical time the consonants were formed (articulated) and used.

We have presented the outline of such long and difficult way from the vowels to the consonants in the form of the scheme $\text{V} \rightarrow \text{'V} \rightarrow \text{C}$, which is read in the following way:

1. At first the vowel was functioned as general phonetics informs us, though we think that the vowel was not completely formed, had no strong excursion or it was without laryngeal consonant ' (p), because of which it took amorphous, not strongly expressed and thus nonsocial nature; it was the vowel free from the hard (strong, frowzy, abrupt) excursion: V .

2. From time to time the person (*Homo dictor*) who has started speaking not humorously, had a requirement to make this vowel more expressed, more obvious, clearer, more human and thus social, this was the reason that the mentioned person formed the vowel with hard (strong, frowzy and abrupt) excursion or with laryngeal ' (p) – the first consonant: 'V .

Why namely with this consonant? Probably the reason is that only it from the consonants is formed in the only topos, where there was already formed the free vowel – in larynx (in glottis, vocal cords) and furthermore, only that consonant could give such clearness to the vowel with not so perceptive acoustic, about of which we have presented wide discussion in our work.

3. Thus, The first consonant was formed: C .

The first step from the vowels to the consonants was done, which showed not so bad result and only afterwards the human was activated, which was followed by unexpected variety. We think that the outlines of the way from the vowels to the consonants look like the abovementioned one.

Unwritten tush language gives us an opportunity to carry out such discussions. Tush language has kept till present the special archi-archaic phonetic or phonological features up to the finish of its long-lasting existence.

1. არჩილი, 1936 – არჩილი, არჩილიანი, I, ტფ., 1936.
2. ბერთლანი, ..., 2012 – ა. ბერთლანი, მ. მიქელაძე, ქ. გიგაშვილი, წოვათუშურ-ქართულ-რუსულ-ინგლისური ლექსიკონი, I, თბ., 2012.
3. ბერთლანი, ..., 2013 – ა. ბერთლანი, მ. მიქელაძე, ქ. გიგაშვილი, წოვათუშურ-ქართულ-რუსულ-ინგლისური ლექსიკონი, II, თბ., 2013.
4. ვაჟა-ფშაველა, 1979 – ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი ორ ტომად, ტ. I, ლექსები, პოემები, თბ., 1979.
5. თათარაძე, 1979 – ე. თათარაძე, იმედის გვირგვინი, თბ., 1979.
6. თათარაძე, 1988 – ე. თათარაძე, მთვარის ნაღი, თბ., 1988.
7. მიქელაძე, ..., 2011 – მ. მიქელაძე, ა. ბერთლანი, ქ. გიგაშვილი, მ. ცისკარიშვილი, წოვათუშური ტექსტები, I, თბ., 2011.
8. მიქელაძე, ..., 2014 – მ. მიქელაძე, ა. ბერთლანი, ქ. გიგაშვილი, წოვათუშური ტექსტები, II, თბ., 2014.
9. ნეიმანი, 1951 – ა. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბ., 1951.
10. სახოკია, 1967 – თ. სახოკია, ქართული ანდაზები, თბ., 1967.
11. ქადაგიძე, ..., 1984 – დ. ქადაგიძე, ნ. ქადაგიძე, წოვა-თუშურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984.
12. ჩოხელი, 1980 – გ. ჩოხელი, წერილი ნაძვებს, თბ., 1980.
13. ჩოხელი, 1982 – გ. ჩოხელი, ბინდისფერი ხეობა, თბ., 1982.
14. ჩოხელი, 2007 – გ. ჩოხელი, ცასწავლა, თბ., 2007.
15. წერეთელი, 1991 – აკ. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული თვრამეტ ტომად, I, თბ., 1991.
16. Буачидзе, 1989 – К. Буачидзе, Такое длинное, длинное письмо Виктору Астафьеву и другие послания с картинками в чёрно-белом цвете от К. Буачидзе, проживающего в гор. Тбилиси-79, ул. Барнова, 102, Тб., 1989.
17. Зураб Закариадзе, Фестиваль авторской песни, часть I, 8 августа, 2013, <https://www.youtube.com/watch?v=1EfGbPSpFc>

1. ანდლულაძე, 1997 – ნ. ანდლულაძე, **Homo canTor**, თბ., 1997.
2. ახვლედიანი, 1949 – გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949.
3. ახვლედიანი, 1966 – გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის შესავალი. თბ., 1966.
4. ბართიშვილი, 1993 – ა. ბართიშვილი, რამდენიმე მოსაზრება ხმოვანთა სისტემისათვის წოვათუშურ ენაში: პროფესორ-მასწავლებელთა 59-ე საინსტიტუტთაშორისო სამეცნ. სესია, თბილისის ს.-ს. ორბელიანის სახ. სახ. პედ. ინსტიტუტი, თბ., 1993.
5. ბართიშვილი, 1995₁ – ა. ბართიშვილი, ერთი თავისებურების შესახებ წოვათუშური ენის ხმოვანთა სისტემაში: ბ. ჯორბენაძის საზოგადოების II სამეცნ. კონფერენცია, თეზისები, თბ., 1995.
6. ბართიშვილი, 1995₂ – ა. ბართიშვილი, ხმოვანთა სისტემა წოვათუშურ ენაში, სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაბოგებლად, ხელნაწერი, 1995.
7. ბართიშვილი, 1998₁ – ა. ბართიშვილი, წოვათუშური ენის ლარინგალური **ქ** თანხმოვნის მოკლე დახასიათება მისი შემდგომი კვლევის თვალსაზრისით: თესაუ შრომები, IX, თელავი, 1998.
8. ბართიშვილი, 1998₂ – ა. ბართიშვილი, წოვათუშური ენის ['] ლარინგალის ინტერპრეტაციის ცდა: არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის 57-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 1998.
9. ბერთლანი (ბართიშვილი), 1999₁ – ა. ბერთლანი (ბართიშვილი), ასო-ბგერები – სარკეში (მოსაზრება ახალი ხელნაწერის საჭიროების შესახებ ექსპერიმენტულ ფონეტიკაში): თელავის ი. გოგებაშვილის სახ. სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. I (X), თელავი, 1999.
10. ბერთლანი (ბართიშვილი), 1999₂ – ა. ბერთლანი (ბართიშვილი), ერთი ფონეტიკური საკითხის გამო თუშურ ენაში: თბილისის ს.-ს. ორბელიანის სახ. სახ. პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, თბ., 1999.
11. ბერთლანი, 2002 – ა. ბერთლანი, ანლაუტის ხმოვანთა მაგარი შემართვის გამოვლენის ცდა თუშურ კილოში: XXIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2002.

12. ბერთლანი, 2004 – ა. ბერთლანი, ქართულ ვოკალთა მაგარი შემართვის გამოვლენის ცდა: თელავის ი. გოგებაშვილის სახ. სახ. უნივერსიტეტის შრომები, XV-XVI, თელავი, 2004.
13. ბერთლანი, 2009 – ა. ბერთლანი, წოვათის ნისლეები, პატარა ხატი დიდ ეკლესიაში, თბ., 2009.
14. ბერთლანი, 2010 – ა. ბერთლანი, ხმოვანთა და თანხმოვანთა ურთიერთმიმართების საკითხისათვის (თუშური ენის **ც** ლარინგალის მაგალითზე): თესაუ ბიულეტენი, №1, 2010.
15. ბერთლანი, 2012 – ა. ბერთლანი, თუშური ენის ფონეტიკა და ფონოლოგია, თბ., 2012.
16. ბერთლანი, 2013 – ა. ბერთლანი, თუშთა მეტყველების აღმნიშვნელ ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით: II საერთაშორისო სიმპოზიუმი, კავკასია და გლობალიზაცია: პრობლემები და პერსპექტივები, მასალები, თელავი, 2013.
17. ბობოხიძე, 1987 – ი. ბობოხიძე, ლელა თათარაძე, ვერცხლის თასადამც მაქცია, გრამფორფიტის შალითა, თბ., 1987.
18. გაგუა, 1956 – რ. გაგუა, ზოგიერთი ფონეტიკური პროცესი ბაცბური ენის ხმოვნებში: იკე, VIII, თბ., 1956.
19. გარაყანიძე, 1990 – ე. გარაყანიძე, ორიოდ „მუსიკალური“ შენიშვნა: ლიტერატურული საქართველო, 10 აგვისტო, 1990.
20. გეორგიუ, 1964 – მ. გეორგიუ, ფრანგული ენის სახელმძღვანელო, I, თბ., 1964.
21. გონიაშვილი, 1962 – თ. გონიაშვილი, **ჯ** ნაწილაკისა და **იე** სუფიქსის ურთიერთობისათვის ჩაჩნურში: იკე, XIII, 1962.
22. გელაშვილი, 1962; წიგნში: **J. Gueldenstaedti, Peregrinatio Georgica (I t.), Thbilissi, 1962.**
23. „გზა“, 2001 – „გზა“, №50, 2001.
24. ელანიძე, 1988 – ვ. ელანიძე, თუშეთის ისტორიის საკითხები. თბილისი, 1988.
25. კაშია, 2001 – ჯ. კაშია, ქართველურ ენათა ტოპოლოგია (ქართველურ ენათა მეტათეორიის ცდა): ენათმეცნიერების საკითხები, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კრებული, თბ., 2001.
26. კაციტაძე, 1986 – ზ. კაციტაძე, ადამიანის ანატომია, I, თბ., 1986.

27. კახაძე, 1998 – ო. კახაძე, კონსონანტთა თავდაპირველი სისტემის თაობაზე იბერიულ-კავკასიურ ენებში: არნ. ჩიქობავას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბ., 1998.
28. მამარდაშვილი, 1992 – მ. მამარდაშვილი, საუბრები ფილოსოფიაზე; ფილოსოფიის საფუძვლები, თბ., 1992.
29. ნებიერიძე, 1991 – გ. ნებიერიძე, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1991.
30. ორბელიანი, 1993 – ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქრთული, II, თბ., 1993.
31. ოსიძე, 1998 – ე. ოსიძე, ლარინგალური რიგის თანხმოვნების შესახებ მთის იბერიულ-კავკასიურ ენებსა და ქართველურში: არნ. ჩიქობავას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბ., 1998.
32. ოჩიაური, 1967 – თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1967.
33. ქლენტი, 1956 – ს. ქლენტი, ქართული ენის ფონეტიკა, თბ., 1956.
34. სარჯველაძე, 1975 – ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1975.
35. სარჯველაძე, 1984 – ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.
36. უთურგაძე, 1960 – თ. უთურგაძე, თუშური კილო, თბ., 1960.
37. უთურგაძე, 1966 – თ. უთურგაძე, ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება, თბ., 1966.
38. უთურგაძე, 2009 – თედო უთურგაძე, ქართული ენის დონეთა ძირითადი მახასიათებლების ურთიერთშემოქმედებისათვის გლობალურ ენობრივ სისტემაში, თბ., 2009.
39. უსლ, 1989 – უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ., 1989.
40. ფონეტიკური, 1940 – ფონეტიკური ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფია, II, კავკასიური ენები, თბ., 1940.
41. ფუტკარაძე, 1998 – ტ. ფუტკარაძე, თანამედროვე ქართული ენის ხმოვანთა სისტემა, ავტორეფერატი ფილოლ. მეცნ. დოქტ. სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი შრომისა, თბ., 1998.

42. ქეგელ, 1990 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1990.
43. ქსე, 1977 – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, II, თბ., 1977.
44. ქსე, 1985 – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, IX, თბ., 1985.
45. ქსე, 1987 – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, XI, თბ., 1987.
46. ყიფშიძე, 1994 – ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბ., 1994.
47. ყორანაშვილი, 1998 – გ. ყორანაშვილი, ჩვენი ჟურნალის ამოცანები: საქართველო / **Georgia**, I, 1998.
48. შავხელიშვილი, 1987 – ა. შავხელიშვილი, თუშეთი, თბ., 1987.
49. შანიძე, 1957 – ა. შანიძე, ქართული ენის კილოები მთაში, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, თბ., 1957.
50. შანიძე, 1970 – ა. შანიძე, თუშები: „მნათობი“, თბ., №2, 1970.
51. ჩიქობავა, ..., 1962 – არნ. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე, ხუნძური ენა, თბ., 1962.
52. ჩიქობავა, 1965 – არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965.
53. ჩიქობავა, 1979 — არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1979.
54. ჩხიკვაძე, 1939 – გ. ჩხიკვაძე, მუსიკის ელემენტარული თეორია, თბ., 1939.
55. ჭინჭარაული, 1960 – ა. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960.
56. ჭრელაშვილი, 1956 – კ. ჭრელაშვილი, პირველი გრამატიკა მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში: თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახ. უნივერსიტეტის გაზ. „ახალგაზრდა სტალინელი“, №22, 1956.
57. ჭრელაშვილი, 1975 – კ. ჭრელაშვილი, ნახური ენების თანხმობანთა სისტემა, თბ., 1975.
58. ჭრელაშვილი, 2002 – კ. ჭრელაშვილი, წოვა-თუშური ენა, თბ., 2002.
59. ხანთაძე, 1966 – შ. ხანთაძე, მარი ბროსე, თბ., 1966.
60. **Balli Ch., Le langage et la vie, Zurich, 1935. – ნიგში: Т. Шадури, Общее языкознание, Тб., 1983.**
61. **Bertlani, 2010 – A. Bertlani, Description of onephonetic detail in English and Tush languages: TeSaU Journal of Caucasian Studies, Telavi, Georgia, 2010.**

62. **Bertlani, 2014 – A. Bertlani, Typological Similarities in Phonetics of French and Tush Languages and Associations with the name of Marie Brosset: International Proceedings of Economics Development and research, Humanity and social Sciences, Edited by Feng Tao, vol. 80, Singapore, 2014.**
63. Brosset, ნიგში: S. xantaze, Mari Brose, Tb., 1966.
64. **Gueldenstaedti, 1962 – J. Gueldenstaedti, Peregrinatio Georgica (I T.), Tbilissi, 1962.**
65. **Popov, ..., 1978 – A. Popov, M. Popov, Praktisches Deutsch für Hochschüler, M., 1978.**
66. **Schiefner, 1859 – A. Schiefner, Versych über die Thusch-Sprache oder die Khistische Mundart in Thuschetien, St.-Pétersbourg, 1859.**
67. **Shaw, 1959 – B. Shaw, Pygmalion Moscow, 1959.**
68. Аванесов, 1984 – Р. Аванесов, Русское литературное произношение, М., 1984.
69. Аум, 1990 – Аум, Альманах, № 3, М., 1990.
70. Ахманова, 1966 – О. Ахманова, Словарь лингвистических терминов, М., 1966.
71. Бабаян, ..., 1935 – М. Бабаян, С. Рязская, Курс немецкого языка, М.-Л., 1935.
72. Бартишвили, 1998₁ – А. Бартишвили, К вопросу о сильном приступе анялутных гласных на примере окклюзии в тушинском языке: Вопросы изучения русского языка и литературы, Владикавказ, 1998.
73. Бартишвили, 1998₂ – А. Бартишвили: Предпосылка презентации т. н. свободной артикуляции гласных тушинского языка: Вопросы изучения русского языка и литературы, Владикавказ, 1998.
74. Барчай, 1959 – Е. Барчай, Анатомия для художников, Будапешт, 1959.
75. Белостоцкая, ..., 1951 – О. Белостоцкая, Е. Мазурская, Учебник немецкого языка, ч. I, М., 1951.
76. Белошапкова, ..., 1981 – В. Белошапкова, Е. Земская, И. Милославский, М. Панов, Современный русский язык, М., 1981.
77. Берхина, 1958 – А. Берхина, Учебник немецкого языка, I, М., 1958.
78. Бокарев, 1967 – Е. Бокарев, Цезский язык, ИК языки, М., 1967.
79. БСЭ, 1973 – Большая советская энциклопедия, XIV, М., 1973.

80. БСЭ, 1974 – Большая советская энциклопедия, XVIII, М., 1974.
81. БСЭ, 1975 – Большая советская энциклопедия, XXII, М., 1975.
82. БСЭ, 1978₁ – Большая советская энциклопедия, XXVIII, М., 1978.
83. БСЭ, 1978₂ – Большая советская энциклопедия, XXX, М., 1978.
84. Булич, 1904 – С. Булич, Очерки истории языкознания в России, СПб, 1904.
85. Гагуа, 1983 – Р. Гагуа, Основные вопросы фонетики и морфологии бацбийского языка: Ежегодник иберийско-кавказского языкознания, X, Тб., 1983.
86. Гаджиева, 1966 – Н. Гаджиева, Азербайджанский язык; $\nabla\alpha\beta\gamma\delta$: Языки народов СССР, II – Тюркские языки, М., 1966.
87. Гамзатов, 1969 – Р. Гамзатов, Собрание сочинений, III, М., 1969.
88. Гаприндашвили, 1966 – Ш. Гаприндашвили, Фонетика даргинского языка, Тб., 1966.
89. Гаспаров, 1978 – Б. Гаспаров, Устная речь как семиотический объект. – $\nabla\alpha\beta\gamma\delta$: Семантика номинации и семиотика устной речи, Тарту, 1978.
90. Гвоздев, 1973 – А. Гвоздев, Современный русский литературный язык, I, М., 1973.
91. Гумбольдт, 1984 – В. Гумбольдт, Избранные труды по языкознанию, М., 1984.
92. Дельбрюк, 1904 – Б. Дельбрюк, Введение в изучение языка. – $\nabla\alpha\beta\gamma\delta$: Булич, 1904 – С. Булич, Очерки истории языкознания в России, СПб, 1904.
93. Дешериев, 1953 – Ю. Дешериев, Бацбийский язык, М., 1953.
94. Звегинцев, 1960 – В. Звегинцев, История языкознания XIX–XX вв. в очерках и извлечениях, I, М., 1960.
95. «Кавказ», 1855 – «Кавказ», № 70, 1855.
96. Капанадзе, 1983 – Л. Капанадзе, Лексико-семантические особенности разговорной речи. – $\nabla\alpha\beta\gamma\delta$: Русская разговорная речь. Фонетика, морфология, лексика, жест, АН СССР, Институт русского языка, М., 1983.
97. Кашкин, 1929 – Н. Кашкин, Учебник элементарной музыки, М., 1929.

98. Климов, 1978 – Н. Климов, Вводно-фонетический курс немецкого языка, М., 1978.
99. Кондратов, 1977 – А. Кондратов, Этруски – загадка номер один, М., 1977.
100. Кругозор, 1966, III.
101. Кругозор, 1988, VIII.
102. ЛЭС, 1990 – Лингвистический энциклопедический словарь, М., 1990.
103. Мамардашвили, 1992 – М. Мамардашвили, Как я понимаю философию, М., 1992.
104. Марр, 1910 – Н. Марр, Грамматика чанского (лазского) языка, СПб, 1910.
105. Марр, 1922 – Н. Марр, Кавказские племенные названия и их местные параллели, Петроград, 1922.
106. Музехольд, 1925 – А. Музехольд, Акустика и механика человеческого голосового органа, М., 1925.
107. МЭ, 1973 – Музыкальная энциклопедия, I, М., 1973.
108. МЭ, 1976 – Музыкальная энциклопедия, III, М., 1976.
109. МЭ, 1981 – Музыкальная энциклопедия, V, М., 1981.
110. Наклеушев, 1990 – У. Наклеушев, Загадочные ритмы истории. – $\nabla\alpha\beta\gamma\delta$: Аум, Альманах, № 3, М., 1990.
111. НРС, 1962 – Немецко-русский словарь, М., 1962.
112. Никонова, 1958 – О. Никонова, Фонетика немецкого языка, М., 1958.
113. Ожегов, 1970 – С. Ожегов, Словарь русского языка, М., 1970.
114. Ортега, 2000 – Х. Ортега-и-Гассет, Избранные труды, М., 2000.
115. Панов, 1971 – М. Панов, Развитие фонетики современного русского языка, М., 1971.
116. Попов, ..., 1978 – Р. Попов, Д. Валькоа, Л. Маловицкий, А. Федоров, Современный русский язык, М., 1986.
117. Реформатский, 1967 – А. Реформатский, Введение в языкознание, М., 1967.
118. СИС, 1954 – Словарь иностранных слов, М., 1954.
119. Словарь, 1974 – Словарь литературоведческих терминов, М., 1974.
120. Современный, 1982 – Современный русский литературный язык, Под ред. П. Леканта, М., 1982.

121. Современный, 1986 – Современный русский язык, М., 1986.
122. Робакидзе, 2001 – Г. Робакидзе, Демон и миф, Тб., 2001.
123. Розенталь, ..., 1976 – Д. Розенталь, М. Теленкова, Словарь-справочник лингвистических терминов, М., 1976.
124. Соколов, 1968 – А. Соколов, Внутренняя речь и мышление, М., 1968.
125. Соссюр, 1977 – წიგნი: ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.
126. Сунцова, 1958 – И. Сунцова, Вводный курс фонетики немецкого языка, М., 1958.
127. Трубецкой, 1987 – Н. Трубецкой, Избранные труды по филологии, М., 1987.
128. Услар, 1888 – П. Услар, Этнография Кавказа, II, Языкознание, Тифл., 1888.
129. Хмара, 1980 – А. Хмара, Практический курс русского языка, I, Л., 1980.
130. Цагарели, 1880 – А. Цагарели, Мингрельские этюды, II, СПб, 1880.
131. Цискаров, 1848 – И. Цискаров, Краткая Тушино-цовская грамматика, составленная священником Троицкой тушинской Алванской Церкви Иовом Цискаровым, Рукоп., 1848, Архив востоковедов в Петербурге.
132. Чикобава, 1953 – Арн. Чикобава, Введение в языкознание, I, М., 1953.
133. Чрелашвили, 2007 – К. Чрелашвили, Цова-тушинский (бацбийский) язык, М., 2007.
134. Шадури, 1983 – Т. Шадури, Общее языкознание, Тб., 1983.
135. ЭМС, 1966 – Энциклопедический музыкальный словарь, М., 1966.

1. <http://www.nnspt.ru/blog/education/84.html>
2. <http://rulinguistic.com/kratkoe-foneticheskoe-vvedenie/>
3. <http://deseite.ru/nemetskij-dlja-nachinajushtchih/osobennosti-proiznosh-eniya-nemetskih-glasnyih>
4. <http://nemkinlern.ru/?q=node/181>
5. <http://otvet.mail.ru/question/71828208>
6. <http://www.stihi-rus.ru/1/Fet/160.htm>
7. <http://skladrabot.ru/work/348/38409/>
8. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=8&T=55489>
9. <http://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98>
10. <http://ka.wikipedia.org/wiki/;http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&T=3;http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&T=1>
11. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&T=35021>
12. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&T=16516>
13. <http://www.youtube.com/watch?v=dH3Shh0xor8>
14. http://qartulifilmebi.blogspot.com/2012/11/blog-post_4247.html
15. <http://www.youtube.com/watch?v=8gz2GqvmV-g>
16. <http://www.youtube.com/watch?v=KPhP0kUIZkg>
17. <https://www.youtube.com/watch?v=uJqnNXg4bm4>
18. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=8&T=55489>
19. <http://www.science.org.ge/books/Gamkrelidze%20book.pdf>
20. <https://www.youtube.com/watch?v=WyRu4skGQjo>

შესავალი	5
ტრანსკრიფცია	10
თავი I. ც ლარინგალის საკითხი თუშურ ენასთან მიმართებაში	15
(ყველა გზა ც ლარინგალთან მიდის)	15
1. ზოგიერთი წინასწარი მინიშნება ც ლარინგალის გამო	15
§1 (1). ც ლარინგალის დახასიათების შესავსებად	15
§2 (2). განმარტებები არათუ შურენოვანი მკითხველისთვის	20
2. ც ბგერის მორფოლოგიური ანალიზისათვის	30
§1 (3). ც ბგერის სემიოტიკის თაობაზე	30
§2 (4). ც ლარინგალის დისტრიბუცია თუშურ ენაში; მისი პოზიცია:	
ა) ინლაუტის ც და მარცვალზე; ბ) ც აუსლაუტში;	
გ) ანლაუტის ც-ს საკითხი, ანუ ცაგ თუ აგ 'გეძია'?	44
§3 (5). ინტერვოკალური ც და ამ ბგერით გამოწვეული	
ზოგიერთი ფონეტიკური პროცესი ინტერფერენციის ფონზე	61
3. $\text{ც} = \text{ც} + \text{მ}$, ანუ $\text{ც} = \text{ც} \& \text{მ}$	68
§1 (6). ც -ს არტიკულაციის აღწერის ცდა (გზაველევა ფორმულისკენ	
$\text{ც} = \text{ც} + \text{მ}$, ანუ $\text{ც} = \text{ც} \& \text{მ}$)	68
§2 (7). ც -ს აკუსტიკური ანალიზი; კიდევ ერთხელ ოკლუზიის შესახებ	76
§3 (8). $\text{ც} > \text{ც}$ (და პრიქით) ტენდენცია და ანლაუტის ექსპრესია თუშურ ენაში	84
§4 (9). ანტონ შიფენერი და თუშური ენის ც	89
§5 (10). ამ თავიდან მიღებული შედეგები	96
თავი II. ჩვეულებრივი ხმოვნები ზოგადად	113
1. თითქმის მარტივად ვასხვავებთ ერთურთისაგან ხმოვნებსა და თანხმოვნებს,	
მაგრამ – რით?	113
§1 (11). საენათმეცნიერო ინფორმაცია ხმოვნებზე საერთოდ და	
მაგარი შემართვა სალიტერატურო გერმანულ ენაში	113
§2 (12). მუსიკათმცოდნეობა და ლინგვისტიკა	125
§3 (13). და მაინც: რით განსხვავდებიან ერთურთისგან ხმოვანი და	
თანხმოვანი ბგერები?	135
§4 (14). შეიძლება თუ არა ჩავთვალოთ, რომ ხმოვანი ბგერების	
წარმოთქმისას საფონაცო პაერნაკალი თავისუფლად ამოედინება	

(მოძრაობს) პირის ღრუში ანდა, საერთოდ, სამეტყველო აპარატში? 141

1. სამეტყველო გზის კონსტრუქციისათვის, ანუ: სახმო ქორდების
მუშაობის პრინციპის შესახებ **147**

§1 (15). სამეტყველო გზა სქემებზე ცალკეული ბგერების
არტიკულაციისას და კიდევ ერთხელ ძლიერ შემართვაზე –
მიზანთან უფრო ახლოს მისასვლელად 147

1. $V \subset \text{ც}$, ანუ: რა საერთო აქვს ც-ს ხმოვნებთან? 159

§1 (16). სქემები ჩვეულებრივი ხმოვნებისთვის, ანუ მინიშნებებით
შემართვაზე; რა საერთო აქვს ც-ს ხმოვნებთან? 159

§2 (17). დაკვირვება ფორტეპიანოზე, ანუ: ძლიერი (მაგარი, ხშული,
მკვეთრი) შემართვის ცნების განმტკიცებისათვის ჩვეულებრივ
ხმოვნებთან მიმართებაში 166

§3 (18). $V \subset \text{ც}$ და ზოგიერთი სხვა რამ 177

§4 (19). ამ თავიდან მიღებული შედეგები 183

თავი III. კონკრეტული ჩვეულებრივი ხმოვნები კონკრეტულ
მეტყველებებში **188**

1. ხმოვნების შიზოფონია თუშურ ენაში **188**

§1 (20). შესავალი: რა იგულისხმება შიზოფონიაში? 188

§2 (21). მიდგომა I: ა) ჩურჩული; ბ) II არხი 190

§3 (22). მიდგომა II: ჩვენთვის საინტერესო ხმოვანი ბგერის (ანდა მისი
შემცველი ამა თუ იმ სიდიდის) „ამოკვეთა“ სიტყვის ან მარცვლის
შემადგენლობიდან 203

§4 (23). ოკლუზია – მიდგომა III 206

§5 (24). მიდგომა IV: დაკვირვება უფროსი თაობის მეტყველებაზე 216

§6 (25). მიდგომა V: შიზოფონია თუშურენოვანი და ქართულენოვანი
ლექსემების დამეზობლებით 218

2. ქართული ენის ხმოვანთა შიზოფონია **221**

§1 (26). ელექტრონული შიზოფონია – კომპიუტერული ხარვეზი 221

§2 (27). უბრალო დაკვირვება სამეტყველო აპარატის ხელოვნურ
მდგომარეობაზე 222

§3 (28). პაუზა, ანუ არტიკულაციის წყვეტა (დაკვირვება
შესიტყვეების წყვეტა დაშორიშორებულ არტიკულაციაზე) 228

§4 (29). ჩვენთვის საინტერესო ხმოვნის (ანდა მისი შემცველი ამა თუ

იმ სიდიდის) „ამოკვეთა“ სიტყვის ან მარცვლის შემადგენლობიდან	236
§5 (30). ოკლუზია	242
§6 (31). დაკვერევა არანორმირებულ, თავისუფალ მეტყველებაზე თავისუფალ წუთებში	245
§7 (32). მაგალითები პალინდროფონისთვის	252
§8 (33). დაკვერევა ფონოლოგიურად ოპოზიციურ სიტუაციებზე	268
§9 (34). რეფლექსური (ინსტინქტური, უნებლოე) შიზოფონია	272
§10 (35). შიზოფონია გეომეტრიულ წრეში („ოპერაცია Φ “)	276
3. ანლაუტის ხმოვანთა მაგარი შემართვის შესახებ ენებში საერთოდ	281
§1(36). მოსაზრება ხმოვანთა მაგარ შემართვასთან დაკავშირებით სალიტერატურო გერმანულ ენაში (და იმ ენებში, რომლებსაც აგრეთვე მიეწერებათ ასეთი შემართვა)	281
§2 (37). ამ თავიდან მიღებული შედეგები	308
თავი IV. უფრო დეტალურად ანლაუტის თავისუფალი არტიკულაციის შესახებ	
1. თავისუფალი ხმოვნების ადგილი თუ შური ენაში	313
§1 (38). საუბრები ცოცხალ სამეტყველო გარემოში, ანუ: რა აზრისანი არიან თავად ენის მატარებლები თუ შური ენის თავისუფალი ხმოვნების შესახებ?	313
§2 (39). თუ შურენოვანი ლექსიკა თავკიდური თავისუფალი ხმოვნებით და თუ შური ენის ხმოვანთა პარადიგმატიკა თავისუფალი არტიკულაციის გათვალისწინებით	317
§3 (40). რას ნიშნავს ხმოვნის თავისუფლება ?	322
§4 (41). „ აი ია “: ასოციაციები შორეულ ბავშვობასთან; გზის მონახაზისთვის ხმოვნებიდან თანხმოვნებამდე	343
§5 (42). ამ თავიდან მიღებული შედეგები	355
დასკვნა	370
რეზიუმე	388
Summary	390
გამოყენებული წყაროები	392
გამოყენებული ლიტერატურა	393
გამოყენებული ვებგვერდები	401